ილია
ჭავჭავაძე

10

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი

ილია ჭავჭავაძე

თხზულებათა სრული კრებული

ათ ტომად

ჰ. ინგოროყვას
რედაქტორობით

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ჩოხთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი

ილია ჭავჭავაძე

ტომი X

მიმოწერა

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა
1961 — თბილისი — 61

I

ილია ჭავჭავაძის
წერილები
სხვადასხვა პირებისადმი

1857 – 1907

I

წერილები ნინო ჭავჭავაძე — აფხაზისადმი

1*

[1857 წ., ყვარელი]

... ვაპირობ წასვლას რუსეთში, მარამ, შენმა გარდამ, ისე მეძნელება დატევება ამ ჩვენ ყვარლისა, ნამეტნავათ ამ ჩვენ სახლისა, სადაც ყოველი ნაწილი ალაგისა მომაგონებს ხოლმე ჩემს დაუდევნელ ყმაწვილობის დროს, სადაცა ყოველი ხე არის ძვირფასი ჩემთვის სასიამოვნო მოგონებები[თა]. ერთის სიტყვით, ვესალმები ყოველს ფერს, რაჲც არის ჩემის გულიდამ დაუვიწყარი, და მივდივარ ერთს უცხო ქვეყანას, სადაც ერთი ტკბილი ნათესავური სიტყვა, სავსე სიყვარულითა, ეღირება ჩემთვის ნეტარებათ, სადაც უბედურობაში არავინ მეყოლება ნუგეშმცემელი და სიამოვნებაში ჩემთან მოხარული. მარამ ყოველი ჩემებრი, რომელსაც მომავალ დროჲს შავ ღრუბელში აღუპარწყინდება ბედნიერების ვარსკვლავი და რომელსაც სურს შეეყაროს იმ ბედის ვარსკვლავს, ყოველთვის ტკბილს მდგომარეობას დაუტევებს და სიმწარით განვლის გზას მისთვის, რომ უფრო უტკბილესად შეხვდეს თავის ბედნიერებას. შენ თვითონ იცი, ვარდსა წინ მოუძღვის ეკალი, ვისაც სურს ვარდის მოწყვეტა, არ უნდა შიშობდეს ეკლისგან...

---

* შენახულა ნაწყვეტი, წერილის შავი.

18 თებერვალს, 1859 წელსა.

სულზედ უტკბესო დაო ნ ი ნ ო!

ძლივს დავამარცხე ჩემი ზარმაცობა და როგორც ხედავ გწერ წიგნსა. რა არის, ნინუცი, რომ იწერებით წიგნს და ახალ მანდაურ ამბებს არა მწერთ ხოლმე. დაიწყობ, ბატონო, ჩემ დამტირებელ თვალებს დაგიკოცნიო და დამტირებელ თვალებითვე გაათავებთ ხოლმე. ან მოსავალზედ თქვით რამე, ან მანდაურ შექცევაზედ, ან კუტრობაზედ, მარამ კუტრობა წამომცდა, კუტრობაზედ ნურას მომწერთ, თითონ მე კარგათ ვიცნობ, რა წითელი კოჭიცა ბძანდება. ჩემ ჯიბეში ნეტავი ჩამოვახედა, რა ამბავია, რუსეთულ თაგვებს ისეთი ჯირითი გააქვსთ, რომ მეტი არ იქნება. ღმერთმანი, ჭრელ-ჭრელ მანეთებს წამოჰკრამენ ფეხს, შე ნუ მოუკვდე ჩემს თავს! ისეთი მოწმენდილია იქაურობა, რომ ყაბახის მოედანზედ არ იქნება ისე. ნეტავი ეხლა მანდ ვიყო, რომ გავძღე ყბედობით, ასეთი ლაპარაკი ჰსცოდნია და ჰყვარებია ჯიბე ცარიელობას, რომ ვეღარ მომითმენია. ნეტავი ეხლა შენს ტახტზედ ვიყო წამოწოლილი და შენი განათლებული ბონჟურა პირის მთქნარებით და თავის ქექით ნაცარქექიას ზღაპარს მეუბნებოდეს და შენი პატარა გიგლო ეარბაისელ ბიძას მშვენიერ ლანძღვის სიტყვებით მამკობდეს. რასა იქ, როგორა ხარ, ჩემო ნინუცი, სახლი აიშენე თუ არა? ან შენი ქმარი და ჩემი სიძე რასა იქს? არა სცხვენიან, რომ ერთხელ არ გამიხსენებს. ნუთუ - - - - - - - - - - *

ეხლახან მამიდა სალოშეს წიგნი მივიღე, ძალიან მიამა და ძალიან მადლობელიცა ვარ. ღმერთმა აცოცხლოს დიდხანს. მარამ ჩემ მაგიერ მოტევება სთხოვე, რომ ეხლა წიგნს ვერა ვსწერ შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა. კოხტა ძალიან კარგათ არის, აგრეთვე მისი ბიძა მიხაკო. შენ და ნიკოლოზს მოკითხვას გიგზავნიან.

სხვა რა მოგწერო, ჩემო კარგო დავ, პეტერბურღი ისევ პეტერბურღია, ცივი, ქვით მოსიპული და უზარმაზარი. ახა-

* ტექსტი წაჭრილია.

ლი ამბები არა არის რა ჩემი ჯიბის კუტრობის მეტი, მარამ ეს დიდიხნის ამბავია. ილიკო ჩოლოყაშვილის ცოლი გავიცან. ძალიან ჭკვიანი და კარგი ქალი ყოფილა, გამაკვირვა იმის ლაპარაკმა და განსჯამ.

ერთი რამა მაქვს შენთვის სათხოვარი და თუ გიყვარდე, თუ ჩემი მცირედი სიყვარული გაქვს, ამისრულე. ერთმა ქალმა ქალური ვერცხლისა ქამარი მთხოვა ხანჯლითა და დავპირდი, შენი ჭირიმე, ნინუცი, ნუ გამამტყუნებ იმ ქალთან, მერე უნდა იცოდე, რა ქალია! იმათ ოჯახში როგორც შვილი ისე ვარ მიღებული, ასეთი დედ-მამა ჰყავს, რომ თავი შემაყვარეს. თუ შეიძლება, შენი სულის ჭირიმე ნინო, სააღდგომოთ გამომიგზავნე: ვიცი რომ გიყვარვარ, თუმცა ცოტა ხელის მოჭერა გიყვარს, მარამ ჩემი სიყვარული გაგაბედინებს.

იყავი მშვიდობით; წიგნი მომწერე ხოლმე ხშირათ, მანდაური ამბები, დროს როგორ ატარებთ, როგორ შეექცევით და უფრო რითა სწამლობთ კუტრობას მეც მასწავლეთ.

შენი ძმა ი ლ ი კ ო.

[მინაწერები]:

იანვარის ცისკარში ჩემი ლექსია დაბეჭდილი, წაიკითხე თუ არა. აი გინდოდა ჩემი ლექსი გენახა ცისკარში და აგისრულე, თორემ შენ რომ არ გსურებოდა, არც მაგას დავაბეჭდინებდი, იმიტომ, რომა ჩვენი ცისკარი ჯოჯოხეთის კარია და არა ცისა.

*

ნინუცი! მეგონა ეს წიგნი გამოგიგზავნე შენ და ეხლა ვიპოვნე ქაღალდებში, აქ დამრჩენია თურმე და ეხლა გიგზავნი. ნუ ღამცინებ ჩემ დაუდევნელობაზედ, მეც იმისთანა ქართველი [ვარ], ვითარცა სხვა, ამის გამო მომეტევება, ვითარცა ცათა შინა, ეგრეთცა ქვეყანასა ზედა, აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

მშვიდობით. შენი ი ლ ი კ ო ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

თიკო თუ შანდ იყოს, მოკითხვას მოვახსენებ, კოლა ძალიან კარგად არის.

შენი ბიჭ-ბუჭულები და უზესთაესთა ხერუბიმი მაიკო ჩამიკოცნე. გიგლოს კი ყური გაუწიე, ჭკვას ისწავლის.

18-სა მარტსა 1859 წელსა.

3

[1873 წ., აგვისტო, მოსკოვი]

საყვარელო დაო ნინო! მგონი რა რიგადა ჰსჯავრობ, რომ ამოდენა ხანია ჩემგან არაფერი ამბავი არ მოგსვლია. ეს კი ნუგეშად მაქვს, რომ მეცა მაქვს საბუთი შენზედ სამდურავისა. ჩემი ადრესი იცი და აქამომდე ერთი წიგნი არ მომაწოდე. ბარი ბარში. შენი ჭირიმე, ნინო, მომწერე პირველი თქვენი მშვიდობიანობის ამბავი და მეორე — ჩემი სახლის ვითარება. რა რიგი მოსავალი მომივიდა პურისა, ვენახები როგორ არის? რა ჰქნეს შენობისა? აშენდა რამე თუ არა? დაითხოვა ნიკოლოზმა ჩემი მოურავი, თუ არა? ყველაფერი შენებურად დალაგებით და დაწვრილებით მომწერე. მე ეს თვენახევარია, რაც მოსკოვში ვარ და ის საქმე, რაზედაც მე აქ წამოვეთრივე, როგორღაც ხელთ არ მოდის, თუმცა ჩვენი ბანკი მტკიცდება. შენ იცი, რომ მე, სხვათა შორის, იმისთვინა ვარ აქ გამოგზავნილი, რომ ბანკის საქმე აქაურს ბანკებში დაწვრილებით შევისწავლო. მაგრამ ჭირი ეს არის, რომ ჩვენ არც ერთს ბანკში არ შეგვიშვებს და გზას ჯარ გვაძლევენ, თუმცა კი ჯერ სრული იმედი არ დამკარგვია. ამასა ვწუხვარ, რომ დრო მიდის, ფულის აფალი მისუსტდება და ჯერ იმედი ცხოვლად არსაიდამ მოდის. მაინც მე ჩემსას ვცდილობ, ვნახოთ რა გამოვა.

ერთი, შენი ჭირიმე, შემატყობინე: შეიძლება რამე იმედი ვიქონიო ჩემის მამულის შემოსავალზედ, თუ არა? თუ როგორმე ერთს ოციოდე თუმანს მამიხერხებთ, სწორად შიმშილისაგან დამიხსნით. იქნება როგორმე და რაიმე შემოსავლიდამ გამიყიდოთ და ფული მომაშველოთ, თორემ ცუდად [არის] ჩემი საქმე. შენი ჭირიმე, ყოველი ღონისძიება იხმარეთ, რომ მალე ფუ-

ლი მომაშველოთ. ვიცი, შენ ფული არა გაქვს, და თუნდ რომაც გქონდეს, შენ ფული არ გეთხოვება, იქნება მოსავალი რამე გაყიდოთ მეთქი. ამ წიგნის პასუხი ისევ უწინდელის ადრესით მალე მომწერეთ. შენი შვილები დამიკოცნე.

შენი ერთგული ძმა ილია ჭავჭავაძე.

წერილი ნენე დიმიტრის ასულ ანდრონიკაშვილისადმი

4

13-სა მარიამობისთვეს 1858-სა წელსა
ს. ტ ი ა რ ლ ე ვ ო

პატივსაცემელო და საყვარელო, დაო ნ ე ნ ე!

ჩემი ვალია წინათვე განგიცხადოთ და გთხოვოთ, ამ თაბახის სიდიდით ნუ შაშინდებით, რაც შემეძლება, ენას კბილ ქვეშ მოვიტან, რომ ცრტა იყბედოს და მით მოგარჩინოს თქვენ უსიამოვნობას, რომელსაც ჩემის ანგარიშით იპოვით ჩემს ეპისტოლეში. ენა ჩემი, როგორათაც ენა ჭავჭავაძისა, რაკი დაუვლის ბუ[ქნასა], აღარ გაათავებს ხოლმე, მარამ მერწმუნეთ ღირსეულ სამზღვარში მოვამწყვდევ. ხუმრობას თავი დავანებოთ და თქვენც აიჭურვენით მოთმინებით (მოთმინებითა თქვენითა მოიპოვეთ სული თქვენიო) მოსასმენელათ ჩემის ცივის სიტყვისა, თუმცა ყოველი სიტყვა ამა წერილისა მხურვალ ძმურის სიყვარულით მებადებიან და რაღაც მანჭანებით ცივობენ წიგნში. არ ვიცი, როგორ გამოვსთქვა ჩემი სიამოვნება თქვენის წიგნით გაღვიძებული, ყოველი სიტყვა უხმო და უაზრო იქნება გამოსათქმელად ჩემის სიამოვნებისა. აბა, იფიქრეთ: პირველათ გავითბე რა ჯიბე წითლოვანებით, ჯიბის მხრით გახარებულმან მოვინდომე გულის სიმხიარულეც და პირველი საგანი, რომელსაც ჩემმა გულმა მიაწერა აღსრულება თვის სურვილისა —

იყო წიგნი თქვენი. გმადლობ, საყვარელო დაო, რომ ერთის წლის განშორებამ არ დაგავიწყათ თქვენი, როგორც მწერთ, პატარა ძამია, რომლისც გულშია ღრმათაა შორიდამ თქვენდამო პატივისცემა და ნათესავური სიყვარული. ვმადლობ ღმერთსა, მშვიდობითა ხართ ყველანი ჩემი მონათესავები; აყვავდით, აყვავდით და გამრავლდით ჭავჭავაძის ჩამომავლობავ! ჩემი ამბავი რა მოგწეროთ, ხომ იცით ჭავჭავაძის სისუსტე სად არის — ჯიბეში და ისევ ჯიბეში; უხ! ხანდისხან რა უგრძნო ქარიშხალი წამოუბერავს ხოლმე ჯიბით, რა რუსეთული თაგვები შადგებიან ხოლმე ყალხზედ თითქო ძალათ დაცარიელებულს ჯიბეში; მარამ კი სასოწარკვეთილებაში არ შევალ ხოლმე, ნუგეშ-ვიცემ და ამას ვეტყვი ხოლმე ჩემს თავს: ნუ გეშინიან, ერთხელაც იქნება, რომ ჩვენც გაგვიბრწყინდეს მზე მეთქი, და ჩემი თავი ჩვეულებრივ სიცივით მიპასუხებს ხოლმე: პაპაშენიც მაგას ამბობდაო, მარამ კი, შენი ჯიბე მაინც არ გათბაო. მეც თავ გავიქნევ ხოლმე და ჩვეულებრივ სასოებით შავყურებ პირღია ცას, თითქო იქიდამ მოველოდე გაქლიბულს ჭრელჭრელ მანეთებს; მარამ თქვენც იცით, ცას რა რიგად ჰსძულს ვერცხლი. მაშასადამე ლოდნა ჩემი ციდამ ფულისა ამაოა.

მწერდი, ელენეს ამბავი მომწერეო. როგორათაც ელენე, აგრეთვე მისი მეუღლე ილიკო, სასახლეში დიდის პატივით მიიღესო, ძალიან პატივით, რომ მეტი არ შეიძლება, ასე ამბობენ. კარგათაცა ცხოვრობენ, მარამ ეხლა ძალიან შეწუხებულები არიან ორნივ თავის ქალის სიკვდილზედ. რა უგრძნო რამ არის სიკვდილი; აბა, პატარა გაუშლელ კოკორსაც აშორებს დედის გულს და მიაქვს საუკუნოთ. თუმც ყველა ჩვენგანი დარწმუნებული არის, რომ საიქიო უფრო ტკბილია თავის განუსაზღვრებელ ნეტარებით, ნუგეშით და სიწმინდით, თუმც დარწმუნებული ვართ, რომ ის გაუშლელი კოკორი გასაშლელათ უფრო მშვენიერს ბაღნარში გადასახლდა, მარამ მაინცა დედა შესაბრალისია შვილის საუკუნოს განშორებაზედ. ელენე ძალიან ჰსწუხს, როგორათაც დედა, რომელსაც წაერთვა ერთი ძვირფასი ამა ცრუ-სოფლის ნუგეში; ცოცხლები იყვნენ, თორემ ღმერთი მოწყალეა, ერთი დაჰკარგა, სხვას აჩუქებს ღმერთი.

ბატონის რძალსაც ვახლდი. ნიკოსი მითხრა, ცრუ არისო. მე მოვახსენე, ახალი გაგება გახლავსთ მეთქი, ჭავჭავაძე და ცრუ ჩემს დღეში არ მინახავს მეთქი. აბა, რასაკვირველია, არ დამიჯერა, ნამეტნავათ რომ მხედამდა, რომ თვალწინ ვატყუებ. მიბძანა სიცრუვე ბოროტი თვისება არისო, შენ გარდას, ნუ დაეჩვევიო. დიახ, ბოროტი გახლავსთ მეთქი და გულში გავიფიქრე: გვიანი დარიგება არის მეთქი, ნეტავი ერთი ათი წლის წინათ ჩაეგონებინათ ეგ მეთქი ჩემთვისა. მაგრამ ათი წლის წინათაც უსარგებლო იქნებოდა, იმისთვის რომ ტყუილის გუდა დაბადებითვე ჭავჭავაძეს იღლიას ქვეშ დაჰყვება ხოლმე. თქვენ, ნენეჯან, ნუ გამიწყრებით ამ ჭეშმარიტების თქმაზედ; თქვენც ჭავჭავაძის ქალი ხართ, მარამ თქვენ არა გრევთ ჩვენში, ვინც ცოდვილნი ვართ. თქვენ გამორიცხული ბძანდებით ცრუების გაჭრელებულ სიიდამ, ჩვენ ვართ კაცები, რაცა ვართ, ტ[ომ]რები ტყუილებისა. სხვა რა დავიყბედო არ ვიცი. ჰო, მართლა! ეგ ვინ მადამა გაგიჩენიათ ყვარელში, ბარაქალა ყვარელო! ვერ უყურებთ, კვირაში ორჯერ ვეჩერი ვის გაუგონია ყვარელში. ქვეყნის უბედურობას დახე! ყვარელში ვეჩერები!?... არ გაუწყრეს ღმერთი ყვარელს და ტიატრებიც არ გაიჩინოს და არ დაამციროს რუსეთის სატახტო-ქალაქი. დაიღუპა ქვეყანა, ყვარელში ორჯერ კვირაში ვეჩერი?

ვიცი რომ აქამდისინაც მოგაწყინეთ თავი ყბედობით, მარამ მაინც მსურს თქვენთან უხმო წიგნით ლაპარაკი. ახ! [ნე]ტავი ეხლა მანდ ვიყო თქვენთან, რომ ჩვეულებრივ ვიღრიჭო და ვიცინო თქვენთან, ჩემი კატუნა მგონი კატუნა აღარ იქნება, ეხლა კნეინა ეკატერინე დიმიტროვნა არის; ჩვენი პოხრო ვანო ისევ ისე ცელქია, როგორც ჩემ დროს იყო, თუ გადარბაისლდა ვითარცა მე. ლელო, ცემი ლელუსკა. პაწაწა ლელუსკა, მგონი ეხლა ჩემზედ მაღალია. რა დამავიწყდა, ქვეყნის მშვენიერების გვირგვინი, ედემის ვარდი, განხორციელებული ანგელოზი, თქვენი პატარა ქალი რასა იქს, გაუფრთხილდით—მზე არ მოეკიდოს მის განსპეტაკებულს პირს. მიამა სიძე დიმიტრის დიამბეგობა, ოჰო! დიამბეგი მეგობარია ჯიბისა, ჩემსავით კი [არ აყივ]ნებს ჯიბეს; თქვენმა, ნენეჯან, მზემ,

რომ ვხუმრობ, ისე გასაცინელად გითხარით, დიამბეგის დაჯიბის მეგობრობა ვის გაუგონია; ნუ გეწყინება, როგორც ჭავჭავაძე ტყუილს არ იტყვის, ისე დიამბეგიც ქრთამს არ აიღებს. ნუ გეწყინებათ ეს ჩემი ხუმრობა და მიიღეთ როგორც ლანჭღანდარობა თქვენის პატივმცემლის პატარა (მარამ პატარა აღარა ვარ) ძმისა,

კუტ[რებ]ის ბაირაღ-ტარისა ილიკო ჭავჭავაძისა.

P. S. ძალუა ნატალია, თავის კატოთი მომიკითხეთ; აგრეთვე სიძე და ძია დიმიტრი. სადა ბძანდება მამათქვენი, შინა ბძანდება მარტო, თუ თქვენთან. თუ შინ არის, შეწუხდება მარტოობით და მოწყენით. ვინც კი მახსენოს თქვენთან, იმ წუთაშივე ჩემგან მოკითხვა უბძანეთ, თუ არ მახსენონ და ნურც თქვენ ეტყვით ნურაფერს გაჯავრებული. ბევრი ენაღვლებათ კი. იყავით კარგათ, ბედნიერათ, ტკბილათ და ნუ დაივიწყებთ რომ სამი ათასის ვერსტის სივრცის იქით გყავთ ერთი პატივმცემელი

ძმა ილიკო ჭავჭავაძე.

1858-სა წელსა 13-სა ივლისს [1].

აბა ჭრელ-ჭრელ წიგნებს მოველი თქვენგან, ჩემო კარგო დაო ნენევ! მომწერეთ ყოველიფერი; ძველი ახალი ერთათ აურიეთ და ჭრიანტელი გამოვა. უჰ! მაყვლის ქრისტიანული ჭრიანტელი რათაც უნდა ღირს ეხლა. პირში ნერწყვი მამივიდა ჭრიანტელის მოგონებაზედ. მშვიდობით და გთხოვთ პასუხით გაახაროთ თქვენი ძმა

ილიკო ჭავჭავაძე[2]

---

[1] თარიღი წერილის თავშიც აწერია და ბოლოშიც. თვე სხვადასხვა არის: თავში — „მარიამობისთვე“, ბოლოში — „ივლისი“.

[2] ეს წერილი (მე-4) გაგზავნილი იყო ანიკო ვაჩნაძისადმი მიმართულ (მე-5 წერილთან) ერთად. ამ უკანასკნელზე მიწერილია მისამართი მე-4 წერილისა:

„კნეინა ნენე დიმიტრის ასულს ანდრონიკოვისას მიერთოს“.

იქვე, ცოტა ქვემოდ:

„[ანიკო,] წიგნი ნენეს გაუგზავნე“.

III

წერილი ანიკო ვაჩნაძისადმი

5

[1858 წ., 13 აგვისტო,
ს. ტიარლევო]

საყვარელო დაო ა ნ ი კ ო!

ათასჯერა გმადლობ, დაო ჩემო, რომ აქამდინ კიდევ გახსოვარ. შენმა წიგნმა ისე მასიამოვნა, რომ თითქმის გადმომასახლა შენ მშვენიერ კოლაკში და სულ დამავიწყდა ეს ოხერი ცივი ქვეყანა, სადაც ჩემმა ბედმან გადმომაგდო. ვმადლობ ღმერთსა, მშვიდობითა ხარ. ქალო! რა დაგემართა, ერთი ქმარი ვერსად იშოვნე, აგერ ლიზა ჯამბაკურიანიც გახდა, მალე შვილიც ეყოლება და შენ კი ისევ ისე ვაჩნაძის ასული ბძანდები. მარამ ნუ გეშინიან, იჯექ ზღვის პირ[ს, და დრო] იქნება, შენკენაც ბედი დაჰქროლებს თავისის ცელქის ნ[იავით.]! ამას წინათ სოსიკოს წიგნი [მომივი]და, ძალიანაც მიამა, ბევრ რაღაცეებსა მწერდა და [იმ] რაღაცეების შორის მოეწერა, რომ შენ [ერთხელა]ც კიდევ მოგეწერა ჩემთან წიგნი, მარამ, შე ნუ მომიკვდები, არ მომსვლია შენგან ერთის წიგნ[ის] [მე]ტი, რომლისა პასუხსაც ამ ჟამათ გწერ. სოსიკო მწერდა, რომ ვაპიროზ რუსეთში წამოსვ[ლას]ო, არ იქნება ურიგო რომ წამოვიდეს; ხომ იცი, საყვარელო დაო, რომ სწავლისთანა ამ [ქვეყა]ნაში გამოსადეგი არა არის რა, მაშასადამე ცოდვა არის [სწა]ვლის მსურველს არ მისცენ საშუალება. მე კი წიგნი ვერ მოვსწერე სოსიკოს, რა ვქნა? ეს წყეული სიზარმაცე ვერაფრით ვერ მოვი-

შორე თავიდან, როგორც კატას ძაღლი, ისე მეც მეჯავრება წიგნის წერა. სხვა რა მოგწერო. ეს პეტერბურღი საშინელი, უდიდესი ქალაქია, ბევრი მხიარულება, ბევრი შექცევა, მარამ ჩემთვის კი სულ ფუჭია, მისთვის — რომ მე ყოველს [ჟა]მს და ყოველს წუთს ჯიბესთან ან მწ[ყრა]ლათა ვარ და აბა, ამ ჯიბის მწყრალობით ფეხსა[ც] ვერ გადასდგამს კაცი. რაც უნდა კარგი იყოს პეტერბურღი, მერწმუნე, შენს აქლემივით კოზაკიან კოლაკს არ ემჯობინება და ჩემს ყვარელს ხომ რა თქმა უნდა. ოხ! ნეტავი ეხლა ეშმაკმა ამიტაცოს და მანდ ახლო-მახლო დამაგდოს სადმე, თუნდ ძუნწ და საძაგელ ჩალაუბანში, ვაჩნაძიანთ სამფლობელოში, ან თუ არა ჩემ წყლიან ყვარლის ბარში. რა მადლობელი ვიქნებოდი იმ კუდიან ეშმაკისა.

მომიტევე წიგნის სიმცირეზედ და წინ დაუხედავ ბღაჯვაზედ. ეხლა ვეჩქარები და მერე ბევრ, ბევრ რაღაცეებს აქაურს მოგწერ და გასიამოვნებ.

ვინძლო, ჩემო კარგო დაო ანიკო, არ დამივიწყო, ხომ იცით ჩემი ყოველი მონათესავე რა რი[გათ] მიყვარს და თქვენც ნუ დამაგდებთ უკმაყოფილოთ. ყველამ მიგულეთ, როგორც უერთგულესი თქვენი პატივისმცემელი და ბედნიერების მსურველი

ილიკო ჭავჭავაძე.

ვინც ლამაზი ქალი ნახო, უცნობი თუ ნაცნობი, მომიკითხე, და ნენეს ბუჭულები, კატოდამ მოყოლებული, ჩამიკოცნე იმ თვენჯერ რომ კავები დაგაგლიჯონ გაჯავრებით.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ბიბლიოთეკა 204861970 LIBRARY

წერილი გაბრიელ სულხანიშვილისადმი

6 *

[1859 წ.]

...ამას წინეთ, მგონი, შენი სტატიები იყო ცისკარში და ჰოლაყბედ აცხადებდი შენ თავს. შენ იყავ თუ სხვა, პირფერობით არ ვიტყვი, კარგი რამ იყო. რაც კი შეეხება ენას, სწორედ ფენომენი იყო ჩვენს გორიზონტზედ; ჰაზრითაც არ იყო დასაწუნი. დასაწუნი მეთქი? დასაწუნი კი არა, ძლიერ მოსაწონიც იყო. რა მახვალათ დაეცა მოლაყბე ქართველობას, რა კარგად დაიწყო ქართველის უბედურებაზე დაცინება და რა ლამაზ ქართულ ჯარაზე დართული სიტყვებით ტიტინებდა! რა სიხარბით ვკითხულობდით მარტივ სიტყვასა და კარგის გულიდამ გამოსულს! უნდა გენახა, რა სიჩქარით გადადიოდა ხელიდან ხელში ის ბედნიერი ცისკრის ნომრები, სადაც მოლაყბეს ფურცლები ბრწყინავდნენ სხვათა შორის?...

---

* შენახულა ნაწყვეტი, აკლია თავი და ბოლო.

წერილები მაკრინე ჭავჭავაძე-ერისთავისადმი

7

1860 წელსა 14 მაისის დღესა.

საყვარელო მ ა მ ი დ ა ვ!

თქვენი წიგნი მომივიდა ფულით და როგორც სჩანს მაშინ არა გცოდნიათ ჩემი უბედურობა. მამიდაჯან! რა დაუშავეთ ეგრეთი ღმერთსა, რომ ეგრე უწყალოთ და შეუბრალებლათ გვიწამლავს ღღეებს ამთვენ ტანჯვით. ჩემი პატარა თემურა სულდა არის, მამიდაჯან! დავკარგე საუკუნოთ პირველი და უკანასკნელი ძმა, მერე რა ძმა?!.. ვეღარა გნახავთ ის საწყალი და უბედური; ნეტავი თავის ქვეყანაში, გარშემორტყმული ნათესავებით მაინც მიცვალებულიყო. ვაიმე, ჩემო პატარა ძმაო, ჩემო კარგო და ჭკვიანო თემურა. რაზედ გამაობლე და დამაგდე, შენ წახვედი, მოგვშორდი და შენ მაგიერ დაგვიგდე ნუგეშათ ცრემლი და წუხილი.

მაგრამ რაღას უშველით, მამიდაჯან! ღვთის ნება და ღვთის რისხვა აღსრულდა ჩვენზედ! რა ვქნათ? რაც გამოვზდილვარ, ესეც სიკვდილი მესმის გარეშემოდამ, სიკვდილის მეტი ბედი არ დაგვყოლია ჩვენ, მადლობა ღმერთს ამგვარ ბედისათვის, ნუ იწუხებთ მამიდაჯან, ამ ცხოვრების ღელვისაგან ბევრი მოგითმენიათ და ესეც მოითმინეთ.

მე ვერა ვარ კარგად, ჩემი სიმრთელეც ძალიან დაშლილია, თუ ღმერთმა ბოლო არ მამიღო, კულავ ამ დროს დავბრუნდები შინ კურს გათავებული. მაგრამ მარტო მე მოვალ შინ, მამიდაჯან, და თქვენი პატარა თემურა საუკუნოთ დარჩება აქ.

თქვენი უბედური ილია.

[წერილს თავზე მიწერილი აქვს:]

ვაიმე საწყალო თემურ! აღარ გაიხარებენ შენ ბედნიერობაზედ არც ძმა შენი უბედური, ვეღარც მამიდა და ვეღარც დები შენი. სად წახვედ, ჩემო საყვარელო ძმავ! შემომხედე მე და შემიბრალე, რომ უშენოთ ასე ვიტანჯები.

თქვენი უბედური ილია.

8

[ჟთარიღო]

საყვარელო მამიდაჯან!

რაც გებოძებინათ, დიდის მადლობით და სიამოვნებით მივიღე, მაგრამ თქვენმა მხიარულმა წიგნმა და კარგს ქეიფზედ ყოფნამ, როგორც წიგნიდამა ჰსჩანს, ჩემი სიხარული და სიამოვნება ჩვეულებრივ წრეს გადააცილა. ღმერთმა ყოველთვის მშვიდობით, ბედნიერად და სიამოვნებით გაცხოვროთ, ჩვენდა სასიქადულოდ და სანუგეშოდ. მაგრამ, მამიდაჯან, არ ვიცი, უთქვენობა, რომ მე თქვენ არ გახლავარ, რად მაწუხებს ეგრე? ღმერთი მოწამეა, რუსეთში ვყოფილვარ უფრო პატარა, რამოდენა ხანია ესე გარედ ვეთრევი, რომ თრევით დავიღალე და როგორც დაღალული მგზავრი ველი როდის მომცემს ბედინებას, რომ ჩემი თავი ჩემს ქოხს შევაფარო, — ესე ამოვენი ხანია გარეთა ვარ უთქვენოდ, მაგრამ ისე, როგორც ეხლა თქვენი ნახვა მე მინდა, ჩემს დღეში არ მომდომია. არ ვიცი, ეს რისგან არის? იმისგან თუ, რომ ეხლა ბედმა ცოტად მაინც გამიღიმა, ცოლიც კარგი მყავს, ლუკმა პურსაც ჩემი ცოდ-

ვილობით ვშოვობ და მაქვს, იქნება ამისაგან მინდა, რომ ამ ყოფაში თქვენა მნახოთ მხიარული, ბედნიერი და თქვენც ჩვენის ამ ყოფით ისიამოვნოთ. მე თქვენთან ყოფნა რომ მინდა, იმისთვის მამიდაჯან, რომ ბოლოს, ვინც თქვენ პატარაობაში დიდის მზრუნველობით გამოზარდეთ, ახლა იმან თქვენის ათასნაირი შრომისათვის ხელის გულზედ ერბო-კვერცხი იწვას და ისე გაცხოვროთ. სიკეთე, მამიდაჯან, დაუვიწყარია და რაც თქვენ ჩვენთვის სიკეთე გიქნიათ, ეგ უფრო განსაკუთრებით უკვდავი არის ჩემთვის. მე რომ მინდა მაინდ გადმოსვლა, იმიტომ უფრო, მამიდაჯან, რომ თქვენ თან გახლდე და ჩემი დღენი თქვენს პატივისცემაში, სიამოვნებაში დავლიო, ღვთის წინაშე მოგახსენებ მართალსა. ეხლა რაკი ცოტაოდენი სამსახურისაგან ღონისძიება მომეცა, შინ რომ ვიქნები, ეგ სულ პენსიასავით გახდება, და ორასი თუმანი ჩემს სახლში რომ მქონდეს და თქვენც იქა ბრძანდებოდეთ, ღმერთს ვფიცავ, ცივს ნიავსაც არ მოგადენთ. ესე, ჩემო მამიდაჯან!

რაც სასყიდლები გებრძანებინათ, ყველა მზად გახლდება, რაკი მე თითონ ქალაქში ჩავალ. მე ეხლა ავად გახლდი ხელმეორედ და ძალიან მძიმეთაც, დათიკომ კიდევ ქვეშაგებში მომასწრო, ეს ორი დღეა რაც ავდექი და მაინც წამალში ვარ და საშინლად სუსტადაც ყველაფრით, ასე იფიქრეთ, თუ დიდხანს ან ვიკითხე, ანა ვჰსწერე, თვალთაც მიბნელდება სისუსტისაგან.

ფულს გამოვიტან, მამიდაჯან, მაგრამ ლიზამა მთხოვა და იმას ვაძლევ სრულიად, ასე რომ იქიდამ ჩვენ არა გვერგება რა. ეხლა სახლებს ვაკეთებ ქალაქში, ორას ოცი თუმანი მეტი მიჯდება. არ ვიცი როგორ გავუძღვე, მაგრამ თუკი გავაკეთე, წელიწადში ას ოცდაათს თუმანს შემომიტანს და იმის ქირას ვაპირობ ზოგს ვალებში, ზოგს კიდევ ლიზომ თვე და თვე ჯამაგირსავით აიღოს. მაშინ, მამიდაჯან, ჩვენი საქმე გაჩარხდება. ეხლა ამ ვალებისაგან ილაჯი აღარ არის, თუმცა პრიკაზიდამ რომ ფული ავიღე, ექვსას ორმოცი თუმანი მოვიშორე, მაგრამ ასიოდ თუმანი კიდევ დამრჩა და თვეში ათ თუმნობით, რვა თუმნობით სულ ვალებში მიდის, თორემ ესე კუტრად არ ვიქ-

ნებოდით. ეხლა კიდევ ამ სახლის კეთებაში ჩავები და არ ვიცი როგორის ჯიბით გამოვალ. ხარჯი დიდი მაქვს, საწყალ ლიზოს, ისე არ ჩავალ ქალაქში, ორი თუმანი, ხუთმეტი მანეთი არ მივჰსცე. ამას წინეთ ხუთის თუმნის რაღაცეები უყიდე, თუმცა ჯავრობდა, შენ რა გაქვს, რომ მე მაძლევო, მაგრამ მეტი რა ჩარა იყო. ძალიან კაი ქალია, მამიდაჯან! ეგეც თქვენი ბეჭედია. ესეა ასე სოფელი, მამიდაჯან!

თქვენი უმორჩილესი და მარადის ღრმად
პატივისმცემელი შვილი ილია ჭავჭავაძე

წერილი ილია წინამძღვრიშვილისადმი

9

[1861 წ., თებერვალი — მარტი]

საყვარელო ძმაო და მეგობარო ი ლ ი კ ო!

ეი ამ სტატიასა გიგზავნი, ჩემი საკუთარია, თუმც სხვა გვარი აწერია; მე არ მინდა გამოვაჩინო, რომ ეს ჩემი დაწერილია მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა. შენც ძალიან შეგეხვეწები, რომ არ გამოაშკარაო არავისთან, ხელაღებით არავისთან; იმისთვისაც არ მინდა. რომ შენ მიუტანო კერესელიძეს ეს სტატია, რადგანაც ის მიხვდება, რომ შენ ჩემის მეტი არავინ გიგზავნის სტატიებსა. ისე უნდა მოიქცე, რომ თითონ რედაქტორს და ცენზორსაც არ შეატყობინო; კანონით იმათ უთუოდ უნდა იცოდნენ, მაგრამ შენ, როგორც იყოს, სხვის მხრით დააჯერე ისინი, რო მართლა და აზნაური ზუმბერიძე მართალი გვარია და არა მოგონილი.

ამას გარდა, თუ ვინიცობაა კერესელიძემ არ დაბეჭდოს, უთხარ როგორმე, რომ ეს ზუმბერიძე რომელიმე რუსის ჟურნალში ან გაზეთში გიჩივლებს თქო ქართველებთან და გაგირჩევს შენ საკუთარ ლექსებსა თქო. ვიცი, კერესელიძეს თავად რ[ევაზ] შ[ალვას-ძე] ერისთავისა ეშინიან და იქნება იმისთვის

არ დაბეჭდოს. ეს სტატია ჩიკვაიძეს მიხაკოს უნდა მიუტანო, აქამდის ის ქალაქში იქნება მოსული. ესე, შენი ჭირიმე და შენი კუჭისა, როგორც გეუბნები ისე მოიქეც, ჩიკვაიძესთვის შე აქ ყველაფერი მითქომს, იმან თითონ იცის, როგორც მიუტანოს კერესელიძეს.

შენი ძმა და მეგობარი ილიკო ჭავჭავაძე.

[ბოლოში მიწერილია:]

ეს ლექსები კი შენ მიუტანე კერესელიძეს. ერთი წიგნი მომწერე ჩემი აჩრდილი და ხაჯი-აბრეკი რა ყოფაში არიან.

[წერილის თავზე მიწერილია:]

ვანო პოლტარაცკი მომიკითხე და უთხარი რა დაუშავე, რომ წიგნს არა მწერს?

წერილები კირილე ლორთქიფანიძისადმი

10

1864. 24 აგვისტო, ქუთაისი.

დიდი სიხარულით წავიკითხე შენი წიგნი ჩემთან მოწერილი. ღმერთმა ხელი მოგიმართოს ყოველს მაგისთანას საქმეში, რომელიც ყველასათვის ერთნაირად სასიამოვნოა. მეც ჩემის ჴრით მადლობას გეუბნები, რომ მაგისთანა კეთილ საქმეში ჩემი ხელიც გაურიე: საკვლაოდაც თუ ჩემი დახმარება რაშიმე ივარგებს და დაგჭირდება, გთხოვ, ყოველთვის და ყველგან მიგულვო სულით და გულით გამზადებული.

რაც გითხოვნია, მათთა შორის, რაც უპირატესია, აღგისრულებ, ე. ი. ლექსებს, თუ ივარგებს, ოცდა ცხრას ამ თვეს მოგართმევ. ძალიანა ვწუხვარ, რომ ადრე არ შემატყობინე, იქნება ახალი რამ მომემზადებინა. მაქვს კი ძველი იმისთანა ლექსები, რომელიც ჯერ არ დაბეჭდილა, მათგანს ყველას გამოგიგზავნი. ამას კი გთხოვ: არც ერთს ლექს[ს] ჩემი სახელი არ მიაწერო: ნეტაი ლექსმა ივარგოს, თორემ სახელი რა საჭიროა, თუ ძალიან და ძალიან გინდა, რომ მაგ წიგნში ჩემი სახელიც იყოს, შეგიძლიან თავში საზოგადოდ მოიხსენიო, რომ სხვათა შორის ამ წიგნში ჭავჭავაძის ლექსებიც არის-თქო, და რომელი ლექსია ჭავჭავაძისა თვითვეულად და სახელდობრ, ნუ მოიხსენიებ. ამისთვის მე პატივსადები საბუთი მაქვს.

ფულისას იწერება. ნეტაი, ჩემო ძმაო, იმოდენა ფული აიღო, რომ შენი შრომის და წიგნის ხარჯი გამოგვიდეს, და სხვაზედ ნურას ნაღვლობ. თუნდ რომ ბევრი ფულიც დაგრჩეს, მაინც მე წინადვე ვარი მაყვედა: შენ თითონ მოიხმარე — ეგ უკეთესი იქნება, ან სხვას მოახმარე, იმისთანას, რომელიც გაჭირვებულია. მანდ ჩვენი ამხანაგები ბევრნი იმისთანანი არიან, რომელთაც დღიური ლუკმაც უჭირსთ, პირველი ჩვენი შრომის შემოსავალი იმათი კუთვნილია, იმათ გადაეცი: ჩვენი ლექსები, დამიჯერე, უკეთესს ვერას იზამენ. არ ვიცი სხვა რას ფიქრობს და ჩემთვის კი ისიც სამყოფია, რომ ჩემმა ლექსმა სხვათა შორის ისიც შეიძლოს, რომ ერთს ჩვენთაგანს უფრო გაჭირვებულს ერთ თვეს მაინც მუცელი გაუძღოს. ამას გევედრები, რომ ამისთანა რამ ჩემის სახელით არ იყოს. ეს წიგნიც რომ დახიო, ურიგო არ იქნება.

მაგ შენგან დაპირებულის ლექსების წიგნის სახელი არ მომწონს: ჰსჯობს „ქართული ლექსების კონა“ დაარქვა. „კრება“ სხვა რიგად ესმის ქართველსა და რუსულიდამ თარგმნულსა ჰგავს. სხვაფრივ მსურს ბედნიერად შესრულება მაგ საქმისა.

შენი ილიკო ჭავჭავაძე.

11

[1864 წ.]

აი რის გამოგზანა ეხლა შევიძელი. „ქართვლის დედას“ არ გიგზავნი, მიტომ, რომ ვერას გზით ვერ გავასწორე, გაუსწორებლად კი ვერ გამოგიგზავნე, იმიტომ რომ შიგდაშიგ უფრო რიტორიკაა, ვიდრე სხვა რამე. „რამდენიმე სურათი“ ანუ „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ ჰე თუმცა დასრულებული მაქვს, მაგრამ არ გიგზავნი, რადგანაც ვიცი, რომ არ დაბეჭდავენ. თუნდ მანდ როგორმე მოახერხო და ნების დართვა აიღო, აჭ მთელ წიგნს აგიკრძალავენ, ეს მე ნამდვილად ვიცი. მეც ბევრი ვეცადე აქაურ ცენზურის კომიტეტში, მაგრამ ძალიან ამიკრძალეს. დასაწყისი მაგისი, რაოდენიც „საქართველოს მოამბე-

შია“, თუ გნებავს, დაბეჭდე. სხვა ახალი ლექსი, პატიოსან სიტყვას გაძლევ, სრულიად არა მაქვს, მაქვს უწინდელი ზოგიერთი სატრფიალო ლექსები ჯერ დაუბეჭდავი, ვიცი შენ არ გამოგადგება და ამიტომ არ გიგზავნი.

12

1868 წ. 19 დეკემბერი. დუშეთი.

ძმაო კირილე! მოგეწერა, რომ „კაცია ადამიანის“ დაბეჭდვა მოვიწადინეთო და ნების დართვა მთხოვე. მაგას რაღა თხოვნა უნდოდა: მომიცია სრული ნება დაბეჭდვისა და თუ ძალიან გსურთ, ჩემი სახელიც ჩაურთეთ ჯიმშერიძის მაგიერად. წინასიტყვაობისა უნდა მოგახსენო, რომ მე იგი ცალკეთ არ დამიწერია. მართალია, როცა ეგ მოთხრობა გავათავე, მინდოდა ცალკე წინასიტყვაობაც დამეჯღაბნა, მაგრამ როცა გადავიკითხე, გამოჩნდა, რომ რაც წინასიტყვაობაში მინდოდა მეთქვა, სულ ყოველისფერი შიგ მოთხრობას [აჩნდა] ჩემდაუნებურად. მგონი ყურადღებით წაკითხვა ამას შენც დაგარწმუნებს.

პატივცემა ყველას ჩემგანს ჩემმიერ.
შენი ილიკო ჭავჭავაძე.

13

ძმაო კირილე! გიგზავნი ბარათაშვილის წიგნებს. შენ იცი და შენმა რიგიანობამ, როგორც კარგად შეუშლელად და შეუმცდარად დაჰბეჭდავ. მართლწერა და ნიშნების ხმარება სრულად და შეუმცდარად დედანისა არის და აგრეთვე უნდა დაიბეჭდოს. საკვირველია, რომ ჩვენგან გაკიცხულს ასოებს არც ნიკ. ბარათაშვილი ხმარობს მაგრე რიგად. ჰსჩანს მაგ ასოებს არც ის ეწყობოდა. შესანიშნავია. გთხოვ მაგ წიგნებს ამისთანა შენიშვნა გაუკეთო:

„ეს ოთხი წიგნი, ნიკ. ბარათაშვილისაგან ერთ და იგივე პირთან მიწერილი, გადმოგვცა ჩვენ ერთმა პატივცემულმა პირმა, ქართულის ენისა და მწერლობის მოყვარემა. ვისაც ესმის— რაგვარი მნიშვნელობა აქვსთ ამგვართა წერილთა ლიტერატურის ისტორიისათვის და თვით მწერლის მიმართულებისა და თვისების ახსნისათვის, — იგი ჩვენთან ერთად გულითად მადლობას მოახსენებს მაგა წიგნების პატივცემულს გარდმომცემელსა“.

ამ გვარი კმევა საჭიროა, ჩემო კირილე! ტყუილად კი არ არის ნათქვამი: Мир управляется слабостями людскими.

დღეს მივყავ ხელი გლახის ნაამბობის გაგრძელებას. ღვთით, რომელიც შენ არ გწამს, დასრულდება. გლახის ნაამბობის კორექტურა უკანასკნელი მე უნდა გავშინჯო. ყმაწვილებს მოკითხვა უთხარი.

9 დეკემბერი [1872 წ.]

14

[1873 წ., 23 იანვარი]

კ ი რ ი ლ ე! რომელიც ასო მეტი და ამოსაშლელია, ამ ნიშნით ვნიშნავ [8. ლექსებს პირველის ნომრისათვის ხუთშაბადს 25 იანვარს გამოგიგზავნი, ბარათაშვილის ლექსსაცა.

შენი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

15

კ ი რ ი ლ ე ! მაპატივე, რომ რაც დაგპირდი, ვერ შეგისრულე: ვერ მოვიცალე. ხვალ დილაზე ლექსებს გამოგიგზავნი. გლახის ნაამბობი შესრულებულია.

29 იანვარი [1873 წ.]

შენი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

16

ძმაო კირილე! გიგზავნი გლეხურ სიმღერებს. ოცდაათზე მეტია. გამოიზოგე. სხვა ლექსებს ვეღარ გიგზავნი მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა. ჯერ ეს იმყოფე, კაი სიმღერებია.

გლახის ნაამბობი დავასრულე და თებერვლის ათამდინ გამოგიგზავნი, რაც დაბეჭდილია, იმაზედ, თუ არ მეტი, ნაკლები არ გამოვა. დიდი ხანია ეგ ნაამბობი გულში მედო და ძლივს მოვიშორე. არ ვიცი, როგორ მოგეწონებათ. ზოგიერთი ადგილები მაინც, მგონი ვარგი უნდა იყოს. მაგრამ რაც არის, ღმერთმა მიჰსცეს, მე ხომ თავიდან მოვიშორე და!

ჩემი საქმე მეტად ცუდად მოდის: ნიკო ჭავჭავაძემ ბანკის თაობისა გამო მიმტრო. მაგას გაუძლებ, ცუდ-კაცობა იმას შერჩება და მე ისევ ის ვიქნები, რაც ვარ. ვაი რა დუდგულის თოფებს ისვრიან ისინი, ვინც მე ბანკის თაობაზე გადავიმტერე! შურის-ძიებაზედ მე შორსა ვარ, მე მარტო მეცინება იმათ უილაჯობის საქციელზედ.

ნიკოლაძეს მიულოცე ჩემ მაგიერ საქმის მოგება.

ბარათაშვილის წიგნები, როგორც არის, ისე დააბეჭდინე.

29 იანვარი [1873 წ.]

შენი ილია ჭავჭავაძე.

17

[1873 წ.]

ძმაო კირილე! გიგზავნი ჩემს გლახის ნაამბობს. ჯერ ვიდრე დაჰბეჭდდე, შენებურად გადიკითხე და შენი პირ-მოუფერებელი აზრი მაცნობე. რაკი არ მომეშვი, აი „ტრფიალების“ ლექსს ჩემსას გიგზავნი და ერთს ნ. ბარათაშვილისას, თუ ჭკვაში მოგივიდეს, დაბეჭდე. ხანდისხან ამისთანა ლექსებიც ჰსდომებია ამ უდარდელს და ცრუდ-მოტრფიალეს ქვეყანას.

P. S. ეს ლექსი, როგორც დედანშია, ისე აქ არის გადმოწერილი. შენი ჭირიმე, კირილე, ჩემი გლახის ნაამბობის ფურც-

ლები არ დამიკარგო, მაგის მეტი არც თეთრი მაქვს და აღარც შავი. მესხს უთხარი, რომ შენი წიგნი დღეს მივიღე-თქო. მე თუ თავი როგორმე დავაღწიე, იქნება ჩვიდმეტს ამ თვეს ჩამოვიდე ქალაქში და მაშინ მოვილაპარაკოთ-თქო. იმ დრომდე არას გზით მანდ ჩამოსვლა არ შემიძლიან.

თუ ეს ლექსები არ მოგეწონოს, უმიკოვს ჩემი „აჩრდილი“ აქვს, ახლად გადაკეთებული, იქიდან VII, VIII და IX მუხლი დაბეჭდე იმ სათაურით, როგორც ადრე იყო დაბეჭდილი კრებულში.

რედაქციას ჩემი სტატია „ზოგიერთი რამ“ უნდა ჰქონდეს. მაცნობე, ჰბეჭდავთ მაგ სტატიას თუ არა. ოღონდ ეგ დაიბეჭდოს და შეიძლება ცენზორს ბევრი დაუთმოთ. ჩემ გლახის ნაამბობზე შენი აზრი მალე მაცნობე.

შენი ილია ჭავჭავაძე.

18

ძმაო კირილე! 29 გვერდზე ქვევიდან 3, 4, 5, და 6 ტრიქონებში, სადაც არეულობაა. ჩემს ნაწერთან გასინჯე და ისე გაასწორე.

შენი ჭირიმე, კირილე! თუ ივანოვის ბიბლიოთეკაში იყოს ეს წიგნი უსათუოდ გამომიგზავნე: Философия и наука. Очерки из современных Европейских писателей. Издание Вольфа.

თუ არ გქონდეს, მაღაზიებში იკითხე, მიყიდე და გამომიგზავნე. ფულს მოგართმევ დიდის მადლობით. მალე კი უნდა გამომიგზავნო და მაცნობო ამ თხოვნის პასუხი.

14 მარტსა [1873 წ.]

შენი ილია ჭავჭავაძე.

ესეც გამომიგზავნე, თუ ივანოვსა აქვს: Всеобщее землеописание (география), для чтения и справок. По плану [...] и т. д.

19

ჩემის ფიქრით რომ გადიდოს საშაბათოდ კარგი იქნება, მაგრამ ცუდი არ იქნება რომ სხვებსაც დაეკითხო. მე „ქართლის ბედსა“ (1-ლი კარი) ვკითხულობ, მხოლოდ „გამოსალმების“ მაგიერ „იარალისადმი“-ს წავიკითხავ. წიგნებს, „ჩონგურის“ გარდა, ყველას გიგზავნი.

შენი ილია ჭავჭავაძე.

14. 4. [18]75[წ.]

20

კირილე! მე დღეს ცოტა შეუძლოდა ვარ და ბანკში ვერ მოვალ. თუ საჭირო ვიყო, მაცნობეთ და მაშინვე გამოვცხადდები.

შენი ილია ჭავჭავაძე.

22 ივლისი [წელი აღნიშნული არაა].

VIII

ბარათი ლევან ჯანდიერისადმი

21

[1865 — 1868 წ.]

ლ ე ვ ა ნ, ერთი შემატყობინე, დიღომში რით გაათავეთ საქმე.

შენი ილია ჭავჭავაძე.

IX

წერილი პეტრე ნაკაშიძისადმი

22

[1871 წ., 19 მარტი]

პ ე ტ რ ე! გიგზავნი ხელახლად გადაკეთებულს შენდამი ნაძღვნევს ჩემს „ქართვლის დედას“. თუ მოგეწონოს, მიეცი ნიკოლაძეს დასაბეჭდათ. გთხოვ შენი პირმოურიდებელი აზრი მაცნობო ამ პატარა თხზულებაზედა. კარგად კი წაიკითხე. მე ყველაზედ უფრო ჯარის სიმღერა მომწონს, გლეხურ კილოზედ მოწყობილია. თუ მოგეწონოს დასაბეჭდათ, შენთან მოწერილი ძღვნობის ლექსიც დააბეჭდინე ამასთან ერთად. კორექტურა შენთვის მომინდვია.

შენი ილია ჭავჭავაძე.

XI

წერილები დავით ერისთავისადმი

23

დ ა თ ი კ ო! გიგზავნი გამოცანებს. რომ წაიკითხავ და დააკვირდები, მგონია, მიხვდე, ვინც არიან აწერილნი. საქმე იმაშია, რომ არავინ—არც შენმა მახლობელმა და არც ჩემმა—არ უნდა იცოდეს, ვისგან არის დაწერილი და ხალხში გავრცელებული. შენ იცი, როგორც შეინახავ ჩემს სახელს საიდუმლოდ. დაბეჭდვა მაგ ლექსისა არ იქნება, — ეგ ისე უნდა გავრცელდეს ქალაქში. მაგ გავრცელებაშიაც ძალიან ფრთხილად უნდა მოიქცე, თორემ, ჩვენდა სამტროდ, „ისინი“ ყოველსფერს სიმურტლეს იკადრებენ და მაშინ ჩიტი პრტყვნად აღარ ეღირება.

გამომიცხადებია, რომ შენს მეტს მანდ ქალაქში არავის ვაწდე ეგ ჩემი ლექსი. შენ იცი, როგორც უპატრონებ.

ამას წინათ ვახტანგ თულაევის წიგნი მამივიდა, რომლითაც იგი მთხოვს მონაწილეობა მივიღო სალიტერატურო საღამოშია. ასეთი ზრდილობიანი წიგნია, რომ გიგზავნი წასაკითხად. თვალი ადევნე იმ აზრებს და სიტყვებს, რომელთ ქვეშაც ჩემგან ბაზები აქვს გასმული. თავის თავმოყვარეობის მყრალს გუბეში ისეთნაირად ჩაფლულია, რომ თავის თავს ნება მიჰსცა ამის მოწერისა: Отлично знал и знаю, что тебя очень легко подбить на все хорошее и благородное. Главное: Вахтанг Тулаев подбивает меня на все хорошее и благородное!.. როგორ

მოგწონს? თავი დავანებოთ მაგ ვახტანგ თულაშვილს, შენ ამასა გთხოვ, რომ დაწვრილებით მომწერო: 1) ვინ არიან მკითხველნი; 2) შენც ურევიხარ, თუ არა; 3) შინაურული მოწყობილობა ექნება იმ საღამოს, თუ საგარეო. ამის პასუხი ძალიან მალე მაცნობე.

შენი ილია ჭავჭავაძე

11 დეკემბერი [1871 წ.]

P. S. ვახტანგის წიგნი უკანვე დამიბრუნე.

24

[1872 წ., ივლისი]

ძმაო დათიკო! შენი წიგნი თარგმანითურთ მივიღე. ზოგიერთი ხანა ძალიან კარგად არის ნათარგმნი, მაგალითებრ: 1) პირველი ოთხი სტრიქონი IV გამოცანისა, 2) პირველი რვა სტრიქონი VI-სა, 3) მერვე გამოცანა უკანასკნელ სტრიქონს გარდა მშვენივრად არის ნათარგმნი, 4) პირველი ოთხი სტრიქონი III-სა და 5) პირველი რვა სტრიქონი V-სა. მიკვირს, მე-VII გამოცანა რატომ აღარ გადაგიღია? მე შევიტყე, რომ პასუხი, პასუხის პასუხი და სხვანი გადაგიღია, თუ გიყვარდე, გამომიგზავნე, ან გადმოდი და თან წამომიღე. მე ოცდაორის ივლისიდამ ოცდაექვსამდე შინ ვიქნები. თუ ღმერთი გწყალს (რა კაცს გიხსენებ ღმერთსა!...), გადმოდი, ერთი მასლაათით სული მოვიბრუნოთ.

მე არაფერს არა ვწერ, ამ „აჩრდილმა" ტყავი გამაძრო, ისტორიულს ნაწილზედ გაქირ ვირსავით შევდეგ და ერთი ბიჯი წინ ვეღარ წავდგი. არ ვიცი, რა ვქნა? ვამბობ ამ „აჩრდილს" თავი დავანებო მეთქი, ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსადა ჩანს, მე კი ასეთის აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეების და ომების სახე არ მიმიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს. ვწუხვარ და ვდრტვინავ და განკითხვა არსაით არი. ერთი გადმოდი, ლაზათიანი მასლაათი გავწიოთ.

უკაცურობამ ლამის მამიდნოს, მართალია ლესსინგი: მწერალმა საზოგადოობაში უნდა იცხოვროსო. თუ არ ცხოვრების მორევში, საგანს სად იპ[ოვ]ნი წერისათვის. აბა ჩემი ნათარგმნიცა ნახე, ჭაშნიკად გიგზავნი.

I

Он плешив и усаст,
Руколиз и бас густой,
Хоть и карлик, а забьяка
С бестолковой головой.

Мал он ростом, но ведь важен,
Во всем прочем, остальном,
На дела родного края
Ему плюнуть нипочем.

II

Франтик он, да и пролаза,
Мал тож ростом, худощав,
Клювонос он, вечно хмурый,
Недюдим и крутонрав.

В нем истерлись ум и сердце,
Праздно дремлет в мире сем,
И ему не дело края
Плюнуть также нипочем.

ჩემმა კნეინამ მოგიკითხა.

შენი ილია ჭავჭავაძე.

25

[უთარიღო].

თუ კოტე ყიფიანი როგორმე ნახოთ, უთხარით, დღეს ჩემთან მოვიდეს, ორის ნახევრამდე ბანკში ვიქნები და მას შემდეგ შინ რვა საათამდე. მადლობელი ვარ, ხომ იცით რისთვის?

წერილები პეტრე უმიკაშვილისადმი

26

[1872 წ. 20 ივნისი].

პეტრუს ბეგ! შენი წიგნი მამივიდა, მაგრამ პასუხი დაგიგვიანე. მამიტევე. რაც წიგნში მოგეწერა, ყველაფერზედ ჩემი სრული თანხმობა გამომიცხადებია. ახალის რისამე გამოგზავნას მენუკვი, მაგრამ ახალი მე გათავებული, ანუ უკეთ ვჰსთქვა, შესრულებული არა მაქვს რა, რომ დასაბეჭდად ღირსი იყოს. გაგიკვირდება ჩემი ზარმაცობა, მაგრამ დამიჯერე, რომ ზარმაცობით არ მამდის. მე, სწორედ გითხრა, ცუდის აგებულების კაცი ვარ. დიდი მოსვენება და შალავათი მინდა, რომ დავწერო რამე და მინამ მე ჩინოვნიკობას თავს არ დავანებებ—ეგ მოსვენება და შალავათი ჩემთვის სიზმარია, თუ დავიწყე რამე და არაფერმა არ დამიშალა, დაწყობილს მალე შევასრულებ, და თუ დაწყობილი შემაწყვეტინა რამემ, გათავდა: მე იმ დაწყობილს ვეღარ მოვუბრუნდები. ეხლანდელი ჩემი წყეული მდგომარეობა ისეთია, რომ წერისათვის ხანგრძლივი მოცალეობა არა მაქვს და ამის გამო ასე უხეიროდ და უნაყოფოდ მიდის ჩემი ორიოდე დღის ცხოვრება. დიდად ვწუხვარ ამგვარ მდგომარეობისათვის, მაგრამ შველა არსით არი. ვფიქრობ თავი დავანებო სამსახურს, მაგრამ რით ვიცხოვრო. ვაი თუ უფრო მოცალეობა მომაკლდეს

ლუკმა პურის შოვნის დევნაშია, სამსახურს რომ თავი დავანებო. ესეა ჩემი ვითარება.

მაგრამ მაინც კიდევ ვეცდები როგორმე დავწერო რამე. წინადვე არას გპირდები, იმიტომ — რომ ბევრჯელ დაპირებული ვერ ავასრულე.

შენი ილია ჭავჭავაძე.

27

[1872 წ. 30 აგვისტო].

შენი წიგნი დღეს მივიღე და დღესვე პასუხსა გწერ. ჩემი აზრი ეს არის: კრებული უნდა არსებობდეს უსათუოდ. ვიცი ამ მდგომარეობაში, რომელშიაც ჩვენა ვართ, ძნელია მაგ კრებულს ნოყიერი საზრდო მივცეთ, რადგანაც ნიჭიერი მწერლები მაინც და მაინც არა გვყავს; იქნება მაგ კრებულის საქმე რიგიანად წასულიყო, რომ მწერლებს ჟურნალის გარდა სხვა კავშირიც ერთმანეთთან ჰქონოდათ, მაგალ. რომ ქალაქში ერთი იმისთანა სახლი მოხერხებულიყო, საცა შესაძლო ყოფილიყო მწერლებისა და სხვათა თანამგრძნობელთ ერთად თავის მოყრა თვითეულის გონების საუნჯის აღებ-მიცემობისათვის. ჩვენდა საუბედუროდ, არც ესა ხერხდება. მართალი ხარ შენ: გაფანტულობა და დაქსაქსულობა გვღუპავს ჩვენ. მაგრამ მაინც კრებული უნდა არსებობდეს, თუმცა დიდს შემწეობას მე ვერა გპირდები. მწერალს დამოუკიდებლობა უნდა, მწერალს თავისი დრო სულ მას უნდა ეკუთვნოდეს. სხვისა არ ვიცი და მე კი ესეთის აგებულებისა ვარ.

მწერ, მოახერხე როგორმეო, უეჭველად ქალაქში გადმოხვიდეო. ეგ ჩემი გადმოსვლა ადვილია, თუ ვაკანსია გაიხსნება, დაპირებულებიც არიან. მაგრამ ჩემს დამოუკიდებლობას ეგ რას უშველის, თუ კიდევ სამსახურში ვიქნები. მე უნდა სამსახურ გარედ ვიყო. სამსახურის თავის დანებება ჩემთვის ამ ჟამად დიდი არაფერია, და თუ სამსახურიდამ გამოვალ, მარტო იმისათვის, რომ ჟურნალი გამოვჰსცე· ვფიქრობ, ვფიქრობ და ეგ გა-

მოცემა ვერ მომიხერხებია. აი სრულიადი დაბრკოლება ჩემი, რომელიც ხელსა და ფეხს მიკრავს. თუ ორიოდ და სამიოდ რიგიანს (სად არიან?) მწერალზედ იმედი მექნება, ანუ უკეთ, მომეცემა, მაშინვე დავკრავ ფეხს, გადავვარდები ბახტრიონ გალავანზედა.

იერემიას გოდება როგორღაც თავში ვერ მომდის და ამისათვის არ გაგილექსე; სწორედ გითხრა, იმიტომ არ მამივიდა, რომ არ მესმის, თუმცა დიდის ყურადღებით წავიკითხე. საძაგლად არის თარგმნილი ჩვენს დაბადებაში, თუმცა ალაგალაგ კარგია.

კორესპონდენტად, ანუ უკეთ, კომმისსიონერად წიგნების გასასყიდად, დუშეთში გიშოვნე სანდო კაცი: ზურაბ სვიმონისძე მორთულაძე. ეს მოგიხერხებს წიგნების გაყიდვასა.

მომავლის ნომრისათვის ჩემი აჩრდილის დაბეჭდეთ პირველი სამი ხანა. მეტი არა მაქვს რა.

მუხრანსკის ბროშურა წავიკითხე. აი ჩემი პასუხი: Лишь право сильного раб свято почитает.

მაგ ბროშურის პასუხად აი რა დავწერე და გთხოვ დროებაში დააბეჭდინო, ჩემს გვარს ნუ მიაწერ.

რჩევა

თუ გინდა, ძმაო, იგემო
ამა ქვეყნისა შვებანი,...
(ლექსის ტექსტი გრძელდება შემდეგს ფურცელზე.)

[არშიაზე]:

როგორ არა გრცხვენიან, რომ რაც ქართული წიგნები გამოდის, არ მიგზავნი? აი ქალებს რომ უთარგმნიათ, გამომიგზავნე. ფული არ დაგეკარგება.

28

[1873 წ., პეტერბურგი]

ჩვენო დედა-ბოძო... პეტრუს-ბეგ!

ჩვენი ნათარგმნი ლირი აქამომდე მიღებული გექმნება და გადაკითხულიცა. მაშინ მოგწერეთ, რომ დააბეჭდინე მეთქი

კრებულში. ეხლა ორს შეუცვლელს პირობას გიდებ: 1) ისე უნდა დაბეჭდონ, რომ ლექსი არ გატეხონ, ესე იგი, მთელი სტრიქონი ერთს სტრიქონზედ უნდა დაჰსტიონ და 2) რომ ეგ პირველი მოქმედება ერთს ნომერში სრულად, ხელუხლებლად დაბეჭდონ და კორექტურა კი შენს გაფაციცებულს თვალს მიანდონ.

ცუდი არ იქნება, რომ მაგ თარგმანზედ შენი ჩვეულებრივი პირუთვნელი აზრი მოიწერო ამ ადრესით. Студенту СПБ университета Ивану Георгиевичу Мачабели, с передачею Илье Чавчавадзе.

სანდრო ერისთავი ამ წიგნის მიღებისავე უმალ ნახე და უთხარი, რომ დამღუპავს თუ, რაც დამპირდა, არ აღასრულა.

შენი ილია ჭავჭავაძე.

P. S. თუ ეგ ნათარგმნი მოგეწონა, მაშ იმასაც ვახარებ, რომ მეორე მოქმედებაც დღეს გავათავეთ და პირველს მოქმედებას სიკეკლუცით არ ჩამოუვარდება.

•

29

[14 ენკენისთვე, 1885 წ.] [1].

ძმაო პეტრე, ჩემო კარგო მეგობარო! დღეს წასვლა ვეღარ მომიხდა. ხვალ, ესე იგი, შაბათს, დილის პოეზდით წავიდეთ. თუ გიყვარდე, ხვალ დილის პოეზდისათვის ვაგზალში დამხვდი. თუ არ მოხვალ, არც მე და არც შენ. თუ გინდა დღესვე შეგიძლიან წასვლა. მცხეთაში ცხენები დაგხვდება, ჩემს კნეინას ძალიან იამება შენი მისვლა. სახვალიოდ მე მცხეთას ცხენებს გამომიგზავნით.

30

ძმაო პეტრე! ჩემდა საოცრად მე შევიტყე, რომ შენ რაღაცაზე ხარ ჩემზე გაჯავრებული, და ეს მით უფრო შესაწუხებელია ჩემთვის, რომ ვერ მომისაზრებია, რა უნდა იყოს ამისი მიზეზი. შენგან მიკვირს, რომ თუ რამ მიზეზი გაქვს, აქამომდე პირდაპირ არ მითხარი. ამას ჰთხოულობს ჩვენი დიდი ხნის ზეგობრობა. თუ გიყვარდე და ჩემი მცირეოდენი პატივისცემა კიდევ შეგრჩენია, ამაღამ ჩემთან მოდი გასახსნილებლად. აქ ყმაწვილები იქნებიან, ივერიაზე გვექნება ლაპარაკი და მინდა რომ შენც დაესწრო და შენი რჩევა გავიგონო. თუ სამუდამოდ ჩემი შემოწყრომა და ჩემზე ხელისაღება არ გინდა, გეხვეწები უარი არ მითხრა და უსათუოდ მოხვიდე.

შენი ერთგული ილია ჭავჭავაძე

31 მარტი [1890 წ., ტფილისი]

XII

წერილი სერგეი მესხისადმი

31

[1873 წ., დუშეთი]

ძმაო ს ე რ გ ო! მივიღე შენი წიგნი გ. ანდრონიკაშვილის პროექტითურთ. კაცო! აქ რა არის გასარჩევი, რომ გავარჩიო. უსტავი ჯერ დაწერილი არ არის და ამ საქმეში სხვა რა არის გასარჩევი ჩვენგან, თუ არ უსტავი. თითონ არხის გაყვანა სპეციალისტების საქმეა და ამის გამო ჩვენდა საღეჭად მარტო უსტავი შეიძლება რომ იქმნეს. ეს გ. ანდრონიკაშვილის ნაწერი ისე უქმის კაცის ვარჯიშობაა, აქ არაფერი ძირეული საფუძველი არ არის გამოცხადებული, რომ სალაპარაკოდ ღირდეს. თუ რედაქცია ძალიან მოწადინებულია, რომ ამ საგანზედ თქვას რამე, აი რა უნდა თქვას: 1) რადგანაც არხის გაყვანას დიდი თავნი მოუნდება, აქციონერობა მიუცილებელია; 2)მოთავენი უნდა იყვნენ (учредители) უსათუოდ ქართველები; 3) რომ აქციები ჩვენშივე გაისყიდოს და ამით ბლომა ქართველნი ჩაერივნენ ამ საქმეში—საჭიროა რომ აქციები იაფი ფასისა იყოს. ამას დაუმატე რამ ცხოველი და თბილი სიტყვა, რომ საქართველოში იღვიძებს-თქო გულმტკივნეულობა საზოგადო საქმეებისადმი; საქართველომ ამის დასამტკიცებლად ორი დიდი მაგალითი

მოგვცა-თქო, ერთი ბანკის დაარსება და მეორე მაგ არხის გაყვანა, რომელსაც, გარდა პირადის სარგებლობისა, საზოგადოდ მთელის მხარის სარგებლობის მოტანაც შეუძლიან-თქო და სხვა ამგვარები. ამაზედ შენ ჩემზედ კარგად დასწერ სათაურს სტატიასა. გ. ანდრონიკაშვილის პროექტზედ უნდა ითქვას, რომ მასში ბევრი რამ წინასწარ თქმულია, მაგ: მერვედის აღება, ხანგრძლიობა აქციონერთა საზოგადოების არსებობისა, ფულის გაყოფა. ჯერ უნდა შევიტყოთ, რამოდენა ხარჯი მოუნდება არხსა, რამდენს წელიწადს გაკეთდება, რამოდენა ადგილს მორწყავს და მაშინ სამართლიანად გავიგებთ, მერვედი უნდა მოგება იყოს თუ მეტ ნაკლები. ფულების გაყოფაც ადრეულია, თუმცა ანდრონიკოვს ქება უნდა ეთქვას, რადგან მაგ მოგებულის ფულის გაყოფაში მაინც კიდევ საზოგადო სარგებლობა ჰქონია სახეში. ეხლა ამის მეტი რჩევა არ უნდა საზოგადოებას, რომ ორმოცდაათ კაცამდე შეიყარონენ, მოთავობა იკისრონ და მთავრობას ჰსთხოვონ, რომ ადგილობრივად გაისინჯოს არხის წასასვლელი გზა და იგი გზა იპოვონ და დანიშნონ.

მწერ, ჩამოდიო, სალიტერატურო საღამო გავმართოთო. მეც ძალიან მინდა, მაგრამ ოფიციალურად გამოცხადება ქალაქში არ შემიძლიან, რადგანაც არ დამითხოვენ. ვწუხვარ, მაგრამ რა გაეწყობა. ეს ოხერი, ვერ დავაღწიე თავი ამ უგემურს სამსახურსა. მალე კი მოვუღებ ბოლოს.

ქიზიყელების ფულის დარიგებაზედ ვერასფერს საბუთიანს ვერ მოგწერ. მე მგონია, რომ ერთს ვისმეს იქაურს სანდო კაცს გაუგზავნო ფული, რომ იმან დაურიგოს, და ვისაც რას მიჰსცემს, ბარათი ჩამოართვას მამასახლისის ბეჭედით დამტკიცებული; ეგ ბარათები რედაქციას გამოუგზავნოს და რედაქციამ კიდევ ფულის მიმღებთა სია დაბეჭდოს საზოგადოების საცნობელად.

ბიჭო, ერთი მეწვიენით დუშეთს.

შენი ილია ჭავჭავაძე.

წერილები ნიკო ნიკოლაძისადმი

32

18 იანვარს [1873 წ.]

ძმაო ნ ი კ ო! უკანასკნელის შენი წიგნის საპასუხოდ გაუწყებ შემდეგსა: ტყუილ-უბრალოდ შეუწუხებიხართ გლახის ნაამბობის კორექტურის თაობაზედ. მე გთხოვეთ მარტო უკანასკნელი კორექტურა გამომიგზავნოთ იმ პირობით, რომ მეორე დღეს უკანვე დაგიბრუნდეთ. გლახის ნაამბობის გასწორება ფიქრად აღარა მაქვს, როგორც დაბეჭდილია ისე გადაბეჭდეთ. დეე მაგ პირმშო ძემან ჩემმან ისე იაროს ქვეყანაზედ, როგორც თავდაპირველ შობილა. ვისაც არ მოეწონოს, გზა აუქციოს.

განგრძელება მზადდება, ოთხი თავი, რომელიც უდრის 35 გვერდს საქართველოს მოამბისას, მზად არის კიდეც „კრებულის“ სამსახურისათვის. მე მგონია, რომ შესრულებისათვის ერთი ამოდენა კიდევ დამჭირდეს ასე, რომ თებერვლისა და მარტის კრებულსა თავ-საყრელად ეყოფა. ვწერ კი, მაგრამ არ ვიცი როგორი მოსაწონი გამოვა. ცუდი საქმე მიყავით, რომ ეგრე ცოტა დრო მომეცით ნაამბობის შესასრულებლად. რაც ახალი დამიწერია, მინდოდა შენთვის გამომეგზავნა, რომ შენ და კირილეს თვალი გადაგეცლოთ და მის შემდეგ თქვენი პირ-

უთვნელი აზრი ჩემთვის გეცნობებინათ. ამ განზრახვასაც თავი დავანებე. რაც იქნება, ის მოხდეს, ჩვენი პოეტისაგან ნათქვამია, ბრძენი სიფრთხილით წახდებაო, მაგრამ ღლეული ვაჟკაცი ან მოჰკლავს ან შეაკვდებაო. ქართველი კაცი ვარ და უჯერებ ჩვენს ქართველს პოეტსა. რაც მინდოდა იმას კი ვიტყვი, ჩემს გლახის ნაამბობში და კარგად ვიტყვი თუ ცუდად — ამის დარდი ბევრი არა მაქვს. დღეს ველი რევიზორს. აბა იფიქრე, რა რიგად მოუხდება რევიზორი ჩემს გლახის ნაამბობს.

ჩემი აჩრდილის პირველ ნაწილს გიგზავნი, თუ მოგეწონოთ სრულად დაბეჭდეთ. ვიცი რომ XVI ხანის უკანასკნელ ოთხ სტრიქონს ცენზორი ამოშლის. ისევ ისა ჰსჯობია ჩვენ წინადვე დავასწროთ, რომ სხვაზე მაინც არ აღელდეს.

ბარათაშვილის ოთხი წიგნის მეტი ჩემს დას და სიძეს არ ჰქონდათ და ოთხივე მანდ გამოგიგზავნეთ.

შენი ილია ჭავჭავაძე.

სხვადასხვა მიზეზთა გამო ჯერ ხნობით აჩრდილს არ გიგზავნით.

33

ძმაო ნიკო! წავიკითხე შენი გამოსალმება, — წავიკითხე, მაგრამ წაკითხული აქამდისაც არ მჯერა. ნუთუ მართლა შენ დაჰსწერე ის, რასაც შენი არ უსახელო სახელი აწერია ქვეშ? ნუთუ მართლა შეუშინდი ჭიაჭუებს და იმათს ბზუილზე გაფთხი? მე იმოდენად შენს პატივსა გცემ, რომ იმის დაჯერება არ მინდა, რასაც შენ ეგრე გაცხარებით გვაჯერებ. არ დავიჯერებ, რომ შენისთანა საიმედო კაცი მაგისთანა სულმოკლეობამ დაიბრიყვოს. მე მგონია, რომ ეგ ფელეტონი წუთიერის მღელვარების შედეგია და არა დამჯდარის გონების დასკვნა. წუთიერის მღელვარებით გატაცება შენისთანა მდუღარე კაცის თვისებაა. მარტო ამით თუ გავამართლებ შენს ფელეტონს, თორემ სხვა გასამართლებელი არა აქვს რა.

ვის ესალმები და რას ესალმები? სად მიხვალ, სად? იქაო, ამბობს შენი ფელეტონი, საცა უკეთესი ცხოვრებააო. არა, ერთი მითხარ, მაგას ლუარსაბ თათქარიძე კი ვერ იზამდა. ვითომ რა არის მანდ საკვირველი? არაფერი, გარდა ერთისა: მანდ საკვირველი ის არის, რომ შენისთანა კაცი ბრძოლას ექცევა და თბილ ოთახში აპირობს გადაგორ-გადმოგორებასა. მერე იცი, რა კბილი ჩავარდება იმ რაზმს, რომელშიაც შენ ფალავანად გვეგულებოდი, ყველას, ვინც კი შენი თანაზიარი იყო. ჯერ რიგიანი ბრძოლაც არ გამართულა და შენ კი ეხლავე გინდა თავს უშველო. ეგ ვერაფერი ძალგულოვნობაა. განა წინადვე არ იცოდი, რომ მაგ გზაზედ, რომელსაც შენ დაადეგ, ათასი ვაივაგლახი, ბეზღი, ცილი, ლანძღვა და თრევა დაგხვდებოდა ჯილდოდ შენის შრომისა და მოღვაწეობისა? ეგ ამბავი არ ახალია, ძველია. ვითომ რად გიკვირს, რომ მოსალოდნელი მოვიდა და რად არ გიხარიან, რომ იმოდენა ძალი გქონია, რომ მკვდრებიც კი ააყაყანე. მეტი რა გინდა? ძალიან ჰყარსო, სჩივი შენ. მძოვრი ყოველთვისა ყარს, და მაშინ უფრო, როცა სადგისს წასჩხვლეტ. დავიჯერო, რომ ესე ყოველი შენ წინადვე არ გცოდნოდეს? და თუ იცოდი, ესეთი მოულოდნელი რა დაგხვდა მაგ უმადურს ეკლიანს გზაზედ, რომ როგორც მხთალი ისე გაგაფთხო? ექცევი რას და ვისა? შენს ქვეყანას, შენს შრომას, შენს მეგობრებს და თანამოზიარეთა. ნუთუ კაცობა იყოს ეგე? რას შვრები, რასა? შენ მაგით ისეთს სირცხვილს იღებ თავზედ, რომ ვეღარაფრით ჩამოირეცხავ შემდეგში. პირმოთნეობაში ნუ ჩამომართმევ, — და შენ მე პატივსა გცემდი როგორც ნიჭიანს, რიგიანს, გამბედავს და დაუშრომელს მოღვაწესა, როგორც კაცსა, რომელზედაც კაცური-კაცის თვალი იმედით შეჩერდებოდა და რომელთანაც დამეგობრება და ერთად უღელში შებმა სახარბიელოა.

თუმცა ჩვენ „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“ ერთმანეთი ისე არ გაგვიცნია, რომ სული სულში გაგვეყაროს, მაგრამ იმოდენად კი გიცნობ, რომ არ დავიჯერო იგი ცილი, რასაც შენს თავს ეგრე მოურიდებლად და წინდაუხედავად შენვე ჰსწამებ. ვითომ შენ ეგ იყო, რასაც შენი ფელეტონი, შენდა

საუბედუროდ, ამბობს!... არა და ათასჯერ არა! შენ ჩემს თვალში მაინც ისეთი კაცი ხარ, რომლის გულშიაც კაცი, თუ მონახავს, მადანს იპოვის, — და ამის გამო აი რას გთხოვ:

თუ მართლა გიყვარს ის, რისთვისაც ეგრე თამამად და უშიშრად იღწვოდი, თუ ის ყოველიფერი, რითაც შენ მოსაწონი ხარ, ქარის მოტანილი არ არის, ნუ აღასრულებ მას, რასაც გვიქადი. დარჩი მაგ უბედურს ქვეყანაში; მაგრე სამარცხვინოდ ბოლოს ნუ მოუღებ მას, რაც ეგრე რიგიანად, შენ თითონვე დაიწყე. დარჩი და იშრომე, — და მხოლოდ ის გქონდეს ხსოვაში, რომ მარტო უბედურთ უნდათ შველა და არავის სხვასა; კვლავ მოჰკიდე ხელი შენს პატიოსანს საქმეს და შეუჩ ჩვენს მოძმეს, ცოტაოდნად წაბარბაცებულს, ვაპატიებთ წუთიერ სისუსტეს და ხელმოკლეობას და თვით შენს შეურაცმყოფელს ფელეტონს დავიწყებას მივცემთ. თუ ამას არ იქმ, მაშინ გეტყვით: ეჰ, ქარის მოტანილი ყოფილხარ და დეე ქარმავე წაგიღოს; გეტყვით ამას, მაგრამ გულში კი ერთი ძარღვი ჩაგვწყდება.

თუ შენ ის სკანდელი ხარ, როგორც იყავი, მაშინ მიხვდები, რა სურვილი და რა გრძნობა მაწერინებს ამ წერილსა. დასასრულ ამასაც გეტყვი, რომ ქართველი გამოსალმების დროსაც ერთს მშვენიერს სიტყვას ხმარობს: „გამარჯვებითო“. მაგრამ ამ სალამს გამოთხოვებისას თავის დღეში არ აღირსებს მას, ვინც ბრძოლიდან გარბის: იმას „მშვიდობითო“ ეტყვიან. მსურს, რომ შენ ისე მოიქცე, რომ შეგვეძლოს შენთვის თქმა: „გამარჯვებით“ და არა „მშვიდობით“.

ილია ჭავჭავაძე.

6 დეკემბერი [1873 წ.], პეტერბურგი.

На Караванной улице д. № 18, кв. № 7.

[წერილის თავში:]

პეტრე! ეს წერილი ნიკოლაძეს გარდაეცი მიღებისავე უმალ.

28. II. 1883.

პატივცემულო ნ ი კ ო ლ. ო ზ ი ა კ ო ბ ი ჩ!

გიგზავნით „გლეხების განთავისუფლების სცენებს“ და ამასთან გაუწყებთ, რომ ეგ სცენები არ გადამისწორებია, ხოლო გ. თუმანიშვილს წარმოსადგენად თავისებურად შეემოკლებინა და ისე შემოკლებული მე არ მომწონს. სწორედ გითხრათ, არც საჭიროება მოითხოვს. „კაცია-ადამიანსაც“ გიგზავნით, უკანასკნელად გამოცემულს. თუ რამ შესწორება მოუნდა, ამ უკანასკნელს გამოცემაშია შესწორებული. კორექტურის შეცდომებს კი თვითონაც მიხვდებით და იმედი მაქვს შეასწორებთ. კორექტურის შეცდომა მრავალია.

აქ ხეირიანი მთარგმნელი არავინ მოიძებნება. ილია ბახტაძე აქ არ არის. მგონია პეტერბურგშია. თქმა არ უნდა, რომ დიდი საქმე იქნება, ჩვენი მწერლების ნაწერები რუსულს ჟურნალებში დაიბეჭდოს. მაგრამ ჭირი ეს არის, მთარგმნელი ვინ იქნება. კიდევ თქვენ თუ იშოვით მანდ, თორემ აქ არავინ მეგულება. აქ თხორჟევსკისათვის მინდოდა მეთარგმნინებინა ერთი რამ, მაგრამ მითხრეს ბევრს ფულს მოითხოვსო და მოვერიდეთ. მაინც და მაინც რომ შრომა მიიღოთ და იკითხოთ, თქვენდა მახლობელ რედაქციებში თარგმნილ ლექსში რას მისცემენ, ძალიან კარგს იზამთ. მოვისაზრებთ მაინც რა დაგვიჯდება თარგმანი, და თუ მანდაური ფასები შეღავათს რასმეს მისცემს ჩვენს ჯიბეებს, დანარჩენს ჩვენ დავაყრით, როგორც იქნება. არ იქნება მეტი, რომ თქვენ თითონ დაგვისახელოთ, რა და რა ლექსთ-თხზულება უფრო შესაფერი იქნება დასაბეჭდად.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

35

[1899 წ. 1 სექტემბერი]

შენი ჭირიმე, ნიკო, უსათუოდ ჩამოდი. მეტი არის განგიმარტო, თუ რა მნიშვნელობა ექმნება ჩვენთვის, რომ ამ უცხო კაცებმა ჩვენგან შეიტყონ აქაური ავი და კარგი. ეს შენ ჩემზე უფრო უკეთ იცი. აბა, თუ კაცი ხარ, და არ დაიზარებ აქ ჩამოსვლას, ვიდრე ისინი აქ დარჩებიან.

შენი ილია ჭავჭავაძე.

XIV

წერილები ვასილ მაჩაბლისადმი

36

ძმაო ვ ა ს ო! ამას წინად მდივანს მოვსწერე ვინაობა აქაურის ბანკების უპრავლიაუშჩებისა (მმართველებისა) და ვჰსთხოვე, რომ მის ნაცნობთა შუამდგომლობით, ანუ ბარიატინსკის მეოხებით, რაიმე ღონისძიება მოგვენიჭოს აქაურ ბანკებში შესვლის თაობაზედ. არ ვიცი, რა მიზეზია, რომ აქამდის მდივნისაგან პასუხი ვერ მივიღე. იქნება ჩემი წიგნი არ მოუვიდა? უსათუოდ ეს მიზეზია, თორემ მდივანის რიგიანობის ამბავი რომ ვიცი, თითონ მდივანის ბრალი არ იქნება, რომ აქამომდე პასუხი ვერ მომაწოდა. ვწუხვარ, ყოვლად ვწუხვარ!..

საქმის წინ წაგდებისათვის, მე აღარავის მოვუცადე, ავიღე თავი და პირდაპირ მოსკოვის ბანკის უპრავლიაუშჩთან (ვიღაც ვოლკოვი გდია) შევეხეტე. ვუამბე ყოველივე ჩემი ნაღვეღი შესაფერის წინასიტყვაობითა, ვეცადე, რომ მისი კაცობრიული გული ამეძრა ჩვენდა საკეთილდღეოდ, მაგრამ ცერცვი კედელს. ვერაფერი ვერ მოვიბირე, ასეთი ბრიყვი რამ ყოფილა. გადაწყვეტილად უარი მითხრა, ვერასგზით ნებას არ მოგცემთ, რომ ჩვენი წესი შეისწავლოო. მომეკვეთნა ფრთენი და ლაღად-ვყავ უდაბნოსა შინა. ცუდად არის ჩვენი საქმე. ვერც ვანოს წიგნებმა გაჰსჭრა. კროტკოვი მოსკოვში არ არის, პერფილიევი თუმცა ცდილობს, მაგრამ იმედგადაწყვეტილია. გუშინ იყო ჩემთან და ზოგიერთი რამ ნუგეში მომცა მასზედ, რომ

4. ილია ჭავჭავაძე, ტომი X.

იქნება ტულის ბანკში კარი გაგიღოო. მაგრამ იმის ნუგეშინში უიმედობა ისმოდა. ერთი კვირა პაემანი მომცა საქმის გადაწყვეტილად შეტყობისათვის. ვნახოთ, რასა იქს? თუ აქედამაც არა გახდა რა, ვაი შენს მტერს, ჩვენ საქმე მოგვივა. ვოლკოვი მოსკოვის ბანკში უპრავლიაუშჩის თანამდებობას დროებით ასრულებს: намдвилი управлиаушчи Князь Владимир Александрович Черкасский-ია. ძალიან კარგს კაცს აქებენ, ამბობენ, რომ თუ ვინმე დაგვეხმარა, ჩერკასსკი ნებას მოგვცემსო. ჩვენდა საუბედუროდ, ჩერკასსკი ეხლა აქ არ არის, მალე კი მოვაო. იქნება ბარიატინსკის ძმა იცნობდეს ჩერკასსკისა, მდივანსა ჰსთხოვე ერთი ძმურად, დაუფიცურდეს, რომ ბარიატინსკის ძმამ წიგნი მომცეს ჩერკასსკისთან. დიდს სიკეთეს მიზამთ, — ეს რომ მოახერხოთ. ეს ის ჩერკასსკია, რომელიც მოსკოვის „გოლოვად“ იყო ერთ დროსა. შენი ჭირიმე, ვასო, რაც შეგეძლოთ მალე მომეშველენით, თორე დრო უბრალოდ მიდის და ამას გარდაც სხვა გზით შველა არ-საით არის. ტულის ბანკის უპრავლიაუშჩი Александр Васильевич Яковлев-ია. იქნება ამისი მცნობიც იყოს ვინმე და იქნება იმ მცნობმა რეკომენდაციის წიგნი მომცეს მასთან. ერთის სიტყვით, რაც ეხერხებოდეს ჩვენს გაჭირვებულს მდგომარეობას, ის მოუხერხეთ.

„ცენტრალნი“ ბანკისა რა შეიტყე? ჩემი სიმამრის საქმის ამბავიც დაწვრილებით მომწერე. შენის საქმიანობისა და რიგიანობის იმედი მაქვს, რომ ამ წიგნის პასუხს მალე მომწერ და ამასთანავე შემატყობინებ, რა თადარიგს დაიჭერთ და რა განკარგულებას მოახდენთ ყოველ იმ საგანზედ, რომელიც ამ წიგნში მოხსენებულია.

ვარვარა ილინიშნას და გიორგის ჩემს ერთგულებას და პატივისცემას განუცხადებ.

მიგულე შენდა მეგობრად.

37

[1873 წ.]

ძმაო ვასო! აღგისრულე თხოვნა და თვით „ადრესნის სტოლის“ ბლანკს გიგზავნი. მე კიდევ აქა ვრჩები ჩერკასკის მოსვლამდე უსაქმოდ და უიღბლოდ. საკვირველი საქმე მოგვივიდა: ვინ მოიფიქრებდა, რომ „პოზემელნი ბანკში“ ფეხის შედგმა ასე გაძნელდებოდა.

ეხლა აი რა მაქვს სათხოვნელი: მანდ პეტერბურგში არის რუბენ გულიშამბაროვი, на Шпалерной улице, дом № 5, квартира № 13, მაგ. გულიშამბაროვთან არის ჩემი წიგნები, დიმიტრი უაზბეგისაგან დატოვებული, გამომირთვი და აქ გამომიგზავნე. ფრიად საჭიროა.

მეორე სათხოვნელი ეს არის: მანდაურს Общество взаимнаго поземельнаго кредита ინახულებ. შენებურად ციბრუტივით დატრიალდი და ეგება მაგ საზოგადოების ყოველნაირი ფორმები, წიგნების სახეები და სხვა, რასაც კი პრავლენიაში ხმარობენ, იშოვო და გამომიგზავნო. ამას გარდა в этих формах и образцах книг будут, по обыкновению, пробелы как в графах, так и в строках. Нельзя ли будет эти пробелы и графы восполнить вписанием в них хоть одного какого-либо случая (делового), чтоб этим облегчить себе возможность изучения. ესეც შემიტყე: თუ ვინიცობაა აქ ვერას გავხდი, შემიშვებენ მაგ ზემოხსენებულს საზოგადოობის სამართველოში, თუ არა, რომ შევისწავლო რამე. მანდ თქვენ, ესე იგი, შენ და მდივანს, ბევრნი ნაცნობები გყვანან; იქნება იმათის შემწეობით მეც გზა გამეხსნას.

ჩემს სიმამრს მივსწერე შენი მონაწერი მაშინვე და არ ვიცი რა პასუხს მომცემს.

შენი ძმა ილია ჭავჭავაძე.

მომიკითხე მდივანი და შენი ძმა. ვარვარა ილინიშნას და გიორგის პატივისცემას მოვახსენებ.

38

ძმაო ვასო! ამას წინად წიგნი მოგწერე, არ ვიცი, მიიღე თუ არა? ხვეწნა აღარ გინდა, რომ იმ წიგნის თხოვნა ამისრულო. ეხლა ამას გეხვეწები: ჩვენი გაზეთის „დროების“ № 26 გამომიგზავნე. ნიკოლაძის და ღოღობერიძის კრივში მეც უნდა ჩავერიო და ცოტაოდენი ქვაც ავურიო. ორივე ცულღუტობენ, ნიკოლაძე კი უფრო ბევრსა. მაინც უსაქმოდ ვგდივარ და დავწერ რასმეს მაინცა. ეხლა ცოტა იმედი მომეცა, რომ ჩემს საქმეს გავარიგებ. კაცი ვიშოვე, რომელიც დამპირდა შემწეობასა; ხვალ დაბოლოვდება ჩემი იმედოვნების აღსრულება და გამტყუნება.

შენი ილია ჭავჭავაძე

21 აგვისტო, 1873 წ.
მოსკოვი.

39

ძმაო ვასო! შენი წიგნი და სანდროსი გუშინ მივიღე. მე, ვიდრე თქვენი წიგნები მომივიდოდა, გავირიგე ბანკში შესვლა. ხოლო „პოზემელნი“ ბანკში კი არა, в Московском Кредитном обществе, в существенных чертах связанном с нашим будущим банком. აქ შევისწავლი თუ არა, რაც საჭიროა, მაინთ წამოვალ, რომ в Обществе взаимного поземельного кредита შევისწავლო, ის რაც დამაკლდება. რადგანაც ჩემი საქმე ასე მორიგდა, ამისათვის სანდროს წიგნები ჩემთვის საჭირო აღარ არის.

ჩემი სიმამრის წიგნი მომივიდა, მწერს რომ ორმოცს თუმანს მივცემო, ვინც ჩემს საქმეს კარგად წაიყვანსო. თუ გაჭირდა, მომეტებულიც შეიძლება. ასე ცოტას იმისთვისა ნიშნავს, რომ საქმე თითქმის მოგებულიაო. შენი ჭირიმე, დაფაცურდი. თუმცა პირობის წერილი არ გამოუგზავნია, მაგრამ პირობის წერილს მე თითონ მივცემ ჩემის სიმამრის

რწმუნების წერილის ძალით, ანუ საკუთარის ჩემის სახელით. მომწერე, ამ საგანზედ რა თადარიგს დაიჭერ და მალეც მომწერე.

ამას გარდა, გთხოვ კრედიტის კანცელარიაში, რომელიც ხელმწიფის სასახლის პირდაპირ არის, მიხვიდე და შეიტყო, გაგზავნეს თუ არა „გოსუდარსტვენნი სოვეტში“ ჩვენი უსტავი.

კიდევ ერთი სათხოვარი მაქვს: გიგზავნი პატარა წერილს, რომლის მეოხებითაც შეგიძლიან შეიტყო ან „ოკრუჟნოი სუდში“ ანუ პალატაში მაგ წერილში მოხსენებულის საქმეების მდგომარეობა. მესამე საქმეს არ ვიცი კი როგორ იპოვი (360 руб. иск.), იმიტომ-რომ ვინ იცის, რომელს „მიროვოი სუდშია“. პირველს ორს საქმეს კი ადვილად იპოვი „ოკრუჟნოი სუდში“. ადვოკატს ჩიჩაგოვს დაუტყუვნია ეგ საქმეები და აქამდისა არაფერს ატყობინებს პატრონს. ეხლა ელენე ზახაროვის მემკვიდრეთ არის მედიცინის დოქტორი კონსტანტინე ივანიჩი ზაქაროვი, რომლის შემწეობითაც მე ბანკის კარები გამეღო და რომელიც ჩემის ქვისლის სტაროსელსკის დიდი მეგობარია. ამან მთხოვა, რომ მაგ საქმეების დაწვრილებითი ამბავი შევუტყო. რადგანაც შენ მანდ მეგულებოდი და შენს გულკეთილობას სამზღვარი არა აქვს, ამიტომაც დავპირდი, რომ შეგიტყობ მეთქი. შენი ჭირიმე, მალე შეიტყე და მალე მომწერე.

შენი ილია ჭავჭავაძე.

25 აგვისტო [1873 წ.]

40

ძმაო ვასო!

რად დამივიწყე? შენის რიგიანობის და ფაცა-ფუცობისა განა ეგ იმედი მქონდა? შენი ჭირიმე, ამ წიგნის მიღების უმალვე „კრედიტნი კანცელარიაში“ შემიტყე — გაგზავნეს, თუ არა ჩვენი უსტავი „გოსუდარსტვენნი სოვეტში.“ გეთაყვა. დაწვრილებით შემიტყე მაგ უსტავის ყოფა და აწინდელი

მდგომარეობა და დაწვრილებითვე ამ ორ დღეში მაცნობე. უსათუოდ უნდა ძალიან მალე ამისრულო ეს თხოვნა. ფრიად საჭიროა ჩემის მომავლის გაწყობისათვის.

ჩემი სიმამრის საქმისა რა ჰქენი? შემოუთვლია, ორმოცს თუმანს მივცემო, ვინც მაგას გამირიგებსო. ასე ცოტას იმისთვინა ვნიშნამო, რომ საქმე თითქმის მოგებულიაო.

Общество взаимного поземельного кредита მიმიშვებს, თუ არა, რომ მაგათი რიგი და წესი შევისწავლო? ესეც მალე მომწერე. მე ათს სექტემბრამდინ აქაურს კრედიტის ბანაკში ყველაფერს შევათავსებ და მაინდ წამოვალ, თუ საჭიროება მოითხოვს.

სანდრო ერისთავი რამდენს ხანს დარჩება მანდ? მომიკითხე ეგეც და მდივანიც, შენი ძმაცა. ჩემი პატივისცემა ვარვარა ილინიშნას და მოკითხვა კნიაზს გიორგის.

შენი ილია ჭავჭავაძე.

1 სექტემბერი [1873 წ.]

P. S. პასუხი მალე მომაშველე.

41*

მამულის შვილსა მამულის-შვილი შორიდან სალამს გიყეფავ ძმაო ვასილ! არა გრცხვენიან, კაცო, რომ ბანკის ვითარება ჯერ პირველად ვიღაც სანაქსაროვისაგან შევიტყეთ, მაშინ, როდესაც ეგ შენ უნდა გეკისრა და აღგესრულებინა. გული მეტკინა რომ ეგ აგრე მოხდა, მაგრამ რაც იყო, ახლა აღარა ეშველება რა. სანაქსაროვს უნდა ვარგუნოთ სამახარობლო და გულითადი მადლობა განუცხადოთ. ეს კია რომ სანაქსაროვის ტელეგრამმა მეტად ბუნდად არის დაწერილი ასე რომ ეჭვში ჩაგვაგდო. ის იწერებოდა: „7 მაისს ფინანსთა მინისტრს მოუვიდა უმაღლესი ბრძანება სათავადაზნაურო ბა-

* წერილის ცალკეული ადგილები, რომლებიც მოთავსებულია კავებს შორის [ ], რუსულად არის ნაწერი; აქ იბეჭდება ქართული თარგმანი (რუსული ტექსტი იხ. IV განყოფილებაში) რ ე დ.

ნკის დამტკიცების შესახებ“[1]. ჩვენ ვერ გავიგეთ, რას ნიშნავს ბრძანება დამტკიცების შესახებ? განა თვით სახ. საბჭო არ ამტკიცებს? თუ სახ. საბჭო არ ამტკიცებს, მაშინ ასეთი ბრძანების შემდეგ შეუძლია თუ არა მინისტრს არ დაამტკიცოს წესდება. ამის გამო გუბერნიის წინამძღოლი იძულებული გახდა დეპეშით მიემართა დირექტორ ციმსენისათვის და ეთხოვა „კეთილინებოს და დააჩქაროს 7 მაისს დამტკიცებული სათავადაზნაურო წესდების გამოგზავნა“. ციმსენი ამაზე პასუხობს: „წესდების სწრაფად გადაბეჭდვის შესახებ მივმართე სენატს“. ამ პასუხმაც სასურველად ვერ გაგვიმარტა ჩვენი შეკითხვა. არსებითად ჩვენ გვინდოდა გაგვეგო, დამტკიცებულია თუ არა წესდება და ამის სწორი პასუხი არ მიგვიღია. სწორი პასუხისათვის მოგაკითხე შენ. შენ კი იწერები, რომ წესდება დეკემბრამდე ძნელად თუ დამტკიცდესო, რას ნიშნავს ეს? წესდება ჯერ არ არის დამტკიცებული? ღვთის გულისათვის გამოგვიყვანე ამ უსიამოვნო მდგომარეობიდან და მოგვეცი კატეგორიული პასუხი შემდეგ კითხვებზე: 1) განხილულია თუ არა ჩვენი წესდება სახ. საბჭოს მიერ; 2) თუ განხილულია, რა განკარგულება მოჰყვა მას; 3) თუ მართლა მიუვიდა უმაღლესი ბრძანება ფინანსთა მინისტრს დამტკიცების შესახებ, მაშინ მინისტრს შეუძლია თუ არა, არ დაამტკიცოს; 4) თუ არ შეუძლია, მაშინ რატომ ფერხდება და ჭიანურდება (დეკემბრამდე).[1] შენი ჭირიმე, ვასიკო, ერთი შენებურად ციბრუტივით დატრიალდი და დაგვიხსენ ჩვენ ამდვენის უგემურის იჭვნეულობისაგან. მალე მოიწერე პასუხი. „კრედიტნი კანცელარიაში“ მიდი და ციმსენს ჰსთხოვე შემდეგი: ‘თქვენ თავად ჰავჰავაძეს შეჰპირდით მიგეცათ სახელმწიფო საბჭოში დაბეჭდილი წესდების ასლი ან ამონაბეჭდები, ახლა იგი გთხოვთ ამ დახმარების გაწევას თქო.’

გამოართვი და გამომიგზავნე, რასაკვირველია ეს თხოვნა შენებურად გაამშვენიერე და ზრდილობით გალესილი შალაშინა წაუსვი.

[1] „7 Мая последовал высочайший приказ министру финансов об утверждении устава дворянского банка“.

ვანოს გულითადს მოკითხვას მოვახსენებ. ვანოს უთხარი, რომ ლირი მივეცი კრებულში დასაბეჭდად. ყველას მოჰსწონს, აკაკი წერეთლის გარდა. დღეს საღამოზედ დიდი ყრილობაა და იქა ვკითხულობ ლირსა. თუ ჩემებურად გაჭირი ვქენ, ვერაფერი კითხვა მომივა. ქუთაისში, გამოვლაზედ, წავიკითხე, ძალიან ცუდად და საძაგლად მომივიდა კითხვა. თქვენ რომ იქ ყოფილიყავით, შემიბრალებდით, ასე საძაგლად ვიყავი. ვნახოთ, ამაღამდელი ღამე რას იტყვის.

ყაზბეგთან კინაღამ ის არ მომივიდა, რაც მე და შენ ვიცოდით, ბოლოს შეგვარიგეს და მე მაღვიარეს დამნაშავედ. ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლადო, ამბობს რუსთაველი, უსამართლობა კი ნედლსაც გაახმობს. მაგრამ რა ვუყოთ? თურმე სოფელი ესეა.

მიგულე მარად შენდა მეგობრად ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

15 ივნისი [1874 წ.] ტფილისი.

ჩემი ადრესი: თელავში, თავად მიხეილ პეტრეს ძე ანდრონიკოვს, გადასაცემად თავად ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეს.

42

გულფიცხო, მაგრამ მაინც კარგო ჩემო მეგობარო ვ ა ს ო!

შენი რისხვით მჭუხარე წიგნი მივიღე დიდი ხანია, მაგრამ მიხარიან რომ მარტო მეგობრული საყვედური ამოვიკითხე იმა რისხვიდამ და არა გაბოროტების ბრაზი. მე წინადვე ვიცოდი, რომ ჩემი ტელეგრამა შენ ფრიად და ფრიად გეწყინებოდა, მაგრამ, ნაფაიდა, ისევ შენი წყენა ვირჩიე, ვიდრე საზოგადო საქმის დაყენება. მე მიწამებია და მწამს შენში ერთი დიდი სიკეთე: საზოგადო საქმეში შენს საკუთარს წყენას უპირატესობას არ აძლევ ხოლმე. ესა მწამს, ამით მამართლე და ნუ გამკიცხამ, ჩემო კიდევ გულფიცხო. მაგრამ კარგო მეგობარო ვასო!

მე და შენ რომ მართლა ქართველები არ ვიყვნეთ, დავიჯერებდით, რომ „სხვა სხვის ომში ბრძენიაო“. შენ, ჩემო ძამიავ. საქმეს მაინდამა სინჯამ და იმიტომ გგონია, რომ საქმის

ვაყენება შეიძლებოდა. არრას გზით არ შეიძლებოდა, იმიტომ რომ, ეგ რომ დაყენებულიყო, **უნდა** დაყენებულიყო თვით თავადაზნაურობის კრება, უნდა გადადებულიყო თვით ბანკის ბახსნა და სხვანი და სხვანი. შენი პირველი ტელეგრამა ძალიან გვიან მომივიდა, ჩემი სახელი შეეცვალათ და მალე ვერ ჰომაგნეს. შენ ვერ დაგეკითხე ტელეგრამით, იმიტომ რომ, რაკი შენი წიგნი, ჩვენის პირობებისამებრ, ჩემს მოსვლის დროსვე აქ არ დამხვდა, ყოველივე კითხვა და მიწერ-მოწერა უქმი და წყლის ნაყვა იქმნებოდა, რადგანაც აღარაფერი აღარ ჰოგვესწრობოდა. შე კაი კაცო, მანდვე გთხოვე, რომ თუ რასმეს გაარიგებ, უნდა ეცადო გარიგდეს ჩემს იქ მისვლამდის მეთქი და ამასთანაც შენი წიგნი ამ საგანზედ იქ უნდა დამხვდეს მეთქი. თუ მართლა ქართველი არა ხარ, რატომ არ დაიჯერე, რომ ეს სიტყვა უმიზეზო და უსაბუთო არ იყო. ნეტა როდის იქნება ჩამოვარდეს ჩვენში მტკიცე ჩვეულებად, რომ თქმული კაცმა თქმულად მიიღოს და პირველშივე არ ეფიქროს, რომ თქმულს აქეთაც გადაეხვევა და იქითაცა. მართალია, ბანკირთან საქმის დაჭერა და გათავება ბევრს დროს ეთხოვს და არც ადვილია, მაგრამ მიკვირს შენის კეთილგონიერებისაგან, რომ, რაკი ამ შემთხვევაში უმთავრესს პირობად და აუცილებლად საჭირო სიჩქარე იყო და ეგ სიჩქარე ვერ ხერხდებოდა, რატომ თავი არ დაანებე და რიღასთვის განაგრძე მოლაპარაკება ვინეკენთან. მე ამას იმიტომ კი არა ვწერ, რომ მაგითი ვითომ საქმე წაგეხდინოს, არამედ იმიტომ, რომ შენმა მართლმსაჯულებამ დაინახოს, ვინ არის დამნაშავე ამ შემთხვევაში, მე თუ შენ, შენ თუ მე, ერთის სიმღერისა არ იყოს.

მწერ, უნდა გცოდნოდაო, რომ ამისთანა საქმე მალე აო გარიგდებოდაო, მაშასადამე ისე მალე, როგორც შენ გინდოდაო, ვერ გათავდებოდაო. მე თუ არ ვიცოდი, შენ ხომ იცოდი; მეტყოდი მაგას, მეც კისრად ავიღებდი და დავდუმდებოდი, ჩემო კარგო!

ეს აპელაციის არზა მომირთმევია შენთვის შენსავე გაწყვეტილებაზედ. გასჭრის ეს არზა, თუ არა, არ ვიცი, ეს

კია, რომ მე გულწრფელად მსურს ყოველს ჟამს და ყოველს შემთხვევაში მიგულო შენდამი პატივისმცემელად და მეგობრად.

ეს აქ დავუტევოთ და მცირე რამ აქაური ამბები მოვიხსენიოთ. ჩვენი ბანკი კუსავით მიღოღავს ჯერ ჯერობით; მეფე ლირს ცალკე წიგნად ვაბეჭდინებ. დაბეჭდის შემდეგ უნდა საზოგადოდ წავიკითხოთ (т. е. устроить чтение в лицах на пробу) ყველამ თავისი როლი. ამბობენ, დავით ყიფიანის (მიროვოი სუდიის) და თავისთავად ემზადებაო კორდელიის როლისათვის და საოცრად თურმე არდგენს. გადუწერია შარშანვე მთელი ლირი და ისე მოჰსწონებია, რომ კორდელიის როლი შეუსწავლია თავისის საკუთარის ატაცებისა გამო და არა სხვა რაიმე განზრახვითა. მე ჯერ არ მინახავს და ამბობენ, ქვეყანას განაცვიფრებსო. შენ უყურე, თუ მართლა საქართველომ შესძლო ნამდვილი კორდელიის წარმოდგენა, მაშინ როდესაც კრიტიკოსები ამბობენ, ჯერ მაგისათვის აკტრისა არ დაბადებულაო!..

ჩემს უბედურებასაც შეიტყობდი: ვიდრე რუსეთიდან მოვიდოდი, ჩემი სიმამრი გარდაცვლილიყო. ივანე მუხრანსკის მამულისა და მემკვიდრეობის თაობაზედ დიდი დავიდარაბა აგვიტეხა მე და სტაროსელსკისა. ქალაქში ამით თაობაზედ დიდი აყალმაყალია.

სხვა არ ვიცი, რა მოგწერო. ასეთი უგემურობა და უჟამურობა სუფევს ამ ჟამად ქალაქში, რომ ვერ წარმოიდგენ. ერთი შესანიშნავი ამბავი არ არის, რომ შენი ღირსი იყოს.

ის რაღაც ქაღალდები, რომ მომეც, აი ვარვარა ილინიშნამ რომ ითხოვა, ის საქმე გავარიგე და მგონი იმ საქმის თაობაზედ საჭირო ქაღალდები აქამდის მიღებული გექნება კიდეც.

მშვიდობით მეორე წიგნამდე, ჩემო ვასო! მომიკითხე შენი ძმა ვანო და ყველა ყმაწვილები.

გთხოვ დარწმუნებული იყო, რომ კავკასიის მთების იქით ერთი ერთგული მეგობარი გყავს, რომელსაც ეძახიან

ილიკო ჭავჭავაძეს.

15-ს მარტსა [1875 წ.]

43

10 მარტი [1875 წ.]

საყვარელო ძმაო ვასო! მოგართვი შენგან დაბარებული ივერია. აბა შენ იცი როგორც დაგვეხმარები. იწერები, ვანოს უნდა გავუგზავნოო. თუ გიყვარდე, იმისი ადრესი მომწერე და მე თვითონ გავუგზავნი პირდაპირ აქედამ რედაქციის მხრით. შენ შენი ნომერი გაზეთისა შენ იქონიე.

ვანოს წიგნების ქებას იწერები. ვიდრე ამას შენ მოიწერებოდი, ჩვენმა ავალოვმა დიდი ქება მითხრა მაგ წიგნებისა. რა კარგი იქნება, რომ ეგ წიგნები დამაბეჭდვინო, თუ შესაძლებელია და თუ ვანო ნებას მოგცემს. მიჰსწერე შენად და ჩემად, მოგვეშველოს როგორმე. ჭკვიანი ბიჭია და ამასთანაც კარგის კალმის პატრონი — ჩვენთვის ვანო დიდი ნუგეში იქნება. ჰსთხოვე, და არამცთუ ჰსთხოვე, შეეხვეწე ჩემ მაგიერ, რომ სტატიები რამ გამოგვიგზავნოს.

მეფე ლირი დავბეჭდეთ. გამოგიგზავნი ამ დღეებში. ვანოს ადრესს რომ მივიღებ, იმასაც გავუგზავნი. ცოტა კორექტურის შეცდომებით დაიბეჭდა, მაგრამ არა უშავსრა.

ჩვენი დავით იესეს ძე ჩუბინოვი ნახე. გაზეთი მოვართვი, როგორც ჩვენს უხუცესს მწიგნობარსა. ჰსთხოვე ჩემ მაგიერ, ლაზისტანზედ რომ რუსულად ნაწერი აქვს, გამომიგზავნოს. მე თვითონ ვჰსთარგმნი და ისე დავბეჭდავ. შენი ჭირიმე, ამ წიგნის მიღებისვე უმალ მიდი და ჩემ მაგიერ ჰსთხოვე, მალე გამომიგზავნოს. დაპირებულიც არის. ჩვენი ალექსანდრე ცაგარელიც შეაფუცხუნე — გვიშველოს რამე. ეცადე, შენ გეთაყვანე, მანდ მოსწავლეთაგან მცირე სალიტერატურო წრე შეადგინო. მათთან მისვლა-მოსვლას ნუ დაიზარებ. შენ იცი

და შენმა გულშემატკივრობამ, ამ ჩემს თხოვნას რა ყურადღებასაც მიაქცევ.

სანდრო ერისთავი ნახე. უთხარი, სირცხვილია-თქო, რომ ქალალდი არ გამომიგზავნე-თქო და ამოდენა ტყუილ-უბრალო ხარჯში ჩამსვი-თქო. თუ შეიძლება, ფული უკანვე დამიბრუნოს, ან შენ მოგცეს, და შენ მიყიდე ისეთი ქალალდი, როგორც „Неделя“-ს ქალალდია.

აქაური არა არისრა შენთვის ღირს საცნობი.

იყავ მშვიდობით, ჩემო კარგო ვასო, და ისურვე ჩვენთან ერთად ჩვენის ივერიის სიკეთე და დღეგრძელობა.

შენი ილია ჭავჭავაძე.

XV

წერილები ელისაბედ ჭავჭავაძე — საბინაშვილისადმი

44

[უთარიღო]

დაო ლიზავ! შენც კარგად იცი, რომ მეც თითონ თქვენის ღვდლის ფული მმართებს, ვადა მოსულია და ვერ მიმიცია. სად მექნება ფული, რომ სხვას ვასესხო!.. მეც თითონ მიჭირს და ვერ მიშოვნია.

შენი ილია ჭავჭავაძე.

45

[უთარიღო]

ლიზო! მომილოცავ[ს] ქრისტეს აღზდეგი შენთვის და შენის სახლობისათვის. მე ეხლახან ჩამოვედი ვლადიკავკასიდან, ოლიკო კი იქ დარჩა. ისიც იმ კვირას მოვა.

ამას წინეთ ხუთი თუმანი გამოგიგზავნე, რომ ნატალია — ჩოლოყაევის ცოლისათვის — გარდაგეცა და არ ვიცი მიიღე თუ არა. ნიკო მანსვეტოვსა ჰსთხოვე ქვევითა დგმურს გამოგვირთვას, რაც ფული გვერგება იმისგან და ის ფული სრულად ნატალია ჩოლოყაევისას გარდაეცი და ბარათები ჩამოართვი. შენი ჭირიმე, ლიზო, ძალიან შეეხვეწე მანსვეტოვს, რომ რაც ქვევითა დგმურისაგან გვერგება გამოართოს, რომ ეგ წყეული

დედაკაცი მოვიშორო. რატომ არ ამოდიხარ? როცა წამოსვლა დააპირო, მომწერე და ტარანტასს გამოგიგზავნი თავის ბიჭით და გოგოთი.

შენი ძმა ილიკო ჭავჭავაძე.

დიმიტრი ვეზიროვს უთხარი, რომ თქვენი ქაღალდები, ვლადიკავკასიდგან რომ ჩამოვედი, მაშინ მივიღე-თქო. ესეც უთხარი, რომ მინამ სრულის გარდაწყვეტილობის კოპიოს არ გამოგიგზავნის, მანამდინ მაგის საქმეზედ ვერაფერს რჩევას ვერ მივცემ.

46

19 აპრილი.

საყვარელო დაო ლიზა!

მე და ოლიკო აქ დავრჩით, რადგანაც კატო დაწვა და ცოტად შეუძლოთ არის. კატოს ვაჟი ჰყავს. მომილოცნია შენთვისა და ალექსანდრესათვის ქრისტეს აღზდეგი. ღმერთმა მრავალს ამ დროს დაგასწროთ ორივენი სიმრავლით და დღეგრძელობით.

შენი ჭირიმე, ლიზო, იასესთან კაცი გაჰგზავნე, იქ დურვალია ყვარლიდამ, რომელსაც მე სახლის მასალას ვუკვეთებ. დაიბარე და უთხარი, ჩემთან აქ საგურამოს ამოვიდეს ხვალვე საქმის გასათავებლად. უსათუოდ ამოვიდეს. ოლიკომ პირს გაკოცა და ალექსანდრეს მოკითხვა მოახსენა.

შენი ძმა ილია ჭავჭავაძე.

47

ლიზო, ხვალ დილის თერთმეტს საათზედ გრიგოლ ორბელიანთან შეიყრებიან ლევან მელიქოვი, გიორგი ერისთავი ატამანი, ივანე მუხრანსკი და ბევრნი სხვანი ერთის დიდის საქმის თაობაზედ. დღეს ამ საქმის დამწყობი ჩემთან შემოვიდა და მთხოვა, რომ სიძე ალექსანდრეს ვჰსთხოვო, რომ უსა-

თუოდ ისიც დაესწრას და მიბძანდეს დანიშნულ საათს გრიგოლ ორბელიანთან. სიძეს ჰსთხოვე ჩემმაგიერათაც, რომ არ ეაიზაროს და უსათუოდ წაბძანდეს.

როგორა ხარ? მომწერე. მე ჯერ კიდევ შინა ვარ დამწყვდეული.

შენი ერთგული ძმა ილია ჭავჭავაძე.

29 იანვარს [1873 წ.].

48

საყვარელო დაო ლიზო! შენი წიგნი მომივიდა და ძალიანაც მიამა. რომ არ მომსვლოდა, დეპეშის გამოგზავნას ვაპირებდი შენისა და ალექსანდრეს ამბის შესატყობად. აქამდინ პასუხი ვერ მოგწერე, რადგანაც ყოველ დღე ველი ჩემს მოადგილეს და ყოველ დღე ვაპირებდი და კიდევაც ვაპირებ ქალაქში ჩამოსვლასა. მე კარგადა ვარ, მაგრამ საშინლად მოწყენილი ვარ მარტოობითა. ზუბალაანიც სამზღვარ გარეთ წაიდნენ ეს მეორე კვირაა და სრულიად მარტო დავრჩი იმა ჰოუთმენელის ლოდინითა, რომ აი ან დღეს ან ხვალ ჩემი მოადგილე მოვა და წამოვალ. დღეის აქამომდე ჩემი ლოდინი ლოდინადა რჩება და ძალიან ვწუხვარ.

შენი წიგნი გარდავეცი პელაგიას და ერთი თუმანი ფული, მოწერილობისამებრ, მივართვი.

შენი ჰირიმე, ლიზო, მანდ ჩემი ახალი შლიაპა არის დასაკეცი, იმ შლიაპას, არ ვიცი, მარცხენა თუ მარჯვენა მხარეს, მართული წაუხდა, უბძანე ბიჭსა მეშლიაპეს მიუტანოს, რომ მართული გაუკეთონ, ვიდრე მე ჩამოვალ, თორემ უშლიაპოდ დავრჩები.

ალექსანდრეს ჩემს გულითადს პატივისცემას და სიყვარულს განუცხადებ.

იყავით მშვიდობით და სიმრთელითა.

შენი ერთგული ძმა ილია ჭავჭავაძე.

23 მაისი [1873 წ.] დუშეთი.

49

[1873 წ.]

საყვარელო დაო ლიზო! მე კარგად ვარ ღვთის მადლით და თქვენც კარგად იყავით. შეიტყობდი მანდ, რაც ნიკომ საქმე ჩაიდინა ჩემის დათხოვნის თაობაზედ. მას აქედ, რაც მაგან თავზედ ლაფი დაისხა საქვეყნოდ ბანკის თაობაზედ, მე მაგისას ყველაფერს დავიჯერებდი, მაგრამ იმას კი არა, რომ მაგისთანა სასაცილო მტრობას დამიწყობდა. თურმე ყოველს ჩლენს ცალ-ცალკე ეხვეწებოდა, რომ ჩემს ოტპუსკზედ თანახმა არ გამხდარიყვნენ. მე ეს ისე არ მწყინს, როგორც მეცინება მაგის სასაცილობაზედ და სულმოკლეობაზედ.

ამას წინად ოლგას წიგნი მამივიდა, კარგად არის და თქვენთან მოკითხვას იწერებოდა. მარტოობამ ძალიან შემაწუხა. მინდა ქალაქში ჩამოსვლა და ვერ მომიხერხებია.

ალექსანდრეს ჩემი გულითადი სიყვარული და პატივისცემა მოახსენე. შევიტყე, რომ ნიკოს საქციელი მეტად ჰსწყენია და ნიკოსათვის სამდურავის თქმა უნდა. შეეხვეწე ალექსანდრეს, ნიკოს ხმა არ გაჰსცეს, ჩიტი პრტყვნად არ ღირდაო, დევნა მეტი იყოო. აბა ღირს, რომ მაგვარ საქმეში კაცი კაცს წაებაასოს!.. ნიკოს ჰგონია, რომ მაგით ჩემი ჯავრი ამოიყარა და დიდი მტრობა მიყო. მე თითონ ნიკოს მგზავსი ვიქნები, რომ ეგ შევიმჩნივო. წიგნი მამწერე.

ეს წიგნი მანსვეტოვს გაუგზავნე.

შენი მარად ერთგული ილია ჭავჭავაძე..

50

საყვარელო დაო ლიზავ! გუშინ წინ მივიღე შენი წიგნი და ალექსანდრესი. მიამა ძალიან, რომ შენ კარგადა ხარ. ღმერთმა შენცა და ალექსანდრეც ყოველს ჟამს კარგად გამყოფოთ.

შენი და ალექსანდრეს სამდურავი დიდის გულდადინჯებით მოვისმინე და მით ვინუგეშე, რომ სწორედ ღირსი ვიყავ

და ვარ მაგგვარის სამდურავისა, რადგანაც ამდენი ხანი აქა ვარ და წიგნი არ მოგწერეთ. დაძმობაში სამდურავს ხანგრძელობა არა აქვს და ამით ვიმედოვნებ, რომ ჩემს დანაშაულს შენცა და ალექსანდრეც მაპატივებთ.

მე ამჟამად მოსკოვში ვარ, ფრიად და ყოვლად უსაქმოდ, იმიტომ რომ არც ერთს ბანკში არ შეგვიშვეს, რომ შეგვესწავლა ის, რაც ჩვენთვის საჭიროა. მაგრამ ჯერ კიდევ იმედი სრულიად არ გვაქვს დაკარგული. ბევრი თრევა და გაძვრენგამოძვრენა უნდა, რომ როგორმე სხვის მეოხებით ბანკის კარები გაგვეღოს. აქა-იქ დავეთრევი და იმედი მაქვს, რომ ზოგიერთნი გულკეთილნი ადამიანები დამეხმარებიან და ბანკში შესვლის ნებადართვას მომანიჭებენ.

ეხლა აი რასა გთხოვ, ჩემო ლიზო! მანდაურს „გოსუდარსტვენნი ბანკის ატდელენიაში“ ორი ბილეთი გვაქვს დაგირავებული. თერთმეტ ღვინობისთვეს ვადა გადის. თუ მანამდე არ დავიხსენით, დაგვეკარგება და ათიოდ თუმანს ვიზარალებთ. რომ ეს ასე არ მოხდეს, უნდა ეგ ბილეთები მინამდინ დავიხსნათ და იქავ ჩემს სახელზედ დავაგირავოთ იმავ დღეს. ამას სულ ცხრა მანეთი ხარჯი აქვს. ოლიკოსაგან მოგივა შენ კვიტანცია ბანკისა. ეგ კვიტანცია ცხრას ღვინობისთვეს წარადგინებინე ვისმე ხელით ბანკში, რომ გამოიხსნას ჩვენი ბილეთები და ისევ იმ დღესვე იქ დააგირავოს ჩემს სახელზედვე, თორემ გადაგირავების ნებას არ მოგცემენ. ამ დაგირავებაში და გადაგირავებაში ცხრა მანეთის მეტი ხარჯი არ მოგივა. როცა მოვალ, დიდის მადლობით მოგართმევ. თუ შენ ეგ გაგიძნელდეს, იასე ჭავჭავაძე დაიბარე, გარდაეც ეგ კვიტანცია და ეს წიგნი წააკითხე. ის მოახერხებს მაგ საქმეს.

მანსვეტოვთან შემიტყე ჩვენის სახლების ამბავი: იყიდება თუ არა, ძველი დგმური თუ გავიდა, დადგა ვინმე ახალი?

ამ წიგნის პასუხი ისევ ძველის ადრესით მოიწერე. ალექსანდრე სიყვარულით მომიკითხე. არ დამივიწყოთ.

შენი ერთგული ძმა ილია ჭავჭავაძე.

18 აგვისტო [1873 წ.] მოსკოვი.

51.

საყვარელო დაო ლიზავ! შენი წიგნი და ოცი თუმანი ფული მომივიდა და სწორედ გითხრა სულის მოსწრებაზედ მომივიდა ერთიცა და მეორეც. დიდი მადლობელი ვარ, დიდი და დიდი!.. მარტო ამას ვწუხვარ, რომ შენ შეგაწუხეს და ხუთი თუმანი შენ დაგაყრევინეს. მაგრამ იმედი მაქვს, რომ მაგ ხუთს თუმანს დაგიბრუნებ. ძმებმა ანგარიში ქმნეს და მაინცა ძმურად დარჩნენო, ნათქვამია. მეორე ჩემი დიდი მადლობა მომიხსენებია შენთვის და ალექსანდრესათვის ბილეთების დახსნის თაობაზედ. ამასა გთხოვ, რომ თვალყური გეჭიროს, ვადა არ გაუვიდეს და ეგ ბილეთები არ დაიკარგოს, ვიდრე მე არ მოვალ.

ჩვენი ბანკის საქმე ამ უკანასკნელს კვირაში ძალიან კარგად წავიდა. თუმცა მანდაურები, მიზეზთა გამო სხვისა და სხვისა, არამც თუ ხელს მიმართვენ, ცდილობენ რომ რაშიმე და როგორმე დამაბრკოლონ, მაგრამ იმედია, რომ ყველა განსაცდელს გადვურჩე, საქმე ჩემდა მონდობილი აღვასრულო და მანდაურებს კი ავკაცობა შერჩეთ. დიდი სამდურავის წიგნი მოვწერე კნიაზს რევაზს, რომ უმიზეზოდ მე გული მატკინეს და შეურაცხმყვეს, რაღაც ეჭვი მომაცხეს. ღმერთმა მშვიდობა მიჰსცეთ. ქვეყანა ასე ყოფილა, არის და იქნება. მაგრამ როცა დრო მოვა, ყველა მიჰსცემს პასუხს ჩვენს უბედურს ქვეყანასა და უფრო უბედურს საზოგადოებასა. მაშინ ვნახავთ, ვისი გული იქნება წმინდა და ჩირქ-მოუცხებელი. მადლობის მაგიერ ჩემი შეურაცხყოფა და ჩემდამი შურიანობა იაფად არ დაუჯდებათ იმათ, ვინც ეხლა მე ორმოს მითხრის და ბადეს მიგებს, დრო გამოაჩენს ყველაფერსა და მაშინ იქმნეს „გოდება და ღრჭენა კბილთა“. დიდად და დიდად ვმადლობ კნიაზს რევაზს ანდრონიკოვს, რომ იმანაც არ დამინდო და ნებით თუ უნებლიეთ ჩემი გულის ტკენა მოინდომა სხვითა სიტყვით და მეცადინეობით. მაგასაც გავუძლებთ და ჩვენებურად საქვეყნოდ გადვუხდით სამაგიეროსა.

ამ კვირია ჩვენი ბანკის საქმე „გოსუდარსტვენნი სოვეტ-

ში“ უსათუოდ გადავა. ეს იყო ძნელი, და რაკი ეს მოხერხდა, უფრო იმედია რომ საქმე ჩვენი სურვილისამებრ დაბოლოვდება ნოემბრის გასვლამდე. ძნელი ეს იყო, რომ ეგ ექმნათ, რაკი ეგა ჰქმნეს, ახლა დიდი იმედია, რომ უსტავს დაგვიმტკიცებენ. ახ, ერთი დაამტკიცონ!.. მაშინ უყურე ჩემის კეთილის-მყოფელების ყოფას. რა დღესაც დაამტკიცებენ, იმავე დღეს. მანდ წამოვალ ზურგ-მაგარი და აღარავის შევეპოვები.

ალექსანდრე დიდის სიყვარულით მომიკითხე და ჩემმაგიერ დიდი მადლობა მოახსენე, რომ ბილეთების საქმე გამირიგა.

თქვენი ბედნიერად და მრავალჟამიერ სიცოცხლის მსურველი ერთის ძმა და მეორის ცოლის ძმა

ილიკო ჭავჭავაძე.

15 ღვინობისთვე. [1873]

ჩემი ადრესი; Петербург, на Караванной улице, дом № 18, квартира № 7.

52

საყვარელო დაო ლიზავ! არა გრცხვენიან, ესე როგორ დამივიწყე, რომ ერთი წიგნიც არ მომაწოდე. ეგრე უნდა განა? მე ძალიანა ვწუხვარ, რომ შენი ამბავი არა ვიცი რა და არც ალექსანდრესი.

შეიტყობდი, რომ ოლიკო ეხლა კარდანახშია. ეს ამბავი ძალიან კარგად მოხდა, იმიტომ რომ ოლიკოს მოსწყინდა ბაქო და ეხლა კარდანახში, როგორც ახალს ადგილში, ცოტად მაინც გაერთობა.

ჩემი ამბავი თუ გინდა შეიტყო, მე კარგადა ვარ, მხოლოდ საშინლად მომწყინდა აქ გდება, ამ ცივსა და უმზეო ქვეყანაში. სამი თვეა მზე თვალით არ მინახავს. საშინლად მინდა მაინდ წამოსვლა, მაგრამ საქმის გარემოება ჯერ ხანად ნებას არ მაძლევს. იმედი კი მაქვს, რომ იანვარში ყველაფერი კარ-

გად თუ ავად გათავდეს, მაშინ კი ერთს დღესაც არ დავდგები, მაშინვე წამოვალ.

მოუთმენელად ველი შენსა და შენის ქმრის მშვიდობიანობის ამბავს ამ ადრესით: Петербург, на Караванной улице, дом № 18, квартира № 7.

ალექსანდრე პატივისცემითა და სიყვარულით მომიკითხე.

შენი ძმა ილია ჭავჭავაძე.

15 დეკემბერი [1873 წ.]

53

[უთარიღო]

დაო ლიზო! ხვალ დილაზედ ნიკო ზურაბიჩი, იასე, დათიკო და მე საგურამოს მივდივართ. მე ისევ საღამოზედ დავბრუნდები. ესენი კი თიანეთს წავლენ სადილს უკან. შენი ჰირიმე, ჩემ მაგიერ შეეხვეწე ალექსანდრეს ხვალ წამობრძანდეს და შენც წამოგიყვანოს უსათუოდ. საღამოზედ ისევ ჩამოვიდეთ.

ბატონო სიძე ალექსანდრე დიმიტრიჩ! თქვენი ჰირიმე, უარი არ შემომითვალოთ. თუ წამობრძანდებით, მეც თქვენთან წამოვალ, თუ არა და ამათ გავყვები.

ილია ჭავჭავაძე

54

ჩემო კარგო და საყვარელო ლიზავ!

მე ძალიან დამნაშავე ვარ შენს წინაშე, რომ აქამდე პასუხი ვერ მოგწერე პირველ წერილზე. ვიცი მაპატიებ და ამიტომ ამის თაობაზე არა ვხედავ საჭიროდ სიტყვა განვაგრძო.

ჩვენ თუ გვიკითხავთ, ღვთის მადლით, კარგადა ვართ და რადგანაც ერთობ თქვენი კარგამყოფობაც ვიცი, ერთი ორად კარგადა ვარ. აქ ჯერ, მადლობა ღმერთს, დიდი შიში არ არის:

ხოლერა კანტი-კუნტად დაიარება. ნურც თქვენ შეშინდებით, ღვთის მადლით, მშვიდობით ჩაივლის ყოველისფერი.

მე ამას წინად რევაზ ვახვახოვის შვილს ვუთხარი, რომ ღვინო ტიტიკოს გადასცეს,—დამპირდა, რა წამსაც მივალ, მამაჩემს ვეტყვიო და ავასრულებო. მიკვირს, რად არ აუსრულებია დანაპირები. ყვარლის ღვინოები ჯერ ხანად როგორც არის ისე დარჩეს, მაინც ოცის მკათათვისათვის აღარ მოგვესწრობა.

შენის სახლების ამბავი ეს არის: ჩიკვაიძეს ნება მიუცია მებელისა და ავეჯის დაწყობისა ყიფიანისათვის. ეხლა თვითონ სადღაც გადიქსაქსნენ და მებელი და ავეჯი აქ უყრიათ, კარებდაკეტილში. მაინც, რაც შეიძლება, ვაკეთებინებ, ზოგიერთი ოთახები დავაცარიელეთ და იქ, რაც საჭიროა, ვაკეთებინებთ.

გიგზავნით რევაზ ვახვახოვთან წერილსა, გადაეცი და ღვინო მიიღეთ, ათი ჩაფი მითხრა, აქ რომ იყო.

იყავით მშვიდობით.

შენი ერთგული ილია ჭავჭავაძე.

9 ივლისი.

55

[უთარიღო]

ლიზო, ორგან, საცა კარანდაშით ჯვრებია დასმული, ხელი მოაწერე ასე: ქვრივი ღენერალ-ლეიტენანტისა ელისაბედ გრიგოლის ასული საგინოვისა.

56

[უთარიღო]

დაო ლიზავ!

კლეონკაში შეკრულია სამართებლები და საპარსი იარაღი, კაბინეთში, პირველ ფანჯარაზე სდევს და ამ ბიჭის ხელით გამომიგზავნეთ.

შენი ილია ჭავჭავაძე.

ხილს გიგზავნი. ოლგამ თავისი ბეწვი, რომელსაც ისე უფრთხილდებოდა, მცხეთასა და საგურამოს შუა დაჰკარგა და ვეღარ ვიპოვეთ.

57

[უთარიღო]

საყვარელო დაო ლიზავ! ტყუილად შეუწუხებიხარ დომინიკას: მაგოდენა მუხიანი ტყე საქართველოში ერთ ადგილას არსად მეგულება და მე საიდამ მექნება. ხუთი ათას დესეტინაზე ნაკლებ ტყეს ხელს [არ] მოვკიდებთო, — მაგოდენა ტყე რომ მქონდეს მეტი რაღა მინდოდა. შეატყობინე დომინიკას, რომ იმისი მოწერილი წერილი ჩემთვის არ არის.

შენი ძმა ილია ჭავჭავაძე

ვინ სტუმრები მოდიან?

58

ჩემო საყვარელო დაო ლიზავ! ძალიან მიამა, რომ მშვიდობის მგზავრობა გქონია და კარგად, შეუწუხებლად მისულხარ გურზუფში. უფრო ის მიამა, რომ კმაყოფილად დაბინავებულხარ და მანდაურობა მოგწონებია. ჩვენ, ღვთის მადლით, კარგადა ვართ. დღეს აქამომდე მე ქალაქში ვარ მომწყვდეული და ხვალ დილაზე მივდივარ საგურამოს. დიდი მზადება აქვს ოლიკოს ჩემ დღეობისათვის. მუზიკაც მოგვივი-

და, ერთის სიტყვით, დიდის ზარითა და ზეიმით დავხვდებით ილიაობას. მარტო ერთი დანაკლისი ის არის, რომ შენა და კატო ჩვენთან არ იქნებით ამ დღეს. მაგრამ ერთის მხრით ეს დანაკლისი ჰნელდება, რაკი შენ კარგად და კმაყოფილად მეგულები მანდ.

მწერ, სამოცი თუმანი კიდევ მომინდებაო. ეხლა გიგზავნი ოცს თუმანს, ოცსაც გამოგიგზავნი მარიამობისთთვე'ში და დანარჩენს ოცს საგზაოდ შეგინახავ. თუ ეს ჩემი განკარგულება არ მოგწონს, მომწერე და რასაც მიბრძანებ, ისე მოვიქცევი.

საძაგელმა ზალიკომ თავის ქალი ისევ საწყალ ოლიკოს მოახვია თავზე. ოლიკო ჯავრობს, მეც ყელში სისხლი მომდის, მაგრამ რას ვიზამთ. კიდევ რაღაც სკანდალი აუტეხნია და ამას წინად ზალიკოს წიგნი მოუვიდა, რომ საცა გინდა იქ წაბძანდი, მე შენს მამობაზე ხელს კაღებო. კარგი იქნება, რომ თავისი ქალი ჩვენ დაგვამწყრალოს. ზალიკოსაგან ყველაფერი მოსალოდნელია და შესაძლებელი. წიგნი მომწერე ხოლმე. შენი წიგნი დიდის სიამოვნებით წავიკითხე.

კატო დამიკოცნე.

– შენი ერთგული ძმა ილია ჭავჭავაძე

18 ივლისი.

59

საყვარელო დაო ლიზავ! დაგვიანებე განა თავი და წახვედი ვარშავაში და, დახე, აღარც-კი გვწერ წიგნსა. მართალია, არც მე ვარ შენთან პირნათლად, მაგრამ მე იმოდენად არ მომეკითხება ეს დანაშაული, რამოდენადაც შენ. მე ამოდენა საქმეებში ვარ გაბმული, რომ თავბედისა აღარა გამეგება რა. შენ-კი უფრო მოცლილი ხარ, და შენ რომ ათჯერ მოიწერო და მე ერთხელ, მე მაინც მეპატივება. ხუმრობა გაშვებით და რატომ არასა მწერ მანდაურობისას. გურზუფიდამ შენი ლამაზი და გრძელი წიგნი სიამოვნებით წავიკითხე და ნუთუ ვარშავაში გურზუფის ოდენა არა ნახე რა, რომ არ მომწერე, რო-

გორ გასიამოვნა მაგ სიშორე მგზავრობამ და მაგ უცხო ქვეყნის ნახვამა.

როგორ დაგხვდა მაკო და ტიტიკო? — ხომ კარგად არიან, ან ჩვენი კატუნია რა ქეიფზეა, ხომ არ გაჯავრებს. ჩემ მაგიერ უთხარი, ჰა, არავინ არ გაგაჯავროს-თქო.

შენი სახლები სულ გავაქირავე: ქვევითი ეტაჟა მივე ორმოცდაორ თუმან ნახევრად, შუა ეტაჟა სამოც თუმნად და ზევით ეტაჟა სამოცდაათად. მეტი არავინ მოგვცა და სწორედ გითხრა კაი ფასებია. ის პატარა სახლი, რომელიც გაბაშვილისათვის გინდოდა, ლამაზად გავაკეთე, მთხოვნელები ბევრნი არიან, მაგრამ არავის ვაძლევ, რადგანაც შენ გინდოდა გაბაშვილის ქვრივი დაგეყენებინა. როგორც მიბძანებ, ისე მოვიქცევი, ოღონდ მომწერე-კი, მოვუცადო გაბაშვილის ქვრივს, თუ სხვას მივცე.

იქით ქუჩაზედაც ვაპირობთ სახლების აშენებას, უკვე ის ძველ-ძული შენობა დავაქცევინე და ღვთით ამ ცოტას ხანში შენობას შევუდგებით. ფოდრიაჩიკთანა მაქვს მოლაპარაკება და ჯერ არ გამითავებია ლაპარაკი. ამ დღეებში ესეც გათავდება და შენობას ხელს მივყოფთ.

ჩვენ ჯერ კიდევ სოფლადა ვართ, ესე იგი, ოლიკო ჯერ არ გადმოსულა საგურამოდამ.

გიგზავნი შენის პენსიის წიგნსა. სენოს ადრესი ეს არის: Воронежо-Ростовская железная дорога, станция Подгорная. თუ წიგნის მიწერა გინდა, ამ ადრესით მისწერე, და თუ მაინდამ ამ გზით წამოხვალ, ამ სტანციაზე იკითხე და აქვე ეკიპაჟს იშოვი და სენასთან მიგიყვანენ. ის კი სჯობია, დეპეშით აცნობო წინადვე და თვითონ მოგაგებებს ეკიპაჟსა. შენს დღეობას დეპეშა შეცდომით გურზუფში გამოვგზავნეთ და უკანვე მოგვივიდა.

მომწერე შენი ამბავი და ისიც, როდის გვეწვევით დედაბუდიანად. მაკო და ტიტიკო დამიკოცნე. კატუნიას კი ჩემ მაგიერ ყური გაუწიე, იამება.

შენი ერთგული ილია ჭავჭავაძე.

60

დაო ლიზავ! შენ ვერ წარმოიდგენ, რა რიგად შემაწუხა შენმა წერილმა. იმიტომ კი არა, რომ საბუთი არ მიგიძღვის მომაგო ის, რაც მე ყოველ ცის-ამარა ღღეს მაფიქრებს და მაწუხებს, არამედ ისა, რომ არაქათი გავიწყვიტე და ვერას გავხდი. მამულებიდამ, როგორც მოგეხსენება, არაფერი შემოდის. პენსია მაქვს და თვეში ოცდაათს თუმანს ჩვენს ბანკში მიჭერენ თავნსა და სარგებელში. თუ არა გჯერა, ბანკში იკითხე. მე მარტო თვეში ხუთმეტის თუმნით-ღა ვცხოვრობ, და რადგანაც ეს არა მყოფნის, ვალს ვიღებ. აი ეხლაც რუსეთში წასასვლელი მიხა ჩიკვაიძემ მიშოვნა ოცდაათი თუმანი, თორემ წაუსვლელი დავრჩებოდი. მაპატიე, თუ კიდევ დაძმური გული შეგრჩა შენდობისათვის. მაინც და შენ კიდევ რაღაც ოთხას თუმანზე ლაპარაკობ. ჩემი ანგარიში გაქვს შენა, რაცა მმართებს და რაც მამიცია. იმ ანგარიშს შემდეგ კიდევ, ოცდაათი თუმანი გამოგიგზავნე ნიკოლოზის ხელით და შენ ბარათის მოცემა არ ინებე. მე ეს ორი ღღეა იმ ანგარიშს ვეძებ და სადღაც ქაღალდებში მიმემალა. შენა გთხოვ, ჩემი ანგარიში გადაწერე და გამომიგზავნე, რომ სახეში ვიქონიო, თუ სადმე რასმე გავხდი. ჩვენ ხუთშაბათს მივდივართ. ნიკოლოზი მომიკითხე. იყავ კარგად და მშვიდობით და კიდევ გთხოვ შემინდე, რომ ამდენი ხანია და შენი ვალი ვერ გადავიხადე.

მაინც შენი ძმა ილია ჭავჭავაძე.

14 თებერვალი.

61

საყვარელო დაო ლიზო!

შენი წერილი მომიტანა ჩიკვაიძემ და ძალიან მიამა. ასე მგონია, აქამომდე სადღაც გადაკარგულები ვიყავით მე და შენ და ეხლა ვიპოვეთ ერთმანეთი დაძმობისათვის. მადლობელი

ვარ, რომ მოგაგონდით და წერილი მოგვაწოდე. ოლგას დიდად იამა შენი მოკითხვა, — თუმცა თქვენ ერთმანეთს დაშორდით, მაგრამ ოლგას კიდევ უყვარხარ და შენთვის გული სტკივა.

საწყალ ნიკოლოზის სიკვდილი ძალიან შეგაწუხებდა და ეგ შეწუხება იქნება მიზეზი შენის ავადმყოფობისა. ნუ გეშინიან, ღმერთი მოწყალეა, ეგ შეწუხებაც მალე გაივლის და თან შენი ავადმყოფობაც გადაჰყვება, ღვთის მადლით.

იყავ კარგად და მშვიდობით.

შენი ერთგული ძმა ილია ჭავჭავაძე

24 აპრილი. 1907 წ.

XVI

წერილი იოსებ ორბელიანისადმი

62

15 იანვარს

საყვარელო ძმაო იოსებ! თქვენი წიგნი მივიღე და ძალიან ვწუხვარ, რომ ამ ჟამად არას გზით არ შემიძლიან მანდ ჩამოსვლა. ხომ მოგეხსენებათ, სამსახურის კაცი ვარ და ყოველს ჟამს სამსახურის თავის დანებება ჩემს ხელთ არ არის. ან რა საჭიროა ჩემი მანდ ჩამოსვლა: რაკი იმ საქმეში, რომლის თაობაზედაც მე მიბარებთ, თქვენ გარეულხართ, სრული იმედია, რომ ღირსეულად და რიგიანად წავა საქმე. თქვენი სახელი და პატიოსნება იმის თავდებია, რომ თქვენ ჩემს დას ჩემზედ მომატებულს ძმობას გაუწევთ და არც ერთს მხარეს უსამართლობას არ უზამთ. მე დიდად მოხარული ვარ, რომ ჩემს დას თქვენის შუამავლობით, შემწეობით და მფარველობით დაუწყვია თავისი საქმე თავისს მაზლთან.

თქვენა მწერთ, რომ სანდრო სამასის თუმნის ვექსილს აძლევსო ლიზოს, გარდა ამისა ორმოცდაათს თუმანს მაშინაო, როცა კოლონიის ფული გამოვაო და, მინამ იმ სამასს თუმანს ჩააბარებსო, წელიწადში ოცდახუთს თუმანს სარგებელს მისცემსო.

ეგ პირობები, თუ ლიზა დასჯერდება, არ არის ურიგო, მაგრამ, თქვენც მოგეხსენებათ, რომ პირობა ყოველი მაშინ არის კარგი, როცა შესრულდება. რა გარანტიას აძლევს სანდრო ჩემს

დას, რომ ეგე პირობები უდავიდარაბოთ შესრულდება? ვექსილს? — ცარიელ ვექსილს შუა და მის აღსრულების შუა დიდი სივრცეა. ცარიელი ვექსილი და მერე უვადო, რა გარანტიაა ლიზოსათვის მაშინ, როდესაც თქვენვე მწერთ, რომ სანდროს შამული სხვის ვალებსაც ვერ აუდგებაო. მაშ საიდამ უნდა მიიღოს ლიზომ თავისი ფული? ეს საქმე რომ ვექსილით დაბოლოვდეს, მე ვგონებ ბოლოს სადავიდარაბოდ გახდება. თუ სანდრო გულწრფელად მოწადინებულია და შინაურულად უნდა გათავება ამ საქმისა, აღარ უნდა ისურვოს, რომ ბოლოს ეს საქმე ისევ სადავიდარაბოთ გახდეს. შინაურულად მორიგება ძალიან კარგია მხოლოდ მაშინ, როცა საქმე ისე დაბოლოვდება, რომ მომავალისათვის შიგ სადავიდარაბოდ აღარა დარჩება რა. განუსაზღვრელად და ბუნდად გადაწყვეტა საქმისა სამაცდუროა იმისათვის, ვინც ბოლოს ამ საქმეს და მის გადაწყვეტილობას თავისათვის საზარალოდ დაინახავს და ამგვარი მდგომარეობა უსათუოდ დავიდარაბის ასატეხად წააქეზებს გულნაკლულსა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ამ საქმის გათავებას არ მოინდომებთ ისე, რომ ბოლოს ისევ სადავიდარაბოთ გახდეს. წარმოიდგინეთ, რომ ლიზომ მიიღო სანდროსაგან უვადო ვექსილი; წარმოიდგინეთ ისიც, რომ ლიზომ ჰსთხოვა სანდროს ვექსილის ძალით ფული და სანდრო არ აძლევს. მაშინ რა უნდა ქმნას ლიზამ? უჩივლოს? ხომ ისევ ასტყდა დავიდარაბა, რომელსაც ეხლა ისე ვერიდებით თქვენცა და ჩვენცა. რომ ეს ასე არ მოხდეს, აი, ჩემის აზრით, რა პირობებია საჭირო: 1) სანდრომ ჩემს დას დაუნიშნოს ორი წელიწადი ვადა მაგ სამასის თუმნის მისაცემად; 2) გარანტიად მიჰსცეს „ზაკლადნოით“ ღირებული გირაო იმ პირობით, რომ თუ ვინიცობაა ორის წლის განმავლობაში სანდრომ ლიზოს ის ფული არ მიჰსცეს, ლიზას ნება ჰქონდეს იმ გირაოს კანონისამებრ მოეპყრას; 3) ამ ორ წელიწადში სანდრომ წელიწადში ოცდახუთი თუმანი აძლიოს **в виде содержания вдовы, а не процентов, которые в указанном количестве воспрещены законом;** 4) გარდა ამისა, ნაღდად მიჰსცეს ლიზას ორმოცდა ათი თუმანი, როცა

კალონიის ფული გამოვა, რომელიც სანდრომ ულიზაოდ არ მიიღოს; 5) ლიზას დაუხსნან თავისი ნივთები ეხლავე.

ვერც ამაზედ მეტს და ვერც ნაკლებს, ჩემის ფიქრით, ვერ მოვსთხოვთ ვერც სანდროს და ვერც ჩემს დას. ჩემს დას ამასთანავე ვწერ წიგნს, და რაც თქვენთვის მომიხსენებია, იმასაც იმას ურჩევ.

თქვენი მარად ღრმად პატივისმცემელი

ილია ჭავჭავაძე.

XVII

ბარათი ალექსანდრე საგინაშვილისადმი

63

ბატონო ალექსანდრე დ ი მ ი ტ რ ი ჩ!

მინისტრმა ხვალ ათს საათზედ დაგვინიშნა დეპუტაციის მიღება. ცხრა საათზედ სრულის ფორმით მობძანდით ლონდონის გასტინიცაში ნიკო ჭავჭავაძესთან და იქიდამ ყველანი ერთად წავალთ. იმედი გვაქვს არ დაიზარებთ და მობძანდებით.

თქვენი მარად ერთგული ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

3 ოქტომბერი.

წერილი ეკატერინე გურამიშვილ—სტაროსელსკისადმი

64

[1875 წ.]

თქვენო აღმატებულებავ, ბაქოს ღუბერნატორის მეუღლევ, დიდთა გურამ-კურატპალატთა ჩამომავალო, ბრწყინვალე თავადის ილია ჭავჭავაძის ცოლის დავ, დიდის იმპერატრიცის ეკატერინეს სანატრელო თანა-მოსახელევ, ყუბისა და ფოთის მბრძანებელო და თვითმპყრობელო, უბილეთო შალიკოვის ყოველად მფარველო და მოწყალევ!

თქვენი უღირსი ძმა ილია ჭავჭავაძე კეთილ-მორწმუნე დუშეთიდამ უმდაბლესს სალამს გიძღვნით და ყოვლად მოწყალე ღვთის მიერ ითხოვს თქვენის აღმატებულების კეთილ-განწყობილად სუფევას ქრმითა და შვილებითურთ.

ფრიად მოხარულნი ვართ ჩვენ, რომ თქვენ ეგ ურჯულეთი მოგწონებიათ. საკვირველიც არ არის: ეგ განათლებული სპარსეთი მომიჯნავედ, ეგ მშვენიერი ზღვა, აგრონოვიჩის დიდი ულვაშები, ცომბირელი შალიკოვის გრძლად გაპტყელებული ცხვირი — ვის არ მოიყვანს აღტაცებაში. დაგნატრით, რომ თქვენ მაგ მშვენიერს სურათებს ყოველდღე ხედავთ. როცა ოციათასს თუმანს მოვიგებთ, უსათუოდ მოვალთ ბაქოს, რათა მაგ სურათების ხილვით ჩვენც დავჰსტკბეთ.

თუ აქაურს ახალს ამბებს იკითხავთ, ახალი ამბავიც ეს არის: მზე ყოველდღე ამოდის და ჩადის, დღისით ვარსკვლავნი არა ჩანან და ღამით კი ხანდისხან, ცა ისეთი ლურჯის ფერისაა, როგორც თქვენს დროს იყო, ზურაბ მორთულაძეს ის ვარანცოვული ტომარა რო ეცვა, რომელსაც ის სერთუკს ეძახდა, იდაყვებში გაცვდა და დიდათა ჰსწუხს.

(წერილი დაუმთავრებელია, თავისუფალი ადგილიც არის ბოლოში, ხელმოუწერელია. ჩანს, იგი წარმოადგენს წერილის შავს).

წერილები გიგო აფხაზისადმი

65*

ძალიან მეწყინა შენი უკანასკნელი წიგნი. მაგ შენს მეზვრეებთან მორიგებას და ბათილამის ჩამორთმევას ფინთი სუნი უდის და საძაგელი ფერი აქვს. თუ ღმერთი გწამს, გიგო, ეს ანდერძათ გქონდეს ჩემგან: არა საქმეში უზნეობა, უპატიოსნობა არ გაურიო. გახსოვდეს ყოველთვის, რომ ქვეყანაზედ ქაღალდის გარდა არის კიდევ სინიდისი, რომელზედაც იწერება პირობა იმ სიმკვიდრით და სიმტკიცით, რომ არავითარი ძალა არ ამოშლის და არ გააუქმებს. ⌜ადამიანთა ურთიერთობა შეუძლებელია დააფუძნო უზნეობის საწყისებზე და საქმე, რომელიც ზნეობრივი პრინციპების დარღვევიდან გამომდინარეობს, არავის გამოადგება, სამუდამოდ დაიმახსოვრე, რომ მოვალეობის გარეშე უფლება არ არსებობს, ხოლო მოვალეობა ისაა, რომ პატივი სცე, დაიცვა კიდეც სხვისი უფლება და არა დაარღვიო იგი. ყოველივე ეს მიუყენე ამ შემთხვევას და დაინახავ, რომ შენ მიერ წარმოებულ მებაღეობის საქმეს ზნეობის წესები არ მიუდგებიან და მეც, რა თქმა უნდა, ვერ დავეთანხმები. საქმე იმაში კი არ არის, რომ შენ მათი ხელმოწერით ამარიდე დავიდარაბას, რასაც კანონი მომაყენებდა. სრუ-

---

* წერილის შუა ნაწილი, რომელიც მოთავსებულია კავებს შორის ⌜ ⌟ რუსულად არის ნაწერი, აქ იბეჭდება ქართული თარგმანი (რუსული ტექსტი იხ. IV განყოფილებაში).

ლიად დაგავიწყდა, რომ ადამიანებს კიდევ სინიდისიც გააჩნიათ და სინიდისის მოთხოვნილება უფრო დიდია, ვიდრე მოთხოვნილება სამოქალაქო კანონებისა. არა, ჩემო კეთილო გიგო, სანამ ჩემს მიმართ ბიჭია და K° ნამუსიანად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, მე სინიდისი მათი უფლებების დარღვევის ნებას არ მომცემს.[1]

ამას ყოველიფერს იმიტომა გწერ, რომ მე ჩემს მოქმედებაში კანონის ნებართვას კი არ ვიმძღვარებ წინ, სინიდისის ბძანებას ვასრულებ ხოლმე. ამის გამო ვენახის ჩამორთმევაზედ მე თანახმა არა ვარ, ვიდრე არ დამაჯერებ, რომ ბიჭია და მისი კამპანია პირობას არ ასრულებენ. ბიჭიამ თვითონ გამომიცხადა, რომ გალავნის ვენახის კეთება ჩვენ ხელს არ გვაძლევსო. რადგანაც მაგ ვენახის კეთება ბიჭიას არ უნდა, უნდა ეკითხოს ტერენტისაც, და თუ ისიც არ ინდომებს, მაშინ შენ გააკეთე. დიდი ზვარი კი, მანამ სურვილი აქვსთ ბიჭიას და ტერენტის (უსათუოდ ორიცე'ს), და მინამ თავისას ასრულებენ, იმ დრომდე მაგათს უფლებებს მე ვერ შევეხები.

ისიც მეწყინა, რომ ჭაშნიკები არ გამოგზავნე.

შენი ილია ჭავჭავაძე.

ღვინოები არ დამიხარჯო და უჩემოდ არ გაყიდო.

19 ქრისტაშობა 1875 წ.

66

დიდის ყვარლის მებატონის დიდო მოურავო, ბრწყინვალეო თავადო გიგო! პირველად უფალსა ჩვენსა ვჰსთხოვ თქვენის ბრწყინვალების ბედნიერებით სუფევას, და მეორედ გახარებთ მას, რომ კუტრობასა ზედა თქვენმა ჩვილმა გასჭრა, ამა გაჭრამა გახსნა ჩემი ჯიბე თქვენდა საკეთილოდ და ამის გამო გიგზავნით სამს თუმანს. ამას წინად სიუხვემან ჩემმან მოგართვათ თქვენი ერთი თუმანი გოგია ღონიაშვილის ხე-

ლით. დარწმუნებული ვარ, რომ რისხვა თქვენი აქამომდე როზგს დაჰკრავდა იმ უბედურს თუმანსა და იმ თუმნიდამ ნაფლეთებიც აღარ იქმნება.

მილოცავ ჩვენის დიდის ღორის მშვიდობით განთავისუფლებას და შვილიერებას. მიხარის ეს ამბავი ფრიად, და ფრიადაც მშურს, რომ ჩვენი ღორის ძეობაში მარტო თქვენ დაესწროთ.

წოურის ვენახისას აი რას ბრძანებს ჩვენი ძაღალგონიერება: თუ გიორგიმ დაგიშალა გაკეთება, ამაზედ აქტი შეადგენინე მამასახლისს, აგრეთვე მოიქეც თუ გზა შეგიკრა. ის აქტი ჩვენს ხარატისშვილს გამოატანე ჩემთან და მე აქედამ საჩივარს გამოვგზავნი. გიორგი თავის კაი კაცობით იმოდენა სიკეთეს მიზამს, რომ ყოველს ზიანს ყოველ წლივ გადამიხდის და ამრიგად მაგ წოურის ვენახიდამ დაუსეტყვავი მოსავალი მექმნება. თუ შეგხვდეს გიორგისთან ლაპარაკი, ჩემ მაგიერ უთხარი, რომ რაკი ძალით წართმევა წოურისა გულში განუზრახავს, ჩემს სრულს ღონისძიებას ზედ გადავაგებ და მაგას კი არ დავებრიყვებინები. უთხარი, რომ დღეის ამას იქით ნურასფერში ნუ დამინდობს, და თუ მტრობა უნდა, პირდაპირ მიმტროს. იქნება ჩვენც შევიძლოთ პასუხის გაცემა. ჩატყდა მე და მაგას შუა ხიდი. თუმცა მე სრული მეცადინეობა ვიხმარე, რომ არ ჩატეხილიყო, მაგრამ რაკი მაგან ეგ მოინდომა, ბაშუსტა, ეს ბურთი და ეს მოედანი.

პიჭიას უთხარ, რომ რაკი ყვარლის ურმები ჩამოვა, მაშინვე ვიყიდი წყვილს ქვას და გამოვგზავნი. მხოლოდ გთხოვ ჰკითხო მანდ კარგს ვისმე მეწისქვილეს, რამოდენა სიგანის ქვები მოუნდება და მოუხერხდება ჩვენს წისქვილს, რომ იმოდენა ვიყიდო.

სხვებრ ბრძანდებოდე მშვიდობით, დიდო მოურავო პატარის მამულისავ, და მიგულე მე მზად თქვენის სამსახურისათვის.

ილია ჭავჭავაძე.

დუგანა და შარაბანი ჯერ მანდ იყოს, გაზაფხულზედ ჩამოვიგზავნე.

ღვინოები, თუ მუშტარი იყოს, გაყიდე ოცდა თორმეტ თუმნად ურემი, იმ პირობით კი, რომ ღარძლიან ჩაფით არ ამოიღონ და ზედ დასასხმელი არ ითხოვონ.

ცუცა თავის ცოლით მომიკითხე.

27 თებერვალი [1876 წ.].

67

შენი წიგნი, ჩვენო მოურავთ-მოურავო, გვებოძა. მაგრამ ის, რაც მინდოდა შემეტყო, ვერ შემატყობინა, თუმცა ჩვეულებრივ წიგნი გაჭრელებული იყო. მე მოგწერეთ, რომ პროტოკოლებში თუ ჩემის სახელით ხელმოწერილია, რომ მელქისედეგიანთ ტყეშიაც ხუთში სამი წილი აქვსთ, მაშინ უნდა ამას დათანხმებოდით და ამრიგად გაგეყოთ, თუ არა და უნდა გეთხოვნა,—შუა გაგეყოთ. ამისი შენს წიგნში არა არის რა. ელისაბედთან ჩვენ სანახევროდ უნდა გავყოთ და არა ისე, როგორც შენ იწერები.

აქ ამბობენ, რომ ნაცარმა ძალიან წაახდინა ყვარელში ვენახები და შენ კი არც კი მატყობინებ ვენახის ამბავს, თითქო უცხო ვიყო. ათი თუმანი სამკალად ითხოვე და დაგიხარჯავს კიდეც, როგორც დედაშენი მწერს, და მაგ ათის თუმნით სამი ურემი პური მოგიპოვებია. კაი სარგებელია. მაგრამ მე და შენ ერთი კაი ნუგეში გვაქვს: что с возу упало, то пропало. Но если так будет продолжаться, Бог даст, дойдем до того счастливого положения, что с возу нечего будет падать и тогда ничего не пропадет у нас.

მომიკითხე შენი თავი, ცუცა და ყველანი.

შენი ილია ჭავჭავაძე

12 აგვისტო [1876 წ.]

ა

დიმიტრი ყიფიანისა და ილია ჭავჭავაძის მიმართვა რაფიელ ერისთავისადმი

68*

მოწყალეო ხელმწიფე!

ჩვენ მონდობილი გვქონდა სხვათა შორის თქვენგანაც წარგვედგინა მთავრობისათვის წესდებულება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა ქართველთა შორის და გვეთხოვნა მისი დამტკიცება. ეხლა ეს წესდებულება დამტკიცებულია და ერთი დაბეჭდილი ეგზემპლიარი ამასთანავე მოგვირთმევია თქვენთვის, როგორც საზოგადოების დამწესებელი წევრისათვის. რადგანაც ეხლა საჭიროა, რომ ამ საზოგადოების საქმე დაწყობილ იქმნას, ამისათვის გთხოვთ მობძანდეთ საზოგადო კრებაში 15-ს მაისს დილის 11 საათზედ ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკის სადგურში და წარმოადგინოთ სია იმ თქვენ ნაცნობ სანდო პირთა, რომელნიც ისურვებენ ჩვენი საზოგადოების წევრათ გახდომასა.

თქვენნი უმორჩილესნი

დიმიტრი ყიფიანი

ილია ჭავჭავაძე

აპრილი 1879 ტფილისს.

---

* წერილი წარმოადგენს სტამბურად ნაბეჭდ ტექსტს, რომელიც დაეგზავნა დიმიტრი ყიფიანისა და ილია ჭავჭავაძის ხელმოწერით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელ (დამწესებელ) წევრებს, მათ შორის რაფიელ ერისთავს.

ბ

ძ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგის ილია ჭავჭავაძის ბარათი რაფიელ ერისთავისადმი

69

გამგეობა უმორჩილესად გთხოვთ მიჰსცეთ საქმის მწარმოებელს უფ. მეუნარგიას შვიდი თუმანი მომავლის ხარჯისათვის კანცელარიის მოსაწყობათ და მიღების ბარათი ჩამოართოთ.

ამხანაგი თავმჯდომარისა ილია ჭავჭავაძე
2 ივნისს 1879 წელსა.

ბ

ილია ჭავჭავაძის ბარათები და წერილები რაფიელ ერისთავისადმი

70

[1885 წ., 30 დეკემბერი]

გთხოვთ მეწვიოთ ხვალ საღამოს, სამშაბათს. ერთად მივეგებოთ ახალს წელიწადს და „ივერიის“ პირველ ნომერს.

71

[უთარიღო]

პარასკევს 1-ს ივნისს სადილად სამს საათზედ ჩემს სახლში მოწვეული მყავს თქვენი პატივისმცემელი გერმანელი მწერალი არტურ ლეისტი. გთხოვთ თქვენც მობძანდეთ.

72

[უთარიღო]

კნიაზო რაფიელ! თუ შეიძლება გაისარჯეთ და პატარა ხანს მობრძანდით ჩემთან. ძლიერ საჭირო საქმე მაქვს.

73

[1889 წ., ოქტომბერი]

თქვენი ჭირიმე, კნიაზო რაფიელ, ამ სტრიქონს ნუ ამოშლით. „Многая лета“ ნუთუ აკრძალული სიტყვაა? გეფიცებით, ამ ლექს[ს] წაუშლელად თვითონ ლუკა სტეფანისძეც კი დაუბრკოლებლივ გაუშვებდა. თქვენი ჭირიმე, ლექსს ნუ წაახდენთ, პასუხის გება ჩემი იყოს, თუ ვინმე რამ შეჰნიშნოს.

თქვენი ილია ჭავჭავაძე.

74

საყვარელო კნიაზო
რაფიელ დავითისო!

მე იმედი მქონდა ქართულთა წიგნთა მბეჭდავის საზოგადოების ფული მომეხმარა თქვენის იგავ-არაკთათვის, მაგრამ ამ საზოგადოებამ ამას წინათ გადაჰსწყვიტა, რაც ფულია სულ ალექ. ჭავჭავაძის ლექსების ბეჭდვას მოახმაროს. თუ ამ გზით აღარა გახდა რა, მე ვეცდები სიით ფული მოვაგროვო და მაგით ხელი გაუმართო ჭიჭინაძეს.

თქვენი მარად პატივისმცემელი
ილია ჭავჭავაძე

21 ივნისი [1896 წ.]

XXI

წერილი კოტე ყიფიანისადმი

75*

დიდად პატივცემულო კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე დიმიტრის ძევ!

მეტად სამწუხაროა, რომ ჩვენი თეატრალური საქმე ასე ფერხდება. ამხანაგობის წევრები დაიშალნენ და კაცი არ არის, რომ დასის საქმეზე იზრუნოს. მე თქვენი იმედი მქონდა, მაგრამ, როგორც თქვენი წერილიდან ჩანს, ამ საჭირო ზრუნვისაგან თქვენც გინდათ განთავისუფლდეთ. ვიზიარებ თქვენს აზრს, რომ 15 აგვისტოსათვის მთელი დასი უნდა შეიკრიბოს. როგორ მოხერხდება ეს, არ ვიცი. მთავარი ისაა, მე არ ვიცნობ იმ პირთ, რომელთაც საქმის სარგებლობისათვის დასში მოვიწვევდით. მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ მოგვითითოთ და ამიტომ გთხოვთ, მაცნობოთ მათი სახელები და მისამართები. მე თვითონ მივწერ მათ, იქნებ საქმე მართლაც როგორმე მოგვარდეს.

თეატრალურ საქმეში თქვენი გამოცდილება ძალზე დიდად შემიწყობს ხელს. ამიტომ, თუ თქვენ რჩევა-დარიგებას არ დაიშურებთ, დიდად დამეხმარებოდით. საგურამოში 3 აგვისტომდე დავრჩები. უაღრესად მაამებდით, თუ კი ინებებდით ჩამოსვლას. ამისთვის საჭიროა ჩამოხვიდეთ მცხეთაში, იქ იკითხოთ მედუქნე არტემა და იგი მოგცემთ ყველაფერს, რითაც ჩამოხვალთ ჩემთან საგურამოში.

გთხოვთ, გადასცეთ ჩემი მოკრძალებული სალამი ნინო იაგორის ასულს და დიმიტრი ივანეს ძეს.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

27 ივლისი [1880 წ.] საგურამო.

---

* წერილი რუსულად არის ნაწერი. აქ იბეჭდება ქართული თარგმანი (რუსული ტექსტი წერილისა იხ. IV განყოფილებაში).

რედ.

წერილები ალექსანდრე ნანეიშვილისადმი

76*

დეპეშა ტფილისიდან, 1880 წლის 21 დეკემბერს.

ბათუმი

მასწავლებელ ნანეიშვილს

მაცნობეთ, როდის იქნება მზად სკოლა გასახსნელად, რომ ამ დროისათვის ჩამოვიდე.

ილია ჭავჭავაძე.

77

ბატონო ალექსანდრე! დღეს უმიკაშვილის ბარათი მოჰვიდა და მწერს, რომ მანდ საჭიროდ დაგინახავთ ჩემი შეთაუ-ხი წერილები მანდაურ ბანკის თაობაზედ ცალკე ბროშიურად დაჰბეჭდოთ. მე თანახმა ვარ დაბეჭდვისა, თანახმა ვარ იმისიც-ზომ ჩემი სახელი მოსწერდეს ამ წერილებს. მხოლოდ რედაქ-ციის სახელით ნუ გამოსცემთ, იმიტომ რომ სასურველია მიზე-ზი არავის მივცეთ იმისი, ვითომც რედაქციას ცალკე ვისმე მომხ-რეობა უნდა. მე კიდევ ვაპირებ ზოგიერთის რასმის თქმას ყრი-

---

* იბეჭდება დეპეშის ქართული თარგმანი (რუსული ტექსტი იხ. IV განყოფილებაში).

რედ.

ლობის წინა დღეებში და არ ვარგა, რომ იფიქრონ ვითომცდა რედაქცია ვისთვისმე პროპაგანდობს. მე გირჩევთ, გამომცემელი არ დაასახელოთ და ისე გამოსცეთ. არც იმას გირჩევთ, რომ უფასოდ დაურიგოთ. ამასაც აზრს რასმე მისცემენ და საქმეს წაახდენს. სჯობია, ბროშიურას თუნდ სამი კაპეიკი ფასი დაუნიშნოთ და მერე თქვენ თვითონ თუნდა მუქთად დაურიგეთ, მერე ისე, ვითომ ეგ მუქთად დარიგება თქვენგან ვისგანმე არის და არა გამომცემლისაგან.

თქვენი ილია ჭავჭავაძე

31 აგვისტო [1890 წ.]

78

ბატონო ალექსანდრე!

თქვენი ბარათი ქალაქში დამხვდა. რადგანაც უმთავრესს საგანზე პასუხი უკვე მოწერილი მაქვს, ეხლა მარტო ერთი რამ მსურს დავუმატო. ჩემის მეთაურების წიგნაკს გთხოვ ზედ დააწეროთ: „ავტორის ნებართვით“ და ბოლოს ხომ ჩემს სახელსა და გვარსაც მიაწერთ. ძალიან კარგი იქნება, რომ მანდაურის ვისიმე სახელით გამოიცეს წიგნაკი. მე მგონია შემდეგისათვის ჩემს სიტყვას ძალა აღარ ექნება, თუ მე შემწამებენ ცდას წიგნაკის გავრცელებისას. საქმის სიკეთე ითხოვს, რომ ჩემზე ასე არ იფიქრონ და ამიტომაც სასურველია, რომ მაგ წიგნაკის დაბეჭდვა და გამოცემა მე არ დამბრალდეს. თქვენც დამეთანხმებით ამაზე.

თქვენი ილია ჭავჭავაძე

5 სექტემბერი [1890 წ.] ტფილისი

79

31 ოქტომბერი [1895 წ.]

ბატონო ალექსანდრე! ავიღეთ-დავიღეთ თქვენი წინადადება და აი რაზედ დავდეგით: თქვენ უსათუოდ მოგიწვიოთ თანა-რედაქტორად; ჯამაგირი დაგენიშნოთ 150 მან.

(ხუთმეტი თუმანი) თთვეში; ლასხიშვილიც მოწვეული იქმნას უსათუოდ და ჯამაგირიც მოემატოს; ოცი თუმანი თთვეში გარეშე თანამშრომელთათვის შეუძლებელია რედაქციამ ხარჯად დაიდვას, ამ მხრით ხარჯს ისე მოვეკიდოთ, როგორც საქმეთა მსვლელობა და შემოსავალი სახსარს მოგვცემს; თანამშრომელთა მოწვევა ჩემისა და თქვენის თანხმობით იქმნას ხოლმე; პირობა დაიდვას ჩემსა და თქვენ შორის, რომ ვიდრე გაზეთი არსებობს, თქვენ თქვენი ჯამაგირი გეძლიოთ იმისდა მიუხედავად, იქნება მაგდენი შემოსავალი თუ არა და თქვენც მოვალე იყოთ იშრომოთ.

რადგანაც თქვენი რედაქციაში შემოსვლა ფრიად საჭიროა, შესაძლოა ამისთანა პირობაც დავდვათ ჩვენ შორის: მე და თქვენ თანასწორის უფლების რედაქტორები და გამომცემლები ვიყვნეთ; რაც რედაქციას შემოსავალი ექმნება, შუაზედ გავიყოთ; თთვე და თთვე ამ ანგარიშში გეძლიოთ არა ნაკლებ ხუთმეტის თუმნისა, რომელიც მე უნდა გაძლიოთ ყოველ შემთხვევაში, დარჩება მაგდენი შემოსავლიდამ თუ არა; თუ, ღვთით, შემოსავალმა იქამდე იმატა, რომ ყოველი ხარჯი გაისტუმრა და წელიწადში ას ორმოცი თუმანი თქვენ გერგოთ და ას ორმოცი თუმანი მე, დანარჩენის წმინდა შემოსავლიდამ ნახევარი აქამომდე დახარჯულის დასაბრუნებლად გადიდვას და ნახევარი ან გაზეთის განსაკარგებლად და თანამშრომელთა მოსაწ[ვ]ევად, და ან თუ ამ მხრით გაზეთი საკმაოდ მოწყობილი იქნება, სანახევროდ ჩვენდა შორის გასაყოფად, ან კიდევ შივ — რედაქციაში მყოფთ თანამშრომელთა დივიდენდად. ამ თანამშრომელთა რიცხვში, რასაკვირველია, თქვენცა და მეც უნდა ჩათვლილ ვიქმნეთ. ყოველ ამასთან უნდა მოგახსენოთ, რომ მე კვირაში სამი დღე მაინც რედაქციაში უნდა ვიყო, იშვიათ შემთხვევათა გარდა, როცა ჩემი სამსახური ბანკში ამას მოითხოვს, და მძიმე უღელი თანამშრომისა მეც უნდა თქვენთან ერთად ვეწიო.

მე მგონია, ეს უკანასკნელი წინადადება უფრო სამჯობინარი იყოს, რადგანაც თქვენცა და მეც ერთნაირი სურვილი და წყურვილი გვექნება გაზეთის შინაგანის განკარგებით ჩვენც

ჩვენი გასამრჯელო მივიღოთ და სხვა თანამშრომელთაცა წაახალისებს დივიდენდის მიღება, თუ ზემოხსენებულ დანარჩენს შემოსავლისას ამისათვის გადავდებთ.

მოუთმენლად ველი თქვენს პასუხს ყოველს ამაზედ. კიდევ ვიმეორებ: მე და თქვენ რომ სწორის უფლების რედაქტორები და გამომცემლები ვიყვნეთ,— არც ერთი ჩვენგანი არ იზარალებს, ნამეტნავად თქვენ, რომელსაც ხუთმეტი თუმანი თთვეში — არის თუ არ არის — უნდა გეძლიოთ ჩემგან. ამ მხრით თქვენ უფრო მეტი გარანტია გეძლევათ, ვიდრე სხვა მხრით რითიმე, რადგანაც თქვენ პირდაპირ მონაწილე იქნებით რედაქტორობაში და გამომცემლობაში, ვითარცა თანასწორი გამგე და ამხანაგი.

ილია ჭავჭავაძე.

P. S. თუ რამ წვრილმანი ამ წერილში დანახული და განსაზღვრული არ არის,— ამას ადვილად მოევლება. საქმე იმაშია. რომ ან ერთი საფუძველი მიიღოთ ჩვენ შორის საქმის დასაწყობად, ან მეორე: წვრილმანებზე ადვილად მოვრიგდებით.

XXIII

წერილები ილია ოქრომჭედლიშვილისადმი

80

22 ოქტომბერი [1881 წ.]

ძმაო და მეგობარო ი ლ ი ა ვ! წავიკითხე შენი წყრომისა და რისხვის წიგნი. კაცო, მაგოდენა რა დაგიშავე, რომ გულიდამ ამომიღე სამეგობრო საუბრისათვის, ასე უსამართლოდ და უსაბუთოდ გამომიმეტე და დამაგდე მარტო ოფიციალურ მიწერ-მოწერისათვის. ჩუბინოვის იუბილეის გამო იწერები შენს სამდურავსა სხვათა შორის, არა მომწერე რაო. მოგწერე კიდეც და გავათავე. სამში ერთი, ან შენ დაგვიწყებია, ან მე თითონ მღალატობს ხსოვნა, ან ჩემი წიგნი არ მიგიღია. მე გწერდი, რომ ჩუბინოვის იუბილეის აქ არავინ არ თანაუგრძნობს, მას აქეთ, რაც ჩუბინოვმა ისე სასაცილოდ და, ჩვენში კი ითქვას, ისე სამარცხვინოდ ინება თავის ბიბლიოთეკის ჩუქების გამო. აქ ყველანი ძალიან ემდურიან: მეტის-მეტი სირცხვილი აჭამა ყველას. მოდი და ნუ იქნებოდა სირცხვილი: კაცი დაგვპირდა, ნოტარიუსთან ქალალდიც დაგვაწერინა, და როცა უნდა ხელი მოეწერა, დაჰკრა ფეხი და გაგვეპარა. ეს ძალიან იწყინეს აქ ყველამ, და ეს წყენა დღეისამდე არავის გადაუვიწყნია. ვისაც მე, შენის წერილის შემდეგ, ჩუბინოვის იუბილეი გავუხსენე, ყველამ ცივი უარი მითხრა. მე ჩემად ამ აზრისა არა ვარ, მაგისდა მიუხედავად ცოტა თუ ბევრი ღვაწლი მიუძღვის ჩვენს წი-

ნაშე ჩვენს დათიასა და ამიტომაც ჩვენის მხრით მაინც ღირსი იყო პატივისცემისა; მაგრამ მე მარტო ვერა შევძელი რა, ჩვენი დიდკაცობა, ხომ მოგეხსენება, მაგისთანებში მორიდებულია ყოველთვის და ფეხებზედ ჰკიდია ვისიმე ღვაწლი, ვისიმე გარჯა და შრომა საქვეყნო საქმისათვის. დარჩა ეგრედ წოდებული „ინტელიგენცია“, რომელიც ჩუბინოვისაგან გულნატკენობის გამო ისე გამწყრალია დღესაც, რომ არ იცის თვისი წყრომა და წყენა როგორ გადაახდევინოს. სწორედ გითხრა, არც უსაბუთოა ეს წყრომა, თუმცა კი იქამდე მისასვლელი არ იყო, რომ იუბილეით არ გვეცა პატივი ჩვენის მოხუცისათვის. თუ ღმერთი გწამს, ამისთანაებს ნუ შეაშლევინებ ჩვენს მეგობრულს განწყობილებას ერთმანეთთან. თუ იმას იმდურები, რომ გიგვიანებ პასუხებს, ან სულ არ გაწვდი, ეს კი უნდა სწორედ შემინდო სულგრძელობითა. არ იცი, რა ვაი-ვაგლახში ვარ ამ უმადურ „ივერიის“ გამო: ტყავი გამძვრა სულითა და ხორცით, ვერ ვიცლი შენებურის მიწერ-მოწერისათვის. ძალიანა მწყინს, რომ ამას არ აწერ ჩემ მიერ მიწერ-მოწერის გაუბმელობას და აბრალებ იმას, ვითომც შენს გულისნადებს მე არაფრად ვაგდებდე. არა გრცხვენიან ამასა მწერ!... ეგრე გამომეტება კაცისა გაგონილა? ეჰ, რაც არის, არის, მე იმედი მაქვს დიდხანს არ მამყოფებ მაგ ბრალ ქვეშ და ჩვენს მეგობრობას არ შეარყევ შენს გულში ისე, როგორც მე არ შევარყევ.

მომივიდა ჩუბინიშვილისაგან პირველი ნაწილი შენის წყალობით გამოცემულის ლექსიკონისა. რაც შეეხება გარეგანობას, მშვენივრად არის დაბეჭდილი და შიგნით კი მუშტრის თვალით ჯერ არ ჩამიხედნია, თუმცა კი ისე გადავათვალიერე და ამის გამო ჯერ ვერას გეტყვი. ჩვენი აქაური ამბები, რა მოგწერო. „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ დამავალა გაცნობო, რომ იგი შეუდგა ძველის მწერლების ნაშრომების ბეჭდვისათვის წიგნების მზადებას, ფული კი, როგორც მოგეხსენება, იოხტურ. ამის გამო მთხოვეს მოგწერო და გკითხო: შეეწევი, თუ არა. შენი დიდი იმედი აქვთ და შენგან მოელიან საკმაო შემწეობას. ჰსურთ დაბეჭდონ მეფე თეიმურაზი, არჩილ მეფე, კარგა მოზრდილი წიგნები გამოვა, ნამეტნავად უკანასკნელის თხზულება-

ნი. შემდგარია კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ტექსტის სიმართლის აღდგენა. კომისია უკვე მუშაობს და იმედოვნებს ჭალე მომზადდეს დასაბეჭდად. ეხლა შენღა გელოდებიან, რას იტყვი.

მე ამ წელს დავბეჭდე ოთხი წიგნი: „ძმური სიტყვა“, რომელიც უკვე მოგართვი, „ნაკვესები“ და „დამაკვირდი“, რომელთაც ამასთანავე გიგზავნი, და „ფშავური ლექსები“, რომელიც ამ დღეებში გამოვა და შენც მოგერთვა. არა მგონია დამიწუნო, რომ დრო და ფული ამ წიგნებისათვის გამოვიმეტე. კაი გასართობი წიგნებია ჩვენებურ მკითხველებისათვის და ძალიანაც იყიდება. წარმოიდგინე, „ძმური სიტყვა“ და „ნაკვესები“ ითქმის ორ-სამს თთვეში სულ გაიყიდა და ლამის მეორე გამოცემაც მოუნდეს. „დამაკვირდი“ კი მარტო დღეს გამოვიდა სტამბიდან და ამასაც ახლავე მუშტარი აუჩნდა.

ჩვენმა ბანკმა თეატრი გადააკეთა და მშვენიერი რამაც გამოდის. ფოიედ ქართული ძველებური დარბაზი გადავჭიმეთ და რომ ჰნახო აღტაცებაში მოხვალ შენც-კი, შენც, რომელიც ჰძრმე ხარ ხოლმე აღტაცებისათვის, იმიტომ რომ ყველგან ჩიგნით-ტიკებს უჩხრეკ საქმესა და გარეთი ზიზილ-პიპილები არად მიგაჩნია. თეატრის გუმბათზედ რვა სურათი იქნება დახატული: სხვათა შორის არის: რუსთაველი, გრიბოედოვი და მოსე ხორენელი; სომხებმა, რომელთაც ვსთხოვეთ, გვანიშნონ სხვათა გენიოსთა შორის მოსაქცევად ერთი ვინმე თავისიანი, მოსე ხორენელზედ უკეთესი და შესაფერი ვერა გვირჩიეს რა და ჩვენც ვუთხარით „ბალი აღაო“.

შენი წერილი ბროსსეზედ ხომ დავბეჭდეთ და ბევრიც გააწიწმატა, გემდურიან, ესე როგორ გამოიმეტე კაცი, რომელსაც ასე თუ ისე, ბევრი თუ ცოტა, საქართველოსთვის უშრომნიაო. ნამეტნავად გამწყრალია დიმიტრი ბაქრაძე და ამბობენ, პასუხს გიმზადებს რუსულ ენაზედაო. სხვათა შორის იმ წუნსა სდებენ შენს წერილსა, რომ ბროსსეს ავად ხსენებისათვის საკმაო საბუთები არ წარმოუდგენია ავტორსაო, თუმცა საკუთრად მე კი შენ მიერ ნაჩვენები საბუთები მეკმარა; სწორედ გითხრა, მაკლებში მე ბევრი არა გამეგება რა, მაგრამ მაინც როგორღაც

ჩემი გული ვერ იტევდა ბროსსეს ქება-დიდებას აქამდისაც. არ ვიცი რა მიზეზით, და ესე კი იყო თავდაპირველიდანვე. მე მინდოდა ჩემს გაზეთში ამის გამო მეთაური დამეწერა იმ განსაკუთრებულის განზრახვით, რომ შენი მეორე წერილი გამომეწვია, უფრო დასაბუთიანებული უჯეროთა დასარწმუნებლად.

ამის მომტანი ბ-ნი ფირალოვია. რადგან კარგი ყმაწვილი კაცია და მთხოვა შენს წინაშე პროტექცია გამეკეთებინა, — ვასრულებ იმის თხოვნას მით უმეტეს, რომ ყოვლის მხრით მართებული და რიგიანი ყმაწვილი კაცია. მომიკითხე შენი მეუღლე და შენი „ჟორჟი“. ჩემმა კნეინამ შენა და შენს სახლობას გულითადი პატივისცემა მოახსენა. შენ მიერ შერისხული მაგრამ მაინც შენი მეგობარი

ილია ჭავჭავაძე.

81

საყვარელო მეგობარო ილიავ!

წარსულ ხუთშაბათს შენის წიგნის საგანი შესახებ „წერაკითხვის საზოგადოებისა“ წარვუდგინე საზოგადოების გამგეობას. გადაჰსწყვიტეს, რომ ყველაზედ უწინარეს ვისრამიანი უნდა დაიბეჭდოს, ამოირჩიეს კომისია, რომ სია შეადგინონ დანარჩენის წიგნებისაც, რომელნიც ერთი ერთმანეთზედ უნდა. შენის შემწეობით, დაიბეჭდოს. გარდა ამისა, იმავე კომისიას მიანდეს გამოიკვლიონ ვისრამიანის დაბეჭდვას, წიგნის აკინძვას და სხვას ამგვარსა რა მოუნდება ფული და მას მერმედ შენ გაცნობონ. კომისიამ გამოიკვლია და ამ ცოტა ხანში მაცნობა. რომ ვისრამიანის დაბეჭდვას მოუნდება არა ნაკლებ ასის თუმნისა. თუ შენი ნება იქნება და ასი თუმანი ფული თავისუფლად გექნება, გამოუგზავნე ,,Обществу распространения грамотности среди грузинского населения Наместничества Кавказского‘‘ და მივყოფთ ხელს ჩვენცა ვისრამიანის ბეჭდვას.

დანარჩენის ძველის წიგნების სიას შეადგენენ თუ არა. დაუყოვნებლივ მოგართმევ. ჩვენმა გამგეობამ დიდის მადლო-

ბით მიიღო შენი უხვი წინადადება, პროტოკოლით მოისმინა და, რასაკვირველია, პირველსავე საზოგადო ყრილობაზედ საპატიო წევრად დაგნიშვნენ.

თუ ქალალდს მაინდამ გამოგზავნი, იქნება ცოტაოდენი ხარჯი ვისრამიანისა შემცირდეს, მაგრამ ბევრით კი არა. მაინც და მაინც ეგ შენს ნებაზეა მიგდებული. თუ რამ საჭიროდ დაინახო შენგან აღძრულ საქმის წარმატებისათვის და უკეთესად დაწყობისათვის, მაცნობე და მაშინვე წარვუდგენ გამგეობას. ჩვენ კი ჯერ ხანად ამაზედ მეტი განაჩენი არ შეგვიდგენია.

თეატრის საქმეს კითხულობდი. ავად შენი მტერი იყოს, ავად ეგ საქმეა. ორმა აქტიორმა აბაშიძემ და მესხიმ ანტრეპრენიორობა იკისრეს. აწინდელი მათი ტრუპა ძალიან კარგია, კომიკურის როლებისათვის კაცი თუ ქალი ასეთი კარგნი არიან, რომ ამ ჟამად უკეთესი არ უნდა ჩვენს საზოგადოებას. ამ მოკლე ხანში ერთი დრამატიული აქტიორიც შეიძინეს, კახელი ალექსი მესხიშვილი. პირველ დებიუტშივე ყველანი აღტაცებაში მოიყვანა. ტრუპა, სწორედ გითხრა, ლაზათიანია და ახალ ანტრეპრენიორებს ძალიან რიგიანად მიჰყავთ საქმე. მაგრამ რას იქ? ხალხი არ დადის იმოდენად, რომ ხარჯი მაინც ადგეს.

მე, ამისი მნახველი, აქეთ ვეცი, იქით ვეცი და როგორც იყო, ძალად თუ ნებით, აბონემენტი დავურიგე. ერთი თორმეტი ლოჟა გავასაღე და ოცდა ორი კრესლა. მაგრამ მაინც ცოტაა, ამითი ჩვენს ტრუპას სულს ვერ მოვაბრუნებინებთ. ცოდვაა, ღმერთმან იცის, მომაკვდინებელი ცოდვაა, რომ უღონობით და უილაჯობით ჩვენი თეატრი გაუქმდეს. წელიწადში ერთი სამასი თუმანი რომ გარედამ როგორმე მიგვეშველებინა, თეატრის საქმე გაიჩარხებოდა და ფეხს მოიმაგრებდა. თუ რან შეგიძლიან, ძმაო ილიკო, ნუ დაზოგავ, ხომ იცი, თეატრი რა დიდი რამ არის ჩვენისთანა დაცემული ხალხისათვის, მაგის მეტი ნაციონალობის ნიშანწყალი ჯერჯერობით ჩვენ არა გვაქვს რა. ეგ ერთი ადგილია, საცა ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს. ესეც საკმაოა, რომ კაცმა თავი გამოიდოს, თორემ თეატრს ხომ სხვაც ბევრი სიკეთე მოსდევს. შენ იცი, ძმაო,

თუ შენს უხვს და მოწყალე ხელს გამოუწვდი ამ სულმილეულს საქმეს, რომელსაც უილაჯობის სულთამხუთავი თავს ადგას და დღესა თუ ხვალ სულს ამოართმევს. იმედი მაქვს უპასუხოდ არ დამაგდებ.

მაგ უხეირო ჩუბინოვმა რა საქმე გვიყო? საქვეყნოდ დაგვპირდა ბიბლიოთეკას თქვენს საზოგადოებას ვაჩუქებო, მერე აიღო და ისე გაიპარა ქალაქიდამ, რომ არავის არ შეგვიტყვია. სასაცილო საქმე ჩაიდინა: შეგვყარა ყველანი, ქაღალდი დაგვაწერინა, რომ ბიბლიოთეკას ჩვენს საზოგადოებას უთმობს და ხელის მოწერაზედ რომ მიდგა საქმე, პირში ჩალა გამოგვავლო. პირღიად კი დავრჩით ყველანი.

სხვა აქაური ამბები რა მოგწერო: ყოველიფერი ძველებურად არის, ჩვენებურად: იგივ მთა, იგივ ბარი და იგივე გულაცრუებული ერი. კაცი არ არის გარეშემოში, რომ ადამიანის ნიშან-წყალი ჰქონდეს. ვყრივართ ისე — როგორც ნახირი ბაკში.

შენი ილია ჭავჭავაძე.

7 ნოემბერი, [1881 წ.]

82

ძმაო ილიავ! ამას წინად, შენგან გამოგზავნილი ას საშოცდაათი თუმანი რომ მივიღე, წიგნი მოგწერე და აქამომდე პასუხი არ მიმიღია. არ ვიცი, მოგივიდა ჩემი წიგნი თუ არა. უსათუოდ არ მოგსვლია, თორემ ორიოდ სტრიქონს არ დაიშურებდი. პასუხი საჭირო იყო აი რა მიზეზითა:

ასის თუმნის დანიშნულება პირდაპირ განსაზღვრული იყო შენგან, ხოლო სამოცდაათ თუმანზე ჭოჭმანი შევქენ. არ ვიცოდი და არც აქამომდე ვიცი, ანტრეპრენიორებს აჩუქე ეგ ფული, თუ თეატრის საზოგადო საჭიროების დასახმარებლად შეჰსწირე. შენის წიგნიდამ უფრო მეორე აზრი გამოვიყვანე. პირველი იმიტომ — რომ ეგ ფული პირდაპირ ანტრეპრენი-

ორებს არ გამოუგზავნე და მწერდი, არ ვიცნობ რა კაცნი არიანო და შენ გიგზავნიო. მეორე იმიტომ, რომ შენ თვითონ, როგორც ჩვენ ყველანი, თეატრის საზოგადო საჭიროებას ხელს უფრო შეუწყობდი, ვიდრე ცალკედ და კერძოდ შეჰსწირავდი ანტრეპრენიორებს. მაგრამ მაინც და მაინც მოგწერე, გადაწყვეტილად შეგეტყობინებინა ჩემთვის, ეგ ფული როგორ მოვეხმარა. ამის პასუხი ფრიად საჭირო იყო და დღესაც არის.

მომწერე როგორ მოვიქცე. რომ ამ შემთხვევაში წინ რამე საბუთი გაიმძღვაროო, მოგახსენებ შემდეგს:

1) ანტრეპრენიორები ძალიან უჩივიან უფულობას. ამაზედ ცოტა იჭვი მაქვს, ესე იგი, ის ეჭვი, რომ იმათ შემოსავალი უნდა ჰყოფნიდეს, იმიტომ რომ ხალხი, თუმცა ძალიან ბევრი კი არა, მაგრამ იმოდენა მაინც დაიარება, რომ ჯამაგირებს გაუძღვეს და ანტრეპრენიორებმაც თავისი გასამრჯელო აიღონ. მართალია, სეკტემბერში ცოტად იზარალეს, მაგრამ სხვა შემდეგს თთვეებში კი რიგიანი შემოსავალი ჰქონდათ და შემდეგში ხომ უფრო ექნებათ და ექნებათ.

2) თეატრს, საკუთრივ ჩვენს თეატრს, ბევრი სამუდამო საჭიროება აქვს. ტანისამოსი და ერთობ რეკვიზიტი მეტათ ნაკლები აქვს. შენგან გამოგზავნილი ფული ამ მხრით დიდად გამოსაყენი იქნება და სამუდამო საშველიცა. ანტრეპრენიორებისათვის ეგ სამოცდაათი თუმანი ერთის თვის ლუკმაა და მერე ისინი იმავე ყოფაში იქნებოდნენ, რა ყოფაშიაც შენს ფულებამდე იყვნენ და ამ გვარად ამ უკანასკნელ შემთხვევაში ეგ ფულები წყალში გადაყრილი ფულები იქნებოდა; მაშინ როდესაც მაგ ფულით ბევრი რამ შეეძინებოდა თეატრს საზოგადოთ, თუ მის საზოგადო საჭიროებისათვის გამოიზოგება.

ამის მიხედვით აი მე რა აზრზედ დავდეკი: ეგ ფულები მოვახმაროთ რეპერტუარის გამდიდრებას, ტანისამოსის და რეკვიზიტის შევსებას და სხვა წვრილმანს საჭიროებას, რომელიც საკუთრად თეატრს უნდა და არა ანტრეპრენიორებს. რადგანაც შემოსავალი არტისტების ჯამაგირებს (თვითონ ანტრეპრენიორებიც ამათ რიცხვში არიან) ჰყოფნის, ეგ ფუ-

ლები ცოტ-ცოტად მივაშველოთ ხოლმე ყოველს წარმოდგენას, ესე იგი, თთვეში ოთხჯერ მაინც. ეს მიშველება იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ნახევარი თეატრის ქირა მაგ ფულებით გადიხდებოდეს ხოლმე.

რადგანაც შენი პასუხი არ მომივიდა, მე ამ ხაზით მოვიქეცი როგორცა გწერ. საჭირო იყო ტანისამოსი, ათის თუმნის ტანისამოსი შეიკერა თეატრმა, და ოცდარვა თუმანი კიდევ თეატრის ქირაში მივეცი. იმ ათის თუმნისა და ამ ოცდარვა თუმნის ბარათი ჩამოვართვი ანტრეპრენიორებს, რადგანაც ეს ფული სრულად იმათ ჩაიბარეს. შენის ფულიდამ თეატრისათვის გამოგზავნილი დარჩა ჩემთან კიდევ ოცდათორმეტი თუმანი. თუ თანახმა იქნები ჩემს აზრზედ, ამ ფულს ისე გამოვუზოგებ, როგორცა გწერ, და უფრო დიდხანს ეყოფა ჩვენს თეატრს.

„ვისრამიანს“ სამი კაცი ვასწორებთ, ლექსიკონსაც ვუკეთებთ შენის აზრისამებრ და ამ ორ კვირაზედ დაბეჭდვასაც შევუდგებით. ველი შენს წიგნს.

შენი ილია ჭავჭავაძე

5 იანვარს [1884 წ.]

83

18 ნოემბერი, 1883 წ.

„ძმაო ილიავ!.. მწერ ჩუბინოვის იუბილეისას. ძალიან გულგრილად ეკიდებიან აქ მაგ საქმეს. ვფიქრობ და არ ვიცი, როგორ წამოვაყენო ფეხზედ ეგ ძალიან ძირ-დაცემული საქმე. ერთი რამ ვარჩიე, თუ შენც მოგეწონა: მოდი მაინდამ ერთი შენებური ცხარე წერილი მოიწერე, ასწერე ჩუბინოვის ღვაწლი და ნამუშევარი და სთქვი, რომ უმადურობა იქნება ჩვენ მიერ იუბილეი არ გადავიხადოთ-თქო. ჩვენ ამ წერილს გაზეთში დავბეჭდავთ, მერე ჩვენც მოვყვებით და ბუკსა და ნაღარას დავკრავთ, და იმედია, რომ სოფელი აშენდება. ძალიან კარგს იზამ, რომ მოიწვიო ხალხი საიუბილეოდ გაზაფ-

ხულისათვის. რასაკვირველია, თვითონ დავით ბატონიც აქ თბილისში უნდა მობძანდეს. დარიგება და სარისტიც იუბილეისათვის შენ შეგვიდგინე და მე გამომიგზავნე. ერთის სიტყვით, ჩვენი გაზეთი ეცდება, რომ ცა დააქუხოს და დედამიწა შესძრას. ყველაზედ უკეთესი დრო ამისათვის მაისია, ესე იგი იუბილეისათვის. მაშინ აქ ბანკებსა და სხვა საქმეების თაობაზედ ბლომად მოიყრის ხოლმე თავს ჩვენი თავად-აზნაურობა. აგიტაცია კი ორისა და სამის თვის წინადვე უნდა დავიწყოთ. იუბილეის თაობაზედ ეს არის ჩემი აზრი და სხვებისაც, რომელთაც მართალის გულით უნდათ მადლობის გადახდა მოხუცის სამსახურისათვის. შენ ამ იუბილეებში უფრო გამოცდილი კაცი ხარ და ამიტომ შენვე გთხოვთ, გვიწინამძღვრო და დანარჩენი ჩვენ ვიცით. ველი ამაზედაც შენს პასუხს.

ილიავ, თუ უკაცრავად არ ვიყო, შენც კი მგვანებიხარ მე, ცოტად თუ ბევრად. მე გთხოვე შენ ემინის ფრანგულიდამ ნათარგმნი წიგნი История литературы средних веков. ჩასწერე კიდეც შენს სახსოვარს წიგნში, მაგრამ... მაგრამ... რაღა მაგრამ? დღეს აქამომდე ამის თაობაზე არა ვიცი რა. მახლას! შენც ჩემებრ აზია ჰყოფილხარ და არა ევროპა. სეხნია სეხნიას ამ შემთხვევაში შორს არ წასვლია. მოდი ბარიბარში გამოვიდეთ: მე ხომ შენი დავალებული საქმე ცუდად თუ კარგად აგისრულე, შენც ჩემი დავალებული ამისრულე და გამომიგზავნე შევედრებული წიგნი. ხუმრობა გაშვებით და ძალიან დამავალებ, თუ ეგ წიგნი მიშოვნე.

აქაური ამბები რა მოგწერო. ხელმწიფე მობძანდა, იმხიარულა, გაგვამხიარულა და წაბძანდა. ამის ამბებს გაზეთებიდან შეიტყობდი. ხოლო აი შენთვის რა იქმნება ახალი. აქაური თავადაზნაურობა ადრესს უგზავნის ხელმწიფეს მადლობისას, რომ გვინახულა და იმედებით გაგვამხნევა. ამ ადრესში სამი მუხლია შენი საყურადღებო. ერთი ისა, რომ რადგანაც შენ საბაღდურში გვიბრძანეო, რომ საჭიროება საქართველოს თავად-აზნაურობისა ისე მაქვს გულში ჩაჩნეული, როგორც რუსეთის თავად-აზნაურობისა, — ჩვენ ამას იქით

ვიმედოვნებთო, რომ თქვენი მოხელენი დღეის იქით ამ თქვენს ყოვლად მოწყალეს სიტყვებს წაიმძღვარებენ წინ ყოველ საქმეში, რომელიც ჩვენ შეგვეხებაო. ჩვენ იმედი გვაქვსო, რომ დღეის იქით ჩვენს ღონეს, ჩვენს ერთგულებას, გზა მიეცემა სამსახური გაუწიოს ჩვენს ქვეყანას ყოველ იმ საქმეში, რომელიც შეეხება ჩვენს ეკონომიურ გაჭირვებას და საჭიროებასაო. ნება მოგვეცით ვინატროთო, რომ ჩვენთა შვილთა წურთვნასა და სწავლებაში ჩვენის ეკლესიის გარდმონაცემს, ჩვენს ენას, ჩვენს ისტორიას, შესაფერი ადგილი დაეთმობა, რადგანაც ყოველ ამაებში შენახულია ჩვენთა მამა-პაპათა ანდერძი, რომელიც უწმინდაესს ვალად გვდევს ჩვენ და ჩვენს შთამომავლობას ერთგულ მოსამსახურეთ ვეჭმნეთ თქვენსა ტახტსა და მთელ რუსეთსაო.

კომისიამ, რაც თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებამ დაავალა ადრესის დაწერა, ასეთი ადრესი მოამზადა და არ ვიცით თვით საგუბერნიო კრება, რომელიც 21-ს არის დანიშნული, მოიწონებს თუ არა. შენ რას იტყვი, ამგვარ აზრიან ადრესზედ?

მოგაწყინე თავი და სწორედ მეც გამიკვირდა ამბავი ჩემის თავისა, როცა დავინახე, რომ ორი ფურცელი ავავსე. მე, და ორი ფურცელი წიგნი დავწერო? ხომ არ გადავგვარდი და ზარმაცი აზია ბეჯით ევროპად გადავიქმენი!.. უნდა იცოდე, რა რიგად მეზარება წიგნის წერა, თუმცა შენთან სიტყვით თუ წერით ლაპარაკი თავის დღეში არ მომწყინდება და, როგორც ჰხედავ, შენ „**исключение**“ ხარ ჩემთვის და ზოგჯერ ბრტყელ ეპისტოლებს გწერ და, დავიქადებ, — მარტო შენა გწერ ხოლმე. ამით მე შენ კი არ გამუნათებ, მე ვიწონებ თავს ჩემის თავის წინაშევე და ვამბობ, — რა ყოჩაღი ვარ მეთქი. მომიკითხე შენი მეუღლე. ჩემი ჯალაბი შენცა და შენს მეუღლესაც თავის პატივისცემას მოახსენებს.

შენი ილია ჭავჭავაძე.

XXIV

სამძიმრის დეპეშა ნესტორ მესხისადმი სერგეი მესხის გარდაცვალების გამო

84

ქუთაისი

მცხეთიდან, 1883 წლის 26 ივლისს*.

ნ ე ს ტ ო რ მ ე ს ხ ს.

გადაეცით გარდაცვლილის მეუღლეს, დებსა და ძმებს, რომ გულწრფელად თანაეუგრძნობ მათ მწუხარებას. ღრმად ვწუხვარ პატიოსანი მუშაკისა და კუთილი ამხანაგის დაკარგვას, ვწუხვარ, ვერ ჩამოვედი, მანდ ყოფნით ვერ გამოვხატე მიცვალებულის ხსოვნისადმი ჩემი პატივისცემა. გვიან მივიღე ცნობა დაკრძალვის დღისა და ადგილის შესახებ.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

XXV

ბარათი დიმიტრი ბაქრაძისადმი

85

[უთარიღო]

ბატონო დ ი მ ი ტ რ ი ზახარიჩ!

თქვენ თურმე ალბომი გაქვთ ჩვენის მეფეების სახეებისა. თქვენი ჭირიმე, ცოტახანს მათხოვეთ. მინდა მხატვარს ვაჩვენო და ზოგიერთი სახე გადავაღებინო.

თქვენი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

---

* იბეჭდება დეპეშის ქართული თარგმანი (რუსული ტექსტი იხ. IV განყოფილებაში).

XXVI

ბარათი ჭ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავის გამგისადმი

86

[უთარიღო]

თუ შეიძლებოდეს, ერთის დღით მათხოვეთ „ივერია“ 1879 წ. №3. დიდს მადლობას მოგახსენებთ, თუ რომ ამაზე წინა ნომრებში მონახავთ ორს ნომერს კიდევ, საცა „ცხოვრება და კანონია“ და გამომიგზავნით.

ილია ჭავჭავაძე.

XXVII

ბარათი გიორგი თუმანიშვილისადმი

87

[უთარიღო. არა უადრეს 1884 წლისა]

პარასკევს 1-ს ივნისს სადილად მოწვეული მყავს **არტურ** ლეისტი. სადილი იქნება სამს საათზედ ჩემს სახლში. გთხოვთ **მობძანდეთ.**

წერილი დიმიტრი ყიფიანისადმი

88

მოწყალეო ბატონო, დიმიტრი ივანეს-ძე!

სიხარულით მომილოცნია თქვენი მარშლად დამტკიცება. მომილოცნია მარტო თქვენთვის კი არა, იმერეთისათვის ცალკე და ჩვენის ქვეყნისათვის საერთოდ. ღმერთმა მოგიმართოთ ხელი, რომ თქვენი სურვილნი ისე აღსრულდნენ, როგორც თქვენ და ჩვენც თქვენთან ერთად ვსასოებთ და ვნატრულობთ. თქვენი არჩევანი იმერეთში დიდი იმედია საზოგადოდ ჩვენთვის. დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი საკუთარი სურვილი ჩვენს იმედსაც გადემეტება, მხოლოდ ღმერთსა ვთხოვთ რომ გარემოებამაც ხელი მოგიწყოთ და სურვილნი თქვენნი აღგასრულებინოთ.

ვგონებ, აქამომდე მოგეხსენებოდათ, რომ თქვენს მედიატორებს გაუთავებიათ თქვენი საქმე და განაჩენი გაყრილობისა წარუდგენიათ ოკრუჟნოი სუდში. აღმოჩენილია, რომ სულ 340 დესეტინა გრგებიათ, მაშასადამე, ბანკში დასაგირავებლად მარტო ეგ რიცხვი დესეტინებისა იქნება წარმოდგენილი და ძალიან საეჭვოა ბანკიდან იმოდენა ფული მიიღო, რომ ფორაქოვს გაუსწორდეთ მარტო მაგ გზითა. უეჭველია დაგჭირდებათ სხვა ღონეც მოიძებნოს ფორაქოვის გასასტუმრებლად. მე მგონია, რომ არც ეს „სხვა ღონეა“ შორს საძებნელი. მე შევიტყე, დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლო-

ზის-ძეს მანდ ბორჯომის მიჯნაზე თქვენის მამულის სყიდვა ძალიან მოუწადინებია. იმედია, კაი ფასს მოგართმევთ, და იმიტომ ვისწრაფი გაუწყოთ ეს, მაინც და მაინც თქვენთვის საყურადღებო ამბავი იმ განზრახვით, რომ, თუ ეს ამბავი თქვენთვის არ მოუხსენებიათ, წინადვე უწყებულ ბრძანებულიყავით და სალაპარაკოდ მომზადებული, რადგანაც ამ საგანზედ აპირობენ თქვენთან გამოლაპარაკებას უსათუოდ ამ მოკლე ხანში.

დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ გავკადნიერდი და თქვენის შინაურის საქმეების გამო გაგიბედეთ სიტყვა. ამ შემთხვევაში მე მამოქმედებს ჯერ ის, ჩემთვის სასიქადულო, ნდობა თქვენი, რომლითაც მე ღირს მყავით არა ერთხელ ფორაქოვის საქმის გამო; მეორე ის, რომ ყოველთვის ჩემი გულითადი სურვილი ყოფილა თქვენი საკუთარი საქმეები კეთილად მოეწყოს და მით მოგეცესთ უფრო მეტი მოცალეობა და მოსვენება, რომ თქვენი დრო და მზრუნველობა დაუბრკოლებლივ და მთლად მოხმარდეს ჩვენს ქვეყანასა, რომლის სიყვარულიც თქვენ არა ერთხელ დაგიმტკიცებიათ.

თქვენი მარადის პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე.

[1885 წ.] აგვისტოს 28.

XXIX

წერილი დავით მესხისადმი

89

ქუთაისში 1885 წ. 9 ოქტომბერს

ბატონო დ ა ვ ი თ!

თქვენმა წერილმა მეტად უსიამოვნო ამბავი მოგვიტანა. ჩვენ რა გადამხდელები ვართო გაზეთის ვალისაო, რომ უთქვამთ — ვერაფერი საბუთია. მაშ აღმართის მხვნელმა ძალამ რომ კაცი გასრისოს, შველა არ უნდა? ნუთუ ყოველი მოღვაწე ღვთის ანაბარად უნდა იყოს ჩვენში მიგდებული? ნუთუ არავის ქვეყნისათვის მოღვაწეს იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ ფეხი წამასხლტინონ, მოძმენი ხელს მომაწვდიან და ფეხზედ დამაყენებენო? თუ ასეა, იყოს ნება მათი, ვინც შველაზედ უარს ამბობენ. ვალი ქართველიშვილმა გადაიხადოსო,—ნუთუ ზნეობითად ეს სამართლიანი საქმე იქნება? ქართველიშვილი აქ რა შუაშია? თქვენ ხომ ეს ამბავი კარგად მოგეხსენებათ. ყვავმა თავისი ბახალა ბუს მიუგდოო, შენ თავი დიდი გაქვს და შენ იტირეო. სწორედ ასეთი სამართალი იქნება ქართველიშვილს მოვახვიოთ ეს ვალი კისერზედ იმ საბუთით, რომ ფული ბევრი გაქვს და შენ ივალალეო. სად არიან ის თავგადადებულნიო, რომელნიც სერგეის ფულს აძლევდნენო? აქ არიან, მაგრამ განა საჩუქრად აძლევდნენ განსვენებულს თქვენს ძმასა ფულს, ყიდულობდნენ იმისგან გაზეთს. ეხლა სასყიდელი რა არის? გა-

ზეთი გაუქმდა და აიკრძალა. ერთის სიტყვით, „არ მინდას“ ისეთი ვეშაპის პირი აქვს, რომ ათასს მიზეზს გამოჰკრავს კბილს. ესა თუ ისე, სამწუხაროა ის ამბავი, რასაც თქვენ იწერებით. მაგგვარი სჯა და ლაპარაკი, რასაკვირველია, აქაც ხელს აგვიცრის, მაგრამ მაინც კიდევ ყოველს ღონისძიებას ვიხმართ, როგ აქ მაინც მოვაგროვოთ ფული; თუ ეს მოხდა, მაგალითი მაინც იქნება, რომ საზოგადოება უმწეოდ არ უშვებს უსამართლოდ დასჯილს. არზა მივეცი „ივერიის“ გაზეთად გარდაცვლაზედ. იმედს იძლევიან და არ ვიცი რით დაბოლოვდება.

გთხოვთ ეს წერილი მე და თქვენ შორის დარჩეს.

თქვენი ილია ჭავჭავაძე.

წერილები იონა მეუნარგიასადმი

90

20 დეკემბერი 1865 წ. ტფილისი.

დაგვანებე, ჩემო იონავ, თავი და დაგვაობლე ამისთანა გაჭირვების დღეს, ვსტირით და ვღრიალებთ უშენობის გამო, მაგრამ რა გაეწყობა? თურმე სოფელი ასეა. თუმცა შენ ბევრს გვაკლიხარ, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსას არ ვიშლით და ვჩხირკედელაობთ. 1-ს იანვრისათვის ვნახოთ ღერძი ბედისა როგორ დაიწყებს ტრიალსო. გიგზავნი გამოცხადებულს და ყველგან გაგზავნილ უწყებას ჩვენი ახალი გაზეთის გამოცემის თაობაზედ. ზოგიერთმა ჩვენგან ახლად შემოღებულმა სიტყვებმა და ტერმინებმა მოწონებისა და დაწუნების ღაღადი მოჰფინეს ჩვენს სალიტერატურო არე-მარეს. ჩვენ ვნუგეშობთ და ვამბობთ: значит, свет нас заметил. უარაობას კიდევ ესა სჯობია. ახ, ნეტავი ეხლა ჩვენთან იყო, ყინვამ მაგ უმადურ და უსიხარულო ქვეყნისამ გული არ გაგიყინოს და არ დაგეღუპოს შენდამი მსასოებელნი.

შენი ფსევდონიმი არც ერთი არ მომეწონა. აქ მოვიგონეთ ორი ფსევდონიმი: 1. „მე ვარ და ჩემი ნაბადი“, თუმცა გრძელია, მაგრამ შენთვის ზედ გამოჭრილია; 2. „აბედი“, ვითომ ნაკვესმა შენ ცეცხლი მოგიკიდა, როგორც აბედს, და შენ ჩვენ გადმოგვეცი. ეს უკანასკნელი კარგია, მაგრამ აკაკი წერეთელს

საბუთს მისცემს ქართული აბედი რუსულ обед-ად გადააქცი-ოს; მაშინ შენ სხვის სადილების მაძებარს გეძახოდა და დავცი-ნოდა. ორში ერთი ამოირჩიე და ტელეგრამით მაცნობე.

ასოებისთვის ფული საჭირო არ არის, რადგანაც თვითონ ასოები აქ ჩამოვასხმევინეთ და ძალიან ცოტა განსხვავება აქვს მანდაურებთან; წიგნები, რაც საჭირო იყო, დავიბარეთ ვიდრე შენი წერილი მომივიდოდა.

ნიკოლაძესა სთხოვე და შეეხვეწე ჩემს მაგიერ ჩვენს გაზეთს თავისი ნაწერებით შეეწიოს. მომიტევოს ამ ჟამად, რომ საკუთარს წერილს არ ვსწერ, ეგ იმისთანა კაცი არ არის, რომ ამის გამო გაგვიწბილდეს და გულიდან ამოიღოს ჩვენი გაზეთი, წვრილმანმა წვრილმანს მოუკიდოს ცეცხლი.

ქაღალდის თაობაზე სერებრიაკოვს წერილი მივწერე და პასუხს ველი. ჯერ-ხანად ,,Новое обозрение"-ს ქაღალდს ვიხმარებთ.

კაცო, რატომ არა გვწერ, ეგ ჩვენი მუხრან-ბატონი რას სჩა-დის და როგორ მიჰყავს ჩვენი საზოგადო საქმეები? შენგან მიკვირს და მეოცება. ღმერთს ვთხოვ, რომ სამერმისოდ არც ერთი შემემთხვას შენგან და არც მეორე. ასე, ჩემო იონავ, იყავ მშვიდობით და დღეგრძელობით და არ დაივიწყო, რომ შენ ერთადერთი მეგობარი გყავს და ის ერთადერთი

შენი ი ლ ი ა. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ა.

მოუთმენლად ველი შენს სტატიას. ოლიკომ მოგიკითხა. მოიკითხე ყველა ჩვენი ნაცნობები.

91

[უთარიღო]

საყვარელო ძმაო ი ო ნ ა ვ! შენი წერილი მივიღე და ვწუხვარ, რომ ვერაფერს სანუგეშოს ვერ მოგწერ. აი საქმე რაშია: ჩვენ ყოველს გასასესხს ვგზავნით დასამტკიცებლად სამინისტრო-ში, რომელსაც უნდა ვაჩვენოთ, რამოდენა შემოსავალი აქვს მამულს; ეს შემოსავალი ერთი 12½-დ უნდა აიღო და ის იქნება ფასი მამულისა. ამ ფასისა 60%-მდე შეგვიძლიან სესხად მივ-

ცეთ. რუსულად მოგწერ, რომ უფრო კარგად გაგაგებინო: Чистый годовой доход помножается на 12½ и произведение определяет стоимость имения. С этой стоимости выдается 60 %.

პრინცესას მამულს შემოსავალი აქვს, შენ იწერები, 4000 მანეთი, აქედამ კანონით უნდა გამოვიდეთ 20% სხვადასხვა ხარჯისათვის, დარჩება 3200 მანეთი. ეს 3200 მანეთი უნდა ავიღოთ 12½-ჯერ და გამოვა 40 000 მანეთი, მთელი ფასი მამულისა. აქედამ 60% შეიქმს 24 000 მანეთსა. ჩვენ ზოგიერთის მოსაზრებით ამაზე მეტი დავუნიშნეთ, სახელდობრ, 28 000 მანეთი, და ამასაც ვშიშობთ, — ვაი თუ სამინისტრომ არ დაამტკიცოს. ბევრიც რომ მოვინდომოთ, ზემოხსენებულ ანგარიშს ვერ წავუვალთ და ვერც ვერაფერს გავხდებით, რაკი შემოსავალი 4000 მანეთზე მეტი არ არის. სამწუხაროდ ჩემდა, შენს წერილზე ამაზე უკეთესს და მეტს პასუხს ვერ მოგახსენებ: რაც არ შეიძლება, იმას ჩვენი გამგეობა ვერ იქმს.

შენი ერთგული ილია ჭავჭავაძე

XXXI

წერილი გაზეთ „ივერიის“ მომავალ თანამშრომელთადმი

რედაქცია
გაზეთის
„ივერიისა“

92

მოწყალეო ხელმწიფევ!

გაზეთებიდან მოხსენებული გექნებათ, რომ პირველ იანვრიდამ 1886 წ. გამოვა ყოველდღიური ქართული გაზეთი „ივერია“, რომლის რედაქტორობა ვიკისრე . მე. რასაკვირველია, ამისთანა მძიმე ტვირთს მე ვერ ვიკისრებდი, თუ სახეში არა მქონოდა დახმარება და შემწეობა თქვენისთანა პატივცემულ მოღვაწეთაგან. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეგ იმედი, რომელმაც ესეთი ძნელი საქმე გამაბედვინა, არ გამიმტყუნდება. გაზეთის საქმე საერთო, საზოგადო საქმეა, იქნება სხვაგან ისე არა, როგორც საკუთრივ ჩვენში. თქვენი წარსული, თქვენი ყოფილი მოღვაწეობა ჩემთვის უტყუარი საბუთია მისი, რომ საცა საერთო, საზოგადო საქმეა, იქ თვითონ თქვენი გული იძულებულ გყოფთ მხურვალე მონაწილეობა მიიღოთ. მაშასადამე, აქ თხოვნა ჩემგან მეტია. მე მარტო საჭიროდ ვრაცხ მოგახსენოთ, რომ თქვენის კალმის ნაწარმოებისათვის ჩვენის რე-

დაქციის კარი ყოველთვის ღია იქნება და თქვენი თანამშრომლობა ყოველთვის სასიამოვნო და სასურველი.

გაზეთი გახლდებათ „დროებაზედ“ უფრო მომეტებულის ზომისა. თქვენდა საყურადღებოდ მომირთმევია პროგრამმა გაზეთისა.

თქვენის თანამშრომლობის მოიმედე,
თქვენი გულითადი პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე.
1885 წ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: წერილი (სტამბაში ნაბეჭდი ტექსტი) დაეგზავნა ილია ჭავჭავაძის ხელმოწერით ყველა იმ ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებს, რომელთაც ილია იწვევდა „ივერიაში“ თანამშრომლად.

კერძოდ ამგვარი წერილი ილიას გაუგზავნია ალექსანდრე ყაზბეგისათვის, სოფრომ მგალობლიშვილისათვის, ნიკო ლომოურისათვის, ეგნატე იოსელიანისათვის, დავით კარიჭაშვილისათვის და სხვებისათვის.

XXXII

წერილი აკაკი წერეთელისადმი

93

5 იანვარი. 1886 წ.

ძმაო აკაკი, მე შენ ვერ გაგიკადნიერდი და ვერ მოგართვი ის დაბეჭდილი წერილი, რომელიც სხვებს გავუგზავნე. სხვები სხვანი არიან და შენ ერთად-ერთი აკაკი ხარ. ამიტომაც, გარდა ჩემის საკუთარის წადილისა, მოყალეობამ მამულიშვილობისამ მაიძულა ჩვენის ქვეყნის „რჩეულისათვის“ რჩეული, განსაკუთრებითი წერილი მომერთმია და მეთხოვნა გაგემშვენიერებინა ჩვენი გაზეთი შენის ნიჭის ნაშუქითა. თუ აქამდე ეს წერილი დავაგვიანე, მაგას ნურც ჩემს განთქმულს ზარმაცობას მიაწერ, ნურც რომელსამე ავგუნებიან მოძრაობას ჩემის გულისას, რომელსაც შენ ყოველთვის სასიქადულოდ ეყოლები, როგორც უკეთესი მეომარი, ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისათვის თავგაწირული. მიზეზი ის იყო, რომ არ ვიცოდი სად იმყოფებოდი. ჯერ აქ მეგონე, ახალ წლის წინა ღამეს მოგიწვივე და პასუხად მომიტანეს, — ქალაქში არ არისო. დღეს შევიტყე, რომ ჩამოსულხარ და გწერ კიდეც.

გწერ და არ ვიცი, რა გთხოვო, და როგორ გთხოვო. რაც ხანი ჟურნალი „ივერია“ გამოდიოდა, შენ ძალიან შორს უვლიდი, არ ეკარებოდი: ეგ ჩემთვის თუმცა დიდი დანაკლისი იყო, მაგრამ საწყენი კი არა, რადგანაც ვფიქრობდი,—იქნება ჩემი მიმართულება არ მოჰსწონს-მეთქი. ეს ისეთი სამართლიანი საბუ-

თია, რომ ვერა გონიერი და პატიოსანი კაცი წუნს ვერ დაჰსდებს, წინ ვერ აღუდგება, სიტყვას ვერ შეუბრუნებს. რაკი ეს ვიგულისხმე, მეც „კისრად ვიღე და დავდუმდი“.

დღესაც ამ ყოფაში ვარ შენ წინაშე, რადგანაც ჩვენს ახალ გაზეთს იგივე მიმართულება ექნება, რაც ჟურნალსა ჰქონდა და მეც იგივე, რაც უწინ, გულითადი წადილი მაქვს, რომ შენმა სახელმა დაამშვენოს ჩვენი გაზეთი; გული მერჩის გთხოვო შემწეობა და გულის ხმად აღებული საბუთი კი მაფრთხობს: ვაი თუ ეს თხოვნა ზნეობითი ძალდატანება იყოს და იმ კაცს ჰოს თქმა გავუძნელო და არასიცა მეთქი.

მე ჩემი სათქმელი გულახდილად გითხარი, გულახდილადვე ზედ ვუმატებ, რომ უშენობა ჩემის გაზეთისათვის დიდი დანაკლისი იქნება. ეხლა შენ იცი. მაინც და მაინც გთხოვ — დარწმუნებული იყო, რომ შემეწევი თუ არ შემეწევი, ორსავე შემთხვევაში, სხვათა შორის, მეც ერთი გულწრფელი მადიდებელი და დამფასებელი შენის 25 წლის ღვაწლისა ვყოფილვარ. ვარ და ვიქნები.

შენი კეთილის მსურველი

ილია ჭავჭავაძე.

წერილები გრიგოლ ყიფშიძისადმი

94

[1886 — 1887 წწ.]

ბატონო გიგავ! „ივერიაში“ წავიკითხე, რომ ლონდონიდან რაღაც წერილი მოგსვლიათ ღვინის თაობაზე. ხომ მოგეხსენებათ, რა საინტერესოა ეგ ამბავი ჩემთვის და გთხოვთ თვით წერილიც მიბოძოთ წასაკითხად და თუ რამ სხვა ამბავიც იცოდეთ, მაცნობოთ.

თქვენი ილია ჭავჭავაძე.

წერილი მოსეს მიეცით და ეგ გამომიგზავნის.

95

[1889 — 1890 წწ.]

ბატონო გიგავ!

მოთხრობა წავიკითხე და არ ვარგა. მეტის-მეტი უჯერო ეპიზოდებია და უაზრო ერთობ. არ დაიბეჭდება. თუ ფელეტონები დაგაკლდეთ, ჰთარგმნეთ რამე მაინცა. ეს არ ვარგა. ფული დამავიწყდა, ვერ მოგეცით. სულ ერთია, 1-ს ავგისტოს ერთის დღით ჩამოვალ და მოგართმევთ. ორ დღეში ერთხელ ადამა გამოჰგზავნეთ მცხეთას გაბო ხერუმოვთან, გაზეთები გა-

ჰომიგზავნეთ ხოლმე და უბძანეთ, მინამ ჩემგან კაცი არ მოუვიდეს, მცხეთას მიცადოს ხოლმე. ხუთმეტს მანეთს ვგზავნი და ადრესისამებრ გაუგზავნეთ.

ილია ჭავჭავაძე.

გაზეთში, რაც აქ გაიგონეთ ილია სერებრიაკოვის დაპირების თაობაზედ, არაფერი მოიხსენიოთ.

P. S. ტყუილად მოვცდი ამ მოთხრობის გადასინჯვასა და გადასწორებაში.

96

[1890 წ., თებერვალი]

ბატონო გიგავ! გასინჯეთ, მგონი არ ვარგა, მე არ მომწონს; თუ ცოტა რასმე მაინცა ჰგავს, გაგზავნეთ ასაწყობად. თუ ეს წავა, მეთაური აღარ იქნება, თუ არ წავა, მაშინ ვეცდები დავწერო.

97

[1892 წ., 11 მარტი]

ბატონო გიგო! თქვენი ჭირიმე, ის ივერიები გამომიგზავნეთ, საცა ვაჟა-ფშაველას აფშინაა, გოგოთური და სხვა პოემები, ერთის სიტყვით, ყველა ის ივერიები, საცა პოემებია.

ილია ჭავჭავაძე.

98

[უთარიღო]

ბატონო გიგო! გიგზავნით არჩილ მეფის ლექსსა, ჩემგან დაწერილი სათაური მიეცით და თვით არჩილის სათაური სხო-

ლიოში გადიტანეთ, რაც ჩემის ხელით დაწერილია, იმის ზედჩართვით. სტუდენტების წერილსაც გიგზავნით.

ილია ჭავჭავაძე.

თუ რომელიმე სიტყვა ვერ' გაარჩიოთ, წერა-კითხვის ბიბლიოტეკის ეგზემპლიარიდამ შეასწორეთ. ეცადეთ შეუცდომელად დაიბეჭდოს.

99

[უთარიღო]

ბატონო გიგავ! თუ შეიძლება ან რუსული, ან ქართული ზუბალოვისაგან თქმული საბჭოში სიტყვა გამომიგზავნეთ, იქნება დავჯღაბნო რამე.

ილია ჭავჭავაძე.

100

[უთარიღო]

ბატონო გიგავ! მაჩხანელმა წერილით ფული მთხოვა და ამასთან დამავალა, რომ თქვენ გაუწყოთ პასუხი თხოვნისა. მე სესხად ფულის მიცემა არასგზით არ შემიძლიან და თუ ჰონორარს ითხოვს, ეგ თქვენ უნდა მოგელაპარაკოთ. უკაცრაოდ, რომ გაწუხებთ, მაგრამ მაჩხანელმა დამავალა თქვენის პირით პასუხი შემეთვალა.

თქვენი ილია ჭავჭავაძე.

101

ბატონო გიგავ! დიდად და დიდად გთხოვთ დღეს ექვსის ნახევარზედ ჩემთან მობძანდეთ: ძალიან და ძალიან საჭირო საქმე მაქვს და ერთს წუთსაც ვერ გადაიდება. ზაგურსკიმ რომ „ვოპროსები“ დაგვაწერინა, ისინიც მაიტანეთ თან.

ილია ჭავჭავაძე.

102.

[უთარიღო]

ბატონო გიგავ! ხვალინდელ „ზურნაში“ ღამბაშიძის თაობაზე ნურაფერს დაბეჭდავთ და გთხოვთ სახელდობრივ სასაცილოდ არავინ იყოს აგდებული.

ილია ჭავჭავაძე.

103

[უთარიღო]

ბატონო გიგავ! დღეს Медицинское общество-ში კრებაა ავჭალის წყალის თაობაზედ; ფრიად საინტერესოა და რომ წაბძანდეთ, ჩვენის გაზეთისათვის ანგარიში დასწეროთ, ურიგო არ იქნება. ადრესი ამ Общество-სი საპიორის ქუჩაა, საცა Медицинское управление ჰსადგურობს. ხვალ კიდევ საქალებო გიმნაზიის ზალაში მეორე კრებაა ქალებისა, ანასტასია თუმანიშვილის თავმჯდომარეობით. ამისიც რომ ვიცოდეთ რამე, ურიგო არ იქნება.

თქვენი ილია ჭავჭავაძე.

104

[უთარიღო]

ბატონო გიგავ! არ მესმის, ღმერთმან იცის, თქვენი საქმე და ამის გამო ჩემიცა. მაგალითებრ, დღეს ერთი სტრიქონიც არ იყო მზად სახვალიოდ და ერთმა თქვენგანმა არცკი დაინახა საჭიროდ წუხელ შემოსულიყო. საკვირაოდ ერთი სტრიქონი არ არის მზად და აი მეცხრე საათია და არც ერთი თქვენგანი რედაქციას ახლო არ ეკარება. მე ილაჯი გამიწყდა ამდენის თქმითა და ტყუილის ლოდინითა. ის მაინც წინადვე მითხარით ხოლმე, რომ

არა გსურთ სიარული რედაქციაში საღამოობით, მაშინ ჩემს თავს როგორმე მოვუვლი, თორემ ასე უთავ-ბოლოდ საქმის წაყვანა შეუძლებელია. დღე არ გადის თითქმის ისე, რომ შიში არ იყოს ნომერის გამოუსვლელობისა სახვალიოდ და მინამ თქვენის აქ მოსვლით შიში გადიყრება ხოლმე, მე ჩემი მემართება. თუ არა გსურთ და მოგწყინდათ რედაქციაში მუშაობა, მითხარით. ამ იანვრამდე როგორმე გვეტოტიალებინა საქმე კარგი იქმნება და მერე კი მეც თვითონ ხელს ვიღებ.

ილია ჭავჭავაძე.

XXXIV

წერილი სოფრომ მგალობლიშვილისადმი

105

1887 წელსა, 9 ივლისის დღესა. ტფილისი.

ბატონო ს ო ფ რ ო მ!

თქვენი წერილი მივიღე და, სწორედ მოგახსენოთ, ცოტა არ იყოს მეოცა. თქვენ მწერთ: „მე დამარწმუნესო, რომ თქვენ გამლანძღეთ და მერე ესევე მეთაურს წერილში გამოსთქვითო“ და სხვანი. ვინც დაგარწმუნათ, რომ მე გლანძღეთ, მაგისა პასუხი იმასვე უნდა მოჰკითხოთ. მე არა ვარ ჩვეული ენამტანიობით გაფუებული საქმე ვიძიო და ან ვისმე ამის გამო პასუხი ვუგო. რუსები ამბობენ: на всякое чихание не наздравствуешься''. ჭორებს ჩემ დღეში არ გავმკლავებივარ და არც ოდესმე გავემკლავები — ეს მე უკადრისობად მიმაჩნია. ამიტომაც ნუ მიწყენთ, რომ მე იმაზე არავითარს პასუხს არ ვიძლევი, რაზედაც თქვენ ვიღასაც დაურწმუნებიხართ.

რაც შეეხება მეთაურს წერილს, იგი თქვენ წინ არის და მიკვირს, სხვისი დარწმუნება რაღად დაგჭირებიათ, როცა, გულდინჯად რომ გაგესინჯათ, მაგ მეთაურს იმას არ დააბრალებდით, რასაც სხვისის დარწმუნებით აბრალებთ. მთელი მეთაური იმ საძაგელს და ყოვლად საზიზღარს პასქვილზეა დაწერილი, რომელიც მანდ თურმე დადის, რომელსაც მანდაური საზოგადოება სამართლიანის ზიზღით არ მოეპყრო და რომელიც, ჩვენდა სამ-

წუხაროდ, დასახელებული იყო თქვენს კორესპონდენციაში. სწორედ მოგახსენოთ, წინასწარ რომ მცოდნოდა, რომ თქვენგან წოდებული „ქალ-ვაჟიანის“ ლექსი რითიმე მოაგონებდა კაცს იმ საზიზღარს პასქვილს, არას გზით მის ხსენებას კორესპონდენციაში არავითარს ადგილს არ დავუთმობდი, თუნდ ამის გამო თქვენისთანა სასურველი და პატივ-საცემი თანამშრომელი დამეკარგნა. თქვენც დამეთანხმებით, რომ იმ პასქვილის ხსენება, ცარიელი ხსენებაც კი, გაზეთისათვის დიდი ჩამოუბანელი ჭუჭყია. რაკი ის წრეს გარდასული პასქვილი ახსენეთ, თქვენ, რასაკვირველია გეცოდინებოდათ რად ახსენებდით და ამიტომაც მოვალენიც იყავით ან შესაფერი დაღი დაგესოთ, ან სულ არ გეხსენებინათ. ეხლა კი ისე გამოდის, თითქოს გაზეთმა რეკლამა გაუკეთა და ვისაც გუნებაშიაც არა ჰქონია, იმასაც კი მადა გაუხსნა იმ პასქვილის წაკითხვისათვის. ეს აშკარაა, რომ გაზეთში ხსენებით იმ პასქვილს გასავრცელებლად გზა გაეხსნა და ნუთუ ეს შემაძრწუნებელი ამბავი არ არის გაზეთისათვის. მე ყოველს ეჭვგარედ დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ამისთანა განზრახვა არა გქონიათ, მაგრამ მით შეცდომა შეცდომად ჰრჩება და მე ჩემდა უწმინდაეს მოვალეობად ვიცან საქვეყნოდ გამომეცხადებინა, რომ ჩვენს გაზეთს იმ ყოვლად მყრალს პასქვილთან არავითარი კავშირი არა აქვს და თუ ჩვენს გაზეთში მისი ხსენებაა, ეგ ჩვენ არცოდნით მოგვივიდა, რადგანაც თქვენ არას იწერებოდით და ჩვენ გულთმისნები არ ვიყავით.

ითხოვთ, რომ რედაქციამ „ან დაამტკიცოს ჩემი უნამუსობა, უპატიოსნობა, უსინიდისობა და ქურდ-ბაცაცობაო, ან შეურაცხყოფისთვის პასუხი მაგოსო“. არ ვიცი, ეს სიტყვები რას ჰნიშნავს და რას მოასწავებენ? ნუთუ პასქვილის დამწერი თქვენა ხართ! თუ მაგისთანა ეპიტეტებია ხმარებული მეთაურში, ხომ მარტო პასქვილანტის შესახებ არის და თქვენ რა გზით და რა მოსაზრებით მიგიღიათ თქვენს თავზედ? ჩვენ, ჩვენდა სასიხარულოდ, ვიცით, რომ პასქვილი თქვენი არ არის და თქვენი მართებულობაც იმოდენად გვწამს, რომ მაგას თავის დღეში არ იკადრებდით და საიდამ სადა? მწერთ, სხვებმა დამარწმუნე-

სო, და აბა იფიქრეთ, კაცმა კაცს რომ პასუხი მოსთხოვოს მასზედ, რაზედაც სხვანი დაარწმუნებენ,—სად წავა? იქნება ბევრმა ბევრს სხვა რაზედმედაც დაგარწმუნოთ და მე რომ ამაების პასუხი ვუგო, მარტო ჭორების უკან დევნასღა მოვუნდები და ჩემს საკუთარს საქმეზედ კი ხელი უნდა ავიღო. გადაიკითხეთ მეთაური, სხვის დარწმუნება რად გინდათ, — და მაშინ ჰნახავთ, რომ თქვენ მარტო იმაზე ხართ გაკისწლული, რომ ჩვენს გაზეთს ახსენებინეთ ის, რის ცარიელი ხსენებაც კი ჩირქია მართებულის გაზეთისათვის.

ნუ მიწყენთ, რომ ასე გულახდილად გელაპარაკებით თქვენს განუზრახველს და უნებურს დანაშაულობაზედ. მე ჩემს თავს ამის ნებას ვაძლევ იმიტომ, რომ მეგულვებით ჩემს კარგ ნაცნობად და პატივსაცემ კაცად. მე თქვენი დიდი პატივისცემა მაქვს და ეს პატივისცემა დღესაქამომდე არ შერყეულა და ვერც ეს სამწუხარო ინციდენტი შეარყევს. ხოლო იგივე პატივისცუმა მაიძულებს არ დაგიმალოთ, და პირდაპირ მოგახსენოთ: დიდად საწყენი იყო, რომ თქვენს წერილში ეგ მყრალი და საძაგელი პასქვილი ღირსეულ დაღდაუსმელად დასახელებული იყო და ამით გაზეთს ბრალი უნდა დასდებოდა, რომ მის მიერ პასქვილს ცოტად თუ ბევრად გზა ეხსნება სასიარულოდ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეგ მოუფიქრებლობით მოგივიდათ და არა განგებ და, რადგანაც გული წმინდა გქონდათ, ფიქრადაც არ მოგივიდოდათ აგეწონათ, მარტო ერთი დასახელება პასქვილის რას მოასწავებს ამ შემთხვევაში. ეს ჩვენ კარგად ვიცოდით, მაგრამ გაზეთისათვის კი უნდა გვენაღვლა, რომ შორიდამაც არავითარიმე ჩირქი არ მოსცხობოდა და გუმანსაც კი თვისის ბრჭყალით არ გაეკაწრა წმინდა სახელი გაზეთისა. იქნება სთქვან: ეგ მეტისმეტი სიფრთხილეაო, მაგრამ, ჩემის აზრით, ამისთანა შემთხვევაში გადაჭარბებული სიფრთხილე ხკობია წინ დაუხედავს სითამამესა. თუ ჩვენს გაზეთში, ჩვენდა უნებურად, თქვენი საწყენი რამ გამოერია, გთხოვთ, როგორც ჩემს კარგს ნაცნობს და ჩვენის გაზეთის გულშემატკივარს, თქვენი წყენა ჩვენს განზრახვას არ მიაწეროთ, არამედ მეტის-

შეტს სიფრთხილეს, რომ ჩვენის გაზეთის სიწმინდე ჭორებსა და პასქვილებში გარევით არ შეიბღალოს.

იწერებით, გაზეთშივე გამოაცხადეთ, რომ მეთაური ივერიისა ჩემის ფელეტონით არ არის გამოწვეულიო. რას ეგვანება? ვინ რას იტყვის? ეგ ხომ პირდაპირი ძითითება იქნება თქვენზედ. განა არ იკითხავენ: თუ აქ ცეცხლი არ არის წაკიდებული, ეს ბოლი საიდამ გაჩნდაო. მე კი მეთაურში ვცდილობდი არავინ მიხვედრილიყო, ვინ შეგვიყვანა უნებურად შეცდომაში. ამიტომაც ფელეტონად კი არ ვახსენეთ თქვენი წერილი, არამედ რაღაც მოთხრობად, მაშინ როდესაც თქვენს მოწერილს მოთხრობის არა ეცხო რა და უფრო კორესპონდენცია იყო, სიდიდისა გამო ფელეტონად დაბეჭდილი.

გთხოვთ შესაფერის ზიზღით მოირიდოთ ყოველივე ჭორი და იმოდენად პატივი მცეთ მე, რომ თავის დღეში არ იგულისხმოთ, ვითომაც მე ყოველ გამვლელ-გამომვლელ მატრაკვეცას ჩემს გულის-ნადებს ხელის გულზედ ვუშლიდე მოედანზედ საბურთალოდ. თქვენც უნდა კარგად იცოდეთ, რომ მე მეტის-შეტად ძვირფასად მიმაჩნია ყოველი კაცის ღირსება და პატიოსნება და ნამეტნავად ჩემის კარგის ნაცნობისა. ამიტომაც მე ამაებში ყოველთვის ფრთხილი და მორიდებული ვარ და თავის დღეში არ ვიკადრებ, რომ ადამიანის პატიოსნება ჭორის სათამაშო ბურთად გავხადო.

არც კი ამას დაგიმალავთ, რომ მე არ ავჩქარებულიყავ და რიგიანად დავფიქრებოდი ჩემთან მოტანილ ამბავს, თქვენ შესახებ ჩვენის მეთაურის სიფიცხე ცოტად განელებული იქნებოდა. მაგრამ აქ ქალის ნამუსი და პატიოსნება იყო ხელშეხებული და ამის გამო ზიზღმა და აღშფოთებამ გადამავიწყა, რომ:

„ზოგჯერ სიწყნარე გმობილი
სჯობს სიჩქარესა ქებულსა“.

თქვენი პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე.

XXXV

წერილი ლუკა ისარლიშვილისადმი

106

ღრმად პატივცემულო ლ უ კ ა ისარლიჩ!

თქვენი ჭირიმეთ, ამ საგრამატიკო საგნების პროგრამის გამო ნუ აგვიტეხთ ხათაბალას. მარკას მოგართმევთ, რადგანაც საგაზეთოდ არ არის დაბეჭდილი და ხელი მოგვიწერეთ. თქვენი ჭირიმე, ნუ დაგვაბრკოლებთ.

თქვენი გულითადი პატივისმცემელი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

8 მარტი [1886 — 8 წ წ.]

XXXVI

წერილი ეპისკოპოს ალექსანდრე ოჭროპირიძისადმი

107

12 თებერვალი [1888 წ.]

თქვენო მეუფებავ და ჩვენო სასიქადულო მღვდელ-მთავარო!

თქვენი წერილი მივიღე და დიდის სიხარულით ვკისრულობ თქვენს სამსახურსა, მხოლოდ უნდა მოგახსენოთ, რომ არა მგონია ჩემმა შუამდგომლობამ გასჭრას. თხოვნით კი ძალიანა ვსთხოვ და ღმერთმა ჰქმნას თქვენი სურვილი აღსრულდეს და მეც საბუთი მით მომეცეს ვინუგეშო, რომ თქვენ ჩემის მცირე სამსახურით გასიამოვნეთ.

თქვენის მეუფების ლოცვა-კურთხევის მონატრული

ილია ჭავჭავაძე.

XXXVII

წერილი არტემ ფირალოვისადმი

108*

[1886]

მომიტევეთ, რომ თქვენი 28 თებერვლის წერილს ასე გვიან ვპასუხობ. საქმე, რომელიც მე მომანდეთ, როგორც მოგეხსენებათ, ისეთი ხასიათისაა, რომ საჭირო იყო დიდი სიფრთხილითა და წინდახედულობით მომეძებნა შესაფერისი გზები. ამას დიდი დრო დასჭირდა, და მოხარული ვარ, დრო რომ უქმად არ დაიკარგა და ღრმად პატივცემულ ნ. ი. შელგუნოვს რაღაც მაინც გავუკეთე.

ათასი ძებნისა და მერყეობის შემდეგ, თუ ვისთვის მიმემართა და როგორ მოვქცეულიყავი, ჩემმა კეთილმა ამხანაგებმა მირჩიეს, მიმემართნა ჩემი კარგი ნაცნობისათვის — გენერალ-მაიორ ქიშმიშევისათვის, რომელიც სათადარიგო ბატალიონებს განაგებს. მე უმდაბლესი თხოვნით მივმართე, რომ შეემსუბუქებინა მდგომარეობა ახალგაზრდა შელგუნოვისა, ავუხსენი ყველაფერი, რაც თქვენი წერილიდან ვიცოდი. ის დიდი თანაგრძნობით მოეკიდა ჩემს თხოვნას და დამავალა ნ. ვ. შელგუნოვისთვის გადამეცა შემდეგი: „იგი, ქიშმიშევი, მალე გაემგზავრება ალექსანდროპოლში ინსპექტორული დათვალიერებისათვის და მიზეზი ექნება იმისა, რომ იკითხოს ახალგაზრ-

---

* წერილი რუსულად არის ნაწერი. აქ იბეჭდება ქართული თარგმანი (რუსული ტექსტი წერილისა იხ. IV განყოფილებაში).

და შელგუნოვის ამბავიც. ქიშმიშევს იმედი აქვს, ბატალიონის უფროსი კარგად დაახასიათებს ახალგაზრდა შელგუნოვს და მაშინ იგი პირადად გადასცემს განკარგულებას მისი მდგომარეობის შემსუბუქების შესახებ, ანდა, — მითხრა მან ბოლოს, — მე მომეცემა შესაძლებლობა ვიშუამდგომლო მის შეწყნარებაზე ან ვადის შემცირებაზე.

ასე თუ ისე მე ყველაფერს ვიღონებ, რომ რაღაც სარგებლობა მაინც მოვუტანო ახალგაზრდა შელგუნოვს“.

მე, რა თქმა უნდა, არ მოვეშვები ქიშმიშევს, სანამ თავის დანაპირებს არ შეასრულებს.

ამის მოლოდინში მეტად მეამება ამ კარგი ამბის ცნობა შელგუნოვისათვის, რომლისადმი მე თვით უნივერსიტეტის მერხიდან გულწრფელი და ღრმა პატივისცემით ვარ გასშჭვალული. ამასთანავე დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენ, რადგან მომეცით საშუალება, დიდი კმაყოფილებით გავუწიო სამსახური ისეთ პატიოსან მოღვაწეს, როგორიც ნ. ვ. შელგუნოვია: იშვიათად თუ მღირსებია ასეთი საამო დავალება.

(წერილი წარმოადგენს შავს. ხელმოუწერელია).

XXXVIII

წერილი ნინო ანდრონიკაშვილ—ჯორჯაძისადმი

109

3-го Августа, [წელი აღნიშნული არაა]
ტფილისი.

მოწყალეო ბატონო კნეინა ნ ი ნ ო!

ხელზედ კოცნას მოგახსენებთ წერილის ბოძებისათვის. მართო ერთს რასმე ვწუხვარ: რად გიფიქრიათ, რომ მე თქვენი ძლად საუბარი მეწყინებოდა? ბძანებთ, მსურდა გრძლად საუბარი, მაგრამ მეშინიან თქვენის წყრომისაო. კარგს ნაცნობთან გძლად საუბარი გძლადაც საამურია და ნება მიბოძეთ ჩემი გულნატკენობა გამოგიცხადოთ, რომ ეგ სიამოვნება ამ ხანად მომაკელით. იმედი მაქვს, — მაგ უმიზეზო შიშს შემდეგში იმოდენა ნებას არ მისცემთ, რომ თქვენი წერილი შეგამოკლებინოთ და მასთან ერთად ჩემი სიამოვნებაცა. ვინატრი, რომ ეს პირველი წერილი თქვენი არ იყოს უკანასკნელიცა და გთხოვთ წინადვე იცოდეთ, რომ რაც უფრო დიდი წერილი იქნება, მით უფრო დიდს სიამოვნებას მომმადლებთ.

ეს რა ამბავია ამოდენა ქება-დიდება, რომელიც ჩემთვის შემოგითვლიათ? მე თქვენმა ბევრის მხრით ლამაზმა წერილმა ამ მხრით ცოტა არ იყოს ძალიან ჩამაფიქრა. ნუთუ მართლა ამ ქება-დიდების ღირსი ვყოფილვარ და მეკი აქომამდე არ ვიცოდი? ჩემის ფიქრით, ქება-დიდება იმისთანა განძია, რომელიც ძალიან ძვირად და იშვიათად უნდა იხარჯებოდეს, და თუ კაცი გაიმეტებს, იმოდენად უნდა, რომ ზედ გამოჭრილი იყოს

ქებულის ღირსებაზედ. უსაფუძვლო წუნს ადამიანი უფრო ადვილად შეიფერებს, ვიდრე უსაფუძვლო ქებას. რა თქმა უნდა, ეს ამოდენა ქება-დიდება თქვენს ხელს-გაშლილს გულუხვობას უნდა დავაბრალო და არა ჩემს ხელმოკლე ღირსებას. მომიტევეთ, რომ ამას გიბედავთ, და გიბედავთ იმიტომ, რომ ჩემი ღირსება დედაბუდიანად ერთს თხილის ნაჭუჭშიაც თავისუფლად მოთავსდება და თქვენ მიერ შემოთვლილს ქება-დიდებას კი საძნე ურემიც ვერ დაიტევს.

თქვენი წერილი რომ წავიკითხე, სხვა არა დამრჩა რა იმის მეტი, რომ მენატრა: ნეტავი მართლა მაგეთი კაცი ვიყო-მეთქი. მაგრამ რაღა დროს! ჩემი მზე უკვე გადახრილია და ჩადის და ვინატროთ ყოველივე ეს იმისათვის, ვისიც მზე ახლად ამოდის. მაინც და მაინც ჩემთვის სასიქადულოა, რომ თქვენს თვალში ეგრე სანატრელად გამოვყევარ ბედსა, რომელსაც— ჩვენში კი ითქვას — ხშირად სიბრმავესაც სწამობენ ხოლმე და მაშასადამე ცდომასაც.

მიბძანებთ, გურასპიშვილს როგორმე გზა მიეცით ან ყირიმში წავიდეს სასწავლებლად, ან სემინარიაში შევიდეს სახელმწიფო ხარჯითაო. ყოველივე ეს ყოვლად შეუძლებელია ამ წლობით მაინც. სემინარიაში, მითხრეს, გლეხ-კაცის შვილს არ მიიღებენ სახელმწიფო ხარჯითაო. ყირიმში კი შესაძლოა გაგზავნა, მაგრამ იქაც საკუთარი ხარჯი უნდა და ვისის ხარჯით გავგზავნოთ? თუ ბანკის იმედია, ბანკს ეხლა ნება არა აქვს მაგისთანა ხარჯი გასწიოს, რადგანაც მაგისთანაებისათვის გადადებული ფული თავ-თავის კუთვნილებისამებრ უკვე განაწილებულია წარსულის კრებისაგან და ახალი კრება-კი მერმის მაისს მოხდება მხოლოდ, და ისიც ვინ იცის, მაშინ მაინც ეღირსება თუ არა გურასპიშვილს ეგ ბედი. მთხოვნელები ბევრნი არიან ხოლმე და მათ შორის უკეთესს ირჩევენ, ერთი ღონეა თქვენ წყალობილს ეშველოს რამე და თუ ეშველება, დიდად მოხარული ვიქნები, იმიტომ რომ ჩემ საკუთარ სიამოვნების გარდა თქვენც გასიამოვნებთ. აქ ქალაქში ერთი სამეურნეო სკოლაა, მუშტაიდის ბაღთან. იქ შესაძლოაო, მითხრეს, მი-

იბარონ სახელმწიფო ხარჯითა. თუ გურასპიშვილი მოისურვებს, მე ყოველს ჩემს მეცადინეობას ვიხმარებ, როგორმე მივაღებინო. სკოლა არ არის ურიგო და იქიდამ გამოსული ბევრით ნაკლები არ არის ნიკიტინის სკოლიდამ გამოსულზედ. დაეკითხეთ გურასპიშვილს და პასუხი მიბძანეთ. სამ რიგად სასიხარულო იქნება ჩემთვის თქვენი პასუხი: ერთი, რომ გლეხკაცს, სწავლის მწყურვალს, იქნება ჩემგან ეშველოს რამ, მეორე — თქვენი ბძანება ჩემ მიერ შესრულდება, თუ ღმერთი შეგვეწევა, და მესამე — თქვენი წერილი კიდევ მეღირსება. ამ სამს რიგს კეთილში რომელი რომელსა სჯობია, ძნელი გამოსაცნობია, და სამივ ერთად-კი, ერთ კონად შეკრული, ფასდაუდებელია ჩემთვის მაინც და სხვისა კი არ ვიცი.

კნიაზ ილიკოს ჩემი პატივისცემა მოახსენეთ. ოლიკომ მადლობა მოგახსენათ მოკითხვისათვის.

თქვენი ღრმად და გულითადად პატივისმცემელი

ილია ჭავჭავაძე.

XXXIX

წერილი იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელ ჟიჟოძისადმი

110

[1891 წ., 8 თებერვალი]

თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ,

მოწყალეო ბატონო მამათ-მთავარო გ ა ბ რ ი ე ლ!

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ საერთო წევრთა კრებამ 21 ნოემბერს 1890 წ. ერთხმად აღიარა უღრმესის პატივისცემით და გულითადის მადლობით თქვენი მრავალგვარი სამაგალითო მოღვაწეობა საზოგადოდ და ქართულის მწიგნობრობის გავრცელებისათვის საკუთრად და ერთხმადვე დაადგინა უმორჩილესად გთხოვოთ მიიღოთ ამ „საზოგადოების“ საპატიო წევრობა, რათა თქვენი ბრწყინვალე სახელი ჩაერთვას მისთა საქმეთა და თქვენმა მონაწილეობამ გაუადვილოს „საზოგადოებას“ გზა მისაღწევად მიზდა დანიშნულებისა.

უმორჩილესად მოგახსენებ რა თქვენს ყოვლად უსამღვდელოესობას ამ განაჩენს ჩვენის „საზოგადოებისას“, ვალად ვრაცხ ზედ დავძინო, რომ „საზოგადოების“ გულწრფელი ნატვრაა ინებოთ თქვენ მისი საპატიო წევრობა მისდა სასიქადულოდ და თავ-მოსაწონებლად.

თქვენის ყოვლად უსამღვდელოესობის უღრმესი და უგულითადესი პატივისმცემელი თავ-მჯდომარე „საზოვადოებისა“

[ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე].

(ავტოგრაფი, შავი)

XL

წერილი გიორგი თარხნიშვილისადმი

111 *

3 ივნისი, [1891 წ.] პეტერბურგი.

დიდად პატივცემულო თავადო გ ი ო რ გ ი!

მე დღეს გიგზავნით ზოგიერთ ცნობებს იმ საქმეთა შესახებ, რომლებიც თქვენ გაინტერესებთ. კონვერსიის საქმე, ვფიქრობ, დადებითად გადაწყდება.

ამას გარდა მე თქვენთან კერძო ხასიათის სათხოვარი მაქვს. თ-დ გიორგი ზაქარიას-ძე ანდრონიკაშვილს (ინჟინერს, იოსების ძმას) უნდა მოეტანა ჩვენს ბანკში 15 ივნისისათვის 1300 მანეთი — ჩემთვის პეტერბურგში გადმოსაგზავნად ვაველბერგის მეშვეობით. არ ვიცი, შეასრულა თუ არა მან თავისი დაპირება. თუ შეასრულა, გთხოვთ გადმომიგზავნოთ, თუ არა და გადაეცით მას — შეეცადოს რაც შეიძლება მალე შეასრულოს ღანაპირები, რადგან მეუღლემ, რომლის საზღვარგარეთ გასამგზავრებლად არის დანიშნული ეს ფული, უნდა იცადოს ამისათვის აქ პეტერბურგში, და ვაი თუ იძულებულიც გახდეს უარი თქვას საზღვარგარეთ გამგზავრებაზე. მე თითონ მივწერ-

---

* წერილი რუსულად არის ნაწერი. აქ იბეჭდება ქართული თარგმანი (რუსული ტექსტი წერილისა იხ. IV განყოფილებაში).

დი თ-დ ანდრონიკაშვილს, მაგრამ არ ვიცი, სად იმყოფება იგი ამჟამად, და რომ მოვიგო დრო — გავბედე თქვენ შეგაწუხოთ.

ჩემი ჯანმრთელობა სერიოზულად მოშლილი აღმოჩნდა. ზახარინმა დაასკვნა, რომ ღვიძლში დამწყებია ქვის დალექვა, მომცა რჩევა, თუ როგორ და რით ვიმკურნალო, თანაც აუცილებლად ჩასთვალა ვიმყოფებოდე ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ, რათა მან ავადმყოფობის შემდგომ მსვლელობას თვალი ადევნოს; ამასთან გამაფრთხილა, რომ ჩემი ავადმყოფობა სერიოზულია და გართულებულია მეორე უფრო სერიოზული ავადმყოფობით, რომელსაც ლათინურად დიაბეტი ეწოდება. მან მირჩია მოვიწვიო ჩემი ავადმყოფობის მსვლელობის სამეთვალყურეოდ ექიმი ტრუბაჩოვი, რომელსაც — „მე, — თქვა ზახარინმა, — ყველაზე მეტად ვენდობი პეტერბურგში“. ეს ტრუბაჩოვი, თურმე, ამომავალი მნათობია სამედიცინო მსოფლიოში. ეხლა მე ვიმყოფები აი ამ ტრუბაჩოვის მეთვალყურეობის ქვეშ, რომელიც მეტად თავაზიანი და ყურადღებიანი ადამიანია. ხვალ დანიშნულია კონსილიუმი. ვნახოთ ხვალ ღმერთი რას მოგვცემს. სასტიკ დიეტაზედ მამყოფებენ; სიარულს არათუ მიშლიან, არამედ მავალდებულებენ კიდეც, როდესაც კი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამის საშუალებას იძლევა.

გულწრფელად თქვენი ერთგული

ილია ჭავჭავაძე.

ა

სამძიმრის დეპეშა ილია ჭავჭავაძისა

(ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით)

დავით ჩუბინაშვილის გარდაცვალების გამო.

112*

ტფილისიდან, [1891 წ.]

პეტერბურგი

ეკატერინე ჩუბინაშვილისას

(ეკატერინეს არხი, № 117).

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ღრმად დამწუხრებულია დიდად პატივცემულის თავისი საპატიო წევრის პროფესორის დავით იესეს-ძის გარდაცვალების ყოვლად სამწუხარო ცნობის გამო, რომელმაც ბევრი გააკეთა და სახელოვნად იღვაწა მშობლიური სიტყვიერებისა და ისტორიისათვის. გამგეობამ დაადგინა გამოგიცხადოთ თქვენ ღრმა თანაგრძნობა მთელი საზოგადოების სახელით.

საზოგადოების თავმჯდომარე

ილია ჭავჭავაძე.

---

* იბეჭდება 112-ე და 113-ე დეპეშების ქართული თარგმანი (რუსული ტექსტი იხ. IV განყოფილებაში).

ბ

დეპეშა „ივერიის“ რედაქციისადმი დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის გამო

113

პეტერბურგიდან, 1891 წლის 8 თებერვალს.

ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკა შემოსწირეს წერა-კითხვის საზოგადოებას. პროფესორმა ცაგარელმა მიიღო თავის თავზე შრომა—მეთვალყურეობა გაუწიოს კატალოგის შედგენაზე მუშაობას.

ჭავჭავაძე.

დეპეშა თ-დ ერისთავისადმი

114*

ტფილისიდან, 1893 წ. მაისი.

ვ ლ ა დ ი კ ა ვ კ ა ზ ი

სამიჯნო ნაწილის უფროსს თ ა ვ ა დ ე რ ი ს თ ა ვ ს

საზოგადოების გამგეობა და პირადად მე სიხარულით მივესალმებით ქართული სკოლის შენობის კურთხევის დღეს. ჩვენ უღრმესი მადლობის გრძნობით ვართ გამსჭვალულნი უფალ ოლქის უფროსის მიმართ იმ მფარველობისათვის, რომელიც მან ინება გაეწია ამ შენობის აგებისას, ასევე ქალაქის მოსახლეობისადმი, რომელმაც თანაგრძნობა გაუწია ესოდენ კეთილ საქმეს თავისი შეწირვებით, და ყველას თქვენ, ვის ენერგიულ ზრუნვასა და მოქმედებას ვუმადლით ჩვენ დღევანდელი კურთხევის ზეიმს. დე ეს შენობა გახდეს საფუძველი ჩვენი სკოლების შემდგომი წარმატებებისა.

წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

---

* იბეჭდება დეპეშის ქართული თარგმანი (რუსული ტექსტი იხ. IV განყოფილებაში).

წერილი მარჯორი უორდროპისადმი

115

8/20 სექტემბერი, 1894.

მოწყალეო ხელმწიფევ!

დიდად მოხარული ვარ, რომ ჩემს „განდეგილს“ თქვენი ყურადღება მიუქცევია. სასახელოდ მიმაჩნია, რომ მოგიწადინებიათ და გადაგითარგმნიათ ინგლისურად.

ინგლისმა მეტად ცოტა რამ იცის ჩვენის უბედურის ქვეყნისა და დაობლებულის ერისა, რომელსაც ერთს დროს თავისი სახელოვანი წარსული ჰქონია, თავისი გმირნი, მეცნიერნი, მწერალნი და პოეტები ჰყოლია და მათის მეოხებით გულდაგულ დახვედრია განათლების მტრებს — ბარბაროზებს.

ყოველს ქართველს თავ-მოსაწონებლად ექმნება, რომ თქვენ და თქვენს პატივცემულ ძმას ჩვენი ყველასაგან დავიწყებული ქვეყანა შეგყვარებიათ და მოგინებებიათ თქვენს ერს მისი ავი და კარგი აუწყოთ იმ სიყვარულით, რომელიც ასე ამშვენებს ადამიანს, და გულის ტკივილით, რომელიც დაუფასებელი ნუგეშია ბედისაგან დაჩაგრულთათვის.

სასურველია ერმა ინგლისისამ იცოდეს, რომ ამ ჩვენ პატარა ქვეყანაშიაც საქმობს გონება და იძვრის გული; რომ აქაც აქვთ თავისი ნატვრა და თავისი იმედი; რომ აქაც არის თავისი წამება და წვალება უკეთესს დღეთათვის და არა რას კაცობრიულს არ ეუცხოებიან.

ყოველივე ეს ზედ-დაჩნეული აქვს ჩვენს პატარა მწერლობას, რამოდენადაც კი გარემოება ნებას იძლევა. ამიტომაც გადაღება ინგლისურად ჩვენის მწერლობისა გადაღებაა ჩვენის გულისცემისა, ჩვენის გულითადის ნატვრისა, ჩვენის ჭირისა და ლხინისა, ჩვენის გონების და გრძნობის ძალღონისა საყოველთაო საცნობელად.

ამ მხრით თქვენი განათლებული და გულშემატკივარი მეცადინეობა ჩვენის გონების ნაწარმოებთა თარგმანისათვის დიდ სამსახურად მიჩნეულ იქმნება ყოველის ქართველისაგან და ჩვენს მადლობას თქვენდამი სამზღვარი არ ექმნება.

ჩემი „განდეგილი“ მომირთმევია თქვენთვის, როგორც გენებოთ ისე იმსახურეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ნაწერს თქვენზე უკეთესს პატრონს და მფარველს ვერ ავუჩენდი.

გვპირდებით ჩვენში მობძანებას, სიხარულით დაგიხვდებით და უმორჩილესად გთხოვთ წინადვე გვაცნობოთ, როდის და რა გზით მობძანდებით. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი უბედური, მაგრამ მშვენიერი ქვეყანა თავს მოგაწონებთ და დაგანახვებთ, რომ იგი ღირსია თქვენის ყურადღებისა და სიყვარულისა.

თქვენის მობძანების სიხარულით მომლოდინე და ღრმად პატივისმცემელი

ილია ჭავჭავაძე.

[პოლოში მინაწერი:]

ბატონს მარჯორი ვარდროპს

XLVI

წერილი გაბაშვილ ნაკაშიძისადმი

116

ღრმად პატივ-ცემულო კნეინა ბ ა ბ ა ლ ე!

ეს-ეს არის გიახელ სოფლიდამ და შინ დამხვდა დიდად სამწუხარო ამბავი, რომ მე დავკარგე ერთი ჩემი უძვირფასესი ამხანაგი და უკეთესი მეგობარი — პეტრე. მწუხარება გამიორკეცდა, რომ ამ უბედურების გვიანად შეტყობის გამო, არ მომეცა შეძლება თქვენს და თქვენის სახლობის ცრემლებთან ერთად დამეფრქვია ჩემი ცრემლიცა, როცა თქვენ ეთხოვებოდით ძვირფასს გვამს თქვენის მეუღლისას და ჩემის მეგობრისას. ღმერთმა ნუგეშინი გცეთ თქვენ და თქვენს შვილებს და საუკუნო განსვენება მიანიჭოს ჩვენთვის საუკუნოდვე დაკარგულს პეტრეს. მე კი დამრჩენია ნუგეშად ჭეშმარიტის თავმოწონებით ვთქვა, რომ ხელი, რომელიცა გწერთ ამ სამძიმარს, ხელთ სჭერია მეგობრულად იმისთანა გულუბრყვილოს, საყვარელს და პატიოსანს კაცს, — როგორიც იყო ჩვენი აწ უბედური პეტრე.

თქვენი გულითადი გულშემატკივარი ამ უბედურობის შეხმთხვევის დროს

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

11 ივლისი, 1895 წ.

XLV

წერილი პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისადმი

117

[1897 წ., აპრილი]

მოწყალეო ბატონებო!

მე დიდ პატივად მიმაჩნია, რომ თქვენ ინებეთ და ჩემი სჯერჩიელი მოითხოვეთ. გთხოვთ მიიღოთ ჩემგან უგულითადესი მადლობა ამნაირ, ჩემ მიერ არ დამსახურებულ პატივისცემისათვის. ხოლო ის-კი უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენმა წერილმა ორ ცეცხლ შუა დამაყენა. ერთის მხრით ყოვლად პატიოსანი გულთა-ძგერა თქვენი დამიდგა თვალ წინ, გულთა-ძგერა საქვეყნო, გულთა-ძგერა ბრწყინვალე და დიდებული, რომლის ღაღადის წინაშე აღტაცებით და სახოებით მუხლი უნდა მოიდრიკოს ყოველმა რიგიანმა კაცმა. მე მივხვდი და ვიწამე, რომ ამ კეთილშობილობით აღსავსემ გულთა-ძვრამ აღმოგიშობათ სურვილი ქება-დიდებით და ლოცვა-კურთხევით მეჰმართოთ ჩაგრულთა, რომელთაც თავი დაუდვიათ ხსნისათვის. ძნელია პატიოსანი კაცი გაუმაგრდეს ამ მშვენიერს და ყოვლად თავმოსაწონებელს გულთა-ძვრას, და გასამხნევებლად, თუ ხელი არა, გული მაინც მიაწოდოს შორიდამ დიდებულ საქმისათვის თავგამოდებულთა, რომელთაც ხელის ღონე არ შესწევს [და მინდობიან] ძლიერებას გულისას.

კაცთა საუბედუროდ, დღევანდელი დღე მუშტისაა, ძალა ჭხნავს აღმართსა. მით უფრო საქებ-სადიდებელია უღონო ჩაგრულთა მოქმედება. მე არ ვეჭობ, რომ მოვა დრო, და თავისუფლება და სამართალი, რომლის სახელით დღეს ბერძენი გადგოდის, დაემჯობინება მთელ სპა-ლაშქარსა, წინაშე მათთა ხმას

გაიკმენდს თოფი და ზარბაზანი. აქ არის ყოვლად-მხსნელი ღონე და სასოება ადამიანისა და ამის მაგალითს დღეს თვალწინ გვიყენებს ერთი მუჭა ერი საბერძნეთისა. შეიძლება ამაზედ უდიდესი მაგალითი?! არ მიკვირს, რომ ამის მნახველს ქართველს სტუდენტობას გული ანთებიათ თანაგრძნობით და კვნესით შეჰნატრის ბერძენს და ლოცვა-კურთხევას უთვლის. ძნელია კაცმა ამ მხურვალე და ბრწყინვალე გრძნობას ადამიანისას, ასეთის პატიოსან გულთა-ძვრისაგან მოვლინებულს, ცივი ანგარიში დაუყენოს წინ; მაგრამ რაკი პატივი დამდევით და ჩემი აზრი მოითხოვეთ, არ შემიძლიან ამ ცივს ანგარიშს არ მივცე თავი და ჩემი გულთა ნადები არ მოგახსენოთ გულახდილად.

ჩვენი მშობელი ქვეყანა ყველა სხვა ქვეყანაზედ ჩვენთვის უფრო საფიქრებელი და საზრუნველია. აქ არავისის ძრახვას და საყვედურს არ ვერიდები. ჩემი მრწამსი ეს არის. ადამიანი ასეა გაჩენილი: თავისიანს უფრო ჰრჩეობს, ვიდრე სხვას. თქვენ ჩემზედ უკეთ მოგეხსენებათ, — რა ხართ თქვენ, უმაღლესის სწავლისათვის გადახვეწილნი ქართველნი, ჩვენის შავბედიანის ქვეყნისათვის: მთელი სასოება ჩვენის ქვეყნისა თქვენზეა დამოკიდებული. ჩვენი ხვალე, ჩვენი მერმისი თქვენა ხართ. თქვენ რომ თქვენი პირდაპირი საქმე არ შეგასრულებინონ და ამის გამო შესაფერისის სწავლა-ცოდნით და განათლებით არ მოუხვიდეთ თქვენს ქვეყანას, ვისისა-ღა იმედზედ დარჩეს? აშკარაა ისიც რაც თქვენს პატიოსანს გულს მოუწადინებია, არ მოეწონება ვისაც ჯერ არს და ვაი თუ გეზიანოთ რამე. თქვენი ზიანი, თქვენი შეფერხება, ჩვენი ქვეყნის ზიანი და შეფერხებაა.

გარდა ამისა, დღეს გაფიცხებული დავიდარაბა აგვიტყდა — და ამ დროს რამე მიზეზი რომ მივცეთ, მთავრობა ჩვენზედ ავის თვალით მოახედონ, ჩვენი საქმე დიდ ხიფათში ჩაგვივარდება, თუ მთლად თუ არ დაგვეღუპება. თქვენ მიერ განზრახული თუ ასრულდა, საიდუმლოდ არ დარჩება. დიდი შიშია, რომ ჩვენმა მტრებმა ჩვენდა თავში საცემლად არ გამოიყენონ, — აი სად და სით უფრინავთ ქართველებს გონებაო.

განსაცდელი და საფრთხე დიდია. განა საფიქრებელი არ არის, რომ თქვენი ბედი, და მაშასადამე თქვენი ქვეყნისა, ამ საფრთხესა და განსაცდელში არ ჩავარდეს! ბერძნებს თქვენი თანაგრძნობა, რა თქმა უნდა, იამებათ, მაგრამ ბევრს არას არგებს. მაგ თანაგრძნობას ხელში დასაჭერი და გამოსაყენებელი სიკეთე არა მოსდევს რა, გარდა გულთა-ძვრის გარედ გამოფენისა და, ბაშასადამე, საკუთარის თავის კმაყოფისა. კიდევ მოგახსენებთ, მე მესმის მთელი პატიოსნება და კეთილშობილება თქვენ მიერ მოწადინებულისა, არც თავის დღეში ეჭვი არა მქონია, რომ ჩვენს ყმაწვილკაცობას გული არ ებრძოდეს, არ ერჩოდეს ყოველი პატიოსნურ საქმისათვის. მაგრამ რა ვქნათ? ბედმა ამისთანა დღეში ჩაგვაგდო, რომ ჩვენის სიკეთისაგან სხვისათვის ვერ გავწირავთ ვერას, ყოველივე ჩვენი კეთილი ჩვენს ქვეყანას უნდა მოვახმაროთ და ამისათვის ყველა სხვა წყურვილი უნდა მოვიკლათ.

ნუ მიწყენთ, რომ მოგახსენოთ ჩემი კი არა, ჩემისა და თქვენის ქვეყნის სახელით: სასწავლებლად წასულხართ, ისწავლეთ, ცოდნა შეიძინეთ, ჯერ ხანად ნურც იქით გადიხედავთ, ნურც აქეთ, მარტო სწავლა-ცოდნას შეალიეთ თქვენი დღენი და ამ ორის უუძლიერესის ფარ-ხმლით მოდით და დაეპატრონეთ თქვენდა მოსავს ქვეყანასა, რომელსაც ჯერ სხვა საველრებელი თქვენს წინაშე არა აქვს-რა და რომელიც ამ გზით მოელის თქვენგან ხსნასა და ბედნიერებას. ქვეყანა იმითი კი არ არის უძლური, რომ ღარიბია, არამედ იმითი, რომ მცოდნე, გონება-გახსნილი, გულ-განათლებული კაცები არა ჰყავს. აი თქვენი თავი რად გვიღირს ასე ძვირად, და სიძუნწეში ნურავინ ჩამოგვართმევს, რომ სხვისთვის არც ერთს თქვენგანის თმის ბეწვსაც ვერ ვიმეტებთ: თქვენ თქვენის ქვეყნისათვის ხართ საჭირონი.

იქნება დამძრახოთ და მაინც კი ვიტყვი, რომ იქ, საცა ერთი მხრით სამშობლო და მეორე მხრით სხვაა, სხვას მარტო ნამეტანობისაგან უნდა მიეცეს. ნამეტანობაზე, ჩვენდა საუბედუროდ, ჯერ შორსა ვართ, და რაც ჩვენთვის საკმარო არ არის და თვით ჩვენ გვჭირია, იგი მარტო ჩვენს სამშობლოს უნდა

გამოვუზოგოთ და შევწიროთ. აქ დიდად მოსარიდებელია მცირეოდენი განსაცდელიც-კი, რაც თქვენს სწავლა-ცოდნის წყურვილს წყაროს დაუშრობს. თუ აქ ჩემი წინასწარხედვა განსაცდელისა ცდომაა, ისევ სჯობია კაცი განსაცდელის ხედვაში შესცდეს, ოღონდ მოერიდოს-კი, იმიტომ რომ თვალწინ მიდგა ჩვენი საწყალი ქვეყანა, უკაცურობით ღონემიხდილი და ჯანგამოცლილი.

უთქვენობა რომ ძვირად არ უჯდებოდეს ქვეყანას, არ ამოგიფრთხობდით გულიდგან მაგ პატიოსან გულთა-თქმას. შიში განსაცდელისა აქ საბუთია და სამართლიანი. გიყვარდეთ თქვენი ქვეყანა და ამ სიყვარულს ანაცვალეთ ყველაფერი.

„სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“...

ეს არის ჩემი რჩევა, რჩევა თქვენის ქვეყნის შვილისა.

ილია ჭავჭავაძე.

XLVI

წერილები დავით კარიბაშვილისადმი

118

[1898 წ., 18 მარტი]

ბ-ნა ნოე ჟორდანიამ მთხოვა სამის წლის პროტოკოლები ჩვენის საზოგადოების გამგეობისა გამასინჯვეთო. მე მარტომ ვერ ვიკისრე ნება მიმეცა. გთხოვთ მოახსენოთ გამგეობას დღესვე მისი თხოვნა და შედეგი მიბძანოთ. ჩემის ფიქრით შესაძლოა ნება მიეცეს.

119

ბატონო დ ა ვ ი თ!

დღეს დეპეშა მომივიდა ცხვედაძისა და მიბარებს საორშაბათოდ ყიფიანის საქმის თაობაზე. მე ვერ ჩამოვალ, რადგანაც შეუძლოდა ვარ. ხოლო, თუ საჭიროა, აი ჩემი აზრი: რადგანაც მთავრიშვილმა უარი განაცხადა და ჩვენ სახეში სხვა არავინა გვყავს კანდიდატად, და რადგანაც იქაურ თავადაზნაურობას და საზოგადოებას, როგორც თქვენ იწერებით, უთხოვნია ყიფიანის ინსპექტორად დატოვება სენაკის სკოლაში, მე მგონია, სხვა გზა არ არის, წინანდელი განაჩენი ჩვენი შესახებ ყიფიანისა და მარტო ყიფიანისა უნდა გაუქმდეს, ყიფიანი დარჩეს ინსპექტორად. ხოლო, რომ ასეთი ჩვენი გადაწყვეტილება ყიფიანმა

ჯილდოსავით არ მიიღოს, допустить его в качестве исправляющаго должность инспектора. ეს, ასე თუ ისე, ერთის მუხლით დაქვეითება იქნება მისთვის და არა უმნიშვნელო საგრძნობელიცა.

მთავრისშვილის უარმა და იქაურ საზოგადოების თხოვნამ და შუამდგომლობამ უკიდურეს მდგომარეობაში ჩაგვაყენა და ლამის ამ ყიფიანის საქმეს თან გადაჰყვეს გამგეობაც, ჩვენი საზოგადოებაც და სენაკის სკოლაც. მე წინადაც მომიხსენებია გამგეობისათვის, რომ ამ საქმეში სამდურავი იქაურ თავად-აზნაურობისა და საზოგადოებისა ანგარიშგასაწევია დიდად და დიდად მათთვის, ვისაც იმ სენაკის სკოლის სვე-ბედი აბარია. იმ სკოლას რომ ერთი რამ აუტეხონ, ყოველივე პასუხისგება ჩვენ დაგვაწყდება; რომ ატეხა რისამე იქაურ თავად-აზნაურობას აღვილად შეუძლიან, მე ესა მწამს და ეს მაფიქრებს. აი რამ მაიძულა ისეთის აზრის შედგენა, როგორსაც ზევით მოგახსენებთ. მე ეს მომიხსენებია და თუ რასმე თქვენ უკეთეს[ს] დაადგენთ, ღმერთმა ჰქმნას.

თქვენი პატივისმცემელი
ილია ჭავჭავაძე.
9 აგვისტო, 1899 წ.

XLVII

წერილი ექვთიმე თაყაიშვილისადმი

120

23. X. [18] 98 წ.

ღრმად პატივცემულო ბატონო ექვთიმე სვიმონისავ!

უმორჩილესად გთხოვთ მათხოვოთ დ. ბაქრაძის თხზულება Памятники христианства на Кавказе. ძალიან საჭიროა საერთო საქმისათვის.

თქვენი პატივისმცემელი

ილია ჭავჭავაძე.

XLVIII

წერილი ლუარსაბ გოცვაძისადმი

121

[1898 წ.]

ბატონო ლ უ ა რ ს ა ბ!

დიდი სიამოვნებით ვბეჭდავთ თქვენს წერილს ჟურნალ ჯეჯილზედა. ასეთი მიმოხილვები დიდად და დიდად საჭიროა ჩვენთვის. საბავშვო მწერლობის გაჯანსაღება და მკვიდრ საფუძველზე დამყარება დიდი მნიშვნელობის საქმეა ჩვენი ყმაწვილების გონივრულად აღზრდისათვისა. უმორჩილესადა გთხოვთ ნუ მოაკლებთ თქვენს ფხიზელს ყურადღებას ჩვენს საბავშვო მწერლობასა და ხშირად გამოგვიგზავნეთ თქვენი კალმის ნაღვაწი.

დავშთები მარად თქვენი პატივისმცემელი

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

XLIX

წერილი ანთიმოზ ჯუღელისადმი

122

1899 წელსა, 25 აპრილის დღესა,
ტფილისი.

დიდად პატივცემულო ბატონო ანთიმოზ ივანისავ!

მადლობელი ვარ, რომ პატივი მომანიჭეთ და ჩემს აზრს ჰთხოულობთ შესახებ ალექსანდრე სარაჯიშვილისა. ჩემის ფიქრით, უკეთესს კაცს ვერ იშოვით სოხუმის მოურავად. კაცი დარბაისელია, ჭკვიანი, განვითარებული და ძალიან გამოცდილი. ყოველ ამასთან ჭეშმარიტი და თავდადებული ქართველია, მოჭირნახულე და მხნე გამრჯელი. ხოლო უნდა ეცადნეთ, რომ უსათუოდ ამორჩეულ იქმნას და ტყუილ-უბრალოდ არ გააბიაბრუონ პატიოსანი კაცი. მე სწორედ დღევანდელს დღეს მჭონდა იმასთან ლაპარაკი და ძალიან გამიხარდა, რომ არ უარობს და თანახმაა სოხუმს ემსახუროს. ეხლა ყველაფერი თქვენზე არის დამოკიდებული, ვინძლო არ შეგვირცხვინოთ და არ გაგვიშავოთ. თუ ალექსანდრე სარაჯიშვილის არჩევანი მოხერხდა, მე წინადვე მომილოცნია სოხუმისათვის ცალკე და ქართველებისათვის საერთოდ, რომ ამისთანა კაცს ერთი ჩვენი უდიდესი საქმეთაგანი ებარება. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, სწორედ შესაფერის კაცისათვის მიგიგნიათ.

თქვენი პატივისმცემელი

ილია ჭავჭავაძე.

წერილი ალექსი გულისაშვილისადმი

123

14 ნოემბერი [წელი აღნიშნული არაა]

მოწყალეო ბატონო მამაო ა ლ ე ქ ს ი!

უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ სოლომანა ბიჭინაშვილს, თევდორე მამადაშვილს, გრიგოლ ალიაშვილს და ლაზარე ლევერაშვილს, რომ სვიმონიანთ-ხევში მამული კიაზო ჩოლოყაშვილისა სამოცდათერთმეტი დესეტინაა. იგი მამული ისევ კიაზო ჩოლოყაშვილმა დაიბრუნა და ამიტომაც ბანკი თავისით იმ მამულს ვეღარ გაჰყიდის. თუ კიაზო ჩოლოყაშვილი მოინდომებს გაყიდვას, ბანკის დაუკითხავად მაგას ვერ შეიძლებს და ბანკისაგან მოწმობა უნდა აიღოს ნების დართვისა. რასაკვირველია, ბანკი ნებას არ მისცემს, თუ კიაზო ჩოლოყაშვილი მოინდომებს მამულის გაყიდვას იმაზე ნაკლებ, რაც ბანკში შემოსატანია.

თქვენი პატივისმცემელი

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

LI

წერილი გრიგოლ საყვარელიძისადმი

124

[უთარიღო]

მოწყალეო ხელმწიფევ! მე თქვენმა წერილმა გამაოცა. იწერებით: „აი ეხლა მეძლევა შემთხვევა და ვსარგებლობ ამით, რომ პატარა ხარკი დაგადოთო“. და მართლაც, ხარკს მადებთ, ისიც თქვენდა საკუთარ სასარგებლოდ. ასეთი კადნიერი წერილი ან ძალიან მახლობელი ნაცნობისაგან უნდა იყოს, რომ კაცმა არ იწყინოს, ან ბატონმა ყმას უნდა მისწეროს. მე არ ვიცი, რა შემთხვევა მოგცემიათ ისეთი, რომ თქვენი თავი რაღაცა ხარკის მიმღებლად გიცვნიათ და მე თქვენდა საკუთარ ყურმოჭრილ მოხარკედ გაგიხდივართ, მაშინ, როდესაც არც კი მაქვს ბედნიერება თქვენი ცნობისა. ასეთი მოხარკეობა მაშინაც სათაკილო იყო ადამიანის ღირსებისათვის, როცა ბატონყმობა არსებობდა და ახლა ხომ მეტისმეტია. მიიღეთ უკანვე თქვენგან ასე კადნიერად გამოგზავნილი ბილეთები და უმორჩილესად გთხოვთ იცოდეთ ამას იქით, რომ მე არც არავის ყმა ვარ, არც არავისი მოხარკე, და რომ უცნობ კაცთა საკუთარ სასარგებლოდ მე ფული არც მჭონია და არც არასოდეს მექნება.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

LII

წერილი საგურამოს მოურავ სანდროსადმი

125

[უთარიღო]

ს ა ნ დ რ ო! მანდ ერთი კაცი გვყვანდა, მგონია ყრუ გიორგის ეძახდნენ, ჯერ ხაბაზადა გვყვანდა, მერე სარჭარად; ახალსოფლელი კაცია, მანდაური საგურამოელი ქალი შეირთო. მოიკითხე მანდ დაწვრილებით და დააბარებინე მის სიმამრს, რომ ამ დღეებში ჩვენთან ქალაქში ჩამოვიდეს. ოქრო შოთნიაშვილია იმისი სიმამრი.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

126

ს ა ნ დ რ ო! ან ამ ხალხს რაზედ აწუხებ, რომ ამ სიშორეზედ ჰგზავნი, ან მე რად მაწუხებ. აქედამ მე რა უნდა გავარიგო. ვის რა უჭირავს და რა სჭერია, — მე საიდამ უნდა ვიცოდე. რასაკვირველია, არც შენ გეცოდინება ჯერ ხანად, ახლადა ხარ მანდ მისული, მაგრამ ბიჭები არიან, მეველეები, მამულებისა და მიწების საქმე მანდ უნდა გამოჰკითხო და ისე შეიტყო. თუ

მართლა ბედუკაძე ძალიან იჭერს ჩვენს მიწებს და იძახის არავის მოვახვნევინებო, არამც თუ ჩვენს მიწებს ნუ დაანებებ, ჩვენს მამულებშიაც არსად ფეხი არ გააჭაჭანებინო. თუ ღმერთი გწამს, მამულების და მიწების თაობაზე აქ არავინ ჰგზავნო ხოლმე, ცოდონი არიან, მით უფრო, რომ აქედამ მე ვერას ვუშველი.

ილია ჭავჭავაძე.

21 მარტი.

LIII

წერილები ნიკო ცხვედაძისადმი

127

14 Июля, [1900 г.], Берлин.

ძმაო ნ ი კ ო! აღსრულდა შენი მეგობრული სურვილი და ეს თითქმის მესამე კვირაა, რაც ბერლინში ვარ ლეიდენთან. მე რომ აქ ბერლინში მოვედი, დათიკო სარაჯოვი აქ არ იყო, სამს თუ ოთხ დღეს შემდეგ მოვიდა. ლეიდენის კლინიკაში მომზადებული ოთახები დამხვდა და პირველ დღესვე იმ კლინიკაში დავბინავდით. ეკატერინე ივანოვნას მადლობას ვუძღვნით, რომ მისის მეოხებით აქ ყველანი დიდის პატივისცემით დაგვხვდნენ. თვითონ ლეიდენიც დიდის ყურადღებით გვექცევა. ლეიდენს ჩემის სნეულების მიზეზი აოცებს. არავითარი ზიანი არა გაქვსო, გული და მაჯა საღის და ჯანმრთელი კაცისა გაქვსო და რისგან მოგდის ეგ გულის ხუთვა და სულის შეგუბება ვერ გამიგიაო. ამიტომ პირველ დღიდამვე დღეს აქამომდე გულის ყურს მადევნებს, რომ მიზეზი შეიტყოს. მე, როგორც უკანასკნელ ხანებში ვიყავი მანდ, თითქმის ისევ ისე ვარ. ფეხების სიმსივნემ არ მიკლო, ღონეზედაც ჩემებურად ვერა ვარ. სხვანაკი მარწმუნებენ, რომ სახით, გარეგნობით, ძალიან მოჰკეთდიო. მგონია, ამ ერთის კვირის შემდეგ, ესე იგი 25-ს ამ თვეს, იქნება კარსლბადში გამისტუმროს ლეიდენმა. მარწმუნებს რომ, ასე იქნება თუ ისე, საღსალამად გაგისტუმრებ შინაო. ღმერთმა ჰქმნას! სიარულს მიშლის, დღეში ერთი საათის მეტს ნუ ივლიო,

ისიც ორგზობით, ნახევარ-ნახევარ საათით. გუშინ-კი მითხრა, დღეში ორჯერ ქვევით ეტაჟიდამ მეოთხე ეტაჟაში ადი ხოლმე, ერთი დილით, ერთი საღამოთიო. არასფერს წამალს არ მასმევს ლიმონის წვენის მეტს, დღეში სამ სტაქანს მასმევს. რძე ამიკრძალა. მეც ვსვამ ამ ლიმონის წვენს და ქვევიდამ ზემო ეტაჟებში დავდივარ. მარტო ამასა ვწუხვარ, რომ ბევრი დრო არ მეძლევა, — ერთი კარგად მომეჩხრიკნა აქაურობა. ჯერ მარტო ეს წარმოიდგინე, რომ დღეში ხუთჯერ გვაჭმევენ და თვითველულ ჭამაზე უხდა უსათუოდ დაესწრო, თორემ სწყინთ და ჯავრობენ. ჭამიდამ ჭამამდე იმდენი დრო არ არის, რომ წახვიდე სადმე. ბერლინი ისეთი დიდია, რომ მინამ წახვალ და მოხვალ, ჭამის დროც მოდის და ნახვისა და მოჩხრეკისათვის დრო აღარა ჰრჩება. მაგრამ რაც აქამომდე ვნახე, ისიც საკმაოა, რომ ქართველმა კაცმა თავისი თავი ღვთისაგან დაწყევლილად ჩასთვალოს. სად ესენი და სად ჩვენი უბედური ერი! გერმანელნი ახოვანნი და ძლიერნი არიან სულითა და ხორცით. ამათი მერმისი დიდია და თვალთგადუწვდენელი. მე მგონია, რომ კაცობრიობა პირველობას ამათ დაუთმობს ქვეყნიერობაზე თავისს დროზე. დიდი ჯანიანი ერია, როგორც ვთქვი, სულითა და ხორცით. დიდი მერმისი მოელით.

შენი ჭირიმე, ნიკო, ერთი მეგობრობა კიდევ გამიწიე და მრავალ სხვასთან ეს ერთიც კისერზე დამაწერე. ლევან ჯანდიერი ჰნახე. Товарищество садовладельцев „Кахетия"-მ მე ფული უნდა მომცეს და უთხარ ლევანს მოგცეს ან შენ, ან ქრისტეფორე მამაცოვს: ძალიან საჭიროა. არ მოეშვა, მინამ არ მოგცემენ. თუ შენ გამოართმევ, ქრისტეფორე მამაცოვს ჩააბარე და იმან იცის როგორ მოიხმაროს. ეგ ფული უნდა ადრევე მოეცათ, მაგრამ დამპირდნენ ივლისში მოგცემთო. ძალიან ეცადე, რომ გამოართვა.

სხვა, იყავ მშვიდობით შენის ქალითურთ. ჩვენებმა პატივისცემა მოგახსენეს. იაკობი და ლეისტი მომიკითხე და განსაკუთრებით ქიქოძე.

შენი ერთგული ილია ჭავჭავაძე.

128

19 აგვისტო, 1900 წ., [კარლსბადი].

ძმაო ნიკო!

კაცო, განა ესე დავიწყება იქნება, რომ ერთი-ორის კალმის ჭოსმითაც არ გამიკითხე. მე ბერლინიდამ წიგნი მოგწერე და შენ პასუხიც არ მაღირსე. მე ეხლა ევროპიელი ვარ და ამისთანა ქართველობა შენი ვერაფრად მეჭაშნიკება. ერთი გაახარე დათიკო სარაჯოვი, რომ მე ასე მალე გავევროპიელდი და ამას იქით თავისის ევროპიელობით აბეზარს ვეღარ მომიყვანს და ნიშნს ვერ მომიგებს.

ახლა ჩვენი ამბავი. მე ამ უკანასკნელ ხანებში ძალიან ცუდად შევიქენი და ჩემმა ასეთმა მდგომარეობამ კარგა ჩამაფიქრიანა. ამიტყდა საშინელი ქშენა, ხელისა და ფეხის განძრევაზე ისე მიგუბდებოდა სული, რომ არ ვიცოდი რა მექნა. ერთი ორი ნაბიჯი რომ გადამედგა, სუნთქვა ისე შემეკვროდა, რომ ვეღარ ვლაპარაკობდი, რადგანაც სულს ვერ ვიბრუნებდი. შევჩივლე ჩემი ასეთი წახდენა ჩემს მკურნალს, რომელიც თვითონ ლეიდენმა ამირჩია. შემიწუხდა თვითონ მკურნალიც და ბოლოს მითხრა: მიზეზი არ მესმისო, უსათუოდ პაპიროზის ბრალია და თქვენს თავს აქედამ უნდა უშველოთო. თუ პაპიროზზე ხელს აიღებთ, ხომ რა კარგი, თუ არა და ისევ ის სჯობია წამლობას თავი დაანებოთ, ტყუილი ხარჯი და მოცდენააო. პატიოსანი სიტყვა ჩამომართვა, მერე ასეთის ხვეწნით და მუდარით, რომ კინალამ გული ამომიჯდა. ვთქვი ჩემს გულში: ნეტა ამას რა სჯის, რომ ასეთის სიყვარულით მეხვეწება და მემუდარება-მეთქი. სხვა გზა არ იყო, პატიოსანი სიტყვა მივეცი და მას დღეს აქეთ პაპიროზის გემო აღარ ვიცი. არ გამოსულა სამი ოთხი დღე მას შემდეგ, რომ ლაზათიანად მოვჯობინდი და ეხლა ისე კარგადა ვარ, როგორც დასნეულებამდე ვიყავი, თუ არ უკეთესად. დღეს 19 აგვისტოს (ჩვენებურად) მკურნალმა სიხარულით მანუგეშა: თუ ესე კარგად წავიდა შენი საქმეო, ორს (ჩვენებურად) სეკტემბერს კარლსბადიდამ გაგისტუმრებ საღსალამათადაო, და მკითხა: საით აპირობ წასვლასო. მე ვუთხარი, პარიჟში

მივდივარ და იქიდამ შინ წავალ-მეთქი. შეხტა და შემოტრიალდა ამაზე ჩემი ექიმბაში. კარლსბადიდამ შენი პარიჟში წასვლა არას გზით არ შეიძლებაო. კარლსბადის წყლების შემდეგ დიდი შესვენება გინდაო. ერთი ორი თვე მაინც ძალიან მშვიდობიან და მყუდრო ადგილას უნდა იცხოვროო, რომ არც ხმაურობა, არც ჟღრიამული, არც დიდი გართვა, არც არავითარი საქმე და არეულ-დარეულობა არ უნდა გაწუხებდესო. შენი პარიჟში წასვლა და ამოდენა ღვაწლის ამაოდ ჩავლა ერთი იქნებაო. მე ვფიქრობ, ვაი თუ უფრო უარესად გახდე, ვიდრე ამას წინად იყავიო. პარიჟში ყოველი ბიჯი სამაცდუროა, ყოველ ბიჯზე ახალი რამ სანახავია, ახალი რამ სასმენელია და იმოდენა აუარებელს საგრძნოსა, სახილველსა და სასმენელსა დიდად ჯანმრთელი კაცი ძლივს უძლებს და შენ ნაავადმყოფარი და მერე ისეთი ნერვებაშლილი როგორც შენა, როგორ გაუძლებ და აიტანო. არამც და არამც პარიჟში არ წახვიდეთ, უარესს საწამლავს შენი მოსისხლე მტერიც ვერ აგირჩევსო. დამინიშნა შვეიცარია. მე დიდი უარი უთხარი. მაშ თუ ეგრეა, აქედამ ვენაზე გაიარე, იქ, ვენის მიდამოებში ძალიან კარგი, მყუდრო და მივარდნილი ადგილებია, იქ ერთი-ორი კვირა კარგად შეისვენე, მოღონიერდი და ისე წადი საქართველოშიო. გზაზე სამგან მაინც შეისვენე თითო დღეო. საქართველოშიაც სოფლად უნდა წახვიდე სადმე კარგს ჰაერში და ერთი ორი თთვე უზრუნველად, უდარდელად და უწყინარად იცხოვრო და მერე შეგიძლიან ქალაქშიაც ჩახვიდე და შენს საქმეს მოჰკიდო ხელიო. თუ გინდა რომ ჯანსაღად იყო და შენი სნეულება აღარ დაგიბრუნდეს, ასე უნდა მოიქცეო.

მეტი რა გზაა, — პარიჟზე ხელი ავიღე. წარმოიდგინე, პარიჟი თითქმის ცხვირ წინ არის და მე კი მისი უნახავი უნდა წამოვიდე. დარდუბალაც ამასა ჰქვიან. მაგრამ რას იზამ? ამდენი ვაივაგლახი და წამლობა გამოვიარე, ძლივს გამოვკეთდი და ყველა ეს პარიჟის ნახვას როგორ ვანაცვალო.

ამ სახით, ჩემო ნიკო, ორს (ჩვენებურად) სეკტემბერს კარლსბადს გამოვეთხოვები. ამ წიგნის პასუხი აქ კარლსბადში

ველარ მომისწრობს, რადგანაც წერილს ერთს გზობაზე რვა დღე უნდება. დათიკო სარაჯოვი თავისის მეუღლით მომიკითხე სიყვარულით. დეპეშით მოკითხვისათვის გმადლობთ. ყველას მოკითხვა *.

129

ძმაო ნიკო!

ერთი დაწვრილებით შემატყობინე, — რისთვის ჩამომათრიეთ? ვინ არიან დეპუტაციაში და როდის არის დანიშნული წარდგენა დეპუტაციისა?

შენი ილია ჭავჭავაძე.

1 ოქტომბერი

[წელი აღნიშნული არაა]

* არ არის ხელმოწერილი. ჩანს წარმოადგენს შავს.

LIV

სამძიმრის დეპეშა ილია ჭავჭავაძისა

(ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით)

რაფიელ ერისთავის გარდაცვალების გამო

130*

ტფილისიდან, 1901 წ.

თელავი, ვასილ კახიძეს.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება გთხოვთ გადასცეთ დაუვიწყარი პოეტისა და საზოგადოების საპატიო წევრის რაფიელ ერისთავის ქალიშვილებს ჩვენი უღრმესი თანაგრძნობა იმ მწუხარების გამო, რომელიც დაატყდა თავზე მათ და მთელ სამშობლო მხარეს.

საზოგადოების თავმჯდომარე თავ. ჭავჭავაძე

---

* იბეჭდება დეპეშის ქართული თარგმანი (რუსული ტექსტი იხ. IV განყოფილებაში). რედ.

LV

დეპეშა გიორგი ორბელიანისადმი

131*

ტფილისიდან, 1903 წ.

გაგრა

თავად გიორგი ორბელიანს

დიდად ვწუხვარ, რომ არა მაქვს შესაძლებლობა ვისარგებლო მისი უმაღლესობის კეთილგანწყობილი და ჩემთვის საპატიო ყურადღებით. ჩვენ გვეწყება საერთო კრებები, რომლებიც 15 მაისისათვის დამთავრდება. კრებების შემდეგ სიამოვნებით გადავცემ ჩემს თავს მისი უმაღლესობის განკარგულებაში.

---

* იბეჭდება დეპეშის ქართული თარგმანი (რუსული ტექსტი იხ. IV განყოფილებაში). რ ე დ.

LVI

წერილი ვლადიმერ მიქელაძისადმი

132

[უთარიღო]

ძმაო ვ ლ ა დ ი მ ე რ! დღეს საღამოზე „სამეურნეო საზოგადოებაში“ საზოგადო კრება არის და კირიმ-გერეის მოხსენება იქნება შესახებ აქაურ ენების ხმარებისა აქაურ სკოლებში. მე მინდა წინააღვუდგე, თუ აქაურ ენების წინააღმდეგი ლაპარაკი იქნება. რადგანაც ჩვეულებად მიღებული მაქვს მოუმზადებლად არსად წავეჩხირო, ამიტომ დღეს სამსახურიდან რომ შინ წავალ, მაშინვე ამის სამზადისს შევუდგები. ამის მიზეზით დღეს შენთან სადილად ვერ ვისიამოვნებ და დიდსა და დიდს ბოდიშს ვიხდი. სხვა დროს იყოს, შენთან ქეიფი ყოველთვის სანატრელია და სასურველი.

შენი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

LVII

წერილები მოსე მემარნიშვილისადმი

133

8 მარტს 1905 წ.

მ ო ს ე! ეგ ამბავი, რასაც შენ იწერები, დღეს ყველგან არის: გლეხკაცები ყველგან მაგ ამბავში არიან დღეს. მეცოდებიან საწყლები: დღეს-ხვალ მთავრობა თურმე აპირობს ჯარები მიუსიოს გაბრიყვებულს გლეხ-კაცობას და ნაცარტუტა აადინონ. თავად-აზნაურობა ჰცდილობს ეს ჯარების მისევა როგორმე ააცდინოს გლეხ-კაცობას და ღმერთმა ჰქნას მთავრობას ხელი ააღებინოს ჯარების გაგზავნაზე. ისინი-კი, ვინც ამოჩნდებიან მოთავენი, უსათუოდ სასტიკად დაისჯებიან, როცა იქნება, დღესა თუ ხვალე. შენ მხოლოდ ეცადე, რომ მშვიდობიანად მოელაპარაკო და ცეცხლს წყალის მაგიერ ნავთი არ დაასხა. დღესა თუ ხვალე დაწყნარდებიან, იმიტომ რომ მაგისთანა ამბავს ბოლო მოეღება, ნებით იქნება, თუ ძალით.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

134

[1905 წ., მარტი]

მ ო ს ე! თუ მანდ გარეშე სოფლებში იშოვი მოჯამაგირეებს. ძალიან კარგს იზამ. იწერები, მეეპატრონეთ აქაობასაო. მე შეუძლოდა ვარ და იქნება ხვალ თუ ხვალზევით გარედ გამოვიდე

და ამისთანა დღეებში მანდ ვერ ამოვალ. ან თუნდ ამოვიდე, რას გავაწყობ. წინადაც მოგწერე და ეხლაც გწერ, რომ ეგ ამბავი, რაც მანდ არის, მთელს საქართველოშია მოდებული. მანდ კიდევ, მადლობა ღმერთს, მარტო ტყეს მიესივნენ. სამწუხარო ეს არის, რომ დღესა თუ ხვალ მაგ საწყლებს დიდიდამ პატარამდე დააწიოკებენ. შენ, როგორც გეტყობა, ცოტა არ იყოს შეგშინებია. მაგოდენად ჭკუიდამ როგორ შეიშლებიან ეგ უბედურები, რომ შენ შეგამთხვიონ რამე. შენ მანდ ვერას გერჩიან. მე ამას იმიტომ კი არა გწერ, რომ ჩემის გულისთვის თავი ვისმე შეაკალ მეთქი. ღვთის მადლით, მანამდე საქმე არც მისულა და არც მივა. მანდ საკმაო ხალხი გყავს, ვერას შემოგბედენ, ჯერ იმიტომ, რომ შემობედვა ავაზაკობაში ჩამოერთმევათ და დიდად დაისჯებიან, და მეორე იმიტომ, რომ ეგენიც ადამიანები არიან, ჭკუა და გონება აქვთ, ადამიანს საავკაცოდ არ გამოი[მე]ტებენ, რადგანაც იციან კაცის გაფუჭებას ვერავინ შეარჩენს.

შენ მანდ დამშვიდებით იყავ, მაგათის მუქარისა ნურა გეფიქრება-რა, და თუ მაინც და მაინც საქმე გაგიჭირონ, მაშინ შენი ნებაა, რაც გიჯობდეს, ისა ქენი, ოღონდ მანდაურობა კი ჩააბარე ვისმე, რომ არაფერი დამეკარგოს ჩვენის დაუდევრობით.

(ხელმოუწერელია)

135

მოსე! პოისტავს აცნობე, რომ მე ნახევარი ვაპატივე და ნახევარი კი უსათუოდ აზღვევინოს და შენის თანდასწრებით ღარიბსა და ობოლ-ქვრივს დაურიგოს. სთხოვე პრისტავს, რომ ვისაც რას დაურიგებს, იმისი სახელი და გვარები შემატყობინოს.

ილია ჭავჭავაძე.

2 თებერვალი 1906 წელსა.

136

[1906 წ.]

მ ო ს ე! თექვსმეტი თუმანი იოსებას ხელით მივიღე.

თუ ვინიცობაა მანდ საგურამოში ჯარი მოვიდა, შენ თვითონ ჩადი და ვინც უფროსია ჩემმაგიერ სთხოვე, ხალხი არ დააწიოკონ, ჩვენ თვითონ მოვრიგდებითქო. თუ მაინცა და მაინც თავისი არ დაიშალონ, მაშინვე ფაეტონი გამომიგზავნე, მე თვითონ ამოვალ და მე თვითონა ვთხოვ უფროსს, მანდ არა იმოქმედონ-რა და ხალხი ტყუილ უბრალოდ არ გააფუჭონ.

ილია ჭავჭავაძე.

137

მ ო ს ე! მე დანიელასაც დავაბარე და ეხლაცა გწერ: თუ ჩვენი მემცხვარე უნდილაშვილი აურ-ზაურობს, ცხვარი ჩამოართვი და ან საკუთარი მწყემსი დაიჭირე, ან გააბარე, როგორც უნდილაშვილი იყო, იმ წესით. მე და კნეინა იმ კვირია მივდივართ რუსეთს ორის თვით, ორ თვეს შემდეგ ისევ დავბრუნდებით, თუ მშვიდობაა.

მე კახეთს ვეღარ წავედი, თავისუფალი დრო ვერ ჩავიგდე. მანდ მინდოდა ამოსვლა და წვიმებსა და ლაფებს შევუშინდი.

გლეხებს ძალიან ნუ აუხირდები, ნურაფერს ნუ გააფუჭებინებ-კი და უბრალოზე კი ნუ გამოეკიდები. დრო მოვა და ყველაფერი დაწყნარდება და ყველაფერი გასწორდება. ეს ისეთი დრო დადგა, რომ ბევრი რამ უნდა ვითმინოთ, ბევრს რასმეს ისე უნდა აუაროთ გვერდი, თითქო არა ვხედავდეთ. რა თქმა უნდა, არც აღვირის მიშვება უნდა ყველაფერში და არც უბრალო რასმეზე გამოკიდება.

ეხლა ვენახების წამლობის დრო მოდის, და წამალი უნდა დავიკვეთოთ. იანგარიშე, რამდენი შაბიამანი გვაქვს და რამდენი კიდევ დაგვჭირდება. აქ შევუკვეთ და როცა დრო იქნება წააღებინებ.

ფეშქაშად გიგზავნი ჩემს ქურქს.

ილია ჭავჭავაძე.

28 აპრილი, 1906 წ.

LVIII

წერილები გიორგი ჟურულისადმი

138

დიდად პატივცემულო ბატონო გ ი ო რ გ ი!

ყოვლთ უწინარეს ბოდიშს ვიხდი, რომ პასუხი დაგიგვიანეთ. სწორედ და გადაწყვეტილი ვერა შევიტყე რა იმ საქმის შესახებ, რომელსაც მე მეკითხებით. იგი თანამდებობა, რომელსაც თქვენ იხსენიებთ, ძალიან კარგი თანამდებობაა როგორც ჩვენის ქვეყნისთვის, ისეც საკუთრივ თქვენთვის: კარგი ჯამაგირია და მშვიდობიანი სამსახური. პირფერობაში ნუ ჩამომართმევთ და თქვენისთანა კაცი ამისთანა სამსახურში ბევრს კარგს შესძენს ჩვენ ქვეყანასა. ხოლო საქმე იმაშია, რომ ყველა ადგილები უკვე დაჭერილია, როგორც მიხაილოვმა მითხრა. ხმა დადის, რომ ერთის წევრის ადგილი დაიცლება ამ ორ თვეზე და დაცლილ ადგილისათვის კანდიდატად ასახელებენ მიტო ჩოლოყაშვილს. ამ ორი დღის წინად მიტოსა ვკითხე და მითხრა, რომ ჩემს კანდიდატობაზე ჩამი-ჩუმიც არ არისო. ეს კი ნამდვილად ვიცი, ხსენებულის თანამდებობის მიღება ძალიან უნდა და ამის თაობაზე მეც-კი მიმგზავნა ერთ კაცთან. გთხოვთ, ეს ამბავი ჩვენში დარჩეს.

იწერებით, სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების ხანა კარზე მოგვადგა და ჩვენ-კი არაფერი ვიცით, როგორ მოვიქცეთო. განა ჩვენ-კი ვიცით! საქმიანობაში ჯერ აქამომდე ჩვენ, ქართველები, რანი ვიყავით და ეხლა ამ არეულ-დარეულობაში რა

უნარი უნდა გამოგვეჩინა? ჩვენ აქ ყბედობის მეტი არა ვართ-რა. ცარიელ სიტყვების წეწვა-გლეჯა გვაქვს და საქმე-კი ღვთის ანაბარად არის მიგდებული. რაც პეტერბურგიდამ მოვედი, სულ ჩვენ ჯერ კიდევ შარშანვე შედგენილ პროგრამაზე გვაქვს თავის ხეთქა. არ იქნა, ამ უკვე გათავებულს საქმეს ბოლო არ მოეღო.

მაინც და მაინც, როგორც იქმნა, დღეს იბეჭდება იგი პრო-გრამა; და თუ კიდევ ხელი არავინ შეგვიშალა, დაიბეჭდება თუ არა, რამდენსამე ცალს მოგართმევთ გავრცელებისათვის და წევრების მოწვევისათვის.

თქვენი მარად პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე.

6 მარტი 1906 წ.

P. S. გუშინ წინ შეიყარნენ ჩვენი თავად-აზნაურთა კომი-სია, რომელსაც მიანდვეს გამოარკვიონ, — ვინ გაგზავნონ „на съезд дворян для выбора, а из их среды членов Государственном Совета“ და ვინ არის სასურველი, რომ წევ-რად ამ „Совет“-ისა ჩვენგანი ამორჩეული იქმნას. კომისიის დადგენილებას ხვალ, 7-ს მარტს გაარჩევს კერძო კრება. კო-მისიამ დაადგინა: ამომრჩევლებად გაიგზავნოს ილია ჭავჭავა-ძე და დოქტორი გედევანიშვილი. მე უარი გამოუცხადე გადა-ჭრილად და მაინც არ მეშვებიან.

139.

დეპეშა, ტფილისიდან, 1907 წლის 12 აგვისტოს.

ბათუმი,

გიორგი ჟურულს*.

გადაეცი ვოლსკის ჩემი ღრმა მწუხარება უბედურების გამო, რომელიც მას ეწია, და გულწრფელი სიხარული მისი ბედნიერად გადარჩენის გამო.

ილია ჭავჭავაძე.

---

* იბეჭდება დეპეშის ქართული თარგმანი (რუსული ტექსტი იხ. IV გან-ყოფილებაში).

წერილი ალექსანდრე ყიფშიძისადმი

140

ბატონო ალექსანდრე, ხელახლად მოვედი ამ ბედნიერს ქვეყანაში და პირველი ჩემი სალამი თქვენ უნდა მოგიძღვნათ, როგორც ჩემს კარგს თანამემამულეს. თუ არ დაიზარებთ და მნახავთ, დიდ სიამოვნებას მაღირსებთ. მე ჩემის კნეინით ვიახელ რუსეთის სატახტო ქალაქს.

თქვენი ილია; ჭავჭავაძე.

6 აპრილი [1906 წ.]

მუხინის ნომრებში ვარ ჩამომხდარი, № 1.

LX

ბარათი სახელმწიფო კანცელარიის ხაზინადარის მიმართ

141*.

ვთხოვ სახელმწიფო კანცელარიის უფალ ხაზინადარს უბრძანოს ვისდამი ჯერ არს გადმომცენ სახლში ფულადი გასამრჯელო, რომელიც მერგება მე, როგორც სახელმწიფო საბჭოს არჩეულს წევრს, იმ რიგით და იმ წესით, როგორც ეს აღნიშნულია სახელმწიფო კანცელარიის სახაზინადრო ნაწილის უწყებაში ამა წლის 15 მაისის თარიღით.

სახელმწიფო საბჭოს წევრი თავადი ჰ ა ვ ჰ ა ვ ა ძ ე

19 მაისი. 1906 წ.

---

* განცხადება რუსულად არის ნაწერი. აქ იბეჭდება ქართული თარგმანი. რ ე დ.

II

ილია ჭავჭავაძის
წერილები
ოლღა თადეოზის ასულ,
გურამიშვილისადმი

1863 წლისა

წერილები ილია ჭავჭავაძისა
ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი

1863 წლისა

(ილიას და ოლღას ქორწინებამდე)

წერილებში მოხსენებულნი პირნი.

1. ნინო ორბელიანი (ყაფლანიშვილი). ახლო მეგობარი ოლღასი და ნაცნობი ილიასი. ნინომ გადასცა პირველი წერილები ოლღასი ილიას და ილიასი ოლღას.

2. წერილებში მოხსენებული ო ლ ღ ა ს დ ა — არის უფროსი და ოლღასი — **ეკატერინე (კატო) თადეოზის ასული.**

3. წერილებში მოხსენებული დ ა ი ლ ი ა ს ი — არის უმცროსი და ილიასი **ელისაბედი (ლიზა).**

4 ყაზბეგი პელაგია ივანეს ასული — საიდუმლოს დაფარვის მიზნით მის სახელზედ აგზავნიდა ილია ოლღასადმი მიმართულ წერილებს.

5. მოლოზანი ნინო, — რომელსაც ილია მოიხსენებს როგორც ბოროტ სულს, — უცნობი პირია, როგორც ჩანს 25-ე წერილიდან, იგი თავადის ქალი ყოფილა.

6. ბარბარე ილიას ასული (ვარვარა ილინიშნა) ორბელიანი, ილია ორბელიანის ქვრივი, ბაგრატიონის ქალი, ილია ბატონიშვილის ასული. დიდის გავლენით სარგებლობდა თბილისის საზოგადოებაში (1863 წელს, რა დროსაც ეკუთვნის მიმოწერა, იგი იყო წმ. ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე).

7. ელისაბედ (ლიზა) ნიკოლოზის ასული მუხრან-ბატონისა. ნათესავი გურამიანთ ოჯახისა. თბილისის მაღალ საზოგადოებას ეკუთვნოდა.

8. ჩოლოყაშვილი ელენე, მეუღლე ნიკო ჩოლოყაშვილისა. მის სახლში იკრიბებოდნენ ლიტერატორები, იმართებოდა ლიტერატურული საღამოები.

9. თადეოზ გურამიშვილი — ოლღას მამა, საგურამოს მემამულე.

10. გიორგი კონსტანტინეს ძე მუხრან-ბატონი. გურამიანთ ოჯახის ნათესავი; გავლენიანი პირი, დიდი მოხელე. 1863 წელს, რა დროსაც ეკუთვნის მიმოწერა, გიორგი მუხრან-ბატონი იყო კავკასიის მეფის-ნაცვალის საბჭოს წევრი, სამართლის საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი; უფრო გვიან იყო სენატორი და სახელმწიფო საბჭოს წევრი. (1872 წელს გიორგი მუხრან-ბატონმა გამოაქვეყნა ბროშურა „О существе крупных единиц", რომელშიაც იცავდა აზრს, რომ აუცილებელია პატარა ერების ასიმილაცია დიდი ერების მიერო. ილია ამ ბროშურას შემდეგი სიტყვებით გამოეხმაურა: „მუხრანსკის ბროშურა წავიკითხე, აი ჩემი პასუხი: „Лишь право сильного раб свято почитает". ამ ბროშურის გამო ილიამ დაწერა ლექსი—პამფლეტი: „რჩევა".

11. ირაკლი კონსტანტინეს-ძე მუხრან-ბატონი — 1863 წელს საგანგებო მინდობილობათა მოხელე კავკასიის მეფის-ნაცვალთან.

12. იესე ადამის-ძე ანდრონიკაშვილი — გურამიანთ ოჯახის ნათესავი (1863 წელს მას ეჭირა კომერციული სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობა).

13. ივანე მალხაზის-ძე ანდრონიკაშვილი — გენერალ-ლეიტენანტი.

14. ილია წინამძღვრიშვილი — ილიას მეგობარი (შემდეგ ცნობილი საზოგადო მოღვაწე, დამაარსებელი წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო სასწავლებლისა).

15. ლეონ პეტრეს-ძე ზაგურსკი — მასწავლებელი ისტორიისა და გეოგრაფიისა, თბილისის გიმნაზიისა და ქალთა ინსტიტუტში. ახლო ნაცნობი ყოფილა ილიასი.

16. გრაფი ვლადიმერ ვლადიმირის-ძე ორლოვ-დავიდოვი პირველი, კავკასიის მეფის-ნაცვლისა და მთავარსარდლის ადიუტანტი, ოფიცერი.

17 — 18. პლატონოვი და ბარონ ფონ დერ ბრიუგენი თბილისის „მაღალი წრის" ახალგაზრდობას ეკუთვნოდნენ.

19. სტარიცკი ევგენი პავლეს-ძე — 1863 წელს კავკასიის მეფის-ნაცვლის საბჭოს წევრი, ამიერ-კავკასიის სამიწათმზომელო პალატის მმართველი. სტარიცკის ოჯახსა და გურამიანთ ოჯახს ახლო ნაცნობობა ჰქონდა (სტარიცკის ოჯახთან, უფრო გვიან ნაცნობობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესაც).

20. გიორგი ნიკოლოზის-ძე ბერიძე — მოხელე (სამიწათმზომელო კომისიის წევრი). ილიას ნაცნობი.

[16 იანვარი, 1863 წ.]

მითხარით, — სად შევხვდეთ. დროის გამო ნუ სწუხდებით, დროს ყოველთვის მოვნახავ, ოღონდ ერთი დღით ადრე მაცნობეთ.

ი. ჭ.

---

* ილიას ამ პირველი ბარათის გამო საჭიროა შემდეგი აღინიშნოს.

ოლღა ვურამიშვილის შეგობარს ნინო ორბელიანს ასმათობა გაუწევია ოლღასათვის; იგი სწვევია ილიას და ურთიერთობა გაუბამს ილიასა და ოლღას შორის. არა სჩანს მხოლოდ, ოლღას ბარათი მიუწერია ილიასათვის, თუ აქ ნინოს მხრით სიტყვიერი შემზადება იყო მათი შეხვედრისა.

ამასთან ბარათში, თუ საუბრის დროს, ისიც ყოფილა აღნიშნული დიდის ტაქტით, რომ ილია ალბად ჯერ ვერ მოიცლის შეხვედრისათვის, რადგან ჯღე და ღამე დაჭერილია სტამბაში მუშაობით (ამ დროს გამოდიოდა პირველი ნომერი ახლად დაწყებული ჟურნალისა, „საქართველოს მოამბისა“).

ილიას ეს მოკლე ბარათი, ოლღასადმი მიმართული, დაწერილია ნინო ორბელიანთან ამ შეხვედრის დროს.

ბარათი მეტად თავდაჭერილია და ერთვარ ოფიციალურ იერსაც ატარებს, რადგან ბარათი გარეშე პირის თანდასწრებით იწერებოდა და იმავე გარეშე პირის ხელით იგზავნებოდა ოლღასთან.

2 *

[18 იანვარი, 1863 წ.]

სადაც ნაბრძანები მქონდა ყოფნა, იქ ვიყავი, მაგრამ ვერავინ ვნახე, ყველაფერი ჩვენი საერთო მეგობრის ბრალია. მან ექვს საათზე გადმომცა წერილი, შვიდის თხუთმეტ წუთზე კი მე უკვე სიცივისაგან ვკანკალებდი ჭიშკართან. ორჯერ შემოვიარე ის ადგილი, სადაც, ჩემის ანგარიშით, ერთმანეთს უნდა შევხვედროდით. მერმე ბ-ძესთან გასათბობად მივედი, შემდეგ ისევ, თუ არა ვცდები, ათი წუთი ვიდექი გარეთ, კვლავ უშედეგოდ.

ხვალ შუადღისას, სრულ პირველ საათზე, ბ-ძესთან მოვალ; ხომ შეიძლება გნახოთ, თუნდაც აივანზე? რომ არ გაიყინოთ, გაფრთხილებთ, სრულ პირველ საათზე ვიქნები. თუკი თქვენი ნახვა არ მოხერხდება, შეეცადეთ ყოველ შემთხვევისათვის დამანახვოთ ბარბარე, რომელსაც, როგორც გაგებული მაქვს, ყველაფერს ენდობით. რამეს რომ მივაღწიოთ, საჭიროა გავიცნო მისი ღირსეული ფიზიონომია. შეიწუხოს თავი და ინებოს ერთი-ორჯერ გაიარ-გამოიაროს ეზოში, უკანა კიბის მხარეს, — ალბათ ბედი მეწვევა და ვეღირსები ფანჯრიდან მის დანახვას.

მე მგონია, ხიფათში იგდებთ თავს, როცა პაემანს მინიშნავთ თქვენს სახლში, სადაც ასი თვალი გითვალთვალებს. მე ბევრი რამის, ძალიან ბევრი რამის გამო მინდა გესაუბროთ. მეშინია, ვაითუ სიჩქარით ყველაფრის თქმა ვერ მოვასწრო. თანაც თქვენთვისაც მოუხერხებელი იქნება ყურის გდება, სადაც პატარა შარიშურმაც კი შესაძლოა შიში გამოიწვიოს და ყურადღება წაგართვათ. ყველაფერს აჯობებს შევხვდეთ სად-

* ილიამ ერთი საათის დაგვიანებით მიიღო ოლღას ბარათი, რომლითაც ოლღა შეხვედრას უნიშნავდა ილიას; დანიშნულ ადგილას ილიას უნდა დახვედროდა ქალი, რომელიც მას ოლღასთან მიიყვანდა. თუმცა დრო გადაცილებული იყო, მაგრამ ილია მაინც მივიდა დანიშნულ ადგილას. აქ მას უკვე აღარავინ დახვდა და შეხვედრა არ შედგა.

ილიას მე-2 წერილის დასაწყისი ამ ამბავს ეხება.

მე სხვაგან, თქვენი სახლისგან მოშორებით, თუნდაც, მაგალითად, ტაძარში. მაგრამ, რასაკვირველია, ნება თქვენია, მიბრძანეთ, რასაც ინებებთ, მე ყველაფერს შევასრულებ. ოღონდ, გთხოვთ, ეს ერთი დაიმახსოვრეთ: არავის არ უთხრათ არაფერი, არავის ენდოთ, ადამიანნი ყოველთვის ბოროტნი არიან, ძნელად თუ ვინმემ დაფაროს საიდუმლო, მით უმეტეს ისეთი შინაარსისა, როგორიც თქვენია.

ი. ჭ.

P. S. რაც უფრო ადრე ვნახავთ ერთმანეთს, მით უკეთესია, — ბევრი რამ მინდა გადმოგცეთ. დღესვე მიპასუხეთ ამ ნაჩქარევ წერილზე. გვარი მოაწერეთ, რისი გეშინიათ? ერთხელ თუ კი მენდეთ, მაშინ სრულად და ბოლომდე მომენდევით.

გთხოვთ, წერილი დააბრუნოთ, მიზეზს, როცა შევხვდებით მაშინ ავიხსნით.

ი. ჭ.

3 *

[შაბათი, 19 იანვარი, 1863 წ.]

მოვალ, ჩემო ანგელოზო, მოვალ! მგონი ცხრაზე იწყება წირვა.

შენი ილიკო.

* როგორც ილია ურჩევდა მე-2 წერილში, ოლღა უნიშნავს ილიას შეხვედრას ტაძარში, კვირა დღისათვის.

ილია ამ მე-3 წერილში უპასუხებს თანხმობით.

[26 იანვარი, 1863 წ.]

გუშინ მივიღე თქვენი წერილი, რომელშიაც თქვენს მიმართ გულახდილობასა მთხოვდით. კეთილი, მე მხოლოდ ყურადღებასა გთხოვთ და ამ წერილის მოთმინებით ბოლომდე წაკითხვას.

ორშაბათს სიტყვა მოგეცით, თქვენი ვიყო, და რაც არ უნდა მოხდეს, თქვენი ვიქნები. ამჟამად, თუკი რამეს ვუსაყვედურებ ჩემს თავს, მხოლოდ შემდეგს: სიტყვის მოცემამდე პატიოსანი კაცის ღირსება მავალებდა მეთქვა, თუ როგორია ბედი იმ ადამიანისა, რომლის მინდობაც თქვენ გადაგიწყვეტიათ. რისი თქმაც მაშინ ვერ შევძელ, ახლა ვასრულებ.

იცოდეთ, მომავალში სიყვარულისა და ერთგულების მეტს ვერაფერს შემოგთავაზებთ. მართალია, ადამიანები ამ ორი რამითაც არიან ბედნიერნი, მეცა მჯერა, რომ შესაძლებელია ასეთი ბედნიერება, მაგრამ, მითხარით, თქვენ თუ გჯერათ ასევე? აი, საკითხი, რომელიც მოსვენებას არ მაძლევს. იცით თუ არა ყველაფერი ჩემი მდგომარეობის შესახებ? იცით თუ არა ჩემი აწმყო? ხოლო, რაც შეეხება მომავალს, იმაზე არც ღირს ლაპარაკი, რაც უფრო შორს ვიხედები, მით უფრო ცოტას ვხედავ სანუგეშოს. მართალია, მე ჩემი თავი სიღარიბისა და შრომისათვის გადამიდვია; მართალია, არც ერთისა და არც მეორის არ მეშინია, მაგრამ არც თქვენ გეშინიათ მისი? თუ არ გეშინიათ, მე თქვენი ვარ, ე. ი. — შენი ვარ.

ორშაბათს შენგან პირდაპირ ბერიძესთან მივედი და ვერ წარმოიდგენ, რა საინტერესო ამბავი გავიგე: მან მითხრა, თითქოს თქვენთან ცხოვრობს ვინმე მოლოზანი. ეს მოლოზანი სამი დღის წინათ გამოცხადებულა ბერიძესთან რაღაც საქმიანი ქაღალდებითურთ, რომ ამით თავისი დაუპატიჟებელი სტუმრობა როგორმე დაეფარა. საუბარს იწყებენ ჯერ რომელიღაც სადავო მამულზე, ლაპარაკობენ ყველაფერზე, სხვათა შორის შენზეც, ჩემო მეგობარო! ნება მომეცი, სრულად გადმოგცე ეს საუბარი. დაიმახსოვრე, მოლოზნის სიტყვები აღ-

ნიშნული იქნება ქართული ასოთი „მ“, ხოლო ბერიძისა ახო „ბ“-თი. დიდად საინტერესო რამეა.

* მ. — ხომ შეგიტყვიათ, რომ თადეოზს ქალი ჰყავს?

ბ. — დიახ, შემიტყვია.

მ. — კაი მზითვიანიც არის.

ბ. — ეგეც ვიცი.

მ. — უბედურობა ეს არის, რომ კაცი არ არის, რომ მივათხოვოთ.

ბ. — ქალაქში კაცების მეტი რა არის!..

მ. — აბა ვინა?

ბ. — რა ვიცი, ათასი.

მ. — მოდი, თუ მოახერხებ, ცუცა ჭავჭავაძეს მივსცეთ.

ბ. — ძალიან კარგსა იქთ, მიეცით.

მ. — ილიკო ჭავჭავაძესაც აქებენ, მაგრამ მე და შენში კი დარჩეს, ამბობენ, ჯიბეზედ კუტრათ არისო.

ბ. — მაგას თითონაც გეტყვისთ, რომ ჰკითხო. რა დასამალავია.

მ. — კუტრი რომ არ იყოს, კაი საქრმოა.

ბ. — ისეთი კარგი საქრმოა, რომ იქნება თქვენი ქალი არც კი შეირთოს.

მ. — უი, იმის თვალებს!... მითომ მიეცით და დაგვიწუწა კიდეც!

ბ. — ილიკო ჩემი მეგობარია, მე იმას კარგად ვიცნობ, იქნება ძალიანაც რომ შეეხვეწოთ, არც კი შეირთოს.

მ. — მითომ რატომაო!.. თქვენ რატომ ეგრე ჩვარში აბევეთ ჩვენს ქალსა, ცოდო არ არის!..

ბ. — არა, იქნება თქვენი ქალი კარგი იყოს, მაგრამ იმან კი დაიწუნოს.

მ. — რა ორთ ხელმწიფის შვილი ბძანდება, რომ დაიწუნოს.

ბ. — ორთ ხელმწიფის შვილი თუ თქვენა ბძანდებით, ისიც იქნება.

მ. — თქვენი სიტყვიდამ კი ეგ გამოდის და!

ბ. — ჩემის სიტყვიდამ ის გამოდის, რომ ის უფრო უარ-
გეტყვით, ვიდრე ჰოსა.

მ. — ქა!.. უარსო!...

ბ. — დიახ.

მ. — ერთი რას მოგახსენებთ, აბა თქვენ მაგიერად სიტყვა
გადაუგდეთ, მითამ ჩვენგნით არა იცით რა, ვნახოთ,
რას იტყვის.

ბ. — ბატონი ბრძანდებით, ვეტყვი**.

ამაზე გათავდა მათი საინტერესო საუბარი. არ იფიქრო, ჩემო მეგობარო, რაიმეს ვუმატებდე; როგორც გადმომცეს, ისე გადმოგეცი. ბერიძემ მკითხა, დავქორწინდები თუ არა შენზე? მე არაფერი ვუპასუხე, მხოლოდ როგორღაც სულელურად გავუღიმე. მე მანამდე არ ვეტყვი არაფერს, სანამ შენ, ჩემო ჭკვიანო ქალო, არ მირჩევ, რა ვუთხრა.

იმ საუბრიდან ჩანს, მოლოზანი ვილაცას მოუგზავნია, თორემ თავის მხრით ამას ვერ გაბედავდა. საკითხავი ახლა ეს არის, ვინ მოგზავნა? იქნებ მამაშენმა? ხომ ვერ ამიხსნი ამას? თვით ის ჩვენი გუვერნანტკაც, — როგორც შენ უწოდებ მას, საიდანღა გამოცხადდა? პატიოსან სიტყვას გაძლევ, იგი არასოდეს მინახავს და არც მიძებნია. საიდან გამოტყვრა? თუ შენ არ გამოგიგზავნია, მაშინ ეჭვი მეპარება, ჩვენს საქმეში ვილაც უცხო ურევს ხელს. ღვთის გულისათვის, ამიხსენი, რა ხდება, ჩვენის გულუბრყვილობით არავინ ისარგებლოს.

შენ თითქოს უკმაყოფილო ხარ, წერილების დაბრუნებას რომ გთხოვ, შენც თხოულობ წერილების დაბრუნებას და ბოლოში დასძენ: „ბარი ბარშიო". კეთილი! ჩვენ მერმეც გავასწორებთ ანგარიშს, დრო მოვა და ბარი ბარში ვიქნებით. ოღონდ დამაცადე საწერ მაგიდასთან დავსვა ჟურნალის სტატიის საწერად: მაშინ სხვანაირად ალაპარაკდები. ტყუილია თუ? ხუმრობა იქით იყოს, წერილებს იმიტომ არ გიტოვებ. ვაი თუ ვინმემ გინახოს, მერმე რა გეშველება. პატივი დამდე და წერილები უკან მიგზავნე; შენი კი შენის ნებართვით მე შექნება, ჩემთან მათ ვერავინ ნახავს.

ენდე ამ ბიჭს, იგი დიდი ერთგულია ჩემი. გუშინ განვუცხადე ჯვარს ვიწერ-მეთქი და სიხარულისგან ორჯერ ჰქნა ჰაერში მალაყი. გკოცნი.

[კიდეზე მინაწერი:]

შენი წერილი გახსნილი მივიღე. მეგობრობაც ამას ჰქვია! ძალიან კი გიმეგობრა შენმა ნინომ! მე შინაც რომ არ ვიყო, ბიჭი შემატყობინებს, როცა წერილი მოვა.

5

[28 იანვარი, 1863 წ.]

შენი სულისა, ო ლ ი კ ო ჯ ა ნ! გუშინდელი შეხვედრის შემდეგ როგორა გრძნობ თავს? ნუთუ მართლა ავადა ხარ? ვეყოფა ავადმყოფობა. ბარბარემ უთხრა ბიჭს, ორი დღეა არაფერსა ჭამსო. რა გემართება? ღვთის გულისათვის, ნუ ღელავ. შენს თავსა ვფიცავ, ჩვენი საქმე კარგად დაგვირგვინდება. იქნებ იმასა ნანობ, რომ მე ამომირჩიე, — ეს სხვა საქმეა, — თუ არა, რა გაქვს სანაღვლო, ჩემო მეგობარო! გეფიცები, ოლიკოჯან, შენი ილიკო მუდამ შენი იქნება. მე არ მიყვარს დაშაქრული თუ დაცრემლილი სიტყვები, მე არ მიყვარს საკუთარ გრძნობებზე ლაპარაკი, ჩემო მეგობარო, — ეს მხოლოდ რომანებში იციან, ისიც ფრანგული ყაიდის მოსულელო რომანებში. დამიჯერე, რაც უფრო მეტია სიტყვა, მით უფრო ნაკლებია გრძნობა, ანდა პირიქით. რაც უფრო ნაკლებია სიტყვა, მით უფრო მეტია გრძნობა. ეს ისეთივე ჭეშმარიტებაა, როგორც ორჯერ ორი ოთხია.

გუშინდელი დღე დიდებული რამ იყო, მაგრამ უცნაური ის არის, რა ბევრის თქმა გვინდოდა და რა ცოტა ვილაპარაკეთ. არ იქნება ერთხელაც შევხვდეთ? გინდაც შევხვდეთ, ერთმანეთს ალბათ ისევ ვერაფერს ვეტყვით, ისე კი როგორ მიწდა შენთან საუბარი, ოლიკო! ისეთი მხიარული ხარ, რომ დაუნანებლად შენთან დაშორება მიძნელდება. მე კი არც ისეთი სუ-

ლელი ვარ, როგორიც შენს გვერდითა ვჩანვარ. ოლიკოჯან! გეფიცები, მეტისმეტად მოწყენილი ვიქნები, თუ შენი ბარ-ბარე ყოველდღე შენს წერილებს არ მომიტანს. აბა, მითხარი, პარასკევამდე როგორ მოვითმინო... დღევანდელი შენი წერილი მაწუხებს, ისეთი მხიარული არ არის, როგორიც იყო ხოლმე. რა მოხდა? ღვთის გულისათვის, თუ ცოტათი მაინც გიყვარვარ, ნურაფერს დამიმალავ, მომწერე ყველაფერი, რაც გაწუხებს და გაღელვებს. შენ არ იფიქრო, შემეშინდეს, თუკი რაიმე უსიამოვნოს გამაგებინებ, მე ისეთი სუსტი არა ვარ, უსიამოვნებანი მაშინებდნენ. ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ გადამიტანია და კიდევ გადავიტან. * შენი ჭირიმე, ოლიკოჯან, თუ გიყვარდე, ნურაფერს ნუ მიმალამ. რა არი, ქალო? თუ შენ ჩემი ხარ და მე შენი, რად უნდა ჩვენში დასამალავი იყოს რაიმე? **

ღმერთმა უწყის, საიდან მომეჩვენა, თითქოს შენ ცუდი რამ შეგემთხვა. გაჰფანტე ეს სისულელე, ვეხვეწები.

დღეს საღამოს შვიდ საათზე ჩემი ბიჭი არშაკუნის ბაღთან იდგომება, ბარბარემ ერთი წამით მოირბინოს და გადასცეს შენი წერილი, რომელიც ამ წერილის პასუხი იქნება.

მომიტევე, თუ შეგიძლია ჩემ მაგივრად აკოცე შენს თავს. მართალი გითხრა, არ ვიცი, რასა ვწერ, ჩემი ოთახი სტუმრებით არის გატენილი.

*შენი ილიკო ჭავჭავაძე**.

ჩემო ანგელოზო! რატომ ღელავ, ჩემო მეგობარო? რისი უნდა გვეშინოდეს? სიტყვას ვაძლევ ჩემს ოლიკოს, რომ მის თავს ვერავინ წამართმევს. ჩემთვის სულ ერთია, რა უთხარი მუხრანიანთ ქალბატონს; შენი ჭირიმე, რაც გინდა ის ილაპარაკე. მე თუ ვღელავ, მხოლოდ შენ გამო ვღელავ, რადგან შენ თვითონ მწერდი: *მამა ჩემმა რომ შეიტყოს, თოფით დამხვრეტსო**.

შენ მეკითხები, გავემგზავრო თუ არა მუხრანიანთასო, — როგორც გინდოდეს, ჩემო მეგობარო, შენი ნებაა. მარტო ახლა კი არა, მომავალშიაც არაფრით არ შევზღუდავ შენს ნება-სურ-

ვილსა.* შენი ჭირიმე, ოლიკოჯან, შემატყობინე რა გაწუხებს? ბარბარე მეუბნება, რომ პურსა აღარა ჰსჭამსო. პურიცა სჭამე და ქეიფიც გასწიე, სატირალი და საწუხარი რა გვაქვს მე და შენ? კარგად იყავი, თორემ ძალიან მაწყენ. შენ გეთაყვანე, ყველაფერი მომწერე ამაღამვე. აბა, თუ გიყვარდე, ეს ერთი თხოვნა ამისრულე.

შენი ილიკო ჭავჭავაძე**

6

[29 იანვარი, 1863 წ.]

*ოლიკოჯან!** შენი მხიარული წერილებისათვის მადლობა მომიხსენებია. ნამდვილი მწერალი მყავხარ, — გიჟმაჟი. მხიარული, ხუმარა, — სახელი და დიდება შენ! მერმე რა ქართულითა წერ!.. პირდაპირ გამაოცე. არაფრით არ მოველოდი. თუ შენ ასე ლაღად შეგეძლო აზრის ქართულად გამოთქმა. აი, რას ნიშნავს ქართველი რედაქტორის ცოლობა! შენ ისე კარგი ხარ, ჭკვიანი, მაგრამ მაინც ცელქი, ამასთან ცოტა მოუთმენელიცა ხარ, — იცი რადა: დღეს ოთხ საათზე შენთან მოსვლასა მთხოვ. თუმცა მე დიდად მოხარული ვარ და ვეცდები კიდეც მოვიდე, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც არ შემიშლის ხელს გითხრა, რომ ამ შეხვედრის გამო შეიძლება მთელი ჩვენი საქმე ხიფათში ჩავარდეს. მაშინ, ასე განსაჯე, უნდა მოგიტაცო, გავითამაშო პატარა რომანი, რომელსაც შენი მოტაცებით დავამთავრებ.

ხვალ პირველ საათზე გოლოვინის პროსპექტიდან დროშკით მოვალ ბერიძესთან, თქვენს ვიწრო ქუჩაზე ამოვივლი; ღვთის გულისათვის, აივანზე მეჩვენე, — და თუ კი შესაძლოა შენთან შეხვედრა სადარბაზო კართან, როგორმე მანიშნე ეს აივნიდან, თუნდაც ხმამაღლა დაახველე. მეეტლესთან განგებ დიდხანს გავჩერდები, იქნებ რისამე თქმა მოასწრო. იცი რატომ გწერ ამას? იმიტომ, რომ გუშინ თეატრში სიტყვა მივეცი ცენზორს, სამ საათზე მოვალ-მეთქი; უნდა მივიდე ერთ მნიშვნელოვან საქმეზე, რომელიც ჟურნალს ეხება. იგი არაფ-

რით არ თანხმდება გაუშვას ერთი წერილი, მიუხედავად იმისა, რომ მთელი კვირაა ამაზე ვეჩიჩინები, — ჟურნალი კი ამის გამო მიჩერდება. მერწმუნე* ოლიკოჯან**, ვეცდები, რაც შეიძლება მალე მოვიშორო ცენზორი, რომ შენთან ამორბენა მოვასწრო. თუ საუბედუროდ, ვერ მოვასწარი, მაპატიე; *შენი ჭირიმე.**

შენ ისეთი ჭკვიანი ხარ, და იმდენ გულკეთილობას იჩენ ჩემდამი, რომ გულცივობას არ დასწამებ და არ აწყენინებ ამით შენს ილიკოს, რომელმაც უკვე თავისად გიწოდა შენ. ჰო, ჩემო მეგობარო, მე იმდენად ერთგული ვარ შენი, როგორც შეიძლება არ მახარებდეს ყოველი შემთხვევა შენთან შეხვედრისა, ამიტომაც გთხოვ ნურავითარ საყვედურს ნუ მისცემ ადგილს შენს გულში და ამით ნუ მაწყენინებ. მე ხომ დიდი ხნის წინათა გწერდი, რომ როდესაც თქვენთან მოსვლას მიბრძანებ, ერთი დღით ადრე მაინც მაცნობე მეთქი, რადგან დღეები ძალზე გადატვირთული მაქვს იმგვარი საქმეებით, რომ მათი გადადება გაფუჭებას ნიშნავს საქმისას, რომელსაც მოვეჭიდე. ოლიკოჯან! გახსოვდეს მუდამ და შენვე გამამართლე, თუკი დღეს, ჩემი ცდის მიუხედავად, ზუსტად ოთხ საათზე ვერ მოვედი. ეს ჩემთვისაც საწუხარია, მით უფრო საწუხარი, რომ შენ შეიძლება ნაწყენი დარჩე. განა კი მე მინდა ეს? პირველიდან სამამდე თავისუფალი ვარ, იქნებ მაშინ შევხვდეთ? შენ ხომ საკმაოდ ეშმაკი ხარ, სცადე, იქნებ მოახერხო. თუ ვერ მოახერხე, მაშინ რაღა გაეწყობა! დამელოდე სრულ ოთხამდე. თუ მოვედი ხომ კარგი, თუ არა და მაშინ მე ნუ, ცენზორი დასწყევლე, იმისი ბრალი იქნება.

* შენი ჭირიმე, ოლიკო, არ გაჯავრდე, რა ვუყოთ! თუ დღეს ვერა ვნახეთ ერთმანეთი, მერე ვნახამთ.** როგორ გგონია, ოლიკო, ჩვენი ქორწილი აღდგომის შემდეგ მოეწყობა? მგონია, მოეწყობა.. მითხარი, დეიდაშენს რატომ ვძულვარ? მუხრანიანთ ლიზაც, ამბობენ თურმე ალმაცერად მიყურებს,— მართალია? თუმცა, როგორც დეიდაშენის სიძულვილი, ისე მისი ბრწყინვალება კნეინა ლიზას უმოწყალო თვალი ჩემთვის არაფერს ნიშნავს, მაგრამ ცუდი არ იქნებოდა, მაინც გამეგო-

* ახლა, თუ დღეს არა განახე, პარასკევამდის უნდა ველოდო შენს წიგნსა?

შენი ილიკო ჭავჭავაძე.**

7

[30 იანვარი, 1863 წ.]

შენ უკვე ჩემი წყენინება მოგსურვებია, ოლიკო! სირცხვილი არ იყო ათი [მანეთის] გამოგზავნა, თითქოს ისეთი ღარიბი ვარ, რომ ათი მან[ეთის] შოვნა არ შემიძლია. მივხვდი, იმ შავ პოპლინს შენთვის კი არა, შენი ყაზბეგისთვის იძენ, — იმასაც მივხვდი, რომ შენი ფულით გინდოდა გეყიდა საჩუქარი და ჩემი სახელით მიგერთმია. ო, როგორი ეშმაკი ხარ! განა მე თვითონ ვერ შევძლებდი ამას? მაგრამ შენ არ მოინდომე, ალბათ გეგონა, რომ ათი მანეთი არ მექნებოდა. მიიღე შენი ფული, თუ უკან დაბრუნებას ეცდები, სასტიკად მაწყენინებ. დღეს ვიყიდე ეს რაღაც სისულელე, არ ვიცი, მოგეწონება თუ არა? თუ არ მოგეწონა, უკან დამიბრუნე, სხვას ამოვარჩევ.

მომისმინე, ოლიკო! მე უკვე ყველა მილოცავს, რომ შენზე ვიწერ ჯვარს. საიდან გავრცელდა ასეთი ხმები? ბერიძემ გუშინ მითხრა, თითქოს რაღაცას ვუმალავ, მოლოზნისაგან კი შეუტყვია, რომ ჩვენ ერთმანეთს წერილებსა ვწერთ, რომ ჩვენი საქმე უკვე გადაწყვეტილია და ა. შ. როგორც ჩანს, მოლოზანს ნამდვილად გაუგია ჩვენი მიმოწერის ამბავი. თუ ეს ასეა, მაშინ მეტად უნდა გაფრთხილებულიყავი.

შენი ილიკო.

[წერილის თავზე მინაწერი:]

ხვალ შუადღის პირველზე ბერიძესთან მოვალ, მეჩვენე აივანზე.

მომიტევე, მოკლედ რომ გწერ, ჩემთან სტუმრები არიან.

ნუთუ მხოლოდ პარასკევობით გვექნება მიმოწერა? რა საწყინოა!

8

[2 თებერვალი, 1863 წ.]

მაპატიე, ჩემო მეგობარო, ჯერ ერთი შენს წერილზე გვიან გპასუხობ, მეორეც, მოკლედ გწერ.

გუშინ დილის ცხრიდან საღამოს ექვსამდე სტამბაში ვეგდე. ისეთ სულელურ სამუშაოს გადავყევი, რომ შინ დაღლილი დავბრუნდი. თავი ისე დამებურა ნისლით, შიგ ერთი ხეირიანი აზრიც არ ჭაჭანებდა. მოსვლისთანავე, არ მისადილია, ისე მივეგდე მკვდარივით, გადაწყვეტილი მქონდა ღრმა ძილისთვის მიმეცა თავი, მაგრამ ვინ მადროვა! ჩათვლემაც არ მაცალეს. დღეს ცუდად ვგრძნობ თავს, კარგად არა ვარ, ამას კიდევ არა უშავს რა, საქმე ისაა, ბევრი სამუშაო დამიგროვდა. ამიტომ გთხოვ, მაპატიე, რომ ასე მოკლედ და თანაც სულელურ წერილსა გწერ.

ხვალ 11-ზე ჩემგან მიიღებ ისეთ დიდ წერილს, შეიძლება გეწყინოს კიდეც.

ჟურნალი ამ დღეებში გამოვა. მე შენგან მოვითხოვ, უბრალოდ მოვითხოვ, დაწვრილებით კრიტიკას.

შენი ი ლ ი კ ო.

9

კვირა, [3 თებერვალი 1863 წ.]

რა ჭკვიანი იყავი, ო ლ ი კ ო, გუშინდლამდე, გუშინ კი, რაღა გითხრა, მიმტყუნე. აქამდე იმდენად გიყვარდი, მთელ ფურცელს მწერდი ხოლმე, ხანდახან ორსაც, ხოლო გუშინ რაღაც ორიოდე წყალწყალა სტრიქონი გამოიმეტე. როგორ არა გრცხვენია! თუმცა ვერც მე დავიტრაბახებ ჩემი გუშინდელი წერილის სიგრძითა, მაგრამ, მერწმუნე, უძილობისგან ისე მტკიოდა თავი, თანაც იმდენი საქმე მქონდა, რომ გენახე, უთუოდ შეგებრალებოდი. სამაგიეროდ დღეს დაგსჯი დიდი წერილით.

უკანასკნელის წინა წერილში გაინტერესებდა ჩემი ჟურნა-

ლის წარმატების ამბავი. ჩემი ჟურნალი არც ისე სულელური იქნება, თუ კი ღრმად პატივცემული საზოგადოება ყურადღებას მიაპყრობს იმას, რაც წაკითხვის ღირსია. გამოცემისთვის სახსრები საკმარისია — 5.290 მანეთი. თუ ჩვენ (მე და ჩემი ამხანაგები) კეთილსინდისიერად ვიშრომებთ, მაშინ მომავალ წელს ხელმოწერა შეიძლება გაიზარდოს 10.000 მანეთამდე. მაგრამ აი, რას გეტყვი: იმათ საიდანღაც გაუგიათ, რომ ამ წელს ჯვარს ვიწერ და სასოწარკვეთილნი არიან, ჰგონიათ, დავქორწინდები თუ არა, ჟურნალს მივატოვებ. მე ისინი გადავარწმუნე და დავამშვიდე. ვუთხარი, იქნებ მართლაც დავქორწინდე-მეთქი, მაგრამ დავქორწინდები ისეთ ჭკვიან ქალზე, რომელიც ამ წმინდა საქმეს კი არ ჩამომაშორებს, პირიქით, უფრო მეტად მიმაჯაჭვავს და ძალასა და ენერგიასაც შემმატებს-მეთქი და ა. შ. რა? განა შევცდი, ასე რომ ვთქვი შენზე, ოლიკო? არა, ჩემს ოლიკოში მე არ შევცდები.

დას დიდიხანია ყველაფერი გავუმჟღავნე. საიდან მოიტანე, თითქოს ის ჩემი არჩევანით კმაყოფილი არ იქნება? ოთხი თვეა სულ შენზე მეჩიჩინებოდა. მე ხუმრობით ვარიდებდი თავს პასუხს. მერწმუნე, როგორც კი ვუთხარი ვქორწინდები-მეთქი, მომეხვია და მაკოცა. შენ მას არ იცნობ, საუცხოვო ქალია.

გუშინწინისწინ კეკე ბარათაშვილიც დამელაპარაკა შენზე. მე ვუთხარი, რომ უკვე ჯვარდაწერილი ვარ, ცოლი ფეხმძიმედა მყავს და მალე ეყოლება ვაჟიშვილი, რომელსაც სახელად წინასწარ* „საქართველოს მოამბე“** დავარქვი მეთქი. * — შენ იხუმრეო, მითხრეს იქა: შენ მეტი შენს სახლში არავინ აღარ დარჩაო, უშვილოდ ამოწყდებიო. — თქვენ რა გენაღვლებათ მეთქი? იმოდენა სიმდიდრე ჩემი თქვენ დაგრჩებათ, გიხაროდეთ**.

წურბელებივით ჩამაცივდნენ, უსათუოდ შეირთეო, მიქეს შენი თავი, თავისებურად ისე შეგალამაზეს, რომ მე იძულებული გავხდი, არც ჰო და არც არა მეთქვა. — კარგი-მეთქი, — ვუთხარი, — ბოლოსდაბოლოს რაც გინდათ, ისა ჰქენით, ოღონდ მე გადაწყვეტილ სიტყვას ვერ მოგცემთ-თქო. მხო-

ლოდ ამით ჩამოვიშორე არამკითხე ნათესავები. უჰ, ღმერთო ჩემო, რა ხალხია. თუ ღმერთი გწამს, ოლიკო, ჩამოეხსენი იმათ, განსაკუთრებით ყაფლანიანთა. მერწმუნე, ისინი შენი ნდობის ღირსნი არ არიან. მე ძალზედ კარგად ვიცნობ იმათ. ნუ გამიწყრები, რომ შენს მეგობარ ნინოზე ამას ვამბობ. ის მართლაც ჭკვიანი ქალია, მაგრამ, დამერწმუნე, პირმოთნეა სიმახინჯემდე.* შენი ჭირიმე, ოლინკავ, ფრთხილად იყავ, ისინი იმდვენს არ გიშველიან, რამოდენადაც საქმეს გააფუჭებენ. იასე ანდრონიკოვსაც ჯერ არა უთხრა რა.** მოითმინე, ჩემო მეგობარო, ოლიკოს მე კერავინ წამართმევს, თუ კი ოლიკოც ამასვე მოისურვებს. რაც შეეხება ჩვენს *მაჭანკალს**, გეტყვი: სჯობია ნუ გავაჯავრებთ, თორემ, შესაძლოა გაგვცეს.

შენი ი ლ ი კ ო.

10

[6 თებერვალი, ღამის სამი საათი, 1863 წ.]

ჩემო კარგო ო ლ ი კ ო! რა კეთილი ხარ, ასე ხშირად რომ მახარებ შენი მხიარული წერილებით. გეფიცები, მთელი დღე შენით ვსულდგმულობ. სტამბაშიც-კი, ამ მოსაწყენ სტამბაში, გამუდმებით თვალწინ მიტრიალებ. ჩემთვის ის დღე რა დღეა, თუ შენი წერილით არ გამითენდა და შენი წერილითვე არ დამილამდა. შენც იმდენ ყურადღებას იჩენ, რომ იშვიათად, ძალზე იშვიათად მითენდება მოსაწყენი დღე. მადლობას მოვახსენებ ამისათვის ჩემს ძვირფას ოლიკოს. იმედი მაქვს, მერმეც ასეთ ყურადღებას გამოიჩენ შენი ილიკოს მიმართ!

გიხარია, კახეთში გამგზავრებაზე უარს რომ ვამბობ? თუ მართლა გიხარია, იცი, ამ სიხარულს ვის უნდა უმადლოდე? შენს ბარბარეს. იმან მართლაც შემაშინა, მითხრა, რომ ჩემ გამგზავრებაზე ფიქრით თურმე შენ თავს აღარ ეკუთვნი, რომ მთელი დღე მოწყენილი ხარ, დარდობ, მიზეზიანობ, ბრაზობ, და ა. შ. ეს რომ აღარ გაგრძელდეს, მაშინვე გადავწყვიტე, თუნდაც კახეთში ყველაფერი ყირაზე დადგეს, აღარ გავემგზავრო. დავრ-

ჩები, რომ ჩემი გიჟი და მიზეზიანი ოლიკო დავამშვიდო. შენ, ჩემო მეგობარო, რაცა გსურს მიბრძანე, გეფიცები, შენი ილიკო ყველაფერს შენებურად გააკეთებს. რატომ არ ამიკრძალე გამგზავრება გუშინვე, როცა გამგზავრების ამბავი გითხარი? ეს არაა შენი მხრით კარგი, ეს ნიშნავს, — შენ თითქოს ჩემი ხარ, ამასთანავე თითქოს ბოლომდე არა ხარ ჩემი, არ იყენებ შენს უფლებებს, რომლებიც მოგენიჭა მას შემდეგ, რაც ჩემი თავი შენად ვაღიარე, შენი კი—ჩემად. როგორც ამბობ ხოლმე, შენ მარტო ჩემი მომავალი მეუღლე კი არა, ჭეშმარიტი მეგობარიცა ხარ. მაშ რატომ არ უნდა უთხრა მეგობარს, რა გწყინს, რა გიხარია. არ იფიქრო, ოლიკო, თითქოს ვჯავრობდე. მე ისე კი არ მიყვარხარ და ისე კი არა გცემ პატივს, რომ ნება მივცე ჩემ თავს გაჯავრებისა. მაგრამ ცოტათი არ მესიამოვნა, — შენ არ გინდოდა ჩემი გამგზავრება და არ კი მითხარი თითონვე გუშინ. ერთი გებრძანებინა და დაუნანებლად დავრჩებოდი, შეიძლება მხოლოდ ერთხელ ზედმეტად მეკოცნა ამისათვის.

ჭამის მადა კიდევ არა გაქვს? ნუ წუხარ, ჩემო კარგო, მეც არა მაქვს ჭამის მადა. ეს ჭეშმარიტად ერთერთი აუცილებელი შედეგია სიყვარულისა და არა კარჩაკეტილი ცხოვრებისა, როგორც შენი ექიმი გარწმუნებს. დიახ, ჩემო მეგობარო, მე და შენ დაავადებული ვართ ერთი სენით — სიყვარულით. აბა, იმ ექიმს სად შეუძლია მიხვდეს, თუ რა სენია ეს სენი, რომელსაც ზოგჯერ ბედნიერებას უწოდებენ.

დე, იმან ისე იფიქროს, როგორც მოისურვებს, ჩვენ კი მადის დაკარგვა სიყვარულის პოვნას მივაწეროთ. ისინი, როგორც ჩანს, ერთ არსებაში ვერა რიგდებიან. შენ როგორა ფიქრობ, ჩემო ჭკვიანო ქალო, რომელი სჯობია: მადა თუ სიყვარული? ხედავ, ჩემო მეგობარო, ერთი აუცილებლობა მეორეს როგორ გამორიცხავს, რომელი ვამჯობინოთ? მე წინასწარ ვგრძნობ შენს ღიმილსა და შენს პასუხს, ამ უცნაურ კითხვაზე, — შენ გინდა მითხრა: სიყვარული სჯობიაო. იყავ ნება შენი, ჩემო ანგელოზო!

შენი უკუნითი უკუნისამდე
ილიკო ჭ(ავჭავაძე).

მუხრანიანთას იყავი? ნახე თუ არა ჩემი და? დღეს ვუთხარი, კახეთში აღარ მივდივარ-მეთქი. — რატომაო, — მკითხა. — ოლიკომ ამიკრძალა-მეთქი, — ვუპასუხე. განსაკუთრებული სიამით გაიღიმა. ო, როგორ მინდა მოგეხვიო, მაგრამ რანაირად? შენ ალბათ ახლა გძინავს და ვერც კი მიმხვდარხარ, რომ შენი ილიკო ღამის სამ საათზე შენ გესაუბრება. იძინე, ჩემო ანგელოზო, ძილი სიჯანსაღეა.

11

[7 თებერვალი, 1863 წ.]

ო ლ ი კ ო! რატომ ბრაზდები? მე ბარბარემ მიამბო, რომ საშინლად წუხსო შენი კახეთში გამგზავრების გამოო, მიზეზიანობსო. ამის გამგონემ, რომ სრულიად დამემშვიდებინე, გადავდე გამგზავრება. იცოდე, ნუღარა მთხოვ გაემგზავრეო. შენ ისეთი ხარ, რომ უნდა დაგიჯერო და გიჯერებ კიდეც, დავრჩები გარკვეულ დრომდე. ხედავ, შენი ილიკო როგორა სცემს პატივს თავის ოლიკოს, შენც ისწავლე მისგან ქმრის დაფასება. ტყუილია თუ?

ავად ხომ არა ხარ? მკერდი ხომ აღარ გაწუხებს? თუ ღმერთი გწამს, ნუ იავადმყოფებ, ახლა მაგის დრო არ არის. იცოდე, ოლიკო, შენგან ყოველდღე უნდა მივიღო წერილი. დღეს უგუნებოდ წავედი სტამბაში, რადგან ჩემთვის ერთი სტრიქონიც არ მოგიწერია. შაბათს იქნები მასკარადზე?

შენი სამუდამოდ ი ლ ი კ ო.

მაპატიე მოკლე წერილისათვის.

12

[შაბათი, 9 თებერვალი, 1863 წ.]

ჭკვიანი ყოფილხარ, შევცდი, ჩემო კარგო! მარტო ეს კია ცუდი, რომ მაგ „მოლუზანს“ აბრიყვებ, მაგრამ რა? ბრიყვი ყოველთვის ბრიყვი უნდა იყოს, ჩემო ოლიკო! და შენც ასეთი რამა ჰყოფილხარ, თუ ვინმე შენის კბილისა ჩაიგდე, მიწასთა-

ნაც გაასწორებ. მე ძალიან მიამა, რომ მხიარულს წიგნს იწერები, ჰსჩანს კარგა მადიანად გამოგიძინია, მე კი ისევ ისე უძილო ვარ, არ მასვენებენ არც დღე და არც ღამე; შენ მაინც დაიძინე ხოლმე ჩემ მაგივრად.

მასკარადში მასკით იქნები თუ არაო. შენგან არ მიკვირს, რომ მაგასა მკითხამ! მე რათახანია ავიხსენი მასკა და შენ დაგენახვე ისე, როგორცა ვარ; ეხლა მასკის დახურვის დრო აღარ არის. მე თუ წავალ, ამაღამ თერ[თ]მეტს საათზედ მოვიცლი, მაშინ წავალ; თუ არა და, მოვალ შინა და გუშინდელ დღის მოგონების ბურანში დავიძინებ. იქნება ჩემი ჟურნალი ხვალ დაიბადოს, ტკივილები აეშალნენ მშობიარესა და იმედია, რომ თორმეტ საათამდინ ქვეყანასა ნახავს ჩვენი „საქართველოს მოამბე“. აბა, კრიტიკებს მაშინ უყურე! მაგრამ ნუ გეშინიან: ჩვენთან იქნება მარად წმინდა ჰეშმარიტება.

შენი უკუნითი უკუნისამდე ი ლ ი კ ო ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

P. S. ეს ეს არის მომივიდა ამბავი, რომ მშობიარე ჩვენი სწორედ სამშაბადს დაწვება „საქართველოს მოამბის“ საშობავად. ეს ამბავი მეწყინა კიდეც და მიამა, მიამა იმიტომ — რომ საძაგლად დამტვრეული ვარ და მკვდარი, მეზარებოდა ამაღამ ჯაფა და შრომა. სულ შენი ბრალია!.....

13

[11 თებერვალი, 1863 წ.]

ო ლ ი კ ო! გუშინ შენგან ისე ნაწყენი დავრჩი, გადავწყვიტე, ყოველ შემთხვევაში ორი დღე მაინც სტრიქონი აღარ მოგწერო. წუხელ საღამოს ერთი პწკარიც არ მოგიწერია, ერთი სიტყვაც არ გაგიმეტებია — განა ასე შეიძლება? დაიხსომე, რამდენჯერმე გთხოვე, მალ-მალე მომწერე-მეთქი, შენ კი რას სჩადი? ნებივრობას იწყებ, — ეს ცუდია; ეს იქით იყოს, შენ უყურადღებობას იჩენ, ეს კიდევ უარესია.

გუშინ მასკარადის შემდეგ მინდოდა წიგნი მომეწერა, ორჯერ მოვკიდე კალამს ხელი და ვიგრძენი, წერილს გაბრაზებუ-

ლი ვწერდი. ცეცხლში ჩავაგდე და დავიფიცე, ვიღრე არ დავმშვიდდები, არაფერს მოგწერ-მეთქი. ხომ კარგად მოვქცეულვარ? ვიცოდი, ჩემი წერილი მეტად გაწყენინებდა: შენ ხომ ისეთი შთაბეჭდილებიანი ხარ, მაშინვე აფეთქდებოდი; მერმე ვაი ჩემს თავსა!

მასკარადზე, ჩემო მეგობარო, ისე მოწყენილი ვიყავ, ირგვლივ ისე სულელურად გამოიყურებოდა ყველაფერი და ისეთი მტვერი იდგა, რომ ვერც კი წარმოიდგენ. ერთი ნიღაბი ამეკიდა, მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ მე წესიერი ქართველი ვარ, რომ მას ვუყვარვარ და ა. შ. არ იეჭვიანო. ის ნიღაბი ქალი კი არა, კაცი იყო.

ამ დროს ჩვენს გვერდით ორლოვმა-უფროსმა ერთ ქალთან ერთად ჩაიარა. ჩემმა ნიღაბმა გააჩერა იგი და თავით ფეხამდე რამდენჯერმე ყურადღებით აათვალიერ-ჩაათვალიერა, მერმე საზეიმოდ, ხმამაღლა, ერთგვარი ირონიით უთხრა: ოი, ოი, ოი! რა საოცრად მაღალი ხართ! მართალი გითხრათ, ძნელი გამოსაცნობია: ადიუტანტობა მოგარგეს თქვენ, თუ თქვენ მოერგეთ ადიუტანტობას.

ორლოვი აილეწა, წამოჭარხლდა და სწრაფად გაეცალა უსიამოვნო საუბარს.

მე ძალზე დამაინტერესა ამ ნიღბის სითამამემ. მინდოდა გამეგო მისი ვინაობა. ცხადი იყო, იმისთვის შეინიღბა, რომ ზოგიერთი ბატონი და ქალბატონი გაეწკეპლა. მერმე ნიღაბი მივიდა ვარვარა თამამშევასთან და ეუბნება: „სად არის ახლა პერფილევი? (ცნობილია, რომ იგი პერფილევთან ცხოვრობდა).

— მე რა ვიცი, — უპასუხა ვარვარამ.

— ვითომ არ იცის!... ო, მეგობრობავ, — ნუთუ ეს შენა ხარ? ასე მალე ივიწყებ მეგობრებს! ერთ სიტყვით, მე თქვენ გირჩევთ ხშირად და ყურადღებით იკითხოთ ზნეობის ფილოსოფია, მაშინ ვარდისებური ფეროვნება უფრო მოგედებათ სახეზე, ვიდრე ახლა.

წარმოიდგინე რა სახტად დარჩებოდა იგი. ასე ბევრი შეაცბუნა, მხოლოდ მე დამინდო, ჩემდამი განსაკუთრებულად

ალერსიანი იყო; მადლობას მოვახსენებ,—მე უმისოდაც გაბრაზებული ვიყავი შენზე, ჩემო მეგობარო! აბა, გულზე ხელი დაიდე და მითხარი, არ უნდა ვყოფილიყავი შენზე გაბრაზებული? რითა ხარ ავად? იქნებ სულაც არა ხარ ავად და ჩემი შეშინება გინდა? თუმცაღა მე გამოვკითხე ბარბარეს და მითხრა, რომ შენ ნამდვილად უქეიფოდა ხარ. რა მოგივიდა? ღვთის გულისათვის, რომელიც აგრე გიყვარს, თავი დაანებე ავადმყოფობას. ეს მე ძალზე, ძალზე არ მსიამოვნებს.

შენ გინდოდა სურდო გადმოგედო ჩემთვის, მადლობა მომიხსენებია, — მე თვითონ ისეთი მამალი სურდო მაქვს, რომ შენც კი შეგშურდება.

*შენი ჭირიმე, ოლიკო! ერთი რამ მინდა დაგეკითხო და სწორედ მინდა პასუხი მომცე; თუ გიყვარდე ღობე-ყურეს ნუ მოედები და პირდაპირ მითხარი. მე მინდა გაგიკეთებინო ზაპონკები, აი აქავ გიხატამ, როგორიც მინდა**

(აქვეა დახატული ნიმუში, წარწერით: ო. ჭ. 1).

მერმე იქნება გაუპრიალებელი ოქრო; გვირგვინი, ასო ო და ჭ პრიალა, მოჭედილი წვრილწვრილი ალმასებით. მე მგონი, კარგი რამ გამოვიდეს: მოგეწონება თუ არა? პირდაპირ მითხარი ან ჰო, ან არა. თუ აქ კარგად გააკეთებენ, მაშინ ეჭვი არ მეპარება, რომ მოგეწონება.

* წიგნები ხშირად გზავნე, თორემ არც მე და არც შენ.

შენი ოლიკო ჭავჭავაძე**.

14

ღამის სამი საათი [12 თებერვალი, 1863 წ.]

*ოლიკოჯან!** გმადლობ დღევანდელი დღისთვის, შენ ჩემდამი ასე ალერსიანი იყავ. აი რას ნიშნავს „რასპეკანცია“ — როგორც სალდათები ამბობენ ხოლმე. ერთი რამ მაწუხებს, თანაც დიდად მაწუხებს: მართლა ხარ ძლიერ ავად და ორი

1 ო. ჭ. — ოლღა ჭავჭავაძისა. (რედ.).

დღეა წევხარ, თუ ჩვეულებისამებრ ცელქობ, მატყუებ, რომ მოგეფერო. ღმერთმა იცის, შენ ისეთი ხარ, შენგან ასეთი ხუმრობაც მოსალოდნელია. ის კი არ გინდა იცოდე, ილიკო შენი ავადმყოფობის ერთ გაფიქრებაზეც კი როგორ დამწუხრდება, ლამის... მეკითხები, რატომ გახდიო? იმიტომ, რომ ძალზე შევეთვისე ერთ არსებას, რომელსაც შენ ისევე კარგად იცნობ, როგორც საკუთარ თავსა. ის ახლახანს, ე. ი. დღეს მწერდა და მეძახდა თავისი იარის მოსარჩენად. მე გამეცინა და გავიფიქრე: * ჭაჩალმა წამალი იცოდეს, თავის თავს უშველიდაო.**

მაპატიე, გაცვეთილი ანდაზა რომ მოვიშველიე, მაგრამ ამ მდგომარეობას ძალზედ უდგებოდა. ხუმრობა იქით იყოს, მე ხშირად ვფიქრობ შენზე, ჩემო ანგელოზო! დიდხანს გაგრძელდება ეს ჩვენი სულელური მდგომარეობა? დასწყევლოს ეშმაკმა, რა მოსაწყენია, სურვილი გქონდეს ერთად ყოფნისა და შესაძლებლობა კი არა! ერთადერთი სიხარული შენი წერილების კითხვაა. მერწმუნე, როგორც ვხედავ, სიყვარული ცუდი რამ ყოფილა, თავის მსხვერპლთან ხუმრობა არ ჰყვარებია. ასე არ არის?

მომიტევე, ჩემს გრძნობებზე ცოტა ჭარბად ვილაპარაკე. მათი გამოთქმა არ მიყვარს ხოლმე, მგონი, თუ არა ვცდები, შენც არ უნდა გიყვარდეს. ეს ყველაფერი სულ ზედმეტია, ჩემო მეგობარო, მაგრამ შენ ისე კეთილი ხარ, რომ მაპატივებ მცირე გადაჭარბებას, მით უმეტეს მაშინ, — ერთხელ კიდევ გავიმეორებ, — როცა სიყვარული არ არის მოყვასი ჩვენი.

ნიღაბს დაუინტერესებიხარ. მე მოგწერე, კაცი იყო მეთქი, დღეს, ჩემი ოლიკოს ბრძანება რომ შემესრულებინა, მისი გვარი გავიგე — სანიცკი ყოფილა. * გუშინ, შენმა გარდამ, კაი ოინი დააყენა ზოგიერთსა.

მწერ, რომ მე თითონ მოვიდე და ყურები გაგიწიო, გუშინაც კილო-კავად ეგ მომწერე. როდის და როგორ? ოლიკო არ მამიკვდება, რომ ოლიკოზედ ნაკლებ არ უნდოდეს ილიკოს მანდ მოსვლა და შენი ნახვა, მაგრამ რა ვქნა, შენ გეთაყვანე? ვშიშობ, რომ მაგითი საქმე არ წავახდინოთ, შენ სახელსა ვფი-

ცავ, ოლიკოჯან, და რაც კი რამ მწამს მე ქვეყანაზედ იმასა, რომ თუ ჩვენი საქმე რითიმე დაშავდა, მე ვერ გაუძლებ. ამისი მეშინიან, თორემ შენი ნახვა როგორ არ მენდომება! თუ გული დაჯერებული გაქვს, რო მაგითი საქმე არ წაგვიხდება, მომწერე — რა დროსაც გინდა, მაშინვე შენთან დავიბადები.

ქალო! რატომ არაფერი მომწერე, როგორ მოგეწონა ჩემი პროექტი და მხატვრობა ზაპონკებისა? მწერ, რომ როგორ შევინახოო. როგორც შენი ნება იყოს. შენ ხომ ჩემზედ მოხერხებული ხარ, რასა მკითხამ, შე გიჟო! დამაცა, შენი ჯავრი მჭირს. თავის დროზედ ამოვიყრი შენს ჯავრსა. ნეტავი ეხლა **, შენი ჯავრის ამოსაყრელად, * მაკოცნინა!...

შენი სამუდამოდ ი ლ ი კ ო ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე**

[თავზე მინაწერი:]

ვიყავ შენ დასთან, მან კანფეტები გადმომცა. დავუმადლე. თუმცა არ მიყვარს კი. * შენი ჭირიმე, ოლიკო, მართლა ხარ ავათა, თუ ცელქობ? რა დაგემართა?**

15

[12 თებერვალი, 1863 წ.]

*ო ლ ი კ ო ჯ ა ნ! უთუოდ მოვალ. შენ კარებთან მომიცადე, რომ იმდღევანდელსავით არ მაწვალო. სწორედ თერ[თ]მეტზედ მოვალ.**

(დიდი ასოებით:) მოვალ.

16

[13 თებერვალი, 1863 წ.]

*ო ლ ი კ ო ჯ ა ნ!** ხომ არ მიბრაზდები, რომ დღეს ბარბარეს მოტანილ წერილზე ვერ გიპასუხე. ნუ განმირისხდები, ჩემო მეგობარო: ლოგინიდან ადგომა დამეზარა, — ასე გავზარმაცდი გუშინდელი შფოთიანი და თითქმის ტრაღიკული შეხვედრის შემდეგ. გეფიცები, ჩემს ბინამდე სიცილი არ შემიწყვეტია. ოღონდ არ ვიცი, რატომ ვიცინოდი? დეიდაშენი როგორა

მყავს? მაგან აიღო გუმანი ჩვენი პაემანის შესახებ? ყოჩაღად და ეშმაკურად კი უსხლტები ხოლმე — ყოჩაღ ქალო!

სტამბიდან გწერ საჩქაროდ და აქედანვე გიგზავნი ათას ხვევნასა და კოცნას.

შენი აწ და მარად
ილიკო ჭ.

17

[13 თებერვალი, 1863 წ.]

ო ლ ი კ ო, შენი სულისა! ახლაღა გამახსენდა, რომ თქვენთან დამრჩა ჩემი ჯოხი, რომლითაც შენი ცემა არ დამაცალეს. გთხოვ, ან გამომიგზავნე, ანდა დამალე დარაბებს უკან, სადაც გუშინ ვიჯექი ჩემს დედოფალთან ერთად. მეორედ რომ მოვალ, თვითონ წამოვიღებ. ღვთის გულისათვის, ახლავე გაეცი განკარგულება, ჩემი სამეფო კვერთხი დარაბებს უკან დაასვენონ. ჯოხი, საერთოდ სულელური ნივთია, განსაკუთრებით კი ასეთი შემთხვევის დროს. მას შეუძლია ჩვენი საიდუმლოს გამჟღავნება. ახლავე ამ წერილზევე მიაწერე, ჩემი დედოფალი რას უპირებს ჩემს ჯოხს. ესეც შენ!.. ისე იჩქარე ჩემი გამოგდება, რომ სიჩქარეში იძულებული გავხდი ჩემი საყვარელი ჯოხი იქ დამეტოვებინა, სადაც შეიძლება იგი გაცივდეს და სიბრაზისაგან რაღაც-რაღაცეები წამოროშოს.

დეიდაშენი ხომ არ ნებულიბს აბრამს ბლინებზე დაეწვიოს? ასე რო არ იყოს, მაშ რატომ აფუსფუსდი? რას მიბრძანებ, რა გადავცე ონიკაშვილისას?

გთხოვ, რაც დღეს მის შესახებ გითხარი,—არავის უთხრა.....

შენი საუკუნოდ ი ლ ი კ ო ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე**.

18*

[15 თებერვალი, 1863 წ.]

შენი სულისა ო ლ ი კ ო! თუმცა დაგპირდი, რომ ხვალ შიგნს არ მოგწერ მეთქი, მაგრამ ვერ მომითმენია. შე გიჟო!

* წერილის შავი, დასაწყისი წერილისა.

რაზედ გამაგიჟე პატიოსანი, დარბაისელი რე[და]ქტორი?.. მე ვინა და შუაღამისას ქალთან წიგნების წერა!.. ამაზედ არის ნათქვამი გლეხური ანდაზა: „ნუ შეხვალ, ნუ იბანებო, ნუ გაჰხვალ და ნუ თრთიო“.

19.

[16 თებერვალი, 1863 წ.]

ჩემო მეგობარო ო ლ ი კ ო! შენმა წერილმა ძალზედ დაჰამწუხრა. რა დაგემართა? ისეთი კეთილგონიერი ხარ და როგორ აძლევ შენს თავს ნებას მოწყენილი და ნაღვლიანი იყო. * „არ იცი, „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია“**, — ამბობს ჩვენი მოხუცი რუსთაველი. რა გაშფოთებს? შენ ჩემი ხარ, ჩემო მეგობარო, და ჩემი იქნები. დე, მამაშენმა, თუ კი უნდა, უარი თქვას, განა ოლიკოს უიმისოდ არ შეუძლია ჩემად გახდომა? რას იზამს? დაგწყევლის თუ რა? დე დაგწყევლოს, ღმერთი ისეთი სულელი კი არ არის, რომ ადამიანთა უგუნურებას ყური ათხოვოს. თუ ცოტათი მაინც გიყვარვარ, მშფოთვარე ფიქრებს თავი ანებე, თავს ნუ აღელვებ. რა უნდა მოხდეს, დიდი-დიდი მზითევზე უარი გითხრან. დიდი არაფერია! დე, უარი გითხრან. ნუთუ ისეთი უვარგისი ვარ, რომ პური არსობისა შრომით ვეღარ მოვიპოვო? არ იფიქრო, ჩემო მეგობარო, ასრა ვარ ასეთი.

ჩვენ სხვის დაუხმარებლადაც ვიცხოვრებთ, თუკი შენ თითონ დამთანხმდები.* შენი ჭირიმე, ტყუილ-უბრალოდ ნუ სწუხარ, რა გვიჭირს? შენც ჯერ ყმაწვილი ხარ და არც მე ვარ ბებერი.** ჩვენ ვიცხოვრებთ და ნახავ, ბედნიერებასაც დავიპყრობთ. თუ კი მანამდე თვითონ არ ინება ჩვენთან მოფრენა.

ცხოვრება მაშინ არის კარგი, როცა მას ებრძვი. მე და შენ ჯერ ისე ახალგაზრდები ვართ, რომ ამ ბრძოლისთვის ძალა შეგვწევს. მაშ, რაღად გვეშინოდეს ცხოვრებისა? ნურაფრის ნუ გეშინია. მე იმედი მაქვს, შენში ვპოვო დასაყრდენი და შენც ისევე ეძიე ჩემში, — გეფიცები, ყველაფერი რიგზე იქნება.

მე არ მიყვარს ასეთ რამეებზე ლაპარაკი, მაგრამ შენმა წიგნ-

მა მაიძულა და მეც საჭიროდ დავინახე ოდნავ შევხებოდი მას, ვამბობ ოდნავ მეთქი, იმიტომ რომ ეს ამბები უჩემოდაც კარგად ესმის ჩემს ჭკვიან ოლიკოს.

*ოლიკო არ მომიკვდება, სწორედ ამრია შენმა წიგნმა, ნამეტნავად იმან, რაც ბარბარეს ეთქვა ლაზარესათვის. მიკვირს, ღმერთმან იცის, რა დაგემართა? შენს გულში რაღაც მწუხარებაა და მე მიმალავ. მე კი გიჟსავით ხან აქეთ ვეცემი, ხან იქით, ვფიქრობ და ვერა გამიგია რა, ვერაფერს მივმხვდარვარ.**

ხან რას ვფიქრობ, ხან რასა, ხან ეჭვი მეპარება, მგონია უსიამოვნო რაღაც იწყებს შენში ღაღადს და ვეშურები მაშინვე გავფანტო შენში ეს უსიამოვნება, მაგრამ მერმე ირკვევა, თურმე ჩლუნგი ვარ და ვერაფერს ვხვდები. იცი, ეს რატომ მეპარება? იმიტომ რომ შენ მაინც ღელავ და თან მოწყენილი ხარ. შენ ან სულ არ გჯერა ჩემი, ან ეჭვიანი ხარ, ძალზე ეჭვიანი, ანდა არ გებრალები. ამ სამთაგან არცერთი არ ვარგა, ისინი შეძლებისდაგვარად უნდა მოიშორო თავიდან, ჩემო ანგელოზო! თუმცა შენ ჩემი ცოლი იქნები, მაგრამ მე მაინც არა მაქვს არავითარი უფლება რაიმე შენიშვნა მოგცე. ამას იმიტომ არ გეუბნები, ოლიკოჯან, რომ ნოტაციები წაგიკითხო, მინდა ცოტათი მაინც გაგრძნობინო, რა უსიამოვნო ფიქრებში მაგდებს ხოლმე შენი ნაღვლიანი ჩივილი. შემიბრალე მე და თავიდან მოიშორე ყველაფერი, რაც ასე გაშფოთებს ჩვენი მომავლის გამო. ჩვენ კი არ ვეკუთვნით მომავალს, მომავალი ჩვენ გვეკუთვნის. ჩვენ შეგვიძლია, ჩემო მეგობარო, უკუღმართი აწმყოს მიუხედავად, იგი ბრწყინვალე თუ არა, ასატანი მაინც გავხადოთ. ჩვენ ხომ დიდად მომთხოვნი არა ვართ, ურთიერთ სიყვარულითა და ნდობით მცირედითაც დავკმაყოფილდებით. მაშ, რაღა გვაწუხებს? კიდევ ერთხელ გთხოვ, ოლიკოჯან, თავი ანებე ეჭვსა, უსიამოვნო ფიქრსა და მკითხაობას. იცოდე, რომ ილიკოს შენში მხოლოდ შენ უყვარხარ და ყოველგვარ უბედურებაში შენთან წმინდა იქნება. ნუ მაწყენინებ!

*თუ გიყვარდე, ოლიკო, გამხიარულდი, თორემ, შენს სახელსა ვფიცავ, შენს ილიკოს ცუდ დღეს მიაყენებ.

შენი სიკვდილამდე ილიკო ჭავჭავაძე**.

20

[18 თებერვალი, ღამის ორი საათი. 1863 წ.]

ოლიკოჯან! რატომ დაგაწვინეს ექიმებმა? ეს შენი ეშმაკობაა, თუ სხვა რამეა? თუმცა შეგიძლია ამ კითხვებზე არც მიპასუხო, ჩემს ბიჭს ვუბრძანე, მაცნობოს ბარბარეს მოსვლა, ყველაფერს იმას გამოვკითხავ, თუმცაღა შენ მიბრძანებ, მას ყური აღარ ვათხოვო.

დღეს ელენე ჩოლოყაშვილთან დამიძახეს, იმან მითხრა, თითქოს ჩემთვის მშვენიერი პატარძალი ჰყავთ ამორჩეული, თუ კი შევირთავ, თითქოს პატარძალიც სიამოვნებით გამომყვება. მივხვდი შენზე ლაპარაკობდა და მაჭანკალს გასასულელებლად ვუთხარი, ჩემისთანა მდგომარეობისა და ჩემისთანა ყმაწვილი კაცის დაქორწინება ძნელია მეთქი, — მით უმეტეს, — დავსძინე, — თბილისში არ არის ქალი, რომელიც მომწონდეს-თქო. ერთი წუთის შემდეგ შენი მუხრანიანთ ლიზა შემოვიდა. საიდანღაც გაუგია, რომ მეჯავრება, — არ მოველოდი! ჩემი გრძნობები, როგორიც არ უნდა იყოს, ისე ძვირფასია ჩემთვის, რომ მათ არ ვხარჯავ ასე უბრალოდ, როგორც შესაძლოა მათ მოეჩვენოთ. მთისა და ბარისა ვილაპარაკეთ, ბევრი რამ ღვარძლიანად ვუთხარი, მაგრამ იმან, მგონი, ვერ გაიგო. ღმერთმა თავის-თავი მოახმაროს.

შენი საათი ოსტატს მივეცი, ამ დღეებში იქნება მზად. *კრიალოსანი კი უბეში მიდევს: არა უშავს რა, თბილად იქნება. არ დამცინო, ჩემო გიჟო, რომ შენს ძველ წერილს მოვხიე ქაღალდი და იმაზედა გწერ. რაც ქაღალდი იყო, სულ შენ გამოგიგზავნე და ველარ მომაგონდა, რომ მეყიდვინებინა. ეხლა კი ორი საათია ღამისა, სად ვიშოვიდი?

კარგად იყავ და ჭკვიანად, თორემ არც მე და არც შენ. უჰ, უჰ, რა გიჟს გადავეკიდე! არა უშავს რა, დაგაჭკვიანებ, დაიცა, ჯერ ხელში ჩამივარდე!.. — მგონი იტყვი, ნეტავი ეგრე იყოს და რაც გინდა, ის მოახდინეო. მეც ეგრე ვფიქრობ, ჩემო ოლიკო: ნეტავი კი ეგ მალე მოხდეს და შენს სიგიჟეს ყურსაც აღარ ვათხოვებ.

ჟურნალს ხვალ საღამოზედ გამოგიგზავნი, ესეც კი იცოდე,

თუ ვინმემ ნახა, ცუდი იქნება, ისეც ქვეყანა ჩვენზედ ლაპარაკობს.**

დღეს ელენემ მითხრა, სიტყვებს რა ბანზე მიგდებთო! ხო ვიცი, პატარძალი მოგწონთ კიდევაც და შეყვარებულიცა ხართო და ა. შ.

აი, ხედავ, ჩემო ანგელოზო, რას მოვესწარით. ძალზე უნდა ვიფრთხილოთ, რომ სუფთად გამოვიდეთ იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც ვიმყოფებით. მთავარი კეთილგონიერებაა, რომელიც, ჩემო ჭკვიანო ქალო, შენ არ გაკლია.

შენი სამუდამოდ
ილიკო ჭავჭავაძე.

21

[18 თებერვალი, 1863 წ.]

ო ლ ი კ ო! ყური მიგდე: თუ ამ მოკლე ხანში მუხრანიანთ ლიზამ თქვენთან შემოიაროს, უთხარი, თითქოს შენ გაიგე გაბაანთაგან, რომლებმაც თავის მხრით მაღალაანთაგან გაიგეს, რომ ელენე ჩოლოყაშვილთან სტუდენტები ყოფილან და რაღაც-რაღაცეები წაუკითხავთ. თანაც დასძინე, თითქოს იმათვე უთქვამთ, რომ ელენესთან გამართავენ ლიტერატურულ საღამოს. სადაც ყმაწვილები წაიკითხავენ სხვადასხვა თხზულებებს-თქო.

სთხოვე, შენც წაგიყვანოს. ამ კვირას მე და ჩემი ამხანაგები ნამდვილად შევიკრიბებით მასთან, და მე — შენი პატარა რედაქტორი — რაღაც-რაღაცეებს წავიკითხავ.

მხოლოდ ეს დაიხსომე: ფრთხილად იყავი, პირდაპირ ნუ მომვარდები, თორემ არ ივარგებს. შენ, რა თქმა უნდა, არ გეწყინება, თუ თავს აგარიდებ, თითქოს წესიერად არც გიცნობდე.

საოცარია, შენი ბარბარე როგორ მაჩქარებს.

გიგზავნი ჟურნალს, ყურადღებით წაიკითხე, ჩემო ძვირფასო ანგელოზო!

ვკოცნი ათასჯერ ჩემს გიჟსა და ვპირდები, დღეს 10 საათზე უფრო მეტს ვაკოცებ.

შენი სამუდამოდ ი ლ ი კ ო.

22

[19 თებერვალი, 1863 წ.]

*უთუოდ შევატყობინებ ჩემს გიჟსა, როცა წავალთ ელენესთან, მაგრამ არ ვიცი კი, როგორ. ჩემი ბიჭი ხომ ველარ მოვა შენთან. ჩემო კარგო, და როგორ მოგწერო. თუ ბარბარეს ყოველ დილას გამოგზავნი და საღამოზედაც. მაშინ კი შეიძლება, თუ არა, შემატყობინე, როგორ მოვაწვდინო შენამდინ ამბავი.

ხომ კარგადა ხარ? მართლა გაციებს, ჭალო? წუხანდელმა ღამემ კარგი რა მოგახსენა? იასეს ჯერ ნურაფერს ეტყვი. მე თითონ მოვახერხებ, თუ შენ არ გინდა და გრცხვენიან. მომიტევე. რომ ასე გწერ მოკლედ. ჩემი სახლი გატენილია სწორედ ყოველგვარ ხალხით. თუმცა მინდა შენი კოცნა, მაგრამ სად მოგწვდები?** დამრჩენია მხოლოდ სურვილით დავკმაყოფილდე: გკოცნი და გკოცნი დაუსრულებლად.

შენი სამუდამოდ ილიკო ჭავჭავაძე.

23.

[20 თებერვალი, 1863 წ.]

ო ლ ი კ ო! მე შევიტყვე, რომ ამ ჩემს წიგნსა შენს გარდა სხვა მკითხველიც ეყოლება, ამის გამო მე ბევრს არაფერს მოწერ, თუმცა სათქმელი ბევრია. ცუდად დატრიალდა ჩვენი საქმე, როგორცა ვხედავ, — არ ვიცი — შენ მოგწონს თუ არა ეს ჩვენი ყოფა? მე კი. სწორედ მოგახსენო. ვერაფრათ მეჭაშნიკა. მართლა, ჭალო, კვირაში ორჯერ უნდა ვწეროთ ხოლმე და მეტი არა? ეგ ვერაფერი ხუმრობაა. შენი პორტრეტი გამოგზავნე. რამკა ვიყიდე კიდეც.

შენი ილიკო ჭავჭავაძე:

P. S. პასუხი მოიწერე.

24

[23 თებერვალი, 1863 წ.]

*ოლიკოჯან!** ძალიან ვწუხვარ, რომ ჩვენ თითქმის შევწყვიტეთ მიმოწერა. ჩემს ტრაღიკულ მდგომარეობაში ერთადერთი სიხარული შენი წიგნის მიღება იყო და ეგეც შეწყდა. ღმერთმა შეუნდოს, ვისაც ამაში ბრალი მოუძღოდეს! მაგრამ მე ეგ რას მიშველის: შენ არ იცი, ეს ამბავი რა საშინლად მოქმედებს ჩემზე, როგორ მაწვება გულზე და როგორ მტანჯავს. არ არის ეს კარგი, ჩემო ანგელოზო, არა!

შენ, ჩემდა საუბედუროდ, მაშინ დაიწყე ძუნწად წერა, როცა მე ხელგაშლილად ვიმედოვნებდი შენგან წერილების მიღებას. ფიქრებმა და ეჭვებმა მთლად შთანმთქეს, გარშემო ვერ ვხედავ ისეთ ვითარებას, ისეთ შემთხვევას, რომელზედაც ჩვენი საქმის გამარჯვების იმედს დავაფუძნებდი. მერწმუნე, ჩემს ცხოვრებაში არა მჭონია ისეთი უსიამოვნო წუთები, როგორსაც ახლა მთელი დღეობით განვიცდი. ამ დღეებს ჯერჯერობით ბოლო არ უჩანს და მით უფრო მიჭირს მათი ატანა. მძიმე ნაღველი მაწევს და შენ არც კი ფიქრობ წერილებით ჩემს გამხიარულებას. მე სულ დავიბენი. ფიქრობ, ფიქრობ, როგორ მოიპოვო ის, რასაც ესწრაფვი, ვერავითარი მოგიფიქრებია. ცუდია!.. მინდოდა მამაშენთან მივსულიყავი და ყოველგვარი ტრაღიკული შეძახილებისა და სენტიმენტალური ცრემლების გარეშე შენი ხელი მეთხოვა, მაგრამ, ამბობენ, არავის არ იღებსო. გინდაც მიველე მაინც, ვფიქრობ, არაფერი გამომივიდოდა. ეს ძველი ხალხი კაცისაგან მოითხოვს ზიზილ-პიპილებს, რაც მე არ გამაჩნია, მოითხოვს ჩინებს, რაიც ბედმა, ჩემივე თხოვნით არ მარგუნა და ა. შ. შენს დას რომ მივმართო? იმასაც სხვადასხვა მიზეზისა გამო, რომელიც შენა და იმას მოგეხსენებათ, არაფრის გაკეთება, ძალიანაც რომ მოინდომოს, არ შეუძლია. სხვა შენს ნათესავებს არ მინდა მივმართო, რადგან სულ მგონია, ან მე ვეჩვენები იმათ სულელად, ანდა მე მეჩვენებიან ისინი სულელებად, გინდაც ბედნიერი შემთხვევა მომეცეს, ეჭვი მეპარება, რომ ერთმანეთს გავუგოთ—სულელურად შევხვდე-

ბით და კიდევ უფრო სულელურადვე გავიყრებით. დიახ, მეგობარო, ეს ისეთივე სიმართლეა, როგორც ორჯერ ორი ოთხია, რაღა მრჩება გასაკეთებელი? ეგების დავიცადო და გული ერთი ქართული ზღაპრით დავიმშვიდო: * იქნებ იცოდე,—კატა რომ ძეხვს ვერ შესწვდა, გულამოსკვნით წაიბუტბუტა: დღეს პარასკებიაო. ჩემთვისაც, ჩემო ოლიკო, პარასკებია, მგონი, კაი ნუგეშია!**

ხუმრობა იქით იყოს, მასწავლე, რა ვიღონო. გეფიცები, ამის ატანა აღარ შემიძლია. — მით უმეტეს, რომ შენს ბოლო წიგნში არა მარტო შენი ნახვის იმედი, არამედ კვირაში სამ წიგნზე მეტის მიღების იმედიც დამიკარგე. ღვთის გულისათვის, ნუ ჩაიდენ ამას. მე ყველაზე მეტად ახლა მჭირდება შენი წერილები.

მინდოდა შენთვის ახალთ-ახალი და თანაც უსიამოვნო ამბავი მომეწერა, ამბავი, რომელიც არსებითად მე მეხება, მაგრამ ვარჩიე, შენთან შეხვედრას დაველოდო. იგი, სიტყვებით გამოთქმული, ისე საშიშად არ მოგეჩვენება, როგორც ქაღალდზე დაწერილი გამოჩნდება. ღვთის გულისათვის, ჩვენი საქმის გამარჯვებისათვის, ჩემს წერილებს ნურავის უჩვენებ. არიან ქვეყნად ისეთნი არსებანი, რომელნიც ჩვენი წერილებისაგან მოითხოვენ ლამაზ-ლამაზ სიტყვებს. საბედნიეროდ ჩვენ არცერთს არ გვიყვარს ასეთი რამ, კარგია, რომ არ გვიყვარს! ლამაზი სიტყვა გრძნობისთვის ფერუმარილია. შენ კარგად მოგეხსენება, რომ ფერუმარილს ის ხმარობს, ვისაც უნდა თავი იმად მოაჩვენოს, რაც ნამდვილად არ არის. ჩვენს გრძნობებს ფერუმარილი არა სჭირდება, ჩვენ გვჯერა და პატივსა ვცემთ ერთმანეთს — ეს უფრო დიდხანს გასძლებს, ვიდრე ყველა შორისდებული და შეძახილი ფერუმარილის წამცხებლისა.

ათასჯერ გკოცნი

შენი სამუდამოდ ი ლ ი კ ო ჭ.

როდის შევხვდებით? მომწერე.

25

[24 თებერვალი, 1863 წ.]

ჩემს ცხოვრებაში ცოტა ყოფილა ისეთი საზიზღარი დღე, როგორც დღევანდელი. მე ისე მივეჩვიე ყოველდღე შენს დანახვას და იმის გაფიქრებაც კი აუტანელია, რომ დიდხანს ვეღარ გიხილავ.

დღეს დილით იმით ვსულდგმულობდი, რომ საღამოს გნახავდი, მაგრამ ესეც არ მოხერხდა. ღმერთო ჩემო! ნუთუ მართლა დიდხანს ვეღარ შევხვდებით? ეს ყველაზე მეტად მაწუხებს ამ ქვეყნად. რა მოწყენაა!

იმ როკაპ დედაკაცს რა საქმე აქვს შენთან? ხომ არ უნდა ჩვეულებისამებრ როგორმე ან რითიმე მოითბოს მანდ ხელი? მისმა სისხლის-მსმელობამ და ანგარებამ ხომ არ იპოვა შენთან რაიმე საკვები, — ნუთუ? სხვაგვარად იგი შენს ახლოს არც იფუსფუსებდა და ტყუილუბრალოდ არ დაჰკარგავდა ოქროს დროს, რომელიც ასე სჭირდება სხვა ათასი ხრიკისათვის. ღვთის გულისათვის, გეშინოდეს მისი, ვითარცა კეთროვანისა, მოერიდე, რამდენადაც კი ეს შესაძლებელია, და ნურაფერს. სრულებით ნურაფერს ნუ ანდობ მას. შენ იცი, მას ყოველგვარ სისაძაგლეზე მიუწვდება ხელი, მისთვის ამ ქვეყნად არ არსებობს კარგი თუ ცუდი გზა — ანდა, უკეთესად რომ ვთქვა, — მისთვის ყველა გზა კარგია, თუკი იმ გზით მიაღწევს ყველაზე ბინძურს, მაგრამ მისთვის საჭირო მიზანს.

არ კი ვიცი, მაგრამ ვგრძნობ, თუ რამე ცუდი შეგვემთხვევა, ამ ტარტაროზის ხრიკების ბრალი იქნება. დიახ, ჩემო მეგობარო, ჩვენი საქმე ცუდად არის, და მით უმეტეს არ უჩახს კეთილი ბოლო, რომ ის შხამიანი, საზიზღარი არსება ჩვენს საქმეში დიდ როლს თამაშობს.

არ ვიცი, ყველაფერი ის რითი დასრულდება, მაგრამ ის კი ვიცი, ვიდრე ყველაფერი ეს მოგვარდება, მე ჩემი დამემართება. ყოველივე, რაც განვიზრახე, რაც ჩავიფიქრე, თუ არ დაიღუპა, შესამჩნევად მაინც დაზარალდება.

შენ წარმოიდგინე: აღარაფრის გაკეთება არ შემიძლია, ახლა კი ყველაზე მეტის გაკეთებაა საჭირო; გარდა იმისა, რაც

ჩვენ გვაწუხებს, გული არაფერზე მიმდის და არაფერზე არ მინდა ვიფიქრო. ამავე დროს, თითონაც იცი, ათასი ეჭვი, ათასნაირი ფიქრი თავში მიტრიალებს და მიხისლავს ტვინს. იბრძვი, იბრძვი, გინდა როგორმე მოიშორო ისინი, მაგრამ ვერაფერს ახერხებ. არა, ასეთ მდგომარეობას ვერ ავიტან!

ვთხოვ, დალაგებით მომწერო, სიტყვა სიტყვით, რა გადაეცი იასეს და იასემ რა გითხრა. ეს ჩემთვის საჭიროა, რათა ვიცოდე, როგორ მოვიქცე, — მე მივიდე მასთან, თუ იმას დაველოდო ჩემთან. როგორმე სწრაფად უნდა მოვიშოროთ ეს აუტანელი გაუგებრობა, როგორმე უნდა მოვათავოთ.

არ ვიცი, რისგან მემართება. საშინლად ვღელავ, ის ჯოჯოხეთის მაშხალა შენს გარშემო რომ იკლაკნება, შენს ახლოს რომ ტრიალებს. მას შეუძლია სუნთქვით მოწამლოს ადამიანები. მისი ყოფნა შენს სახლში კეთილს არ მოგვიტანს — დაიმახსოვრე, ეს უბრალო წინათგრძნობა არ არის.

ი ლ ი კ ო.

26

[26 თებერვალი, 1863 წ.]

*ჩემო გვრიტო ო ლ ი კ ო ჯ ა ნ! ** მე უსათუოდ ვნახავ იასეს, მერმე მამაშენსაც შევხვდები. შენ ნურაფერზე ნუ სწუხხარ. ჩემო ანგელოზო! სანამ შენ თითონ არ გამგზავნი ჯანდაბაში. მანამდე მე შენთვის ცეცხლსაც არ დავერიდები და წყალსაც გადავცურავ. დე მამაშენმა მოგაკლოს ლოცვა-კურთხევა, მე ხომ შენი ილიკო ვარ. ოღონდ შენ, მეგობარო, არ შეგეშინდეს ჩემი სიღარიბისა, დანარჩენი ეშმაკსაც წაუღია. იქნებ თვით ჩემს ოლიკოს ეშინია ჩემი სიღარიბისა, — ეს სხვა საქმეა. თუ ასეა, ეს შენ გულწრფელად უნდა გამიმჟღავნო. როგორც პატიოსანმა, უმწიკვლო ქალმა. ხოლო რაც მე შემეხება, დიდი ხანია გწერდი, რომ ოლიკოში მხოლოდ ოლიკო მიყვარს, სხვა არაფერი. გინდაც უკანასკნელი პერანგი გაგხადონ, მერწმუნე. მაშინ უფრო საყვარლად მომეჩვენები. უფრო მომხიბლველად, შენ თავსა ვფიცავ. შენ რაღაც ხშირ-ხშირად მიმეორებ ამ

ბოლო დროს, დაფიქრდიო. არ ვიცი, მართალი გითხრა, როგორ გავიგო ეს ხშირი შენიშვნა. შენ ჩემზე ზრუნავ, თუ საკუთარ თავზე? ხომ არ გინდა ჩემგან გაიგო, შევძლებ თუ არა საკუთარ სახსრებით ცოლის შენახვას. ხათაბალაში არ გინდა გაება, თუ ჩემზე წუხხარ? ღვთის გულისათვის, გამიფანტე ეს უსიამოვნო ეჭვები. მე რომ შენთან ბედნიერი ვიქნები, რომ შენისთანა ცოლის პატრონისა შეშურდებოდათ, ამაში ეჭვი არ მეპარება. გუშინ ხომ გწერდი ამის შესახებ,* შენ გეთაყვანე.** მერწმუნე, ჩვენი საქმის გამარჯვებასა ვფიცავ, — ამაზე დიდი საფიცარი მე ახლა არა მაქვს. მე რომ არ მომწონებოდა შენი ზნეობრივი ღირსებები, შენი გონიერება და გული, გინდაც კრეზის სიმდიდრის მფლობელი ყოფილიყავი, პირველსავე პაემანზე შენგან პირს ვიბრუნებდი. შეიძლება, ჩემზე ბევრს ცუდს ამბობენ ჩრაკლის მაგვარი კეთილი ადამიანები, მაგრამ არავის მივცემ ლაყბობის ნებას ჩემი გრძნობების სიწმინდეზე, ოლიკოს მიმართ ჩემს სიყვარულზე. მე იმდენად ვაფასებ ჩემს თავს, რომ არავის ამოვასვრევინებ ლაფში იმას, რაც ჩემთვის ყველაზე მეტად ძვირფასია, ე. ი. ჩემს წმინდა გრძნობებს, კეთილ ზრახვებს. შენს თავს ვფიცავ,* ოლიკოჯან**, თუ კი ყველაფერს წაგართმევენ, რის წართმევასაც შესძლებენ და შენ მაინც ჩემი გახდები, ისეთ მოულოდნელ სიხარულს მომანიჭებ, ისე ამაღლდები ჩემს თვალში, ისეთი მარგალიტი გაიელვებს შენს სხვა ღირსებათა გვერდით, რომ მისი ყიდვა მილიონებითაც შეუძლებელი იქნება. მე ვიცი, შენ შეგიძლია ასეთი საგმირო საქმის ჩადენა, ამიტომაც დამშვიდებული ველოდები ბედნიერებას, რომელსაც ჩემი ოლიკო მომანიჭებს. რა არის სიმდიდრე? სიმდიდრე კარგი რამეა, ჩემო კარგო, მე მის საწინააღმდეგოდ რა მეთქმის, მაგრამ ის მაინც არ არის საჭირო პირობა ბედნიერებისა: უიმისოდ ბედნიერება კარგადა გრძნობს თავს და იგრძნობს კიდეც, თუკი ჩვენ ვიქნებით ისეთი ადამიანები, რომლებიც უპირველესად თავიანთი ზნეობრივი მხარის დაკმაყოფილებას ესწრაფვიან. — თუ ასე არ არის, უმჯობესია ახლავე დავშორდეთ, რომ შემდეგ ერთმანეთს არასოდეს აღარ შევხვდეთ.

გაიხსენე, ჩემო ანგელოზო, რომ გწერდი ჩემს სიღარიბეზე, ჩემს უჩინობაზე და ა. შ., მე არც ისე ღარიბი ვარ, როგორც გწერდი. მე აღმომაჩნდება ჩვენი ცხოვრებისათვის სახსრები, ვიცხოვრებთ ისე, როგორც მრავალნი ცხოვრობენ; მაგრამ მე ვცდილობდი — უფრო ღარიბად მეჩვენებინა თავი, ვიდრე ნამდვილად ვარ. იცი, რატომ? იმიტომ რომ, თუ ასეთი უბრალო რამ შეგაშინებდა, შეგეძლო მაშინვე უარი გეთქვა ჩემთვის. მე ასეთი ცოლის ყოლას არ მოვინდომებდი. გარდა ამისა, მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ შენ ადამიანს უყურებ არა როგორც ოქროებით გატენილ ზანდუკს ან ჯვრებითა და ვარსკვლავებით მორთულ აბრას, არამედ, როგორც ღვთის მიერ შექმნილს არსებას, რომელშიც უპირველესად ყოვლისა მისი სული უნდა მზიანობდეს. დიახ, ოლიკოჯან, შენ ისე კარგი იყავი, რომ დამარწმუნე კიდეც იმაში, რაშიც აგრე მინდოდა დარწმუნება, ამით ისე მიმჯაჭვე, რომ ვერავითარი ძალა ვეღარ დამაშორებს შენგან, რა თქმა უნდა შენ თვითონვე არ მოისურვე. და თუ მოისურვებ, გულწრფელად მითხარი, ნუ შემიბრალებ. პირველად ამეტყველდა ჩემი გული, მაგრამ დე ეს მისი უკანასკნელი ღაღადისი იყოს. მე მას დავმარხავ, ჩემო მეგობარო, თუკი ჩემი ოლიკო მას სამარადისო ხსოვნას უსურვებს.

დანარჩენი შენ თვითონვე იცი, ჩემო ანგელოზო! მე მთლიანად ამ წერილში ვარ. გინდა დაიტოვე, რომ შემდეგში მამხილო, თუ კი დაწერილ სიტყვას სიცოცხლეში ერთხელ მაინც ვუღალატებ.

მე შენი ვარ ყოველგვარ ფათერაკში, უბედურებაში, სიღატაკეში, მანამდე, სანამ შენ მე თავისად მიგულვებ.

ახლავე მომწერე პასუხი, თუ გიყვარვარ. შევხვდებით დღეს? მომისმინე, ოლიკო! თუ მარხულობ, სემინარიის ეკლესიაში იარე, იქ შეგიძლია ქანდარაზე ახვიდე, მეც ვივლი მწუხრის ლოცვებზე. ქანდარაზე შენ ვერავინ დაგინახავს, ვერც მე. იქ შეგვიძლია ცისკრამდე ლაპარაკით გული ვიჯეროთ, მით

უმეტეს, რომ მწუხრის ლოცვა გვიან თავდება, რადგანაც მასთან ერთად დილის ლოცვასაც ასრულებენ. თანახმა ხარ?..

შენი სამუდამოდ ი ლ ი კ ო.

გაკოცებ მრავალჯერ.

27

დილის ხუთი საათი [28 თებერვალი, 1863 წ.]

შენი სულისა ო ლ ი კ ო ჯ ა ნ! სად, როდის და საიდან შემაშჩნიე გუშინ? ნუთუ ისეთი უბედური აღმოვჩნდი, რომ ხელიდან გაუშვი ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანის ნახვის შესაძლებლობა!. უცნაურია და გაუგებარი: საღამოს 5 საათამდე შინ ვიყავი: 5-ზე გამოვედი შენს სანახავად, მაგრამ საუბედუროდ შენ არსად ჩანდი. როდისღა დამინახე? მომწერე — მაინტერესებს! რატომ გუშინდელ წერილს არ მიბრუნებ, ხომ არ მოგეწონა?

ოჰ, ოჰ, ოჰ! რა ძვირფას რამეებს მაფიცებ, რომ გიორგისთან გავემგზავრო. კეთილი, ჩემო ანგელოზო, მე მივალ, მაგრამ, მართალი გითხრა, წარმატების იმედი არა მაქვს, რადგან ჩემი ოფიციალური წიხადადება მისთვის მეტად ცივი იქნება, როგორც ყველაფერი, რასაც ოფიციალური ეწოდება. თუკი იმდენად მოწყალე იქნება, რომ გაიგებს ღარიბი კაცის სიტყვას — ხომ კარგი, თუ არა და, რაც ამას ცუდი მოჰყვება, ჩემს ანგელოზს დავაბრალებ, დე მან აგოს პასუხი საკუთარი თავის წინაშე. ვინ გეჩიჩინება გიორგისთან ჩემს მიგზავნაზე? ვინც ამას გეუბნება, იგი არ არის ჩვენდამი კეთილად განწყობილი. მთელი ჩემი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ მე გიორგისა არა მჯერა, იგი არ მოისურვებს ჩვენი საქმის კეთილად დაგვირგვინებას. მუხრანბატონმა, ვეჭვობ, თავი დაიმციროს და ჩემთან დანათესავება ინდომოს. ასე რომ მოხდეს, დაუჯერებელი იქნება.

განა მარტო ის არის ასე განწყობილი? მთელი შენი ნათესაობა, ყველაზე ახლობლით დაწყებული და ყველაზე შორეულით

კათავებული, ერთნაირად არიან თითქოს ელექტრონით დამუხტულნი ჩვენი საქმის საწინააღმდეგოდ. თუ ვინმე ახლა გეთანხმება, ეს იმას არ ნიშნავს, საქმე საქმეზე რომ ბიდგება, თითქოს მაშინაც დაგეთანხმონ: ისინი აუცილებლობასა და, წარმოიდგინე, შენს ენერგიას ემორჩილებიან, რადგან იმედი აქვთ, თავზე დაგახვევენ ბრწყინვალე ახალგაზრდობას, და ყოვლის ჭომსპობი დროისა და შენს ირგვლივ მოფუსფუსეთა მოქნილი ოსტატობის წყალობით, თანდათან მოიშორებ ჩემით გატაცებას, მერე საბოლოოდ ამოიგდებ გულიდან ამ სისულელეს, ე. ი. მე. ჭერწმუნე, არც ერთი, რომელიც თქვენი ნათესაობის დიდი ჯაჭვის თუნდაც უკანასკნელ რგოლს წარმოადგენს, არ მოქმედობს წრფელად და პატიოსნად, როგორცა ფიქრობ. გატყუებენ. არ გეწინააღმდეგებიან ამჟამად, დროს უცდიან, რომ უფრო ადვილად მიაღწიონ მიზანს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ შენ თანდათან განელდე და დაივიწყო ეს საქმე, რასაც ახლა ასე მხურვალედ ეკიდები. მართალია, ზოგიერთ შენ ახლობელს იმიტომ უნდა ამ საქმის ჩაშლა, რომ შენთვის ბედნიერება სურს, რადგან დარწმუნებულნი არიან, ჩემთან უბედური იქნები, ე. ი. არც სიმდიდრე და არც წარჩინება გექნება. სხვებს ეს ზნეობრივი მამოძრავებელი მიზეზიც არა აქვთ, მათ ამოძრავებს მხოლოდ ტრფიალი ხელოვნებისა — ავნონ მოყვასთ. აი, ესენი არიან ზიზღის ღირსნი. შენ მეტის-მეტად კეთილი ხარ, ჩემო ანგელოზო, რომ შეამჩნიო ეს ოსტატურად დაგებული მახეები, მე კი, საუბედუროდ, არ შემიძლია ეს დავიკვეხო: მე ძალიან კარგად ვიცი, რომ ენა შენთა ნათესავთა ერთს ამბობს, ხოლო ჭათი გული სხვა რამეს უკარნახებს. ეს მეტად სამწუხარო ჭეშმარიტებაა, და მე ძალზე არ მსიამოვნებს, მაგრამ რას ვიზამ? სჯობია იცოდე სამწუხარო ჭეშმარიტება, ვიდრე სასიხარულო სიცრუე. მგონი, არა ვცდები.

შენი ახლობლების ეს დაგებული მახეები ჩემს წინათგრძნობას აკრთობენ და უბედურებას უქადიან. მაგრამ არა უშავს რა, რაც მოსახდენია, მოხდეს! მე სხვა ვარსკვლავზე ვარ დაბადებული, ბედნიერებას შეუძლია სიცოცხლე შემმატოს, მაგრამ უბედურებას არ შეუძლია ჩემი მოკვლა. უბედურებამ შეიძლე-

ბა ცოტათი შემარყიოს, მაგრამ რომ წამაქციოს, — ვერასოდეს! ჩემ წინ დიდი გზაა გაშლილი, თუ ამ გზაზე არ მეღირსა ჩემ რჩეულთან ერთად გავიარო, ე. ი. თუ ოლიკომ გადაიფიქრა ჩემთან ერთად დაადგეს ამ გზას, — რაც ღმერთმა ნუ ქნას! — მაშინ, ყველაფრის დამკარგველს, დამრჩება ერთი იმედი — ვიცხოვრო იმ წმიდათა-წმიდა მიზნისათვის, რომელიც მე დიდ ხანია ავირჩიე. ერთი სიტყვით, მექნება ის, რითაც დაკარგულ ბედნიერებას დავიტირებ, სუნთქვის საშუალება შემრჩება.

ეს მძიმე ფიქრები უკვე სამი დღეა უწესრიგოდ ირევიან ჩემ სულელ თავში და ახლა ასევე უწესრიგოდ დალაგდნენ ქაღალდზე. ძალა არ მყოფნის, გადავიკითხო და ხელახლად დავუბრუნდე ამ ფიქრებს, რომლებიც მინდა რაც შეიძლება მალე მოვიშორო თავიდან.

როდესაც წერას ვიწყებდი, მეგონა, ეს ფიქრები გამეფანტებოდა. როგორც ხედავ, ამ სტრიქონებშიაც ჩამოწვნენ ისინი ნისლად, თუმცა შესაძლოა არა ისეთი სიხშირით, და მგონი მათ მაინც შერჩათ ის განწყობილება, რომელიც ჰქონდათ მათ შენი ოლიკოს მტკივან გულში. დიახ, ეს სამი დღეა რაღაც მაწვება მძიმედ! ღმერთმა ჰქნას, რომ მხოლოდ ამით დასრულდეს!

ფიზიოლოგები, ჩემო ანგელოზო, ამბობენ, ვინც გამუდმებით მხოლოდ ერთ საგანზე ფიქრობს, მას გიჟი ეწოდებაო. თუ ეს სიმართლეა, მაშინ მეც გავგიჟებულვარ და ეგ არის, რადგან ყოველ წუთს შენითა ვარ გართული და შენზე ვფიქრობ. წინ რა მომელის არ ვიცი, ვიცი მხოლოდ ერთი რამ, სულით მოვისწრაფი შენდამი, რომ მოგეხვიო და კოცნით დაგფარო.

ნახვამდის, ჩემო ძვირფასო მეგობარო! აი უკვე მეორედ დაათენდა შენი წერილის წერაში საუკუნოდ შენს

ილიკო ჭ[ავჭავაძეს].

28

[1 მარტი, 1863 წ.]

ანგელოზო ჩემო! რა საოცარი ხარ! შენი წერილები, განსაკუთრებით გუშინდელი, ოლიკო, ჩემთვის არის ნამდვილი წყა-

რო, საიდანაც ვღებულობ ძალასაც და იმედსაც. ყოველი შენი სიტყვა სიცოცხლის მომნიჭებელი ცვარ-ნამი არის ჩემთვის. აი, ამიტომ მწყურია ხოლმე შენი წერილები. მე შენად არ ვღირვარ, შენ ჩემზე გაცილებით მაღლა დგახარ. არ გეფარისევლები, შენგან ბევრი რამის სწავლა მომიხდება და თუ გამოვსწორდი, ეს ჩემი ძვირფასი და საოცარი ოლიკოს წყალობა იქნება. რა ჭკვიანი მყავხარ! როგორი ალერსითა და სინაზით მამცნევ ხოლმე ჩემს შეცდომებს! აი კიდევ ახალი ალმასი შენს სხვა ღირსებათა შორის, ჩემო მშვენიერო ოლიკო! ბედი ოლიკოზე უკეთეს საჩუქარს ვერ მომიძღვნიდა. მადლობა, ათასი მადლობა მას!

ნება მიბოძე, თავი ვიმართლო გუშინდელი წერილის გამო. ყველაზე მეტად, იცი, რატომ ვარ შეშფოთებული? იმიტომ, რომ აკრძალული მაქვს შენი ნახვა. მე ზედმეტად ვარ განებივრებული ბედისაგან: თუ კი ოდესმე რამე მომისურვებია, ადვილად მომიპოვებია კიდეც. ამან გამხადა დიდგული, მოუთმენელი და, რაც ყველაზე ცუდია, მცირე წინააღმდეგობის ატანაც კი მიჭირს. შეიძლება, ეს იმიტომაც ხდება, რომ აქამდე ჩემი სურვილები მეტად წვრილმანი იყო, წვრილმანს კი ხურდა ფულითაც იყიდი, ე. ი. ადვილად მოიპოვებ. ახლა საქმე სხვანაირად არის, ჩემი სურვილის საგანი შენა ხარ, ჩემო ანგელოზო, შენ კი ისე ძვირი ღირხარ, რომ ბედი იაფად არ მითმობს ჩემს ოლიკოს.

გასაკვირიც არ არის, რომ ბედის სიმკაცრემ უჩვეულოდ შემაკრთო და გუშინდელი წერილი დამაწერინა. შენმა წერილმა გამახსენა ერთი ჭეშმარიტება, რომელიც კინაღამ დამავიწყდა: ყოველ ნივთს თავისი ფასი აქვს. ასეც უნდა იყოს!

ახლა, რაც ჩემშია და რაც ჩემს ირგვლივ არის, სულ ახალია, ამიტომაც უხერხულად ვგრძნობ თავს ამ ახალ მდგომარეობაში და გამოვთქვამ სისულელისა და უაზრობის მსგავს რაღაცეებს, მომიტევე, მეგობარო!

რაც შეეხება ჩვენს შეხვედრას, ჩემო ანგელოზო, მე ყველაფერზე თანახმა ვარ, ოღონდაც კი ერთხელ გამამბორო. ღვთის გულისათვის, მოაწყე ისე, რომ შევხვდეთ! შენ არ იცი, როცა

ამისი შესაძლებლობაა, რა სიხარულით მოვფრინავ შენთან. დღეს იასესთან მივალ, თუ მოვასწარი — გიორგისთანაც. მინდოდა ჭუჭრუტანიდან დაგენახა, როდესაც მე ბატკნის სახეს მივიღებ ამ უფაფრო და უკუდო ლომებს შორის. თუმცაღა ეს იასეს არ შეეხება: იგი ვითომც ქრისტესავით იკატუნებს თავს.

შენი სურათები მივიღე; გადასაყრელია, შენ კი მარწმუნებდი კარგადა ვარო გამოსული. როგორ შეიძლება ვესტინისთან გადაღება? იცი, რას გეტყვი? თუ კი დამიჯერებ, შენ შეგიძლია კარგი სურათები შეიძინო. რანესაგან, რომ წამოჰყვები ტროტუარს, მარჯვნივ პირველ ალაყაფში შეხვალ, მერმე იარე პირდაპირ და დიუბილერის ფოტოგრაფიის კარს მოადგები. თუ წამოხვალ და წამოიყვან ისეთ ვინმე თანმხლებ ქალს, რომელსაც არასოდეს უნახივარ და არ მიცნობს, მაშინ იქ შეგხვდებით, ვითომცდა ფოტოგრაფი ვარ, პოზას მე ამოგირჩევ; სურათის სიავკარგე, ასე თუ ისე, ამაზეა დამოკიდებული, და თითონვე დავაყენებ ფოტომანქანას. შენ ნახავ, როგორი პორტრეტი გამოვა. ოღონდ თმა იმგვარად დაივარცხნე, როგორც პირველად გქონდა ვესტინისთან. ძალზედ გიხდებოდა! თუ დღეს მოახერხებ წამოსვლას, ახლავე მაცნობე, წინდაწინვე უნდა მოვემზადო. გიგზავნი მედალიონს.

შენი სამუდამოდ, ი ლ ი კ ო.

29

[2 მარტი, 1863 წ.]

* ო ლ ი კ ო ჯ ა ნ!**

ეს რამ გაფიქრებინა ჩვენი ქორწილის გადადება სექტემბრამდე? შენს ჭკვიან თავში როგორ დაიბადა ასეთი აზრი? აპრილში გახდები ჩემი, რადაც არ უნდა დამიჯდეს. შენ ეს არ დაგავიწყდეს, ჩემო ანგელოზო! მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. რაღას უცადოთ, — განა ორთავეს არ გვინდა — ეს ამბავი რაც შეიძლება მალე მოხდეს, რაღას იგონებ? არა, ჩემო ძვირფასო, ასე დიდხანს ცდა შეუძლებელია. ბევრი ვიფიქრე და გადავიფიქრე, ბოლოს გადავწყვიტე, თუკი რამე წინააღმდეგობა შე-

გვხვდა, ერთი კარგი და საქებური საქმე მოვიმოქმედო. ამას, როცა დრო დადგება, მაშინ გეტყვი.

იასესთან ვიყავი, ვერ ვნახე; დღეს 9 საათზე ხელმეორედ მივაკითხავ, იქნება ბედმა გაგვიღიმოს და ჩვენი საქმე მოგვარდეს. ღმერთმა ჰქნას, თორემ ესე ვარ მოწყენილი, ლამის მოვკვდე!

იმგვარად დავარცხნილი თმა, როგორც გწერდი, მართლა გიხდება. მადლობელი ვარ, რომ გუშინ იმგვარადვე დაივარცხნე. ისეთი კარგი იყავი, სულ მინდოდა მოგხვეოდი.

იწერები ცუდად ვარო. ეს ამბავი მაწუხებს.* რათა, შენი ჭირიმე, რათა ხარ ავად? თუ კიდევ ავად იქნები, მე მაინთ აღარ გამოვივლი. ხვალ კი მოვალ მეთორმეტე საათზედ. შე გიჟო, ჩემ პორტრეტს რომ ჰკოცნი, მე რა? მე მაინც გაუკითხავ გლახასავით გულნატკენი დავბრუნდები ხოლმე. შენი ჭირიმე, ოლიკოჯან, ერთი კიდევ როგორმე მოახდინე, რომ გნახო და შეტს აღარა გთხოვ.**

ვინ გეძახის პატრიოტს? იმათ რაც არ უნდა თქვან, შენ მართლა პატრიოტი მეყოლები. განა ასე არ არის, ჩემო სულიკო? ეს დიდებული სახელწოდება მათთვის საძრახისია, ჩემო კარგო, მაგრამ შენ ამით იამაყებ, — ამიტომ მეჩვენები ძვირფასად, ამიტომ უყვარს შენს ილიკოს ოლიკო.

მახსოვს, დოღზე ვიყავით, შენ შემაქე და პატრიოტი მიწოდე; თუმცა ჩემისთანა სუსტი ძალის ადამიანი სად შესწვდება პატრიოტიზმს, მაგრამ იმ სიტყვებითა და კილოთი, რომლითაც შენ თქვი, მე მივხვდი, ვისთანაც მაქვს საქმე...

და, როცა ღმერთი ინებებს ჩვენს ერთად ყოფნას, მე გიჩვენებ კაცს, რომელსაც შენს შესახებ, ვუთხარი, რომ ეს ქალი [ატარებს თავის გულში სამშობლოს სახეს].

30

[3 მარტი, 1863 წ.]

*ო ლ ი კ ო ჯ ა ნ!** ვიყავი იასესთან, მან მე იმედები მომცა, მადლობა მას. როგორც ჩანს, ჩვენ საქმეს კარგი პირი უნდა უჩანდეს. მასთან შეხვედრის [შემდეგ] ისეთი [სიხარ]ულით გა-

მოვიარე შენი [ოთა]ხის წინ, და სამწუხაროდ ისე, ისე [ნაღვლიანი მეჩვენე], რომ გავოცდი. [რა] დაგემართა, ჩემო ანგელოზო? არც კი გამიღიმე, — რა ბრაზიანი ხარ!

ცუდი რამ ხომ არ შეგემთხვა? ღვთის გულისათვის, ახლავე მიპასუხე ამ წერილზე. არ იცი და არც შეგიძლია იცოდე, რა ცუდად ვხდები ხოლმე, როდესაც ასეთი ნაღვლიანი ხარ, დღეს რომ შეგამჩნიე. მე არ [შემიძლია] დავუცადო საღამოს წერილს. [მომწერე] ახლავე, რა მოგივიდა?... [.....] საათზე ისევ გავივლი [შენი] კეთილი ფანჯრის წინ, იქნებ ჩემმა ანგელოზმა გამიღიმოს, თორემ დამწუხრებული ვიქნები. [თუ] შენ მომწერ, მე ახლავე მო[ვფრინდები], რომ მივიღო კეთილი ღიმილი ჩემი მშვენიერ ოლიკოსი.

შენი სამუდამოდ ი ლ ი კ ო.

გიორგისთან საღამოს წავალ.

31

[4 მარტი, 1863 წ.]

ჩემო ანგელოზო! მე ყოველთვის ჯანმრთელად ვარ, თუკი ვიცი, რომ ჩემი ოლიკოც ჯანმრთელი და მხიარულია. რა კარგი იყავი დღეს და როგორ მსიამოვნებდა, გაღიმებულს რომ გხედავდი.

შენ ნამდვილი ჯადოქარი ხარ, ნუ მკითხავ, ასე რატომ გიწოდებ, ეს ჩემმა გულმა იცის. შენი სულისა! ხვალ 8 საათზე გამოგიგზავნო ლაზარე თუ დღესვე? მე ისე მინდა შენი ნახვა! მიყავ სიკეთე, დღესვე მოახერხე, შენი ჭირიმე!

გიორგისთან დღეს ვერ ვიქნები. ხვალ დილის 9 საათზე უმდაბლესი სალმით ვეახლები და ყველაფერს შეგატყობინებ. დღეს ხუთის ნახევარზე და ექვსის ხუთმეტ წუთზე კვლავ გავიარე შენი ფანჯრის წინ, მაგრამ ოლიკო ისე ბოროტად მომექცა, რომ არ გამოჩენილა. დამაცადე, როცა შეგხვდები, კოცნით დაგსჯი.

შენი სამუდამოდ ი ლ ი კ ო.

32

[5 მარტი, 1863 წ.]

ჩემო ანგელოზო! რამ მოგაგონა ფანჯარასთან მოსვლა სწორედ იმ დროს, როცა მე თქვენს ქუჩაზე გავლა მომიხდა. ჰადლობა მომიძღვნია ამისათვის. მაგ ფანჯარას შევიყვარებ, ყოველ დღე 2 საათისთვის მაგ ფანჯრის წინ გავივლი, რომ მინების იქით ჩემი ოლიკო დავინახო. მე ტროტუარზედაც გნახე, ორჯერ ჩაგიარე და ერთხელაც ვერ შემამჩნიე, მზერა არ მესროლე, უჰ, რა ბოროტი ხარ!

დღეს გიორგისთან ვიყავი, როგორც იყო ჩავიცვი სულელური ფრაკი, სულელურად მოვღრიცე ფიზიონომია და სულელურზე უფრო სულელური გუნებით წავედი მასთან. ორჯერ მივედი და შინ ერთხელაც არ დამიხვდა. კიდევ მივალ, იმ[იტომ] რომ მისვლას ჩემი ოლიკო მიბრძანებს. ფანჯარასთან რომ იდექი, მე ვცდილობდი მენიშნებინა, გიორგისთან ვიყავი-მეთქი, განგებ პალტოც გავიხსენი იმის საჩვენებლად, რომ ფრაკი მაცვია. აქედან უნდა მიმხდარიყავი, რომ სადღაც ოფიციალურ დარბაზობაზე ვიყავი, მაგრამ შენ ვერ მიმიხვდი, ჩემო ძვირფასო მეგობარო!

საღამოს 5 საათზე კიდევ გავიარე იმ ფანჯარასთან, სადაც ცოტა ხნის წინად მოულოდნელად გაიბრწყინა ჩემმა ვარსკვლავმა, მაგრამ ამაოდ, იგი აღარ სჩანდა.

აბა, ახლა რა გაიგე ჩვენი საქმისა? როგორა ხარ? ჩემსას ნუ იკითხავ, მე სულ დავიბენი, მოწყენილი ვარ, მით უმეტეს, რომ დღეს საღამოს წერილი არ გამოგიგზავნია. მე ისე მივეჩვიე ძილის წინ ლოცვის მაგიერ შენი საღამოს უსტარების კითხვას, დღეს რომ არ მივიღე, ვღელავ და ვწუხვარ. რატომ იძუნწე და არ გამოატანე წერილი შენს მეეტლეს?

ხომ არ მოგწყინდა წერილების წერა?

მედალიონი მზად არის, პორტრეტი — ჯერ არა, მაგრამ თუ არ გადაგიფიქრებია, კვირა დილით იგი უკვე გექნება მედალიონში ჩასმული. ნახე, რა ეჭვიანი ვარ შენს მიმართ. რას იზამ? ძვირფას ნივთს ყველა დაჰკანკალებს, მეც ასე ვარ.

შენ ძალზე ძვირფასი ხარ ჩემთვის, ჩემო ანგელოსო, უფრო

მეტად ძვირფასი ვიდრე შეგიძლია ივარაუდო და, რა გასაკვირია ყოველი წვრილმანი რომ მაღელვებდეს და მაკრთობდეს, თუნდაც ისა, რომ დღეს საღამოს შენი წერილის წაკითხვის ბედნიერება მომისწრაფე. ვის უნდა ვუმადლოდე ამას? შენს უყურადღებობას თუ საქმით გართობას? დილით და საღამოთი შენი წერილების კითხვას შემაჩვიე და უცებ გინდა გადამაჩვიო. ხელი ჩაგიკიდია მკაცრი ანდაზისათვის: კარგი ცოტა-ცოტაო. ასეთი ზომიერება ჩემთვის უცხოა: ან ყველაფერი, ან არაფერი! ჩემთვის საშუალო არ არსებობს.

*ერთი ეს მითხარ, ოლიკოჯან, გიორგისთან რომ წავიდე და უთხრა ყველაფერი, არც მაშინ მექნება ნება შენთან ვიარო? გაგონილა ამისთანა უხეირო საქმე, როგორიც ჩვენი საქმეა?**

ისე მოაწყე, ერთი წამით მაინც ვიყო შენს ახლოს, თორემ ძალიან მკაცრად და დაუნდობლად დაუწყე მოპყრობა შენს ილიკოს, რომელსაც ასე უნდა შენი ნახვა და ყურისგდება. * რა ვქნა? როდის უნდა ვნახო ჩემი გიჟი? ღმერთს ამ საქმეში ღმერთობა არ ეტყობა, თორემ ისე ხელი როგორ აიღო ჩემზედ, რომ შენთან აღარ შემახვედრა. ნეტავი მამიდაშენი ისევ ცოცხალი ყოფილიყო, გნახავდი მაინც, თუ სხვა არა იყოს რა.**

ეს სულელი პოეტები კი, საფოთი დაწყებული და კერესელიძით გათავებული, უპატივცემულეს საზოგადოებას არწმუნებენ, რომ ამ სურვილებში, ამ თრთოლვაში, შიშში, არისო ბედნიერება. ერთი არაფერი მინდოდა—ჩემს ადგილზე და ჩემს ახლანდელ მდგომარეობაში ყოფილიყვნენ ისინი ჩავარდნილნი. მაშინ ვნახავდი, როგორ მოატყუებდნენ ხალხს. მაშინ სულ სხვა ყაიდაზე იმღერებდნენ. ღმერთმანი, ვერ მომისაზრებია, როგორ გამოვიდე ამ მდგომარეობიდან? შენ რასა ფიქრობ? ისე ვარ დაბნეული, გაწვალებული და გამომწყვდეული, რომ ჩემი თავიც კი მეჯავრება.

ეჰ, ოლიკო, ოლიკო! შენ რომ ასე ძვირფასი არ იყო ჩემთვის, არაფერიც არ მოხდებოდა, მაგრამ რა ვქნა, როცა დღითა და ღამით მხოლოდ შენით ვსულდგმულობ.

ოჰ, როგორ მინდოდა, ერთი წამით მაინც დავმშვიდებულიყავი შენ ახლოს, ამ სიმშვიდეს მე ბედნიერებას დავარქმევდი.

ნახვამდის, ჩემო კეთილო ანგელოზო! დაე მე ვიტანჯო, ოღონდ შენ იყავ დამშვიდებული!

შენი სამუდამოდ ილიკო.

[კიდეებზე მინაწერი:]

მეშინია, ვაი თუ მინაწერი ვერ გაარჩიო, აი ისიც: თუ შენ საღამოობით წერილებს აღარ მომწერ, მეც შევწყვეტ წერას. თუ რამემ მომშალა, მხოლოდ ამან, შენგან წერილებს რომ არ ვიღებ.

გიგზავნი ქაღალდს. თუ ღმერთი გწამს, ნუ იძუნწებ და მომწერე, ნუ წამართმევ უკანასკნელ ნუგეშს. ეს ლიტონი სიტყვა კი არ არის, ჩემო მშვენიერო მეგობარო, ჭეშმარიტებაა.

33

[6 მარტი, 1863 წ.]

ჩემო ანგელოზო, ოლიკოჯან! ბოლოს და ბოლოს გიორგი ვნახე. იგი ღიმილით მხვდება და მეგობრულად მართმევს ხელს. შენი უმორჩილესი მსახური პასუხად დარბაისლურად უკრავს თავს და ეძებს თავისი სველი შლიაპის დასადებ ადგილს. ჩვენ ვსხდებით. იგი მესაუბრება ჟურნალზე, აქეთურზე, იქითურზე. მე, მართალი რომ გითხრა, არ მინდოდა ღობე-ყორეს მოვდებოდით, მინდოდა გადავსულიყავი საქმეზე, რის გამოც ვიყავი მოსული, რაც ასე ძვირფასია ჩემთვის. ამიტომაც ვცდილობდი ყველაფერში დავთანხმებოდი.

ზოგიერთ გადახვევათა შემდეგ, საქმეს დავუბრუნდით. მას არაფერი უთქვამს დადებითი, მაგრამ ნუგეში ისაა, რომ „ჰოზე“ უფრო დამაიმედა, ვიდრე „არაზე“.

მხოლოდ ცოტახნით მოცდა მთხოვა, რათა მამაშენი შეამზადოს თანხმობისათვის. თანხმობის მეტი რა მეთქმოდა, თუმცა ვაგრძნობინე კია, რომ, რაც უფრო მალე მოთავდება საქმე, მით უკეთესია, რომ ეს გაურკვევლობა აფერხებს ჩემს მუშაობას და ა. შ. მაგრამ არაფერმა მიშველა. ის ჩვენ ორთავეზე

პრაქტიკულია, ჩემო ანგელოზო, ხოლო პრაქტიკის წინაშე უკანდახევა გიხდება. მოკლედ გადმოგეცი ყველაფერი. სხვათა შორის, ესეც უნდა გითხრა, საკმაოდ დიდხანს ვისაუბრეთ ჩემს შეძლებაზე. მე ვუთხარი, ღატაკი არასოდეს ვიქნები და არც მდიდრად ყოფნას გპირდებით-მეთქი. მე ვფიქრობ, — დავძინე, — აქ საჭიროა რწმენა, რომ სიმდიდრის გარეშეც შესაძლებელია ბედნიერება,—დანარჩენს ყველაფერს მოევლება-თქო, ვიცი რომ მას სწამს ბედნიერება სიმდიდრის გარეშე და მე მეტი არა მინდა რა-მეთქი.

— თქვენ ხომ მას კარგად არ იცნობთ?

მე გამეცინა ამ კითხვაზე და გავიფიქრე: უფრო მეტად ვიცნობ, ვიდრე შენ.

—მართალია, — ვუპასუხე, — კარგად არ ვიცნობ, მაგრამ რამდენადაც ვიცნობ, იმდენადვე ვმსჯელობ მასზე და ა. შ.

ერთი სიტყვით, ის დიდად თავაზიანი იყო, გონიერებას იჩენდა, თან გულახდილი იყო, რაც მასში ყველაზე მეტად მომეწონა.

ასე, ჩემო ანგელოზო, უნდა მოვიცადოთ, რა მოსაწყენია!!!

შენი სამუდამოდ ი ლ ი კ ო.

34

[7 მარტი, 1863 წ.]

შენი ჰირიმე ო ლ ი კ ო! რა კარგად ჰქენი, რომ მუხრანიანთას არ გადახვედი. ასეთი მიამა, ოლიკო არ მამიკვდება, რომ მეტი აღარ იქნება. ძალიანა ვწუხვარ, რომ ამაღამ ვეღარა გნახამ, მაგრამ რა ეშველება, ნიკოსთან ხშირად იარე ხოლმე, გაუმეგობრდი იმის ცოლს და იქ ერთმანეთსა ვნახამთ.

გაკოცებ მრავალჯერ, უფრო მრავალჯერ ვინატრი შენთან ყოფნას.

შენი სამუდამოდ

ამაღამ მე ელენესთან წავალ, არ ვიცი შეგიძლიან შენ მოსვლა თუ არა. ოთხს წყვილს საყურეს გიგზავნი, რომელიც პელოს მოეწონოს ის აიღოს.

შენი ილია ჭავჭავაძე.

35

[8 მარტი, 1863 წ.]

შენი სულისა, ოლიკო! შენ მეკითხები, იცის თუ არა ნიკომ ჩვენი საქმისა, — სრულიად არაფერი იცის და არც ეცოდინება ჩვენს ქორწილამდე.

რად უნდა იცოდეს?

ჩვენ უმისოდაც მოვაგვარებთ ჩვენს საქმეს. თუმცა ისიც და მისი ცოლიც ზოგჯერ სიტყვას გადმომკრავენ შენსა და ჩვენი ქორწილის შესახებ, მაგრამ ეს ყველაფერი სიტყვა-გადმოკვრად რჩება, იმიტომ რომ მე თავს ვიძვრენ ყველგან და ყოველთვის. როგორა ვცდილობ დავმალო და ვაინც...

[წერილის შავი, დაუმთავრებელია]

36

[9 მარტი, 1863 წ.]

ოლიკოჯან! ნუ გეშინიან, ქალო, განა ისე ავათა ვარ, რომ ვეღარ წამოვდგე ქვეშაგებიდამ. წუხელ შუაღამისას სისხლი მომაწვა გულზედ და მთელი გული დამიხუთა. დღეს ორლანდინმა მითხრა, რომ ერთი ორიოდე დღე ქვეშაგებში იყავიო, კარგად შეიქმნებიო. მეც მთელი დღეა ქვეშაგებში ვარ. დილანდელ წიგნის პასუხს ლაზარეს გამოვატან საღამოზედ.

ნუ გიჟობ და ნუ ჰსწუხარ, თორემ არ ვიცი რას გიზამ.

შენი ილიკო ჭავჭავაძე.

37

[10 მარტი, 1863 წ.]

*ჩემო ტრედო!** არ ვიცი, ჩვენს წინაპარ ნოეს ნუთუ ისე გაუხარდა ტრედის მოფრენა მწვანე რტოთი, როგორც მე გამიხარდა შენი ნახვა? არა მგონია. როგორი კარგიც არ უნდა იყოს ცხოვრება, მაინც მწვანე რტო იმდენად არ გამხიარულებს, როგორც კოცნის თაიგული, რომელიც შენ მომიტანე...

* რა კარგი იყავ, შე გიჟო! ჯადო ხარ, ჯადო!** შენ რომ არ შემოფრენილიყავ ჩემთან, გუშინდელი დღე მკვდარი იქნებოდა, ჩემო საოცარო გენიავ! ოლიკომ გააცოცხლა იგი. ეს ჩაიწერება — იცი სად? — იქ სადაც ზის ჩემი გიჟი, ე .ი. გულში. აჰ. ერთხელ მაინც განმეორდეს ასეთი დღე. მაგრამ ჩემი კდემამოსილი ოლიკო როდი ინებებს.

*შენი კი ჭირიმე, ჩემო ოლიკო! ეს რა გამიჩნდი? დაილოცა ის საათი, როცა მე შენ შეგხვდი. ღმერთმა უშენოდ ერთი საათი ნუ მაცოცხლოს**.

ან რატომ უნდა ვიცოცხლო უშენოდ. მე ხომ ცხოვრება და მისი აზრი მას შემდეგ გავიგე, რაც შენ შეგიყვარე, სხვანაირად რომ ვთქვა,—მანამდე დამზრალი ვიყავ, ჩემო მეგობარო,—შენ გამომეცხადე და მე დავიწყე სულით აღვსილი ნამდვილი ცხოვრება. უშენოდ ვერ ვიცოცხლებ, თუნდაც მინდოდეს. ცხოვრება ხომ ჩემთვის არსებითად შენა ხარ, ხოლო ცხოვრების გარეშე შეიძლება სიცოცხლე? ტყუილად კი არ გიწოდებ ჯადოქარს: თვით ჯადოქრობას მთელი თავისი ძალით არ შეეძლო ის გაეკეთებინა, რაც შენ ჰქმენ, ჩემო მშვენიერო და კეთილო გენიავ! ღმერთო ჩემო! როდისღა დამითმობ შენ ჩემს ოლიკოს? უმისოდ მოწყენილი ვარ... დღეები გადის და ჩემი ოლიკო ჩემთან არ არის, რითი მიბრძანებ ვინუგეშო? *ნეტავი მაგისთანა მაინც არ იყო; რა ვქნა, რა გიყო, რომ ისეთი კარგი ხარ, რომ როდესაც შენ ვერა განახამ, ის დღე ჩემთვის დაკარგულია, მითომ არც კი გათენებულა.

შენი საუკუნოდ ი ლ ი კ ო ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.**

P. S. შენ, ჩემო მეგობარო, ჩემზე ნუ იდარდებ. გამოვჯამრთელდები: შენ ხომ კოცნით ისეთი წამალი მომეცი, რომ

მკვდარსაც კი გააცოცხლებდა და ეს უბრალო ავადმყოფობა როგორღა დაუდგება მას.

ჩემი ახლანდელი მდგომარეობის მიხედვით, ზეგ სრულიად გამოვჯანმრთელდები და ვეცდები როგორმე დაგენახვო.

მიიღე პორტრეტი; არაა კარგი; სხვა დროს გადავიღებ.

შენი საუკუნოდ

ილიკო ჭ.

38

[11 მარტი, 1863 წ.]

შენი სულისა, *ო ლ ი კ ო ჯ ა ნ!** ნუთუ შენ არ იცი, რაზე ვისაუბრებთ? მეშინია, ქედმაღლური რჩევა-დარიგებებით არ ამაფეთქონ, თორემ ხანდახან ძალზედ უხეში ვარ.

რა კარგი იყო გუშინდელი პაემანი, ოღონდ თუ სემინარიაში მარტო არ ივლი, მეც არ მოვალ.

შენ ამბობ, ლიზა არაფერს იტყვისო. განა მე მეშინია მისი სულელური სიტყვებისა, დე თავისთვის იპუტუნოს, რაც მოესურვება, მაგრამ მე არ მინდა პატარა შესაძლებლობაც კი მივცე ჩემზე ლაპარაკისა.

შენი მეეტლე მაჩქარებს, ნახვამდის.

შენი საუკუნოდ [ი ლ ი კ ო ჭ.]

39

[12 მარტი, 1863 წ.]

*ო ლ ი კ ო ჯ ა ნ!** მადლობელი ვარ შენი ღირსეული პასუხისათვის. შენი დისაგან მოწვევა მივიღე, უნდა ვეწვიო ან დღეს 8 საათზე ან ხვალ 12-ზე. მადლობა უთხარი ჩემს მაგივრად და გადაეცი, რომ ხვალ დანიშნულ საათზე გამოვცხადდები, რათა შიშითა და თრთოლვით დაველოდო მომავალ საშინელ განსჯას. დღესაც მოვიდოდი, მაგრამ მეშინია ჩვეულებისამებრ სტუმრები იქნებიან და არ მინდა ჩემი იქ ყოფნა თვალში მოხვდეთ; გარდა ამისა, ისინი შეუშლიან ხელს საქმეზე ლაპარაკს,

თუმცა, თუ თქვენ გგონიათ, რომ არავინ იქნება, შემატყობინეთ და მოვალ.

ბოდიში მოუხადე შენს დას ჩემს მაგივრად, წერილითვე რომ არ ვპასუხობ. გთხოვ გადასცე სიტყვიერად ჩემი პასუხი. მართალია, ჩემი მხრით ეს უზრდელობაა, მაგრამ ის მაპატიებს.

შენი ი ლ ი კ ო.

40

[14 მარტი, 1863 წ.]

*ო ლ ი კ ო ჯ ა ნ! ეს ეს არის შენმა მოწონებულმა ლაზარემ გამაღვიძა და მითხრა, რომ ქალბატონს წიგნი უნდა მიჰსწეროთო. — რას მიჰქარავ? ვის ქალბატონს? — აი, ახალ ქალბატონსაო; მაშინ კი მივხვდი, რომ შენზედ მეუბნება. ჩემო კარგო, ძლივ ავახილე თვალები და ისე გწერ, რომ ვერც ვერაფერსა ვხედავ და ვერც ვერაფერსა ვფიქრობ. ამიტომაც ვიცი შენის სიკეთისაგან მაპატივებ, რომ გუშინდელ წიგნზედ ეხლა, ამჟამად მოკლეთ მოგწერ.

შენა მკითხამ, როგორა ვნახოთ ერთმანეთიო; როგორც გინდა, შენ ოღონდ ბრძანე და ასრულება ჩემზედ მოაგდე. გინდა გუშინდელსავით აქ მოდი ჩემთან, არავინ არა განახავს, გინდა მე მანდ მოვალ. გუშინდელ წიგნში მხოლოდ ერთი რამ არ მამეწონა: შენ დას რად უთხარი ყველაფერი? მართალია, შენი და მთელ ქალაქის ქალებში უკეთესი ქალი მგონია, მაგრამ მაინც კიდევ არ უნდა გეთქვა**.

რაც შეეხება წერილების გზავნას, ბარბარეს საშუალებით გადმოვგზავნი. მან დაიწყოს, მანვე დაასრულოს.

შენი მარად

ი ლ ი კ ო ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

41

[14 მარტი, 1863 წ.]

*ჩემო კარგო ო ლ ი კ ო! რათა ფიქრობ, რომ მე შენზედ

გაჯავრებული ვარ? შენს დას რაც უთხარი, — ეგ მე რად მეწყინება ისე, რომ გავჯავრებულიყავი და ან რა ნება მაქვს გავჯავრდე შენზედ, მე და შენ თავთავისი ბატონები ვართ, ჩემო ოლიკო! შენ ფიქრი ნურაფრისა გაქვს. მხოლოდ ეს კია, რომ დღეს უნდა შენ დასთან ვიზიტად წავსულიყავი და რაკი შევიტყვე, რომ იმან ჩვენი ამბავი იცის, ამასაც თავი დავანებე**. ამას უზრდელობად ჩამომართმევს, მაგრამ რა ვქნა? თუმცა ერთი მანუგეშებს, ის იმდენად ჭკვიანია, გაიგებს, რამ მაიძულა არა ვწვეოდი. იცი, რა უხერხულია? იმედი მაქვს, თავის დროს გამოვისყიდო მის წინაშე დანაშაული, მანამდე კი ასე დავრჩები, როგორც ვარ. გთხოვ, შენი სულისა, არც ერთი სტრიქონი ჩემი წერილისა იმას არ აჩვენო. არ იფიქრო, თითქოს არ ვენდობოდე, ღმერთმა დამიფაროს, — ამას იმიტომ გთხოვ, რომ როგორღაც უკეთესია, როცა იცი, შენს წერილს მხოლოდ ის კითხულობს, ვისაც უგზავნი.

*ესე, შენ გეთაყვანე, მე ახლა ვარვარა ილინიშნასთან მივდივარ. ამ წიგნს მალე არ გავათავებდი, მაგრამ სტუმარი მოვიდა.

გაკოცებ ათასჯერ

შენი სამუდამოდ ი ლ ი კ ო ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე**.

42

[14 მარტი, 1863 წ.]

როგორც მონა, მორჩილებით შევასრულებ ჩემი დედოფლის ბრძანებას. 11 საათზე, თუ მეღირსა, ჩემს ძვირფას ოლიკოს მოვეხვევი. მე კარგადა ვარ, ჩემზე ნუ იღელვებ. მომიტევე, მოკლედ რომ გწერ, ჩემთან ზის ისეთი „ბობოლა“, უხერხულია ბევრის წერა.

გკოცნი, ო ლ ი კ ო!

შენი სამუდამოდ ი ლ ი კ ო ჭ.

43

[15 მარტი, 1863 წ.]

*შენი კი ჭირიმე, ჩემო ოლიკო!** რატომ არის ასე, რაც უფრო დრო გადის, მით უფრო. ძვირფასი რად ხდები ჩემთვის? ოჰ, შე ჯადოქარო, შენა! შენ დღეს, რომელიც ასე მოღრუბლულია, ჩვეული ხალისით მიღიმოდი აღთქმული ფანჯრიდან; მაშ მეც მთელი დღე კარგ გუნებაზე ვიქნები. როდესაც შინ რაღაცეებზე ჩავფიქრდები ხოლმე, სხვათა შორის იმაზეც ვფიქრობ, რომ შენ სრულიად დამიმორჩილე. იყო კი დრო, როცა ზვიადად ვფიქრობდი ჩემ შესახებ, ჩემი თავის ბატონ-პატრონი მევე ვიქნები-მეთქი. ახლა კი მე გამიჩნდა მფლობელი, ვისადმი დამონებაც ისე საამოა, რომ თვით თავისუფლება ამ დამონებასთან შედარებით მოსაწყენად მოჩანს. დიახ, ჩემო მეგობარო, ცხოვრება მაშინ ნიშნავს სითბოსა და სინათლეს, როცა მასში გონების გარდა გრძნობაც ამეტყველდება.

ჩემ პირველ ჟურნალში, მოთხრობაში *„გლახის ნაამბობი“**, ეს აზრი შესანიშნავად გადმოსცა ჯუმბერიძემ: *ჭკვა გზას გაგინათებსო, გული კი გაგათბობსო **.

ამ აზრის მთელი მშვენება ახლაღა გავიგე, იგი მეტად სწორი და სამართლიანია.

[წერილის შავი, ხელმოუწერელია]

44

[16 მარტი, 1863 წ.]

*ო ლ ი კ ო ჯ ა ნ! ეს ეს არის შინ მოვედი ბულვარიდამ, სადაც შენა გნახე. ხომ არ გაჯავრდი გულში, რომ არ მოვედი თქვენთან? როგორ მოვსულიყავ, ქალაქის ჭორებს ვიღა გადურჩებოდა. დარწმუნებული იყავ, რომ შენი ნახვა, იქნება, მე უფრო მინდა, ვიდრე შენა ჩემი ნახვა, მაგრამ ჯერ ჩვენი საქვეყნოდ ნახვა ჩვენთვის მარხვაა. დღეს შიოევის სახლებში პორტრეთი აგეღო, რატომ არ შემატყობინე? ხომ არ დაგავიწყდი?

იმ დღეს ელენემ რაღაცაები მითხრა, მე რუსული „ატკაზი“ ვუთხარი, მე არა ვიცი რა მეთქი. გაჯავრდა, მგონი, ჩემზედ. შენ

დასთან ჯერ ვერ მოვალ, მინამ მამიშენიდამ პასუხი არ მომივა. გუშინ, ვიღაც სოლომონაა, ის გავუგზავნე, დიდი იმედი მომცა და არ ვიცი რატომ არ შემატყობინა პასუხი, რომელიც დღეს უნდა მოეტანა. ეს კი იცოდე, ჩემო ოლიკო, რომ არც ერთს შენს ნათესავს არ უნდა, რომ მისიძონ. მე, რასაკვირველია, ეს თუმცა მწყინს, მაგრამ ისე კი არა, რომ ჩემს ოლიკოზედ მინდობილი არ ვიყო. რაკი ჩემი ოლიკო თანახმაა, იმათ ბევრი ქოქოლაც რომ გვაყაროს, მაინც კიდევ ჩვენებურად ბედნიერნი ვიქნებით. ტყუილია თუ?**

მამაშენის პასუხს თრთოლვით ველოდები, ჩემო მეგობარო. გული მეუბნება, მაინცდამაინც საამო პასუხი არ იქნებაო. ღმერთმა ჰქნას, ვცდებოდე! სხვა, შენ როგორა ხარ? მითხრეს, თითქოს შენ გაჯავრებენ, მართალია? იმათ ერთი შენებურად დაუტრიალდი, ჩემო მეგობარო, რომ ცოტათი ენა ჩააწყვეტინო, თორემ ძალიან შესტოპეს.

გიგზავნი ბევრ ქაღალდს, ამ ქაღალდების გათავებამდე, მე მგონი, შენ უკვე ჩემი ცოლი იქნები. მაშინ ქაღალდი აღარ დაგჭირდება, რადგან სულ ერთად ვიქნებით, * შენი ჭირიმე, ოლიკო!**

როგორმე მოახერხე ხვალ ექვსი საათის შემდეგ ჩემთან შემოვლა. ძალზე მინდა ჩემი ოლიკოს ნახვა.

თუ ვერ შესძლებ, მომწერე—ელენესთან როდის იქნები, მეც იქ მოვალ. ხვალ კიდევ გამოგიგზავნი ბიჭს.

შენი საუკუნოდ ი ლ ი კ ო ჭ.

დღეს ლაქსინთან ვიყავი; ის ჯვარი შენი იქნება. იქნებ ერთხელ კიდევ შეიარო ლაქსინთან? კარგად დაათვალიერე სამაჯურები. სხვათაშორის, იქ ყველა სამაჯურის ფასი გაიგე, და იმ სამაჯურს, რომელიც მისი ანგარიშით, 700 მანეთი ღირს, მიაქციე განსაკუთრებული ყურადღება, **ეგების მოგეწონოს.**

მომიტევე წერილისათვის, ძე შინია, სადმე არ გამასწრო, ამიტომ ჩქარა მინდა გამოგიგზავნო.

შენი ი ლ ი კ ო და მარად შენი ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

45

[17 მარტი, 1863 წ.]

ო ლ ი კ ო ჯ ა ნ! დღეს ბარბარემ რაღაცა კაი ამბავი მოძიტანა თქვენის სახლიდამ, არ ვიცი როგორ დაბოლოვდა. რა უნდა შენგან იმ სულ წაწყმენდილს, ნინოა ვიღაცა? ნუთუ მე დაშენი საქმე ისე უღვთო რამ არის, რომ იმაში ღმერთმა გარია ეგ ქაჯი და სულთამხუთავი? აი დაშამათოს ღმერთმა, — აქედამვე ქოქოლას ვაყრი მის ბრწყინვალებას. სხვა რასა იქ შენს ახალს სადგომში? როგორ მოეწყვე? შენი ოთახის ფანჯრები საით არის? დღეს ორჯერ გამოგიარე და შენ ისეთი უგულო იყავ, რომ არცკი გადმოიხედე. შენი ჭირიმე ოლიკო! არაფერი არ დამიმალო, ყველაფერი მომწერე, რაც მუხრანსკის ცოლისაგან შენ გადაგხდება.

შენი სამუდამოდ

ილიკო ჭავჭავაძე

46

[18 მარტი, 1863 წ.]

ო ლ ი კ ო ჯ ა ნ! გუშინ ვიყავ შენ დასთან, იმისთანა ამბავი არა მომხდარა, რომ ცოტა იმედი მოგვმატებოდა. სწორედ გითხრა, ვერც რიგიანად მოვილაპარაკეთ, ვიღაცა ქალი იჯდა და იმან დაგვიშალა.

ჩემო კარგო! შევიტყვე, რომ შენ თურმე გაწუხებენ, რაღაც ნივთებს და კამოდებს გთხოვენ, შენ ნუ სწუხარ, დაე სულ წაიღონ, ოღონდ შენ კი მოგასვენონ. მაგის გულისათვის ჩხუბს და დავიდარაბას ნუ გამართამ, თუ გიყვარდე. თუ ვინიცობაა დაგჭირდეს რამე, მე შემატყობინე, ყველაფერს გიშოვნი. ერთი რამ უნდა გითხრა და მეშინიან არ გამიწყრე, მაგრამ რადგანაც მე შენი ვარ და შენ ჩემი, იმისათვის ვბედავ თქმას. აი რა მინდა გითხრა: თუ ფული დაგჭირდება, მე ძალიან მეწყინება, რომ არ შემატყობინო. ან რად უნდა გაჯავრდე ამაზედ, მე ხომ შენი

ილიკო ვარ და შენ ჩემი ოლიკო, თუ ეგრეა, ნურაფერში ნუ მომერიდები, შენ გეთაყვა.

დღეს თორმეტს საათზე ელენეს დაუბარებივარ, ნეტავი შენც მოხვიდე, საშინლად მინდა შენი ნახვა. მოხვალ, თუ არა?

შენი უკუნითი უკუნისამდე

ილიკო ჭავჭავაძე.

47

[19 მარტი, 1863 წ.]

ჩემო, მეგობარო ო ლ ი კ ო! გუშინ 11 საათამდე ვიჯექი შენს დასთან, მეგონა მოხვიდოდი, ამაოდ! — არ მოხვედი.

დღეს გელოდები, კარგს იზამ თუ მოხვალ. მძიმე ნაღველი დამაწვა გულზე, არ ვიცი, ძვირფას სტუმარს რომ ველოდები იმიტომ, თუ სხვა მიზეზისა გამო. ხვალ მოდი ჩემთან, თავისუფალი ვიქნები, თუნდაც შუაღამემდე. თუ შეგიძლია მოდი დღესვე, ძალიან მინდა გნახო და შეგახუროთ გუშინდელი წერილისათვის.

იმიტომა გწერ ასე ცოტას, რომ შენი მოსვლის იმედი მაქვს, ღვთის გულისათვის, მოდი, თუნდ ერთი წუთით შემოიარე.

შენი საუკუნოდ ი ლ ი კ ო.

დღეს ნამდვილად არავინ მეყოლება. 10-მდე დაგელოდები, ეცადე, არ დაიგვიანო.

48

[20 მარტი, 1863 წ.]

შენი სულისა ო ლ ი კ ო! დღეს რომ არ გინდა ჩემთან შემოვლა, როგორი არა კეთილი ხარ. შენ ხომ შემპირდი, კვირამდე მოსვლას როგორმე მოვახერხებო. რად დაიდე ასეთი ცოდვა, ჯერ იმედი მომეცი და გამახარე, მერე წამართვი და მომაწყინე.

ეს მით უფრო საწყენია, რამდენადაც შეხვედრის იმედი საერთოდ სიხარულო იყო, ჩემო ანგელოზო! თუმცა შინ და გარეთ ისე ხარ გართული, რომ ჩემთვის აღარა გცალია. ტყუილია თუ? მხიარულად გართულს ძალდაუტანებლად არც კი მოგაგონდება, რომ სადღაც არის ერთი არსება ისე განწყობილი, რომ შესაძლოა შენ გამო დაღონებული იყვეს.

მიუხედავად ამდენი საქმისა, რომელიც გადავიყვარე, მას შემდეგ, რაც შევიყვარე ერთი გიჟმაჟი, ეს სამი დღეა 12-დან საღამოს 6 საათამდე ბულვარზე დავსეირნობ, იმ იმედით, იქნება თვალი მოვკრა მეთქი. მითხრეს, რომ შენ ყოველ დღე სეირნობ და, აბა მე რა გული გამიძლებდა. მხოლოდ გუშინ გამიღიმა ბედმა და დაგინახე, — მადლობა მომიხსენებია ბედისათვის, ეტყობა, არც ისეთი ინდაური ყოფილა.

მართლა არ მოგწონს ჩემი ამორჩეული მაჭანკალი? დარჩიანოვი მართალია, არისტოკრატი არ არის, მაგრამ კარგ მაჭანკლობას არისტოკრატობა რაში სჭირდება? მითხრეს, თითქოს ეს ბატონი მამაშენთან დაახლოვებული კაცია და სხვაზე მეტად მას უჯერებსო. ამის შემდეგ, როგორ არ უნდა მომენახა ასეთი ძვირფასი ადამიანი იმ საქმის გამარჯვებისათვის, რომელიც ერთდაიმავე დროს გვახარებს და გვტანჯავს კიდეც. ესეც არ იყოს, მას რითი სჯობია შენი ამორჩეული *მაჭანკალი**, რომელიც პირველ დღეს გამომიგზავნე? მე მგონია, ერთმანეთის უკეთესობას ვერცერთი დაიტრაბახებს, ასე რომ ბარი ბარში ვართ, ჩემო ანგელოზო! ხუმრობა იქით იყოს, მე მინდა ერთერთი ჩემი მთავარი ნაკლი იცოდე: ჩემი არსება ისეა აგებული, რომ ამ უბრალო, გულზვავობას მოკლებულ მოკვდავებში. ყოველთვის ნაკლები ჭუჭყი და მეტი საღი აზრი მეგულება, კიდრე ზოგიერთ ბატონში, რომლის შთამომავლობით კეთილშობილური სისხლი გულზვიადობას შეუდედებია. შენ ისე ჭკვიანი ხარ, ჩემო ანგელოზო, არ მისაყვედურებ ამ სიტყვების გამო. ამ სიტყვების სიმართლე ფაქტებზეა დაფუძნებული.

ვნახოთ რა პასუხს მომიტანს მამაშენისაგან ეს სომეხი, მერმე თუ საჭირო იქნება, ირაკლის მივაკითხავ. თუმცა ეს მეტად მიმძიმს, მაგრამ რა ვქნა, როცა ჩემი ოლიკო თავის სიყვარულს

მაფიცებს. ასეთ დროს ცეცხლშიც ჩავვარდებოდი დაუფიქრებლად, მით უმეტეს მივალ ირაკლისთან გამოვითხოვო ის, რასაც ასე ვესწრაფვით სიზმარსა და ცხადში.

*თუ გიყვარდე, ოლიკოჯან, დღესვე შეიარე ლაქსინთან და კარგად გასინჯე ის სამაჯური თავის მოწყობილობით, რომელიც იმის ფიქრით, სამოცდაათ თუმნათა ღირს. ნუ გეშინიან, შენ ოღონდ მოიწონე, მე იაფად გამოვიტან. ეს კია, რომ არავინ არ უნდა იცოდეს ეს ამბავი.

შენი ჭირიმე, ოლიკო! ახლა მინამ ჩვენი საქმე არ გათავდება, არ მეჩვენები მე? რა არი, ქალო, მოიგონე რამ, ან სტარიცკისთან წადი ან დობღანსკისთან და იქიდამ ჩემთან შემოფრინჯი. შენი დის ფაეტონით კი არ მოხვიდე, იქირავე და მე გავისტუმრებ. ელენესთან თუნდ რომ გნახო, რა გამოვიდა? ხომ ვერ გაკოცებ?** მე კი ისე მინდა გეამბორო, ჩემო მეგობარო.

შენი საუკუნოდ ი ლ ი კ ო.

P. S. მართალია, რომ არ შეიძლება ყოველდღე ბიჭის გამოგზავნა?

49

[21 მარტი, 1863 წ.]

ჩემო ანგელოზო! რა გითხრა მამაშენმა, ალბად რაძე არა სასიამოვნო. ნუ მიბრალებ, რაც იყო ყველაფერი მომწერე, რომ ვიცოდე, როგორ ვიმოქმედო. ძალზე მომეწყინა ასეთი სულელური, გაურკვეველი მდგომარეობა, მალე უნდა მოვათავოთ. მე უთუოდ წავალ ირაკლისთან, თუ კი უიმისოდ მართლაც არაფერი ხერხდება. დღეს ან ხვალ გამოვეცხადები უმდაბლესი სალმითა და მორჩილი თხოვნით. თუ აქაც არაფერი გამოვიდა, დამრჩენია რომანტიკული რაღაც მოვიმოქმედო, რომ ამით მაინც დავამარცხო ისინი, რომლებიც მე ბედნიერებას მართმევენ.

* ლაქსინთან იყავი? მოგეწონა, თუ არა. ოჰ, როდის იქნება გნახო, მე კი ჩემი დამემართა და შენი კი არ ვიცი. რომ მნახო,

ვერც კი მიცნობ, ისე თურმე გამხდარვარ. მოხვალ დღესა? შენი ჭირიმე, თუ გიყვარდე მოდი. მეყოფა რაც შენი უნახაობით ჭირი გამოკიარე.

შენი სამუდამოდ ილიკო ჭავჭავაძე.

მომიტევე პატარა წიგნზედ, საჩქაროდ ვწერ. შენი და როგორ არის? ხომ არ დაწვა? **

50

[22 მარტი, 1863 წ.]

*ჩემო კარგო ოლიკო!** ნუ წახვალ, ნუ წახვალ, ჩემო ანგელოზო, თორემ ცუდი დღე დამადგება! დარჩი ტფილისში. გინდაც ყველანი აგვიჯანყდნენ, შენ მაინც ჩემი იქნები, მე კი შენი. ოღონდ, რა თქმა უნდა, დიდი სიფრთხილე გვმართებს.

ღვთის გულისათვის ირაკლისთან ნუ გამგზავნი, შენ მას კარგად არ იცნობ, მეგობარო! თუკი ვინმე ჩვენს ბედნიერებას ხელს უშლის, ეგ არის, მე სანდო წყაროებიდანა მაქვს გაგებული.

გუშინწინისწინ ჩემზე ლაპარაკი ყოფილა მამაშენთან და, ამბობენ, შენი ირაკლი ყბა-აღებით აუგად მახსენებდა, აბა ამის შემდეგ როგორღა მივიდე მასთან, მაგ ბატონის ნახვისას ხომ სულ ღვარძლი უნდა ვანთხიო. ძნელი იქნება თავი დავიჭირო უკმეხობისაგან, რისი ღირსიც ეგ არის. თუმცა, მგონი, მაგისი დახმარება აღარც დაგვჭირდეს. მამაშენი დღეს კინაღამ დაეთანხმა ჩემს წინადადებას და ამით ჩვენი საქმის კეთილად დამთავრების იმედი არის. მამაშენი, შეიძლება ითქვას, ნამდვილად დაგვეთანხმება, თუკი ირაკლი და მისთანანი მამაშენთან არ იფლიდებენ. ხვალ წერილით მინდა აუდიენცია ვთხოვო მამაშენს. აი, იქ კი ქრისტედ უნდა მოვიკატუნო თავი, რომ მაშინვე დავიყოლიო. თუმცა ზედმეტად რაღად უნდა ვიღლეოთ? მე ისა მკლავდა, რომ მეგონა, თუკი გასაქცევად გვექნებოდა საქმე, არ გამომყვებოდი, — ხოლო რაკი თანახმა ხარ, ზღვა-

საც კი გადავლახავთ. * აი მაგისთვის მიყვარხარ ჩემო ოლიკო! ყოჩაღი ხარ, ყოჩაღი!**

ამის შემდეგ როგორღა წარმოსთქვი, — დაფიქრდი, ჩემთან უბედური არ იყოო. ო, ჩემო მეგობარო, ის თუ გამხდიდა უბედურს, რომ თვით შემშურდეს ჩემი თავისა, ჩემი ძვირფასი ოლიკო ასეთი კარგი რომ მყავს: მიზეზი უბედურობისა სხვა რა უნდა წარმოვიდგინო! ჩემზე ნუ ფიქრობ, ოლიკო ისეთი ქალი იქნება, რომ მისი ქმარი იმად არ ეღირება. თუ გინდა, შენ თვითონ დაფიქრდი, ყველაფერი აწონდაწონე, მერმე რომ კმაყოფილი დარჩე, — ადამიანები ხომ კმაყოფილებაში ხედავენ ბედნიერებას.* ეგრე, გეთაყვანე, გამახარე ხოლმე, როგორც შენმა წიგნმა დღეს საღამოზედ გამახარა და მე ბედნიერი ვიქნები**.

ბედნიერება, იცი, როდის არის ძვირფასი? როცა მას ბრძოლით ჰპოვებ, ტანჯვით იყიდი, როგორც პოეტები ამბობენ ხოლმე. გამარჯვება წინააღმდეგობის გარეშე გამარჯვება არ არისო, ასე ამბობენ მხედართმთავრები. ჩვენც ხომ გვიხდება პატარა-პატარა წინააღმდეგობების დაძლევა, დავძლიოთ კიდევ, ჩემო მეგობარო! ღმერთმა იმიტომ მოგვცა გრძნობები, რომ იმით ჩვენი სიცოცხლე გავითბოთ, რომ მისთვის ვიბრძოლოთ და გავიმარჯვოთ. ეს ბრძოლა, როგორც უნდა დასრულდეს, მაინც ადამიანისათვის ღირსების მიმნიჭებელია და თვით დამარცხების დროსაც სასახელოა.

*შენი პორტრეტი მე დილასვე გამოვართვი.** რა ნაღვლიანი ხარ ჩემო ანგელოზო! ყველას მე დავიტოვებ. ისინი მთლად ისე კარგი არ არის. შენ ბევრად უკეთესი ხარ, ვიდრე სურათებში. *ნეტავი დღეს მოსულიყავ: რა რიგად გელოდი? რამდენი რაღაცეები უნდა მეჩვენებინა შენთვის.

შენი უკუნითი უკუნისამდე ილიკო ჭავჭავაძე**.

[ცალკე ქაღალდზე მინაწერი:]

ის ნივთები, შენ რომ ლაქსინთან ნახე, ჩემთვის გადავანახვინე. საათი თავისი მოწყობილობით (შენ ის არ გინახავს), ჯვარი და სამაჯური ქინძისთავებით, საყურეები, გულდასაბნე-

ვები, სამი ოქროს ძეწკვი, სხვადასხვა რამისთვის რომ გამოდგება — ეს ყველაფერი ჩემთვის გადავანახვინე ერთის პირობით: თუ შენ არ მოგეწონება და თუ მამაშენი თანხმობას არ გვეტყვის, უკანვე დავუბრუნებ. თუ მართლაც მამაშენმა უარი გვითხრა, უკეთესი იქნება, ეს ფული უფრო საჭირო საქმისათვის გადავინახოთ. განა მართალი არ არი, მეგობარო!

51

[24 მარტი, 1863 წ.]

*შენი სულისა ოლიკოჯან! დანაშაული მაქვს, შენ გეთაყვანე, რომ წიგნი არ მოგწერე. მე მინდოდა ჯერ ირაკლი მენახა და მერე მომეწერა ყველაფერი. ნუ გამიჯავრდები, რაღა ეგ მინდა, ისიც მეყოფა რაც ბედი ჩემზედ ჯავრობს, რომ შენს თავს არ მაჩვენებს ხოლმე. შენთან, რაც უნდა საქმე მქონდეს, როგორ დამზარდება წიგნის მოწერა. ** ეს მიმოწერა, ჩემო ძვირფასო ანგელოზო, ჩემთვის არსობის პურია, შენ ეს იცოდე, და მომიტევე.

*შენ რომ გნახე, ირაკლისთან წავედი; შინ არ იყო, მაგრამ მე ახალი ამბავი შევიტყე. დილას ერთი ჩემი ამხანაგი წინამძღვრიშვილი ყოფილა მამაშენთან. ჩემზედ დაუწყვიათ ლაპარაკი. წინამძღვრიშვილს უთქვამს, მოგილოცოთო ქალის ბედნიერებაო. მამაშენს შორს დაუჭერია. მე მოლოცვისა არა ვიცი რა, თუ უნდათ ერთმანეთიო, ღმერთმა მშვიდობა მიჰსცეთო. მე არც არას ვეტყვიო, არც ჰოსაო, როგორც დაუწყვიათ, ისეც გაათავონო. ესეც შევიტყვე, რომ ჩემი მიღება არ უნდა, აბა, აქ ამ ქოხმახშია სად მივიღოო, — უთქვამს მამაშენს.

აი, მოკლედ ის, რაც ულაპარაკნია მამაშენს, სხვა რაც უთქვამს, ისე სასიამოვნო არ არის, როგორც საწყენია. რად გინდა რომ იცოდე.

რა უყო, შენი ჭირიმე, ოლიკო? წუხელ მთელი ღამე არა მძინებია სიხარულითა, რომ ხვალ ოლიკოსთან ვიქნები შეთქი, მაგრამ აქაც მოვჰსტყუვდი და ვეღარ მოვალ. შენც არ მამიკვდე, ხომ იცი შენს სახელს ძნელად დავიფიცამ, რომ ჯავრისა-

გან აღარა ვარ. თავი გატენილი მაქვს უსიამოვნო ფიქრებითა და თუ რამ სასიხარულო მაქვს, ეგ ისა, რომ ოლიკო ჩემკენ არის და ჩემი იქნება. ნეტავი მალე გახსნილდეს მაინცა, მე ვიცი ამ საქმეს რა რიგად მოვუღებ ბოლოსა.**

ჩვენი ჯერიც მოვა და ბედს ჩვენს დუდუკზე სულის ამოხდამდე ვაცეკვებთ. თუ თვითონ არ შეგვიბრალა, არც ჩვენ შევიბრალებთ მაგ სულელსა. დე იქ მამაშენმა ჩვენზე იბუზღუნოს, თუ კი იამება. კარგი იყო დაველოცეთ, — არა ქნა. ღმერთი იყოს მისი შემწე, დაულოცავადაც შეიძლება ბედნიერად ცხოვრება. შენი და არის ამის ცოცხალი მოწმე.

მე ოთხიდან ხუთამდე და ექვსამდე ბაღში ვიქნები. თუ გინდა მოდი.

შენი საუკუნოდ ი ლ ი კ ო.

მინდოდა კოცნა გამომეგზავნა, მაგრამ ჩემზე გაბრაზებული ხარ და არ მიიღებ.

52

[26 მარტი, 1863 წ.]

ჩემო ანგელოზო ო ლ ი კ ო ჯ ა ნ! მომიტევე, გვიან რომ გპასუხობ წერილზე. ჩემთან ზაგურსკი იჯდა და ღამის $2^1/_2$ საათამდე დარჩა. უხერხული იყო მასთან წერა.

რა საკვირველი ხარ, ჩემო ტრედო! დღეს მოწყენილი ვიყავი, შენ კი მოგჩვენებია, თითქოს შენზე ვიყავი გაჯავრებული, რადგან პლატონოვსა და ბრიუგელს ესაუბრებოდი. როგორ ფიქრობ, ვითომ ვეჭვიანობ? იცოდე, ჩემო ანგელოზო, სადაც ეჭვიანობაა, იქ ნდობა და პატივისცემა არ არის. მე არ მინდა, ასე რომ ფიქრობდე ჩემზე. * შე გიყო! მაგისათვის ყურების გასაწევი ხარ, მაგრამ რა გიყო, რომ შორსა ხარ **. იმიტომ კი არ ვიყავი მოწყენილი, რომ შენ მხიარულობდი, ძალზე სუსტად ვგრძნობდი თავს და ცუდად ვხდებოდი. შენი მხიარული და გაჰომწვევი ჩუმად ნასროლი მზერა მაცოცხლებდა, თორემ ღმერთმა იცის, რა დამემართებოდა — ნახევარი

საათიც კი ვერ გავძელ ფეხზე. დიახ, ჩემო ანგელოზო, ცუდად ვგრძნობ თავს, საშინლადა ვარ მოშლილი. არ ვიცი რით დამთავრდება ეს ყველაფერი, ის კი ვიცი, იმდენად დავსუსტდი, რომ იძულებული ვიქნები ისევ ჩავწვე ლოგინში. გუშინ რაღაც რეცეპტი გამომიწერე, ვისარგებლებდი, მაგრამ იცოდე, ჩემო მეგობარო, რომ მჟავე მურაბებისა, ფორთოხლებისა და ზოგიერთი ხილის გარდა სხვა რამის ჭამა აკრძალული მაქვს. დღეს უკვე მეოთხე დღეა საჭმელად არაფერს მაძლევენ. მაგრამ შენ ნუ ინაღვლებ, ყველაფერი გაივლის და გამოვჯანმრთელდები.

*ჩვენი საქმისა რა შეიტყე? რატომ არასა მწერ? რა კარგი იყავ დღესა! შენც კი რამდენიმე ხანს დამიღონდი, ჩემო გვრიტო, მე რომ ისე მნახე. მე შემეცოდე და მერე, თუმცა არ მეცინებოდა, გაგიცინებდი ხოლმე. მაშინ ჩემი ოლიკოც გამიმხიარულდა. შენი ჭირიმე, ოლიკო, წიგნები არ მომაკლო, თორემ უკეთესს წამალს წამართმევ მე და მერე ცარიელი დამრჩები. ასე ნეტავი კიდევ ერთხელ მაინც ჩემთან შამოჰფრინდე! ღმერთს გეფიცები, რომ მკვდარიც რომ ვიყო გავცოცხლდები. გაგონილა ამისთანა უღვთოობა: დღესა თუ ხვალ ჩემი ცოლი უნდა იყო და როცა კი მიჭირს ვერა გხედამ.

შენი საუკუნოდ ილიკო ჭავჭავაძე**.

53

[27 მარტი, 1863 წ.]

მოხარული ვარ, ჩემო ანგელოზო! ნება მომეცი გაკოცო კარგი ამბის შეტყობინებისათვის.

შენი ილიკო.

54

[28 მარტი, 1863 წ.]

ჩემო ანგელოზო, მგონი, ცოტათი მოვჯობინდი. ექიმს ველოდები, ვნახოთ რას მეტყვის. ალბათ ნახევარი საათით ადგო-

მის ნებას მომცემს. მე იმდენად საეკლესიო ცერემონიის ნახვა არ მინდა, რამდენადაც ჩემ მშვენიერ ანგელოზს ოდნავ მოვკრა თვალი.

იყავი ჯანმრთელად.

შენი საუკუნოდ ი ლ ი კ ო.

55

[28 მარტი, 1863 წ.]

ჩემო მეგობარო! ახლა ჩემთან ექიმი იყო, ხვალ გარეთ გამოსვლის ნება მომცა, თუ კი კარგი დარი იქნება. მართალია, სუსტადა ვარ, მაგრამ ავადმყოფობისაგან კი არა, არამედ იმის გამო, რომ ორი დღეა პირში ფორთოხლებისა და მჟავე მურაბის გარდა ლუკმა არ ჩამიდვია.

ხვალ შენს სანახავად გამოვალ. ძალზე მიხარია, რომ ჩვენი საქმის თაობაზე კეთილი ამბავი მაუწყე.

ღმერთმა ჰქნას, ღმერთმა ჰქნას, ჩემო ანგელოზო! ჩემი და ჩემთან არის და კიდევ ერთ წელს დარჩება აქ.

იყავი მშვიდად,

საუკუნოდ შენი ი ლ ი კ ო ს გამო.

56

[2 აპრილი, 1863 წ.]

ჩემო მეგობარო ო ლ ი კ ო! მომიტევე, რომ ასე გვიან გიგზავნი წერილს. ჩემი უპატივცემულესი ლაზარე მთელი კვირა ისე იქცეოდა, რომ ბრაზით მავსებდა; მის მიმართ რომ ცუდი რამე არ მეკადრა, გადავწყვიტე გამეგდო და გავაგდე კიდეც. არ ვიცოდი, ვისთვის გამომეტანებინა ბარათი, მე კი მყავს ხალხი, მაგრამ არ მეგონა, თუ ვინმემ იცოდა თქვენი სახლი. გამოკითხვის შემდეგ გამოირკვა, თურმე ყველას სცოდნია. მე მიხარია ეს ამბავი და გწერ.

გუშინ ჩემთან იყო ხეჩო (დარჩიანოვი). როგორც ის ამბობს — არის იმედი, რომ მამაშენი დამლოცავს. მაგრამ ამბობენ, ნაწყენი კი არისო,—რადგან ჩვენ არაფერი შევატყობინეთ და უმისოდ მოვაგვარეთ საქმე. — ეს სხვათა შორის. დღეს საღამოს ირაკლისთან წავალ, შუადღისას კი დახმარების სათხოვნელად — ივანე მალხაზის-ძესთან.

გუშინ 7—9 საათამდე ძაღლივით დავწანწალებდი ძაღლების ბაღში. წერილის გამო უყურადღებობისათვის შენ რიგიანად დამსაჯე.

გთხოვ, თუ შენთან ლაზარე მოვიდეს, *თუ გიყვარდე** ნუ მიიღებ და ნუ მოუშვებ შენთან, თორემ ძალზე მაწყენინებ.

შენი ილიკო ჭ.

57

[3 აპრილი, 1863 წ.]

ჩემო გვრიტიკო! რაზედ მიწყრებოდი დღეს, რომ შენს სანახავად ვაღლა ბალკონზედ ავედი? დღეს მთელი საღამო სულ ბაღში დავაღამე და შენ ვერა გნახე. რა დაგემართა?

ხვალ მალხაზიჩი წავა მამაშენთან და ხვალვე იქნება მეც ვიახლო ჩემს ქალბატონსა.

ლაზარესი ნუ გეშინიან, არ გაგვცემს.

ცოტასა გწერ იმიტომ, რომ სტუმრებით გატენილია ჩემი სახლი. იმედი მაქვს პასუხს მაღირსებ.

შენი საუკუნოდ
ილიკო ჭავჭავაძე.

58

[4 აპრილი, 1863 წ.]

ჩემო ოლიკოჯან! დილა კარგა ყოფნისა. რა რიგათა ვწუხვარ, რომ შენ მუშტაიდში ყოფილხარ გუშინ და მე კი არა.

განა არა, გული მიწევდა, მინდოდა წამოვსულიყავ, მაგრამ იმისიც მეშინოდა, რომ ვაი თუ აქ ბაღში გამოვიდეს მეთქი და მოვცდე ოლიკოს ნახვასა. დღეს სადილს იქა ვჰსჭამ, საიდამაც გუშინ დაგინახე. მეორე საათზე მოვალ და დამენახვე, თორემ გიჟს დაგიძახებ.

რარიგად მოუთმენლად ველი ივან მალხაზიჩსა! ჩვენი ბედი, რომ დატრიალდეს და შენის ნახვის ნება მომცეს, რა რიგად გამოვიქცევი შენკენ. ეს კია, რომ მე და შენ მანდ ცალკე ოთახი უნდა გვქონდეს, რომ მე და შენ ვიყვნეთ ხოლმე და სხვა არავინ. არა, შენ გეთაყვანე, ესე კარგი არ იქნება? შეყვარებულებსო, პოეტები ამბობენ, მარტოობა უყვართო; მე ეხლა მჯერა, რომ ეს მართალია. ეჰ, ნეტავი კი გნახო ხოლმე და საც უნდა იყოს სულ ერთია, იმიტომ რომ, ათასი კაცი რომ იყოს, შენს მეტს არავის დავინახამ.

შენი ილიკო ჭავჭავაძე.

59

[5 აპრილი, 1863 წ.]

*ოლიკოჯან!** „ვაშა“ ვის ეკუთვნის? მე თუ შენ? არც ერთ ჩვენთაგანს; მხოლოდ ხეჩოს, უკვდავ ხეჩოს შევძახოთ ერთხმად ვაშა! აი, ხედავ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, რა საქმე გააკეთა! ამის შემდეგ იცოდე, პატარა ადამიანებსაც შეუძლიათ დიდი საქმის მოგვარება. სახელი და დიდება მას, რომ მოახერხა ჩვენი საქმის უდავიდარაბოდ გათავება. მას, ჩემო მეგობარო, შევძახოთ „ვაშა“! შენ უნდა ჩამოაცვა წვეტიან თავზე დაფნის გვირგვინი. ამ გვირგვინში იგი ალკივიადეს მსგავსად გამოიყურებოდეს იქნება.

შენ უკვე დათრობა მოასწარი? ცუდად ახასიათებ ხომ შენს თავს პირველსავე ხანებში. თუმცა თვით სიხარულიც, მით უმეტეს მოულოდნელი, ხომ დამათრობელი ბანგია, ზოგჯერ ღვინოზე მეტად ახრჟევს, თუ კი კაცი არ არის მას შეჩვეული. შენი მორჩილი მსახურიც ახლა მისგან იმასვე გრძნობს, რასაც

შენა გრძნობდი შამპანიურის დალევის შემდეგ. **ბარი** ბარში, ჩემო გვრიტიკო!..

როგორც კი შენგან დაბრუნდება, ლაზარეს ორლანდისთან გავგზავნი. თუ ხვალ ჩემი წამოდგომა სახიფათო არ იქნება, თვითონ წავალ იქ, სადაც საჭიროა და ყველაფერს მოვაგვარებ.

*ქალო! მართლა ჩემი ხარ?.....**

შენი საუკუნოდ ი ლ ი კ ო ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

60

[6 აპრილი, 1863 წ.]

*ო ლ ი კ ო ჯ ა ნ!** დღეს ხუთ საათზე ავდექი და სრულიად ჯანმრთელი ვარ. იცი, რატომ ავდექი ასე ადრე? რომ ვიმუშაო, რომ ჩემი საქმეები ადრე მოვათაო და დიდი დრო დამრჩეს შენთან სალაღობოდ, ჩემო ანგელოზო! დილის საათებში, როცა ჩემს ანგელოზს სძინავს, მე ვიმუშავებ, რომ მთავარი დრო მასთან გავატარო, — რა ბედნიერებაა!....

III

ილია ჭავჭავაძის წერილები ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილ-ჭავჭავაძისადმი

1864–1907

1

ჩემო კარგო ო ლ ი კ ო!

შენი ორი წიგნი მივიღე, ერთი გუშინ და ერთი დღეს. ორივეში იწერები, რომ მოწყენილი ხარ და არა მხიარულებ. თუმცა ქმრისათვის ფრიად სასიამოვნო უნდა იყვეს, რომ ცოლი უიმისოდ ჰსწუხს, მაგრამ მე იმისთანა ქმარი არა ვარ: მე მინდა, რომ შენ ყოველთვის კარგად და მხიარულად იყო. რაზედ ჰსწუხ? მე, ღვთის მადლით, მალე განახავ და წამოგიყვან, მარტო მირსკის ველი, რომ მოვიდეს და შემატყობინოს, რა ვიქნები, სად ვიქნები და როგორ ვიქნები;—შევიტყობ ამას თუ არა, მაშინავე შენკენ გამოვიქცევი და წამოგიყვან: შენ ნუ ნაღვლობ, კარგად იყავ, თუ გინდა რომ მეც კარგად ვიყო. ხომ შენც კარგად იცი, რომ მე შენის მწუხარების მეტი, სხვა მწუხარება არა მაქვს, ესე იგი, შენ რომ შეწუხებული და დაღონებული მეგულებოდე, მეც მაშინ შევწუხდები და დავღონდები, სხვაფრივ ვერაფერი ვერც შემაწუხებს და ვერც დამაღონებს. ამისათვის გთხოვ, რომ ბევრი არ ინაღვლო.

იქნება გინდოდეს აქაურობის ამბის შეტყობა, მაგრამ ამ ხანად მე ვერასფერს მოგწერ, ამის გარდა, რომ თითონ ქვეყანა ძალიან კარგად შეწყობილი მეჩვენა და ხალხისას კი ვერას ვიტყვი, იმიტომ რომ ჯერ ვერავის ვიცნობ. კვირას ვაპირობ კუდიანის ფრაკის ჩაცმას და თაყვანის-საცემლად ყველგან და ყველასთან წასვლას, ამას კი მოგწერ, რომ ჩვენი მოსვლა ვერაფრად ეჭაშნიკათ, „აი ესენი არიან ჩვენი დამღუპავებიო, ჩვენი ყმების წამრთმეველებიო“. ნამეტნავად ჩემზედ თურმე ტლინკებსა ჰყრიან, რადგანაც მე აქაური არა ვარ და, იმათი ფიქრით, სხვა ქვეყნიდამ ვარ მოსული. მაგრამ არა უშავს-რა, იქნება მოვრიგდეთ როგორმე.

კატო დიდის სიყვარულით და პატივის-ცემით მომიკითხე და ჩემ მაგიერ მოახსენე, რომ დიმიტრის კარგა მყოფობის აძბავი ვიცი, და ესეც ვიცი-თქო, რომ ოთ[ხ]ს ივნისს „ველიკი კნიაზი“ დაბრუნდება „პახოდიდან“ და დიმიტრიც, რასაკვირველია, მაშინ წამოვა-თქო.

სხვაფრივ იყავ მშვიდობით და ნუ დაივიწყებ, რომ შენი მშვიდობა და კარგად ყოფნა ძვირფასია

შენის ი ლ ი კ ო ს ა თ ვ ი ს.

P. S. დამიკოცნე სენა, ნინა, თამარი და ლიზა. ჩემ დას ლიზოს უთხარ, რომ წიგნი მომწეროს. ვინც მე მიკითხოს, შენც ჩემ მაგიერ მოიკითხე. გაკოცებ ბევრს

შენი ი ლ ი კ ო ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

არ გამიჯავრდე რომ წიგნი დაგიგვიანე, მას აქეთ რაც აქა ვარ — დღეს პირველი დღეა ფოშტისა.

1864 წ. 22 მაისი
ქუთაისი

[თავზე მინაწერი:]

ო ლ ი კ ო ჯ ა ნ! მე, როგორც ვატყობ, მებელის გადმოტანა მოგვინდება და ვფიქრობ ფურგონით გადმოვიტანოთ, უფრო დიდიც არის და წვიმისაგანაც დაფარულია. ერთი ჩიკვაიძის მამას როგორმე ჰსთხოვე შემიტყოს, მაინდამ აქ ფურგონის ქირაობა რა ეღირება და მალე მამწერე. წიგნი არ დამიგვიანო; მეც თითქმის ყოველ ფოშტაში მოგწერ და ყოველ ფოშტაში ურმებით კოცნას გამოგიგზავნი.

შენი ი ლ ი კ ო.

2 *.

* ჩემო გვრიტო ო ლ ი კ ო ჯ ა ნ! ** სამი წერილი მივიღე შენგან . მესამეს ზაპონკები მოჰყვა. მინდოდა მეთქვა მადლობა. მაგრამ ეს სიტყვა ხშირი და უადგილო ხმარებისაგან ისე გათახსირდა და გამოიფიტა, რომ მხოლოდ უსაგნო სიტყვაღა დარჩა. უშინაარსო ფორმად იქცა. ამ სიტყვას არ მინდა მივანდო ის,

* წერილი რუსულად არის ნაწერი. აქ იბეჭდება ქართული თარგმანი (რუსული ტექსტი წერილისა იხ. IV განყოფილებაში). რედ.

რასაც შენდამი ვგრძნობდი შენი წერილებისა და საჩუქრის მიღებისას.

მე ვატყობ, რომ უჩემოდ მოწყენილი ხარ, — ეს ძალზედ ცუდია და არ მეამება. რატომ უნდა მოიწყინო? მართალია, ჩვენ ერთმანეთს ძალზე შევეჩვიეთ, მაგრამ, როცა აუცილებელია ჩვენი დაშორება, ამ ჩვეულებაზე მაღლა უნდა დავდგეთ, მას კი არ უნდა დავემონოთ, ჩვენ თვითონ უნდა დავიმორჩილოთ იგი. თუ შენ შენი ილიკო გიყვარს, მის რჩევა-დარიგებას ნუ უგულველჰყოფ და გაუჯავრებლად ყური უგდე.

ასე რომ ნუ მიწყენ, გეევედრები. მალე ჩამოვალ შენს წასაყვანად.

მირსკი აქამდე არა ჩანს. მოუთმენლად ველოდები, რადგან მანდ ჩემი ჩამოსვლა მირსკიზეა დამოკიდებული. ამავე დროს შენთვის ოთახის შოვნას ვცდილობ, ჩემო მეგობარო, მაგრამ, სამწუხაროდ ახლა ძნელი საშოვნია. დიდი მთავრის ასულისა და არჩევნების გამო, რომელიც ჯერ არ დაწყებულა, იმდენი თავად-აზნაურობა მოაწყდა და ისე გაიტენა აქაურობა, რომ ნემსის ჩასაგდებ ადგილს ვერ იპოვი.

როგორც კი მორჩება ეს აურზაური და ქუთაისი თავის ჩვეულებრივ ცხოვრებას დაუბრუნდება, მირჩევენ მაშინ მოვძებნო საცხოვრებელი ბინა. უფრო იაფად უკეთესს იშოვიო. ჯერჯერობით ღოღობერიძესთან ვცხოვრობ.

გუშინ ვიზიტების დღე მქონდა. ვინახულე ლევან გურიელის მეუღლე, შენი ჩამოსვლა ძალზე უხარია. იმერელი ქალებიც გავიცანი. ვერ წარმოიდგენ, რა ხალხია. რამდენი პრანჭვა-გრეხვა, კეკლუცობა და სენტიმენტალობა სცოდნიათ! როცა ველაპარაკები, ან ყურს ვუგდებ, სიცილს ძლივს ვიკავებ. ჯერ რაღაცნაირი სინაზით ენაბებათ თვალები, სანდომიან სახეებს უპრანჭავს სენტიმენტალური სულელური ღიმილი, მერმე კი იღება პატარა პირი და ბაგეებიდან გამოფრინდება, რაღაც ამისი მსგავსი სიტყვები: „სევდის ისრით გაპობილი ჩემი გული სულის სახსნელ მოთმინების ლურსმანზე ჰკიდია“ და ა. შ.

გასულ კვირას კატოს სახელზე გამოგიგზავნე წერილი. უკვე მიღებული გექნება.

მომიკითხე კატო, აკოცე სენიას, ნინას, თამარსა და ლიზას, მომიკითხე თქვენები.

შენი ილიკო

25 მაისი 1864 წელი, ქუთ[აისი].

P. S. გამიგე, რა ჰქნა ჩიკვაიძემ აღწერისა? თქვენთან მოდის სულიე სულ ახალი და შესანიშნავი შემადგენლობით...

3

29 მაისი [1864 წ. ქუთაისი]

ჩემო საყვარელო ილიკო!

შენი წიგნი ეს ეს არის ეხლა მამივიდა და ძალიან მიამა შენი კარგად და მხიარულად ყოფნა. ბარაქალა, რომ ეგრე ხარ.

ხვალ მირსკის მოველით და მგონი ამ ერთს კვირაზედ წამოვიდე. სხვა რა მოგწერო, იმის გარდა, რომ მე მშვიდობით და კარგათა ვარ. მამწერე, შენი ჭირიმე, როგორ გაატარებთ დროს მამა თქვენთან. კატოს ხელზედ აკოცე ჩემ მაგიერ. სენას უთხარ, რომ წიგნი მომწეროს და დამარიგოს როგორ მოვიქცე ამ უცნობს ხალხში. სხვა, იყავ მშვიდობით. ვეჩქარები წერას, იმიტომ რომ ყმაწვილები არიან ჩემთან და მაშურებენ და ფოშტაც ნახევარს საათზედ წამოვა.

შენი ილიკო ჭავჭავაძე.

4

[1864 წ. 2 ივნისი, ქუთაისი]

ჩემო საყვარელო და კარგო ილიკო!

შენი წიგნი ამ დღეებში მივიღე და ბევრი მწუხარება იმაზედ, რომ დეზოლმის ამბავი რად მოგწერეო. მაგაზედ შენ ნუ ჰსწუხარ. მაგ საძაგლებს მართალია მე ვუთხარი, რომ ჩემი ცოლი მოგცემთ მეთქი, — იმ იმედით ვუთხარი, რომ იქნება პრიკაზის ფულს მოესწრო, რადგანაც ბაღდანოვი დამპირდა; მაგრამ ესეც

კი დავატანე, რომ ჩემი ცოლი არ შეაწუხოთ მეთქი. მაგ საძაგლებმა თუმცა მაგის პირობა მომცეს, მაგრამ არ აასრულეს კი. მე მალე მოვალ და მაგათი საქმე მე ვიცი, შენ ნუ შეჰსწუხდები.

მირსკი მოვიდა და დამითხოვა ორის კვირით, მაგრამ ჯერ ექვს თუ შვიდს დღეს უნდა აქ დავრჩე, რომ ჩემს ოლიკოს სახლები უშოვო. ყოველ[დღე] დავეთრევი და ვერსად სახლი ვერ მიშოვია. რომ სახლი არ ავიჩინო და ისე წამოვიდე, მგონი შენც გამიჯავრდები. ვიშოვი თუ არა, მაშინვე წამოვალ, იმიტომ რომ ძალიან მინდა ჩემი კარგი ოლიკო მაგრად და მაგრად მივიკრა გულზედ. უშენოდ მეც ძალიან მომწყინდა ყოფნა. მაგრამ ეხლა, თუნდ სახლები ნაშოვნი მქონდეს, ვერც კი წამოვიდოდი, იმიტომ რომ ველიკი კნიაზის ბძანებაა, ცხენები არავის მიჰსცენ, მინამ ეგ არ წავა.

ეხლა შენ მამაშენთან იქნები. მამწერე, როგორ მიგიღეს, შენც დაგპატიჟეს და ისე წახველ, თუ დაუპატიჟებლად წაჰყევი შენ დას. პრიკაზის და ოცენჩიკების ამბავმა ძალიან შემაწუხა. ნუთუ იმედი არ არის, რომ მეტად დააფასონ?

დიმიტრის ნახვა ძალიან მიამა, თითქმის მთელი საღამო ერთად გავატარეთ.

ნეტავი იმას, რომ შენა გნახამს! რატომ ლიზო წიგნს არა სწერს, ავად ხომ არ არის? ნინუცას ან მამიდას წიგნი ხომ არ მოგსვლია. მისწერე მამიდას წიგნი, რომ პატარა ბიჭი გამოგზავნონ, იმიტომ რომ მე მალე მოვალ შენს წამოსაყვანად და ეგ ბიჭიც საჭირო იქნება. გიგოს ამბავი შემატყობინე. გოგო ხომ არ გაჯავრებს, თუ გაჯავრებს, ჰსჯობს ეხლავ დაითხოვო და სხვა გოგო მონახო, რომელმაც რეცხვა უთუოდ უნდა იცოდეს, თორემ საქმოდ გოგოს ველარ ვიშოვით.

მომიკითხე პატივისცემით შენი და, მამაშენი და სხვანი.

შენი მარად მახსოვარი ი ლ ი კ ო ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

ღამე გწერ და არ ვიცი რასა გწერ, ისე გადავრიე, რომ მგონი ვერა გაიგო რა.

2 ივნისი, [1864 წ., ქუთაისი]

ათასჯერ მოგეხვევი და ათასჯერ გაკოცებ.

5

5 ივნისი [1864 წ. ქუთაისი.]

საყვარელო ჩემო ო ლ ი კ ო!

ორი წიგნი შენი დღეს ერთად მივიღე და ორივემ ძალიან დამაფიქრა. ეტყობოდა შენს წიგნებს, რომ როცა სწერდი, ქეიფზედ არა ყოფილხარ და ამან ძალიან შემაწუხა.

მიჩივი, რომ წიგნს არა გწერ. შენ არ მამიკვდები და მე არ მოგიკვდები, რომ ჯერ მე ფოშტა არ გამეშვოს ისე, რომ შენთვის წიგნი არ გამომეგზავნოს. არ ვიცი, ჩემს წიგნებს რა მოსდით და რა ღმერთი უწყრება. მარტო ორშაბათის ფოშტას ვეღარ მოუსწარ ერთხელ და ისიც ღმერთმა მიშველა და დიმიტრის გამოვატანე.

ამ წიგნს კი გწერ და არ ვიცი, ეს წიგნი უფრო ადრე მოვა შენთან, თუ მე. მე სულ მზადა ვარ და ველი, რომ როგორმე ცხენები ვიშოვო და წამოვიდე. ხვალისათვის დამპირდნენ ცხენებს. თუ მამცეს, ორშაბათს შუადღისას შენთანა ვარ.

ჩემს ამბავს კითხულობ, მე ძალიან კარგად ვარ და უფრო კარგად ვიქნებოდი, რომ შენ თანა მყოლოდი და ეხლა გვერდზედ მჯდომოდი; მაგრამ ბედს რა გაეწყობა, შენ მანდ ნაღვლობ და მე აქ. პოლტარაცკის უთხარ, რომ რა წამსაც ჩამოვალ. მებელს მაშინვე გამოვართმევ აქ წამოსაღებად; ჩვენი მებელი კი მანდ დარჩეს, გადმოტანაში წახდება.

სახლები ვიშოვე, დიმიტრისაც დავაბარე, რომ ოლიკოს უთხარ მეთქი, მაგრამ იმ წყეულმა სომეხმა მომატყუა, ჯერ ოც თუმნად შემპირდა და მერე ამ ფასად აღარ მამცა, მეც თავი დავანებე. ეხლა აქ სახლების შოვნა ვერას გზით ვერ შეიძლება. რაც ჩამოვსულვარ, მას აქეთ ყოველდღე დავეთრევი და ვერსად ვერ ვიპოვე. ღმერთმა უშველოს ღოღობერიძის ძმას, ამან თავისი სახლები გვათხოვა, ვინემ ვიშოვიდეთ. ამ იმედით მოვდივარ შენთან, შენ მზად იყავი, რომ მალე წამოვიდეთ.

შენი ი ლ ი კ ო ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

ესე ცოტას იმიტომა გწერ, რომ მგონია ამ წიგნზედ ადრე მე შენა გნახო და რაც ვიცი აქაური მაშინ გიამბობ.

ბევრს მოგეხვევი და ბევრს გაკოცებ, ჩემო კარგო ოლიკო! კატო, დიმიტრი, თავიანთი შვილებით, მომიკითხე.

შენი ერთგული ილიკო ჭავჭავაძე.

6

[1864 წ.]

ჩემო საყვარელო კუკლუშკავ! მე აღარ გამომიშვეს და ძალიანაც ვწუხვარ, რომ მანდ არავის არ გამოვეთხოვე, და მეორე, შენ უჩემოდ უნდა წამოხვიდე. მაგრამ ტიტიკომ მითხრა, რომ დიმიტრი ვეზიროვი მანდ არისო, — უთხარ რომ მაგან წამოგიყვანოს. ბარგისათვის და დედაკაცისათვის ან ფურგონი, ან ურემი დაიჭირე, და შენ და დიმიტრი, ბიჭები და გოგო, ტარანტასით წამოდით. შემატყობინე დეპეშით, როდის წამოხვალ. ფული მებელისა აიღე, ოცი თუმანი უნდა გერგოს, რაც სასყიდელია, ლიზოსათვის კაბა და კატოსათვის ძეწკვი, უთუოდ იყიდე, მედუქნეს გაუსწორდი და მეპაპიროზესაც ორი მანეთი უნდა მიჰსცე, სხვა ფული თან წამოიღე.

ვახტანგ გურამოვს უთხარი, რომ თუ „ზაპროსი“ მოუვიდა ახალ თანამდებობაზედ არამც და არამც უარი არა თქვას. სტა-ა-ცკის მაგისი ამბავი ყველა უთხარი და პასუხად აი რა მითხრა: Если он боится, что эта должность временная, то ответственность за дальнейшую служебную его карьеру я на себя принимаю. ეს იმისი ნამდვილი სიტყვებია და თითონაც კარგად იცის, რომ სტარიცკ[ის] [სიტ]ყვა მაგისთვის დიდი რამ უნდა იყოს, რადგანაც [სტა]რიცკი ეხლა აქ ყოვლად შემძლებელია. ჩემ მაგიერადაც უთხარი, რომ თუ თავის თავის სიკეთე უნდა, უთუოდ უნდა მიიღოს ეგ თანამდებობა.

წერეთელს უთხარ, რომ ჩემთან უსათუოდ წამოვიდეს. მე მივცემ ცხენს, სახლს, ყოველისფერს და ხუთმეტ თუმანსაც წელიწადში; თუ წამოვა, ძალიან კარგი იქნება ჩემთვისაც და მაგისთვისაც. მაგისთვის იმიტომ, რომ იქნება, როცა მანდ ბატონ-ყმობა გადაწყდება, მირავოი პოსრედნიკობა გაურიგდეს,

რადგანაც უფრო გამოცდილი იქნება მაგგვარ საქმეებისათვის მთავრობის თვალში. უნდა თუ არა, საცა უნდა იყოს — დაეკითხე და დეპეშით შემატყობინე.

მომიკითხე ყველანი. იასეს უთხარი, რომ ღვინოს მოვიტანდი თქო, რომ მე წამოვსულიყავ და ტიტიკოს კი არ მააქვს. დეპეშა უნდა მომეწერა, მაგრამ ტიტიკოს წამოსვლამ მომატყუა, აი დღეს წავალ და აი ხვალო, და ამის გამო დეპეშა ვერც იასეს მოვსწერე და ვერც შენ, იმ იმედით, რომ წიგნით უფრო ვრცლად მოვჰსწერ მეთქი.

ვახტანგის საქმეს ტიტიკო უფრო ვრცლად შეგატყობინებსთ.

ჩემსა და შენს კარტოჩკებს გიგზავნი, ლევან გურიელს, ნიკოლაი სიმონიჩს, ღოღობერიძეს, ღრანცოს, ვასილ თუმანოვს მგონი აქვს, თუ არა აქვს იმასაც მიეცი.

შენმა გარდამ, უშენოდ, ასე მგონია, უცხო ქვეყანაში ვარ მეთქი, ჩქარა წამოდი, თორემ გაგექცევი სადმე. ლაზარეს უთხარ, რომ მაგის მამის წიგნი მამივიდა, და მაგის ცოლეური ჯერ თურმე ყურსაც არ იბღერტავს, — ამისათვისაც ჰსწერს, რომ ნუ წამოხვალო ჯვარის საწერად.

პერჩატკები აქ ორ მანეთად გამხდარა, მანდ მგონია იაფია, ერთი დუჟინი შენი და კატოს ხელისა იყიდე, თუ ფული გქონდეს, წამოიღე. წამოსასხამი რომ და[მა]ბარე, ჯერ ფული არ ამიღია, ამიტომ ვერ გიყიდე. ჩამოხვალ და, შენმა გარდამ, გიყიდი. დეპეშით შემატყობინე მაშინვე წამოსვლა შენი.

გაკოცებ და მრავალჯერ ჩაგეხუტები

შენი ილიკო ჭავჭავაძე

7

[1864 წ.]

ო ლ ი კ ო! ნიკოლაი სიმონიჩს უთხარი, დაბეჭდილი ვედომოსტები გამოგზავნ[ოს]. ახარე, რომ რაცა მქონდა, სულ გამითავდა და ორი წილი მთელის საჯავახოს უჩასტკისა გავათავე. ხუთი სოფელიღა დამრჩა, იმას ამ ოთხ-ხუთს დღეში გავათავებ

და ჩამოვალ მანდ საპრაფერანსოდ. გუშინ წინ წიგნი მოგწერე და არ ვიცი, რაც მოგწერე გამოგზავნე თუ არა. კარანდაშები გამომიგზავნე.

შენი ილიკო.

ათასჯერ გაკოცებ.

8

ჩემო ოლიკო! მე კარგათა ვარ, ჩემი ფიქრი ნურა გაქვს რა. თუ პეტრე არ წამოსულა, უთხარი მალე წამოვიდეს, ძალიან საჭიროა; სტარიცკიმ სახლებისა რა ქნა, ყოველივე შემატყობინე. ჩვენი საქმე ურიგოდ არ მიდის ჯერა. მომიკითხე ყველანი. თუ პეტრე არ წამოსულა, პაპიროზები და შაშკა გამომიგზავნე. მომიკითხე ყველანი და ოლიკოს ჩემ მაგიერ ბევრი აკოცე. იასემ ახალციხისა რა თქვა, დაწვრილებით მომწერე.

შენი ილიკო ჭავჭავაძე.

ხონი 21 სექტემ[ბერი] [1865 წ.]

9

დეპეშა გუდაუთიდან დუშეთს
სექტემბერი, 1865 წ. *

დუშეთი. ოლღა ჭავჭავაძეს.

იყავი ჯამრთელად, არ მოიწყინო. რაც იცი ლიზას შესახებ, მომწერე. ჩამოვალ, ალბათ, ერთი კვირის შემდეგ. მე ჯამრთელად ვარ.

10

[1865 — 1868 წ.]

ოლიკო! მე დღეს 17 ივნისს მივდივარ დუშეთიდამ მთაში, იქ დავრჩები, თუ მშვიდობაა, ერთი კვირა, მერე ერთი კვირაც აქ დუშეთის ახლომახლო სოფლებში მომიგვიანდება და მერე მოვალ საგურამოს. რასა იქ, ხომ კარგათა ხარ? კატო, დიმიტრი მამა და ყმაწვილები როგორ არიან? ნასტია მორჩა თუ კიდევ

* იბეჭდება დეპეშის ქართული თარგმანი (რუსული ტექსტი იხ. IV განყოფილებაში).

ისეა, როგორც იყო? ლიზოსაგან რა ამბავი იცი? სენო მორჩენილა წითელისაგან? წიგნი მომწერე ამ ადრესით: **Николаю Гавриловичу Казбеку; Прошу передать Князю Илье Чавчавадзе.** მაგრამ მგონია კი შენმა წიგნმა მთაში ვერ მომასწროს, მაშინ მე დუშეთში ვიქნები. დიამბეგმა ფული გამოგიგზავნა, თუ ჯერ არ გამოუგზავნია? მშვიდობით, ნახვამდე, ეს-ეს არის ცხენზედ ვჯდები და მივდივარ.

საუკუნოდ შენი ილიკო ჭავჭავაძე.

11

ყაზბეგი, 27 ივნისს
[1865 — 1868 წ.]

ილიკო! ამ მამაძაღლ მწერალის გადამკიდე ძალიან მიგვიანდება მთაში ასე, რომ არც კი ვიცი როდის მოვასწრობ წამოსვლას, მე იმედი მაქვს ივლისის პირველ რიცხვებში მაინც მოვიდე და გნახო შენა. მე ძალიან ტანჯვაში და უსიამოვნობაში ვარ ამდენ სულელის ხალხის გადამკიდე, მაგრამ რა ვუყოთ, რაც არის არის. ამას წინად დუშეთიდამ წიგნი მოგწერე, არ ვიცი მოგივიდა, თუ არა? ეგრე უნდა, რაც წამოვსულვარ, შენი ამბავი აღარ შემატყობინე? დიმიტრი და კატო მომიკითხე და მამა შენი. ნეტავი ვიცოდე, ნასტა როგორ არი? ძალიან მინდა თქვენი ნახვა, მაგრამ მინამ ამ სულელს ხალხს არ მოვრჩები, ვერასგზით ვერა გნახავთ.

იყავ მშვიდობით.

შენი საუკუნოდ ილიკო ჭავჭავაძე.

გლეხურ ქოხში ვზივარ და შენგამო კი არა, იმიტომ ვტირი, რომ კვამლი თვალებს მიწვავს.

საქმეები ძალზედ კარგად მიდის. დღეში ასამდე აღვწერე. იმედი მაქვს ეს უბანი 8 ან 10 დღეში სრულიად მოვათავო. გამომიგზავნე თბილი პალტო, ჩაი, სანთლები, მელანი, თბილი გრძელი საცვლები, თითბირის ჩაიდანი და ლურჯი ფუფაიკა.

ათასჯერ გკოცნი შენი ი ლ ი კ ო.

13 *

[1865 — 1868 წწ.]

ო ლ ი კ ო ჯ ა ნ! ხვალ დილით ადრე ტფილისს მივემგზავრები, იმიტომ რომ 13 რიცხვში ჩვენგან დაიწყება წარდგინებები და, როგორც შენ იცი, იქ ჩემი ყოფნა აუცილებელია, რომ ჩემს წარდგინებაზე, როგორც საჭიროა, ისე ვიზრუნო.

დროზე ვერ დავამთავრე ჩემი სიგელები, კიდევ 26 დამრჩა, მაგრამ რას იზამ? მე კიდევ იმისთვის მჭირდება ტფილისში ყოფნა, რომ ჩვენს სახლზე ვიზრუნო.

გიგზავნი უკანასკნელ ექვს მან[ეთს]. იყავი კარგად და არ მოიწყინო. გამომიგზავნე ჩოკაევის ქაღალდი, ჩემი ახალი ტანისამოსი, პერანგები და ჩექმები — ორივე წყვილი. გამომიგზავნე 30 ფურცელი ქაღალდი.

გეხვევი. სამუდამოდ შენი ი ლ ი კ ო.

14

[1865 — 1868 წ. წ.]

ო ლ ი კ ო ჯ ა ნ! გიგზავნი ყურძენს და ატამს. მე ახლა მუხრანში ვარ и скучаю по тебе; но что делать? Надо дело довести до конца. Если какие нибудь бумаги есть

* წერილი რუსულად არის ნაწერი, აქ იბეჭდება ქართული თარგმანი (რუსული ტექსტი წერილისა იხ. IV განყოფილებაში).

из Тифлиса, пришли. Будь здорова и весела. Кланяйся бабушке.

Твой навсегда Илико.

15

[1865 — 1868 წ. წ.]

ოლიკოჯან! ეს ქალალდები ღუბერნსკი პრისუტსტვიაშ გაგზავნე, მიხეილმა იცის, ჩიკვაიძემ რომ წაიყვანა იქ მიიტანონ. ნახევარი გირვანქა ჩაი გამომიგზავნე, რკინის კალმები. როგორა ხარ, ჩემო კუკლუშკი, კუტრათა განა? შემიტყე ჩემს „ნაგრადას“ როდის მომცემენ. იყავ მშვიდობით, კატო და დიმიტრი მამიკითხე, ლიზო შენთან გადმოიყვანე.

მე კარგათა ვარ და დღეს ქსოვრისს მივდივარ მუხრანიდამ თუ როგორმე მოახერხო, ერთი თუმანი ფული გამომიგზავნე.

შენი ილია ჭავჭავაძე.

ჩემი ახალი სერტუკი და ერთი შარვალი თავის ჟილეტ-კით გამომიგზავნე და ჩექმები.

16

[1865 — 1868 წ. წ.]

Саyварелო ოლიკო! მე მჭადისჯვარსა ვარ და მგონია ამ ორ კვირაზედ გნახავ. არ ვიცი, ჩემო კუკლუშკი, ამ კუტრობაში როგორა ხარ. ძალიან მინდა შენი ნახვა, მაგრამ შორსა ხარ. „ნაგრადისას“ რატომ არა მწერ с вычетом или без вычета? ხომ კარგად გაიმართე, ჩემო პატარა გვრიტო! ნეტავი შენ მანდა ხარ თბილად, მე ორი ღამე на Седловой горе в дымной землянке лежал, дорога была занесена снегом и мы не могли спуститься: ужас, какое испытание! я проклял и себя и всех мировых посредников.

ნინუცას ავათმყოფობა? მწერდი, მართალია, თუ ტყუილი? ლიზო რასა იქს? კატო კიდევ ავათმყოფობს თუ არა? დიმიტრი აქამდინ წავიდოდა: მარტო იქნება. მე საშობაოდ შენს კალთაში გავგორდები. გრამოტები თითქმის სულ გავათავეთ და სულ ჩამოვალ და თან ჩამოვიტან. იყავ მშვიდობით.

შენი საუკუნოდ ილიკო ჭავჭავაძე.

17

[1865 — 1872 წ.წ.]

ოლიკო! იმ საძაგელმა ერისთავმა მამატყუა და ტყუილად ამომათრია აქ, ბუტკოვმა ისე გაიარა, რომ არც კი დადგა სტანციაში. მე იქნება სამშაბათს ჩამოვიდე, იქნება სულაც ვერ ჩამოვიდე ამ ცოტას ხანში. სარეცხს გიგზავნი, ლიზოს რაღაცები მოუვიდა და გიგზავნი, მომიკითხე ყველანი. აბრამას უთხარ, კვიცი წამოიყვანოს და წამოვიდეს.

აქ გუბერნატორი მოდის, ორშაბათს მოვა და მინდა ვნახო და ჩემი საქმე გამოვკითხო, და იმის წასვლის შემდეგ თუ მოვიცალე, ჩამოვალ.

შენი ილია ჭავჭავაძე.

18

[1865 — 1872 წ.წ.]

ოლიკო! იმ დღეს ზალიკა მებაღემ ჩემს ცხენს უწამლა და მე ისე წამოვედი, რომ ვერა ვაჩუქე რა, ამისათვის გთხოვ, რომ სამი მანეთი აჩუქო. ოთხ კალოდს ქაღალდს უკანვე ვგზავნით, კნიაზს მიართვი.

მომიკითხე ყველანი. მე ეხლავ მივდივარ დუშეთს.

შენი ილიკო ჭავჭავაძე.

19

[1865 — 1872 წ.წ.]

ო ლ ი კ ო! შენი ორი წიგნი მომივიდა და არც ერთში არ იწერები იმ საქმეზედ, რომლის შეტყობაც მე გთხოვე. შემიტყე ყველაფერი და მომწერე. თუ სტარიცკი ნახო და იმან ჩემი ბოლონდელი მანდ ყოფნა იკითხოს, შენ უთხარი, რომ ავადმყოფობის გამო იყო ორიოდ დღე-თქო. კატო და დიმიტრი მომიკითხე, აგრეთვე დიდი კნეინა ლიზა. წიგნი მალე მამწერე, ყოველიფერი რაც შეიტყო, დაწვრილებით. მალე წამოდი, თუ არა ჩვენი სიღნაღში გადასვლა დაგვიანდება.

შენი ილიკო ჭავჭავაძე.

20

[1868 წ.]

ო ლ ი კ ო ჯ ა ნ! გიგზავნი ბიჭსა ცხენის წამოსაყვანად. შენი ჭირიმე, ჩემი კალოშები და მირავოი პოსრედნიკობის ბეჭედი გამოატანე თან. თუ ბეჭედი მანდ არ არის, მომწერე. სად ჩადე. მე ველარ მოვდივარ შენ წამოსაყვანად. თუ ოთხშაბათამდინ მე ტელეგრაფით არ შეგატყობინო, ხუთშაბათს შენ ტარანტასი დაიჭირე და წამოდი. პალტარაცკის ჩემი ცხენი მოსვლია, ხვალვე ამ ბიჭს გამოატანე, თუ ჩული უნდოდეს აყიდვინე. ნიკოს უთხარი პრიკაზის ფულისას რას შვრება, ამას წინათ რომ დაგპირდა. თუ ეხლა გვიმტყუნებს, შემატყობინე. ვადა არ გადაგვივიდეს. მომწერე მანდაური ამბები; აქაური რა მოგწერო. ორი დაქცეული ოთახი ვიშოვე, ერთში კუხნა გვექნება, ერთში ჩვენ ვიდგებით. მამაშენმა პური გამოგვიგზავნა. ალაგი ვერ ვიშოვე სად დამეწყო და ისე ყრია. მინამ შენ მოხვალ, ისიც დალპება. მებელი ჩვენი რიგიანად მოვიდა, მაგრამ ასეთს ალაგას ყრია უილაჯობით, რომ სულ ერთიანად ოპი ჰოეკიდა. კარგს სიკეთეს შევეყარენით მე და შენ მირავოი სუდიობაში, სულ დავიღუპენით. დაღუპვას და ზარალს ჯანი

გავარდეს, ნეტავი ერთი ოთახი მაინც იყოს, რომ წვიმისაგან შევეფარნეთ. ყარანგოზოვის სახლს ვიჭერდი ოთხ ოთახს. ოცდაათ თუმნად, ნახევარში თითონ უნდა მდგარიყო, ნახევარში ჩვენ, მაგრამ ეხლა ქალები მოსდიან დასაწოლად და თიბათვემდინ ვერ გვაძლევს. ცუდად არის ჩვენი საქმე. მე მანდ თუ ჩამოვედი, მგონი გუბერნატორსა ვჰსთხოვო უწინდელი ადგილი ჩემი არავის არ მიჰსცეს, ისევ პასრედნიკობა ჰსჯობია ამ ლაფში ყრასა.

ჩვენი ჩინოვნიკები ძალიან კარგნი არიან, მე იმათი ძალიან მადლობელი ვარ. საქმეები ძალიან კარგად მიდის, რაც კი გვქონია სულ მორიგებით გაგვითავებია. ეხლახან დავიჭირეთ ერთი საკვირველი რუსის დედაკაცი მოპარულის ნივთებითა, იმისი ამბავი რომ შეიტყო, გაოცდები. ამას, როგორც პირველი გამოძიებითა ჰსჩანს, ქალაქში ბევრი რამ უნდა მოეპაროს, იმიტომ რომ ამას წინად აქ დუშეთში ყოფილა ხავერდის სალოფითა, გარშამო სულ ბეწვით მორთული, და ეხლა ძონძებშია გახვეული. როგორც ეტყობა, უნდა ბევრნი ერიონ ამის ქურდობაში. გამოძიება წარმოებს. გაკოცებ ბევრს.

შენი ილიკო ჭავჭავაძე.

ძალო, კატო, ნიკო თავის შვილებით, ლიზა მუხრანსკი, მომიკითხე.

21

[1868 წ.]

ო ლ ი კ ო! ეს კაი საქმეს მიშვრები ხოლმე, ამოდენა ბარგსა გზავნი და ერთს ბალიშს და საბანს არ ატან, რომ დავწვე რაზედმე. ამას გარდა, რად მინდა ეს ყუთები, თუ კი გასაღებებს არ გამოატანდი. თულაევიდამ რომ გაზეთში გახვეული ქაღალდები მოიტანეს, გასტინაში პატარა სტოლზედ რომ იდო, ის ქაღალდები სად შეინახე, მამწერე. რაც მანდ გასაღებები გაქვს, სულ გამომიგზავნე. ამას გარდა, ნიკოს კაბინეტში ყვითელი დიდი ეტაჟერკა რომ არის, იმაზედ ორი გრამოტა დამრჩა.

ისიც გამომიგზავნე. იქავ კაბინეტში განჯინა გააღე და ზემოდ პოლკაში მარცხნივ ორი სხვა გრამატა დავსდე, ისიც ჩამოიღე და გამომიგზავნე.

ჩვენი ამბავი რა მოგწერო. ექვსი კაცი ერთს ოთახში ვდგევართ. მე ავათაც გავხდი, შენის წყალობით, რადგანაც ერთის პალტოს სინაბარასღა ვარ. ჩემი საბანიც ის არის და ლეიბიცა. ეს ორი დღეა ვწევარ. სახლები სულ არსად არ იშოვება. ჩვენი სუდი ასეთია, რომ ლამის სულ ერთიანად დაწვეს; ამ ერთს თვეზედ მზად არ იქნება.

შენი ილია ჭავჭავაძე.

პოლტარაცკიმ თუ ცხენი მომიყვანა, ზურაბას გამოატანე.

22 *

[1868 წ.]

ოლიკოჯან! ძველი უსიამოვნებანი ახლანდელმა კარგმა სიწოლმა დამავიწყა. შენ ნაწყენი ხარ ჩემი წერილით, მომიტევე, როცა ვწერდი ავად ვიყავი, თან გაჯავრებული. მე ახლა სრულიად გამოვჯამრთელდი, ოღონდ ცოტათი სუსტად ვარ. სამწუხაროდ, ტფილისიდან შენი წამოყვანა არ შემიძლია: ბინა ვერსად ვიშოვე. ჩვენი ავეჯი სარდაფში აწყვია და დასალპობად არის განწირული. ნიკოს დიდადა ვმადლობ იმისათვის, რაც მისი წყალობით მომავალში მომელის, ახლანდელზე არაფერს არ ვამბობ. ჩვენი დეპეშების პასუხის ღირსიც კი არ გაგვხადა, ისე რომ ახლა უმისოდ გვიხდება სტარიცკისთან დაკავშირება. თუ კიდევ ასეთ ყოფაში მომიხდება ცხოვრება, გადავწყვიტე დიდი სასამართლო უწყების მზრუნველ მართველობას თავი დავუკრა და დავემშვიდობო. ღმერთი შეეწიოთ. სჯობია მარტო ხმელ პურზე ცხოვრობდე, ვიდრე გქონდეს შეძლება და პურს ვერ შოულობდე. პოლტარაცკის ჩემს მაგივრად ჩამოართვი მეგობრულად ხელი და მადლობა უთხარი ცხენისათვის. დეპეშით მაცნობე, შეპირებულ ცხენს როდის მომიყვანენ.

* წერილი რუსულად არის ნაწერი, აქ იბეჭდება ქართული თარგმანი (რუსული ტექსტი წერილისა იხ. IV განყოფილებაში).

მოუთმენლად ველოდები. ის ცხენი ძალზე მიქეს. ჩემს მაგივრად დაკოცნე ბავშვები.

გკოცნი

შენი სამუდამოდ ი ლ ი კო.

23

ო ლ ი კ ო ჯ ა ნ! ეს მეორე წიგნსა გწერ და შენგან ერთი პასუხი არ მიმიღია, რა ამბავია? მომწერე, შენი ჭირიმე, იმ საქმისა რა ჰქენ? ან შენ თითონ როგორა ხარ? თუ ვინიცობაა ის საქმე გაგითავებია, ზალიკოს შეატყობინე. ქართველოვის სახლში იარმუკასთან აპტეკარის ტარანტასია, იმითი წამოდით და მალე გამოეშურე, თორემ გიჟსავით დავდივარ მარტო ოთახებში. ხომ არა ტირი, ეხლა მგონი დიმიტრიც წასული იქნება, და ორივ დები ერთი ერთს კუთხეში ოხრავთ და მეორე მეორეში. კატო მომიკითხე, ყმაწვილები დამიკოცნე და „ბაბუშკაცა“ წიგნი უთუოდ მამწერე.

შენი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

19 აპრილს დუშეთი [1868 — 1872 წ.წ.]

24

28 ოქტომბერი [1865 — 1872 წ.წ.] ქვიშხეთი.

ჩემო კარგო ოლიკოჯან! დეპეშა მოგწერე, რომ ორლოვსკის დეპეშა აქ გამომიგზავნე მეთქი ტელეგრაფით, და არ ვიცი, რატომ არ გამოგზავნე, ძლიერ საჭირო დეპეშა იყო. ძალიან ვწუხვარ მაგაზედ. მწერ რომა, მამაჩემთან წავიდე თუ არაო. მე ამ ხუთს დღეზედ ადრე ვერ ჩამოვალ, თუ მინამდინ შენი და იქ იქნება, მოიცადე, მე წაგიყვან, თუ არ იქნება და, პლატონ იგნატიჩს ცხენები ჰსთხოვე, შეაბმევინე ფაეტონში და წადი პლატონ იგნატიჩთან ერთად. მხოლოდ წყალს უფთხილდი, ორი ჩაფარი თან წაიყვანე და წყალში კაცები მოაშველებინე სოფლებიდანა. სხვა რა მოგწერო, ლიზოს მუცლის

წახდენამ ძალიან შემაწუხა, საწყალს არ ვიცი რა ემართება. რასაკვირველია, თუ წამოვა, დუშეთს წამოვიყვანოთ. იყავ მშვიდობით.

შენი ნახვის მონატრე

შენი ილია ჭავჭავაძე.

შაქრო მამიკითხე.

[მეორე ფურცელზე მიწერილი აქვს]: კნეინა ოლღა ჭავჭავაძისას. დუშეთს.

25

[1868 — 1872 წ. წ.]

ჩემო კარგო ოლიკო! მე ძალიან კარგათა ვარ, ჩემი ფიქრი ნურა გაქვს რა. ძალიანა ვსწუხვარ, რომ სტარიცკი უსახლოდ დარჩა და ავადაც არის. ჩვენ ამ კვირია მოვალთ, ჩვენი საქმე ძალიან კარგად მიდის, ხოლო მცირედის დაბრკოლებით. მომიკითხე ყველანი.

შენი ერთგული ილიკო ჭავჭავაძე.

26

[1871 წ.]

ოლიკოჯან! ეგ შენი გამოგზავნილი კაცი ისეთის თავაზით მომექცა, რომ გამომეპარა და პასუხი წიგნისა არ წამოიღო. შენი ამბავი რადგანაც ვიცი, რომ წიგნის მოუწერლობაზედ გაჯავრდები, ამისათვის ვგზავნი ეხლა ჩაფარს და ამ წიგნს ვატან. მე იქნება ოთხშაბათს საღამოზედ ჩამოვიდე მანდ. კატოსთან ბოდიში მამხადე в том, что я осмелился в высокоторжественный день рождения их превосходительства не явиться с приличным поздравлением и с подобающим пожеланием. პარასკევს შუადღემდინ სულ იმედი მქონდა, რომ წამოვიდოდი, ბოლოს საქმეები გამიჩნდა და პირღია დავრჩი.

მეწყინა ძალიან ფრანცუზების დამარცხება, მაგრამ რა გაეწყობა.

მომიკითხე ყველანი.

შენი ილია ჭავჭავაძე.

27

[უთარიღო]

ჩემო კუკლუშკი! საწყალი მამიდა 19-ს გარდაცვლილა და ძალიან შეწუხებული ვარ. მერე შენც აქ არა ხარ და გიჟსავით დავდივარ ოთახიდამ ოთახში. ძალიანა ვწუხვარ, რომ ჩვენ ესე პირშავად დავრჩით მამიდის წინაშე. საწყალი მამიდა! ღმერთმა საუკუნო განსვენება მიანიჭოს. მე მარტო იმას უფრო ვწუხვარ, რომ არ ვიცი, თავის ქმართან დამარხეს თუ არა. საკვირველი ხალხია ჩვენი ხალხი. ერთი არავინ არასა მწერს. ფული გავუგზავნე.

მე მინდოდა დღეს მანდ ჩამოსვლა, მაგრამ საგინოვს ველის მოდის, რომ კრიტის ბატალიონი დაითხოვოს, მე საშინლად მინდა შენი ნახვა, იქნება ხვალაც ჩამოვიდე. კატო მამიკითხე და ხელზედ აკოცე, ყმაწვილები დამიკოცნე. Ужасно скучаю! სამს წიგნს „Дело“ გიგზავნი. მანდ ყურადღებით წაიკითხე об американских женщинах. მოვალ და ეგზემენიას გიზამ. შენს თავს ჩემმაგიერ ტუჩებში აკოცე. მამა მომიკითხე. საწყალი მამიდა!

ვისაც ქვეყნისათვის გულის ტკივილი აქვს, ყოველი იგი სიხარულით ფეხზედ არა დგას, რომ დიმიტრიმ ეგ ადგილი მიიღო. რაც ყმაწვილ კაცობაა ქალაქში და საქართველოში, სულ დიმიტრისთან სამსახურს ნდომულობს. უკეთესს ალაგებს თავს ანებებენ, ოღონდ კი იმასთან ვიმსახუროთო. ყოველდღე მომდის და მომდის წიგნები ამ საგანზედ. ნეტავი დიმიტრის, რომ ამისთანა სახელი აქვს.

შენი სამუდამოდ ილია ჭავჭავაძე.

მჭადის-ჯვარში ვგზავნი ეხლავ.

28

15 იანვარი [1873 წ.]
საღამოს შვიდი საათი. დუშეთი.

ჩემო კარგო ო ლ ი კ ო! რაც შენ წახვედი, ასეთს გუნებაზე და ვარ, რომ მოწყენილობისა გამო ძაღლსავითა დილიდამ საღამომდე ვღრინავ. რაკი სუდიდამ გამოვალ მე, შენი ბურთივით რგვალი ქმარი, დავგორავ ჩვენს დიდ ზალაში უაზროდ, უსაგნოდ და ყოვლად სულელურად. მარტოობა ძნელი ყოფილა. შენ კიდევ რა გიჭირს? შენ დასთანა, სიძესთან და დისწულებთანა ხარ. მე ვარ საცოდავად ამ უკაცურ კაცებ შორის. ეს არის კარგი, რომ ჩემს დამბადებელს ყოვლისფრის ატანის შეძლება მოუცია ჩემთვის. შენ იყავ, ჩემო კუკლუშკი, კარგად, და შენის სიკეთით, — შორს ვიქნები, თუ ახლო, — მეც კარგად ვიქნები. ნეტავი ეხლა მეც თქვენთან ვიყო!..

დღეს კარპენკას მოველი, ჩემთან ჩამოხტება. ვერაფერი სტუმარ-მასპინძლობა გვექნება, მაგრამ ამასაც ავიტან და უკანასკნელ უსიამოვნობას ჩემის სამსახურის უკანასკნელის დღეებისას ამით გადვიხდი. აბა წარმოიდგინე შენი გაბღერძილი ქმარი და კარპენკა ერთს ოთახში მარტოდ-მარტონი. თუ ამ წარმოდგენაზედ ჩემის სიბრალულით ცრემლი არ მოგივა, გაიცინე მაინცა. სულ ერთი იქნება: ამ ბედნიერსა და ცუღლუტობით სავსეს ქვეყანაში ცრემლი და სიცილი და-ძმანი არიან. ახ, ნეტავი ეხლა თქვენთან მამყოფა და კატოსთან მაჩხუბა!...

ჩემს საკუთარს დაზედ უფრო დას ეკატერინეს, ანუ კატოს (ჯერ ხომ არ დაბერებულა, რომ ეკატერინედ ვიხსენიებ) ჩემი ძმური და მართლადა გულითადი სიყვარული და პატივისცემა მოახსენე. ჰემმაგიერ კატოს უთხარი: მეცა ვწუხვარ-თქო, რომ ამისთანა უგუნური, წინდაუხედავი და ქვეყნის მლანძღველი ძმა გყევარ-თქო, მაგრამ ღვთის განგებას ვინ წაუვა-თქო. მაგრამ მაინცა და მაინცა კატოსაგან მე ლოცვა-კურთხევას მოკელი და არა განკიცხვასა. ახ, ნეტავი მანდ ვიყო, მე ვგრძნობ, რომ კატოს გავაჯავრებდი.

მე რვას შინ მოვედი და გლახის ნაამბობი თითქმის შევასრულე. მგონია, ურიგო არ გამოვა. ეხლა დანარჩენსა ვწერ: ეს

კია, რომ კარპენკას მოსვლა ვერაფრად მოუხდება ჩემს გლახის ნაამბობსა. კატოს უთხარი, რომ ამ ჩემს ნაამბობში არავისა კლანძღამ-თქო.

ნეტავი შენ, რომ შენს ახლო ნათესავებში ხარ და მე კი, ესე განმარტოებული, თქვენგან შორსა ვგდივარ ამ უბედურს დუშეთშია!...

გუშინ ჩვენი მოურავი მობძანდა და ანგარიშები მომიტანა. გამოვიდა, რომ ოთხმოცდახუთი თუმნის პური მოგვსვლია, მაგრამ დახლი სამთუმანნახევარი მამიტანა, რომელიც უკანვე სახარჯოდ წაიღო. ღვინო სულ ოცის თუმნისა მოგვსვლია. ჩემი ფოდრაჩიკი სახლების აშენების თავდარიგს შეჰსდგომია. კატოს უთხარი, როცა სახლებს გავაკეთებ-თქო, დაგპატიჟებ-თქო, ხოლო შალიკოვის დაპატიჟება არ შემიძლიან, იმიტომ რომ ჩემს პატარა ოთახებში მაგისი დიდი ცხვირი ვერ კაიმართება. ნეტავი მეც ეხლა თქვენთან ვიყო!... ეხლა, მგონია, ბნელ-ბუნდად განათებულს ოთახში ჩაიზედ ყველანი ერთობ შეკრებილნი ხართ; გარს გახვევიან ყმაწვილები. ყმაწვილების ცელქობა, ჟღავი-ჟღუვი, სიცილი, მხიარულება, გართობთ. კატო, ვითარცა ბედნიერი დედა, თავის ჩვეულებრივის ღიმილით დაჰხარის თავის შვილებსა, შენ ჩემზედ ფიქრობ. ბოლოს სენო რაღაცა დააშავა, კატო გაუჯავრდა. სენო ცხვირ-ჩამოძვებს და გაიბუტება, ცუღლუტი თამრო ყურებს აცქვეტს, გულისხმიერი და დინჯი ნინო ჩაფიქრდება, ლიზო ყურს არავერს ათხოვებს, რუსია ბოლთასა ჰსცემს და კოლა ტახტზედ უდარდელად დაგორავს, გივსა კი ჰსძინავს. ცხადადა მაქვს წარმოდგენილი ეს კეთილგაწყობილის და ბედნიერის ოჯახის სურათი და მეც გულით და სულით მაგ სურათში ურევივარ უხილავად.

ბოლოს გაიღო კარი და შამობძანდა ბოქოული შალიკოვი. კარებიდანვე კრეჭით მოდის. იგი ბროდიაგა თმა უკან გადავარცხნილი, ულვაშებგაბზეკილი, გაჭიმული და დაგვილ-დაწძენდილი. აი მოვიდა, ხელი ჩამოგართოთ და სიამოვნების ნიშნად კბილები კიდევ დააკრიჭა. მერე მოჰყვა, ბატონო, ყბედო-

ბას და ოხუჯობას, და რით გაათავა, — ეგ თქვენ უფრო უნდა იცოდეთ.

წიგნის წერას ამით ვათავებ, რომ კიდევ თქვენს ერთობ ნახვას ვნატრულობ. დიმიტრი დამიკოცნე, კატო და ყმაწვილები; შალიკოვს ისიც ეყოფა, რომ წიგნში იმის სახელს ვახსენებ, მოკითხვა მეტი იქნება.

შენი მარადის ერთგული
ილია ჭავჭავაძე.

29

[1873 წ.]

ჩემო კარგო ო ლ ი კ ო! შენი წიგნი მამივიდა დღეს და სამდურავს მითვლი მასზედ, რომ წიგნსა არა გწერ ვითომ. მე შენი ტელეგრამა რომ მამივიდა, მეოთხე თუ მეხუთე დღეს წიგნი მოგწერე, აქამდის უნდა მოგსვლოდა.

კარპენკამ რევიზია გაათავა. მოიწონა აქაურობა და ღვთის მადლით წავიდა. მე უშენობით ძალიან მოწყენილი ვარ. არსად არ დავდივარ და სულ ვწერ და შინა ვზივარ. გლახის ნაამბობი გავათავე და იბეჭდება კიდეც, დაბეჭდილს გამოგიგზავნი. ზოგიერთი ადგილები, მგონი, კარგი გამოვიდა, ამას კი გეტყვი, რომ მაგის გათავებაზედ გული აღარ მიმიწევდა, მაგრამ როგორც იყო გავათავე და გულიდამ თითქოს ლოდი მომეხსნაო.

რაც შენ წასულხარ, ჩქენის ბანკისა არა შემიტყვია რა. არ ვიცი, როდის მომიხდება ან ქუთაისს და ან რუსეთს წასვლა. თუ დამიგვიანდა, იქნება მანდეთ გამოვიარო და მაინდამ წავიდე რუსეთსა.

მწერ, რომ კატო მხიარულად არისო. ღმერთმა შენცა და ეგენიც ყველანი ყოველთვის მხიარულად და ბედნიერად გამყოფოთ. ეგ ჩემთვისაც კარგი იქნება და თქვენთვისაცა. ძალიან მინდა თქვენი ნახვა, ნეტავი ამ მარტში მაინც მოვიგოთ ოცი ათასი თუმანი, რომ ყველანი დავბედნიერდეთ. მაშინვე ამერიკაში წავალთ მე და შენ და ვნახავთ ქვეყნის სიკეთესა იქ მაინც.

ჩვენმა ნიკომ ძალიან დევნა დამიწყო სამსახურში. მე მეცინება იმის სულმოკლეობაზედ და არა ვწუხვარ კი. რაც უნდა ჭნას, მე მაგდენს არაფერს დამაკლებს, ეს კია რომ მეტად ცუდის გულის ადამიანი ყოფილა. ვწუხვარ, რომ მე ამოდენა ხანი ეგრე სულელურად მასზედ ვცდებოდი. მე ის ყოველთვის თხელი ჰკვისა მეგონა, მაგრამ ასეთი მყრალი კი არა, როგორც ეხლა ჩანს. ღმერთმა მშვიდობა მიჰსცეს.

ჩვენი სახლების აშენების საქმე სულ დავაბოლოვე, მასალა მზადდება და არ ვიცი კი ბოლო რა იქნება, მე რომ რუსეთიდამ დავბრუნდები ყველა მასალა შინ მოტანილი უნდა დამხვდეს. ორასი თუმანი დაგვიჯდება სულ ერთიანად და ეხლა კი ორასი გროშიც არა მაქვს, როგორც შენ თითონ იცი. ბილეთების იმედია.

დიმიტრი და კატო მამიკითხე. კატოს უთხარი, რომ მე მაგის მხიარულებით ვმხიარულობ. ეგ ბაქო ძალიან ბაქო ყოფილა, რომ კატო გაუმხიარულებია. მაგრამ მოსაწყენი მაინც რა ჰქონდა: კაი ქმარი, კაი შვილები გარს ახვევიან, რატომ არ უნდა იმხიარულოს. იმხიარულოს, თორემ ამ წუთის სოფლისა სხვა არა შეჰრჩება რა. მწერ, რომ სენოს წასვლაზედ ჰსწუხსო. დედისათვის შვილის მოშორება ძნელია, მაგრამ შვილის სიყვარულითა შვილის კეთილად წარმართებამ და სწავლის გზაზედ დაყენებამ უნდა გაუადვილოს მწუხარება. მერე, როცა სენო ნასწავლი, კაცად გამოსული მოვა, მაშინ სხვა იქნება, მაშინ ერთი ათასად იმხიარულებს.

მეც რა ახალს ამბებსა გწერ?! მგონი კატო იტყვის, მაგისთანა ნუგეშები ქუჩაზედ კი არა ყრიაო; მაგისთანა უბრალო ჭეშმარიტებანი შალიკოვს კი არ მოუვა თავშიო?! საწყალი შალიკოვი! წუხელ სიზმარში ვნახე, რომ ცხვირი ისე ჩამოსვლოდა, რომ ფეხებზედ მიჰკერებოდა, და ამ რიგად ჩვენი ფრანტი შალიკოვი შვილდ-ისრად ქცეულიყო და ალყის მაგიერ იმისი ულვაშები იყო გაბმული. უთუოდ, შახი რო გეწვევათ, ჯილდოს მიჰსცემს. ჩემმაგიერად შალიკოვს უთხარი, რომ შახს ერთი ქაბული უმღეროს თავის სირინოზის ხმითა, მოუწონებს.

ყველა ყველა და შენ რატომ ეგრე გვიანა მწერ წიგნებსა? სართის დასწრობისაო, შენ მე დამასწარ სამდურავი, ის კი არა თუ, მე მაქვს შენზედ სამდურავი.

მწერ, რომ ბალები ხშირიაო და მე არ დავდივარო. ძალიან ცუდსა შვრები, რატომ არ დადიხარ? იარე და იმხიარულე, ღმერთი მოწყალეა, ყველა ჩვენი საქმე კარგად მოეწყობა. იქნება ფულები შემოგაკლდა? მამწერე, როგორმე გიშოვნი, თუმცა მეც ძალიან კუტრადა ვარ. ერთი სამოცდაათი თუმანი მიჭირს და ვერსად მიშოვნია. ყაზბეგმა არ მამცა აქამდის.

სენო, ნინო, თამრო, ლიზო, რუსო, კოლა და გივი დამიკოცნე, დიმიტრიცა, კატოცა.

ასეთი მინდა თქვენი ყველას ნახვა, რომ მეტი არ იქნება.

შენი ილია ჭავჭავაძე.

1 თებერვალი 1873 წ. დუშეთი.

კვირაში ერთხელ მეც წიგნს მოგწერ და შენც მომწერე ხოლმე.

30

ჩემო კარგო ოლიკო! რაც შენ წასულხარ, ორის წიგნის მეტი მე შენგან არ მიმიღია. არ ვიცი რას მივაწერო. მე ძალიან ცუდს გუნებაზედა ვარ, თუმცა სიმრთელით არა მიჭირს რა. ნიკომ ჭავჭავაძემ ასე გამიჭირა საქმე, რომ უსათუოდ სამსახურს თავი უნდა დავანებო და ძალიან მალეცა. ასეთს მდგომარეობაში ვარ, რომ არ ვიცი რა ვქნა. ნეტავი შენ მაინც აქ იყო ამ გაჭირებაში, დაგვეწყო რამე ჩვენის უიმედო მომავლისათვის. ძალიან შევცდი, რომ შენ მანდ გაგისტუმრე. ჩვენი ბანკის საქმე, ამბობენ, ცდილობენ, რომ წაახდინონო. საქმე ეხლა ისე მოეწყო, რომ მე ბანკის საქმეს აღარ უნდა მოვუცადო და რაც შეიძლება მალე დავახწიო თავი სამსახურსა და მოვშორდე სუდის ნაწილის სიდამპლესა და სიმყრალესა. იქნება ამ თვის ბოლოს „ატსტავკა“ მივცე და შენს წამოსაყვანად წამოვიდე. ქვეყანა დიდია, იქნება უსამსახუროდაც თავი როგორმე და-

ვირჩინოთ. შენ ყოჩაღი მყევხარ, ჩემთან ყველაფერს მოითმენ. სხვა დარდი არაფრისა მაქვს. მარტო ეს მაწუხებს, რომ ცხოვრების სახსარი ჩვენი, სამსახურიდამ რომ გამოვალ, ყინულზედ იქნება დაწერილი, და ამ უილაჯობაში მე სულელმა კახეთში სახლების აშენება დავიწყე. რა დროს სახლები იყო?

აბა წარმოიდგინე ჩემი ყოფა ამგვარ გარემოებაში და უშენობაში. ასეთი ვარ, რომ დანა მკრა, სისხლი არ გამამივა. ამ მარტოობამ ხომ სრულად მომიწყლა გული. ვაპირობ ქალაქში ორის დღით ჩაპარვას თავის გასართობლად. ახ, ნეტავი შენ ეხლა ჩემთან იყო, ან მე შენთან! რაღაც მენუგეშება ხოლმე, როცა შენ მე გვერდით მყევხარ.

მე არსად არ დავდივარ, ისე მომძულდა ეს ღვთისაგან დალოცვილი უბედური დუშეთი და მისი უკაცურნი კაცნი. ამას წინათ, ღმერთმა უშველოს, ვანო თულაშვილი გადმოვიდა ჩემთან ერთის ღამით და ცოტად გამამხიარულა. ქალაქში წავიდა ჯვარის დასაწერად. ბევრი მეხვეწა და მეპატიჟა. მაგრამ არ გავყევ საქორწილოდ. ძალიან ჰსწუხდა, რომ შენ არ იქნები იმის ქორწილში, თუმცა დიდს ქორწილს კი არ აპირობს. ნეტავი კაი ქალი გამოდგეს, თითონ ძალიან კაი ბიჭია. ცოდოა, რომ ჩვენი ხალხი მაგას ვერ იცნობს, ისე როგორც მე ვიცნობ.

კატოს უთხარი, რა არის, რომ ერთი სტრიქონი მაღირსოს, მაგის დიდკაცობას მაგით რა დააკლდება. სეკრეტარი ხომ ჰყავს, უფალი შალიკოვი, უბრძანოს და ერთი **высочайшее благоволение** მომწეროს, მაგით მაინც ვინუგეშო ამ უნუგეშო დუშეთში.

შენი ჭირიმე, ოლიკო, დიმიტრის მოაგონე ჩვენი ბერძნის საქმე. ამ საწყალს ლოდინში სული დაელია და ხომ პატარა იყო, უფრო დაპატარავდა.

თუ მანდ მალე წამოსვლა მომიხდა. ჩემს მობძანებას წინათვე ვაცნობებ მის ბრწყინვალებას შალიკოვს, რომ წესიერად დამიხვდეს მანდაურის ბეგებით და ხანებით. დიდს ხვლათს ვუმზადებ შალიკოვსა: ის სერთუკი ხომ გახსოვს, იმას ჩემის ხელით ვაღირსებ ხალათად და ამასთანაც ხალხში ხელს

ჩამოვართმევ. ეგ მაგისთვის დიდი ნუგეში იქნება, რომ მე მაგას ხალხში ხელის ჩამორთმევა ვაღირსო. შალიკოვს უთხარი, რომ ქვეყნის გასაკვირვებლად მაგისმა ვენახმა იანვარში ყურძენი დაისხა და ეხლა გაჩაღებული რთველი თურმე აქვს. ნეტავი მაგას, მაგისთანა ბედის პატრონი რასა გდია მანდა და არ მოდის თავის მამულის საპატრონოდ, როგორც ეხლა მე ვაპირობ.

შენი და ჩემი საკუთარი და კატო სიყვარულით მომიკითხე, აგრეთვე დიმიტრი. პატარები სულ ერთიანად დამიკოცნე. წარმომიდგენია, რა რიგი ჟღავი-ჟღუვი უნდა ჰქონდეთ, როცა ერთად შეიყრებიან თქვენს ოთახში და კატოც კაი გუნებაზედ იქნება. მენატრება მანდ ყოფნა თქვენთან ერთად, მაგრამ ნატვრა ნატვრად მრჩება. მე არა მიშავს რა, თქვენ ერთობ იყავით მშვიდობით და მხიარულებით; მეც დღესა თუ ხვალ ყოველს ჯავრს გადავიყრი, — როგორც ჩემი ხასიათი იცი — და ისევ გავმხიარულდები. ჩვენი გლეხი იტყვის ხოლმე:

„ჭირში გატეხა არ უნდა, თუ კაცი გონიერია,
წავა და ყველგან დარჩება, ქვეყანა ღონიერია“.

შენი ილია ჭავჭავაძე.

8 თებერვალი [1873 წ.]

P. S. მაპატიე მოკლე წიგნი: დღეს ბევრი ვწერე და ძალიან დაღალული ვარ. იყავით მშვიდობით ჩემდა სასიხარულოდ.

31

ჩემო საყვარელო ოლიკო! მე ძალიან მიკვირს რატომ ჩემი წიგნები არ მიგიღია. შენი მე სამი წიგნი მამივიდა და მე ოთხი წიგნი მოგწერე. ეს მეხუთეა.

მე გუშინ წინ ქალაქიდამ მოვედი და აი რა ახალი ამბები შევიტყე: 1) ჩემი რუსეთში წასვლა, მგონია, აპრილის ადრე ვერა ხერხდება და ვერც ჩემი „ატსტავკა“. ეს არის კარგი, რომ რაკი ესე დაგვიანდა, მაინთ გამოვივლი და მაინდამ წყლით წავალ პეტერბურგს. უფრო ადრე გნახავ. 2) ამბობენ, ბაბო მუხრანსკისა გაათხოვესო და მიხეილ წერეთლისშვილს

მიჰსცესო, ა იმ იდიოტსა. მე კი დარწმუნებით ვერა შევიტყე რა; 3) მაიკო ბარათოვისამ ვიღაც ამილახვარზედ ჯვარი დაიწერა და 4) გიორგი შერვაშიძემ მოკითხვა შემოგითვალა და თქვა „უკნეინოთო ბოლონდელს მასკარადს ლაზათი არა ჰქონდაო“.

მანსვეტოვს დიმიტრისთან ქაღალდი გამოუგზავნია, დეეხმარე. კაი ბიჭია. ჩვენი „გრეკის“ ამბავი რამ შემატყობინე, თორემ ტვინი წაიღო.

სოსიკო შალიკოვის სახელზედ ოცდახუთს მანეთს გიგზავნი. მაპატივე პატარა წიგნი, მეშინიან ფოშტამ არ გამასწროს. ყველანი მომიკითხე.

შენი ილია ჭავჭავაძე.

23 თებერვალი [1673 წ.]

32

საყვარელო ოლიკო! შენი ტელეგრამა მომივიდა და ძალიან შემაწუხა. რაზედ გაგიხეთქნია გული? განა ეგრე უნდა შეუშინდე ხოლმე ქვეყნის უსიამოვნობას! ან სამაგისო რა მოხდა? დიდი რამ ნუ გგონია, რომ სულმოკლემ ნიკომ შურისძიება დამიწყო. მითამ რას მიზამს? შენ ძალიან კარგად უნდა იცოდე, რომ ცხოვრების ჩემის ვითარება არა კაცზედ არა მაქვს მე დამოკიდებული და ნამეტნავად მაგისთანა კაცზედ, როგორც ნიკომ თავის თავი გამოიჩინა. ჩემი ცხოვრების მიმდინარეობა რომ მაგისთანა კაცის ხელთ იყოს, მაშინ, მეც სანახევზედ გადასაგდები ვიქნები. შენ ნურაფრის ფიქრი ნუ გაქვს: ძაღლი იყეფებს და ქარავანი კი თავის გზაზედ წავა.

ეხლახან ქალაქში ვიყავ, ბანკის თაობაზედ დავებარებინეთ, მაგრამ არსად თავი არ გამომიჩენია. ერთხელ რევაზ ანდრონიკაშვილთან ვიყავი და ერთხელაც ლიზა მუხრანსკისას. ლიზასთან გიორგი შარვაშიძე ვნახე და მთხოვა, რომ იმის მაგიერ მოკითხვა მოგწერო და მოგწერე კიდეც. გარდა ამისა, ვნახე ფლავიცკის ცოლიცა. სახლების გასყიდვისა დიდი იმე-

დი მომცა. ნეტავი, შენის სიცოცხლით, მალე გაიყიდოს. ვიცი ეს შენის სურვილის წინააღმდეგია, მაგრამ სხვა გზა არ არი. მაგ სახლებს პრიკაზი დღესა თუ ხვალე გაჰყიდის, იმიტომ რომ მაგის „პაჩინკას“ მთელი ჩვენი ქონება არ ეყოფა და სარგებლის შეტანას კიდევ. აბა იფიქრე: 1866 წელს მაგ სახლების გადაკეთება 3.500 მან. დაგვიჯდა. მერე ორმოცი თუმანი, პოლიბინს რომ კუხნები გავუკეთეთ; 300 მან. მაშინ დაგვიჯდა, როცა ის ვიღაც ღენერალი იდგა და გავიდა ქვევით ეტაჟაში; ოცი თუმანი კავალენსკის გასვლის შემდეგ და თვრამეტი თუმანი პოლიბინის ხელში; ახლა ყოველწლივ ხუთმეტი თუმანი „გოროდოვის უპრავლენიეს“ მიაქვს. სულ 5630 მან. ხარჯია, შემოსავალი ამ შვიდს წელიწადში 7.000 მან. იმას აღარა ვთქვი, რომ ამ შვიდის წლის განმავლობაში ქვევითი ეტაჟა თითქმის წელიწადნახევარი ისე უქმად ეგდო. აბა რა სახეიროა ამისთანა სახლის ქონვა. ეხლა რო 16.000 მოგვცენ, ხუთასი თუმანი ჩვენ დაგვრჩება. ხუთასი თუმანი წელიწადში ბანკის პროცენტს შემოიტანს 350 მან., შვიდს წელიწადში ეგ პროცენტი 2.450 მან. იქმს.

ჩემი ქუთაისში წასვლა აღარ მოხერხდა. არავინ არ იცის, როდის მომიხდება რუსეთში წასვლა. ჩვენი ბანკის პროექტი უგდია „გლავნი უპრავლენიაში“ ბარანოვსკის და ღეჭავს. ნეტავი სამაგისო კბილი მაინცა ჰქონდეს. ესეა ჩვენი საქმე და ვითარება, მაგრამ მაინც იმედი მაქვს, რომ აქ ყოველიფერი აპრილამდე გათავდება. რაკი ასე დაგვიანდა საქმე და მაინდამაც წყლის გზა გაიხსნება, მე მაინდ წამოვალ და ვნახავ ჩემს კუკლუშკასა.

შენა მწერ, რომ აქ ბევრი სტუდენტები არიანო და შენ გიცნობენო. არა მგონია, რომ მანდ მართლა მიცნობდეს ვინმე, იმიტომ რომ მე უნივერსიტეტში თითქმის არავის არ ვიცნობდი ზოგიერთის მეტს და ის ზოგიერთები ბაქოს არ წამოვიდოდნენ სამსახურისათვის. მაგრამ ვინ იცის? იქნება მართლა ჩემი ნაცნობი იყოს ვინმე. ყველაფერი შეჰსძლებია დროსა და დროთა ბრუნვასა.

მოდის, რომ ეხლა ვერ გამოვედი სამსახურიდამ. ყაზბეგმა ფული არ მომცა. პალტარაცკის [მართებს] ჩემი ფული და დამპირდა, რომ რაცა მმართებსო, თავის სარგებლით მალე გამოგიგზავნიო. ზურაბ სიმონიჩს, რომ ჩვენი ორმოცი თუმანი მართებს, უნდა გამეყიდნა, მუშტარი ვერ ვიშოვე. ეს ფულები რომ მომეკრიფა, ჩემი საქმე ლაზათიანად მოიწყობოდა.

ოლიკო! მეკიშოვმა ძალიან მოგვატყუვა. ვლადიკავკასიდამ სრულად წასულა და არაფერი მაცნობა ჩვენის საქმისა. მანდაურს ნოტარიუსს ჰსთხოვე კანონიერი „დოვერენოსტი“ შეადგინოს და ჩემს სახელზედ დააწერინე. Скажи нотариусу, чтоб он составил полную доверенность с правом передоверия о том, чтоб управлять твоими имениями, продавать и закладывать их, начинать по твоим делам иски, тяжбы, и отвечать по всем искам, на тебя предъявленным. მალე გამოგზავნე ეს „დოვერენოსტი“, მოზდოკის საქმისათვის ძალიან საჭიროა, და თუ სახლები გაიყიდება, იმისათვისაც საჭირო იქნება.

დიმიტრი, კატო თავის შვილებით და სოსიკო მომიკითხე. ერთი ჩვენი გრეკის ამბავი მამწერე, აძლევენ .ადგილს თუ არა.

საუკუნოდ შენი ერთგული ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

23 თებერვალი [1873 წ.] დუშეთი.

[თავზე მინაწერი:]

სოსიკოს სახელზედ ფული გამოგიგზავნე ოცდახუთი მანეთი. გაჯავრდები, ცოტაა, მაგრამ რა ვქნა?

33

საყვარელო ჩემო კარგო ო ლ ი კ ო! უშენობამ, სწორედ უნდა გითხრა, ძალიან შემაწუხა, მაგრამ მოთმინებითა ჩემითა უნდა მოვიპოვო სული ჩემი. მეტი ჩარა არ არის. მარტოობამ

რო ძალიან შემაწუხა, ავდეგ და ამ ოთხის დღის წინად მამაშენს ვეწვიე და ორი დღე იმასთან დავრჩი. საგურამო უთქვენოდ საგურამოდ არ მეჩვენა: ისეთი მიყრუებულია, რომ სევდის მიცემის მეტს კაცს არაფერს ნუგეშს არ აძლევს. ვერც იქ გადავიყარე მარტოობის ჯავრი და ნაღველი. მერე კი, როცა ყური და თვალი შევაჩვიე იმ მყუდროებას და ცარიელობას, საცა კი გავივლიდი, სულ თქვენ წარმომიდგებოდით ხოლმე, ასე გონია თქვენც იყავით, ჩვეულებრივ მსხდომიარენი. საითაც მივიხედავდი, პატარეები კატოსი მელანდებოდნენ, მაგრამ ლანდი ლანდად დარჩა და მე უფრო ნაღველი მომიმატა იმითი, რომ ცხადივ თქვენ ეგრე შორს იყავით ჩემგან. მაშინ უფრო მომემატა თქვენი ნახვის წყურვილი და სურვილი.

ერთხელ კატომ ჰსთქვა, რომ ადამიანი ცოლეურთა ნათესავებს უფრო ეტრფისო, ვიდრე თავის საკუთარ ნათესაობასაო. ამა აზრის სიმართლე სრულად ვიგემე მე და სრულად გამოვცადე. ალბად სოფელი ასრე მქნელი ყოფილა.

ჩემი გლახის ნაამბობი სრულად იბეჭდება და როცა დაიბეჭდება, გამოგიგზავნი. ვინც ხელნაწერი წაიკითხა, მოიწონა. ამასთანაც გაცნობებ, რომ ქალაქში მესტამბე მელიქოვმა მითხრა, რომ შენი თხზულებანი სრულად უნდა დავბეჭდოო იმ პირობით, რომ ნახევარი მოგება ჩემი უნდა იყოს. ჩემი თხზულებანი სულ სამი ტომი გამოვა ანგარიშით. ჯერ გადაწყვეტილად ნება არ მიმიცია, იმიტომ რომ ჩემის თხზულებების დაბეჭდვის ნება ამას წინათ ნიკოლაძემ მთხოვა და მითხრა, რომ მეტად მდიდრად უნდა გამოვცეო და ნურავის მიჰსცემ დასაბეჭდათაო. ეხლა ნიკოლაძე ისევ პარიჟში წავიდა და ის რომ მოვა, მაშინ გადავწყვეტთ ამ საქმის ვითარებას.

ჩვენი ბანკის საქმე ამ ორს-სამს კვირაზედ უნდა გათავდეს აქ „გლავნი უპრავლენიაში“. დიდი იმედია, რომ არ მიჰსცემენ არაფერს დაბრკოლებას. იქნება ღმერთი შემეწიოს და მარტის დასასრულს, ანუ აპრილში, გნახოთ თქვენ ყველანი

ბედნიერად და სიმრთელითა. ქუთაისში წასვლა არა მგონია მომიხდეს, იმიტომ რომ დაგვიანდა მეტად.

ამ დღეებში ქალაქში დუკელსკის და კონცერტს აძლევს და გლუხარიჩი რუსულად ლექსებს კითხულობს იმ კონცერტში. მინდოდა წასვლა, მაგრამ ვერ მოვახერხე. გლუხარიჩმა რუსულად ძალიან სხარტე ფელეტონი დაწერა ქალაქის არისტოკრატიაზედ, და ქალი თუ კაცი ძალიან ლაზათიანად გამოცანებსავით გამოხატა. გიორგი მუხრანსკის დაარქვა Князь Ассимиладзе—Синекурский, ვიტგენშტეინს—Виконт д Арапера, ბარონესა საკინს—ბარონესა ნიხტს-ჰაბენ, კოლა ერისთავს — ცუნცულაძე, გიორგი შერვაშიძეს Князь Коко, ირაკლის გრუზინსკის ცოლს—Княгиня Пикникадзе და სხვ. ასეთი ალიაქოთი აუტყდათ ქალაქში მაგ არისტოკრატებს, რომ მეტი არ იქნება. გლუხარიჩი კი ყურსაც არ იბღერტს.

დუშეთი ისეთივე მკვდარია, როგორც აქამდის იყო და უშენოდ უფრო შემძაგდა. რადგანაც შენ ჭორები გიყვარს, აი, დუშეთის ჭორიცა: მიხაილოვსკისა და თომაევს ცოლის თაობაზედ დიდი კინკლაობა მოუვიდათ და ის დიდი კინკლაობა იმითი გათავდა იმათ შორის, რომ პატარა ხანს შემდეგ ერთი ერთმანეთი დაჰკოცნეს და შერიგდნენ. ბედნიერი ხალხია!..

დიმიტრი, კატო, ყმაწვილები დამიკოცნე, შალიკოვს ჩემი სამსახური მაახსენე და უთხარი, რომ არ გაგიწყრეს ღმერთი-თქო და სომხის ქალი არ შაირთო-თქო. თუ შეირთამს, სერთუკს აღარ მოვუტან. სენოს როდის გზავნიან რუსეთს, შემატყობინე; ერთი ჩვენი ბერძნის საქმეც მაცნობე.

მარად და მარად შენი ილია ჭავჭავაძე.

1 მარტსა [1873 წ.]

34

ჩემო კარგო ოლიკო! საკვირველია, რომ წიგნები ესე გვიან-გვიან მოგდის. ყოველ კვირა გწერ; მხოლოდ ერთს კვი-

რას წიგნი ვერ გამოგიგზავნე, თორემ სხვა კვირაებში კი ყოველთვის მამიწერია.

შენი წიგნი 1-ს მარტისა დღეს რვას მარტს მამივიდა. იწერები ფული გამომიგზავნეო; ამას წინად სოსიკოს სახელზედ ოცდახუთი მანეთი გამოგიგზავნე და მიკვირს რატომ არ მიგიღია.

•ამას წინად მწერდი, რომ ლიზა მუხრანსკისა და ასტაფიევს ჩხუბი რაზედ მოუვიდათო. აი რაზედ: ელენა პავლოვნა, თუ მიხაილოვნა, რო მოკვდა, მაშინ ასტაფიევმა თურმე ბალის გამართვა დააპირა და ველიკი კნეინას აცნობა, ხომ საწყენი არ იქნებაო. ველიკი კნეინა გაჯავრებულიყო და ეთქვა, ჯერ პანაშვიდიც ელენა პავლოვნაზედ არ გადაუხდიათო და როგორ არა ჰსცხვენიანო, რომ ბალს აპირობენო. შემდეგ პანაშვიდი რომ გადაეხადნათ, ასტაფიევს გოფმეისტრინის პირით ეცნობებინა ველიკი კნეინასათვის, — ეხლა ხომ პანაშვიდი შეუსრულესო, ნებას მომცემ თუ არა ბალის გამართვისასაო. ეს უფრო ჰსწყენია ველიკი კნეინას, რომელსაც დაებარებინა თითონ ასტაფიევი და დიდი სამდურავი ეთქვა, სხვათაშორის ისიც ეთქვა, რომ ეგ სულ თქვენი ცოლისა და ვიტგენშტეინისა ეშმაკობა არიო. ასტაფიევს თავის ცოლისა და ვიტგენშტეინის ერთად ხსენება ძალიან ჰსწყენოდა და ენამტანიაობისათვის მიეწერა; ეფიქრნა, რომ ამის ცოლზედ და ვიტგენშტეინზედ ლიზა მუხრანსკისა მიუტანდა ენასაო. საკინის სახლში ვეჩერი ყოფილიყო და იქ ასტაფიევი და ლიზა მუხრანსკისა ერთმანეთს შეხვედროდნენ. ასტაფიევი ძალიან ცივად მოჰქცევოდა ლიზას. ლიზას მიზეზი ეკითხნა. მაშინ ასტაფიევს ეთქვა, რომ я гнушаюсь теми личностями, которые при дворе то и делают, что занимаются сплетнями. ლიზას ეს ძალიან ჰსწყენოდა და რაღაც მკვახე სიტყვები ეთქვა ასტაფიევისათვის. ამდგარიყო ლიზა და ვეჩერიდან წამოსულიყო. ესე მიამბეს ეს ამბავი და მართალია, თუ არა, არ ვიცი. ესეც დაატანეს, რო ამის შემდეგ მითამ ვიტგენშტეინს ლიზასათვის მიეწეროს, რომ მე ეხლა პეტერბურგში მივდივარო და თუ რამ ჭორები იცით, მიბრძანეო, რომ იმპე-

ჰატრიცას მოვახსენოთ. მითამ ამით ვიტგენშტეინს დაუცინია ლიზასათვის.

ეს ამბავი ხომ მოგწერე. მაგრამ მეცნიერება, რომ ამისთანა ამბავს მე გწერ, მე, რომელსაც ჰორიკანობაში გარევა მეჯავრება.

ქალაქში მე სახლები არ დამიჭერია. მართალია ლიზამ მითხრა, რომ სანდრო ორბელიანის სახლებს გაძლევენო, მაგრამ დაჭერა ვერ გავბედე. ეხლა სახლების დაჭერა ჩვენთვის ანგარიში არ არის, იმიტომ რომ, მინამ მე რუსეთიდამ დავბრუნდები და ქალაქში გავეწყობით, მინამდე საგურამოს უნდა ვიყვნეთ, ესე იგი, ოქტომბრამდინ მაინცა. ამის გამო მეტი ხარჯი იქნება ეხლა სახლების დაჭერა და ქირის მიცემა.

ჩვენი ბანკის საქმისა ვეღარა შევიტყე რა. ჩემს „ატსტავკაში“ გამოსვლას ბანკის საქმეს არ ველი, ველი მარტო იმას, რომ ერთი სამოციოდ თუმანი მომიგროვდეს როგორმე, იმიტომ რომ პირველ ხანებში ფული საჭიროა. მოვაგროვებ თუ არა, იმავ დღეს „ატსტავკას“ მივცემ. მე ეხლა მაქვს ხუთმეტი თუმანი, ამ მარტის ჯამაგირს ავიღებ — გახდება ოცდახუთმეტი, პოლტარაცკიც დამპირდა ჩემის ვალის მოცემას — ისიც ოცდაათ თუმნამდე იქნება, ოცი თუმანიც ყაზბეგმა უნდა მამცეს, ეს ოთხმოცდახუთი თუმანი, ზურაბ სემიონიჩის ვალსაც ვყიდი ორმოც თუმნად — ეგ სულ რო მოგროვდეს ას ოცდახუთი თუმანი მექნება. კაი ფულია. მერე, აქ რაც ვალები მქონდა, სულ მოვიშორე, სახლის ქირა მივე, ყაზაროვსაც ნახევარზედ მეტი მივე; ვალადა მრჩება ამ წლის სამის თვის სახლის ქირა, სამ-თუმან ნახევარი ყაზაროვისა, ნინოს ჯამაგირი ექვს თუმნამდე და დიმიტრას ჯამაგირი სამ თუმნამდე — სულ თვრამეტთუმან ნახევარია. ამ თვეში ამაებს სულ გავწმენდ ასე, რომ იქნება ასს თუმნამდე თავისუფალი ფული დაგვრჩეს. სულ შენ მოგიტან, რომ პირველ ხანებში მაგითი სული მოვიბრუნოთ.

ეხლა მე და შენ დიდი გაფრთხილება გვმართებს ფულებისა. ამას ხომ გეუბნები, მაგრამ ხუთმეტი „კარტინა“ პარიჟიდამ დავიბარე. აი გაფრთხილება, თუ გინდა, ამასა ჰქვიან.

თუ ჩემი სიყვარული გაქვს, ჩვენი ბერძენის საქმისა შემიტყე რამე დიმიტრისაგან და მამწერე: საწყალს ლამის სული დაელიოს.

კატო, დიმიტრი დამიკოცნე, ყმაწვილებს თვითეულად ჩემ მაგიერ აკოცე.

იყავით მშვიდობით და დღეგრძელობით ყველანი ერთად.

შენი საუკუნოდ ილია ჭავჭავაძე.

8 მარტი [1873 წ.]

35

ჩემო საყვარელო ოლიკო! რა რიგად მოუთმენლად მოველოდი ამ კვირია შენს წიგნსა, მაგრამ არ მომივიდა. არ ვიცი რას მივაწერო, რატომ არა მწერ?

აქ დუშეთში ასეთი ცარიელობაა, რომ არც კი ვიცი რა მოგწერო და რით შეგაქციო შენ. ჩვენი ბანკის საქმე ჯერ კიდევ დამშია. მეც ამის გამო ორ წყალ შუა ვარ დარჩენილი, არ ვიცი, საით და როგორ წავიდე. თუმცა შენის მიზეზით ძალიან მეძნელება სამსახურიდამ გამოსვლა, მაგრამ მაინცა და მაინც უნდა გამოვიდე. აპრილში ვაპირობ ქაღალდის მიცემას, თუ უეცარმა რამ მიზეზმა არ დამაბრკოლა კიდევ. ერთი ფიქრი მაწუხებს, ვაი თუ ამ ვაინაჩრობის ცხოვრებიდამ სიღარიბეში ჩავცვივდეთ, და შენ, ანუ მე, ეგ ვერ ავიტანოთ. ეს ფიქრი რომ არა მწყლამდეს, დღესვე ამ ოხერს სამსახურს თავს დავანებებდი. აი რა არის კაცის უხეირობა და ის აღზრდა, რომელიც ჩვენ მიგვიღია: თავით თვისით ცხოვრება გვაშინებს და გვაბთხობს. ცუდათა ვართ გაზრდილნი და გაგეშილნი. ნაცარქექიობით პურის შოვნას კაცის ხასიათი უმცირებია და უდუნებია. აბა ეხლა მე და შენ ანგლიური გაზრდილობა გვქონოდა, რარიგად უშიშრად დავიწყობდით ბრძოლას ბედთანა და რა ძლევამოსილობით ბოლოს გავატანდით!... და რადგანაც მე და შენ ანგლიელები არა ვართ და ვეკუთვნით უხეირო ხალხს, რომელსაც ქართველობას ეძახიან,

ამისათვის ხვალინდელის დღისა შიშიცა გვაქვს და ფიქრიცა და არც ჩვენს თავზედა გვაქვს დანდობა და იმედი. კაცი, რომელიც თავის-თავს არ ენდობა და თავის-თავის იმედი არა აქვს, ის კაცი კაცი აღარ არის. ნუთუ მე და შენ მართლა ამისთანანი ვართ? ღმერთმა ნუ ქნას.

ამ წიგნის წერაში შენი წიგნიც მომივიდა „დოვერენოსტით“ და მიამა ძალიან. მწერ გრეკის საქმე დიმიტრის დავიწყებიაო. მოაგონე, რომ в бытность свою в Тифлисе он пожелал, чтоб Димитрий Георгиевич Томанов подал ему докладную записку. Докладная записка Грека послана Дмитрию Семеновичу в Баку, — и я удивляюсь, почему до сих пор Димитрием не получена. შენი ჭირიმე, მოაგონე, თორემ ლამის მაგ გრეკის საქმემ და ცოდვამ დამლიოს. ფული მიგიღია, თუმცა ცოტაობაზედ არას იწერები, მაგრამ კი დიპლომატიურად კიდევ ითხოვ. ამ კვირია კიდევ მაგდენს გამოგიგზავნი.

გლახის ნაამბობი ჯერ არ დაბეჭდილა და იმიტომ ვერ გიგზავნი. ბეჭდენ კი და როცა დაიბეჭდება, შენა და კატოს თითო ეგზემპლიარს გამოგიგზავნი. თუმცა ჩემი ნაჯღაბი კატოსათვის დიდი არაფერი იქნება, მაგრამ იმოდენა მაინც შეეძლება, რომ სახსოვრად შეექმნეს კატოსა.

ბაბო მუხრანსკის წიგნი მოგსვლია, რომელშიაც ჩემზედ სამდურავი მოუწერია. მართალია, ქალაქში რო ვიყავ, იმათის ნახვისათვის ვერ მოვიცალე. მიკვირს, რათ მოჰგონებიხარ დიდ მუხრან-ბატონებს, ანუ ჩემი მათთან მიუსვლელობა რად შეუმჩნევიათ. მახლას, ქვეყანა ასრე მქნელიაო. ნათქვამია. უპატარ-კაცოდ დიდ-კაცებს ცხოვრება თუ არ შეჰსძლებიათ?! ყველას ღმერთმა მშვიდობა მიჰსცეს და მე და შენაც კარგად ვიყვნეთ ჩვენის ნათესავებითა.

დიდის იმედით ვიყავ, რომ ამ მარტში 200.000 მოვიგებდით. ახ, ნეტავი მომეგო და მაშინ ნახავდი, რა დიდის ყოფით ეწვეოდა კატოს პატარა და ბურთივით რგვალი ლიბერალი სიძე. ეს არის ჭირი, რომ გროშიც ვერ მოვიგეთ, და სიხარული კიდევ იმაშია, რომ ჩვენი ბილეთები ტირაჟში არ

გამოვიდა და ესეც ნუგეშია. არა უშავს რა, თუ წელს არ მოვიგეთ, კულავ კი 200.000 მანეთი ჯიბეშია.

დუშეთის ამბავიც ეს არის: ზუბალაანი მაისში საზღვარგარეთ მიდიან, კოსტა თუმანოვი ძალიან ავად იყო ასე, რომ დედაც მოუვიდა. მაგრამ ეხლა კარგად არის. მამაშენმა პური და ღვინო გამომიგზავნა და მეტად მადლიერი დავრჩი. არა გრცხვენიან, ოლიკო, რომ ჩვენს გაზილას არა კითხულობ, ასეთი პრძენი ძაღლია. რომ პლატონ იგნატიჩს იოსელიანს ეხლავ ჰსჯობია ფილოსოფიაში. ბევრი რაღაც შტუკები ისწავლა. ჩემი შემაქცევარი და დროს გამმატარებელი გაზილა არი. სანატრელია ის-ქვეყანა. სადაც კაცის შექცევა ძაღლზედ აროის დამყარებული. უხ, რა ყოუ რამ აროის ეხლა ჩვენთვის ეს დარბაისელი დუშეთი. კატო, დიმიტრი შვილებითურთ დამიკოცნე. ძალიან მინდა თქვენი ნახვა.

სამუდამოთ შენი ილია ჭავჭავაძე.

16 მარტი [1873 წ.]

36

ჩემო კარგო ოლიკო! დაპირებისამებრ გწერ ყოველ ფოშტაში წიგნსა. შენი წიგნები თავ-თავის დროზედ არ მომდის. არ ვიცი რას მივაწეოო ამისთანა ფოშტის უთავ-ბრიოლობა. გუშინ და დღეს შენი წიგნის მოსვლის ვადა იყო, ძაგრამ არ მომივიდა.

სოსიკოს ტელეგრამა მოვწერე ჩვენის ბერძნის საქმეზედ, პასუხის ფულიც მივეცი. მაგრამ მაგ წყეულმა პასუხი არ მომწერა და ამის გამო ბერძნისაგან დღე და ღამ მოსვენება არა მაქვს. ამას წინათ. დიმიტრი სემიონიჩი რო ქალაქს იყო, ვჰსთხოვე, რომ ბერძენს ადგილი რამ მიჰსცეს და იმან პასუხად მითხრა. რომ „დაკლადნაია ზაპისკა" მამცესო. საწყალმა ბერძენმა ქრისტიშობის თვეში ბაქოში გამოუგზავნა „ზაპისკა" და აქამდინ ვერ შევიტყეთ, სად დაიკარგა ის „ზაპისკა". ერთი სოსიკოს უთხარ. შეიტყოს რამე ამ საწყალის ბერძენის საქმისა და ტელეგრამით მაცნობოს.

ჩვენი ბანკის საქმისა ვერა შევიტყე რა გარდა იმისა, რომ გლავნი უპრავლენიეს ჩვენი პროექტი დაუბრუნებიაო. რაღასაც ცუღლუტობენ დიდნი და პატარანი და მე ვერ გამიგია, როდის უნდა დაბოლოვდეს ჩვენი საქმე. Неопределенное положение, в котором я нахожусь, просто давит и гнетет меня. Вдобавок ты не со мною, — и это больше увеличивает нестерпимую скуку, которую я испытываю со дня разлуки с тобой. დიდი სულელობა მოგვივიდა, რომ შენ გაგიშვიდი. ღმერთმა ქმნას, რომ ეგ უკანასკნელი სულელობა იყოს. ხანდისხან ფიქრად მომივა ხოლმე, რომ შენ დაგიბარო, მაგრამ გარემოებანი მაბრკოლებენ და ის, რომ მეც ძალიან მინდა გაქოს მოსვლა, დიმიტრის და კატოს ნახვა. ამ უქმეებში მე ქალაქში ჩავალ და მაშინ კი, მგონია, გადაწყვეტილად ერთს საგანზედ დავდგები, ან წამოვალ მანდ და ან დაგიბარებ, თორემ ესე შორი-შორ ჩვენი ყოფნა თავს არ მოდის და მოსაწყენია.

ახალი ამბავი აქ არა არის რა ამის მეტი, რომ ქალაქში მუხრანიანი ძალიან თურმე ცდილობენ, რომ ველიკი კნეინას დიდი საჩუქარი გაუკეთონ, ქალაქის არისტოკრატები დღე და ღამ სულ ამ საქმისათვის ფაციფუცობენ და ერთი ყოფა აქვსთ. ქეთო ქაიხოსროს მუხრანსკის ქალი თურმე ძალიან თაოსნობს და დიდს მეცადინეობაში არის. ქიზიყში დიდი შიმშილია, ამის გამო ქიზიყელთა საშველად ირაკლი გრუზინსკის დიდი კონცერტი გაუმართავს, ასი თუმანი მოუგროვებია. კონცერტში ზაქარიას ცოლს კაკოს უმღერნია. არ ვიცი, კარგად იყო, თუ ცუდად კაკო, მაგრამ მე ძალიან მომეწონა, რომ კაკო მაგისთანა კარგს საქმეში გაერია და არისტოკრატიულად არ ითაკილა ღარიბთათვის გარჯა. ეხლანდელს ქონდრის კაცობაში და ზნეობით დავარდნილს დროში მაგისთანა საქმე კაი დედა-კაცობად ჩაითვლება. ეხლა ქალაქში რო ჩავალ, კაკოს უსათუოდ ვნახავ და დიდს ქებას ვეტყვი, იქნება უფრო წახალისდეს საკულაოდ.

გლახის ნაამბობი იბეჭდება და ჯერ კი არ დაბეჭ-

დილა. ისიც ბანკის საქმედ გახდა: აღარა თავდება. ეგრე ორწყალ შუა რო ვარ დარჩენილი, გული არაფერზედ მიმდის, კალამი ხელში ვერ ამიღია, რომ დავწერო რამე. თავი გამოყრუებული მაქვს ასე, რომ ერთი ხეირიანი და რიგიანი აზრი არ მომდის. ნეტავი ან შენ იყო აქ და ან მე ვიყო მანდ თქვენთანა.

დიმიტრი, კატო თავის შვილებით დამიკოცნე და კნეინა ოლგასაც ჩემმაგიერ ბევრი აკოცე.

შენი საუკუნოდ ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

23 მარტი, [1873 წ.]

სოსიკოს სახელზედ ორს თუმანს გიგზავნი დღესვე.

37

ჩემო საყვარელო ო ლ ი კ ო! მიხარებია შენთვის: ჩვენი ბანკის პროექტი აქ მიიღეს და 14-ს მარტს პეტერბურგში გაგზავნეს დასამტკიცებლად. ეხლა კი, მგონი, იმედია, რომ ბანკის საქმეს ბოლო რიგიანი მოუხდეს. დღეს მე „ატსტავკას“ ვაძლევ და იმედი მაქვს, რომ აპრილში გნახოთ.

შენი წიგნი გუშინ მამივიდა და ძალიანა ვწუხვარ, რომ საწყალის ბერძნის საქმე დიმიტრის დავიწყებას მიუცია. ასეთს საცოდავობაში არის საწყალი, რომ სიტყვით არ ითქმის. ამ სულელმა ცოლი შეირთო იმ იმედით, რომ მანდ ადგილს მიიღებდა და იცხოვრებდა. მაგრამ ავად მოუვიდა თავისი თათბირი და დანაპირები. სულითა და გულითა ვიტანჯები ამას რომ ვუყურებ: ლუკმა პური არა აქვს.

ხვალზევით ქალაქს მივდივარ. იქ შევიტყობ, როდის მომცემენ „ატსტავკას“, რა დღე მომეცემა სიკეთე თქვენის ნახვისა. იქიდამ, ესე იგი ქალაქიდამ, დეპეშით გაცნობებ, როდისაც ქალაქიდამ გამოვალ. არ ვიცი, ბოლოს რა იქნება, ეხლა კი მეტად მხიარულადა ვარ, რომ მომეცა სამსახურიდა[ნ] გამოსვლის ღონისძიება. მდიდრად, თუ ღარიბულად, მაგრამ კი თავისუფლად ვიცხოვრებთ.

იწერები, საფენი იაფიაო. ჩვენ არ გვგონია საფენი დაგვჭირდეს, საწყალს მამიდას ბევრი დარჩა. ერთი ძალიან კარგი ხალიჩა მოგვინდება კაბინეტის ტახტისათვის. არ იქნება ურიგო, რომ მაგისთანა ხალიჩა ეხლავე შეიგულო სადმე.

იქნება მანდ კაბინეთის მოსართავად სპარსული რამ მატერია ფარდებისათვის და მებელისათვის იშოვო, ძალიან კარგი იქნება.

რაც მებელი და ავეჯი გვაქვს, სულ საგურამოში ვგზავნი, და პატარა ბიჭსაც დიმიტრას ვგზავნი კახეთს ჩემს მოსვლამდის. მე აქედამ რომ წამოვალ, კახეთზედ გამოვივლი, რომ შინ ჯეროვანი დარიგება და დაწყობილება განვაწესო. აქ რაც ვალები გვქონდა სულ ერთიანად გავისტუმრე. რაც შენ წახვედი, ორმოცდაათი თუმნის ეკონომია მქონდა ჩემის ჯამაგირიდამ და ამით ყველა ვალები მოვიშორე. შენც ოთხ თუმან ნახევარი გამოგიგზავნე, შინაც ფოდრაჩიკს ფული მივე, ცხრამეტი თუმანი სახლების ქირა მივე, და სხვა და სხვანი მრავალნი. ეხლა ოც თუმნამდე თავისუფალი ფული მაქვს. ყაზბეგს და პოლტარაცკის გროში არ მოუციათ ჩემთვის. რა კუტრებს გადავეკიდე!...

ქალაქიდამ ახალი ამბავი არა ვიცი რა. რაც მოგეწერა, ყველაფერს მოგიტან. ნეტავი მაცნობო, ყმაწვილებს რა მოვუტანო საჩუქრად. ამას იქით წიგნი ქალაქში საგინოვის სახელზედ მოიწერე.

კატოს ბევრს ვაკოცებ, აგრეთვე მის კარგ შვილებს. დიმიტრი და ყველანი მამიკითხე.

შენი ილია ჭავჭავაძე.

31 მარტი. [1873 წ.]

38

ჩემო საყვარელო ოლიკო! მომილოცავს თქვენთვის წარსული უქმეები; ღმერთმა მრავალ და მრავალჟამიერ მშვიდობით, სიმრთელით და ბედნიერად გამყოფოთ შენა, შენი და

კატო თავისის ქმრითა და შვილებითა. მე დიდს ბოდიშს ვიხდი შენთან, რომ ერთი ფოშტა ავაცდინე და წიგნი ვერ მოგწერე. ქალაქს ვიყავ, „ატსტავკა“ მივე, რომელიც აქამომდე „ოკრუჟნოი სუდს“ არ გაუსინჯავს. რა დღესაცა „ატსტავკა“ მამივა, მაშინვე შეხკენ გამოვფრინდები და დეპეშასაც მოგწერ. შენმა უკანასკნელმა წიგნებმა გული ძალიან გამიკეთეს: ღმერთმა ქმნას, რასაც იწერები, ის გაამართლო შენცა და მეცა.

ჩვენი ბანკის პროექტი, ამას წინადაც მოგწერე, გაგზავნეს ქალაქიდამ პეტერბურგს; ეხლა იმედია, რომ ბანკის საქმე შესრულდება.

ქალაქში ბევრი ახალი ამბები შევიტყე: ნიკო ჭავჭავაძის ცოლის და გათხოვილა და შეურთავს მიხეილ გივის შვილი ამილახვარი; კონას ქალი გათხოვდა და შეირთო ალექსანდრე თარხნიშვილის შვილი—სტუდენტი; ჩვენი ტერ-სტეფანოვის რძალი მოკვდა; დათიკო გლუხარიჩს და ზაქარია ატამანის შვილს შარვაშიძის ქალის თაობაზედ დუელში გამოუთხოვიათ ერთმანეთი და სხვანი და სხვანი.

მე ჩვენი მებელი და ყოველივე ბარგი და ავეჯეულობა საგურამოს გადავატანინე; ნინო დავითხოვე, სხვა მოსამსახურენი არ დავითხოვე; ჩვენი სახლიდამაც გამოვედ და ივან იაგორიჩთან ვდგევარ, ვიდრე „ატსტავკა“ მამივა. ივან იაგორიჩი თავისის ცოლით და ქალით ხუთს მაისს სამზღვარ-გარეთ მიდიან. ნეტავი იმ დრომდის მაინც მამივიდეს „ატსტავკა“, რომ შენკენ წამოვიდე და ერთი ლამაზად ჩაგეხუტო შენ, ჩემს კუკლუშკასა. ამას წინად ორი თუმანი ფული გამოგიგზავნე სოსიკოს სახელზედ, არ ვიცი მიიღე, თუ არა. შენი კისაიას კაბა არ მომაქვს, ჩამადანში ალაგი არ იყო და წახდებოდა. მე ვამჯობინე, რომ ქალაქში ჰატერია საკაბედ გიყიდო და წამოგიღო. უფრო ადვილად წამოიღება.

ლიზა მუხრანსკისა თავის ქმართან პოლკში წასულა. ქალაქში ვიღასაც მასხარას ლიზა მუხრანსკისათვის ინსტრუქცია დაუწერია და დარიგება, როგორ უნდა მოიქცეს პოლკში, — სასაცილო რამ არის ის ინსტრუქცია. სხვათა შორის იმ ინსტრუქციაში ... რა სწერია: Строго воспрещается княжне говорить

с офицерами полка о дворе, ибо офицеры, по простоте сердечной, могут подумать, что княгине изволит говорить о ротных дворах.

ამისთანანი დარიგებანი იმ ინსტრუქციაში მრავალია. დამზარდა გადაწერა, მაგრამ იქნება წამოსვლის დროს კიდევ ვიშოვნო და გადავწერო. რომ თქვეხდა გასამხიარულებლად ძოგიტანოთ ბაქოს. ამბობენ ამ ინსტრუქციის დამწერს ერთი ეგზემპლიარი ლიზასთვის გაუგზავნია. საწყალი ლიზა!... რაზედ არიან გადაკიდებულნი? ქალაქის ქრმიანს ქალებში ეგ თუ არ უკეთესი, უარესი არ არის.

აი კიდევ ერთი ახალი ამბავი: ქალაქის არისტოკრატიის ქალებს მოუგროვებიათ ოთხასი თუმანი ფული, რომ ველიკი კნეინის ათის წლის იუბილეისათვის სტიპენდიები გაემართათ. ველიკი კნეინასათვის პეტერბურგში უცნობებიათ. მას შემდეგ, რაკი ლორის-მელიქოვის დიდი იუბილეისათვის იმოდენა ფული მოგროვილა, ველიკი კნეინას ჰსწყენია, რომ ჩემთვის ასე ცოტა მოაგროვესო, და ამის გამო ქალაქის არისტოკრატიის ქალებისათვის სტიპენდიების მიღების უარი შემოუთვლია და ქალები ჯავრით თმას იგლეჯენ. არ ვიცი ეს ამბავი სწორეა, თუ ტყუილი, მე კი ესე შევიტყე. წამოსვლის დროს კატოს შვილებს საჩუქრად მინდა ვუყიდო რამე და არ ვიცი რა ვუყიდო. ქალებს კიდევ შლიაპებს ვუყიდი, სენოსი, კოლასი და გივისა კი არ ვიცი. შენ მოგწერე და შენც არაფერს არა მწერ ამ საგანზედ.

ჩემი წამოსვლის დროს ვერ გინიშნავ ეხლა იმიტომ, რომ მეც არ ვიცი როდის მომიხდება წამოსვლა. ეგ დამოკიდებულია „ატსტავკაზედ“. მე მინდა კახეთზედ წამოვიდე და ერთი ხუთიოდ დღე ყვარელში დავრჩე, რომ იქ რაც საქმე მაქვს, ყველა გავათავო და დავაწყო.

ჩემი და ლიზა ავად იყო ხველებით, ეხლა უკეთ არის, ნინოც ძალიან ავად ყოფილა, ეხლა კი, ღვთის მადლით, კარგად

არის. მოგეხვევი და ბევრს გაკოცებ, ჩემო კარგო ოლიკო! დიმიტრი, კატო დამიკოცნე თავის შვილებითა.

საუკუნოდ შენი ილია ჭავჭავაძე

ზუბალაანი მოკითხვას გიგზავნიან.

19 აპრილი [1873 წ.] დუშეთი.

39

ჩემო სანატრელო ოლიკო! ეს მესამე კვირაა, რომ მე შენი წიგნი არ მიმიღია. ძალიან შეწუხებული ვიყავ, მაგრამ დღეს შენმა დეპეშამ გული დამიმშვიდა. მადლობა ღმერთსა, ყველანი მშვიდობითა ხართ. თუ წიგნებს საგინოვისას ჰგზავნი, მიკვირს, ლიზო რატომ აქ დუშეთში არ მიგზავნის შენს წიგნებს.

მე ყოველდღე მოველი „ატსტავკას“ და არ მამდის. არ ვიცი რა მიზეზია. ეხლახან შევიტყე, რომ ჩემს მაგიერ ალექსანდრე სავანელსა ნიშვნენო. ვერაფრად იამათ აქაურებს იმისი დანიშვნა, მაგრამ ძალა ალმართსა ხნავსო, ნათქვამია. შენმა გარდამ, ასეთი მოუსვენრადა ვარ, რომ მეტი არ იქნება. თითქმის გზაზედ ვდგევარ და ვერ წამოვსულვარ კი. ასეთი მდგომარეობა მეტად მოსაწყენია, იმითი ვცხოვრობ, რომ დღეს იქნება, თუ ხვალე, გნახამ შენ და ჩაგეხუტები, ჩემო კარგო კუკლუშკი. რამდენი ხანია არ მინახვიხარ!...

ცხენები კახეთს გავისტუმრე, ჩვენი გიორგი კუჩერი წაჰყვა ცხენებსა. ორი პოვოსკა ვიყიდე ქალაქში და გავისტუმრე კახეთს მასალის საზიდლად. ამბობენ, წელს-თუ კალია არ გაჩნდა, დიდი მოსავალი გვექნება პურისა და ღვინისა. ღმერთმა ქმნას და კარგი მოსავალი მოგვივიდეს, რომ მე და შენი თვალი გაძღეს ბევრის პურის ხილვითა.

აქ ახალი ამბავი არა არის რა გარდა იმისა, რომ ზალიკო ჭავჭავაძე მოვიდა რუსეთიდამ და ისევ მალე აპირობს წასვლას.

შენი მოზდოკის საქმისა ამბავი მომივიდა, მაგრამ ფრიად

ცუდი: მიაკიშოვი სადღაც წასულა და შენი „ისპოლნიტელნი ლისტი“ თან წაუღია და საქმე სრულად არ უწარმოებია. ძალიან ცუდი საქმე გვიყო მიაკიშოვმა. იქნება ჩვენი „ისპოლნიტელნი ლისტი“ მიჰყიდა ვისმეს და ჩვენ ცარიელნი დაგვაგდო. ეგლა გვაკლია!... ეხლა ყიფიანს მივწერე წიგნი, რომ დაწვრილებით შემიტყოს ეგ ამბავი და მომწეროს, კოლჩინსა რამდენჯერმე ეგეგე ვსთხოვე და პასუხი არ მაღირსა. ერთის სიტყვით, ჩვენი საქმე ვერ მოდის რიგზედ.

მე იმედი მაქვს, რომ ხუთმეტ მაისაძდე გნახოთ. ზუბალაანი მოკითხვას გითვლიან. ყველანი მომიკითხე.

შენი საუკუნოდ ილია ჭავჭავაძე

26 აპრილი. [1873 წ. დუშეთი.]

P. S. ფოშტა მოდის და ამიტომ მოკლე წიგნსა გწერ.

40

ჩემო კარგო ოლიკო! აღდგომას აქეთ დღევანდლამდე შენი წიგნი არ მომსვლია. დღეს მომივიდა სამი წიგნი ერთად და ძალიან მიამა. დიდი სამდურავი მოგიწერია და ეგ სამდურავი მეტად მეწყინა. მე მარტო ერთი ფოშტა ამცდა და შენ კი სამივე წიგნში სამჯერ მიჯავრდები. ერთი დანაშაულობისათვის სამჯერ გადახდევინება — რჯულის წინააღმდეგია. მაგრამ რადგანაც მაინც და მაინც მე შენს წინაშე, ჩემო კუკლუშკი, დამნაშავე ვარ, — შენი ყველრება და სამდურავი „კისრად ვიღე და დავდუმდი“.

მე ქალაქში ჩავედი 5-ს აპრილს და ათს აპრილს უკანვე დავბრუნდი. ამ დღეებში ამცდა ფოშტა და შენ ესეც არ მაპატივე. დამაცა, მანდ მოვალ და შენს ჯავრს სრულად ამოვიყრი. აღდგომა დღეს მე, ალექსანდრემ და ლიზომ ტელეგრამა მოგწერეთ, ეგეც არ მიგიღია. მიკვირს, რატომ არ მოგსვლია.

შენმა გარდამ, ქალაქში ასეთი მოწყენილი ვიყავ, რომ მეტი არ იქნება. არავინ არ მინახავს ირაკლის სახლობის მეტი, ისიც იმიტომ რომ მთხოვეს.

მწერ, მალე მოდიო. მეც ძალიან მინდა მალე წამოსვლა, მაგრამ „ატსტავკა“ აქამდის არ მომსვლია. ლოდინით გული დამელია. ვიდრე „ატსტავკა“ არ გამამივა და საქმეებს ჩემს მოადგილეს არ ჩავაბარებ, ვერ წამოვალ. ვერ წარმოიდგენ, რა რიგად მინდა თქვენი ნახვა და ნამეტნავად შენი, ჩემო კარგო კუკლუშკი. სულითა და გულით თქვენთანა ვარ, ეს ჩემი სხვალი ტიკჭორა ტანი კი აქა გდია.

კატოს უთხარ, რომ ჩემთვის ტყუილად დაურქმევია ტიკჭოროობა, მე კლასსიკური სახელი მაქვს, გ. ორბელიანისაგან მოცემული: ის ლიბერალი, ბურთივით რგვალი. სხვა სახელს არა ვკისრულობ. კატოს უთხარ მეფეროს, თორემ ქართველების ბანკიდან ფულებს აღარ ვასესხებ და ცარიელი დამრჩება... ძალიანა ვწუხვარ, რომ არ მომწერე, ყმაწვილებს რა მოუტანო. მე, ხომ იცი, გამოუსადეგი საჩუქრების მოტანა არ მიყვარს. მინდა ქალებს ან კაი წიგნები ვუყიდო, ან ზაფხულის შლიაპები. კოლასა და გივსა სათამაშოებს მოვუტან, სენოსი კი არ ვიცი რა მოვუტანო. ვფიქრობ და ვერ მომისაზრებია.

მე მგონია, რომ ჩემდა საწყენად, მაისსაც აქ გამატარებინებენ. ერთის მხრით კი კარგია: ოცს თუმანს ჯამაგირს კიდევ ავიღებ, მეორე მხრით კი, რომ შენი ნახვა მიგვიანდება, ფრიად მწყინს და ვწუხვარ. მაგრამ არა უშავს რა: უფრო ტკბილი იქნება ჩვენი შეყრა. ახ, ნეტავი ეხლა მე შენთან ვიჯდე და შენს ტიტინს მე ყურს ვუგდებდე!... მაგასაც, ღვთის მადლით, მოვესწრობით.

Дмитрию передай, что я ему благодарен за внимание, которое оказал моей просьбе относительно грека; что рекомендуемый мною грек способен управлять уездною тюрьмою; что за честность и аккуратность его я ручаюсь. В этом смысле я послал Дмитрию депешу.

დუშეთში პირველის მაისიდამ სულ სადილებს გვიმართვენ, საზანდრებიც დაიბარეს ქალაქიდამ და ვიდრე მე წამოვალ, იმ დრომდე საზანდრები აქ ეყოლებათ. მაგრამ ნუ კი გგონია, რომ მე ფრიად დიდს სიამოვნებაში ვიყო: რაკი შენ ჩემთან არა ხარ, ისე ვერ ვმხიარულობ. როცა შენ ჩემთან ხარ,

შენი ფასი არ ვიცი ხოლმე, როცა ცოტას მოგშორდები, მაშინ შევიტყობ ხოლმე რა საუნჯეც მაკლია. კომპლიმენტად ნუ მიიღებ. ხომ იცი, რომ მე ალერსი და პირფერობა არ მიყვარს. რასაცა გწერ, მართალსა გწერ. ახ, როდის იქნება განახო! მე დიდი იმედი მაქვს, რომ ამ ერთ თვეზედ თავს დაგიკრავთ. ჩემ მაგიერ სავანელი დანიშნეს, სავანელის მაგიერ თულაევი და თულაევის მაგიერ ფურცელაზე. ვგონებ სავანელი მალე გამოგზავნონ. თუ არ გამოგზავნიან ოცს მაისამდე, მე ავადმყოფობის ქაღალდს მივცემ და თავს დავანებებ. მაშინაც ვიდრე საქმეებს არ მივაბარებ, წამოსვლა არ შემეძლება.

თუ გიყვარდე, მამწერე ყმაწვილებს რა წამოვუღო; შენ რა საკაბე გიყიდო ზაფხულისა. თუ იაფი ფასის საკაბეებს მამწერ, თუნდა ორს გიყიდი.

დიმიტრი, კატო თავის შვილებით დამიკოცნე. აქაურები მოკითხვას გითვლიან. ყოველს სადილზედ შენს სადღეგრძელოს დიდის ყოფითა და ამბითა სმენ ხოლმე. ურასა და მრავალჟამიერს ბოლო არა აქვს. ღმერთმან გაცოცხლოს, ჩემო კუკლუშკი, მრავალჟამიერ ჩემდა ნუგეშად და სასიხარულოდ,

საუკუნოდ შენი ილია ჭავჭავაძე

4 მაისი, [1873 წ., დუშეთი].

41

ჩემო საყვარელო ოლიკო! შენმა ჩივილმა და მოწყენილობამ ძალიან შემაწუხა. ყოველ წიგნში იმას იწერები, რომ ვოგო არა გყავს, ბიჭი არა გყავს და სხვანი და სხვანი. მიკვირს ესე ყველაფერი, შენს დის სახლში რომ უცხოსავითა ხარ — საკვირველია!

მე „ატსტავკა“ არ გამამსვლია და არ ვიცი როდის გამომივა. „უატტავკოდ“ ჩემი აქედამ წამოსვლა შეუძლებელია. თუ ამ მაისის ოცამდინ „ატსტავკა“ არ მომივიდა, უნდა ავადმყოფობის ქაღალდი მივცე. ადრე რომ მოვახდინო ეგა, ოცს თუმანს ფულს დავკარგავ და ოცის თუმნის დაკარგვა — ეხლა ჩემთვის მი-

ლიონის დაკარგვაა. მანდ რომ მოვალ, მაინდამ უსათუოდ რუსეთს მომიხდება წასვლა ორისა ანუ სამის თვითა. თუმცა ეს ამბავი შენ შეგაწუხებს, მაგრამ შენ უნდა მოითმინო ისე, როგორც მე ვითმენ შენს მოშორებასა. განა მე კი კარგს ყოფაში ვარ უშენოდა, რომ ეგრე ჩივი? შენ შენს დასთან მაინცა ხარ და მე კი მაგასაც ვარ მოკლებული და ვგდივარ აქ დუშეთში უცხო ხალხში და უცხო სახლში მარტოდმარტო. ხვალ დილით ზუბალაანი სამზღვარგარედ მიდიან და მე ამათ სახლში ვრჩები, ვიდრე „ატსტავკა“ გამომივა და მომეცემა იმით შეძლება გამოვფრინდე შენკენ და ერთი ლაზათიანად ჩაგეხუტო. მაგას მიჭადდი, რომ შენის გულისათვის, რასაც უნდა, იმას ავიტანო და ეხლა ოთხის თვის მოშორებაც ვერ მოგითმენია ვაჟკაცურად? მოშორება, მეცა ვგრძნობ, რომ ძნელია, მაგრამ როცა ეგ მოშორება საჭიროა და აუცილებელია, მაშინ ვაჟკაცობა უნდა იხმაროს კაცმა, რომ ეგ მოშორება აიტანოს. შენ კი სულ ჩივი და ჰსწუხ და ამით მეც მიმატებ მწუხარებასა. განა ეგრე უნდა? დამაცა ერთი მანდ ღვთის მადლით მალე მოვიდე, მაშინ ნახავ შენს ამბავს, სულ ყველაფერს ერთად გადაგახდევინებ.

შენი წიგნები, რაც მაკლდა, სულ ერთად ეხლახან მამივიდა ქალაქის ფოშტამდისაგან. მწერ, რომ „შენი წიგნები არ მომდისო“; მიკვირს, რატომ არ მოგდის. რაც მე შენ დაგპირდი, რომ ყოველ ფოშტაში მოგწერ მეთქი, მას აქეთ ყოველ ფოშტაში გიგზავნი წიგნსა. მარტო აღდგომეებში, ქალაქში რომ ვიყავ, ერთი ფოშტა ამცდა. საკვირველია, რატომ არ მოგდის წიგნები ჩემი და უფრო ის მიკვირს, რომ აღდგომა დღეს მოლოცვის დეპეშა გამოგიგზავნეთ და თქვენ არ მიგიღიათ.

დიმიტრის დიდი, უდიდესი და უდიადესი მადლობა მოახსენე ბერძნის განწესებისათვის. არ ვიცი როგორ გადუხადო ეს მადლობა. ღმერთმა მაგის კაიკაცობის და ბედნიერების მეტი არა გამაგონოს რა.

წუხელის ზუბალაანთ წვეულება ჰქონდათ და მაშინ მოუვიდა ზუბალოვს დიმიტრის დეპეშა ბერძნის განწესების თაობაზედ. დავიბარეთ ბერძენი და ვახარეთ. ვერ წარმოიდგენ, რა-

რიგად იამა საწყალს გრეკსა დიდიხნის სურვილის აღსრულება; ვერ წარმოიდგენ, რარიგად დალოცეს ყველამ დიმიტრი მაგ სამადლო საქმისათვის. ღმერთმა დიმიტრის მშვიდობა, დღეგრძელობა და ბედნიერება მიჰსცეს და ღირსიც არის.

საწყალი გრეკი სიხარულისაგან სრულად გაშრა და არ იცოდა რა ექნა და ბოლოს მოვიდა ჩემთან. მე მეგონა ჩემი კოცნა უნდა მეთქი და მეც კოცნისათვის მოვემზადე. მომეხვია საწყალი და ისე აირია, რომ პირის მაგივრად მუცელზედ მაკოცა. სიცილით დავიხოცენით. მართალია, ჩემი მუცელი, როგორც მოგეხსენება, პატივსაცემად გაბერილია, მაგრამ მაინც და მაინც კოცნისათვის დანიშნული არ არის. საკვირველი რამ არის ადამიანი, რა ცოტა ჰსდომებია კაცს, რომ სრულიად ბედნიერად იცნოს თავისთავი.

გაზეთებში წაიკითხავდი, რომ ჩიქოანი სენატმა გაამართლა და სრულად მოშალა ქალაქის პალატის გადაწყვეტილება. ეს ამბავი ყველას იამა და ვიცი შენც გიამება.

გუშინწინ გათავდა თავად-აზნაურობის კენჭისყრა. ამოირჩიეს ისევ ის მარშლები, ვინც იყვნენ, სიღნაღის მარშლის გარდა, იმის მაგიერად დანიშნეს ზაქარია ანდრონიკაშვილი. ჩემზედ დაყარეს ხმა, რომ მე ვითომც გუბერნიის მარშლობა მინდა. ამის გამო მე არ ჩავედი ქალაქსა და კენჭის ყრაში არ დავესწარ. არა, რა ისეთი სულელი მე მიპოვეს, რომ გუბერნიის მარშლობა ვინდომო. როცა მე და შენ გავ[მ]დიდრდებით, მაგაზედ მაშინ ვიფიქროთ, იმ დრომდე კი შორს ჩვენგან.

შენ მაინც არ მომწერე, რა წამოუღო ყმაწვილებს, კატო, დიმიტრი, ყმაწვილები დამიკოცნე; სოსიკო და აგრონოვიჩი მომიკითხე.

იყავ მშვიდობით და ნუ ხარ მოწყენილი.

შენი საუკუნოდ ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

P. S. ჩემის დისწულის სენოს წიგნი მომივიდა იმ-ს კარტოჩკით, ძალიან კარგად სწავლობს. იმის ოსტატები იწერებიან, რომ სენო კლასში პირველია, მაგრამ კი ცელქობსო. მეც წიგნი მივწერე და ხუთი მანეთი გავუგზავნე.

11-ს მაისი [1873 წ.] დუშეთი.

42

ჩემო კარგო ო ლ ი კ ო! გუშინ მომივიდა ქალაქიდამ წიგნი, ოომ ჩემს ადგილას სავახელი დაუმტკიცებიათ და დღე დღეზედ მეც „ატსტავკა“ მომივა. ძლიერ მიამა ეს ამბავი და შენის წიგნებიდამ ჰსჩანს, როო არც შენ გეწყინება. ძლივს მეღირსება შენკენ წამოსვლა და შენი ნახვა. ვერ წარმოიდგენ, რარიგად მოუთმენლად მოველი ჩემს „ატსტავკასა“, რომ ერთი თავიდამ მოვიშორო სამსახურის ვაი-ვაგლახი და ამ დუშეთს სრულიად და სამუდამოდ გამოვეთხოვო. მომწყინდა უშენობა და აქაურობა. ზუბალაანიც წავიდნენ და მე დავრჩი იმათს სახლებში სრულიად მარტო.

რა წამსაც „ატსტავკა“ მამივა და საქმეებს ჩავაბარებ, მაშინვე წამოვალ. სამი დღე, ანუ ორი, ქალაქს დავრჩები, ერთ კვირა კახეთში მომიგვიანდება, და მას შემდეგ შენკენ წამოვალ. წიხათ არ შეგატყობინებ ჩემის ჩამოსვლის დროს. მინდა უეცრად მოვიდე და სურპრიზი გაგიკეთო. მაინც და მაინც ივნისის პირველ რიცხვებში შენთან ვიქნები.

ჩვენი ბანკის საქმისა აი რა შევიტყე: ჩვენი პროექტი „გოსუდარსტვენნი სოვეტში“ გადაუციათ ფინანსების სამინისტროსა. ეგ ცუდი ნიშანია. დამტკიცდება თუ არა, ღმერთმან იცის. დიმიტრი ყაზიბეგი ზის ქალაქში, მე მელის და სიცხით იწვება ჩემს ლოდინში. მე და ეგ ერთად მივდივართ ბაქოზედ და მაინდამ ერთად წავალთ რუსეთს. რუსეთში ორი-სამი თვე დავრჩებით, მეტი არა. იქიდამ კიდევ ბაქოს მოვალ, რომ წამოგიყვანო.

მწერ, დაჩაში გადავდივართო, შორს არის ბაქოზედ ის დაჩა, თუ ახლოა? ამაზედ არაფერს იწერები, ამას კი მწერ, რომ ვიწროდ ვიქნებითო; თუ გაჭირებაა კაკლის ნაჭუჭშიაც უნდა დაეტიო! ვაცი, არამც თუ სამს ოთახში. მეფიცები, ყველაფერს მოვითმენო, და ვიწროობა კი გაშინებს. ახ, ნეტავი ეხლა შენ ჩემთან იყო, ან მე შენთან და მე ვიცოდი რასაც გიზამდი.

სოფია ალექსანდროვნა ქალაქში ბძანდებოდა და ერთი კვირაა, რაც მოვიდა. დიდი ტუალეტები გაუკეთებია, ფერუმარილის წასმა უსწავლია, პრანჭიაობა მოუმატებია და ყო-

ველ ამა სიკეთესთან ისტერიკასაც შეჰსჩვევია, მუდამ იკვეხის, რომ ისტერიკა მომდისო. ამ სულელს ჰგონია, რომ ისტერიკა დიდკაცობის ნიშანია და მეტად ბედნიერად მიაჩნია თავისი უხეირო თავი...

აქ დუშეთში რომ ამისთანა სიცხეებია, მანდ მომწვარ ბაქოში რაღა უნდა იყოს ეხლა. გზაზედ სიცხეებისაგან დიდი ფიქრი მაქვს. აბა ჩემი სიმსუქნე და ჩემ სისქე კაცი, და ამისთანა პაპანაქების დროს მაგისთანა შორი მოგზაურობა. მაგრამ ღმერთი მოწყალეა, ყველაფერი კარგად მოგვივა.

შენი მუხრანიანთ ქალები ვერ დაგითხოვდნენ. მგონი ისინი ამაზედ ისე არა ჰსწუხან, როგორც შენ. მე მგონია, რომ ისინი არც გაითხოვდებიან. მეტად დიდკაცობს იმათი დედა, ასე, როგ ორც ქალები მიუწვდომელ ვარსკვლავებად ჰგონია ქვეყანასა და ყველა ერიდება. მერე მეტად რუსინკაობენ და ჩვენ ეხლანდელს ყმაწვილებს რუსიანკობა ჭირზედ უარესად ეჯავრებათ. ჯერ კი ესეა იმათი საქმე, და ბოლოს რა იქნება, ღმერთმა იცოდეს.

დიმიტრი, კატო თავის შვილებით დამიკოცნე, შალიკოვი მომიკითხე და უთხარი, რომ სერტუკს უსათუოდ მოვუტან.

შენი სამუდამოდ ილია ჭავჭავაძე

17 მაისი. [1873 წ. დუშეთი].

43

ჩემო კარგო და ძვირფასო ოლიკო! მე მშვიდობით და კარგად მოვედი მოსკოვს. მაშინვე შევუდეგ სენოს და კატკოვის ლიცეის საქმეს. ტელეგრამით შეიტყობდი, რომ ლეონტიევმა თანახმობა მითხრა მასზედ, რომ სენოს მეორე კლასში მივიღებო, თუმცა თორმეტზედ მეტის ხნისა არისო. დიმიტრის ურჩიე, რომ სენო ისე ადრე გამოისტუმროს, რომ პირველს აგვისტოს აქ იყოს. ეგზემენიები თექვსმეტს აგვისტოს იწყობა და სენოს ერთი-ორი კვირა უნდა წინა ჰქონდეს, რომ მოემზადოს. მე ღღეს ოთხს საათზედ პეტერბურგში მივდივარ, და თუ იქა-

დამ მალე დავბრუნდი, მაგის, ესე იგი სენოს ეგზამენატორებს, როგორმე გავიცნობ და სენოსაც გავაცნობ, რომ ეგზემენიაში არ შეკრთეს. ლიცეი გარედამ გავსინჯე და ძალიან მშვენივრად და დიდკაცურად მოწყობილია, შინაგანი ვერაფერი ვეო განვიხილე, ვერაფერს თვალი და გონება ვერ დავაკვირვე, იმიტომ — რომ დროება არა მაქვს; პეტერბურგს მივეჩქარები. რადგანაც ამბობენ, რომ ჩვენი ბანკის საქმე ძალიან ცუდად არისო, მინისტრს უთქვამს, რომ პროექტს არ დავამტკიცებინებო, რადგანაც ფული ცოტა ჰქონიათო. თუ მართლა ესე იქნება, შენი მტერია ჩვენი საქმე. მე თითონ კი არა მიშავს რა, იმიტომ რომ მე და შენ როგორც იქნება თავს დავინარჩუნებთ, ვაი ჩვენს თავად-აზნაურობასა.

ელენე გრუზინსკი აქ მოსკოვში არ არის, დაჩაში გადასულა და იქ წასვლა ჯერჯერობით ვერ მოვახერხე. ვერც მუხრანსკი ვიპოვნე. პეტერბურგიდამ რომ მოვალ, მაშინ ვნახავ ყველას.

ათი თუმანი ფული გამომიგზავნე, სენო რომ წამოვა მაშინ. სხვა ფულს კი გაუფთხილდი, თორემ ჩვენი საქმე ძალიან ცუდად იქნება.

მე ტანისამოსი შევაკერვინე თვრამეტ თუმნად, სამი ხელი ტანისამოსი და ოთხი შალვარი, ძალიან კარგისა. თუ მალე წამოვედი, ფული დამრჩება, რომ შენ ხავერდის წამოსასხამი მოგიტანო.

ჩემი ადრესი ეს არის: Москва, Большой Бронный переулок, номера Андреева № 43.

ზახაროვი ვნახე, ძალიან იამა, რომ სენო იმასთან ივლის უქმეების დროს. კარგი კაცი ყოფილა, ღარიბად კი ცხოვრობს. მე ზახაროვმა მითხრა, რომ დიმიტრის მივწერო, რომ სენო ჩემთან მოიყვანონო პირდაპირ. კატოს უთხარი, რომ მეც კაი სახლები მაქვს, თუ სურდეს სენო პირდაპირ ჩემთან გამოგზავნოს; მე ძალიან მოხარული ვიქნები.

მომიკითხე ყველანი, დიმიტრი, კატო, თავის შვილებით დამიკოცნე.

საუკუნომდე შენი ილია ჭავჭავაძე

12 ივლისი [1873 წ.] მოსკოვი.

[წერილის ბოლოში მინაწერი:]

Передай по секрету Дмитрию, что я на счет статьи о красноводском отряде веду переговоры с редакциею Московских Ведомостей. Переговоры еще не окончены.

44

ჩემო საყვარელო ო ლ ი კ ო! მგონი ჩემზედ ძალიანა ჯავრობ, რომ ეს მეორე წიგნი ასრე დაგიგვიანე. შენმა გარდამ, ასეთს ვაივაგლახში ვარ, რომ მეტი არ იქნება. თუმცა ჩვენის უსტავის დამტკიცების საქმე ძალიან კარგად მიდის, მაგრამ ჩვენ არა ბანკში არ გვიშვებენ, რომ რამე შევისწავლოთ. საშინელ გაჭირვებაში ვართ. ქალაქში მივსწერე ეს ჩვენი გაჭირებული გარემოება და არ ვიცი რა პასუხი მოგვივა. ფულები თითქმის სულ შემომეხარჯა და ამისათვისაც მოვითხოვე შენგან ტელეგრამით კიდევ ათი თუმანი, ესე იგი, სულ ოცი თუმანი. მანდ დაგრჩება თექვსმეტ თუმან ნახევარი, რომელსაც გროში არ უნდა მოაკლო, თორემ შინ წასასვლელად ღონისძიება არ გვექნება. მაგ ფულიდამ უნდა ტარანტასი გააკეთებინო, თუ ძალიან ბევრი გთხოვონ სრულიად განახლებისათვის, მაშინ მარტო ის გააკეთებინე, რაც აუცილებლად საჭიროა. თადარიგი ასე დაიჭირე, რომ წასასვლელად თოთხმეტ — ცამეტი და თუ გაჭირდა თერთმეტი თუმანი მაინც ხელუხლებლად დარჩეს.

დიმიტრის ვერაფრად მოუხერხებია, რომ სენოს ეგრე გვიან გზავნის. ცოტა ადრე უნდა გამოეგზავნა, რომ აქ მომზადებულიყო. ჩემმაგიერ დიმიტრის მადლობა უთხარ, რომ დღეობა მომილოცა. სასაცილოდ კი შეეშალათ დიმიტრის ტელეგრამა, თუმცა კი ყველაფერი გავიგე. აი როგორი ტელეგრამა იყო:

Князю А б а д з е

От души поздравияем все желаем успеха все здоровы семья отправляется 2. Старосельский.

სიტყვა სიტყვით და თავის გრამატიკის წესიერობით გადმოვწერე. სასაცილოა.

თუ ამ წიგნმა სენოს მოასწროს, ოცი თუმანი სენოს ხელით გამომიგზავნე.

მიხაკო მუხრანსკი, როგორც ელენე გრუზინსკისა, ვერა ვნახე, რადგანაც დაჩებში არიან. თუმცა ეს მოსკოვი დიდი ქალაქია, მაგრამ მე თითქმის სრულიად მოწყენილი ვარ, პირველი იმიტომ, რომ მე ყველა დიდი ქალაქი საზოგადოდ და მოსკოვი განსაკუთრებით ფრიად მეჯავრება, მეორე იმიტომ, რომ არაფერი აქაური სიამოვნება არ მიზიდავს. ნეტავი ფული მქონოდა, რომ შენც წამოსულიყავ ჩემთან, რომ ერთად გვეცხოვრა „ერთსულ და ერთ-ხორც“ როგორც სამღთო წერილი გვიწერს. რაკი ჩემს საქმეებს გავათავებ ხოლმე, დავბრუნდები შინ და მოელი დანარჩენი დღე მარტოკა ვგდივარ სახლში. ერთხელ საღამოზედ პეტროვსკის პარკში წავედი, იქ რაღაც შატო-დე-ჭლერ არის და წარმოდგენებია ხოლმე. მაგრამ ასეთი სალახანური წარმოდგენა ვნახე, რომ ჩემს თავს სიტყვა მივეც, რომ მეორედ აღარ წავიდე. წარმოიდგინე, ფრანციზული ტრუპპაა, ქალი თუ კაცი სულ უნამუსობას უჩვენებენ პუბლიკას, და უნდა გითხრა, რომ თითქმის მთელი მოსკოვის მაღალი ხალხი იქ ატარებს ყოველს საღამოს. დასწყევლათ ღმერთმა!... დაილოცა კიდევ ჩვენი ნამუსიანი ტფილისი და უფრო ნამუსიანი და მშვიდობიანი ბაქო! ტყუილია ჩვენის დალოცვილის ქვეყნისთანა.

მე ჯერ გარემოებისა გამო არ ვიცი, როდის მომიხდება ჩემს ოლიკოსთან ჩამოსვლა. ქალაქში წიგნი მივწერე რევაზს ანდრონიკოვს და იმის პასუხზედ დამოკიდებულია ჩემი წამოსვლის დრო. ნუ შეჰსწუხდები, ჩემო კარგო ოლიკო! მეცა ვწუხვარ უშენობას, მაგრამ ვითმენ მწუხარებასა. ოღონდ ის საზოგადო საქმე, რომელშიაც მე ბედმა გამრია, კეთილად წარემართოს და ჩვენი პირადი მწუხარება იმის ჭირის სანაცვლოდ იყოს. რამოდენათაც კაცს ვრცელის გრძნობის დატევა შეუძლიან გულში, იმოდენად იგი დიდია. მე რომ მარტო ყვარელი მიყვარდეს და შენ მთელი კახეთი, შენ ჩემზედ დიდი იქნები. და თუ იმისთანაც იქნება, რომ მთელი საქართველო უყვარდეს ის ორივეზედ უდიდესი იქნება.

„აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართვლის ბედმა
და დაე გვძრახონ—ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი“.

ეს ჩემი ლექსი გახლავს, თუ მაიხსენებ. ამ ლექსს გიგზავნი შენ და თან ვატან ჩემს საყვარელს ოლიკოსთან ზედ დაკდომილს კოცნასა და ხვევნას.

დიმიტრი, კატო, თავის შვილებით, დამიკოცნე. კატოს უთხარი, რომ სენოზედ ნუ შეჰსწუხდება, ღვთის მადლით — პატრონები კარგნი ეყოლებიან. ზახაროვი ძალიან მომეწონა. მე გუშინწინ მოვედი პეტერბურგიდამ, გუვერნანტკები თუმცა ბევრნი არიან, მაგრამ იმისთანა, როგორიც კატოს უნდა, ჯერ ვერსად მიპოვნია. პეტერბურგში ვერავინ ვერა ვნახე, რადგანაც სულ შვიდი დღე ვიყავ და აქა-იქ ჩვენი ბანკის თაობაზედ დავრბოდი. პეტერბურგში კი შეკვეთილი მაქვს, რომ თუ კაი გუვერნანტკა შეხვდესთ, მაშინვე შემატყობინებენ.

მამის შენის საქმეზედ აი რა შევიტყე და დიმიტრისაც შენ უთხარი: Министр юстиции дал предложение общему собранию против состоявшагося в пользу князя решения. На предложение министра не согласились сенаторы, и дело перешло в государственный совет. Эсли-б две трети сенаторов (из учавствовавших в общем собрании в разсмотрении дела) перешло на сторону предложения министра, то князь Тадеоз проиграл бы процесс без перехода дела на разсмотрение Государственного Совета. Но, к счастью, большинство сенаторов было против предложения министра. В сентябре в Совете будет поэтому делу доклад. Есть надежда, — что процесс не будет проигран. ამასაც კი ამბობენ, რომ „გოსუდარსტვენნი სოვეტში“ ქრთამით ბევრი რამ რიგდებაო, ამბობენ, რომ სოვეტის სეკრეტრის ხელში დაჭერა აუცილებელიაო.

საუკუნოდ შენი ილია ჭავჭავაძე.

28 ივლისი [1873] წ.
მოსკოვი

45

ჩემო ძვირფასო და საყვარელო ო ლ ი კ ო!

რაც მოვედი, ამით მესამე წიგნსა გწერ და მაინც ჯავრობ. ჭრთი შენი წიგნი, მდივანთან გამოგზავნილი, პეტერბურგში მი-

ვიღე, ორი წიგნი კიდევ, 15 და 22 ივლისისა, ორივ ერთად ერთ დღეს მოსკოვში მომივიდა. ვერ წარმოიდგენ, რა რიგად მიამა შენის წიგნების მოსვლა, ნამეტნავად იმ მხრით, რომ შენ ყოჩაღადა მყევ[ხ]არ, თუმცა ჩვენს მომავალს ცოტა ღრუბელი ეპარება. მე ამას იმაზედა გწერ, რომ ჩვენი ფულიანობა ბეტად თხელდება და შენ მაინც გულს არ იტეხ. მადლობელი ვარ და მოხარული, რომ მაგისთანა გულმაგარი მეგობარი მყევხარ. ნუ შევშინდებით, ქვეყანა ღონიერია.

ამას წინათ ტელეგრამით გთხოვე, რომ ათი თუმანი მომაშველე მეთქი, მერმე წიგნი მოგწერე და გთხოვე ათის მაგივრად ოცი გამომიგზავნე მეთქი. ძალიან გაჭირებული ვარ. ეხლა ჯიბეში ოთხის თუმნის მეტი არა მაქვს და შენი ფული თუ მალე არ მომეშველა, სწორედ დიდს განწირულებაში ჩავ[ვ]არდები, ასეთს განწირულებაში, რომ ვერ წარმოიდგენ. აი ფულის ანგარიში, მე, თუ გახსოვს, სულ ორმოცდათორმეტი თუმანი მქონდა, მაინდამ რომ წამო[ვედი], აქედამ აი რა დამეხარჯა:

1) გზა დამიჯდა — 78 მანეთი.
2) მოსკოვში ორი დღე გასტინიცაში — 11 მ. 70 კაპ.
3) სამი ხელი ტანისამოსი — 177 მ; 40 კაპ.
4) შვიდი დღე პეტერბურგში — 65 მ.
5) იქ წასვლა და მოსვლა მოსკოვს — 24 მანეთი.
6) მოსკოვში სახლი ვიქირავე თვეში და მივეცი — 45 მანეთი.
7) ერთი თვის სადილში — 15 მანეთი.
8) შლიაპა ვიყიდე — 8 მანეთი
9) წაღები ვიყიდე — 9 მანეთი
10) ორი საბანი — 6 მანეთი.
11) ბალიში — 4 მანეთი
12) სამი პერანგი — 10 მ. 50 კაპ.
13) სხვა და სხვა წიგნები — 15 მანეთი
14) ორი ტელეგრამა მოგწერე — 7 მანეთი — 50 კაპ.
15) ორი ტელეგრამა რევაზს — 7 მანეთი — 50 კაპ.

სულ 483 მან. 10 კაპ.

თუ ამ თვის ბოლომდინ შენგან ოცი თუმანი არ მომივა, შენი მტერი იქნება ჩემი საქმე იყოს. სწორედ ყოველისფრით და ყოველის მხრით კარდახშული ვიქნები. ერთის სიტყვით, უსა-

ხლო და მშიერ-მწყურვალი დავრჩები. ვიცი კატოსათვის ძნელი იქნება ეხლა ფულის შოვნა, მაგრამ ათს თუმანს ხომ აგრანოვიჩი მოგცემდა, ათი თუმანიც კატოს გამოართვი, და უსათუ[ო]დ, თუ არ გამოგიგზავნია, მაშინვე. ამ წიგნის მიღების[თანა]ვე, უმალ გამომიგზავნე,

ახლა კატოს საქმეს მოგწერ. ჩემის წიგნებიდამ უნდა ეხლა იცოდე, რომ ელენე გრუზინსკისა და მუხრანსკი ამჟამად მოსკოვში არ იმყოფებიან და ამიტომაც ვერა ვნახე. სენოს ლიცეიაში მიღების თაობაზედ დაწვრილებულს ამბავსა მთხოვ. აი დაწვრილებითი ამბავი: მე თითონ წავედი ლეონტიევთან და პირდაპირ ვუთხარი ჩვენი ნაღველი, ესე იგი, ისა, რომ სტაროსელსკის შვილის მობარება უნდა მეთქი, თორმეტის წლისა და ნახევრისაა მეთქი და მხოლოდ მეორის კლასისათვის არის მეთქი მომზადებული. მიიღებთ თუ არა მეთქი მაგ ხნისას მეორეს კლასში? რასაკვირველია, რომ მე ესე ყოველი თავის შესაფერის წინასიტყვაობით მოვრთე და ერთი ორიოდე გულგასათბობი სიტყვაც ვუთხარი. ჯერ ცოტა იყოყმანა. მეც გავუძვერ და გამოვუძვერ, ხან რა ვუთხარ და ხან რა, და ბოლოს იქამდინ მივიყვანე, რომ თანხმობა გამომიცხადა. მაშ იმის დედ-მამას ვაცნობო მეთქი, რომ თქვენ ნებას აძლევთ მეორე კლასში შესვლისათვის? შეატყობინეთო, მიპასუხა: უსათუოდ, თუ ეგზამენიას დაიჭერსო, მეორე კლასსში მივიღებო. რასაკვირველია მოვაგონე, რომ თითონ დიმიტრიმ ტელეგრამა მოგწერათ მეთქი. მაშინ თითონაც მოიგონა, მართალია მივიღეო. თქვენ რა ხართ სტაროსელსკისაო, მკითხა. — ქვისლი გახლავ[არ]თ მეთქი, — ვუპასუხე. ეს იყო ჩვენი ერთმანეთთან საუბარი.

მე ოცდაექვს[ს] პეტერბურგიდამ მოვედი. ყოველ ცისმარე დღე ჩვენს ბანკის საქმეზედ დავრბივარ და ვერა გავხდით რა. არც ერთს ბანკში არ გვიშვებენ, რომ შევისწავლოთ რამე. მე ამისთანა გულშეუტკივარი ხალხი არ მინახავს, ამის გამო ბევრი დრო გვეკარგება და იქნება დიდი ხნით დავბრკოლდე აქა. თუ არ შევისწავლეთ რა და ისე ხელცარიელები მოვედით ქალაქს, ხომ იცი რამდენს ცილს დაგვწამებენ. აი, ბატონოო,

იტყვიან, ჩაჯიბეს ოთხმოცი თუმანი, გაისეირნესო, და ხელცარიელები მოვიდნენო. მე არ მინდა, რომ ჩემზედ ესენი ჰსთქვან: რაც უნდა მოხდეს, თუნდა ერთი წელიწადი დარჩომა მომინდეს, დავრჩები აქა, რომ შევისწავლო რამე და როგორმე ბანკების კარი გავიღო. ჩემი მწუხარება მარტო ის იქნება, რომ შენ ჩემთან არ იქნები, თორემ სხვაფრივ რის დარდი უნდა მქონდეს. რაკი ეს საქმე ვიკისრე, რიგიანი ბოლოც უნდა მოვუღო. იქნება მე აქ სეკტემბერი და ოკტომბერიც დავრჩე, ჯერ კი სწორედ არ ვიცი. აკი გეუბნები, ერთი ეს მაწუხებს, რომ შენ შეწუხდები, თორემ სხვა არაფერი. მაგრამ შენი კაი დედაკაცობის იმედი მაქვს, რომ ამ დროებით მწუხარებას ისე აიტანო, როგორც მე. ნუ გგონი[ა], ჩემო კარგო ოლიკო, რომ მე არ მაწუხებდეს შენი დიდი-ხნის უნახაობა. უშენობა მე უფრო მტანჯავს, იმიტომ რომ სრულიად მარტო ვარ, შენ კიდევ რა გიჭირს: თავისიანებში მაინცა ხარ. შენი ჭირიმე, კარგად იყავ, ღვთის მადლით. ყველა კარგად მოვა და ბოლოს ისე დავბინაკდებით, რომ ერთმანეთს აღარ გავშორდეთ. ვინძლო ყოჩაღათ იყო, თორემ შენი კუკლუშკა ძალიან შეწუხდება. გუვერნანტკის თაობაზედ ბევრსა ვცდილობთ მე და ზახაროვი და ჯერ ვერაფერს გამხდარვართ. ათასჯერ დაგიკოცნი პირისახეს **და მოგეხვევი.**

საუკუნოდ შენი ილია ჭავჭავაძე

3-ს აგვისტოს [1873 წ.]
მოსკოვი.

[არშიაზე:]

სენოს მოუარეო, მწერ. მაგას რაღა მოწერა და რა თხოვნა უნდა. მე დიდიხანია სენოზედ გული შემტკივა, მაგრამ ვერ დავუახლოვდი მაგ ბა[ვ]შვს, იმიტომ რომ კატოს მე მეფისტოფელი ვგონივარ, რომელსაც ბა[ვ]შვის წაწყმედა შეუძლიან და ცხონება კი არა. ამიტომაც მეც ვერიდებოდი სენოს და ვირიდებდი თავიდამ. აბა ეხლა მე რუსეთში მოვდიოდი, მე კი არ გამომატანა სენო და ანტონო[ვ]სკოვს კი დიდის სიამოვნებით ელოდა, რომ გამოატანოს, განა მე ანტონოვს[კოვ]სზედ მეტად

ვერ მოვუვლიდი და ვერ ვუპატრონებდი. მაგრამ ნაფაიდა!... ჩარხი მოშლილია ორთა შუა ნდობისა.

ნადეჟდა კაპიტოვნა მოიკითხე და უთხარი, რომ მაგის ძმისათვის ყოველივე განკარგულება მოვახდინე. აქ გამოვლაზედ ჩემთან მოსკოვში მოვიდეს და აქედამ მივასწავლი იმ სტუდენტებს, რომელნიც ყოველნაირად შემწეობას მიჰსცემენ.

46

15 აგვისტოს [1873 წ.]
მოსკოვი.

ჩემო კარგო და ძვირფასო ო ლ ი კ ო!

რაც სენო მოვიდა, მას აქეთ შენი წიგნი აღარ მამსვლია. რად დამივიწყე? მე ამას მეოთხე წიგნსა გწერ. გუშინ მოვიდა ჩემთან ვარძიგულოვი, სენოს ამანათები მოუტანა, მაგრამ სენო ვერა ნახა, რადგანაც ლიცეიაში იყო. დღეს სენოს წიგნი მომივიდა და მთხოვდა, შენი ჭირიმეო ძიაო ცხრამეტს ამ თვემდინო ყველას ითხოვენო და მეც წამიყვანეო. დღეს სენო ჩემთან არის, რადგანაც ლიცეიდამ მოვიყვანე. კატოს უთხარ, რომ სენო ძალიან ყოჩაღად არის და ამის ფიქრი ნუ აქვს. ასეთ ნაირად მოვუვლი, მინამ მე აქა ვარ, რომ უკეთესი არ უნდოდეს. მე მეგონა, სენო იწუხებს მეთქი, მაგრამ მადლობა ღმერთსა, მხიარულად არის ჯერხანობით და იმედია, რომ ეგრე იქნება კულავაც. ბევრი მაცინა სენომ, თავის ამხანაგებმა როგორ მიიღეს, როგორ უხუმრეს როგორც პირველად და ახლად შემოსულსა, მერე როგორ შეიჩვიეს. ძველებსა ცალკე პარტია ჰყავთო და მეცო ახლებისაგან ცალკე პარტია შევადგინეო ლიცეიაში და კარგადა ვარო. ასე რიგიანად ვიყავიო, რომ ხუთს დღეში მარტო ათი „ზამეჩანიე“ მივიღეო ტუტორისაგან მაშინ, როდესაც სხვებსო დღეში ასჯერ ზამეჩანიეს აძლევენო და ზოგს კიდეც აჩოქებდნენო. ეხლა სულ იმ ფიქრშია, რომ ისე კარგად მოიქცეს და ისწავლოს, რომ სტიპენდია მიიღოს: Ах дядя, მითხრა მე: как бы мне получить сти-

пендию, вот бы было хорошо.—Да,—ვუთხარი მე: лучшей радости ты не мог бы дать мамаше и папаше. Постарайся и будешь стипендиатом. — Тут-то я буду учиться, дядя! მიპასუხა:—Я ленился в Баку, потому что меня там баловали; здесь не то. —სიტყვა-სიტყვით იმის ნათქვამსა გწერ, არ გეგონოს, რომ თქვენდა ნუგეშად მე ესენი მოვიგონე.

ჩემი საქმისა და დაბრუნებისას აი რასა გწერ: ჩვენი უსტავის დამტკიცების ეხლა დიდი იმედია, უსათუოდ დაამტკიცებენ, ხოლო ცუდი ეს არის, რომ არა ბანკში არ გვიშვებენ, რომ იქაური წესი და რიგი შევისწავლოთ. ამის გამო დაბრკოლებული ვარ, ვცდილობ, რომ როგორმე ფეხი შევდგა რომელიმე ბანკში და ჯერხანობით ამ ცდაში ვარ. შენ კარგად იცი, რომ თუ არ შევისწავლე წესი და რიგი, ჩემი ახალი თანამდებობის ასრულება მეტად ძნელი იქნება და მგონი შეუძლებელიცა. იმას აღარ ვამბობ, რომ ჩვენი მტრები ბობოლები ყელს გამოგვაჭრევინებენ, აი აკი ვიცოდითო, იტყვიან: ჩაჯიბეს ოთხმოცი თუმანი, გაისეირნესო და ხელცარიელები მოვიდნენო. ერთი სიტყვით, მე გადავწყვიტე, რომ მანამ არ შევისწავლი, არ წამოვიდე შინ. ბანკებში შესვლის ნება რომ მოეცათ, აქამდინ ჩემი საქმე ასრულებული მექნებოდა, არ მამცეს და უნდა როგორმე მოვახერხო. ამიტომაც არ ვიცი, როდის მომიხდება შინ დაბრუნება და შენი მოხვევნა, ჩემო კარგო!

სხვა რა მოგწერო? ვგდივარ ამ ოხერს მოსკოვში. დილიდამ საღამომდი შინიდამ თითქმის გარედ არ გავდივარ, მაწუხებს უშენობა და უსაქმობა..

გუშინ მომივიდა ჩემი დის ლიზოს წიგნი კისლავოდსკიდამ. დიდს სამდურავს იწერება, რომ მე აქამდინ წიგნი არ მივწერე. კარგადა ვარო, ხველა დამეკარგაო და 17 აგვისტოს ვათავებ წამლობასაო და ქალაქს მივდივარო. ჩემი ძმისწული სენო მოსკოვიდამ სადღაც წასულა და აქამომდე ვერ შევიტყე სად არის.

აგრონოვიჩმა მარტო ათი თუმანი მამიტანა, მაშინ, როდესაც მე მოველოდი ოცს თუმანსა. შენი ჭირიმე, ოლიკო, დანარჩენი ათიც მალე გამომიგზავნე. მას მერედ შენ დაგრჩება

ჩვიდმეტ თუმნამდინ კიდევ, რომელსაც ძალიან უნდა გაუფრთხილდე, იმიტომ რომ ჩვენი ავლადიდება ეგ არის.

დიმიტრის ვერ მივწერე გუვერნანტკის საქმე, ეხლა უნდა შენ უთხრა აი ეს: მე ძალიან ვცდილობ, რომ ვუშოვნო კარგი გუვერნანტკა, ყველგან ვისთანაც პირი და ხელი მიმწვდა ვსთხოვე, რომ კარგი მიშოვნონ. ბევრი არიან, მაგრამ მათში კარგნი მეტად ცოტანია. პეტერბურგში ვერც ერთი დიმიტრის ნაცნობი ვერა ვნახე, მოცლა არა მქონდა.

ოლიკოჯან! 11-го октября настает срок банку наших выигришных билетов. Пошли в Тифлис сестре моей Лизе квитанцию банка, чтоб она в срок выкупила и вновь заложила на мое имя, иначе не позволят ей выкупить. Она при этом издержит девять рублей, которые мы ей и вручим по приезде. Напиши Лизе, чтоб она непременно до срока выкупила и вновь заложила и пошли скорее страховым, со вложением квитанции банка, которую я тебе оставил. Главное, напиши ей ясно и подробно, чтоб поняла в чем дело. Эсли Яссе Чавчавадзе в Тифлисе, то пусть она нашу квитанцию передаеть Яссею. Я ему напишу, как с нею поступить. Знай, что это должно быть сделано очень скоро. კახეთიდამ არაფერი ამბავი არ ვიცი, საჭირო კი იყო შემეტყო, გარიგდა იქ რამე ჩვენი შენობის და შემოსავლის საქმე თუ არა. ნინუცას მისწერე წიგნი და ჰსთხოვე, ყველაფერი გვაცნობოს ან შენ, ანუ მე. გაკოცებ ოთასჯერ და ათიათასჯერ, დიმიტრის, კატოს და იმის შვილებს დავკოცნი.

იყავ მშვიდობით და ნუ შესწუხდები

შენი საუკუნოდ ი ლ ი კ ო.

[არშიაზე]:

აგრონოვიჩი გუშინ პეტერბურგს წავიდა. ეს ეს არის შენი უკანასკნელი წიგნი მომივიდა, — პასუხად ამას გწერ, რომ მე ის ფულებს ვერ მომცემს, იმიტომ რომ სულ წუწუნებდა, მინამ აქ იყო, ფულები მაკლდებაო. ეხლა ის პეტერ-

ბურგშია, როცა მოვა, ვეტყვი. თუ მომცა ათი თუმანი ხო კარგი, თუ არა და შენი მტერია ჩემი საქმე იქნება.

ტარანტასის ამბავს მწერ, ძალიან ძვირად მიგიცია გასაკეთებლად. ტყავს გარედამ ლაქის წასმა არ უნდოდა. იმას კი აღარ მწერ, внутри новая будет обивка или нет, — მომწერე. ჩემი ნაბადი რჩილმა არ შეჭამოს.

47

საყვარელო ო ლ ი კ ო!

შენმა უკანასკნელმა წიგნმა მასიამოვნა იმ მხრით, რომ შენ გულმაგრადა ხარ, და ცოტად შემაწუხა იმ მხრით, რომ შეუძლოთ ყოფილხარ. კარგად იყავ თორემ არ ვიცი რას გიზამ.

შენ ამას წინად მწერდი, რომ სერჩენკომ ტარანტასი გასაკეთებლად მიჰსცაო ექვს თუმან ნახევრად, სულ უნდა გეეახლებინათო გარედამ და შიგნიდამ. ეხლა მწერ, რომ ცხრა თუმნად მიჰსცაო, მერე იმავ წიგნში იწერები ოცდა ხუთ მანეთადაო. ერთის სიტყვით შენმა წიგნმა სულ ვერა გამაგებინა რა ჩვენი ტარანტასისა. ერთი დაწვრილებით მომწერე ტარანტასის საქმე.

გივის ავადმყოფობა ძალიან მეწყინა, უფრო იმით, რომ შენ იწერები, ძალიან ავად არისო. სენოს ნუ შეატყობინებო გივის ავადმყოფობასა, შენა მწერ. სენომ თავისის დების წიგნიდამ შეიტყო გივის ავადმყოფობა. გუშინწინ სენოსთან ვიყავ ლიცეიაში, კანფეტები წაუღე. ეხლა ძალიან კარგადა ვარო, მითხრა სენამ. დიდებში დამაწვინესო და ისინი მესარჩლებიანო, ეხლაო არავინ ვერას მიშავებსო იმათის შიშით. სენო მიეჩვივა იქაურობას და მხიარულად არის. ამისი ფიქრი ეხლა ნურაფრისა გაქვთ. მე მეშინოდა, არ იწუხოს მეთქი, რადგანაც პირველად მოშორდა მშობლებს და შინაურობას, მაგრამ ეხლა ასეთნაირად მიეჩვივა ლიცეიას და ამხანაგებს, რომ ღვთით, იმედია, აღარ ინაღვლებს. დღეს შაბათია და სე-

ნოს ჩემთან საღამოზედ მოვიყვან, ხვალ კვირა დღეს სენო-ლაზარევთან არის დაპატიჟებული.

აგრანოვიჩი პეტერბურგიდამა ჯერ არ მოსულა. არ ვიცი რომ მოვა, მომცემს თუ არა ათს თუმანსა. მგონი, არ მომცემს, იმიტომ რომ, აქ რო იყო, სულ წუწუნებდა, ფული არ მაქვსო. თუ არ მომცა, ჩემი საქმე ცუდათ იქნება.

ძლივს გავირიგე ბანკში შესვლა. ორშაბათიდამ დავიწყებ ბანკში სიარულსა. იქით კვირას მოგწერ, რამდენი ხანი მომინდება ბანკის წესის შესწავლისათვის. რაკი შევისწავლი, მე აქ საქმე აღარა მექნება რა და წამოვალ, თუ ქალაქიდან „ნაბლიუდატელნი კამიტეტი“ მომწერს, რომ მანდ ნუღარ დარჩებიო; და თუ მომწერს დარჩიო, მინამ უსტავი დამტკიცდებაო, მაშინ დავრჩები და უნდა კიდეც დავრჩე. ხოლო ამ უკანასკნელს შემთხვევაში ფულს მომაშველებენ. საქმე ბანკისა ისეთ მდგომარეობაშია, რომ ჩემი დარჩენა საჭირო არის, ვიდრე უსტავი დამტკიცდება.

ეხლა ამაზედ წიგნი მივწერე რევაზს და პასუხს ამ დღეებში ველი. თუ მომწერენ, ნუ დარჩებიო, სექტემბრის ბოლოს ბაქოსაკენ წამოვალ, მგონი.

მა[ნ]სვეტოვისაგან რა ცნობა მოგივიდა? სახლის ქირა შეაქვს თუ არა პრიკაზში? რატომ არას იწერება?

ჩემი ძმისწული სენა არ მოსულა მოსკოვს, ამბობენ ამ თვეში მოვაო.

კატო, დიმიტრი, ყმაწვილები დამიკოცნე.

შუბა და საათები მომიტანა იმან, ვისთვისაც გამოგეტანათ.

შენი სამუდამოდ ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

25 აგვისტო [1873 წ.]
მოსკოვი.

48

ჩემო სანატრელო ო ლ ი კ ო!

აგრანოვიჩი მოვიდა პეტერბურგიდამ და მომცა კატოსაგან ნაბრძანები ათი თუმანი, დღესაც მირზოევის კანტორი-

დამ მომივიდა ათი თუმანი, — სულ შენგან მივიღე უწინდელითურთ ოცდაათი თუმანი, რომლისათვისაც შენა მრავალჯერ გკოცნი და კატოს მადლობას მოვახსენებ. ეხლა მე მდიდარი ვარ, უფულობის ფიქრი აღარ მაშინებს, როგორც აქამდინ მაშინებდა. ეს დარდიც მოვიშორე. ხოლო ეს ძაღუხებს. რომ მანდ ფული აღარა გვექნება რა და რით მოვახერხებთ მაინდამ შინ წასვლას? ეგ ღმერთმა იცოდეს.

მე ამას წინად დიმიტრის ერთი ცუდი ამბავი მოვწერე სენოს თაობაზედ. ხომ ძალიან არ შეწუხდა, მომწერე. კატოს კი არა უთხრა რა, რომ მე დიმიტრის სენოზედ მოვწერე რამე: ეს საიდუმლოა.

მე ეხლა ძლივს შევდგი ფეხი ბანკში და რაც საჭიროა ვსწავლობ. დილიდამ ათ საათიდამ ოთხ საათამდე ბანკში ვარ ხოლმე. ორი ნაწილის საქმის დაწყობა შევისწავლე, ორი კიდევ დამრჩა. იმ კვირას სულ ღვთით გავათავებ. თუ 15-ს სექტემბრამდინ რევაზისაგან ანდრონიკოვისაგან აქ დარჩენის ბრძანება არ მომივა (იმიტომ რომ სხვა და სხვა ბანკირებთან სალაპარაკო ბევრია), მაშინ ოცს სექტემბერს მაინდკენ წამოვალ. თუ მომივიდა კი, მაშინ ჯამაგირსაც დამინიშნავენ და უნდა დავრჩე იმ დრომდი, ვიდრე უსტავი დამტკიცდება და ბანკირებთან საქმეს გავათავებ. აი ჩემის აქ ყოფნის თავი და ბოლო ეს არის.

გუვერნანტკის შოვნა ფრიად და ფრიად გაჭირდა. ბევრნი არიან, მაგრამ კარგთაგანი ცოტაა. ვინც კაი ნაცნობია, ვინც იმისთანა არის, რომლის რეკომენდაციასაც მიენდობა ადამიანი, — ისინი სულ უარზედ არიან გუვერნანტკის შოვნაზედ. აი ამას მეუბნებიან:

Порядочная гувернантка редкость. Трудно принять на себя ответственность в выборе гувернантки тому, кто понимает всю важность и значение этого выбора. მართალნიც არიან. აბა პატიოსანი კაცი როგორ გაბედავს ჩააგდოს ბავშვების ბედი უვარგისის დედაკაცის ხელში, კარგები კი, როგორც წინად ვჰსთქვი, ცოტანი არიან: Тут целыми годами выжидают случая найти порядочную гувернантку, долго и

долго высматривают, и если заметят ее у кого нибудь, то употребляют все средства, чтоб ее переманить к себе из дома, где высматрели. სწორედ არ არის რიგიანი გუვერნანტკა, თუ არიან სულ დაჭერილები არიან.

ძე ზახაროვის ძეობებით და იმის ნაცნობის დუბროვინის შემწეობით დამპირდნენ ამ ერთს კვირაში გუვერნანტკის შოვნას. ერთი ვიღაც ბებრუხანა ანგლიჩანკა არის დუბროვინის სახლობის მეგობარი, იმან აღმითქვა გუვერნანტკის შოვნა. ვნახოთ რა გამოვა. პეტერბურგშიაც დამპირდნენ, ერთი რუსის ქალიაო, ძალიან კარგია თურმე, ვიღაც სლეპცოვთან არისო, იქიდამ გამოვიყვანთო, თუ გარიგდებით ფასზედაო. აქამდინ არც პეტერბურგიდამ მომსვლია ამ საგანზედ დაწვრილებითი ამბავი. კატოს და დიმიტრის უთხარ ჩემმაგიერ, ძალიან ნუ აგვაჩქარებს. ისა სჯობია, გვიან იყოს და კარგი, ვიდრე მალე და ვინ იცის როგორი. ესეც უთხარი, რომ რა წამსაც ტელეგრამით ვაცნობო, ვიშოვე მეთქი გუვერნანტკა, მაშინვე მირზოევის კანტორით ფული გზისა და ორიოდე თვის ჯამაგირი გუვერნანტკისათვის გამოგზავნონ. ფულის რიცხვს ტელეგრამითვე ვაცნობებ.

სენო ეხლა ძალიან კარგად დაბინავდა. მე წინდაწინ რო მოვედი, გავიცანი უფროსი ტუტორი ვლადიმირ ანდრეიჩი გრინგმუტი. პირველ შეხვედრაზედვე ძალიან მომეწონა და მიმიზიდა, მინდოდა, რომ ეს გამხდარიყო სენოს ტუტორად. ძნელი ეს იყო, რომ მაგას მეხუთე კლასის შაგირდები აბარია და სენო მეორისა არის. ვჰსთხოვე, რომ როგორმე მეეხერხებინა სენო თავის „ატდელენიაში“ გადაეყვანა და თვითონ საკუთარი ყურადღება ჰქონოდა. წარსულ კვირას მახარა, რომ სენო თუმცა მეორე კლასის შაგირდიაო, მაგრამ ჩემს „ატდელენიაში“ გადმოვიყვანეო. ძალიან მიამა და დიდი მადლობა უთხარი. მეხუთე „ატდელენიაში“ სენოს რძის მაგიერ ჩაის ასმევენ. თეატრში და სხვა სალხინო ადგილებში დაჰყავთ, მაშინ როდესაც მეორე კლასის „ატდელენიაში“ ჩაის არავის არ ასმევენ და თეატრშიაც არ დაჰყავთ არავინ.

იქნება გრინგმუტი ზაფხულშიაც გამოჰყვეს სენოს ბაქო-

სა. მე ამაზედ გრინგმუტს სიტყვა ჩამოუგდე, და თუმცა პირობა არ მომცა, არც უარი მითხრა, ვნახოთ, კულავანდელი ზაფხული რას იტყვისო. მე მგონია, რომ წამოვა, თუ კატო საჭიროდ დაინახავს. მე ვჰსთხოვე, რომ დიმიტრისთან მიწერ-მოწერა იქონიოს სენოს თაობაზედ. დამპირდა. კვირა დღეს მე ვიყავ ლიცეიაში, ვკითხე გრინგმუტს სენოს ამბავი და შითხრა, მე ძალიან კმაყოფილი ვარო, კარგად იქცევაო და სწავლობსო. მიხარებია დიმიტრისათვის და კატოსათვის ეგ სასიამოვნო ამბავი. სენო მოკეთდა, ფერზედ მოვიდა სახე ისე შეშუპებული არა აქვს, როგორც მანდა ჰქონდა. სწორედ გაკეთდა. ამას წინად სენოსა და კატკოვის შვილსა ჩხუბი მოსვლოდათ, სენოს მიეტყიპა კატკოვის შვილი, თუმცა თითონაც ლოყაზედ დალურჯებული ჰქონდა. გეერჩიათ ეს საქმე და სენო გაემართლებინათ. ეხლა ხელს აღარავინ მახლებსო, მითხრა სენომ, მეხუთე კლასის შაგირდები მექომაგებიანო.

რომელი სიტყვებიც ქვემოდან შემოხაზულია ის დიმიტრის ცალკე წაუკითხე; თითონ გაიგებს, რასაც ნიშნავს. ეს პოლონდელი სიტყვები კატოს არ წაუკითხო.

მოგეხვევი შენ ათასჯერ, კატოს, დიმიტრის და მათ შვილებს, დავკოცნი მარად შენი ილია ჭავჭავაძე.

31 აგვისტო [1873 წ.]

[აშიაზე]:

წუხელ ლაზარევთან დაპატიჟებული ვიყავ, ჩამსვეს დაწყევლილს ბეზიკში და ცამეტი მანეთი მომიგეს. წარმოიდგინე, ამ სიკოტრეში რა გუნებაზედ წამოვიდოდი შინ. იქ ვიღაც სტეფანოვი თელაველი სომეხი ვნახე თავის ცოლით. „უჩასტკის უპრავლენიეს პისარი“ იყო ყვარელში ამ ოცის წლის წინად და ხუთი მანეთი ჯამაგირი ჰქონდა. იმისი ცოლი ნახევარზედ მშიერ-მწყურვალი ეგდო. ეხლა ეგ სტეფანოვი მილიონერია. მე და იმისი ცოლი ვიზავი ვისხედით ვახშამზედ. ჩემ გვერდით ერთი ვიღაც დოქტორი იჯდა. სტეფანოვის გომბიო

ელაპარაკებოდა იმას, სხვათა შორის დამტვრეულის რუსულით ეუბნებოდა: я оценна лублу пикантный блюдо. მახოხით გაბერილს ვერ უყურებ? ძლივ დავიჭირე სიცილი, ვერ წარმოიდგენ რა სასაცილო იყო.

შაჰის ამბავი დაწვრილებით მომწერე, ისე კი რომ წაკითხვა შეიძლებოდეს. ჩემი ძმისწული ჯერ არ მოსულა. გაზილა რასა იქს?

დავნატრი და მშურს, რომ ეს ჩვენი უკეთესი და უწარჩინებულესი ივან ალექსეიჩი ხვალ მანდეთ მოდის. ნეტავი მაგას, გნახავთ ყველაკასა. შენი და კატოს ფერჩატკის ნომრები შემომითვალე. თუ ფული შემრჩა, წამოსვლის დროს თითო დუჟინს გიყიდით. საკვირველი მაღაზინი ვიპოვე. მე ამისთან, პერჩატკის ტყავი არსად მინახავს, როგორც რეზინი ისე იჭიმება: 1 მ. 50 კ. თითო წყვილია. მაგრამ მგონია თითო წელიწადს გაჰსძლოს.

49

ჩემო საყვარელო და სანატრელო ო ლ ი კ ო!

შენი წიგნი მივიღე და შენს კითხვაზედ აი რა რჩევას გაძლევ: ძალიან კარგს იზამ, რომ ან საგინოვს, ან დიმიტრის გაჰყვე სიღნაღამდინ. ტარანტასი და დიმიტრა ბიჭი სოსიკო შალიკოვს გაატანე, მაინც „ოტპუსკში“ მიდის და უნდა იამოს კიდეც, რომ ეკიპაჟით წაბძანდება. როცა მოდიოდეს, სოსიკოს დააბარე, რომ ტარანტასი ჩემს დას ნინუცას ჩააბაროს. როცა შენ ბაქოდამ წახვალ, ნიკოლოზს მიჰსწერე და ჩვენს ტარანტასს ჩვენის ცხენებით სიღნაღში დაგახვედრებს და იქიდამ კარდანახში გადაგიყვანს. მინამ მე მოვალ, შენ ჩემ დასთან ნინუცასთან უნდა იყო, იქიდამ ორ კვირაში ერთხელ, თუ საჭიროება მოითხოვს, ტრანტასით ყვარელს გახვალ დასახედავად. ბინა ნინუცასთან იქონიე, იმიტომ რომ ყვარელში შეგაწუხებენ, ზოგი მუშები, ზოგი სახლის ხარჯი, ზოგი საწყალი მამიდას მოვალეები. მე ძალიან ვწუხვარ, რომ შენ უფუ-

ლოდა მრჩები, ძალიან მწყინს, რომ შენ მაგისთანა უანგარიშო მდგომარეობაში ჩაგაგდე. მაგრამ რა გაეწყობა მოთმინების მეტი, მხოლოდ შენი წიგნები დიდს ნუგეშს მაძლევენ, რომ შენ ყველაფერს ნაკლებულებას აიტან, ჩემო კარგო! აი ეხლა მოვიდა დრო, რომ კაი დედაკაცობა გამოიჩინო. აქამდის мы с тобою были у бога за пазухою. Теперь же, к счастью или к несчастью, настало время вынести всю тяжесть и невзгоду необезпеченного положения. Я надеюсь на тебя, как на дорогую мою подругу. Будем тверды, авось настанут лучшие времена. Будь ты только молодцом, подкрепи меня своею энергиею, поддержи меня своею готовностью преодолеть невзгоду, а там мы вывернемся как нибудь из беды и не погибнем в борьбе из за насущнаго хлеба. Дай мне только с честью выйти из банковского дела, с которым, быть может и опрометчиво, связал судьбу всего того, что мне было дорого в этой жизни, а там заставим судьбу еще раз нам улыбнуться и поворотить к нам Свой оглобли.

Третьяго дня я получил от Ревазa письма, с помощью которых я получил возможность попасть в Тульский поземельный банк, который теперь переводится в Петербург и окончательно устроится в Петербурге не ранее 16-го сентября, а потому мои занятия в этом банке начнутся после 16-го сентября. Кроме того, даны мне новыя поручения, выполнение которых требует моего пребывания в Петербурге до ноября. У меня теперь всего на веего двести руб. Этими деньгами я должен прожить в Петербурге до ноября и сверх того поехать обратно в Тифлис. Представь мое положение!.. Если в Кварели ты усмотришь возможность выгодно продать урожай, то продай и рублей двести пришли мне; если же нет—не беспокойся, обойдусь как нибудь.

Завтра в четыре с половиною часа уезжаю в Петербург с полным огорчением, что приходится еще дальше быть без тебя. Ты вообразить себя не можешь, как без тебя мне скучно!... Сегодня я ходил к Сене прощаться, повез ему конфеты. Бедный так разрыдался, что я сам прослезился и по сие время не могу успокоиться. С некоторого времени я стал каким то слезливым.. შენმა გარდამ, ეხლაც გული ამომჯდარი მაქვს სენოს გამოისობით. საწყალმა ბევრი იტირა, მომეხვია ყელზედ და აღარ მიშვებდა. შემრცხვა, ხალხი იყო, მეც ამატირა, ღმერთმა დალოცოს და თავის დედ-მამის ნუგეშად კაი კაცად გამოიყვანოს..

ტუტორს ჩავაბარე. გრინგმუტს, შევეხვეწე თვალყური ეჭიროს და კარგად მოუაროს. პირობა მომცა ტუტორმა, მითხრა, სენო კარგად იქცევაო და რიგიანად სწავლობაო. კიდევ მიხარებია კატოსთვის.

Итак, моя дорогая: ты отправляйся с Сагиновым или Дмитрием Семеновичем до Сигнаха, экипаж наш и человека отправь с Шаликовым, перед выездом сообщи Николозу, чтоб он тебя с тарантасом и лошадьми встретил в Сигнахе, в остальном советую поступить так, как я писал выше.

Письма пиши в Петербург по следующему адресу: Малая Садовая, дом № 8, квартира № 24, Спиридону Бежановичу Мдивани, с передачею мне.

Телеграмму о гувернантке я получил. И слава Богу! Ты не знаешь, как трудно было достать порядочную гувернантку. Часы Кати, твои и Шаликова привезет Лазарев. Я ему заплатил за это 14 руб. Если бы знала, что значат теперь в моем положении эти 14 рублей!.. Из них на долю Шаликова достается Шесть руб. Целую и обнимаю всех Вас, а мою Ольгу больше всех.

Твой навсегда Илья Чавчавадзе.

6 Сентября. [1873 г., Москва]

50

საყვარელო ოლიკო! ეხლა მე პეტერბურგში ვარ და ვსდგევარ На Караванной улице в доме Мальцова, квартира № 7. აქ კი უფრო არა ვარ ისე მარტოდ-მარტო, როგორც მოსკოვში ვიყავ, იმიტომ რომ აქ ბევრი ჩვენი ყმაწვილები არიან, სანდრო ამერიკანელიც აქ არის. იმათ შორის ვაინაჩრობით ვატარებ დროებას. ახ, ნეტავი შენც ჩემთან იყო და სხვა არა მინდა რა. საშინლად მინდა ჩემს ქვეყანაში წამოსვლა და შენი მოხვევნა, მაგრამ „ამაო, ჩემო იარალი, სად ჩემი ნატვრა და ჩემი როტვა!“

ეს ეს არის, შენი მოკლე წიგნი მომივიდა და ძალიან მიამა. რატომ გრძლად არა მწერ შენებურად? ჯერ დამაჩვიე გრძელი წიგნების კითხვას და ეხლა კი მიზოგამ. დაიცა, ერთი ვნახო

ჩემი კუკლუშკა, მე ვიცი რა რიგადაც გადავახდევინებ მაგ სიტყვაძვირობას.

ჩემო კარგო! შენ მწერ, რომ თერთმეტი თუმანი დამრჩაო. ვაი რომ არა. მე აქ აგრონოვიჩმაც მომცა და მამიკონოვისაგანაც მომივიდა, მაშასადამე სულ ერთი თუმანიღა გაქვს. ფრიად ცუდი, ფრიად ცუდი! „ვჰსტირ და ვღრიალებ“ აგრე ჩვენის ფინანსების გამოლევაზედ, მაგრამ ჩვენი შემწე იყოს მაღალი ღმერთი, რომელსაც არა აქვს ისეთი ჩვეულება, რომ ფულები ციდამ ჩამოყაროს. მაგრამ მაინც კიდევ იმედია. რამდენი ჩვენზედ უფრო უფულოა და უნუგეშო. თუ კი ისინი თავს არ იტკივებენ, მე და შენ ხომ სიხარული გვეკუთვნის. ვიყვნეთ ორნი ტოლნი, ორნი მეგობარნი, გულუხვად და ჯიბე კუტრად, უფრო სუბუქად ვივლით, იმიტომ რომ გულუხვობას წონა არა აქვს.

აო ვიცი, დღეს რა მაოხუნჯებს, თითქო ჯიბეში მილიონი მქონდეს. შენმა წიგნმა თუ მასიამოვნა? სწორედ ეგრეა, ჩემი სანახავად სანატრელო მეგობარო! ვაი მილიონერებს, რომ ფული ბევრი აქვთ და გრძნობა ცოტა. ნეტა ჩვენ, რომ გრძნობა ბევრი გვაქვს კაცური და ფული კი ცოტა. ორივე ერთად, რომ იყოს, მეტის მეტია. ამით ვინუგეშოთ და დავსდუმდეთ.

მიკვირს, ღმერთმან იცის, ჩემი წიგნების დაგვიანება. ერთი წიგნი, რომელსაც შენ ელოდი, აგრონოვიჩს გამოვატანე და კვირას უნდა მიგეღო, მეორე წიგნი ოთხ დღეს უკან მოგწერე და ისიც იქამდინ მიღებული გექნება. ამ უკანასკნელ წიგნში მოგწერე შენის ყვარელში წასვლის თაობაზედ. ამაზედ ვჰსწუხვარ, რომ შენ უფულოდ დამრჩი, მაგრამ ყვარელს რომ მიხვალ, გაჰყიდი რასმე და ფულიც იქნება. აბა ვინძლო ყოჩაღად მოიქცე და მამულს კარგად მოუარო. სულ ამას ჩიოდი, რომ მოსავლელი არა მაქვს რაო და რა გავაკეთოო. აი ჩემი მამული შენის ჭირის სანაცვლოდ შენთა ფეხთა ქვეშ ფიანდაზად გამიშლია.

ჩემი საქმეები ეხლა ცოტად გამოკეთდა, მხოლოდ ჯერ ბოლო ვერ მოელო, იმიტომ რომ ქალაქიდამ სხვა ბევრი რამ შომახვიეს გასარიგებლად. თუმცა ოცდაათი თუმანი კიდევ და-

მინიშნეს, მაგრამ ისეთნაირად დამინიშნეს, რომ ჩემი ღირსება ნებას არ ძაძლევს, რომ ის ფული მივიღო, ამისათვის უარვყავ ის ფული სრულის ჩემის ადამიანობის საზიზღარობითა. გლახა-ამპარტავანიო, იტყვიან ჩვენში. თვისის ღირსების დაცვა ყოვლის მოვალეობაა. მგონი, შენც დამეთანხმები. ფულიანს უკეთურობას ჰსჯობსა უფულო ღირსება. ძალიან მოლექსობა დავიწყე შენთან, ჩემო კარგო ოლიკო! ამით იცოდე, რომ შენთან ლაპარაკი ყოველს სევდიანობას გულიდამ მაშორებს და მამხიარულებს. ამისათვის მინდა რომ ტუჩებში გაკოცო, მაგრამ შენ სადა და მე სად? მე ვერ წარმომიდგენია ის წუთი, რომელიც მე და შენ შეგვყრის კიდევ!

ჩემს თავს ფიცი მივე, რომ თუ კიდევ ამისთანა შემთხვევა შემემთხვა, შენც თან წამოგიყვანო ხოლმე, უშენობა ჩემთვის მეტად ძნელი ასატანია. ვგრძნობ და ვნაღვლობ. მით უტკბილესი იყოს და იქნება ჩვენი ერთად ყოფნა განუყრელობის აზრით შემკული და მორთული.

აქ პეტერბურგში მე დავდივარ ჩვენ ძველ პროფესორთან ჩუბინოვთან, ვარვარა ილინიშნასთან, რომელმაც შენ სიყვარულით მოგიკითხა, ვანო ორბელიანთან, ლადო ამილახვართან და ამ დღეებში ვნახავ გიორგი შარვაშიძესაც, რომელიც ჩემთან ყოფილიყო და მე შინ არ დავხვდი. თუმცა არ ვიცნობ, მაგრამ მოსულიყო ჩემს სანახავად. აქ უფრო ცოტაოდენი **გართვა მექნება,** იმიტომ რომ ჩვენებში ვიტრიალებ. შენც რომ აქ მყვანდე, ჩემს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფდა. მაგრამ ნატვრა ნატვრადა მრჩება, ამაო ამაოდა უშენოდ, ყოველივე ამაო.

ეხლა ასეთს გუნებაზედ ვარ, რომ ძალიან კარგ ლექსს დავწერდი, რომ თორმეტს საათზედ ცარსკი სელოში წასასვლელი არ ვიყო საქმეების გამო.

ჩემს უფულობაზედ ნუ ინაღვლი. აქ ფულის შოვნის სახსარი მაქვს, თუ დამჭირდება. დღესა მაქვს სულ თორმეტი თუმანი და სახლის ქირა ერთის თვისა წინ მიღებული. შენმა გარდამ, არ ვიცი რად მეხარჯება ეგრე მალე ფული. არ დაიჯერებ, რომ ჩემს სიამოვნებაზედ გროში არ დამიხარჯავ, ჯერ თეატრი არ მინახავს, მოსკოვში კი ვიყავ, ისიც აგრონოვიჩის

ხარჯზედ. ჩემი სიამოვნება მარტო ეს არის, რომ კვირაში ერთს ბოთლს ღვინოსა ვყიდულობ, ბოთლს ათ შაურადა, სხვა არაფერი. იყავ მშვიდობით, ჩემო კარგო, და მანუგეშე მე. მომიკითხე ყველანი.

შენი საუკუნოდ ილია ჭავჭავაძე.

12 სექტემ [ბერი, 1873 წ., პეტერბურგი.]

51

ჩემო ოლიკო!

ვერ წარმოიდგენ, რა რიგად მომწყინდა აქაურობა და შენზედ შორს ყოფნა. ეს მეორე კვირაა, რაც პეტერბურგში ვარ მოწყენილი, დავრდომილი და დაჩაგრული იმით, რომ ჩემი კუკლუშკა შორს არის და ჩემს ახლოს არ ტიტინებს. საშინლად მინდა შინ წამოსვლა და შენი კოცნა, მაგრამ რა ვქმნა? საქმენი ამის ნება[ს] არ მაძლევენ.

ჩვენი უსტავის საქმე უიმედო არ არის; თუმცა ცდილობენ, რომ ჩვენი უსტავი არ დამტკიცდეს, მაგრამ ფინანსის მინისტრი ჩვენკენ არის. სამშაბათს უნდა გამოვეცხადო და დავეღრიჯო, მოწყალება თვისი არ მოაკლოს ჩვენს წადილის აღსრულებას. იქნება ამ დღეებში კონსტანტინე ნიკოლაევიჩიც ვნახო, რადგანაც „გოსუდარსტვენნი სოვეტის“ თავმჯდომარე ეგ არის. ძალიანა ვფაცურობ და არ ვიცი რა გამოვა ამ ფაცურობიდამ.

აქ ვარვარა ილინიშნა არის, ვანო ორბელიანი და გიორგი შარვაშიძე თავის ცოლით და დითა. ხანდისხან ამათთან დავდივარ ხოლმე და დროს ვატარებ.

მე ძალიანა ვწუხვარ, რომ ამ კვირია შენი წიგნი არ მომივიდა. რა მიზეზია? მოსკოვში ჩემი ადრესი დაუგდე და რა წამსაც შენს წიგნს მიიღებდნენ, გამომიგზავნიდნენ. მაგრამ ეს კვირა გადის და შენი წიგნი არსაით არის. არ ვიცი რა ვიფიქრო, და რას მივაწერო ეგ შენი უწიგნობა. მომწერე ხოლმე, ამ უხეირო და უმადურს ქვეყანაზედ შენღა ხარ ჩემი უკეთესი

იმედი და ნუგეში და შენს ამბავს და წიგნსა ნუ დამიძვირებ, თორემ.... თორემ... თორემ გაკოცებ.

გუშინ ვნახე ირაკლი მუხრანსკის შვილი, ძალიან იამა ჩემი ნახვა; შენც გიკითხა. კულავ თიბათვეს ის კურსს დაასრულებს და უნდა აქავ სამსახურში შევიდეს, რომ აკადემიისათვის მოემზადოს. ღმერთმა ხელი წარუმართოს: კაი ბიჭსა ჰგავს.

ყვარლის ამბავი ვერა შევიტყე რა. მოგვივიდა რამე, თუ არა? საშინლად მეშინიან, რომ არ დავსეტყვილიყავით. თუ არ დავისეტყვენით, კიდევ იმედია, რომ როგორმე ხელს მოვიცვლით, ორიოდე გროში გვექნება. არ ვიცი, რაც ასაშენებელი იყო წელს, აგვიშენეს, თუ არა. საკვირველი ხალხია ეს ჩვენი ნათესაობა: ჩემმა დამ ნინომ ერთი წიგნიც არ მომწერა, რომ შემეტყო რამე და გული დამემშვიდებინა.

მიკვირს, დიმიტრი სიმონიჩმა ჩემის წიგნის პასუხი რატომ არ მომწერა; ერთი, თუმცა საწყენი, მაგრამ მართალი ამბავი მოვწერე, ნუთუ იმაზედ შემომწყრა? არა მგონია.

კატო თავის შვილებით და დიმიტრი მომიკითხე. ვიცი, რომ ძალიან გენდომება შეიტყო, როდის წამოვალ, მაგრამ მეც არ ვიცი, იმიტომ, რომ ჯერ, ვიდრე ჩვენის უსტავის დამტკიცებაზედ ან ჰოს და ან არას გადაწყვეტილად არ მეტყვიან, ჩემი წამოსვლა აქედამ შეუძლებელია.

შენი საუკუნოდ ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

21 სექტემბერი, [1873 წ.].
პეტერბურღი.

52

ჩემო კარგო და ძვირფასო ო ლ ი კ ო!

დღეს მოველოდი შენს წიგნსა და არ მომივიდა. ფრიად ვწუხვარ, იმიტომ რომ აქ პეტერბურგში მაგის მეტი ნუგეში არა მაქვს რა. რატომ დამივიწყე?

გუშინას წინ ჩემის დის ლიზასი და ნინოს წიგნები მომივიდა. ლიზოს აუსრულებია ჩვენი თხოვნა ბილეთების თაობაზედ

და ეს ამბავი მიამა. ნინუცას წიგნი კი უსიამოვნო იყო. ჩვენი ვენახი წამხდარა ნაცრისაგან ასე, რომ აღარა გამოვა რაო, პური ცოტა მოგვსვლია და სხვაც აღარა გვაქვს რა. ეს კიდევ არაფერი: ჩვენი ორივ წითელი ცხენები ქურდებს დაუპარავთ: ჩვენს ბედნიერებას და სიმდიდრეს ეგღა აკლდა. ეხლა მე და შენ ძალიან ლაზათიანს მდგომარეობაში ვართ. ერთმანეთზედ შორს, უბინაო, უფულო და უიმედო. ბარაქალა ჩვენს ბედსა! სახელი და დიდება ჩვენს მოთმენასა! რასა იქმ უხეირო და უპირო ქვეყნიერობაზედ? ცუდი დრო მოვიდა ჩვენთვის, მაგრამ გულს არ ვიტეხ, იმიტომ რომ ვიცი კასპის ზღვის პირზედ ერთი გუბერნატორია, იმ გუბერნატორის სახლში ერთი სულიერია, ის ერთი სულიერი ჩემი კარგი მეგობარია და ის ჩემი კარგი მეგობარი ჩემი ცოლია და ის ჩემი ცოლი ჩემი ნუგეშია. ეგრე, ჩემო ოლიკო, შენ კარგად მყვანდე და ბედის ჩვენის დაღვრემილობა ბევრს არაფერს დაგვაკლებს.

ჩვენი ბანკის საქმე გვიანდება, ტყუილ-ურბალოდ მაწვალებენ და დროს მაკარგვინებენ, მაგრამ ძალა აღმართსა ხნავსო.

გუშინწინ მითხრეს, ჩვენი უსტავი ექვს კვირას შემდეგ წარედგინებაო „გოსუდარსტვენნი სოვეტში“, ახლა ერთი ორი თვე „გოსუდარსტვენნი სოვეტში“ მოიგვიანებს და გამოვიდა სამს თვენახევარი ჩემის აქ დარჩომის პაემანი. ვიცი ეს ამბავი ვერაფრად გეამება, როგორც ვერაფრად მე მიამა, მაგრამ ქვეყნის წინაშე პირშავობას კიდევ ჩვენი საკუთარი უსიამოვნობა უნდა ვირჩიოთ, ჩემო ყოვლად სასურველო კუკლუშკი. შენი ჭირიმე, ოლიკო, ნუ იწუხებ და მომეცი შენის კაი დედაკაცობით იმოდენა დრო, რომ ჩემი კისრად აღებული საქმე შევასრულო პირნათლად და პატიოსნად.

შინ რომ მიხვიდე, დიმიტრა, თუ საჭირო არ იყოს, დაითხოვე; თუ უფულობამ შეგაწუხოს, რაც მოახერხო გაყიდე, ცხენი იქნება თუ ტარანტასი. სხვა გზა არ არის. მეც აქ ვალში ჩავვარდები, მგონია, იმიტომ რომ, რაც ფული მქონდა, ამ თვის ბოლოს სრულიად გამომელევა; იქნება ოკტომბრის ნახევრამდინ როგორმე ვიმყოფინო. თუმცა ჩვენმა რევაზმა

ოცდაათი თუმანი კიდევ შემომაძლია. მაგრამ სხვადასხვა საძაგლობის გამო, რომელიც ზედ დაეტანებინა, მე ფულზედ უარი უთხარი და ლაზათიანადაც გამოგილანძღე რევაზიცა და სხვა მისი დამჭაშებიცა. წარმომიდგენია, რა ალიაქოთი შეუდგებათ, როცა ჩემს წიგნებს მიიღებენ და რა რიგად ლანძღვას დამიწყებენ. ეჰ, არა გვიშავს რა, საცა წვრილია იქ გაწყდეს. ქართველებთან საქმის დაჭერა ძნელი რამ ყოფილა, მაგრამ კაცთა უმადურობის სიბილწე არა ერთხელ გამომიცდია. ეგეც იმათში იყოს, სასახელოდ ჩემთა მოკეთეთა. შენ ამაზედ ნუ ინაღვლი. შენ ხომ მიცნობ, რომ რასაც მე ვიმოქმედებ ხოლმე, ჯერ ყოველმხრივ ავწონ და დავწონ ხოლმე. ამისათვისაც არავინ აროდეს ჩემთვის საშიში არ არის ხოლმე. ავ-კაცობა ავ-კაცს შერჩეს, თორემ მე რა? ამ ბანკის საქმეს ყველაფერი შევწირე: შენი მშვიდობა, ჩემი მშვიდობა, ჩვენი უზრუნველი ცხოვრება, ჩემი სახელი, ჩემი კარიერა. ვისაც თვალი აქვს, დაინახოს, ვისაც გული აქვს, იგრძნოს, ვისაც ჭკვა აქვს, აწონოს, და ვისაც არა აქვს რა, იმან პატარა გოშიასავით უკანიდამ ყეფა დამიწყოს.

ერთი მითხარ, დიმიტრი რატომ ჩემის წიგნის პასუხს არა მწერს. თუ მანდ იყოს, ჰკითხე და პასუხი მაცნობე. საათები გამოგიგზავნე ლაზარევის ხელით და არ ვიცი მიიღეთ თუ არა. ექვსი მანეთი შალიკოვის მაგიერ მივეცი და რვა მანეთი თქვენ მაგიერ.

ამას იქით წიგნები პეტერბურგს მომწერეთ ამ ადრესით: На Караванной улице, дом № 18, квартира № 7.

ათასჯერ მოგეხვევი, ათიათასჯერ გაკოცებ და შენის ნახვის მონატრედ დავშთები

საუკუნოდ შენი ილია ჭავჭავაძე.

26 სექტემბერი [1873 წ.]
პეტერბურღი.

კატო, დიმიტრი, თავის შვილებით, მომიკითხე.

53

ჩემო კარგო და სასურველო ო ლ ი კ ო!

ორი კვირა იყო, რაც შენი წიგნი არ მომსვლია და ძალიანა ვწუხდი. გუშინ ორი შენი წიგნი ერთად მომივიდა და რაც ჯავრი და ფიქრი მქონდა სულ გადამიყარა. მწერ, რომ აგრახოვიჩისთვის გითქვამსო, რომ თუ დიდი ხანი დავრჩიო, ოლიკოს დავიბარებო. მართალია ვუთხარი, იმიტომ რომ მომწყინდა უშენობა და ძალიანა ვწუხდი, რომ ერთმანეთზედ ესე სულელურად დავშორდით, მაგრამ როცა ჯიბეზედ ხელი დავიკარ ღა ვნახე, რომ იქ თაგვები თამაშობენ, — ეგ ჩემი სასურველი ფიქრი დიდის მწუხარებით გულიდამ ამოვიღე და დავშთი კვალად „უმწედ, უნუგეშ“. არ ვიცი, ღმერთმან იცის, რა ვქნა? შენ მანდ ეგრე უფულოდა მყევხარ უცხო ადგილას და მე აქა ვგდივარ და ჩემს აქ ყოფნას ბოლო არ უჩანს. ცუდი მდგომარეობაა, თუ შენც იტყვი. ეს მამაძაღლები საქმეს მიგვიანებენ და სწორედაც არ მეუბნებიან, როდის გათავდება. ათის ღვინობისთვისა მითხრეს, სწორედ შეგატყობინებთო. მეტი რა ჩარაა ამ ათს ღვინობისთვესაც უნდა მოუცადოთ. აბა რა გვიჭირდა, ჩვენთვის მშვიდობიანად ვისხედით იმ დამპალს დუშეთში და ყურსაც არ ვიბერტყავდით. ეხლა კი თვალზედ ღრუბელი ჩამოვიფარეთ ჩვენ თვითონ და როდის აგვეცლება, ვინ იცის? ცუდი დრო დაგვიდგა.

მე ამას წინათ მოგწერე, წადი მეთქი ან კარდანახს, ან ყვარელს. იქნება აქამდისაც წასული იყო. ძალიან კარგსა იქ, რომ წახვიდე და ისე მოიქცე, როგორც მე ამას წინად მოგწერე.

ლიზასი და ნინოს წიგნი მეც მომივიდა. ყვარლიდამ ვერაფერი ამბავი მომივიდა, ჩვენი წითელი ცხენები დაუპარავთ, ვენახები ნაცარს წაუხდენია, პური ცოტა მოგვსვლია. მოდი და ამ ყოფაში ღმერთს სამართალი ჰსთხოვე. ამდენი კაი საქმე რაღა ერთმანეთს ზედ დაერთო? რასა იქ? უნდა შეიჭურვო ვაჟკაცობითა, გული გაიმაგრო და არ დაემორჩილო უმზგავსოდ უბედობას. ამის მეტი აღარა დაგვრჩენია რა. ესეც ნუგეშია ამ უნუგეშო გარემოში.

ჩემო კარგო, ნეტავი ან მე დამსვა შენთან და ან შენ გამყოფა ჩემთან, რომ ჩვენის გულის მწუხარება სიცილად გარდაგვექცია და ერთმანეთის მოხვევნაში დაგვევიწყა, რომ აქ უმადურს ქვეყანაში უმადურობა ხშირია. ფუ, ამ ცხოვრებასა!.. მე მგონია, რომ უშენობამ სრულად გამომასულელა. მთელი დღე შინა ვგდივარ და ხალათს არ ვიხდი; თუ წავალ სადმე ხოლმე, ისევ ფინანსის სამინისტროში საქმის შესატყობრად. სულ გამოვყრუვდი. აი დალახვრა ღმერთმა მეორე ჩემისთანა წინდაუხედავი სულელი!

გუშინას წინ წიგნი მომივიდა მანსვეტოვისა, რომ ოცი თუმანი მოსკოვში გამოგიგზავნეო. ესეც ხათაბალა გამიხდა. მე აქ პეტერბურგში ვარ და ფული კი მოსკოვს გამოუგზავნიათ! არ ვიცი, ეს რა ფული უნდა იყოს. შენ ხომ არ მისწერე? თუმცა მაგ ფულმა სულზედ მომასწრო, მაგრამ მაინც სასურველია, რომ ვიცოდე, ვისგან არის და ვისის მეოხებითა. მოსკოვის ფოშტაში არზა გავგზავნე და ვსთხოვე, რომ ფული აქ პეტერბურგში გამომიგზავნონ. არ ვიცი, ჩემს თხოვნას ამისრულებენ, თუ არა, მგონია ამისრულონ.

ფული რო მომივიდა კარგია, მაგრამ ჩვენი ქონება რომ წელნელა იწრიტება — ეგ კი ვერაფერია. შინ რო მივალთ, რა გვეშველება? ეჰ, რატომ ეგრე დავუქვევითე ჩემს უგულო ბედსა! არა გვიშავს რა, ნუ გეშინიან.

უქონლობას ის რადა ჰსწუხს, თუ კაცი გონიერია,
წავა და ყველგან დარჩება, სოფელი ღონიერია.

გლეხური სიმღერაა, მაგრამ კარგია. კიდევ დალოცა ღმერთმა გლეხნი: კაცური-კაცობა თუ არის სადმე, კიდევ იმათშია.

წარსულ ორშაბათს კანვოელებმა დამპატიჟეს, ქართული სადილი გამიკეთეს, მშვენიერის სიმღერით, თარით და ჭიანურით შემაქციეს, ქებაც შემასხეს, მაგრამ ჩვეულებრივ ეს ქება უფრო მეწყინა, ვიდრე მიამა. მეჯავრება მე მაგისთანაები, მაგრამ რას უზამ ჩვეულებას, რომელიც რჯულთ უმტკიცესიაო.

მოგეხვევი ათასჯერ, ათი ათასჯერ დაგკოცნი
შენი საუკუნოდ ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.
მომიკითხე ყველანი.

5 ღვინობისთვე [1873 წ.]
პეტერბურღი.

54

ჩემო კარგო და ძვირფასო ო ლ ი კ ო!

ეს მეორე კვირაა და შენი წიგნი არ მომივიდა. ძალიანა ვწუხვარ, რომ მეტი არ იქნება. არ ვიცი, ამ უკანასკნელს დროს რატომ გამიზარმაცდი და წიგნებს აღარა მწერ. ნუთუ შორს კაციო და შორს გულიო!.. მე დიდის მოუთმენლობით ველოდი შენს წიგნს, იმიტომ რომ მინდოდა შემეტყო, მიდიხარ კარდანახს თუ არა, როგორც მე ამას წინად მოგწერე. თუმცა კარდანახში წასვლის თაობაზედ წიგნი ამ თვე ნახევრის წინად მოგწერე, მაგრამ შენგან არაფერი პასუხი არ მიმიღია. ვწუხვარ და ვწუხვარ, მაგრამ რა ეშველება? როგორც გეტყობა, ავ გუნებაზედა ხარ და მე ცოტაოდნად დამივიწყე. თუ ღმერთმა შენამდინ მომახწევინა, მე ვიცი, რა რიგადაც გადაგახდევინებ მაგ გულმავიწყობას.

ჩვენი უსტავის საქმე ჯერ კარგად მიდის. ვინც უფრო გვიშლიდა, ის მოგვირბილდა ეხლა და არ ვიცი კი რა მიზეზითა. ოც ამ ღვინობისთვეს ჩვენი უსტავი გაიგზავნება „გოსუდარსტვენნი სოვეტში“: დიდს იმედს გვაძლევენ და მართლადაც იმედია, რომ „გოსუდარსტვენნი სოვეტი“ ნოემბერში გადასწყვეტს ჩვენის უსტავის საქმეს. ამასთანაც იმედია, რომ უარს არ გვეტყვის და უსტავს დაამტკიცებს. ნეტავი შენი სიცოცხლით ეს ჩვენი გულითადი იმედი არ გამტყუნდეს და უსტავი დაგვიმტკიცონ. მაშინ, ღვთის წყალობა შენა გქონდეს, ჩვენს რევაზს და იმის დამჭაშებს ყოფა დავაწიო. შენ ვერ წარმოიდგენ, რა რიგად მაპრკოლებენ ჩვენი „ნაბლიუდატელნი კომიტეტი“ და იმის უხეირო მოთავენი. რომ მოვალ, ყვე-

ლას გიამბობ და ამას გარდა გაზეთშიაც გამოვაცხადებ იმათ საძაგელს ქცევას და იმათ გულის სიმრუდესა.

ყიფიანი და ყაზბეგი ხომ ჯერ, მკათათვეში ერთი, და მეორე აგვისტოში, გაიქცნენ აქედამა და დამაგდეს მე მარტო. ამას გარდა, შური და მტრობაც გამოჩნდა „ნაბლიუდატელნი კომიტეტში“ ჩემს წინააღმდეგ. ეს ყველაფერი აქ შევიტყე, მაგრამ არავისი არ მეშინიან. ერთი, შენის დღეგრძელობით, უსტავი დავამტკიცებინო და მაშინ ნახავ „ნაბლიუდატელნი კომიტეტს“ რა რიგად დავგვი ცოცხითა. მაშინ მთელი თავადაზნაურობა ჩემკენ იქნება და ცუდათ მოუგრეხ კისერს ყოველს იმას, ვინც ამ საქმეში უსინდისოდ იქცევა. თუ არ დაამტკიცეს კი, ცუდათ მომწყდება მეც წელი და უღონო ვიქნები. რა დღესაც უსტავს დაამტკიცებენ, იმავე დღეს შენკენ გამოვფრინდები. ერთს წუთს, რომ იტყვიან, ერთს წუთსაც აღად დავდგები ამ ცივს ქვეყანაში, რომელშიაც ყოფნა ჭირზედ უარესად მომძულდა. რადგანაც კასპის ზღვაზედ სიარული აღარ იქნება, პირდაპირ ქალაქში წავალ და იქიდამ შენთან მოვალ კახეთში. ახ, ნეტავი როდის შევესწრობი შენთან ყოფნას!.. როგორც შაგირდი უქმე დღეს, ისე მეც მოველი იმ დღეს, რომ აქედამ წამოვიდე და შენ მოგეხვიო.

ამას წინათ ნინუცას, ჩემს დას, მივწერე, რომ თუ რამ მოგვივიდა მეთქი, გაყიდე მეთქი, და ოციოდე თუმანი ფული გამომიგზავნე. ჩვენ შინ არაფერი არ მოგვსვლია, აუღია ნინუცას და ლიზასთვის მიუწერია. ლიზოს კიდევ მანსვეტოვისათვის უთქვამს, სახლის ქირა აუღიათ ხუთმეტი თუმანი, ხუთი თუმანი თითონ ლიზოს დაუყრია, და ჩემთვის გამოუგზავნიათ. ამ დღეებში სწორედ სულის მოსწრებაზედ მივიღე. თუმცა ფული ეგ ძალიან მიამა, მაგრამ ის კი მეწყინა, რომ ლიზოსთვის შეუტყობინებიათ ჩემი გაჭირვება. იმისი შიში მაქვს, რომ ალექსანდრემ იჭვნეულობა რამ არ გამოიჩინოს. რა ვიცი? ქვეყანა მეტად საფრთხილებელი ყოფილა.

არაფერსა მწერ, დიმიტრი სიმონიჩმა ან კატომ ხომ არ იწყინეს ის ჩემი წიგნი, რომელიც მე სენიჩკას თაობაზედ მოვწერე დიმიტრისა. მე დიდხანს ვფიქრობდი, მივწერო თუ არა

მეთქი, ბოლოს გადავწყვიტე, რომ ჩემგან სიმუხთლე იქნებოდა, რომ დიმიტრისათვის არ მიმეწერა და არ შემეტყობინებინა. ძალიანა ვწუხვარ, თუ დიმიტრი, ან კატო არ მიმიხვდა ჩემს მათდამი გულითადს გულის-ტკივილს და ძმაებრივს სიყვარულსა. მაგრამ რაც არის, არის. რა ვქნათ? მე სინდისი არ დამამძიმებს, რომ ჩემი მოვალეობა აღვასრულე იმის მოწერით, რაც მე საჭიროდ დავინახე.

ყველანი მომიკითხე. ამ წიგნს ტფილისზედ ვგზავნი.

საუკუნოდ შენი ილია ჭავჭავაძე.

10 ოქტომბერი [1873 წელი].

55

ჩემო საყვარელო და სანატრელო კარგო ოლიკო!

გუშინდლამდინ დიდს მწუხარებაში ვიყავი, რადგანაც შთელი სამი კვირა შენი წიგნი არ მამდიოდა. ხან რა ვიფიქრე და ხან რა, მე მეგონა რომ შენ ბაქოდამ კარდანახს წახვედი და წიგნები ამის გამო დამიგვიანე. გუშინ შენი სამი წიგნი ერთად მომივიდა და ვერ წარმოიდგენ რა რიგად მიამა შენის ამბის გაგება და შენი მშვიდობით, გულგაუტეხლად ყოფნა. ეგრე, ჩემო ოლიკო, ოღონდ შენ ნუ მომიწყენ, შენ გულს ნუ გაიტეხ და კაი დედაკაცობა გამოიჩინე და ყველაფერი სხვა ჩემთვის ადვილი ასატანელი იქნება. შენ რომ არაფრისას შიშობ, არც მე არაფრის შიში მექნება. და გულმაგრობა ხომ იცი კაცისათვის რა დიდი ღონეა ქვეყნის სიავესთან ბრძოლაში. შენმა წიგნებმა სწორედ ფეხზედ დამაყენეს და გამაცოცხლეს. მადლობელი ვარ, ჩემო კარგო და დაუვიწყარო ცოლო და მეგობარო! სიღარიბე, რომელიც ჩვენ მოგველის, ისე საშიში არ არის, როგორც ჩვენა და ათას სხვათ ჰგონიათ. სიღარიბე ბრძოლაა, სიმდიდრე განცხრომაა, — და განცხრომა. ჩემის მოხვევისა არ იყოს, საფლავშიაც გვეყოფა. მინამა ვართ, კაცად და ცოცხლად ვიყვნეთ, და როცა არ ვიქნებით, მაშინ განვისვენოთ შეურყეველის მშვიდობიანობითა.

მომწყინდა აქ ყოფნა და დავიღალე მით, რომ ესე დიდხანს განვშორდი ჩემს საყვარელს ქვეყანას, სადაც იმყოფება ჩემი საყვარელი ოლიკო. მაგრამ რას იქ? დრო შემემთხვა ამისთანა, რომ ეგ მოწყენილობა ჩემთან უნდა სუფევდეს, ვიდრე კისრად აღებულს საქმეს ცუდად თუ ავად ბოლო მოეღება. ახ, ნეტავი შეძლება გვქონოდა, რომ შენც ჩემთან ყოფილიყავ, მაშინ რა მიჭირდა? ისა ჰსჯობია, რომ აუსრულებელი ნატვრა გულიდამ ამოვიღო, თორემ როცა შენ მაგონდები და ჩვენი მოშორება, გული ტკივილს დამიწყობს ხოლმე. ეჰ, რაც არის, არის! ვითმინოთ, ვიდრე მოითმინება, ვიდრე ძალა და ღონე კაცად-კაცობისა კიდევ გვერჩის.

ჩვენი ბანკის საქმე ხათაბალა გახდა. ის უფალი, რომლის ხელშიაც არის ეგ საქმე, საძაგელი, უგულო და უადამიანო კაცია. თუმცა არ შეუძლიან იმდენი, რომ საქმე საბოლოოდ გააფუჭოს, მაგრამ აგვიანებს კი და პირდაპირ ყველაფრით გვაჩვენებს, რომ მაგისთანა საქმეო უქრთამოდ ვერ გარიგდებაო. აბა ქრთამის მიცემა როგორ შეუძლიან ჩვენს კუტრს ბანკსა! ორშაბათს ვაპირობ იმასთან წასვლას და ჩხუბსა. აქამდის ვეფერებოდი, ვეხვეწებოდი, ხელში ვუკვდებოდი. მეგონა, რომ ამით იქნება დავიყოლიო მეთქი. მაგრამ ამან ყოველმა ვერ გასჭრა. ეხლა ვაპირობ ჩხუბსა და დიდს ჩხუბსაცა. ვნახოთ, რა გამოვა.

ამას წინათ ვიფიქრე, მოდი წავიდე შინ მეთქი, რისთვის ვიტანჯები და ვწვალობ მეთქი? მაგრამ შენმა წიგნებმა კიდევ გული მომცეს და ვჰსთქვი: ეს ხომ ჩემგან სილაჩრე იქნება, რომ გაუთავებლად საქმე დამრჩეს; ეგ ბრძოლის ველიდამ გაქცევა იქნება და სირცხვილი მეთქი. ვინ რას მეტყვის? ხომ მიწასთან გამასწორებენ მეთქი. მერე ჩემი ოლიკოც ესე ყოჩაღად არის და რაზედ უნდა დავფთხე და საქმეს გავექცე მოღალატესავით. ეგრე, ჩემო კარგო, დავიტრიალე შერყეული გული და კვლავ გავიმაგრე. იცი ამის მიზეზი ვინ არის? ერთი ქალია, იქ შორს, შორს ჩემგან, რაღაც ბაქოს ქალაქს ეძახიან, იქ იმყოფება. სახელად ოლიკო ჰქვიან, — სულ იმანა ჰქმნა, რომ მე კიდევ ფეხ-

ზედ დავდეგ, გულჩვილობას და სილაჩრეს არ დავემორჩილე. კიდევ მადლობელი ვარ შენი, ჩემო ოლიკო!

მწერ, რომ ზახაროვს უთხარიო სენომ გრუზინსკის სახლში იაროსო. ჩემმაგიერ კატოს უთხარი, რომ ერთი, ერთად-ერთი თხოვნა ჩემი აღასრულოს და სენოს ელენე გრუზინსკისას ნუ მიჰსცემს სიარულის ნებას. მე ვთხოვ როგორც ძმა და კატოს სახლობის გულითადი მეგობარი და კეთილის მოსურნე. მიზეზს ნუ მკითხავს, — ისე ცარიელი ჩემი თხოვნა მიიღოს. დაძმობასა ვფიცავ, რომ ამ ჩემს თხოვნაში კატოს და სენოს სიკეთის მეტი არაფერი სხვა განზრახვა არ არის. მე ძალიან მიამება, თუ კატო ამ შემთხვევაში მომენდობა მე, რომელსაც მაგის და მაგის სახლობის ბედნიერობის მეტი ფიქრად სხვა არა მაქვს რა. თუ მაინცა და მაინც კატო უარს ყოფს ამ ჩემს თხოვნას, თავისი ნებაა. მაშინ ვთხოვ თითონ კატომ მოჰსწეროს წიგნი ზახაროვს და უბძანოს სენო ელენე გრუზინსკისთან ატაროს. მე კი ხელი დამიბანია.

ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემი წიგნი, დიმიტრისთან მოწერილი, კატოს წაუკითხავს. კატო მეტად გულჩვილია და არ მინდოდა მე შემეწუხებინა უსიამოვნო ამბავითა და ამით მე გავხდომოდი მის უსიამოვნობის მიზეზად. არ მომეწერა დიმიტრისთან ეგ წიგნი, — მე ეგ კატოსი და დიმიტრის ღალატი მგონია. მშობლებმა შვილის ცუდიც და კარგიც უნდა იცოდნენ. ამის გამო გავბედე და მოვწერე დიმიტრის წიგნი შემდეგ ღრმად მოფიქრებისა. ვინანი, თუ ჩემმა წიგნმა ის ვერ შეჰსძლო, რის ფიქრიც და სურვილიც მე მქონდა.

ამასაცა ვწუხვარ, რომ საგინოვმა ვერ მოგიხერხა წაყვანა. მე შენ აქამდის შინ მისულიც მეგონე. აქაც მოვტყუვდი. კარგი იქნება, თუ დიმიტრიმ წაგიყვანა. თუ არა და ნიკოლოზს მივწერ და ის მოვა შენს წასაყვანად. ესე, ჩემო კარგო ოლიკო! იყავ მშვიდობით, ჩემდა ნუგეშად, ჩემდა სასიხარულოდ და ჩემდა გამამხნევებლად. ქვეყანაზედ თავის დარჩენა ძნელი არ

არის. ღმერთი მოწყალეა, ჩვენ გავიკაფავთ გზას და გავიმინდვრებთ. მომიკითხე ყველანი.

შენი და საუკუნოდ შენი ი ლ ი კ ო ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

23 ოქტომბერი [1873 წელი].
ს. პეტერბურღი.

56

6 ნოემბერი [1873 წელი].
პეტერბურღი.

ჩემო საყვარელო და კარგო ო ლ ი კ ო!

შენი უკანასკნელი წიგნი, თალიშხანისათვის რომ გინდოდა გამოგეტანებია, გუშინ წინ მომივიდა. იწერები, რომ ერთი თვეა წიგნი შენი არ მომსვლიაო. ძალიანა ვწუხვარ, რომ არ მოგსვლია. მიზეზი მეც ვერ გამიგია. კვირას არ ვაცდენ, რომ წიგნი არ მოგწერო და რატომ არ მოგდის, არ მესმის. იქნება იმიტომა, რომ ამ უკანასკნელს წიგნებს ტფილისზედ გიგზავნი, რადგანაც, ჩემის ანგარიშით, კასპიის ზღვაზედ მისვლა-მოსვლა შეწყვეტილი უნდა იყოს. უსათუოდ ამან დაგიგვიანა ჩემი წიგნები, სხვა მიზეზი არა არის რა. ეხლა, რასაკვირველია, ჩემი წიგნები მიღებული უნდა გქონდეს. ამ წიგნსა გწერ კი, მაგრამ არ ვიცი, ბაქოში მოგასწრობს თუ არა. ჩემის ანგარიშით შენ ეხლა კარდანახში უნდა იყო. ნეტავი მეც შენთან ვიყო. ვერ წარმოიდგენ, რა რიგად მომწყინდა გარედ ყოფნა და მარტოობა, სულით და ხორცით ქანცგაწყვეტილი ვარ უალაგო ალაგას გდებით. როდის მოეღება ბოლო აქ ჩემს ყოფნას, არ ვიცი, ჩვენი უსტავის საქმე, პეტერბურღის მზესავით, ხან იმედით გაბრწყინდება და ხან ღრუბელში ეხვევა. რომელის ხელშიაც ჩვენი უსტავია, ის საძაგელი კაცი გამოდის, ხან ერთს ამბობს და ხან მეორესა, და მეც ხან წავხალისდები, ხან ფრთებს დავუშვებ ხოლმე. მაინც იმედს არა ვკარგავ, რომ საქმეს კეთილი ბოლო მოეღება და მე გაძარჯვებული მიუვალ ჩემს ოლიკოსა და ერთი კარგად მოვეხვევი და ჩავკოცნი. დღეს მივდივარ სამინისტროში, შევიტყო რას შვრებიან.

ოცი თუმანი, რომელიც მანსვეტოვმა გამომიგზავნა, მე არ მითხოვნია. ამას წინად წიგნი მოგწერე და იმ წიგნიდამ შეიტყობდი, მაგ ფულის გამოგზავნა როგორ მოხდა. მე ნინუცას მივწერე, გაყიდე რამე მეთქი და ფული მომაშველე. იმას, შინ რომ ვერ მოეხერხებინა, ლიზოსათვის მიეწერა, ლიზოს კიდევ მანსვეტოვისათვის ეთქო, მანსვეტოვს ხუთმეტი თუმანი მოეხერხებინა, ხუთი თუმანიც ლიზოს თავისი დეეყარა და გამოეგზავნა. ესე იყო ნესტანდარეჯანის ამბავი.

ძალიან კარგი გიფიქრია, რომ მანსვეტოვისაგან ფული მიგიღია. მე მარტო იმასა ვწუხდი, რომ მაგ უცხო ქვეყანაში შენ უფულოდ მეგულებოდი. ეხლა ეგ ჯავრი მაინც ავიხადე გულიდამ.

შენი ჭირიმე, ოლიკო! კარდანახს რომ მიხვიდე, კარგად დაწვრილებით მომწერე, ჩვენი სახლის ამბების საქმე როგორ მიდის. ხე-ტყე, აგური, კირი, ქვიშა და ქვა მოუზიდნიათ თუ არა. ამას გარდა ეხლა კარი და ფანჯარა ფოდრაჩიკს უნდა ყვარელში მიტანილი ჰქონდეს, მიიტანეს თუ არა. თუ არ მიუტანია, დაიბარე და მიზეზი ჰკითხე.

სხვა რა მოგწერო ამ უმზეო ქვეყნიდამა. აქ არაფერი საკეთილო ჩემთვის და შენთვის არ არის რა. სიცივეები საშინელი დაიჭირა, ყინვა სწორედ რუსულია, შეუბრალებელი და სასტიკი. თუმცა ძალიან კუტრადა ვარ, მაგრამ თბილი წამოსასხამი კი შევაკერვინე. სანდრო ერისთავი იყო აქ და დამპირდა, ქალაქში რომ ჩავალო ფულს გამოგიგზავნიო. თუ არ გამიმტყუნდა, კარგია, და თუ გამიმტყუნდა, შენი მტერი იქნება ჩემი საქმე იყოს. მაგრამ მაინც და მაინც იმედი მაქვს, რომ შინიდამ შენ მომიხერხებ რასმეს და თუ გაჭირდა გამომიგზავნი.

ერთი მითხარ, რაზედ გავიჭირე საქმე? ეჰ, რაც მოხდა, მოხდა! სულელობა იყო ჩემგან, თუ ჭკვიანობა, ეს რაც ჩემს თავს დავმართე, ის ღმერთმა იცოდეს. ჩვენ ეხლა უნდა ჩვენს ბედს დავჯერდეთ და რაც ვიკისრეთ, ის შევასრულოთ. სხვა გზა კაცურის კაცობისა არ არის. იმედი, იმედი და კვლავ იმე-

დი!.. ნავთ-საყუდარი ჩვენი ეხლა მარტო იმედია კეთილის საქმის შესრულებისა და სხვა არარა. ეგრემცა იყოს აძიერიდგან უკუნისამდე!...

ნახვამდინ, ჩემო კარგო ოლიკო! ათასჯერ გაკოცებ, ათიათასჯერ მოგეხვევი და დავშთები საუკუნოდ

შენი ილია ჭავჭავაძე.

57

ჩემო საყვარელო ო ლ ი კ ო!

გუშინას წინ შენი წიგნი მივიღე, რომლიდამაც ვჰსცან, რომ შენც ჩემი წიგნი მიგიღია. მადლობა ღმერთსა! მეც ძალიანა ვწუხდი, რომ ჩემი უწიგნობის გამო შენა ჰსწუხდი, თუმცა მე არ ვიყავ ამაში ბრალეული, რადგანაც ყოველ კვირას აუცდენელად წიგნსა გწერ. მე აქამდე კარდანახსაც მისული მეგონე, მაგრამ ეხლა შენ იწერები, რომ ღვინობისთვის ბოლოს წავალთო. არც ეგ არის ურიგო. შენი ჭირიმე, რომ მიხვიდე ყოველისფერი დაწვრილებით მომწერე. ძალიანა ვწუხვარ, რომ აქამომდე ყვარლიდამ ვერაფერი სწორედ ვერ შევიტყე.

მე კარგადა ვარ, მაგრამ ფულები მაკლდება. ამას წინად სანდრო ერისთავი იყო აქ, იმას ხუთი თუმანი გამოვართვი და ისღა მაქვს. დამპირდა, რომ რა წამსაც ქალაქში ჩავალო, ოცდაათს თუმანს კიდევ გამოგიგზავნიო. ეს თადარიგი იმიტომ დავიჭირე, რომ რადგანაც ჩემი აქედამ წამოსვლა ჩვენის უსტავის დამტკიცებაზედ ადრე არ [არის] შესაძლო, ამისათვისაც მინდა, რომ ყოველ შემთხვევაში მზად ვიყო და უფულობამ არ ამაძულოს უდრო-უდროდ საქმის ღალატი და მაინთ წამოსვლა. ამ დღეებში სანდროსაგან ფულებს ველი. თუ მოიმივიდა, ხომ რა კარგი, თუ არა და უნდა ვისესხო ფული და შინისაკენ თითქმის შერცხვენილი წამოვიდე. სხვა გზა და ღონისძიება აღარ არის ჩემის აქ დარჩენისა, მეტი ჩარა არ არის. რა ვუყოთ, კედელს კაცი შუბლით ვერ გაამტვრევს, რომ ბევრიც ეწვალოს. ეს კია, რომ ამოდენა ვაი-ვაგლახი და წვა-

ლება ტყუილ-უბრალოდ ჩამივლის და საუკუნო განსვენებას მიეცემა. ამასაც მოვითმენ!..

ჩვენის უსტავის საქმე ესეა: იქით კვირას ხელმწიფისაგან ნების დართვა მოუვიდა ფინანსის მინისტრს, რომ ჩვენი უსტავი „გოსუდარსტვენნი სოვეტში“ გადავიდეს გასასინჯავად. ეხლა „პრედსტავლენიეს“ ჰსწერენ და მპირდებიან, რომ მალე წარვადგენთო. ერთი ამ ფინანსის მინისტრის ხელიდამ კი გამოვიდეს ჩვენი უსტავი და მერე კიდევ რაც იქნება, ის იყოს. ეს მამაძაღლები აბრკოლებენ საქმეს სხვადასხვა გარეშე მიზეზთა გამო. თვითონ მინისტრი უარზედ არ არის, იმისი დირეკტორია, რაც არის, ისა აბრკოლებს ჩვენს საქმესა. ქრთამი უნდა, მაგრამ ვინ რას მიჰსცემს, ისეც კუტრები ვართ. ესეა ჩვენი საქმე, ყოველდღე თითქმის დავდივარ სამინისტროში და არ ვასვენებ. ახლაც იქ მივდივარ, იქნება ამ დღეებში თვითონ მინისტრის ნახვაც მომიხდეს. ზოგი მირჩევს — ნახეო და უთხარიო, რომ დირეკტორი საქმეს აგვიანებსო, ზოგი არ მირჩევს, მეუბნებიან, დირეკტორი უფრო საქმეს წაახდენსო. არ ვიცი რომელს დაუჯერო. ორივე თითქმის ერთნაირად მართალნი არიან. მაინც და მაინც დღეს საქმეს და მის მდგომარეობას შევიტყობ, ავწონ და დავწონ და მერე ისე მოვიქცევი.

ერთი ეს მითხარ, შენ როგორღა ხარ, ჩემგან დაუვიწყარო კუკლუშკი! როგორ ატარებ დროებას, შენი და რას შვრება, ხომ არა ჰსწუხს სენოზედა? მოზდის წიგნი თუ არა? ყმაწვილები და დიმიტრი როგორ არიან? ნეტავი თქვენთან მამყოფა, რომ ეს დაღალული, მოუსვენარი ჩემი თრევა ნათესავებთ შორის მყუდროებად გადამეცვალა. სწორედ სულით და გულით დავიღალე ამ ტიალს ქვეყანაში. როგორც პატარა ბა[ვ]შვს დედის ნახვა, ისე მინდა თქვენი ნახვა, თქვენთან ყოფნა.

„წყალი მწყურიან, წყალს დავლევ, დავეწაფები გუბესა,
წავალ და ჩავეხუტები ჩემის კუკლუშკის უბესა!“

არც ლიზოს, არც ნინოს არავის ამბავი არ მომდის. არ ვიცი რა მიზეზია. შენ ვერ წარმოიდგენ ესრედ გადმოხვეწილისა-

თვის რა სიამოვნებაა სამშობლოდამ მოსული წიგნი და ამბავი. მაგრამ რასა იქ? არც ეგ სიამოვნება გვეღირსა. ნეტა რაპ ფიქრობენ ჩემი დები და რად არა მწერენ? იმათაც ხომ ჩემსავით ბანკის საქმემ არ წაართვა ყოველივე მოცალეობა. მადლობა ღმერთს, დრო იმდვენი აქვთ უსაქმურობის გამო, რომ დილიდამ საღამომდე ჰსწერონ, საქმე არ წაუხდებათ.

მშვიდობით, ჩემო საყვარელო მეუღლევ და მართლა მეუღლევ, ნახვამდე, ჩემო კუკლუშკი! როცა მოვალ, მთელს ჩემს გამოვლილს მწუხარებას წარვხოც ერთის შენის კოცნითა.

საუკუნოდ შენი ილია ჭავჭავაძე.

12 ნოემბერი [პეტერბურგი].

58

19 ნოემბერი [1873 წ.]
პეტერბურღი.

ჩემო სანატრელო და საყვარელო ოლიკო!

ესეც პეტერბურღში მოვედი და სწორედ გითხრა დიდს წვალებაში ვარ. დილიდამ საღამომდე ცოფიან ძაღლსავით დავრბივარ და ჯერ კი არავითარი საქმე არ გამირიგებია. ბევრი ბანკირები მელაპარაკებიან ჩვენის ბანკის ზაკლადნოი ლისტებზედ, მაგრამ ჯერ ყურს ვიყრუებ იქნება მეტი ფასით ავაღებინო და მეტად გავყიდო მეთქი. ჯერ იმისთანა სანუგეშო არ არის და ვნახოთ ბოლოს რა იქმნება.

შენი წიგნი დღეს მივიღე 27 ოქტომბრისა. როგორც შენის წიგნიდამა ჰსჩანს, შენ კარდანახში არ გასულხარ. მე იქ მეგონე და ტელეგრამა იქ მოვიწერე ნიკოლოზის სახელზედ. ფული გამოგიგზავნე 295 მან. არ ვიცი მიიღე, თუ არა. ნიკოლოზის სახელზედ გამოვგზავნე, რადგანაც შენ კარდანახში მეგონე. ერთი მითხარ, ანუ მომწერე: რატომ არ გახვედი კარდანახს, რამ დაგაბრკოლა?

ჯერ პეტერბურღში არავინ არ მინახავს, არც სენო, არც ვარგარა ილინიშნა და არცა არავინ სხვანი. ხვალ სენოს უსათუოდ

ვნახავ და ჩურჩხელებსაც მიუტან. წინადვე წარმომიდგენია, რა რიგად გაუხარდება ჩემი ნახვა და ტიოტია ოლიასაგან გამოგზავნილი ჩურჩხელები.

შენი ჭირიმე ოლიკო, კარგად იყავ, ვიდრე მე მოვიდოდე. შინაურობაზედ ვიცი შენი „ხაზიაიკობის“ ამბავი, თვალი გეჭირება, მაგრამ მაინც და მაინც გთხოვ, ცხენებს და გოჭებს გაუფრთხილდე, არ დამიკარგონ. ამას გარდა ღვინოები კარგად გადაალებინე და მომწერე როგორები დადგა. აქ ერთი წიგნი ვიყიდე о виноделии. ის რო წავიკითხე, ელდა მეცა. იქა ჰსწერია, რომ ავდარში დაკრეფილი ყურძენიო და ავდარშივე დაწურული ძალიან ცუდს ღვინოს დააყენებსო, ასეო რომ ღვინო არ დაწმდებაო და ეყროლებაო. ნუთუ მართლა ჩვენს ღვინოებს ეგ სიკეთე დაემართება? შენი მტერი!.. ღმერთმა გვიხსნას მაგისთანა ფათერაკისაგან!

მე დეკემბერში უსათუოდ მოვალ მანდ. მეტს ხანს აღარ დავდგები. ამ კვირია თუ არა, იქით კვირას ყველაფერს გავათავებ და წამოვალ კიდეც, ოღონდ შენ კარგადა მყვანდე და ჩემი საქმე სულ კარგად იქმნება.

რა სიკეთეს მიზამ, რომ ხე-ტყე ტყიდამ გამოტანილი დამახვედრო, თავლა დახურული, წისქვილი დაბრუნებული და სხვანი და სხვანი და სხვანი. არ ვიცი ხვნაზედ როგორა ხართ? მოხანით რამე და დათესეთ რამე თუ არა... მომწერე. ერთი ოციოდე დღის ნახნავი დათესილი რომ დამახვედრო ძალიან ოლიკო იქმნები.

ჩვენი მოურავი კნიაზი გიგო როგორ ირჯება. შენის წიგნიდამ არა ჩანს, სად არის გიგო. თუ მანდ არის, ჩემ მაგიერად ჰსთხოვე, რომ შეძლებისამებრ მოხნას და დათესოს. ამას წინადაც მოგწერე და ეხლაცა გწერ: პურში სიმინდი გაარევინე, თორემ პური დაგვაკლდება და დავიღუპებით.

მომწერე, ნიკოლოზმა ღვინის მუშტარი მოიყვანა, თუ არა. ფუ იქნება, ვითარცა ქართველმა თვალებში მტვერი შემოგვა[ყარა] და დაპირება ცარიელ დაპირებად დარჩა.

მომწერე, შენი ჭირიმე, წოურის ვენახი გააკეთეთ თუ არა. გიორგიმ ხომ არ დაგიშალათ. არა მგონია, რომ ეგ გიორგი ბა-

ტონი ისე გაბრიყვდეს, რომ დაგიშალოთ, მაგრამ მაგისაგან რას არ უნდა მოელოდეს კაცი.

მართლა არ მოგწერე: მე ვიდრე პეტერბურგში მოვიდოდი, პოლტავაში დამიბარეს ბანკირთან მოსალაპარაკებლად და იქ ექვსი დღე ვიყავი, ვერა გავარიგე-რა. პოლტავის გუბერნიაში ბევრი ქართველები არიან, უწინდელი გადმოსახლებული და ძალიან მდიდრები, ბარათოვებიც არიან, ორბელიანებიც, მუსხელოვებიც და თითქმის ყველა გვარის კაცი, ჭავჭავაძიანთ გარდა. რაგორ ეტყობათ, რომ ჭავჭავაძიანთ უწინაც თავისი ქვეყანა ჰყვარებიათ, რომ თავი არ დაუნებებიათ.

იყავ მშვიდობით, ჩემო კარგო ოლიკო, და მიგულე მარად შენთვის თავდადებული

ათასჯერ გაკოცებ და მოგეხვევი.

ილია ჭავჭავაძე.

59

ჩემო საყვარელო ო ლ ი კ ო!

კიდევ დამიგვიანდა შენი წიგნი და ვწუხვარ. უსათუოდ იმიტომ დამიგვიანდა, რომ ეხლა ქალაქის ფოშტით წამოვიდოდა შენი წიგნი. ჩემო კარგო! რასა იქ და როგორა ხარ? თუ ჩემს ამბავს იკითხამ, ვერა ვარ კარგად, იმიტომ რომ ძალიან მომწყინდა უშენოდ ყოფნა და აქაურობა. ნეტავი ეხლა შენთან დამსვა და მატიტინა!.. ჩემს თავს ფიცი მივე, რომ თუ ამას იქით კიდევ სადმე წასვლა მომიხდა, უშენოდ ფეხი არ გავდგა. ვწუხვარ, ვწუხვარ უშენობას, მაგრამ რა გაეწყობა. შენი წიგნი მომივიდა ეს ორი კვირა იქნება. მწერ, რომ ათს თუმანს მანსვეტოვს გავუგზავნიო. მე მგონია, ჩემო კარგო, რომ შენ თითონ დაგჭირდება ეგ ფული; ჩემის ფიქრით, შენ შენთვის შეინახო ეგ ფული, ისა სჯობია. მაგრამ ნება შენია, როგორც იცოდე, ისე მოიქეცი. მე ამას წინად რევაზისაგან ფული მომივიდა და იმით იოლად მივდივარ. ჩემი ფიქრი ნუ გაქვს. შენ იყავ კარგად და შენის კარგა მყოფობით მასიამოვნე მე და გული გამიკეთე.

გუშინწინ სამინისტრომ მაცნობა, რომ ჩვენი უსტავი პირველ იანვრამდინ უსათუოდ წარსდგება „გოსუდარსტვენნი სო-

ვეტში“. თუმცა ამ ამბავმა ძალიან შემაწუხა, მაგრამ კიდევ კარგია, რომ გადაწყვეტილი მაინც შევიტყე. ჩემი აქ დარჩენა იმ დრომდე აუცილებელია და ძალიან საჭირო. ჯერ ვიფიქრე, წამოვიდე მეთქი, მაგრამ მენანება ამოდენა შრომის უქმად დარჩენა. მერე ჩვენს მოკეთეებს როგორღა გადვურჩებოდი. ისევ ის ვირჩიე, რომ რაკი ამაზედ თავი დავსდე, ბოლომდინაც გავიყვანო, თორემ სირცხვილს ვერ აუვალთ. თუ „გოსუდარსტვენნი სოვეტში“ მითხრეს, რომ საქმე დაგვიანდებაო, მაშინ მე იანვარშივე წამოვალ და ჩავეხუტები ჩემს საყვარელს კუკლუშკასა. ეს არის ჩემი უკანასკნელი ვადა აქ დარჩენისა. მეტი აღარ შემიძლიან. მაგრამ თუ თქვეს, რომ მალე გაგითავებთო, მაშინ კი საქმის დაბოლოებას მოვუცდი. ესე, ჩემო სანატრელო ოლიკო, მოთმინებითა ჩვენითა მოვიპოვოთ სული ჩვენი, სხვა ნუგეში ჯერ არა გვაქვსრა. ამ წიგნს კი გწერ, მაგრამ არ ვიცი, კარდანახში იქნები თუ ბაქოს. რადგან შენ იწერებოდი, რომ ნოემბრის დამლევს წავალთო, ამიტომაც ამ წიგნს კარდანახში გწერ.

შინ რომ მიხვიდე, ყველაფერი გასინჯე, ჩვენს ფოდრიაჩიკს გაუკეთებია თუ არა ყოველივე, რაც ვალად ედო, და ყოველივე დაწვრილებით მაცნობე. ჩვენი ცხენებისა ვეღარა შევიტყე რა. ვერ წარმოიდგენ, რა რიგად ვწუხვარ მიშკას დაკარგვაზედ. ბრძენი ცხენი იყო, ბრძენი! რაღა ის მაიპარეს. ნინო მწერდა, რომ დიდი იმედია იმის პოვნისა, მეც ამით ვნუგეშობდი, მაგრამ ვშიშობ, რომ ნუგეში ნუგეშად არ დამრჩეს. ნეტავი კი როგორმე აპოვნინო და!.. ნიკოლოზს ჰსთხოვე ჩემ მაგიერ, რომ გაისარჯოს და როგორმე მიპოვოს. საწყალი მიშკა!

თუ ბაქოს მოგასწრო ამ წიგნმა, კატო თავის შვილებით მომიკითხე; თუ კარდანახსა — ნინო მომიკითხე და დიდი საყვედურიც უთხარ, რომ ერთი წიგნი აღარ მომწერა.

აქაური ამბავი რა მოგწერო: მე უსაქმობის გამო ანგლიურის ენის სწავლას შევუდექი და შექსპირის ტრაგედიას კოროლ ლირს ვჰსთარგმნი სხვასთან ერთად. აქედამ, რომ მოვალ ანგლიური მეცოდინება იმდენად, რომ სუბუქს თხზულების წაკითხვა შემეძლოს. სხვა არაფერი გასართობი არა მაქვს რა. ხანდისხან ვანო ორბელიანთან შევალ ხოლმე და ზოგჯერ ვარვარა ილი-

ნიშნასთან. სხვაგან არსად დავდივარ, სულ შინა ვგდივარ და შენს ნახვას ვნატრულობ ხოლმე. ცუდი ქვეყანაა ეს პეტერბურგი, ეს სამი თვეა თითქმის მზე არ დამინახავს. ნეტა მითხრა, აქ როგორ ცხოვრობენ. მილიონი რომ მომცენ, აქ ცხოვრებას არ ვინდომებდი. ახ, ნეტავი მალე მეღირსოს ჩემის თბილის ქვეყნის ნახვა და ჩემი ოლიკოს კოცნა! და თუ ამასთან უსტავიც დამტკიცდება, ჩემს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფს. დიდს იმედს კი იძლევიან და არ ვიცი ჩვენი ბედი როგორ გაჰსჭრის. მე იმისათვის კი არა ვარ ესე მოწადინებული, რომ ჯამაგირი მექნება მეთქი, — არა, მე სხვა ათასი ფიქრი და წადილი მაქვს. მე თვითონ იქნება მაგ ბანკის საქმეს სულაც თავი დავანებო, უმადურებთან საქმის დაჭერა ძნელი ყოფილა.

იყავ მშვიდობით ჩემო კარგო და გულითადო მეგობარო.

საუკუნოდ შენი ილია ჭავჭავაძე.

20 ნოემბერი [1873 წ.]

60

ჩემო სანატრელო და საყვარელო ოლიკო!

ნეტავი შენ, ეხლა კარდანახში ზიხარ და გადაჰყურებ ჩვენს მშვენიერს და საკუთრად ჩემთვის საყვარელს ალაზნის მინდორს და მთებსა და მთათა შორის ჩვენ ყვარელს! ნეტავი მეც მანდ ვიყო!

ამას წინად ჯერ შენი წიგნი არ მომსლოდა და არც ვიცოდი შენი ბაქოდამ წასვლა, რომ კარდანახში ალექსანდრე ლიაზონოვის სახელზედ წიგნი მოგწერე. აქამდის მიღებული გექმნება. რასა იქ და როგორა ხარ, ჩემო კარგო! იცი რამდენი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს? მეექვსე თვეა. ბარაქალა ჩვენს გულის სიმაგრეს და ვაჟკაცობასა! არა გვიშავს რა, მით უფრო ტკბილი იქნება ისევ ერთად თავის მოყრა, ოჰ, რა რიგად ამოვიყრი გულიდამ იმ ჯავრს, რომელიც ეხლა სულ[ს] მიგუბებს და რა ნეტარებას მივეცემი, როცა შენთან მოვალ და შენ გადამეხვევი. მაშინ ვიღას ეხსომება წარსული მწუხარება: ერთის წუთის სიამოვნება მრავალ ხანდება და იქ დაინთქმება იქაური თვის მო-

წყენილობა, ურვა და წუხილი. ვა სოფელო! რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა! ვინ იცის? იქნება დრო მოვიდეს, ჩვენი ბედი ჩვენვე დავატრიალოთ. ჯერ ხანად კი ავყვეთ ამ ცხოვრების უგემურ ჟამთა დენასა. „საცა არა ჰსჯობს, დაცლა ჰსჯობს კარგისა მამაცისაგან“. არ ეგონოს ჩემს დას ნინოს, არ ვიცოდე რომ დაცლის მაგიერ რუსთაველი გაცლას ამბობს. მეც ვიცი ვეფხვის-ტყაოსანი, მაგრამ ჩვენს ეხლანდელს მდგომარეობას დაცლა უფრო უხდება, ვიდრე გაცლა.

ეხლა მეთორმეტე საათია ღამისა და მგონია მთელს კარდანახს ჰსძინავს. ვინ იცის, ვინ რასა ხედავს სიზმარში? ერთისა კი სიზმარი მეც მესიზმრება. იმ ერთს ეხლა ძილში თვალწინ უდგა ერთი ბაჯაჯღანა, პირრგვალი, ბურთივით რგვალი ლიბერალი, გრძელთმიანი, შავწვერა, ფაშვიანი და იმას ელაპარაკება ძილში. ნეტა რას ელაპარაკება? ისიც ვიცი რას ელაპარაკება, მაგრამ შენ არ გეტყვი. იცი რატომ არ გეტყვი? იმიტომ რომ შენ უფრო კარგად იცი, რას ელაპარაკება. თუ ქალი ხარ და გამოიცნობ ის ერთი ვინ არის, რომლის სიზმარსაც ეხლა მეც თითონ ვხედავ. აბა გამოიცან და ქალაქი შენი იქნება. იმ ერთს ამაღამ მეცა ვნახავ სიზმარში და ბევრს ვაკოცებ.

ხუმრობა გაშვებით, შენი ჭირიმე, ოლიკო! ერთი დაწვრილებით შემიტყე, ჩვენმა ფოდრიაჩიკმა ყველაფერი აღასრულა თუ არა, რაც პირობაში უწერია; ქვიშა, აგური დაჰსწვეს და მოზიდეს თუ არა, ანუ ხე-ტყე, კარი ფანჯარა; ჩვენი მიშკა იპოვეს თუ არა. ყველაფერი მომწერე.

მე მგონია, იანვარში თავი დაგიკრათ, პირდაპირ კარდანახში მოვალ, ასე რომ ქალაქში ორის დღის მეტს არ დავრჩები. უჰ, რა რიგად მინდა მაინთ წამოსვლა!.. რა სიხარულით, რა აღტაცებით ჩავეგდები ვაგონში, როცა კი ეგ შესაძლო გამიხდება.

ჩამიკითხე ნინო, ნიკოლოზი და მათი შვილები.

მარადის შენი ილია ჭავჭავაძე

3 დეკემბერი, [1873 წ.]

61

ჩემო კარგო და საყვარელო ო ლ ი კ ო!

წარსულს კვირას ყოველდღე ვაპირებდი წამოსვლას, რადგანაც საქმე თავდებოდა, მაგრამ მამაძაღლები შემეშალნენ და ეხლა ისევ ხელახლად მომინდა საქმის დაწყობა და ცდა. ვწუხვარ ძალიან რომ ამ ცივი ქვეყნიდამ ვერ დავახწიე ჯერ თავი და ჩემს ოლიკოს ვერ ვიახელ. იმედი მაქვს ამ კვირია მაინც გავათავო ყოველივე და წამოვიდე. ღმერთმა ქმნას, რომ მალე განვშორდე ამ უმზეო და უსიხარულო ქვეყანასა!

სენო, შენი დისწული, ხშირად არის ხოლმე ჩემთან და ამ ჟამადაც ჩემთან არის. რიგიანად ჰსწავლობს და კაი ბიჭიც დადგება. ეხლა ნახევარ წლის ეგზემენიები აქვს, ზოგიერთი გაათავა კიდეც და კარგათაც გაათავა. დიდი იმედი აქვს, რომ მომავალს წელს „პრავოვედენიაში“ შევა. ღმერთმა გზა წარუმართოს თავის მშობლების სასიხარულოდ!

სამი კვირა არის, რაც შენი წიგნი არ მომსვლია, არ ვიცი რა მიზეზია. ხომ კარგადა ხარ, ჩემო კარგო! კარგად იყავ, თუ გინდა რომ მეც კარგად ვიყო. რატომ არა მწერ წიგნებსა? შენგან ძალიან მიკვირს. მე ამას წინად მოგწერე წიგნი და გთხოვე ჩვენი სახლის ამბავი დაწვრილებით მომწერე მეთქი და იმ წიგნის პასუხი აქამომდე არ მომსვლია. არ ვიცი, რას მივაწერო. ეხლა ღვინოები გადაღებული გექმნებათ და შეეტყობა, როგორი დადგა. ნეტავი მაცოდინა, კარგი ღვინოები დაგვიდგა, თუ არა. მე ძალიან მეშინია, რომ ჩვენი ღვინოები წელს ვერაფერი იქმნება, რადგანაც წვიმიანს დროს დავკრიფეთ და დავწურეთ. თუ მართლა ცუდები დადგა, შენი მტერი ჩვენ საქმე დაგვემართება.

წისქვილი კაი ფასად მიგიცია და კაი კაცისათვისაც. აი პირველი შემოსავალი ჩვენის საკუთარის ხარჯით და შრომით შემოსული. სასიამოვნოა!.. ჩვენი თავლისა რა ჰქენით, გაათავეთ, თუ არა. ეგ მეორე საქმეა, ჩვენის შრომით დადგენილი და დაარსებული. ეხლა მეც ვიტყვი მამაშენსავით: რა მოგახსენოს პომეშჩიკმა! თუ მე და შენ სახლებიც ავიშენეთ, დიდი ვინმეები ვიქმნებით და ბინა გვექმნება.

ხვნისა და თესვისა რა ჰქენით? შენი ჭირიმე, ოლიკო, უხვნელ-უთესველი არ დავრჩეთ, თორემ ცუდი საქმე დაგვემართება, თუ პური სასყიდელი გაგვიხდა. ჩვენი სუსტი ჯიბე მაგ ხარჯს ვერ აიტანს და იქამდინ მიგვიყვანს, რომ კუტრებს უფრო გაგვაკუტრებს. ჩვენი სახლთხუცესი გიგო როგორ ირჯება. ყოჩაღი ბიჭია და ნიჭიანიც, თუ კი მოინდომა, ბევრი შეუძლიან და თავის გზას თვითონ გაიკაფავს. მაგრამ ცოტა ზარმაცი კი უნდა იყოს თავის ბიძასავით.

წოურის ვენახი და წვრილი ვენახები შეიმუშავეთ, თუ არა. ავყია გიორგიმ ხომ არ დაგაპრკოლათ, ან არ დაგიშალათ. რა ვიცი? მაგისაგან ყველა მოსალოდნელია.

ცუცა და მისი კნეინა სიყვარულით მომიკითხე, აგრეთვე ჩვენი გულუბრყვილო დათიკო და მისი მეუღლეც.

ათასჯერ გაკოცებ შენ, ჩემო საყვარელო ოლიკო, და დავშთები შენი ნახვის მონატრე

საუკუნოდ შენი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

14 დეკემბერი [1873 წ.]

62

ჩემო ძვირფასო და სანატრელო ო ლ ი კ ო!

შენი წიგნი კარდანახიდამ მომივიდა და ორნაირად მასიამოვნა: ერთი, რომ შენ მშვიდობით მისულხარ და მეორე მით, რომ ხუთი ურემი ღვინო მოგვსვლია. კიდევ მადლობა ღმერთს! როგორც იქნება ხელს მოვინაცვლით. შენი ჭირიმე, ოლიკო, ყვარელში რო გახვიდე, ყველაფერი კარგად გასინჯე. მე რომ წამოვედი, ისე დავაწყეთ მე და პოდრიაჩიკმა, რომ აგური, კირი, კრამიტი ერთად უნდა დაგვეწვა; ხე-ტყე სახლისა, კარი და ფანჯარა მოტანილი უნდა იყოს. ერთი კარგად სულ ყველაფერი დაწვრილებით შემიტყე და მომწერე, აგური, კირი, კრამიტი დაუწვავთ თუ არა, ხე-ტყე, კარი ფანჯარა მოუტანიათ, ან ქვიშა და ქვა უზიდნიათ? ახ, როდის იქნება ამ უმზეო ქვეყნიდამ თავი დავაღწიო და შინ მოვიდე? ვერ წარმოიდგენ, რა რიგად გულჩათუთქვილი ვარ ამ ცივსა და უმზეო ქვეყანაში და რა

რიგად გული მაინდ მოისწრაფის, რომ დიდი ხნის უნახავი ოლიკო ნახოს.

თუ შენ კარგად მოიქცევი, ღვთის მადლით, სახლის მასალა სულ შინ გვექნება მოგროვილი ჩემს მოსვლამდე და ძალიან მაამებ, რომ ეგ აგრე მომიხდინო. თუმცა კუტრები ვართ, მაგრამ თუ სახლი როგორმე მოვიხერხეთ, როგორც იქნება თავს დავირჩენთ და ვიცხოვრებთ, თუ ქალაქში არა, სოფელში მაინცა. ხომ იცი, რომ ჩემი ნატვრა ის არის, რომ სოფლად ვიცხოვრო და ხილად ქალაქში ჩავდიოდეთ. შენი ჭირიმე, ოლიკო, შენებურად დატრიალდი და გაისარჯე, რომ სახლის აშენებას დაბრკოლება რამ არ მიეცეს. თუ პოდრიაჩიკმა ფული გთხოვოს, როგორმე უშოვე და ცოტ-ცოტა აძლიე, ისე ორ თუმნობით, სამ თუმნობით, რომ ხელი გაიმართოს და არ დაბრკოლდეს.

ნინო, ნიკოლოზ, თავის შვილებით, მომიკითხე. გაზილას ამბავს არას იწერები? როგორ ბძანდება ჩემი ფილოსოფოსი გაზილა? მიშკა აპოვნინე. მაპატივე, რომ ესე ცოტას გწერ ჩემო კუკლუშკი! ვეჩქარები.

შენი საუკუნოდ ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

15 დეკემბერი [1873 წ.]

63

ჩემო უსაყვარლესო და სანახავად სანატრელო ო ლ ი კ ო.

ამას წინედ მწერდი, რომ ამ დღეებში ყვარელში გავალო და არ ვიცი გახვედი თუ არა. თუ გახვედი, რა ნახე, რა გაიგე ყოველიფერი დაწვრილებით მომწერე. შენი ჭირიმე, ჩვენი სახლის და შენობის ვითარება კარგად შეიტყე და სულ ყოველი ვრცლად და დალაგებით მომწერე.

ამას წინედ ფინანსის სამინისტროდამ ქაღალდი მომივიდა, რომ თქვენს უსტავსო პირველ იანვრამდე გადავცემთო „გოსუდარსტვენნი სოვეტში“. ვზივარ და ველი ამ ბედნიერებას მოღრუბლული, ვითარცა პეტერბურგის დღე. გუშინას წინ რევაზ ანდრონიკოვისაგან ტელეგრამა მომივიდა და მწერს რომ „ნაბლიუდატელნი კომიტეტმა“ ფული დაგინიშნაო და ამასთა-

ნაც წიგნიც მოგწერაო. არ ვიცი, რა ფულია და რა წიგნი? უსათუოდ, რასმეს ახალს კისრად მდებენ. ვნახოთ, მოვიცადოთ, რა გამოვა რისაგან. მე მგონია, მე იანვარში მომიხდეს წამოსვლა და ჯერ კი მაინც და მაინც სწორედ და გადაწყვეტილად არავიცი რა.

ვერ წარმოიდგენ ჩემს უბედურს და უგემურს გარემოებას! ვგდივარ დილიდამ საღამომდე შინ და თუ გავალ ისიც სასეირნოდ. იმ დღეს გიორგი შარვაშიძესთან ვიყავ, აი მთავრის შვილი რომ არის. ამას წინად თითონ მოვიდა და მთხოვა შექსპირის ტრაგედია, [მეფე] ლირი, რომელიც ქართულად ანგლიურიდამ გადავთარგმნეთ, წაგვიკითხეო. წავედი წასაკითხად, კარგა ბლომა ხალხი იყო და ძალიან მაიწონეს. ასე იფიქრე, ქალებმა იტირეს და კაცები კი სულ აფერუმს იძახოდნენ. მართლა და თარგმანი მშვენიერი რამ გამოვიდა, ასეთი კარგი, წამკითხველი მთარგმნელებს დაგვლოცენ. ქალაქში რომ ჩამოვალ, გვინდა წარმოვადგინოთ. სცენაზედ მშვენიერი რამ იქნება. ვერ წარმოიდგენ, რარიგად კარგად გადმოვიდა ქართულს ენაზედ. არც ერთი რუსული თარგმანი ქართულს არ შეედრება. აი ღვთის მადლით, როცა მშვიდობით მოვალ, მოვიტან და კარდანახში წაგიკითხავთ, და თუ არ გატიროთ, ცუდი კაცი ვიყო. შენ ხომ იცი, რომ ჩემი ნაჯღაბის ქება მე თითონ არ მიყვარს, მაგრამ ეს ასეთი თარგმანია, რომ არ ვაქო, ცოდვა იქნება. აქაური ყმაწვილკაცობა მაგ თარგმანისათვის გაგიჟებულია და აღტაცებაში მოსული.

ამ დღეებში „ვიიგრიშების“ ლატარია იქნება. წარმოიდგინე ერთი ბილეთი ვიყიდე და დიდი იმედი მაქვს თუ ოცი ათასი არა, შვიდი ათასი თუმანი მაინც მოვიგო. მაშინ ჩემს საყვარელს კულკუშკას მივწერ, რომ პეტერბურგისაკენ გამოფრინდეს. ნეტავი, შენის სიცოცხლით, მოვიგო. მაშინ უყურე ჩვენი ყოფა! საუკუნოდ ბედნიერნი ვიქნებით მით, რომ მრავალი კეთილი საქმის შესრულება შეგვეძლება. ღმერთი მართლა რომ გულთამხილავი და ყოვლად შემძლები იყოს, სწორედ მე უნდა მომაგებინოს ოცი ათასი თუმანი. რამდენს კეთილს დავსთესდით!.. მაგრამ... ეჰ, რაც იქნება იყოს. ნატვრა ხშირი — გულის და ქე-

ფის დასუსტებას მოასწავებს. ნატვრითაც ბევრი გვინატრია და არა გამოსულა რა. რო გამოვიდეს? შენ მაშინ რას იტყვი, ჩემო კარგო კუკლუშკი? იყავი, ჩემო კარგო, მშვიდობით და ფიქრი ხვალინდელის დღისა ხვალეს ვანებოთ. მომიკითხე ყველანი. ლიზოს წიგნი არ მომდის და ძალიან ვწუხვარ.

შენი საუკუნოდ ი ლ ი კ ო ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

19 დეკემბერი [1873 წ.]

64

ჩემო საყვარელო ო ლ ი კ ო!

შენი წიგნი მომივიდა ამ უკანასკნელს დროს და იწერებოდი, რომ ექვსი კვირააო შენი ამბავი არ მომსვლიაო. მიკვირს ეგ ამბავი და თანაც მაწუხებს. შენ ჯერ ბაქოდამაც არ იყავ წამოსული, რომ ლიაზონოვის სახელზედ წიგნი მოგწერე. ჩემის ანგარიშით, ის წიგნი ერთის კვირითაც უწინ უნდა მოსულიყო სიღნაღში ვიდრე შენ მიხვიდოდი. მას შემდეგ ერთი კვირაც არ ამიცდენია, რომ წიგნი არ მომეწეროს. ნეტავი შემატყობინა მიზეზი, რატომ არ მიგიღია ჩემი წიგნები. შენა მწერდი, სიღნაღის ფოშტაში გამოგზავნე ხოლმეო წიგნები და მე თითონ მოვიკითხავო. მეც ეგრე ვგზავნიდი წიგნებს და რატომ არ მიგიღია, მიკვირს. ძალიან ვწუხვარ, რომ შენ ჩემდაუნებურად ჩემის უამბობით მოწყენილი იქნები. თუ გიყვარდე, ნუ მოიწყენ და კარგად იყავი, რომ შენის სიკეთის იმედით მეც კარგად ვიყო.

მომილოცნია შენთვის, ნინოსთვის, ნიკოლოზისა და მათ შვილებისათვის დღესასწაულები წარსული და მომავალი. ღმერთმა ყველანი მშვიდობით გამყოფოთ ჩემდა სასიხარულოდ და საკეთილოდ.

შენი ჭირიმე ოლიკო, ჩემს კუკლუშკას ჩემ მაგიერ ბევრი, ბევრი აკოცე, და უთხარი არ ინაღვლოს თორემ, ღვთის მადლით, რომ მოვალ, გავროზგამ. აჰ, რა რიგად მინდა მაინთ წამოსვლა, მაგრამ რას იზამ? ლამის დღე-ხვალიობით გული დამელიოს. როგორც ჭირი მომწყინდა აქაურობა და არ ვიცი როდის დავახწევ თავს და ჩემს კუკლუშკას გადავეხვევი.

ჩვენი საქმე ძლიერ ტაატით მიდის. ჩვენი უსტავი არ იქნა ვერ დავძარ სამინისტროდამ. ამას წინად ქაღალდით მითხრეს, რომ პირველ იანვრამდინ შევასრულებთო და გაცნობებთო. აი, გულის კანკალით და თრთოლით ველი იმ პირველს იანვარს და ვნახოთ რას იტყვიან. იქნება ახალმა წელიწადმა ხელახლავ ბედი ჩვენკენ მოატრიალოს და სიხარულით და გამარჯვებით გამომაფრინოს იქით, სადაც ეხლა ერთი სულიერია, რომელსაც კუკლუშკას ეძახიან, და რომელიც ბრწყინვალე თავადის ილია ჭავჭავაძის გულითადი, უგულითადესი და უუგულითადესი მეგობარია.

ნეტავი შენის სიცოცხლით და დღეგრძელობით ეგრე მოხდეს და მალეც მოხდეს, თორემ მომწყინდა უშენობა და გარედ გდება.

შენი ჭირიმე ოლიკო, იქნება როგორმე ხელი შეუწყო ჩვენის სახლების აშენებას. ღვინით იქნება, პურით, თუ ფულით, როგორმე ისე მოახერხო, რომ საქმე წინ წადგეს. აბა შენ იცი და შენმა კაი დედა-კაცობამ. იმედი მაქვს, რომ ჩემი კუკლუშკა ბევრს კარგს დააწყობს და გამირიგებს.

მომიკითხე ყველანი, შენს თავს გაუფრთხილდი, კარგად იყავ და მიგულე, რომ მე ვარ შენი საუკუნოდ ერთგული.

შენი სამუდამოდ და სამუდამოს იქითაც

ილია ჭავჭავაძე.

26 დეკემბერი [1873 წ.]

65

ჩემო კარგო და სანახავად სანატრელო ოლიკოჯან!

მომილოცნია შენთვის და ჩემის დის ნინოს სახლობისათვის დამდეგი დღესასწაულები. ღმერთმა მშვიდობით, დღეგრძელობით და ბედნიერებით გამყოფოთ ყველანი ერთად და თვითეულად ცალკე. ნეტავი შენთან ვყოფილიყავ და ვიყო კიდეც.

შენი წიგნები მომდის და იწერები, რომ ოკტომბრის აქედ შენი წიგნი არ მომსვლიაო. ძალიან მიკვირს და ძალიან ვწუხვარ მაგასა. პატიოსანს სიტყვას გაძლევ, რომ არც ერთს კვირას არ

ვაცდენ, რომ წიგნი არ მოგწერო. ჯერ შენ ბაქოდამ წამოსული არ იყავ, რომ მე წიგნი მოგწერე სიღნაღს ალექსანდრე ლიაზონოვის სახელზედ: მინდოდა, რომ ჩემი წიგნი დაგხვედროდა სიღნაღში და იმით ცოტა მაინც მესიამოვნებინა შენთვის. მას მერმედ შენი წიგნი მომივიდა და იწერებოდი, რომ სიღნაღის ფოშტაში გამოგიგზავნეო до востребования და მე მოვიკითხავო. მეც ყოველ კვირა აუცილებლივ თითო წიგნსა ვგზავნი სიღნაღში შენს სახელზედ с надписью оставить „до востребования". გაოცებული და დიდად შეწუხებული ვარ, რომ შენ არც ერთი წიგნი არ მიგიღია. არ ვიცი რას მივაწერო. იქნება ბიჭს, რომელსაცა გზავნით სიღნაღის ფოშტაში, რიგიანად ვერ აბარებთ რა უნდა იკითხოს და ან იქნება თვითონ ის ბიჭი რიგიანად ვერ ატყობინებს. ერთი მოიკითხე შენი წიგნები, მე იმედი მაქვს, რომ ჩემს წიგნებს ფოშტაში იპოვი სულ ერთიანად. მინდოდა ტელეგრამა მომეწერა და იმით შემეტყობინებინა ჩემი ამბავი, მაგრამ სამის მანეთის დახარჯვა ეხლანდელს ჩემს მდგომარეობაში მეტად ძნელია. ამ ფოშტაში ვნახოთ, რას მოიწერები. თუ კიდევ მოიწერები, რომ შენი წიგნი არ მომდისო, მაშინ ტელეგრამას გამოგიგზავნი ერასტი ჩოლოყაშვილის სახელზედ. ამ წიგნსაც იმის სახელზედ გიგზავნი.

ჩემო გულითადო მეგობარო! მე წარმომიდგენია შენი მწუხარება ჩემის უწიგნობის გამო. თითონ მეც გული მტკივა შენთვის და ვწუხვარ, მაგრამ რა გაეწყობა. საშინლად დავიღალე უშენობით და შევწუხდი. როდის მოეღება ბოლო ამ ჩვენს ეგრედ უერთმანეთო გდებას, ვინ იცის. ჩვენი უსტავი ჯერ კიდევ სამინისტროში გდია, არ იქნა, მე ჩემი ვქმენ, იმან თავისი, და იქიდამ ფეხი ვერ მოვაცვლევინე. ხშირად მომდის ფიქრი, დავანებო თავი ყველაფერს და წამოვიდე. მეორეს გზით კი მრცხვენიან, რა პირით მოვიდე, როგორღა გამოვიჩინო თავი, ვის დავენახო. ამ ორ ცეცხლ შუა ვარ და ვიტანჯები.

შენი ჭირიმე, ოლიკო! მიშკა მიპოვნინე, ძალიან მიყვარდა ის შეჩვენებული და იმის დაკარგვას გაზილას დაკარგვას ვირჩევდი. ამას გარდა, თუ რამ მოხერხდება რომ ჩვენის შენობის საქმე წინ წასწიო, ნურა მეცადინეობას ნუ მოაკლებ. ვინ იცის?

იქნება აქედამ რომ მოვალ, ამა ქვეყნის დავიდარაბას თავი დავანებო და ჩვენს ყვარელში ჩავიკეტოთ თავი მე და შენ, თუ არ სამუდამოდ არა, იმ დრომდე მაინც, რომ პატარა მოსვენებით დავსტკბეთ ერთად ცხოვრებითა ქვეყნის ყაყანს მოშორებულნი. დავიღალე და ვგრძნობ, რომ თანდათან ვბერდები, ღონე და გულის სიმხურვალე თანდათან უკან მიდის. მაგრამ არ ვშიშობ. მე ერთი იმისთანა ოლიკო მყავს, რომ ისევ გამაცოცხლებს და გადამახალისებს. ღმერთმა ქმნას, შენი ნახვა მალე მეღირსოს. საძაგელს გუნებაზედ ვარ. ხომ იცი, უქმეები რა რიგად მეჯავრება და ეხლა უფრო გულს მიმღვრევს, რომ შენ ჩემთან არა ხარ.

შენი მარად და მარადის იქითაც ი ლ ი კ ო ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

2 იანვარს [1874 წ.]

66

ჩემო საყვარელო ო ლ ი კ ო!

შენი წიგნი მომივიდა გუშინ და ერთის მხრით ძლიერ მასიამოვნა. მწერდი, რომ შენი ორი წიგნი ერთად მივიღეო. მე ძალიანა ვწუხდი, რომ ამას წინად იწერებოდი, შენი წიგნები არ მომდისო, თუმცა მე ყოველს კვირასა გწერდი. ასე შევწუხდი, რომ მინდოდა შენთვის ტელეგრამა გამომეგზავნა, მაგრამ ამ კუტრობაში ფულის დახარჯვა სიგიჟედ ჩავსთვალე და ვირჩიე მომეცადნა შენის წიგნისათვის, რომელიც გუშინ მომივიდა და მაამა მით, რომ შენ ჩემი წიგნები მიგიღია.

მწერ კიდევ, რომ მანდ შენთვის უხარებიათ უსტავის დამტკიცება. მეც ძალიან მიამებოდა, რომ ეგ მართალი იყოს. ჯერ უსტავის დამტკიცებისა არა ვიცი რა და არც დამტკიცებულა. ფინანსის სამინისტრო ქაღალდით დამპირდა, რომ პირველ იანვრამდინ უსათუოდ წარვადგენთო დასამტკიცებლად, მაგრამ პირველი იანვარი მოვიდა კიდეც, გავიდა კიდეც და უსტავი იქავე უგდიათ. გამტანჯეს ამდენის მოტყუებით და დღეხვალიობით. ვერ წარმოიდგენ, რა ხალხია. ესენი მე მატყუებენ და მე ამათის სიტყვით სხვებს ვატყუებ და ვარ ამის გამო მეტად შე-

წუხებული და გულნატკენი. გუშინას წინ ვიყავ სამინისტროში და მითხრეს, ამ დღეებში წარვადგენთო. თავი დავუკარ და წამოვედი. ეს კი ვუთხარი, რომ ბოლო ექნება როდისმე ამდენს დაპირებას და მოტყუებას მეთქი, თუ არა. ეხლა არ ვიცი, კიდევ მომატყუებენ თუ არა. ეს კია საიმედო, რომ ველიკი კნიაზისათვის მინისტრს მიუწერია აქედამ, რომ მალე იქნება უსტავის საქმე შესრულებულიო. მაგრამ ჯერ რუსული ხვალე რა არის, რომ მალე რა იყოს. ესეა, ჩემო კარგო, ჩემი გულმოსაწყლავი ამბავი. საქმე რაკი აქამდინ და ესრე წავიდა, რაც უნდა დაგვემართოს ბოლომდინ უნდა მივიყვანო. ამის გამო ჩემი მანდ წამოსვლა საქმის გათავებამდე თავ-ლაფდასხმა იქმნება; თავლაფდასხმას არც შენ ინდომებ და არც მე. მეტი გზა არ არის, უნდა ვითმინოთ და ვითმინოთ უერთმანეთობა. ოღონდ შენ ნუ იწუხებ და მეც არ შევწუხდები. ღმერთია მოწყალე, კიდევ შევხვდებით ერთმანეთს და თავის დღეში, ფიცი მივე, აღარ მოვშორდებით ურთიერთს.

ფოდრიაჩიკი ქალაქს წავიდაო. ძალიან მეწყინა ეგ ამბავი. მაგრამ იმედი მაქვს მალე დაბრუნდეს, ის ყვარელს ეგრე ადვილად თავს არ დაანებებს. ერთი რო ნახო, შენებურად შეაფუცხუნე და ძალა დაატანე. ამბობ, კარი და ფანჯარაო საძაგელი რამ გაუკეთებიაო. თუ ეგ მართალია, ნუ მიიღებთ და თავში მიაყარეთ.' დათიკოს, ცუცას და გიორგის დაეკითხე და აჩვენე.

მიკვირს მიშკას ამბავი. თუ ნიკოლოზმა იცის, ვისაც ჰყავს, რატომ არ ართმევს. ჩვენს მოურავს ჩემი „დოვერენოსტი" აქვს, გამოართვას და საჩივარი შეიტანოს. რაღას ელის. რატომ არაფერს იწერები ნამდვილს — პურისა და სხვა მოსავლისას. ნინუცას ეცოდინება ეხლა ყველაფერი. არა ჰსცხვენიან, რომ ერთს სტრიქონს არა მწერს?

ლიზოს წიგნი სულ არ მომდის და ძალიანა ვწუხვარ. თუ იცოდე იმისი ამბავი, მომწერე. იქნება ავად იყოს და არ იწერე-

ბოდეთ. ჩვენი ბილეთების ვადა 11 იანვარს გავიდა, იქნება გაყიდეს და ჩვენ ცარიელზედ დავრჩით.

ღმერთმა მაღირსოს თქვენი ყველასი მშვიდობით ნახვა.

საუკუნოდ შენი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

8 იანვარი [1874 წ.].

გაზილა რასა იქს.

67

საყვარელო და უსაყვარლესო კ უ კ ლ უ შ კ ი!

აი მოვიდა ხუთმეტი იანვარიც და ჩემს ღრუბლიანს ცაზედ მაინც არ გამოვიდა მზე. დასწყევლოს ღმერთმა აქაურობა თავის სამინისტროებითა და უნუგეშობითა. არ იქნა, არა და ჩვენი უსტავი ვერ გადავიდა „გოსუდარსტვენნი სოვეტში“. არ ვიცი. ღმერთმა იცის, რა ვქნა. რაც ღონისძიება ხელთა მაქვს ყოველის ფერსა ვხმარობ, მაგრამ რას უზამ იმისთანა ხალხს, რომლებისათვისაც ღმერთს არც მოტვლეპილს კეფაში ტვინი ჩაუდვია და არც მყრალს გულში გრძნობა. მატყუებენ, მატყუებენ და მაგ მოტყუებას ბოლო არა აქვს. ღმერთმა დაიხსნას ყოველი ქრისტიანი ამათ ბრჭყალებიან ხელში ჩავარდნისაგან. ვერ წარმოიდგენ, რა ხალხია. ღმეჭია, ღრეჭია, ფლიდი და მურტალი, ერთიერთმანეთს ასხედან და რუსეთის იმპერიის საქმეს აწარმოებენ. საშინელი მდგომარეობაა ჩემი: სირცხვილით ვერც წამოვსულვარ და მწუხარებით ვერც აქ დამდგარვარ. არ ვიცი რა ვქმნა, წამოვიდე, ყბად ამიღებენ, არც წამოვიდე კიდე — შენი მაგრე ყოფნა და ჩემი უშენოდ გდება გულს მიწყლავს. ოხ, მუხთალო სოფელო!.. ამ დღეებში კიდევ მოვიცდი და თუ არა გახდა რა, უნდა ვიჩივლო. მეტი გზა არ არის. რაც მოგვივა, მოგვივა. ჯანი გავარდეს, მე კი ჩემი დამემართა მაგათ ლოდინშია და. ვერ წარმოიდგენ, გიმეორებ, — ამ საძაგელს ჩინოვნიკობას. ჩვენებს კიდევ რა უჭირთ, ამათთან ანგელოზები არიან. თუ რუსეთს დაღუპავს რამე, სწორედ ეს მსუნაგი, ნამუსმიხდილი, მტაცებელი, ბრიყვი ჩინოვნიკობა დაღუპავს.

ძალიანა ვწუხვარ, რომ აქამომდე ყვარელში არ გასულხარ.

ერთი მინდოდა დალაგებით შემეტყო, მოგვივიდა რამე თუ არა; ახლის შენობის საქმე წინ ფეხწადგმულია თუ არა. ერთი მოაკერხე და მალე გადი როგორმე და შენებურად დააწყე და დაალაგე ჩვენი მიყრილ-მოყრილი, აქოთებული მდგომარეობა.

გუშინწინ ლიზოს წიგნი მომივიდა და ალექსანდრესი. მხიარულ წიგნსა მწერენ, ნამეტნავად ალექსანდრე. ძალიან მიამა ლიზოს წიგნი. ნინუცას კი, რომ მოვალ, ხმასაც არ გავცემ, — არა ჰსცხვენიან, ერთი სტრიქონი წამლადაც არ მომაწოდა? მოვალ და გადავახდევინებ.

თუ ღვთის მადლით აქედამ მშვიდობით თავი დავაღწიე და წამოსვლა დავაპირე, ტელეგრამას გამოგიგზავნი წამოსვლის ჟროს. გუბარევის წიგნი მომივიდა, რომ შალიკოვს ოლგა ფაღეევნას ტელეგრამა ტელეგრამაზედ მოსდისო და კითხულობსო შენს მოსვლის ამბავსაო. არა, იქ რომ არა ჰსწერო, განა ჩემის წიგნებიდამ ვერა ჰსცნობ ჩემის მოსვლის ამბავსა?

რატომ გაზილას ამბავს არასა მწერ, იქნება ან დამიკარგე, ან მოკვდა? ძალიან მეწყინება, თუ ან ერთი გამართლდა ან მეორე. ჩემო კუკლუშკი, მომწერე მაგის ამბავი.

მიშკას ვიპოვიო, ამბობს ნიკოლოზი. ეს ბურთი და ეს მოედანი. იპოვოს, რაღა გულს გვილევს. ნეტავი ისევ დუგანა დაკარგულიყო და მიშკა კი არა. ძალიან მიყვარდა და შენც გიყვარდა. პლატონ იოსელიანზედ უფრო ბრძენი ცხენი იყო. საშყალი, მგონი ეხლა რა უპატივრობაში და ჯაფაშია. მეცოდება და მენანება.

ერთი ჩვენი ფოდრაჩიკის ამბავი დაწვრილებით მომწერე. რა იქნა, სად დაიკარგა. თუ კარი და ფანჯარა მართლა არ ვარგა, უკან დაუბრუნე, ნუ მიიღებ. ეცადე, ყვარელს რო გახვიდე, აგური, კრამიტი, კირი, ქვიშა მოაგროვებინო და დააწვევინო.

მომიკითხე ნინო, იმისი შვილები, ნიკოლოზი და ყველანი ვინც მე მიკითხოს. ათასჯერ მოგეხვევი, ათასჯერ გაკოცებ და დავშთები საუკუნოდ

შენი ილია ჭავჭავაძე.

15 იანვარი [1874 წელი].

Საყვარელო ო ლ ი კ ო!

ეს მეორე ფოშტაა რაც შენი წიგნი არ მიმიღია. არ ვიცი რას ნიშნავს? ძალიან კი ვწუხვარ, რომ შენი ამბავი ასე დამიგვიანდა. რასა იქ და როგორა ხარ, ჩემო კარგო! როგორ გაატარე დღესასწაულები, იყავ ყვარელში თუ არა? ნახე რამ სანუგეშო ჩვენის უფერულის ცხოვრებისათვის? ძალიან ვწუხვარ, რომ ფოდრიაჩიკი წასულა. ნუთუ მართლა აღარ მოვა და შეჭამს ჩვენი ფულები? ვერაფერი საქმე მოგვივა, თუ აგრე მოხდა.

ბანკის საქმე ჯერ კიდევ ისევ ისეა, როგორც აქამომდე იყო. დღე არ გავა რომ არ დამპირდნენ, აი დღეს, აი ხვალეო, მაგრამ ამდენი დღეს და ხვალე გავიდა, რომ თვლა აღარა აქვს. არ ვიცი. ღმერთმან იცის, რა ვქნა! ეს ძაღლუმადურად უშენოდ გდებაც მომწყინდა და ხელცარიელიც წამოსვლაც ვერ გამიბედნია. ყოველი ჩემი ფიქრი, განზრახვა, საგანი, მომავალში გამიუქმდება. წამიხდება, გაიღობება, თუ ამ ბანკის საქმეს კეთილი ბოლო არ მოვუღე. ცუდად და მოუფიქრებლად გავები ამ ვაივაგლახში. მაგრამ რას იზამ. რაც მოხდა, ეხლა მხოლოდ იმის ცდა გვინდა. რომ პატიოსანის სახელით მაინც დავრჩეთ და პატიოსნურად შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა. მაინც და მაინც ვეცდები. ვცდილობ რომ რაც შეიძლებოდეს მალე გავათავო აქ ყველაფერი და ჩქარა წამოვიდე და ერთი ლაზათიანად მოვასვენო თავი შენს კალთაში. დავიღალე და ძალიანაც დავიღალე. მომწყინდა აქაურობა, უფერო, უმზეო, უსითბო, უგრძნო, უჭკო, უღვთო.

ახ ნეტავი ჩემს მოსვლამდე ჩვენი სახლები შავად მაინც მომზადებულიყო! რა კარგი იქნებოდა?

ოლიკო! რაც რამ გვქონდა სულ, წამოსვლის დროს, შენს დიდს ზანდუკში ჩავაწყე და მგონია ეხლა ჩრჩილისაგან, რაც რამა მქონდა, სულ დაჭმული იქმნება, იმიტომ შიგ არაფერი არ ჩავატანე. ჩემი მაუდის ტანისამოსი, ზამთრის საბნები, „ზანავესკები“ სულ წამხდარი და გაფუჭებული იქნება და მგონი არც არაფერი ეშველება. ზანდუკის გახსნა არ შეიძლება, იმიტომ

რომ ჩვენი ვერცხლეული სულ იქ არის, და ბევრი რამ დაიკარგება, თუ ვინიცობაა გაიხსნა უჩვენოდ. კიდევ როგორც არის ისე დარჩეს ისა ჰსჯობია. მე მოვალ და რაც გადარჩომილი იქნება, მოვუვლი.

მიშკას ამბავი მომწერე და გაზილასი.

მომიკითხე ყველანი. ოლიკოს ჩემს მაგიერ ბევრჯელ ბევრჯელ აკოცე და მოეხვიე.

საუკუნოდ შენი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

23 იანვარი [1874 წელი].

69

4-ს თებერვალს [1874 წ.] ორშაბათი.

ჩემო სასიხარულო ო ლ ი კ ო!

ჩვენი ბედი მგონი ეხლა ცოტაოდენად ქვეფზედ მოვიდა: ოცდაცხრას ამ თვეს მინისტრი ვნახე და შევჩივლე ამდენი ჩემი უვალება და აურზაური დავუწყე. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ მინისტრის ამხანაგს ქრთამი ჩაეყლაპა სლეპცოვისაგან, რომლის უსტავიც საქართველოსათვის კიდეც დაიტკიცებულია. ამ სლეპცოვმა შარშან დაამტკიცებინა უსტავი და მინისტრის ამხანაგს უნდოდა, რომ ჩვენი არ დამტკიცებულიყო. ხახა ლაძაზად ჰქონია დამბალი, ამბობენ ორიათასხუთასი თუმანი აქვსო სლეპცოვისაგან აკრულიო. ამის გამო მინისტრის ამხანაგი ჩვენს უსტავს აბრკოლებდა თურმე და ჩვენის უსტავის საქმეს არავის არ ანებებდა: მე თვითონ დავწერო წარდგენასაო. დავწერის მაგიერ ამოიღო ქვეშ ჩვენი საქმე და ხელს არა ჰსძრავდა. ავდექი და მინისტრსა ვთხოვე, რომ „კრედიტნი კანცელარიის“ დირექტორს გარდაეცით მეთქი. გასჭრა ჩემმა ბედმა და ორ დღეს უკან მინისტრის ქაღალდი მომივიდა და იწერება, რომ ჩვენი საქმე დირექტორს გარდავეცი და ძალიან მალე შესრულდებაო. ოთხს თებერვალს დირექტორთან ვიყავი, ძალიან შეუფუცხუნებია, როგორც ჩანს, მინისტრს. შემეხვეწა, ზოგიერთი რამ თქვენს უსტავში არ მესმისო და ამიხსენო. მოგეცა

წყალობა, მე ამისათვის თავი არ დავიშურე, მთელი საათი ვიბ-
ასეთ და ბოლოს ის მითხრა, რომ ამ კვირია, თუ არაო, იქით
კვირაში უთუოდ წარდგენილი იქმნებაო „გოსუდარსტვენნ
სოვეტში“. როგორც ბავშვი ისე მხიარულად წამოვედი. ეხლ-
იმედი მაქვს, რომ თუ არ თებერვალს, მარტში მაინც ჩავეხე-
ტები ჩემს დაუვიწყარს, საყვარელს, სანატრელს კუკლუშკას-
ველი და ველი მაგ ბედნიერებასა!..

ოლიკოს მზემ, სულით, გულით, ხორცით, ჰკვით, გონებით
დაქანცული ვარ. როდის იქნება თუნდ მშრალს პურზედ ორნი
ერთად ვიყვნეთ და ჩვენებურად ვტიტინობდეთ ამა ქვეყნის
უმადურს ბრუნვაზედა. ესეა, ჩემო ოლიკო, ნესტან დარეჯანის
ამბავი.

შენ რაღასა იქ? ეხლა შენ უნდა ყვარელში იყო, როგორც
შენის წიგნიდამა ჰსჩანს. მოუთმენლად ველი შენგან წიგნს და
დაწვრილებითს ამბავს მანდაურის ავკარგიანობისას. რაღა ხვე-
წნა გინდა, ჩემო კარგო, აბა ერთი ლაზათიანად დატრიალდები
ეგება ვიდრე მე მოვიდოდე, მასალა სახლისა მოტანილი მაინც
დამახვედრო. ჩვენ რომ ერთი ლაზათიანი სახლი მოვიხერხოთ
ყვარელში, ჩვენს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფს.

ძლივს ნინუცამ აქ გაბედა წიგნის მოწერა. მიკვირს, როგორ
უნებებია. დამაცადოს, მანდ მოვალ და ხუთს ურემს საყვედურს
მოვუტან, თუ საყვედურის წამოღება ძვირად არ დამიჯდება.

აქამდინ ჩვენს თარგმნილს ლირს წაიკითხავდი. მომწერე,
როგორც მოგეწონა შენ და სხვებსაც. მაგას კაი წაკითხვა უნდა,
რომ კაცმა მოიწონოს. სწორედ ახალწლის პირველ დღეს სრუ-
ლად გავათავეთ თარგმანი. მე ძალიან მომწონს და სხვისა არ
ვიცი. აი, როცა მოვალ, მე თვითონ წაგიკითხამთ და მაშინ ნა-
ხავთ როგორი თარგმანია. ღმერთო, ერთი მალე მაღირსე შინ
წასვლა, რომ ერთი ჩემს კუკლუშკას კალთაში ლაზათიანად მო-
ვისვენო. საძაგლად მომწყინდა აქაურობა, თუმცა ეხლა აქ
დიდი ამბებია: ხელმწიფე[მ] ქალი გაათხოვა. ავსტრიის იმპერა-
ტორი მოვიდა. ერთი ჩირაღდნები, ბაირაღები, ჯარების თამაში,

ერთი ყოფა და ამბავი. ოთხშაბათს მეც ვიქნები იმ ბაღში, საცა ჩვენი იმპერატორი და სხვა ხელმწიფენი იქმნებიან.

საუკუნოდ შენი ილია ჭავჭავაძე.

70

ჩემო უსაყვარლესო ოლიკო!

შენი წიგნი ორი კვირაა არ მამსვლია, ბოლოს გუშინ ორი ერთად მივიღე და წინანდელი შეწუხება მხიარულებად გადამექცა შენის კარგა მყოფობის ამბისა გამო. მადლობა ღმერთსა, რომ ყველანი კარგადა ხართ.

შინაური, ესე იგი ყვარლის ამბები ვერაფერი სანუგეშონი არიან, მაგრამ რა გაეწყობა ჩვენს ბედსა მაყივნებელსა. ვითმინოთ, ვიდრე მოთმინების წყარო დაგვიშრება, და მერე რაც მოსახდენია, მოხდეს. ჩემმა სასიქადულო მოურავმა და გიორგიმა ვერაფერი კაცობა გამოგვიჩინეს, ერთმა თვითონ გაგვქურდა და მეორემ ჩვენი თავი სხვას გააქურდვინა. ესეც ჩვენს ბედს ზედ კისერზედ დავაჭდიოთ და მოთმინებითა მოვიპოვოთ, სული კი არა, დაკარგული. რაც მოხდა, მოხდა. ყველაფერს დაკივიწყებ, როცა ღმერთი მაღირსებს ჩემს ოლიკოს ნახვასა. ქვეყანა ამითი კარგია, რომ ჭინჭაოიც მოჰყავს და ვარდიცა, ესე იგი, შეწუხებაც იცის და ამასთანავე სიამოვნების დაპირებაცა. მე იმითი ვსულდგმულობ, რომ დღესა თუ ხვალ ჩემს საყვარელ ქვეყანაში ჩემს საყვარელს კუკლუშკას გულში ჩავეკვრი, სხვა ყველაფერი შენი ჭირის სანაცვლო იყო[ს].

ჩვენი ბანკის საქმე გაჩაღდა და გაჩარხდა. ეხლა დიდი იმედი მომეცა, რომ უსათუოდ დაამტკიცებენ. თვითონ მინისტრი ვნახე და დალაგებით მოველაპარაკე. ძალიან კარგად მიმიღო და დიდის ნუგეშით და იმედით გამომისტუმრა. ამ კვირია უსათუოდ გადავა ჩვენი უსტავი „გოსუდარსტვენნი სოვეტში“ მინისტრის თხოვნით, რომ დაამტკიცონ. გადასვლის შემდეგ ერთი კვირა კიდევ მომიხდება აქ დარჩომა და მერე კი შენი უმორჩილესი მონა უმორჩილესად თავს დაგიკრავს შენ, მის ხელმწიფესა. საღდგომოთ მაინც იმედი მაქვს, რომ გნახო.

გუშინ ჩემი ძმისწული სენო აქ პეტერბურგში მოვიდა და მე მნახა ხვალ ისევ მიდის. დიდი სამდურავი ვუთხარ, რომ დაგვივიწყა. ბევრი ბოდიში მოიხადა, მაგრამ ეს კი უნდა გითხრა, ჩვენზედ სრულიად გულაყრილია. ღმერთმა მშვიდობა მიჰსცეს. სამხედრო სამსახურში იუნკრად აპირობს შესვლას; მე თუმცა გადუკარ, რომ ეგ სულელობაა მეთქი, მაგრამ ისე მიიღო, როგორც კედელმა ცერცვი. თავის პორტრეტის მოცემას დამპირდა და მგონი მომატყუებს. მაინც ღმერთმა მშვიდობა მისცეს.

დიდს ხვეწნას იწერები, რომ შენი დისწული სენო მოსკოვში უნახავი არ დავაგდო. მაგას რაღა ხვეწნა უნდა, მაგრამ იმის ბიძის დაპირებაზედ კი რა მოგახსენოთ. მაინც კი მე ჩემსას ვეცდები.

მამიშენის საქმე ჯერ არ გაუსინჯავთ „გოსუდარსტვენნი სოვეტში“. ბევრსა ვცდილობ, რომ როგორმე მალე გასინჯონ, მაგრამ ცდა უქმადა მრჩება. მაგის მოგების იმედს კი იძლევიან. მაგასაც ვნახავთ.

არაფერს იწერები არც აგურისა და არც კირის დაწვისას. მე რომ მაინდამ წამოვედი, მე და ივანე დურგალმა აგურისა და კირის დაწვის თავდარიგი დავიჭირეთ და რა ბოლო მიეცა მაგ თავდარიგსა, მაგისას არასა მწერ.

ძალიანა მწყინს, რომ მიშკას პოვნაზედ იმედი თითქმის გადაგიწყვეტიათ. ვერ წარმოიდგენ, რა რიგად მიყვარდა ეგ ცხენი. საწყალი!..

ჩემს დას ნინოს, ნიკოლოზს და მათს შვილებს დავკოცნი. იყავი, ჩემო კარგო, მშვიდობით და მელოდე საღდგომოდ, თუ მშვიდობაა. რა დღესაც გამოვალ, თუ ჯიბეზედ სუსტად არ ვიქნები, ტელეგრამას მოგწერ. მე შავის ზღვით წამოვალ და ქუთაისზედ გამოვივლი.

საუკუნოდ შენი ილია ჭავჭავაძე.

18 თებერვალი [1874 წელი].

71

ჩემო კარგო და საყვარელო ოლიკო!

შენი წიგნები მივიღე, მაგრამ ისე დაწვრილებით არ მატყო-

ვინებ ჩვენი სახლის გარემოებას, როგორც მე მინდოდა. მე რომ წამოვედი, მე და ივანე დურგალმა პირობა დავსდეთ, რომ აგური და კირი ერთად უნდა დაგვეწვევინებინა, და არ ვიცი ეს ასე რატომ არ მომხდარა. მგონია, პურიც წაღებული ჰქონდა ივანე დურგალსა მაგაებისათვის.

ძალიანა ვწუხვარ, რომ ჩვენს სასიქადულოს, მაგრამ მამაძაღლს დუდაურს ეგრე დავუღუპნივართ. მე რომ მოვდიოდი, ნიკოლოზს და ნინოს ვჰსთხოვე, რომ პირველ შემთხვევაშივე ეთხოვეთ მეთქი, მაგრამ, როგორცა ჰსჩანს, ეგ დათხოვნა ვერ მოუხერხებიათ და ამის გამო ჩვენ შუაში გავიჭყლიტენით. ნეტავი შენის სიცოცხლით ის მაინც შეგვრჩეს, რაც გადარჩენია დუდაურს. ეს კი მიკვირს: ამას წინედ მწერდი, რომ ხუთი ურეჭი ღვინო მოგვივიდაო, და ეხლა იწერები ოთხიო. ეს როგორ მომხდარა, რომ ხუთი ოთხად გარდაიქმნა, ოთხი რომ ხუთად შეცვლილიყო მაგის გამოძიებას კი არ შევუდგებოდი და ისეც ვამოუძიებლივ დავიჯერებდი.

გეთაყვა, ოლიკო, რაც შეიძლებოდეს სახლის მასალის მოგროვებას უმარჯვეთ, ვიდრე მე მოვიდოდე. მოვალ თუ არა, შენება უნდა დავიწყო. აგური, კირი დააწვევინე, ქვიშა და ქვა აზიდვინე. რატომ არასა მწერ, ცხენების მოსავლელად ვინ დაიჭირე, იცის თუ არა შებმა ცხენებისა და ტარება. მიშკას პოვნის შემდეგ იწერები, ნეტავი შენის სიცოცხლით ეგ იმედი არ გამიტყუნდეს. ძალიან მიყვარდა ის დალოცვილი და მაგისთანა მშვიდობიანს, გულისხმიერს და ბრძენს ცხენსა ჩვენ თავის დღეში ვეღარ ვიშოვით. ნიკოლოზი უკეთესს ვერას დამავალებს, როგორც მიშკას პოვნასა. ღმერთმა ხელი მოუმართოს და აპოვნინოს. კაი ცხენი იყო და პატრონის საყვარელი. რაღა ის მოიპარეს! ეტყობათ, იმის ქურდებს პირში გემო ჰქონიათ.

ჩვენი უსტავის საქმე ეხლა სწორედ რკინის გზით დადის, ძალიან აჩქარდა. წარსულს ოთხშაბათს „დოკლადი“ იყო მინისტრთან. მინისტრმა კარგი აზრი დასდვა, ხოლო ზოგიერთი სტატიები შეჰსცვალა, მაგრამ ერთის ცვლილების მეტი სხვა ცვლილებანი მაგდონი არაფერია. ვენახების თაობაზედ დიდი ბაასი გვქონდა სამინისტროში. მეც დაბარებული ვიყავ, ბევრი ვიყა-

ყანეთ, ბოლოს ქაღალდიც მიეცი. არ უნდოდათ, რომ ვენახები დიდის ხნით გირაოდ მიეღოთ, რადგანაცაო ვენახი შეიძლება მალე წახდესო, ამით ფასი მოაკლდებაო და ბანკი დიდს ზარალში შევაო, და უნდოდათ სამის წლის ვადა დაენიშნათ ვენახებისთვის. მე ვცდილობდი, რომ თვრამეტი წელიწადი და შვიდი თვე დაედვათ ვენახების დასაგირავებლად. ბოლოს იქამდინ მივედით, რომ რვა წელიწადი მიიღო მინისტრმა, და ამასთან გამომიცხადეს, რომ თუ ეს ვადა ცოტა იქნებაო, მერეც შეგიძლიანთო ითხოვოთო ვადის გაგრძელებაო და ჩვენ ამის ნებას მოგცემთო. მეტი გზა არ იყო და მეც თანახმა გავხდი, უფრო იმიტომ, რომ სამინისტროს დირექტორმა ჩუმად მირჩია, დაჰყაბულდიო, დეე ჯერ უსტავი, როგორც იყოს, დამტკიცდესო და მერე რა ცვლილებასაც ითხოვთო, სამინისტრო უარს არ გეტყვითო. ეს ვენახების საქმემ ცოტათი შემაწუხა, თორემ სხვაფრივ ჩვენი უსტავის გარემოება ძალიან კარგად არის. არა უშავს რა, შემდეგში ესეც გასწორდება.

ხვალ დილაზედ უსტავი სახელმწიფო რჩევაში გადავა, არავითარი მიზეზი არ არის ეხლა დაუმტკიცებლობისა; დიდი იმედია, რომ დაამტკიცებენ, ამიტომ, რომ თვით მინისტრი ამას ითხოვს. აძას ყოველ კი საძიხისტროს არ უნდოდა, რომ ჩვენი უსტავი დამტკიცებულიყო. ეხლა კი სამინისტრომ ჩვენდა საკეთილოდ აზრი შეჰსცვალა.

მე საღდგომოდ ჩემს ოლიკოს ჩავეხუტები. უთხარი ოლიკოს რომ მხიარულად და კარგად დამხვდეს.

საუკუნოდ შენი ილია ჭავჭავაძე.

26 თებერვალი [1874 წ.].

72

ჩემო კარგო ო ლ ი კ ო!

შენი წიგნი, ოცდასამს თებერვლიდამ დაწერილი, გუშინ მომივიდა და არ იყო რომ ცოტად გული არ მატკინა. მწერდი, რომ „შენ გაზილა უფრო გახსოვსო, ვიდრე მეო“. ამ სიტყვებმა დიდად შემაწუხა უიმისოდაც შეწუხებული. ვიცი შენის კეთი-

ლის გულისაგან, რომ ეგ სიტყვები სახუმარად მომწერე, მაგრამ უნდა გაგიტყდე, რომ მაგგვარი სიტყვები სახუმაროდაც არ ვარგა. არ ვიცი საიდამ მოგსვლია ფიქრად მაგგვარების მოწერა. ამ უნათესავო და უმზეო ქვეყანაში ყოფნა არ მეყოფის ჯავრად, რომ მაინდამაც ეკლებით არ ვიჩხვლიტებოდე!.. დამაცა, ერთი ღმერთმა მაღირსოს შენი ნახვა და მოხვევნა და მაშინ შეგანანებ მაგ რიგად ავად ხსენებასა ჩემსა. არ გეგონოს კი რომ ვჯავრობდე შენზედ, არ ვჯავრობ კი, მხოლოდ მწყინს მაგისთანა ხუმრობა, მერე მაგოდენა მანძილი დევს შუა.

ერთად რომ ვყოფილიყავით და მაშინ გეთქო ეგ ხუმრობა, სიტყვით, ალერსით თუ ოხუნჯობით გავაქარწყლებდით მაგგვარის ხუმრობის უგემურებას. ეხლა კი გულში უნდა ჩამრჩეს, რომ ჩემს კუკლუშკას ამისთანა ჩემი საწყენი ხუმრობა ფიქრად მოსვლია მეთქი.

დაიცა, დაიცა, ერთი მოვიდე მანდ და შენს ჯავრს სულ ერთის კოცნით ამოვიყრი.

• ხუმრობას თავი დავანებოთ და აი უკანასკნელი ამბავი: გუშინ ძლივს ჩვენი უსტავი „გოსუდარსტვენნი სოვეტში“ გადავიდა. იქ დიდს იმედს იძლევიან, რომ მალე გავარჩევთო და დავამტკიცებთო. ამასთან ეჭვი არ უნდა იყოს, რომ უსათუოდ დაამტკიცებენ. ვიდრე ყოველიფერს დაწვრილებით შევიტყობდე, აქ უნდა დავრჩე, და მგონი ან ოცდახუთს მარტს წამოვალ, ან არა და აპრილის პირველს რიცხვებში, ასე, რომ რაც უნდა ჟამთა დაუდგრომელობამ მიღალატოს, მაინცა და მაინც ხუთმეტს აპრილს ქალაქში. ამოვყოფ თავსა, და ოთხ-ხუთი დღის შემდეგ ვეახლები კუკლუშკასა, რომელიც ეგრე გესლიანად გამომეხუმრა ამ ბოლო დროს, და მაშინ ვუჩვენებ ჩემს კუკლუშკას როგორი გადახდევინება მოსდევს ჩემს უბრალოდ წყენასა. თუმცა ვიცი, რომ შენ ამ წიგნზედ გაჯავრდები, მაგრამ მე არ შემეძლო ზემოხსენებული ხუმრობა შენი — უყურადღებოდ დამეგდო და ამიტომაც მოგწერე ესე ყოველი, რაც ზემოდ აღწერილია. ერთს საქმეს კი გთხოვ, ჩემო კარგო კუკლუშკი, ნუ გაჯავრდები, იმიტომ რომ, მე თუ გწერ ყოველს ამასა, იმისთვისა გწერ, რომ შენ ხარ ჩემი უსაყვარლესი და კარგი მეგო-

ბარი. კარგმა მეგობრობამ კიდევ ეს იცის, რომ რაც მოხდება, ურთიერთს პირში უნდა უთხრან და მოურიდებლად; დაფარული მეგობრობაში არა უნდა იყოს რა, და ამის შემდეგ როგორ დაგიმალავდი იმ პატარა ჩრდილს, რომელიც შენმა ზემოხსენებულმა ხუმრობამ ჩემს ისეც, უშენობით მოღრუბლულს გულს მოაყენა.

ახ, ნეტავი ეხლა შენ კალთაში ვეგდო და მაშინ... ოხ, მაშინ... ერთხელ რომ ყურს გაგიწევდი, ათასჯერ ტუჩებში გაკოცებდი, რომ ყურის გაწევის ტკივილი ჩემის კოცნით გამექარვებინა. ღვთის მადლით, ეგეც მალე ამისრულდება. მალე გნახავ, სულ ბევრი, ბევრი, ერთს თვეს შემდეგ, და ამ წიგნს კი როგორ წაიკითხავ ორი კვირის შემდეგ — თითონ ამ წიგნის დამწერი შენსა წინაშე წარმოსდგება სრულის თავის ახოვანებითა (არ გაიცინო რომ ჩემს პაიკობას ახოვანობად ვახსენებ).

მარად, მარად და მარად შენი ერთგული, შენი ნახვის მონატრე და უკუნისამდე

შენი ილია ჭავჭავაძე.

11 მარტი [1874 წელი].

73

ჩემო კარგო და სანახავად სანატრელო ოლიკო!

ამ უკანასკნელს დროს ძალიან გამოინადირე შენს ქმარზედ. ამას წინად მომწერე, რომ მე ვითომც გაზილა უფრო მახსოვდეს, ვიდრე შენ. ეხლა მწერ, რომ შენაო ჩემს წიგნებს არ კითხულობო, ამიტომაცაო არც ერთზედ პასუხს არა მწერო. არ ვიცი, ამგვარი საყვედურები საიდამ და როგორ დავიმსახურე. შენ რომ იცოდე, რა რიგად მაწუხებს ხოლმე ამისთანა საყვედურები, შემიბრალებდი და არ მომწერდი. ჩემს აქაურს ბედნიერებას ეგღა აკლდა და ეგეც მეღირსა. ეხლა ფიალა სავსეა.

მე აქამომამდე ვფიქრობ მაზედ, თუ რა მომწერე იმისთანა, რომ მე პასუხი არ მოგე. ლირისას იწერები, გთხოვეო ხელნაწერი გამომიგზავნეო. ჯერ არ გითხოვნია, და თუნდაც გეთხოვნა, შენს თხოვნას ვერ ავასრულებდი, იმიტომ რომ ლი-

რი ორმოცდაათ თაბახამდე არის და ვინ გადაჰსწერდა, რომ შენთვის გამომეგზავნა. მეორე, ითხოვდი ჩემს პორტრეტს და გწერდი თან წამომიღეო. ეხლა კი იწერები, რომ მე გთხოვეო პორტრეტი გამოგზავნეო. არცეს არის მართალი, შენა მწერდი,—თან წამომიღეო, და არ მოიცდიდი, იქნება მომეტანა. მაშასადამე შენი საყვედური აქაც უსაფუძვლო და უმიზეზოა. ყოველ ამისათვის ჩემი კუკლუშკა მიმიცია სამართალში და ის სამართალი გადაჰსწყვეტს, რომ იგი კუკლუშკა ცილის წამებისათვის უნდა დაისაჯოს. იცი რითა? იმითი, რომ ბრწყინვალე თავადმა ილია ჭავჭავაძემ უნდა კუკლუშკას ყურები გაუწიოს და თითო ყურის გაწევაზედ ასჯერ აკოცოს. აბა მაშინ იგრძნობ რა ძნელია ცილის წამება. დამაცა, დამაცა, ერთი მოვიდე მანდ და მაშინ ნახავ შენს ყოფასა!..

შენის დის წიგნი მომივიდა და ცოტაოდნად მაწყინა. იცი რად მაწყინა? მწერს, რომ თუმცა საზოგადო საქმეზედა ჩაროო, მაგრამ ოლიკო რო დაივიწყეო — ეგ შენის აღთქმის ღალატიაო. ღმერთო ჩემო! სეტყვასავით კი ცვივა ჩემს ბებერს თავზედ ყოვლის მხრით საყვედურები!.. საკვირველია; მაგრამ რუსთველი ამბობს: კარგი რომ მჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო. მაგრამ შენი და მე კარგად არ მიცნობს, და შენ კი ფრიად დასაძოახისი იქნები, რომ მე ვერ მიცნობდე. შენს დას მიეტევება და შენ კი არასოდეს. რა ვქნა, რა მიზეზი მოგეცით, რომ შენცა და შენი დაც ესე უგულოდ მამცირებთ და მსტაცებთ ყოველს კაცობრიულს ფიქრსა და გრძნობასა. რა ვქმენი იმისთანა? ათი თვე დავრჩი რუსეთში? ნუთუ გგონიათ, რომ ქეიფისათვის დავრჩი!... ეგ იყო, რომ მწერდი, არ დაანებო თავიო მაგ ბანკის საქმესო, ეგ იყო რომ გულს მიმაგრებდი და მახალისებდი! მახლას!... მოთმინებითა ჩემითა უნდა მოვიპოვო სული ჩემი, იგი სული, რომელსაც მაგისთანა ჩრდილი მიაყენეს ჩემთა უკეთესთა მეგობართა და მახლობელთა.

მე ამას იმიტომ კი არა გწერ, რომ შენ გაწყენინო, ან მე შენზედ ძალიანა ვჯავრობდე. მე მარტო იმის თქმა მინდოდა, რომ მე ალერსი მიჭირდა ამ ჩემს მდგომიარობაში და არა საყვედური, მერე საყვედური იმისთანა, რომელსაცა არარაიმე სა-

ფუძველი არა აქვს. დაიცა, დაიცა, მოვალ მანდ და ყველაფერში გავსწორდებით, ჩემო კუკლუშკი!..

ჩვენი ბანკის საქმე ძალიან კარგად მიდის, ეჭვი არ არის, რომ დაამტკიცებენ. მაისამდე გათავდება ეს საქმე სრულიად და ღვთით გამარჯვებითაც. მაგრამ მე მის გათავებას აღარ მოვუცდი, რადგანაც მე ეხლა საჭირო აღარა ვარ, უჩემოდაც გარიგდება. მე წამოვალ პეტერბურგიდამ ან დიდს შაბათს, ან არა და ორს აპრილს უსათუოდ და გადაწყვეტილად. ამ წიგნის შემდეგ, შენ წიგნებს ნუღარ მოიწერები, იმიტომ რომ მე წამოსული ვიქნები და შენი წიგნები მე აღარ მომისწრებენ. ძლივს არ ჩავეხუტები ჩემს ცილის მწამებელს, მაგრამ მაინც საყვარელს კუკლუშკასა!.. ქუთაისზედ გამოვივლი, ოთხიოდ დღე იქ დავრჩები, საქმეები მაქვს. მერე ქალაქში დავრჩები ორიოდ დღე და მას შემდეგ გამოვფრინდები (ძალიან კი მოუხდება ფრენა ჩემს ფაშვსა) კარდანეხისკენ და მივუფრინდები აბა შეიტყვე ვისა? დიდი ამოცანაა, ვერ გამოიცნობ.

ნიკოლოზი, ნინო, შვილებითურთ, მომიკითხე, და ჩემ მაგიერ აკოცე მრავალჯერ ერთს ქალს, რომელსაც ოლიკოს ეძახიან და უთხარი, რომ უბრწყინვალესი თავადი ილია ჭავჭავაძე მისი ქმარია საუკუნოდ და უკუნის იქითაც.

შენი ილია ჭავჭავაძე.

19 მარტი [1874 წელი]

74

2 ენკენისთვე [1874 წ., თბილისი]

ჩემო ოლიკოჯან! ჩვენ კი ჩამოვედით, მაგრამ ვაი ამ ჩამოსვლასა: ფული ჯერ ვერ გვიშოვია და ვართ ისე. მერე შენც მანდ უფულოთა ხარ და სიმინდიც საკრეფია. არ ვიცი რა ვქნათ?

გუშინ ამორჩევა იყო „ნაბლიუდატელნი კომიტეტისა“ და ხვალ ზევით ჩვენი ამორჩევა იქნება, გათავდება ეს ამბები თუ არა, ჩვენ წამოვალთ.

ზალიკოს პოლუსაპოშკები რვა თუ ცხრა მანეთად უყიდნია და თითონაც არ იცის სწორე, დავიწყებია რა მიუცია; ეს კია რვა მანეთზედ ნაკლებ არ უყიდნია.

მამაშენი ქალაქშია, გუშინა ვნახე „საბრანიაში“ და დღეს იმის სანახავად მივდივარ. ქალაქში ახალი ამბავი არა არის რა და ჯერ ქალაქში არც არავინ არის. ლიზო ჩემი დაც არ მოსულა.

გაკოცებ ბევრს

შენი საუკუნოდ ი ლ ი კ ო ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

75

ო ლ ი კ ო! გიგზავნი ხუთს თუმანს, ჯერ ამაზედ მეტის გამოგზავნა ვერ მოვახერხე. კენჭის ყრა იყო, მე ამომირჩიეს „პრედსედატელად“, სანდრო ერისთავი და სანდრო ჩოლოყაშვილი დირექტორებად. მგონია საალავერდობლოდ გნახამ.

საჩქაროდ გწერ ამ წიგნსა. თუ ნადიას ფული მოუნდეს, ხელი გაუმართე.

შენი საუკუნოდ ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

6 სექტემბერი [1874 წ. თბილისი]

76

ჩემო საყვარელო ო ლ ი კ ო! მე ქალაქში დავიგვიანე იმიტომ, რომ ბევრი რამ საბღაჯნი მომანდეს ბანკის თაობაზედ და ძალიან ვწუხვარ, რომ შენ მარტოკა ხარ მანდ. ხუთშაბათს, ესე იგი, 19-ს ამ თვეს მოვრჩები ყველაფერს და წამოვალ თიანეთს. ოცდა ერთს თიანეთში მამულების გაყოფა იქმნება და იქ უნდა უსათუოდ დავესწრა, იქიდამ ოთხ-ხუთს დღეს უკან ყვარელს წამოვალ.

გიგზავნი სამს თუმანს და ხუთს მანეთს. თუმცა ამას წინადაც გამოგიგზავნე ხუთი თუმანი მამუკას სახელზედ, მაგრამ ბევრი სახარჯო არის და ეხლაც გიგზავნი, დაგჭირდება. ვიდრე ჰოვიდოდე, კრამიტი სულ მას აზიდვინე, წისქვილი დაადგმევი-

ნე, ქვევრები დაარეცხვინე, ყურძენი კი არ დააკრეფინო, მე მომიცადეთ. შენი ჭირიმე, ქვევრები ჩემს მოსვლამდე მზად გქონდეთ, მე მგონია ქვევრების თავდარიგს აქამდისაც გასწევდი, თუ არ გაგიწევია, უსათუოდ ხელი მიჰყავი და დაარეცხვინე.

გიგზავნი პოლუსაპოჭკებსაცა. ლიზო მოვიდა და კარგად არის, თუმცა ამას წინად ძალიან ავად ყოფილა. შენც ქალაქში წამოსასვლელად მზად იყავი, მოვალ თუ არა, ქალაქში წამოვალთ.

შენი საუკუნოდ ილია ჭავჭავაძე.

16 სექტემბერი [1874 წ., თბილისი]

77

[1874 წ.].

გიგზავნი, ჩემო საყვარელო ოლიკო, ოცდაცხრა თუმანს ნახევარს. აქედამ ერთი თუმანი ნადიას მიეცი. სოლომონს მიეცი რვა თუმან ნახევარი და უთხარი, რომ ხუთმეტი მანეთი ცუცას მივეცი მაგათ მაგიერ სათვალეების და ფუფაიკის სასყიდლად, როგორც თვით სოლომონმა დამაბარა. დასამტკიცებლად, რომ ხუთმეტი მანეთი ცუცას მივეცი, ცუცას წიგნს ვუგზავნი სოლომონს. ამ სახით სოლომონს შეუსრულდება ჩემგან დაპირებული ათი თუმანი. სამი თუმანი მიეცი ბლაღოჩინს, ორი თუმანი საბრალოს, რომელსაც ბარათს ჩამოართმევ, რომ ჩვენგან სამი თუმანი და ოთხი მანეთი ჯამაგირის ანგარიშში მიუღია. დანარჩენი მოიხმარე საჭიროებისამებრ.

შენი ჭირიმე, ოლიკო, არ ინაღვლო, თორემ არც მე და არც შენ. მე შაბათს მივდივარ ზღვითა და ღვთის მადლით მალე დავბრუნდები. აბა, თუ ჩემი მართალი სიყვარული გაქვს, ნუ იწუხებ და ნუ ინაღვლებ.

სოლომანს ათი თუმნის მიღების ბარათი ჩამოართვი. დათიკოს თანდასწრებით ჩააბარე ფული და ამ რიგი ბარათი ჩამოართვი სოლომანს: ათი თუმანი მივიღე ილია ჭავჭავაძისაგან იმ ოცდაჩვიდმეტ თუმნის ანგარიშში, რომელიც ჩემი ილი-

ჭავჭავაძეს დაედო დავით ჭავჭავაძის გადაწყვეტილებით ასე, რომ ილია ჭავჭვაძეზედ ეხლა ჩემი ფული დარჩა ოცდაშვიდი თუმანი. 1874 წ. 30-ს ოკტომბერს" (აქ ხელი მოაწეროს სოლომონმა.) ამისთანა ბარათი უსათუოდ ჩამოართვი და შეინახე.

ცხენები და ღორები არავის დააპარვინო.

ლიზო და ალექსანდრე გემდურიან, რომ არ ჩამოხვედი. კაკო ბოლნიცაში დაიჭირეს და იქა ბრძანდება. მინკვიცი გელიკი კნიაზმა აქედამ სადღაც გადაკარგა.

ნინო, თავის შვილებით, მომიკითხე. წოურის ვენახი უსათუოდ გაასხლევინე; თუ გიორგი ჭავჭავაძემ რაიმე წინააღმდეგობა გამოაჩინოს, გიგოს უთხარ არ დაანებოს.

საუკუნოდ შენი ილია ჭავჭავაძე.

78

ჩემო საყვარელო და კარგო ოლიკო!

აი დღეს მოვედი მოსკოვში და გწერ წიგნსაცა. ტელეგრამიდამ, რომელიც მე მოგწერე, შეიტყობდი, რომ მე ზღვით წამოვედი, მაგრამ უნდა გითხრა, რომ ზღვამ დამტანჯა. სამი დღე და ღამე ასეთი ღელვა და ფორთქვნა იყო ზღვისა, რომ ვერ წარმოიდგენ. მე მეორე დღეს საშინლად მაწყინა და „Фридрих hep ауэ" მომივიდა. ფრიად შევწუხდი და ვფიქრობდი, — ერთი კაცმა მკითხოს, რა მჯის მეთქი. ისა არა ჰსჯობია, ვეგდო ყვარელში და ღმერთს ერთი ლუკმა მოუცია და მშვიდობითა და მოსვენებითა ვჭამო-მეთქი ჩემს ოლიკოსთან. მაგრამ რას იზამ და რას უზამ კაცის ბედის უკუღმართობას. ოდესაში რომ მოვედი და ზღვას მშვიდობით მოვრჩი, კიდევ ორი დღე ვერ გამოვდეგ. ასე მეგონა მთელი ქვეყანა ქანაობს მეთქი. ეხლა კარგადა ვარ, ხვალ პეტერბურგში მივდივარ.

ჩემი გამოგზავნილი ფული 295 მანეთი აქამდინ, რასაკვირველია, მიღებული გექმნება: და მიღების გარდა ნახევარი დახარჯულიცა. შენი ჭირიმე, თავლა დაახურვინე, წისქვილი კი აქამდი მოქმედებაში იქმნება, — თუ არ არის ვაი ჩვენის ახალის მოურავის ბრალი.

წოურის ვენახი გაასხვლევინე და სხვა წვრილი ვენახები. შინაური ამბები დაწვრილებით მომწერე.

სიმინდი პურში გაარევინე, თორემ პური დაგვაკლდება, ხეტყე ტყიდამ, რაც ივანე დურგალსა აქვს მომზადებული, გამოაზიდვინე, ასე კი რომ გუთანი არ მომიცდინო. წელს ოცდახუთი დღის ნახნავი მაინც უნდა გვქონდეს, დანარჩენი გაზაფხულისა იყოს.

ცხენები და ღორები უპატრონობით არ დამიკარგვინოთ, თორემ შენცა და ახალ მოურავსაც მათრახებს მოგიტანთ აქედამ საჩუქრად. ცუცა თუ მოვიდა, გიამბობდა გიორგი ჭავჭავაძეს რა საჩივარი მიუწერია ჩემზედ სოფიო ბაღდანოვისათვის. ბარაქალა გიორგის, მე კი მაგით ვერას დამაკლებს.

მე რომ მოვდიოდი, ნიკოლოზმა მითხრა, ღვინის მუშტარს მოვიყვანო. გამტყუნდა ეგ დაპირება ქართველთ ჩვეულებისაებრ, თუ არა? ეხლა გეცოდინებათ, როგორი ღვინოები დადგა; ღვინოები ეხლა დაწმენდილი უნდა იყოს. მომწერე, გეთაყვა, როგორებია.

ჩემს ღღეში ჩვენის მამულის თაობაზედ ამდვენი სხვადასხვა ნაირი და სხვადასხვა ფერი განკარგულება არ მომიხდენია. მეც მეცინება, ასე მგონია მართლა და არის რამე. მამის შენისავით მეც ვიტყვი: რა მოგახსენოთ პომეშჩიკმა.

მომწერე მანდაური ამბები და მანდაური ჭორიკანაობა. ყვარელი, სწორედ გითხრა, ისე შემიყვარდა, რომ მანდაური ნეხვი მირჩევნია აქაურს ვარდის კონას, ოღონდ კი იმ ნეხვში გიორგი ჭავჭავაძის მყრალი ხსენება არ იყოს.

შენ რას შვრები, ჩემო კარგო? იქნება მოწყენილი ხარ. არც მე და არც შენ, თუ მოიწყენ. მე დეკემბერში უსათუოდ მოვალ და თუ შენ მოწყენილი დამხვდები, ფრიად განმარისხებ. ნეტავი ეხლა ჩვენ დიდ ოთახის ბუხართან ვეგდო და შენს კალთაში თავი მედოს, ჩემო კუკლუშკი.

დათიკო ჭავჭავაძეს ჰსთხოვე ჩემ მაგიერ, რომ ვენახები იასეს წიფლის წყაროს ზვრის თავში მომიგროვოს. ოღონდ ეგ სიკეთე მიყავი-თქო, და მერე თუნდა ჩიტის რძე შემომიკვეთე-

თქო. დათიკოს მეტს მაგის ქმნა არავის შეუძლიან. კარგა შეეხვეწე ჩემ მაგიერ, თორემ გაგროზგამ,

იქმნება როგორმე ნიკოლოზმა პატარა გუთანი გამიკეთებინოს და ცხენები შეაბას და ისე მოხნას. დუგანას კი ნუ შეაბამს. აბა ერთი უთხარ ნიკოლოზსა, იქმნება მომიხერხოს და მაშინ საქონელი თავისუფალი იქმნება ჩე-ტყის საზიდლადა.

მომიკითხე ჩვენი ახალი მოურავი, დათიკო მის კნეინითურთ და სხვანი. თუ ნინუცა თავის შვილებით მანდ იყვნენ, ყველანი დამიკოცნე.

ხვალ პეტერბურგს მივდივარ. წიგნები, შენ რომ ადრესი გაქვს, იმ ადრესით მომწერე. გაკოცებ ბევრს და მრავალსა.

შენი და მარად შენი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

7 ნოემბერი [1874 წ.] მოსკოვი.

79

26 თებერვალი [1875 წ., თბილისი].

ჩემო კარგო ო ლ ი კ ო!

მემდურები წიგნს არა მწერო, მოგწერე და აქამდინ მიღებული გექმნება. ნეტავი შენის სიცოცხლით კატო მალე განთავისუფლდეს, შვილები კარგად ჰყავდნენ, რომ შენც მალე წამოხვიდე, თორემ დავიღალე უშენობით. ჩემს უხეიროზას უყურე, რომ აქამომდე სახლებიც ვერ მოვმართე. ამ კვირიას იქნება ყველაფერი გათავდეს. ოცდაათის თუმნის სხვა მებელი ვიყიდე, რასაკვირველია, ნისიად. სასტუმრო ოთახი მზად არის, ეხლა ზალასა და კაბინეტს ვამზადებ. ახ, ნეტავი შენ კი აქ იყო, თორემ ლამის დავჭლექდე მარტოობით. კატო რა წამს განთავისუფლდეს, ტელეგრამით მაცნობე.

ერთი სასაცილო ამბავი მოგწერო: გოსტინაში და კაბინეტში ექვს შაურიანი ჩითი გადავაკარ, მაგრამ ასე დააშვენა, რომ მოგეწონება. ჩითი ცოტა დამპალი გამოდგა, მამატყუეს, მაგრამ ერთს წელიწადს გვეყოფა. ესეც ნუგეშია.

ხვალ საგურამოს მივდივარ და წარმოიდგინე, რა თვალით შემომხედავს კნეინა მარია დიასამიძოვნა. მინდა ასე მოვა-

ხერხო, რომ რაც ფული ერგებათ სირაჯისაგან, გამოვართო და ბანკში მივაბარო კატოს და დიმიტრის მოსვლამდე. ბევრს გაკოცებ და იყავ მშვიდობით შენის დითა და მისის სახლობითა.

საუკუნოდ შენი ილია ჭავჭავაძე.

აქაურს ამბებს კატოს წიგნიდამ ჰსცნობ.

80

ჩემო კარგო ოლიკო! შენი წიგნი მომივიდა გუშინწინ და ძალიან მიამა. მე აქ იასესთანა ვარ ჩამომხტარი და ყოველს დღეს დილის რვა საათიდამ საღამოს ექვს საათამდე ზემლემერს უკან დავდევთ. ჩვენი საქმე ჯერ გვიან გათავდება; აბა იფიქრე, ჯერ სასახლები დაეზომათ მინამ მე მოვიდოდი, და ჩემს მოსვლის შემდეგ ვენახების ზომვას მოჰყვნენ და აქამომდე ვენახები ვერ გაგვითავებია. ჯერ მინდვრებისა და ტყისა ჩუჩუნიც არ არის. აი ეხლა გწერ წიგნს და კარზედ ცხენი მიდგა, ტყეში მივდივართ გასასინჯავათ და სამშაბათს დავბრუნდებით ისევ ვენახებისაკენ.

შალებს უსათუოდ მოგიტან, ერთი ასეთი შალი ვიყიდე საკუთრად შენთვის, რომ უკეთესი ძნელადღა იქნება.

ძალიან მეწყინა რომ ლევანს მანდაური ამბები არაფერი შეშოუთვლია. მე აქა ვარ და თვალი მაინთკენ მიჭირავს. რას შვრებიან, აკეთებენ რასმეს, თუ არა.

თიანელები დაჰპირებიან, რომ მალე ჩავუტანთ ერბოსაო. ღვდელი აჰკრეფს და გამოგზავნის.

აქაური ამბები არა არის რა იმისთანა, რომ მოსაწერად ღირდეს.

მშვიდობით, ჩემო კუკლუშკი, ვეცდები რომ მალე მოვიდე შინ და ერთი ლაზათიანად მოვისვენო. იწერები, მოწყენილი ვარო, რათა ხარ მოწყენილი? ფული ხომ გაქვს და თეატრი და შეჭცევა შენ ხელთ არის.

შენი ყოველთვის და ყოველს ჟამს ილია ჭავჭავაძე.

მომიკითხე დიმიტრი, კატო და ყმაწვილები.

28 ოქტომბერი [1875 წ., ყვარელი]

81

ჩემო საყვარელო ო ლ ი კ ო! შენი დეპეშა დღეს 9-ს ნოემბერს მომივიდა და დღესვე მოგართვი პასუხი. ამას წინათ სვინკინმა მომიტანა წიგნები და შენა მწერდი, რომ ჩემი წიგნი არ მოგდის. ჯერ რაც აქა ვარ, ერთი ფოშტა წამოსულა და გამოგიგზავნე, მეორე ფოშტაში ვერ გამოვგზავნე, რადგანაც სამი დღე ავად ვიყავ. ასეთი სისუსტე მქონდა, რომ ქვეშაგებში დამაწვინა. ეხლა კარგადა ვარ და გარედ მინდვრებში დავდივარ. ვერ წარმოიდგენ, რამდენი დავიდარაბა გვაქვს, ჯერ კი ჩხუბი არავის მოგვსვლია და იმედია არც მოგვივა. მელქისედეგის წილობამ და ჩვენმა წილობამ მამულებზედ და ტყეებზედ წილი ვიყარეთ და ამბობენ ყველანი, რომ ჩვენ საუკეთესო ადგილები გვერგო. ჩემმა დაუამ პელომ გამიჭირა საქმე მეცა და სხვასაც. სრულიად ჭკვა-მოკლებული დედაკაცი ყოფილა, მაგრამ რადგანაც სოფლად უცხოვრია, ჰგონია რომ ამაზედ უკეთესად მამულების საქმე ქვეყანაზედ არავის ესმის.

ღვინოებში, თუ რვა თუმანს გაძლევენ, გაჰყიდე. ერთი იასე ანდრონიკოვი ნახე და შენის ფულისა უთხარ, რომ მოგცენ სრულად, ეხლა ხომ ღვინოები გაუყიდნია გიორგის და ფული ექმნება. არ მეეშვა იასეს, უთხარ უსათუოდ უნდა მოგვცე-თქო.

თიანეთიდამ რატომ აქამდინ არ ჩამოუტანიათ ერბო, მიკვირს. როგორც იყოს, მოითმინე, მე ამ ორ კვირაზედ მგონი მოვიდე და ჩამოვატანინებ. ურემს ამ ცოტას ხანში გამოვგზავნი. წისქვილს ვაკეთებინებ და აქ დამჭირდა საქონელი. ოლიკო, შენი ჭირიმე, ვექსილების საქმე არ დაგავიწყდეს, დიმიტრი სიმონიჩს მოაგონე, რომ 29-ს ნოემბერს 500 მ. მზად უნდა ჰქონდეს, თორემ კრედიტს დავკარგავთ და დავიღუპებით.

ამას წინათაც მოგწერე, ასეთი შალი გიყიდე ტუნიკისათვის, რომ უკეთესი არ იქნება. ყმაწვილებსაც ვუყიდი და იქნება შენა და კატოსაც ვუყიდო საკაბე შალები, თუ ვიშოვე. მაკოს უთუოდ წამოვიყვან და ჩვენთან დავაყენებ.

მომიკითხე ყველანი.

შენი ერთგული ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

9-ს ნოემბერს [1875 წ., ყვარელი]

82

ჩემო კარგო ოლიკო! ამას წინათ მოგწერე, რომ იასეს შეეხვეწე მეთქი, რომ ფული მოგცენ. გიორგიმ თუ ღვინოები გაყიდა, ფული ექნებათ და უთხარი იასეს ანდრონიკოვს, რომ მოგცენ. ხომ იცი, თუ გიორგის მიანდო, გიორგი შენ არას მოგცემს. ერთის სიტყვით, ძალა დაატანე, რომ უსათუოდ მოგცენ, თორემ ხელიდამ წაგივა.

ჩვენ აქ ტაატით დავდივართ და იმედია რომ მალე დავაბოლოვოთ საქმე. ძალიან მინდა წამოსვლა, მაგრამ რასა იქ, აქაც საჭიროა ჩემი ყოფნა. ეხლა ტყესა ვყოფთ ერთმანეთში და არ ვიცით როდის გავათავებთ, იმიტომ რომ გვიძნელდება საქმე.

ლევანა დაიბარე და უთხარი, რომ ბუშეკიდამ მოსული ხეხილი დარგას. ნეხვი ბლომათ ჩაატანოს მიწაში კარგად არეული. რამოდენადაც მჯდარა ხე მიწაში ერთის ვერშოკით იმაზე ქვევით დარგას. მესამეს დღეს დარგვის შემდეგ კარგად მორწყას.

ჩვენი კუჩერი საძაგელი ლოთი რამ გამოდგა. ბანკის სტოროჟი გიგო დაიბარე და უთხარი, რომ ჩემს ჩამოსვლამდე ერთი კაი კუჩერი შაიგულოს.

შენი ჭირიმე ოლიკო, იასე ანდრონიკოვი არ მოასვენო, ვიდრე შენი ფული თავისის სარგებლით არ ჩაგაბარონ. ბევრს გაკოცებ. მომიკითხე ყველანი. ამ ორ დღეში ურემს გამოვგზავნი.

შენი ერთგული ილია ჭავჭავაძე.

13 ნოემბერი [1875 წ., ყვარელი]

83

ჩემო საყვარელო ოლიკო! მგონია რა რიგად ჯავრობ, რომ წიგნი ერთს ფოშტაში დაგიგვიანე. ვერ წარმოიდგენ, რა ხათაბალაა აქ კაცის შოვნა, რომ თელავში გაგზავნო და ფოშტაში წიგნი გაატანო. აქედამ ფოშტა აღარ დადის, როგორც უწინ. ჯერ დრუჟინა ისე არ მოწყობილა, როგორც ნინიკო ჭავჭავაძის დროს იყო, რომ ყოველ კვირა კაცი მიდიოდა თელავში. ძლივ-

ძლივობით მგზავრს შევხვდები ხოლმე და იმას ვატან წიგნს ფოშტაში. სამი დღეა შენი ტელეგრამა მამივიდა, პასუხიც დაწერილი მაქვს და კაცი არ იყო რომ გამეტანებინა.

ღვინოები გავყიდე აქა კარგს ფასად, ორმოცდაათ თუმნად ურემი, მაგრამ ძალიან ცოტა ღვინო იყო. კიდევ კარგია, რომ გავყიდე. რაც მაინდამ ფულები წამოვიღე, სულ შემომეხარჯა, ძალიან სუსტად ვიყავ ჯიბეზედ, კინაღამ შენ არ მოგწერე ფული მომაშველე-მეთქი, მაგრამ იმ დღეებში ღვინის ვაჭარიც მოვიდა და ხელი გავიმართე.

ტყე გავიყავით, მე ურიგო ნაწილი არ შემხვდა. ეხლა დღეში ორმოცი კაცი მუშაა და „პროსეკებს“ აკეთებენ ტყეში. ეხლა სახნავის გაყოფაზედღა არის საქმე მიმდგარი. ამ ორიოდ დღეზედ უნდა ესეც გათავდეს. მერე ვენახების მოგროვებაზედ დამიგვიანდება კიდევ ერთი ორი დღე და წამოვალ კიდეც და ვნახავ ჩემს კუკლუშკას. მე ეხლა სულ კარგადა ვარ და ძალიან მინდა შენი ნახვა და ქალაქში ჩამოსვლა, მაგრამ ამ წყეულს „მეჭევანიას“ თავი ვერ დავახწიე. იმედი მაქვს რომ ქრისტიშობის პირველ რიცხვებში მანდ ვიქნები. ძალიან მიამა შენი ტელეგრამა, ბარაქალა რომ ხეები დაგირგვევინებია. ვინძლო, მინამ მე ჩამოვალ ყველაფერი გაჩარხული დამახვედრო.

წინდები მომივიდა, მადლობელი ვარ. იწერებოდი კონცერტში გავცივდი და ავათა ვარო. ძალიან მეწყინა, კარგად იყავ, თორემ არ ვიცი რას გიზამ. შენი ამბავი ტელეგრამით მაცნობე. გვიან კი მამდის ხოლმე შენი ტელეგრამები, რადგანაც მგზავრს იშვიათად შეხვდებიან ხოლმე.

ორშაბათს ურემსა ვგზავნი, ძალიან კარგი კამეჩებია. აბა ვინძლო მინამ მე ჩამოვალ, გასასყიდად შეშა აზიდვინო, ერთი ორიოდე გროში შემოვა და კარგი იქნება.

იყავ მშვიდობით და კარგად.

შენი საუკუნოდ ილია ჭავჭავაძე.

25 ნოემბერი [1875 წ., ყვარელი]

84

ჩემო ძვირფასო ო ლ ი კ ო! ლამის ჩვენი „მეჟევანიე“ გათავდეს. მე იმედი მაქვს, რომ 10-ს დეკემბრამდე უსათუოდ გნახო, თუ ამაზედ წინ არა, გვიან ხომ არა და არა.

ციციანოვს ვგზავნი და აი რა უნდა ჰქმნა: 1) ერთი უღელი კამეჩი მანდ უნდა დააგდო თავისის ურმით; 2) თუ მანდაური ხარები კარგად ვერ იბმებიან, აქაური უღელი ხარი მანდ დააგდეთ და მანდაური ერთი უღელი აქ გამოატანეთ; 3) ერთი უღელი მანდაური ხარი, რომელიც ვერ იბმებიან, აქ გამოატანე და 4) ერთი უღელიც ხარი, რომელიც უფრო მდარე იყოს, აქ გამოატანე. ერთის სიტყვით, სამი უღელი ხარი, რომელიც მდარეა, აქ გამოატანე და ერთი უღელი აქაური ხარები, რომელიც უკეთესია, მანდ დაიჭირეთ. მანდ დაგვრჩება ორი უღელი კამეჩი და ორი უღელი ხარი. ლევანას ჰკითხე, თუ საჭიროა სამი უღელი ხარი მანდ დაიგდოს, ორი ჩვენი და ერთი აქაური, სხვა ჩვენი ორი უღელი ხარი აქ გამოატანოს. გეუბნები, თუ საჭიროა მეთქი, თუ არა და სამი უღელი აქ გამოატანოს და ორი მანდ დააგდოს. სახელდობრ, ერთი აქაური და ერთი მანდაური, რაც უკეთესია; ერთის სიტყვით, ორი ურმის ხარი და კამეჩი დაგვრჩება მანდ.

თუ ფული გინდა, ციციანოვს უბრძანე და მოგართმევს ათიოდ თუმანს. ციციანოვი მოვა აქ თუ არა, მეორე მესამე დღეს მე წამოვალ. შენი ჭირიმე, ოლიკო, მე რომ მანდ შემოსავალ-გასავლის წიგნი მაქვს, ორი მაგისთანა წიგნი აყიდვინე და ციციანოვს გამოატანე(**приходо-расходную книгу прошу**).

სხვა აქაური რა მოგწერო, მომწყინდა აქ ყოფნა და შენი უნახაობა ხომ მწყინს და მწყინს.

ქანანოვს უთხარ, რომ აქედამ ვერაფერს აზრს ვერ მოგწერთქო შენს წიგნზედა-თქო, ჩამოვალ-თქო მალე და ყველაფერი მანდ დავაწყოთ-თქო. მომიკითხე ყველანი, გაკოცებ ბევრს.

შენი საუკუნოდ ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

29 ნოემბერი [1875 წ., ყვარელი]

ოლიკოჯან! ჩემს დას ნინოს მოსწერე წიგნი და ჰსთხოვე, მაკო უსათუოდ შენთან გამომატანოს. ნინომ ამას წინად მითხრა, თუ ოლიკო თავისთან იყოლიებსო, გამოვგზავნიო, თუ არა და არაო.

85

[1875 — 1883 წ.]

ო ლ ი კ ო! მე თუნდა ორი წიგნიც მოგწერე და მიკვირს რატომ არ მოგსვლია. აი ციციანოვი მოდის და გამოჰყევი, აღარ დარჩე მანდ, а то скучно одному. კნეინა ლიზას ხელზედ აკოცე ჩემმაგიერ და უთხარი, რომ იანვრიდგანა-თქო თვეში ორ-ორ თუმანს მივსცემ-თქო.

ჩაი, შაქარი და სანთელი, ერთის თვის პროვიზია იყიდე, ციციანოვს ფული ექნება. აი კიდევ რას იყიდი: სხვა და სხვანაირი „ზაკუსკა“, თუ ვინიცობაა ნიკო და სხვანი მოვლენ. ლიზა მუხრანსკის დიდს მადლობას მოვახსენებ, რომ ჩემის გულისათვის, ესე იგი პატარა კაცისათვის, დიდი შრომა მიიღო: მე რომ მანდ ვიყო ხელზედ ვემთხვევოდი, თუმცა კი ხელზედ კოცნა მეჯავრება. კატოს ჩემი დიდი პატივისცემა და ამასთანაც დიმიტრისაც. ყმაწვილები დამიკოც[ნე]. ჩემი და მამიკითხე და უთხარი, რომ იანვარში მზად იყოს ჩვენთან წამოსასვლელად.

ყველაფერი ამბავი, რაც აქ გითხარ, დაწვრილებით შემიტყე. აქ კუტრობის მეტი ახალი ამბავი არა არის რა.

შენი ი ლ ი კ ო ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

86

[1875 — 1883 წ.]

ო ლ ი კ ო! ჩვენი საქმე ვერ რიგდება, სახლები ვერც იყიდება და ვერც გირავდება. შენი მტერი, ჩვენი საქმეა. მე და დიმიტრი ხვალ ვაპირობთ ამოსვლას; ეს იაშჩიკები შინ გაგზავნე და მისწერე ამოალაგონ და შიგ რაც არის კარგს ადგილას შეინახონ, რომ არ გაფუჭდეს. ლიზოს მიჰსწერე, რომ ერთი დეკე-

ული იყიდონ. თუ ფული არ ექნებათ, ციციანოვს გამოართონ. ამასთანავე ლაზარეს უთხრას ლიზამ, რომ თადარიგი დაიჭიროს ძალიან კარგის ვახშმისა. ხუთმეტი კაცი იქნება ვახშმად. მათი აღმატებულება ეკატერინა თადეოზის ასული დიდად და დიდის თაყვანებით მომიკითხე, კნიაზსაც მოკითხვას მოვახსენებ.

შენი ილიკო ჭავჭავაძე.

გორსკის უპრავლენიიდამა გწერ.

87

[1875 — 1883 წ.]

ოლიკოჯან! არ გაჯავრდე, რომ აქამომდე წიგნი დაგიგვიანე. ხომ იცი ჩემი სიზარმაცე და ამით მაპატიე. მე მშვიდობით მოვედი შინა და სახლი უშენოდ ცარიელი დამხვდა. რომ მცოდნოდა, რომ ამისთანა კაი გზა იქნებოდა, უსათუოდ წამოგიყვანდი. მაგრამ რაც მოხდა, მოხდა!.. თუ შენის მანდ ყოფნით ჩემთვის უსიამოვნო საქმე მოვახდინე, ამით მაინც ვნუგეშობ, რომ შენი მანდ ყოფნა კატო[ს]ათვის სასიამოვნოა. ხედამ, უშენობამ რა კომპლიმენტი მათქმევინა. ყოველთვის ეგრეა ხოლმე. როცა ბულბულები ერთმანეთს განშორდებიან, ერთმანეთის ფასს მაშინ ჰსცნობენ და უფრო საოცრად გალობენ. კანარეიკებმაც ეგრე იციან, თუ არ განაშორებენ, ვერ მღერიან. თუნდა... [ყორ]ღანოვის ცოლსა ჰკითხე თუ მართალი არ არის. იმათ კანა[რეიკები] ჰყავთ.

გიგზავნი ოთხს თუმანს. ზალინოვი დაიბარე და უთხარი [ორი გა]ნაპირა ცხენის ხამუტი უშლეიოთ, ერთი შუა ცხენისა კი შლეითა, ერთი „ვოზჟი“, ერ[თი] „სედიოლკა“ თავის გარსაკრითა და ორი ზარი მიყიდოს და გამომიგ[ზავნოს]. ამ ოთხი თუმნიდამ რაც შეხვდეს ამაების სასყიდლად, ზალინ[ოვს] მიეცი. სამი აღვირიც აყიდვინე. ზალინოვს უთხარი, რომ მაჩვენე ხამუტები-თქო, იმისი მიყიდე-თქო. მგონი თვრამეტ-ცხრამეტ მანეთად მოვიდეს ესენი, თუ არა და, რაც ეღირება მიეცი. კატო, დიმიტ-

რი, თუმანიანი მომიკითხე. ელენა კონსტანტინოვნას და ყმაწვილებს ჩემს პატივისცემას განუცხადებ.

შენი ილიკო ჭავჭავაძე.

შუა ცხენის ხამუტი თავის შლეით ზალინოვმა თავის ცხენზედ გასინჯოს და ისე მიყიდოს.

88

[1875 — 1883 წ.].

ო ლ ი კ ო! სახლები დავიჭირე ძალიან კარგი და ძალიან საძაგელს ქუჩაში, სამოც თუმნად. მეტი გზა არ იყო. სახლის პატრონმა ძალიან შემაწუხა, უსათუოდ უნდა პირველს სახლები დამიცალოო. დღეს გადავდივარ. იქნება ამ შაბათს ამოვიდე, სწორედ კი არ ვიცი. ბანკში საქმეები არის.

დიმიტრის უთხარ, რომ მიხა ვარდანაშვილი ჩამოვიდა და მითხრა, რომ თუ ორშაბათსაო არ გათიბეთო, მერე ბალახი აღარ გაითიბებაო ავჭალაში და დიდს ზარალში შეხვალთო. არ ვიცი რა ვქნა. ძალიან ვიზარალებთ და სირცხვილიც იქნება, რომ გაუთიბავი დაგვრჩეს კორუღი. აქეთ-იქით მივდგები, იქნება სანახევროდ ვისმეს გავათიბინო, თუ არა მუშა უნდა ვიშოვნოთ. ჰკითხე დიმიტრის, რა ვქნათ?

აი ანგარიშს გიგზავნი, დიმიტრის და კატოს უჩვენე.

შენი ილია ჭავჭავაძე.

89

[1881 წ.]

ჩემო კარგო ო ლ ი კ ო ჯ ა ნ! მე დღეს ველარ ამოვედი, თუმცა ძალიან მინდოდა. ხვალ არხეოლოგები გვყვანდა მოწვეულნი და მეც უნდა დავსწრებოდი. ეხლა, ეს ეს არის ეხლა გადაჰსწყვიტეს, რომ ორშაბათს იქნება წვეულება, და რადგანაც დიდს მზადებაში ვართ, ველარ დავანებე თავი. საშინელი საქმე მიყო მაგ სულელმა ნესტორამ. ეგ ცხენი, რომლითაც ეგ გამოვგზავ-

ნე, გიორგი შარვაშიძემ დღეს დილით კარზედ მომაყენა და შემეხვეწა ჩემგან იჩუქეო. ბევრი უარი ვუთხარი, მაგრამ არ მამეშვა, ძალიან კარგს ცხენსა ჰგავს. არ ვიცოდი სად შემენახა და ავდექი და მანდ გამოვგზავნე.

ვუთხარი თუ არა ნესტორას, ცხენი უნდა წაიყვანო საგურამოს-მეთქი და ჩაი შაქარი წაიღო, მოახტა ცხენსა და შენთან მოწერილი წიგნი კი აქ დააგდო. ეხლა ბანკის ბიჭსა ვგზავნი და ამას ვატან წიგნსა. აი რას გეხვეწები:

პარასკევს საღამოზედ ოციოდე ყმაწვილები მანდ მოდიან ჩვენთან და თან ჩუბინოვი, ცაგარელი მოჰყავთ. აბა ხომ იცი, კარგად უნდა დავუხვდეთ. ხვალ, ესე იგი კვირას საღამოსთვის, ჩვენი პოვოსკა შეაბმევინე თედოს და გამოგზავნე. თან გამოაყოლე ნესტორა და ლევანი, გამოატანე სია, რა უნდა ვიყიდოთ კაი სადილისათვის, საუზმედ, თუ სადილისათვის. ორშაბათს ვიყიდი ყველაფერს და პოვოსკას ლევანითურთ უკანვე დავაბრუნებ. გარდა მაგისი, დღეს რომ ნესტორამ უნაგირი შოიტანა, ის გამოატანე უკანვე, სხვისაა; უბძანე ნესტორას, არაფერი არ დაუკარგოს მაგ უნაგირსა, სხვისაა. გარდა მაგისა, ჩემი რუსული უნაგირიც გამოატანე, მინდა გავაკეთებინო. ხანჯალი გამოვატანე ნესტორას, ჩვენი გიორგა ბეცხვარე დაიბარე და შენ თვითონ უბოძე ჩემ მაგიერ და შენ მაგიერ, კარგის საშსახურისათვისა-თქო.

მე ხუთშაბათს საღამოზედ ახალი ცხენი გამომიგზავნე მცხეთას, ახალი ჩერქეზული უნაგირითა. მე ხუთშაბათს ამოვალ. შომწერე, ჩვენი კალო რას შვრება, წიწამურში ღვინო რა დადგა. ბევრს გაკოცებ შენცა და მაკოსაცა.

90

[1881 წ.]

ო ლ ი კ ო ჯ ა ნ! ხვალ, ესე იგი, შაბათს, ანნა მუსხელოვისა შოდის საგურამოს ჩემთან ერთად. ამას გარდა, მაკოც მოდის და პროფესორი ჩუბინოვი. აბა ძველი შარაბანი არც ვარგა და არც გვეყოფა. თედოს შეაბმევინე ახალი შარაბანი როგორც რიგია და „მაზი“ წაასმევინე და გამოგზავნე ზემო ავჭალას საღა-

მოს პოეზდისათვის. უსათუოდ „მაზი“ წაასმევინე. ჩვენი ლევანი ყველაფერში ოსტატი ყოფილა, იქნება მაგ შარაბნის შებმაც იცოდეს. ტორია ცხენი მარჯვნივ შააბან და ახალი ნაყიდი ლურჯი ცხენი მარცხნივ. ვინძლო როგორმე მოახერხოთ, თორემ ძველ შარაბანში სირცხვილი იქნება ჩასხმა ამათი და არც მოხერხდება, ცხვირ-პირს დაიმტვრევენ.

შენი მარადის ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

ხვალ კალოში ნუ შეაბმევინებ იმ ცხენებს, რომელნიც შარაბანში უნდა შეაბან.

91

21 იანვარი [1884 წ., პეტერბურგი]

ჩემო კარგო ოლიკოჯან! მე მოვედი პეტერბურგს 18-ს იანვარს და კარგადა ვარ. მოსკოვიდამ და პეტერბურგიდამ ტელეგრამები მოგწერე, აქამდის მიიღებდი, მაგრამ ძალიან მიკვირს შენგან, რომ აქამომდე შენ წიგნი არ მომწერე.

აქ ძალიან ბევრი საქმეები გამომიჩნდა. წარმოიდგინე, ჩვენი სიეზდი ოთხ „ოტდელენიად“ გაიყო. მე ოთხივე „ოტდელენიაში“ ჩავეწერე, რადგანაც ყველა „ოტდელენიაში“ საინტერესო საგნები იყო ჩვენის ბანკისათვის. ამის გამო ასეთს ხათაბალაში გავები, რომ მთელი დღე ამას უნდები. დღეში ორი „ზასედანია“ მხვდება ჩემ წილად ხანდისხან სამიცა, ყველგან დასწრება უნდა, და აბა იფიქრე, რა ყოფაში უნდა ვიყო. აქ დღე იწყობა პირველს საათზედ, შუადღის შემდეგ. პირველ საათიდამ ხუთს საათამდე „ზასედანია“ არის დილისა და შვიდ საათიდამ თორმეტამდე საღამოზედ. ეს დრო სულ ამაზედ მიდის. მე თუმცა რვა საათზედ დილით ვდგები ხოლმე, მაგრამ რვა საათიდამ პირველ საათამდე დრო სულ მზადებაში გადის, პირველ საათიდამ შუაღამემდი თითქმის თვითონ „ზასედანიებს“ უნდება და ასე მთელი დღე ვაივაგლახში და საქმეში ვარ. წარმოიდგინე, რომ კვირაობითაც და უქმე დღეებშიაც ეს

ამბავია. სწორედ გითხრა, ძალიან დავიღალე და თან და თან უფრო დავიღლები. ამ დაღლის გარდა, სხვა არა მაწუხებს რა.

სიეზდის ჩლენებმა ყველამ ვიზიტები გამიკეთეს და წარმოიდგინე, მოუცლელობის გამო მე აქამომდე მარტო ორს გადაუხადე ვიზიტი. სხვები კი დამრჩნენ. თორმეტ საათამდე აქ კაცთან მისვლა სიბრიყვეა და თორმეტიდამ კი შუაღამემდი საქმეს ვუნდები. გარდა ამ სიეზდის საქმეებისა, ახლა ცალკე საქმეებიცა მაქვს ბანკებთან და ბანკირებთან და აბა იფიქრე, შენი ზარმაცი, სქელი და მსუქანი ილია რა ციბრუტივით ტრიალში იქნება და ვარ კიდეც. მე იმედი მაქვს, რომ ჩვენის ბანკის საქმეს კარგად წავიყვან. ამ დღეებში ჩვენის „ზაკლადნოის ლისტების“ ფასს ავწევ 90% მანეთამდე და შენ შენის თვალით ნახავ აქაურს გაზეთებში ან „Биржевыя Ведмости“ ან „Новости“-ში.

Шенъ дас катосъ уотхаръи, ромъ сенос вальбисъ саквъ цудадъ арисъ, есть опасение и довольно серьезное, что его, Сеню, кредиторы объявят несостоятельным. Здесь меня уверяют, что еслиб были на лицо деньги, то можно закупить его векселя за полцены. Это одно средство, правда не совсем благовидное, но всетаки средство спасти репутацию Сени.

Есть и другое средство — это замена векселей Сени векселями Дмитрия Семеновича, но тут уступки с капитальной суммы долга ожидать нельзя. Одно из затруднений для успешного хода дела—это неизвестность общей суммы всех долгов Сени. Здесь относительно этого ходят разноречивые толки. Недурно будет посоветовать Екатерине Фадеевне уговорить Сеню прислать Василию Мачабели список долгов с точным обозначением суммы.

Шен ици, чемо кукlушки, чемс саквъебс рогорк моувлэ. манд хом ყველაფერი გითხარი და დაგიწერე კიდეც. პირველს თებერვალს შეუდექი საქმეს. მაჩაბელსა ჰკითხე, გაშოვის ფულსა თუ არა. თუ ვერ გიშოვოს, მაშინ შარვაშიძესთან დაჰპირე საქმე, როგორც გითხარ და დაგიწერე.

წიგნი რომ არ მოგიწერია ჩემთვის აქამდის, მეწყინა, მაგრამ რა გაეწყობა. იმედი მაქვს მომწერ მალე. ფული ძალიან მეხარჯება, მალე მომინდება მაინდამ დახმარება. ჯერ ჩემი წამოსვლის დროს ვერ დავნიშნავ, მეც არ ვიცი როდის გავათავებ აქ საქმეებს. ძალიან კი მინდა, ჩქარა გათავდეს, რომ კიდევ ჩემს თბილს ქვეყანაში მოვიდე და ჩემს კუკლუშკასთან ვიყო. თუმცა ბევრს ვერას გასიამოვნებ ხოლმე, მაგრამ მე ჩემთავად შენთან ყოფნა მირჩევნია, ვიდრე სხვაგან სადმე, და შენ შენი იცი. მაკო დამიკოცნე, ლიზა, ალექსანდრე მომიკითხე. ვარინკას უთხარ, ველიკი კნიაზის, ლორის-მელიქოვის და მირსკის პორტრეტები ერთად, მოვიკითხე და ვერ ვიშოვნე. თუ ვიშოვნი უსათუოდ გამოვუგზავნი, თუ არა და ნურას უკაცრავოთ-თქო.

შენი სამუდამოდ

ილია ჭავჭავაძე

92

ჩემო კარგო ოლიკო! არა გრცხვენიან, რომ სამი კვირაა, რაც შენ მოგშორდი და ერთი წიგნის მეტი არ მოგიწერია. კარგი! დამაცა, ერთი მშვიდობით გადმოვიდე მაინთ და მე გიჩვენებ შენს ყოფას. ხუმრობა გაშვებით იყოს და რატომ არასა მწერ? ამ სამის დღის წინად საგინოვის დეპეშა მომივიდა, ვილაც პადპალკოვნიკი მაყაევი თხოულობს მაკოსაო. ძალიან მიამა, თუ, პირველი, მაკოს ჰსურს და, მეორე, თუ კაი კაცია. მე ჩემის მხრით ლოცვისა და კურთხევის მეტს ვერას შემოვუთვლი მაკოს. ღმერთმა აბედნიეროს. საწყალი ჩემი და ნინო! ნეტავი ამას მოსწრებოდა. მაინც ვერ წარმოიდგენ, ოლიკოჯან, ჩემს ყოფას. დღე არ გავა, უბედური ჩემი ნინო არ მომაგონდეს და ტირილი არ დავიწყო. სულ თვალწინ მიდგა იმისი ჰკუიანი მშვიდობიანი და მოსიყვარულე სახე. მინამ ცოცხალი იყო, არ ვიცოდი, რომ ასე ძლიერ მიყვარდა, როცა გადაიცვალა მაშინ შევიტყე. ეხლა ვგრძნობ რა დედაკაცი, რა საყვარელი დავკარგე. ღმერთმა საუკუნო განსვენება მისცეს, და

რაც დღე იმას დააკლდა, ერთი ათასად შენ, ჩემო კარგო, ჩემს დას ლიზას, და უბედურის ნინოს შვილებს მიუმატოს. ცრემლი თვალებში მომიგუბდა და ველარ ვწერ.

გუშინ დავიწყე ეს წიგნი და ცრემლის გამო ველარ გავათავე. ეხლა ვათავებ.

მე იქნება თებერვლის გასულს ძლივს წამოვიდე, მაინც და მაინც მოგწერ დეპეშით, როცა გამოვალ ამ უმზეო ქვეყნიდამ. სიეზდი გათავდა 5-ს თებერვალს. დღეში ორჯერ და სამჯერ „ზასედანიები“ გვქონდა ყოველ ცისამარა დღეს 20-ს იანვრიდან მოკიდებული 5-ს თებერვლამდე; ძალიან დავიღალე და ერთ „ზასედანიეს“ კიდეც მოვცდი, რადგანაც ავად გავხდი. ეხლა სულ კარგადა ვარ. ჩემი ფიქრი ნუ გაქვს, მაგრამ მე იმასა ვწუხვარ, რომ სწორედ იმ „ზასედანიესათვის“ ერთი დიდი რეჩი უნდა მეთქვა და ავადმყოფობამ დამიშალა. რაც უნდა მეთქვა, მერე დავწერე და დაიბეჭდება კიდეც ამ ორ დღეში სიეზდის ჟურნალში.

მომწერე, შენი ჭირიმე, როგორ მოუარე ჩემს საქმეებს. მიეცი თუ არა ვარინკას მაგიერ 160 მანეთი ჩვენს ბანკს? რა კაცია მაკოს საქმრო? ყველაფერი შენებურად დალაგებით და დაწვრილებით მომწერე.

იმედი მაქვს, ჩვენი ბანკის საქმე კარგად დავაწყო აქ. ეხლა ჩემი აქ ყოფნის მიზეზი მარტო ეს არის. ერთი კაცი, რომელიც ამ საქმისათვის საჭიროა, აქ არ არის. დაიბარეს და ამ დღეებში მოელიან. მოვა თუ არა, ვიმედოვნებ ჩვენი საქმე გათავდება და მეც იმავ დღეს წამოვალ. მე კიდევ მაჩაბელთანა ვდგევარ. თუმცა სახლზედ და სმა-ჭამაზედ არა მეხარჯება რა, მაგრამ მაინც ფულები ძალიან შემომელია. სულ შინა ვზივარ თითქმის, არც თეატრი, არც რაიმე სხვა გასართველი რამ ჯერ თვალით არ მინახავს, გარდა სიეზდის „ზასედანიებისა“, და ფული კი მაინც იხარჯება.

შენ ჩემთვის ნუ შესწუხდები. თუ ფული დამჭირდა, ბანკიდამ მოვითხოვ. შენი ჭირიმე, მამწერე დეპეშით, როგორ გაათავე „ვზაიმნი კრედიტში“ საქმე. ეგ ძალიან მაწუხებს. იყავ კარგად ჩემდა სასიხარულოდ, მაკო და ლიზო დამიკოცნე. ალექ-

სანდრე საგინოვი მომიკითხე და მაკოს საქმროს ამბავი დაწვრილებით მამწერე: ვინ არის, რა არის, რა სამსახური აქვს?

საუკუნოდ შენი ილია ჭავჭავაძე

8 თებერვალი [1884 წ., პეტერბურგი]

93

19 თებერვალი [1884 წ. პეტერბურგი].

ჩემო კარგო ოლიკო! შენგან გამოგზავნილი ფული მომივიდა და სამი შენი წიგნი ერთად მივიღე, უსათუოდ მთებში დაბრკოლებულან თორემ ერთად რად მივიღებდი. მე კი გემდუროდი, წიგნს რატომ არ მწერ მეთქი. რა ვიცოდი, რომ შენ თურმე მოგიწერია კიდეც სამი წიგნი და მე კი არც ერთი არ მიმეღო.

ჩემი საქმეები თითქმის სულ შევასრულე და მგონია ძალიან კარგადაც. დღეს რომ კვირაა, ერთი უკანასკნელი ქაღალდიღაა ხელის მოსაწერი და ძალიან საჭირო ქაღალდიც. დღეს უნდა ხელი მოვაწეროთ თორმეტს საათზედ და სამშაბათს სრულად შესრულებული იქნება ჩემდამი მონდობილობა. ასეთი ქაღალდია, ასეთი სასარგებლო ჩვენის ბანკისათვის, რომ ვშიშობ არ გამიმტყუნდნენ მეთქი, თუმცა კი პატიოსანი სიტყვა აქვთ მოცემული და დღეს საუზმეზედ ჩემთან უნდა შეიყარნენ და ხელი მოაწერონ. თუ ეს ქაღალდი დღეს შეგვისრულეს, მე პირველს მარტს უსათუოდ გამოვალ პეტერბურგიდან, მოსკოვში ორი დღე დავრჩები, სერებრიაკოვთან საქმე მაქვს, და წამოვალ კიდეც შენკენ სიხარულით და მოუთმენლობით. შენ გეთაყვა, ოლიკო, ტელეგრამით მაცნობე, რამდენ ნომრიანს ფერჩატკებსა ყიდულობ ხოლმე, აქ ძალიან იეფია და კარგიც მინდა გიყიდო. ამას გარდა გიყიდი სამს საკაბეს; არ ვიცი, მოგეწონება თუ არა. იმ დღეს გავსინჯე და მე ძალიან მომეწონა ერთი დუჟინი დანა-ჩანგალი, ერთი დუჟინი კოვზები და ორი ჩაისათვის „სეტოჩკა“ ვიყიდე. ამას გარდა ვიყიდე ერთი იმისთანა რამ, რომელიც გაგაკვირვებს, როცა ნახამ. ეხლა კი არას

მოგწერ ის ერთი რამ რა არის. ამას კი ვიტყვი, რომ კარგი რამ არის. ვიცი შენი ხასიათი: როცა ნახამ, აიმრიზები და გულში კი გიამება. წარმოიდგინე, ამოდენა ფული დაიხარჯა და მე სერთუკიც ვერ შევიკერე. არა მიშავს რა, მე მანდაც მოვახერხებ ტანსაცმელის ყიდვასა. ლიზოსათვის ტუალეტის მორთულობა მომაქვს საჩუქრად, ძალიან კარგია ჩემის ფიქრით. ვარინკას უთხარი, დოსტოევსკის ბიოგრაფიას მე თვითონ მოვართმევ, ნაყიდი მაქვს, მაგრამ ვერ გამოუგზავნე აქამდინ. მე თვითონ მოვიტან. ვერა ხედავ, რა რიგად ვძუნწობ, ფოჩტის ხარჯს ვერიდები. შალიკოვისათვისაც მომაქვს შესაფერი საჩუქარი და კოლა ერისთავისათვისაც. თუ ფული დამრჩა, იქნება შარვაშიძის დიმკასაც უყიდო კარგი რამ.

არ ვიცი, ვექსილების საქმე როგორ გაათავე, მაგრამ მაინცა და მაინც ვიმედოვნებ, რომ კარგად გამითავებს საქმეს ჩემი კუკლუშკა. მწერ, კარგად გაგითავებო და მეც მჯერა შენი სიტყვები და შენი ნაწერი. ამიტომაც ამ საგანზედ გულდამშვიდებული ვარ. იყავი კარგად, ჩემო კარგო, და მიგულე მე საუკუნოდ შენთვის თავდადებულად.

შენი ილია ჭავჭავაძე.

მომიკითხე, ლიზო და ალექსანდრე.

ძალიან მიამა მაკოს გათხოვება და კაი კაცთან შეერთება. ღმერთმა აბედნიეროთ.

94

22 თებერვალი [1884 წ.]

ჩემო კარგო ო ლ ი კ ო ჯ ა ნ! შენმა უკანასკნელმა წიგნმა ჩემს კუკლუშკასაგან დიდი, მაგრამ უსამართლო საყვედური მომიტანა. იწერები, წიგნს არა მწერო. მე კვირაში ერთ წიგნს უსათუოდა გწერ და მიკვირს რატომ არ მოგსვლია. მე იმედი მაქვს, შინამ ეს წიგნი მანდ გაჩნდება, ჩემს წიგნებს მიიღებდი. მწერ, ყვარლის მამულის თაობაზედ არას იწერებიო. რა მოგწერო, შეც არ ვიცი. მანდ მოვალ და მაშინ მოვახდენ განკარგულებას. ჯერდამ ვერას მოგწერ. თუ მირიმანოვი მანდ არის, დაიბარე

პირობა დაგვიბრუნოს და ხელი მოაწეროს, რომ ხელს იღებს ჩემის თანხმობით მაგ პირობაზედ.

მე ამას წინათ მოგწერე, რომ პირველს მარტამდე გამოვალ მეთქი. მაშინ საქმე თითქმის კარგად გვითავდებოდა, პირობა უნდა დაგვეწერა, და ხელის მოწერაზედ რომ მიდგა, რაღაც ღმერთი გაუწყრათ და შემეშალნენ. ჯერ მაინც თუმცა იმედი არა მაქვს დაკარგული, მაგრამ ვშიშობ, ვაი თუ ორის კვირის ტანტალმა და შრომამ ტყუილ-უბრალოდ ჩამიაროს. ეს კიდევ არაფერი, ჭირი ის არის, რომ თუ მართლა და გადაწყვეტილად ველარ მოვრიგდით, კიდევ დარჩენა მომინდება აქ, და ეს არამც თუ მაწუხებს, მკლავს და გულს მიხეთქავს. ვერ წარმოიდგენ რა რიგად მოიზიდება ჩემი გული შენსკენ და ჩემს ქვეყნისკენ. როგორც ბავშვი ისე ვნატრულობ იმ დღეს, რომ შაინდ წამოვიდე და ამ უგემურს, უფერულს, ცივსა და გულდახურულს ქვეყანას მოვშორდე.

გურჩინი ვნახე, საშა მუხრანსკისთანაც ვიყავ სადილად, ცოტას ხანს დავრჩი, რადგანაც სადილი რვის ნახევარზედ გავათავეთ და რვაზედ კი მე „ზასედანიაში“ უნდა წავსულიყავი. სოფიო ბაღდანოვის შვილი ვნახე. დიდხანს ვეძებე, ვიდრე ვიპოვიდი. სოფიომ მანდ ადრესი მომცა. თურმე ძველი ადრესი იყო.

მიშა ჯანმრთელობით ძალიან კარგად არის. საშსახურიც, რაც შეეფერება მის ახალგაზრდობას, კარგი ჰქონია. უფროსებს ძალიან მოსწონთ ჰკუისა და ბეჯითობისათვის. ძალიან მადლიერები არიან. ას ხუთმეტი თუმანი ჯამაგირი აქვს და ლაჩათიანად თავისთვის ჰსცხოვრობს. ასეთი დაშვენებული ყმაწვილი კაცია, რომ ნახო, მოგეწონება. სოფიოსთან ბოდიში მომხადე, რომ აქამდინ მიშაზედ ვერა მოვწერე რა. აბა სამი კვირა ერთი საათი მოცლა არა მქონდა სიეზდების გამო. მოვიცალე თუ არა, წავედი მიშასთან და უწინდელ სახლიდამ სხვაგან გადასულიყო, როგორც იყო ვიპოვე. შინ არ დამხვდა. დავუგდე ჩემი ადრესი, მოვიდა ჩემთან და მარტო მას შემდეგღა შევიძელ ცნობების შეკრება მიშას ყოფა-ცხოვრებაზედ. სოფიოს უთხარ, მიშას ჯავრი ნუ აქვს. თუ ქალაქში გადმოვიყვანეთ

ხომ რა კარგი, თუ არა და ეს ასეთი ბიჭი დამდგარა, რომ ყველგან გზას გაიკაფავს. მანდ რომ მოვალ, რაც შემეძლება ვეცდები შარვაშიძესთან ქალაქში გადმოვაყვანინო. მომიკითხე სოფიო, მისი ქალები, ლიზო და ალექსანდრე და კუკლუშკაც დამიკოცნე.

შენი საუკუნოდ
ილია ჭავჭავაძე.

95

29 თებერვალი [1884 წ., პეტერბურგი].

ჩემო კარგო ო ლ ი კ ო ჯ ა ნ! სწორედ გითხრა, ჯავრით აღარა ვარ. ბანკის საქმე, რომელიც პირველ ხანებში კარგათ მოდიოდა, რაღაცამ შეგვიშალა და ეხლა, ჩემდა სამწუხაროდ, არ ვიცი როდის მომიხდება ამ ქვეყნიდამ წამოსვლა.

დღე და ღამ გული სული მაინდკენ მოიწევს და ვნატრულობ იმ დღეს, რომ მაინდ წამოვიდე.

რატომ არასა მწერ საგურამოს ამბავს? ეხლა ცხვრის დოლი იქნება. როგორ მიდის ცხვრის საქმე, ხომ არ დაზარალებულა. ციციშვილს მისწერე, რომ რაც საჭირო იყოს ჩვენის ეზოს გასამშვენიერებლად, უსათუოდ გააკეთოს. გარდა ამისა, რაც საგაზაფხულო მოსახვნელია, მალე შეუდგეს გუთანს. ზოგიერთი ხეხილებია დიდი ბაღიდამ ჩვენის ბალკონის წინ გადმოსარგავი, უსათუოდ გადმოარგვევინოს. ეს ყველაფერი მისწერე და მეც შემატყობინე მანდაური ამბავი: ან ცხვარი როგორ არის, ან ღორი, ან საქონელი.

ბაღდანოვის წყრომას იწერები. მაგის შვილი ვნახე და ყველაფერი ამას წინად მოგწერე. ამ წიგნის გარეითად ჩემი საჭი წიგნი კიდევ უნდა მოგივიდეს, და მინამ ეს წიგნი მოვა, ის სამი წიგნი მიღებული გექნება.

მაჩაბელმა მოსწერა შენს დას ყოველიფერი სენოს შესახებ და პასუხიც მოუვიდა. ძალიან კარგად იფიქრე, რომ შენ მოერიდე მაგ საქმეს. მე სრულიად თანახმა ვარ შენის აზრისა ამის შესახებ. ჩემი ოლიკო ჩემზედ უფრო შორს დამნახავი ყოფილა.

და უფრო რიგიანად გამგები და დამწყობი საქმისა. ძალიან კარგად მოახდინე, რომ ჩემს წიგნს არ დაუჯერე და არ უთხარი შენს დას, რაც მოგწერე. ვინ იცის რას იფიქრებდა. ხომ ეჭვიანები არიან, და მას შემდეგ რაც ერთმანეთს გაუგრილდით, რწმენა არაფრისა ექნებათ ჩვენდამი. ღმერთმა მშვიდობა მისცეთ, როგორც სურდეთ, ისე მოაწყონ თავიანთი საქმეები, ოღონდ ჩვენზედ ნუ აყაყანდებიან და ნუ შეგვეხებიან.

ვერ წარმოიდგენ, რა რიგად შეწუხებული ვარ, რომ აქ ასე მიგვიანდება. ჩემი ხასიათი ხომ იცი: ისე მოღრუბლული ვარ, რომ ადამიანის დანახვაც კი მწყინს. სულ შინა ვგდივარ, როცა საქმეზედ არა ვარ. ვღრინავ და ვდრტვინავ, მაგრამ რას გავაწყობ? ვის რას გავაგონებ? საძაგელი ხალხია აქ და ეს ბანკის მოსაქმენი ხომ რაღა გითხრა. ცრუ ცრუზედ ზის და ცრუობით იოლას მიდის. სულ ხელში შემოგყურებენ, აცა წავგლიჯოთ რამეო. რომ იცოდე, რა კარგად მიდიოდა ჩვენი საქმე და რა ცუდად დაბოლოვდა. ვისთანაც ლაპარაკი გვქონდა გაგვიმტყუნდა. მერე როდის? როცა საქმე ქაღალდის დაწერაზედ და ხელის მოწერაზედ მივარდა. ორის კვირის შრომა ერთმა წუთმა ჩაგვიფუშა და მე ისე შევწუხდი ამის გამო, რომ სისხლი გამიშრა. ეხლა სხვაგან დავიწყეთ საქმე და აქაც იმედი არა მაქვს, რომ კეთილად და მალე დაბოლოვდეს. ხვალ საღამოზედ გვექნება დიდი ლაპარაკი, და თუ ღვთის მადლით, კარგად დაბოლოვდა, ტელეგრამით გაცნობებ.

ვარინკას უთხარ, თავის ძმასთან რაღაცა დამაბარა და ამ ვაივაგლახში დამავიწყდა. მომწეროს და შეუსრულებ, თუ კიდევ საჭიროა.

შენი ილია ჭავჭავაძე.

96

10 მარტი [1884 წ.]

ჩემო კარგო ოლიკო! ძალიან გაჯავრებული გწერ ამ წიგნსა. შენზედ კი არა ვარ გაჯავრებული. აბა შენზედ როგორ ვიქნები, როცა შენ ესე კარგად მოგიწყვია ჩემგან მონდობილი

საქმეები. მე გაჯავრებული ვარ იმაზედ, რომ ჩვენი ბანკის საქმეები ესე გამიჯანჯლდა და იმედიც არ არის ეხლა, რომ კარგად გათავდეს. აქამდის კიდევ იმედი მქონდა და ეხლა ეგეც დამეკარგა. ღმერთმა დასწყეველოს აქაურობა. მომწყინდა აქ ყოფნა, მინდა საშინლად მაინთ წამოსვლა და აბა როგორ წამოვიდე საქმის გაურიგებლად. არ ვიცი, ღმერთმან იცის, რა ვქნა? მანდაც მალე ბანკის კრება მოხდება, ჩემი მანდ ყოფნა საჭიროა. მე კი აქა ვგდივარ უიმედოდ და ჯავრით ყელთ მობჯენილი.

ბანკში თხოვნა შეიტანე, ითხოვე რვაასი თუმანი. შემოსავალი აჩვენე ასოცი თუმანი. ეგ საქმე მალე დაიწყე, თორემ ავალოვის გამო სირცხვილი მჭამს სწორედ. იქნება როგორმე მალე მოეღოს მაგ საქმეს ბოლო და ეგ ავალოვი მოვიშოროთ როგორმე. მაგისი ვალი სულ ოთხას ორმოცი თუმანია. უნდა უსათუოდ მაგ გზით მოვიშოროთ, თორემ სხვა საშუალება არა არის რა.

მე ამ ერთს კვირას კიდევ მოვიცდი. თუ გარიგდა რამე ხომ კარგი, თუ არა და წამოვალ, თუმცა კი ძალიან შესაწუხარი იქნება, რომ მოვედი აქ და ვერა გავარიგე რა. ბანკშიაც ვერა მოვწერე რა, რადგანაც დღესაქამომდე არაფერი რიგიანი და ცნობის ღირსი არა მომხდარა რა. დავეთრევი აქეთ-იქით და ვერა გავხდი რა. ზოგიერთი იმედები მაინც კიდევ არის, მაგრამ ვინ იცის. აქაურებისა არა გაიგება რა. დაგპირდებიან, საქმეს ბოლომდინ მიიყვანენ, მერე უეცრად ხელიდამ გაგიძვრებიან და ჩაიშლება ხოლმე საქმე. ეს ვერ გამიგია, რა გვიშლის და ვინ გვირევს საქმეს. ჯერ კარგად რად იწყობა საქმე და მერე ცუდად და ფუჭად რად თავდება. აშკარაა რაღაცა, ან ვიღაცა გვიფუჭებს საქმესა.

მაინცა და მაინც დიდხანს აღარ მოვუცდი. ყველა საშუალებას და ღონისძიებას ვიხმარებ, და ბოლოს თუ არა გაეწყო რა, გულდაწყვეტილი წამოვალ. რაც იქნება, იყოს, რა ვუყოთ? მე ჩემი ვისაქმე რაც შემეძლო და შუბლით კედლის გარღვევა კი ვერ შევიძელ. ვიცი გეწყინება ეს წიგნი, მაგრამ მართლის თქმა ვარჩიე დაფარვასა.

აქ თითქმის გაზაფხული დადგა, თოვლი აღარ არის. მაგრამ ასეთი უგემური დღეებია, ასეთი წუმპეები დგას ქუჩაში, რომ ძალლი გარედ არ გაიგდება... ფერი ფერსა მადლი ღმერთსაო, სწორედ ეს არის. მომწერე მანდაური ამბები. ლიზო და ალექსანდრე მომიკითხე სიყვარულით.

შენი საუკუნოდ ილია ჭავჭავაძე.

97

[1887 წ.].

ჩემო კარგო ოლიკო ჯან! ამ ბოლოს დროს ისე დატრიალდა ჩემი ბედი, რომ მწუხარება მწუხარებაზედ მატყდება თავზედ და ლამის მე ჩემი დამემართოს. შენც ამ ათასნაირს ვაივაგლახს ცეცხლს უფრო უმატებ ხოლმე და მე აღარ ვიცი, სად წავიდე და ვის შევეკედლო. ვერა მითქვამს რა შენთვის ისეთი, რომ ან იმავ დღეს, ან მეორე დღეს შენ ნამტირალევი არა გნახო. არ ვიცი, ღმერთმან იცის. რა ღვთის რისხვა მეწვია. აბა მანდ ამოვედი წარსულს შაბათს, ვნახე, რომ ციციანოვი გულმოდგინედ აღარ ეკიდება საქმეს და თავის გასაკეთებელს მევე მახვევს კისერზედ, მეწყინა ეს ყველაფერი, გავჯავრდი, და დღესაც ამაზედა ვარ გაჯავრებული, და შენ ამ გაჯავრების პასუხსა მთხოვ. რა ვქნა, რა ცეცხლში ჩავვარდე, არ ვიცი. ოცდაოთხი წელიწადია ერთად ვცხოვრობთ და ნუთუ ჩემი საძაგელი ხასიათი ვერ იცანი ჯერაც. განა არ იცი, რომ თუ მეწყინა რამე, გულში ჩავიხვევ ხოლმე და შუბლს აღარ გავიხსნი არავის წინ, ვინემ გულიდამ ჯავრს არ გადავიყრი. ორმოცდაათის წლის კაცი ვარ და ხელახლად ხომ აღარ დავიბადები? განა მე კი არ ვიცი, რომ ამ ჩემის ხასიათით გაწუხებ. მაგრამ შენ იცი, რომ ეგ ხასიათია და უნდა შემინდო ხოლმე. ტყუილად დაგიბუდებია გულში რაღაც ეჭვები. მე შენი ისეთივე გულით პატივისმცემელი ვარ და მოყვარული, როგორც ოდესმე ვყოფილვარ. მეუბნები, ისე აღარ მეალერსები, არაფერს არ მელაპარაკებიო.

ნუთუ არა ჰხედავ, რა ვაი-ვაგლახში გავაბი ჩემი, ეხლა კი გეტყვი, უბედური თავი! განა არა ჰხედავ, რომ ერთი წუთი დღე და ღამ მოსვენება არა მაქვს და შენს, ჩემის გულითადის და საყვარელის მეგობარის სამდურავს როგორღა გავუძლო! განა საკმაო არ არის, რომ აქეთ-იქით მტრობას, ცილისწამებას, ათასნაირს მწუხარებას, ჭირსა და ვაგლახსა ძლივს ავდივარ, ძარღვები სულ მომეშალა, ღონიდამ დავიცალე, ჩემის საკუთარის ბედნიერებისათვის აღარ ვცოცხალვარ, — ნუთუ ეს ყოველი საკმაო არ არის, რომ შენი სამდურავებიც ზედ არ დაერთოს? შენ უნდა ამისთანა შემთხვევაში ხელი მომაწოდო შველისა, შენ უნდა გამიტკბილო მწარე ცხოვრება, შენ უნდა გადამაყრევინო ჯავრი და მწუხარება და მის მაგიერ შენ ჩემს ავ-კაცობას დასტირი ხოლმე და ჩემთვის გულსაკლავ სამდურავს მითვლი. ვიცი ბევრს გაწუხებ ჩემის უგემურობით, მაგრამ შენც უნდა ცოტა შებრალება იქონიო.

ჩემო კუკლუშკი! შენ უნდა იცოდე, რომ განგებ და განზრახ მე შენს წყენას, შენს შეწუხებას, თავს მოვიკლავ, და არ მოვინდომებ კი, იმიტომ რომ ერთად-ერთი საგანი ჩემის ცხოვრებისა შენა ხარ. არ მიყვარს ამისთანების თქმა, მაგრამ რა ვქნა, რომ მათქმევინებ ხოლმე. ღმერთს ჩემთვის ალერსის ნიჭი და უნარი არ მოუცია და როცა მეტი გზა არ არის, რომ ალერსიანი სიტყვა უნდა ვუთხრა ვისმეს, მე თვითონ ვწითლდები. გაწითლებას კიდევ გავუძლებდი, სწორედ სულიერად ვიტანჯები ხოლმე. ასე მგონია ხოლმე, რომ გული გავიუპატიურე, როცა წმინდად გულში შენახული გრძნობა პირით გამოითქმის. იგი გრძნობაა მართალი, რომელიც კატასავით დღე მუდამ არა სჩხავის და მზეთუნახავად დაბინავებულია გულში.

ამ სახით, ჩემო კარგო ოლიკოჯან, ერთხელ და ერთხელ შერწმუნე, რომ თუ მოღრუბლულსა მხედავ, ეგ ჩემს უგემურს ხასიათს მიაწერე და არა იმას, რომ შენს ბედნიერებას მე გულგრილად ვექცეოდე. ბევრჯელ მეტი სიტყვა მომივა ხოლმე, ბევრჯელ გუნება ისე მომეშლება, რომ ლაპარაკის თავი არა მაქვს, ბევრჯელ დაფიქრებული და ხმაგაკმენდილი დავეთრევი, — უფრო ხშირად არც მოცლა მაქვს და არც ხალისი

ჯმის ამოღებისა და გართობისა, და შენ კი ყოველს ამას სამდურავის მიზეზად ჰხდი და შენდობის მაგიერ გულს მიკლავ ხოლმე. ესეც იცოდე, ჩემო საყვარელო კუკლუშკი, რომ როცა მაგისთანები მესმის შენგან, ან როცა საჯის-მეტყველება შენი ამაებს მანიშნებს, ის დღე ჩემთვის სიკვდილია. ამას არ გეუბნები ხოლმე და ვმალავ; და აბა სწორედ ეს არ-თქმა და მალვაა ის დიდი ჭირი, რომელიც კაცს ბოლოს უღებს და ნელნელა სიცოცხლესა სწოვს. რაც შენ ეგ ხასიათი დაიჩემე, მას აქეთ მომწყდა წელი და ვგრძნობ რომ დღე და დღე უკან მივდივარ სულითაც და ხორცითაც. თუ ჩემი სიცოცხლე გინდა, ძველებურადვე მოიბრუნე ჩემკენ გული და ყურს ნუ ათხოვებ ხოლმე, როცა მე წარბშეკრული ვარ და რაზედმე გულ-ნაწყენი. შენ აქ არასფერს შუაში ხარ ხოლმე და თუ პატარას გაგებუტები ხოლმე, ეგ უნდა მაპატიო და შემინდო, იმიტომ რომ შენი კარგად და მხიარულად ყოფნა ჩემი კარგად და მხიარულად ყოფნაა.

ერთის სიტყვით, შაფათამდე დამაცალე და შაფათს მოვალ და ყურებს აუწევ ჩემს უმადურს, მაგრამ ყოველთვის ერთგულს და საყვარელს კუკლუშკასა, რომ მეორედ ამისთანაები აღარ გაბედოს. აბა, ერთი იფიქრე შენ. ჩემო კარგო და გულითადო მეგობარო, ისეთი რა უნდა მაწყინო, რომ გულში ჩასარჩენი იყოს და იმავ წამსვე წყალს მისაცემი არ გახდეს ჩემგან! შენ ჩემს სახეს ნუ უყურებ ხოლმე და მარტო ჩემს გულში ჩამოიხედე და იქ ნახავ რამოდენა სიყვარული მაქვს ჩემის კარგის ოლიკოსი.

შენი ერთგული ილია ჭავჭავაძე.

98

[1895 წ.]

ოლიკოჯან! მე ვერ ამოვედი, იმიტომ რომ დიდი საქმეები გამიჩნდნენ. პანაშვიდი აქ იქნება, კრწანისის მინდორზე 11 ამ ოვეს ორშაბათს დილის ცხრა საათზე. თუ გინდა, კვირას დილით

ჩამოდი ეკიპაჟით. რატომ არა მწერ, ცხენები როგორ იპოვეთ. ერთი შემიტყე და შემატყობინე, ყურძენი ხომ აღარა ფუჭდება და იწევა თუ არა.

გურამიანი არ ვიცი, მიდიან თუ არა, თუმცა კი შევატყობინე.

შენი ილია ჭავჭავაძე.

მზვარეული დამპირდა ხვალისათვის, თუ არ მომატყუა. ეს მესამე მზვარეული მატყუებს.

99

[1897 წ., 17 თებერვალი]

ოლიკო! ჩემს სტოლზე სამი ქაღალდია, ზედ აწერია „ჟურნალ-გაზეთები“. ისინი აიღე და რედაქციაში მიეც. მეც დღეს საღამოზედ ჩამოვალ.

შენი ილია ჭავჭავაძე.

100

[უთარიღო]

ოლიკო! მანდ ჩემის კაბინეთის სტოლზე ქაღალდებში დარჩა ერთი თაბახი შუაზე დაკეცილი დაწერილი ქაღალდი, ზედ 9 რიცხვი აზის, გეთაყვა, მიპოვნე და მაშინვე გამომიგზავნე საკუთარის კაცით. გასაღებები ჩემი აქაურ სტოლისაც გამოატანე.

შენი ილია ჭავჭავაძე.

101

[უთარიღო]

ჩემო საყვარელო ოლიკო! მე მცხეთის სტანციაში გელი დღესა და ხვალ; თუ გიყვარდე, თავს გაუფთხილდი, არ გაჰსცივდე, სახის სიმსივნე რო გაქვს უფრო გაფრთხილება უნდა.

თუ დღეს ან ხვალ გორის სტანციაში მოხვიდე, აქ მცხეთაში ჩამომისწრობ, თუ არა და მე უნდა წავიდე, ველიკი კნიაზთან უნდა მივიდე ხვალზევით გამოსაცხადებლად. თუ თექვსმეტს მოხვედი გორს, ტელეგრაფით მაცნობე ქალაქს.

შენი ილიკო ჭავჭავაძე.

102

[უთარიღო]

ოლიკოჯან! გიგზავნი „პოდოროჟნის“ და გეხვეწები ჩემი ძმისწულის საქმე დაწვრილებით შეიტყო ნიკოსაგან. მე ეს მეოთხე დღეა ძალიანა მტკივოდა კბილი და ყბა დღესაც დასიებული მაქვს. ჩვენი ფულის საქმისას არასა მწერდი: იშოვე, არ იშოვე, რა ჰქენი? კიკო, რასაკვირველია, მოგატყუებდა ჩვეულებისამებრ. გოგო უთუოდ დაიჭირე და მალე წამოდი. ნიკოს უთხარი, საზაფხულოდ სამს ოთახს გიმზადებ-თქო, თუ მართლა წამოხვალ-თქო, თუ არა და შემატყობინე-თქო. კატოს მოკითხვას მოვახსენებ და ბებიასაც, ყმაწვილებს დავკოცნი.

შენი ილია ჭავჭავაძე.

103

[უთარიღო]

ჩემო ოლიკო! გიგზავნი შალს, „Изящная Литература“-ს. მე ეს-ეს არის მივდივარ მაჩაბლისას. მამზელ მარი სამშაბათს ჩამოვა ქალაქს, ეხლა აქ არ არის. ზუბალოვთან საქმე გავაკეთე: ოცს ამ თვეს გადავალთ და შენც ჩამოხვალ, რომ გადავიდეთ.

შენი ილია ჭავჭავაძე.

104

[უთარიღო]

ჩემო კარგო ოლიკო! მგონი რა რიგადა სჯავრობ ჩემზედ. ეს სამი კვირაა ვერც მე ამოვედი მანდ და არც თქვენი ამბავი

რამ ვიცი. შენც ხომ ჩემსავით არ გეზარება ხოლმე წიგნის წერა, რატომ თქვენს ამბავს არასა მწერ. წარმომიდგენია, რა სიცივეები იქნება მანდ და რა რიგად მობუზულები იქნებით თქვენ თვითონ. რა ვქნა? ვერ გათავდა ეს დაუსრულებელი სახლები. იმ კვირია კი იმედია დასრულდება და თქვენს წამოსაყვანად მოვალ. მე ვერ ამოვედი, ჯერ იმიტომ, რომ აქ ყოველ წუთს თავზედ დგომა უნდა. ერთი ბეწო ხანი რომ მოვშორდე, მაშინვე წამიხდენენ ხოლმე საქმეს. ეხლა თავდება ყველაფერი და მოუშორებლად ყოფნა უნდა, ეს ერთი, მეორე ისა, რომ მე ძალიან გავცივდი, ეს ერთი კვირაა ქვეშაგებში ვიწექ და სულ ორი დღეა რაც ავდეგი, მაგრამ ოთახიდამ კი ჯერ არ გამოვდივარ. ფიქრი ნურაფრისა გაქვს, ჩემმა გაციებამ მშვიდობით ჩაიარა და ეხლა სულ კარგადა ვარ, ოღონდ ხელმეორედ არ გავციოდე. ვერ წარმოიდგენ, რა რიგად მომწყინდა ყველაფერი და რა რიგად მწყურიან ერთი როგორმე დავბინავდეთ. მგონია ამ თვის დასასრულს ყველაფერი მომზადდეს და ძლივს მშვიდობიანს ცხოვრებას ისევ დავიბრუნებთ.

ლიზო მომიკითხე. ხომ არა სჯავრობს, რომ ქალაქში ჩამოსვლა ასე დაგვიგვიანდა. ვერ წარმოიდგენ, — რა მორთული და მოკაზმული ოთახები გვექნება. დღე ერთია და წამსვლელ-მომსვლელი სახლების სანახავად ათასი. მართლა, რომ კარგი რამ გამოდის. ეს მანუგეშებს, რომ ამდენი ვაი-ვაგლახი გამოვიარე, თორემ შენი მტერი. გიგზავნი მაკოს წიგნსა. ფული ხუთმეტი მანეთი მე მაქვს.

გაბოს უბძანე, ეს ილია რაზედ დაუთხოვნია, რატომ არა შემატყობინა რა. მე ეს ბიჭი ყველაზედ უკეთესი მეგონა და რა ღმერთი გასწყრომია. არა მგონია ამ კვირია ამოვიდე. თუ შაბათს არ ამოვედი, კვირას გაბოს უბძანე აქ ჩამოვიდეს.

მოგეხვევი და ბევრს გაკოცებ მარად შენი

ილია ჭავჭავაძე.

105

[უთარიღო]

ჩემო კარგო ოლიკო! მე კარგადა ვარ, მაგრამ, როგორც ნათქვამია, გაჭირებულ კაცს ქვა აღმართზე მოეწევაო, სწორედ მე მომივიდა. გიგზავნი ჩემის დისწულის სენოს დეპეშას, საწყალი ძალიან ავად არის და მწერს, რასაკვირველია, იმისათვის, რომ წავიდე სანახავად. ნეტავი უკანასკნელ დღეში არ იყოს, თორემ ჩემს წასვლას კიდევ როგორც იქნება მოვახერხებდი. ესეც კი ჭირია, ვის ანაბარას უნდა დავაგდო ამოდენა საქმე, ამოდენა მუშა. წასვლა-კი უსათუოდ საჭიროა. მე ასე გადავწყვიტე, აქ ორი ოთახი მზად არის რედაქციისა, თქვენ ჩამოდით, ამ ორ ოთახში როგორმე მოთავსდით ერთის კვირით, მერე სხვა ოთახებიც მომზადდება და იქ გადახვალთ და მე კი წავალ სენოსთან. წაუსვლელობა შეუძლებელია, შენც იცი. აბა მაშ შენებურად გაისარჯე და ხვალვე ჩამოდით. ბარგი დააწყობინე ურმებზედ და ორშაბათს-სამშაბათს ჩამოვა.

რაც ზევით მოგწერე გადავიფიქრე: ხვალ, ესე იგი, შაბათს დილით მე მანდ ამოვალ და მანდ მოვილაპარაკოთ. ღვინოებს გიგზავნი ჯერ ორ — ბოთლს, რადგანაც აქ მალე ხარ ჩამოსასვლელი. ლიზო დამიკოცნე.

შენი ილიაჭავჭავაძე.

საკითხავ წიგნებს გიგზავნი ორს.

106

[უთარიღო]

ჩემო ოლიკოჯან! გუშინ ვეღარ მოვახერხე წამოსვლა, თუმცა სულ მზად ვიყავი. წარმოიდგინე, ცხრა საათზე დილით ურმები გავგზავნე რუკასთან, იქ მამიცადეთ მეთქი, რომ მაშინა ჩავბარო და ჩემ თვალწინ დავუდო ურემსა მეთქი. სამს საათზედ მე გავედი, ხუთს საათამდე ვუცადე და ურმები არსად იყვნენ. ასე დავრჩი. მინამ ვაძებნინე და ვაპოვნინე ურმები, რვა

საათიც გახდა და დაბნელდა კიდეც. დღეს შემეძლო წამოსვლა, მაგრამ არა ღირს: ხვალ ორშაბათს ჩვენ ბანკში „ტორგებია“ და არ მინდა დაღალულ დაქანცული ვიყო ბანკში. ყველაფერი გამოგიგზავნე. ციციანოვს უთხარი, მაშინა წამოსაღები იყო, გასაკეთებლად იმოდენა ფულს ვაძლევ, თითონ უნდა ჩამოსულიყო და მაშინა ჩაებარებინა; მე რომ მაგისთანაებისათვის მცალოდეს, ხომ მოურავიც საჭირო არ იქნებოდა.

შენი ილია ჭავჭავაძე.

107

[უთარიღო]

ოლიკოჯან! მე დღეს ვეღარ ამოვედი და ხვალ კი უსათუოდ გიახლები. ვგზავნი ათს მეშოკს. შენი ჭირიმე, ოლიკო, რაც სახელოვანის კაცების პორტრეტები გვაქვს, სულ ერთიანად მოჰკრიბე და ამ ბიჭს გამოატანე. თუ ეგ პორტრეტები მანდ არა გაქვს, გასაღები გამომიგზავნე და დაწვრილებით მომწერე, სადა გაქვს შენახული. ბიჭი დღესვე უნდა დაჰბრუნდეს. მომწერე, მაშინა ჩვენი როგორა ჰლეწავს.

შენი ერთგული ილია ჭავჭავაძე.

108

[უთარიღო]

ოლიკოჯან! მე ვერ ამოვალ, საქმეები მაქვს, ორშაბათს და სამშაბათს „ტორგია“ და რაღაცეები ამოგვიჩნდა, უნდა უსათუოდ გავათავოთ. ამ ქაღალდს უნდა ლიზამ ხელი მოაწეროს, ძალიან საჭიროა. ესე უნდა მოაწეროს, საცა წითელ კარანდაშით არის დანიშნული: „ქვრივი გენერალ ლეიტენანტისა ელისაბედ გრიგოლის ასული საგინოვისა“.

იქით ორშაბათს არქიელი მოდის მანდ. პარასკევს დილით პოვოსკა, ან ფურგონი ჩამოვიდეს. მზვარეულიც თან გამოატანე, რომ ხორაგი რაც საჭიროა იყიდოს და წაიღოს. ხარჯი დიდი მოგვივა, მაგრამ რა გაეწყობა.

ლიზოსაგან ხელმოწერილი ქაღალდი ხვალ, ესე იგი კვირას გამოატანე ყაზბეგს დილის პოეზდისათვის. ერთი ჩულქი გამოგზავნე, რომ იმ ზომისა გიყიდო. იყავ კარგად და მშვიდობით. ნუ გაჯავრდები, რომ ვერ ამოველ: საქმეებისაგან თავი ვერ დავიხსნევია. მომწერე მანდაური ამბები.

შენი ილია ჭავჭავაძე.

109

23 ივნისი [წელი აღნიშნული არაა]

ოლიკოჯან! დღეს ძალიან გვიან გავათავეთ „ტორგები“ და ორშაბათისათვის ბევრი საქმეები დაგვრჩა. ამიტომ ვეღარ ამოვალ, რადგანაც ორშაბათს დილით ისევ საჭირო იყო ჩემი ჩამოსვლა. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ასვლა-ჩამოსვლად არა ღირდა. მე კარგათა ვარ, თუმცა ფლუსი კიდევა მაქვს. შევიტყე, რომ ეკიპაჟი სრულად დაუმტვრევიათ და ცხენსაც ფეხი მოუტეხნია. ძალიან მეწყინა, რომ მეტი არ იქნება. ნეტავი შუა ცხენს მაინც არ მოეტეხნა ფეხი, სხვას ჯანი გავარდნოდა. გიგზავნი ჭართველოვისაგან გამოგზავნილს ხუთს მთელს დოშს, ერთს მთელს ზურგიელს, ხუთს ყუთს ხიზილალას. გეთაყვანე კარგად შეანახვინე, თორემ ხომ იცი ჩვენის სახლის ამბავი: ერთი ნაჭერი რომ ჩვენთვის მოსჭრიან ზურგიელს, ათს თავიანთვის მოითლიან. ხიზილალასაც მაგ დღეს დააყრიან ხოლმე.

შენი ილია ჭავჭავაძე.

110

[უთარიღო]

ოლიკოჯან! კილდიშვებიც, ცოლი და ქმარი, მოდიან საგურამოს. ამის გამო უბძანე, თამარასათვის ქალურის უნაგირით შეკმაზონ ჩემი ცხენი, გარდა ამისა ორი ცხენი ერთი ჩემ-

თვის და ერთი პაველ ანდრეიჩისათვის, და მეოთხე ცხენი ხომ თვითონ ბიჭისათვის იქნება. შაბათს საღამოს პოეზდისათვის მცხეთაში გამოგზავნე.

შენი ილია ჭავჭავაძე.

111

[უთარიღო]

ოლიკო! ქართველოვმა ფული მოიტანა და მე ამოგიტანმანდ წერა-კითხვის საზოგადოებისათვის ფულიანი კონვერტია და ამ ბიჭს გამოატანე.

შენი ილია ჭავჭავაძე.

112

[უთარიღო]

ოლიკო! სადილად კოლა ერისთავთანა ვართ, სათამაშოდ, დაგვპატიჟა. თუ სანდრო და მირიმანოვი მოვიდნენ, უთხარი რომ ეს ქაღალდი გადაწერონ, რომ ერთი კოპიო მაგათა ჰქონდეთ. როცა გადასწერენ, შემატყობინე და მეც მოვალ.

შენი ილია ჭავჭავაძე.

113

[უთარიღო]

ოლიკო! ამ კუტრს ერისთავს თუ ჭავჭავაძიანთ წყალობა არა აქვს, ხომ იცი მშიერი მოკვდება, ამიტომაც გთხოვ ათი თუმანი მიჰსცე და შიმშილიდამ დაიხსნა. ჭავჭავაძიანთ ერთით მეტი მადლი გვექნება.

შენი ილია ჭავჭავაძე.

114

[უთარიღო]

ოლიკოჯან! გიგზავნი შუბას შენსას, ნინიჩკას შლიაპას, ქუდსა და ჩასაცმელს ტყავისას, ათს ბოთლს წითელ ღვინოს და ოთხს ბოთლს შამპანსკის. ეს ოთხი ბოთლი შამპანსკი ლიზოსათვის არის, მხოლოდ ნუ ეტყვი კი, რომ შამპანსკია, ნინიჩკასაც უთხარი. არ უთხრას. დააჯერე ლიზა, რომ ძილისათვის უებარი წამალია-თქო, პავლოვსკისაგან გამოწერილი. უთხარი, ღამღამობითა სვას დაწოლის წინ ორ-ორი სტაქანი. თუ ნებავს, სადილობისასაც მიირთვას ხოლმე. ვინძლო დააჯეროო, რომ ძილის წამალია. გარდა ამისა, როცა იძინებს, ფეხის გულზედ ბოთლში გაცხელებული წყალი დაიდვას და ფეხები, როგორც დღისით, ისეც ღამე ძალიან თბილადა ჰქონდეს და არამც და არამც ფეხშიშვლა არ იაროს.

შენი ილია ჭავჭავაძე.

115

[უთარიღო]

ოლიკო! მე წუხელის ერთს საათზედ მივედი, ლიზოს ეღვიძა, ვნახე, მაგრამ შენი მტერია ის არის. ძალიან სუსტად არის. ჩემს ბედნიერებას ეგღა უნდა, რომ ამას აუტყდეს რამე. კრასნოგლიადოვი ვნახე დღეს, ვკითხე, სწორედ მითხარით მეთქი: იმედია მაგას მორჩენა, თუ არა მეთქი. მითხრა: не ручаюсь надежно. აბა წარმოიდგინე ამათი ნებეზნადეყნობა რა არის და რა ნუგეშს მამცემს. წამოდი, რა წამსაც ფაეტონი მოვიდეს, პირდაპირ ლიზოსთან მოდი. მეც აქა ვარ. ჩვენის ცხენების დღის მაწყევარი.

116

[უთარიღო]

ჩემო კარგო ო ლ ი კ ო! შენმა წიგნმა ძალიან შემაწუხა, რომ მოგწერო გული ამომიჯდა მეთქი, არ დაიჯერებ. მე გადავწყვიტე: თუ ცოცხლები ვიქნებით, კულავ სამზღვარ გარედ წავიდეთ, რომ შენც იწამლო და მეც. შარშან აქ მოინდომე წამლობა, მაგრამ სწორედ გითხრა, მე მწყინდა, რომ აქაურს ექიმებს ენდობოდი. თუმცა ისე ლაპარაკში გადაგიკარ, აქ ნუ იწამლებ მეთქი, მაგრამ მკვახედ თქმა ამისი ვეღარ გაგიბედე, არ მიწყინოს მეთქი. რაკი ეგრეა და ყურთა სმენის საქმე ეგრე გაწუხებს, მეტი გზა აღარ არის, კულავ გაზაფხულზედ ვახსენოთ ღმერთი და სამზღვარგარეთ წავიდეთ. მეც, ხომ იცი, ავადა ვარ და წამლობა მინდა.

После разных поисков и колебаний к кому обратиться и как быть, мне мои добрые знакомые указали, наконец, на моего хорошего знакомого генерал-майора Кишмишева, который заведывает резервными батальонами. Я отправился к нему с покорнейшей просьбой облегчить участь молодого Шелгунова, объяснить все, что известно было мне из Вашего письма. Он с большим сочувствием отнесся к моей просьбе и уполномочил передать Н. В. Шелгунову следующее: «он, Кишмишев, отправится скоро в Александрополь для инспекторского смотра и будет, следовательно, иметь повод пораспросить и о молодом Шелгунове. Кишмишев надеется, что отзыв батальонного командира будет благоприятен относительно молодого Шелгунова и тогда он лично распорядится об облегчении его участи, а быть может, сказал он мне в конце, мне дана будет возможность ходатайствовать и о прощении, или же о сокращении срока. Так или иначе я приму все старания сделать что-нибудь полезное для молодого Шелгунова».

Я, конечно, не перестану надоедать Кишмишеву, пока он не выполнит своего обещания.

В ожидании же этого, мне очень приятно сообщить эту добрую весть Н. В. Шелгунову, которому я с самой университетской скамьи питаю самое искреннее и глубокое уважение. Вместе с тем я не могу не благодарить Вас за доставление мне большого удовольствия послужить чем-нибудь такому честному деятелю, как Н. В. Шелгунов: редко выпадало на мою долю поручение, которое было бы столь по душе мне.

(წერილი წარმოადგენს შავს. ხელმოუწერელია)

წერილი გიორგი თარხნიშვილისადმი

111*

3 июля [1891 г.]
Петербург

Многоуважаемый князь Георгий!

Я сегодня посылаю кое-какие сведения о делах, которые нас интересуют. Дело конверсии кажется выгорит с достаточным успехом.

Затем я к Вам имею частную просьбу. Князь Георгий Захарьевич Андроников (инженер, брат Иосифа) должен был 15 июня внести в наш банк 1300 рублей для перевода мне чрез Вальберга в Петербург. Не знаю, выполнил ли он свое обещание? Если да, то потрудитесь перевести, если нет, то передайте ему, чтоб он постарался как можно скорее исполнить обещание, ибо жена, для отъезда которой заграницу эти деньги предназначены, должна будет задержаться здесь в Петербурге, и чего доброго, совсем отказаться отпоездки заграницу. Я бы написал сам князю Андроникову, но не знаю, — где он обретается, и, чтобы выйграть время, решился Вас обеспокоить.

Мое здоровье оказалось серьезно расстроенным. Захарьин нашел, что у меня началось отложение желчного камня в печени, дал мне совет как лечиться и чем, и заказал няходиться непременно под присмотром доктора для наблюдения за дальнейшим ходом болезни, при этом предупредил, что болезнь моя серьозна и осложнена еще другою болезнью, более серьозною, носящей латинское название diabet. Он посоветовал пригласить для наблюдения за ходом моей болезни доктора Трубачева, которому «я, — сказал Захарьин, — только и доверяю в Петербурге.» Этот Трубачев, оказывается, восходящее светило в медицинском мире. Теперь я нахожусь под присмотром этого самого Трубачева, человека весьма любезного и внимательного. Завтра назначен консилиум. Посмотрим, завтра что бог даст. Держат на строгой диэте, ходить не только не запрещают, но объязывают, когда состояние здоровья то позволяет.

Искренно преданный Вам
Илья Чавчавадзе

---

* ქართული ტექსტი იხ. გვ. 133 — 134.

სამძიმრის დეპეშა ილია ჭავჭავაძისა

(ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით)

დავით ჩუბინაშვილის გარდაცვალების გამო

112 *

[1891 წ.]

ПЕТЕРБУРГ.
Екатерине Чубиновой.
Екатерининский канал № 117.

Общество распространения грамотности среди грузин глубоко опечалено прискорбным известием о кончине высокоуважаемого почетного члена своего профессора Давида Иессеевича, много и достославно потрудившегося на пользу родной словесности и истории. Правление постановило выразить Вам свое глубокое соболезнование от имени всего Общества.

Председатель Общества
князь Илья Чавчавадзе

დეპეშა „ივერიის“ რედაქციისადმი

დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის გამო

113 **

1891 წ. 8 თებერვალი

Библиотека Чубинова пожертвована Обществу Грамотности. Профессор Цагарели принял труд наблюдать за составлением каталога.

Чавчавадзе.

---

* ქართული ტექსტი იხ. გვ. 135.
** ქართული ტექსტი იხ. გვ. 136.

დეპეშა თ — დ ე. ერისთავისადმი

114 *

[1893 წ. მაისი]

Владикавказ

Управляющему межевою частью князю Эристову

Правление общества и я лично радостно приветствуем день освящения здания Грузинской школы. Мы проникнуты глубочайшею благодарностью к господину начальнику области за покровительство, которое им угодно было оказать делу сооружения этого здания, местному городскому населению, выразившему свое сочувствие столь благому делу своими пожертвованиями, и всем вам, энергичным заботам и действиям которых мы обязаны сегодняшним торжеством освящения. Да послужит это здание фундаментом дальнейших успехов нашей школы.

Председатель Общества грамотности Чавчавадзе.

ილია ჭავჭავაძის სამძიმრის დეპეშა

(ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით)

რაფიელ ერისთავის გარდაცვალების გამო

130 **

[1901 წ.]

Телав. Василию Кахидзе.

Общество распространения грамотности просит Вас передать дочерям незабвенного поэта и почетнаго члена общества Рафаэля Эристави свое глубочайшее соболезнование в горе, постигшем их и весь родной край.

Председатель общества кн. Чавчавадзе.

---

* ქართული ტექსტი იხ. გვ. 137.

** ქართული ტექსტი იხ. გვ. 159.

დეპეშები რაფიელ ერისთავის ოჯახისადმი *

130-ა

დეპეშა თბილისიდან თელავში
21 თებერვალს 1901 წ.

Общее желание похоронить дорогого поэта в Тифлисе. Наше Общество принимает на себя все расходы. От ответа Вашего зависят дальнейшие шаги

Илья Чавчавадзе

130-ბ

დეპეშა თბილისიდან თელავში
23 თებერვალს 1901 წ.

Ввиду Вашего первого категорического отказа, Общество решило иным способом чествовать здесь память покойного, о чем и сделаны соответствующия распоряжения

Илья Чавчавадзе

დეპეშა გიორგი ორბელიანისადმი

131 **

1903 წ.

Гагра.

Князю Георгию Орбелиани.

Глубоко сожалею, что не имею возможности воспользоваться благосклонным и лестным для меня вниманием Его Высочества. У нас начинаются общия собрания и окончатся около пятнадцатого мая. После собраний я с удовольствием отдаю себя в полное распоряжение Его Высочества.

---

* ქართული ტექსტი დეპეშებისა იხ. გვ. 391.

** ქართული ტექსტი იხ. გვ. 160.

დეპეშა გიორგი ჟურულისადმი

139*

[ტფილისიდან, 1907 წლის 12 აგვისტოს]

Батум. Георгию Журули.

Передайте Вольскому мою глубокую скорбь по случаю постигшего его несчастья и искреннюю радость по случаю счастливого избавления

Илья Чавчавадзе.

ბარათი სახელმწიფო კანცელარიის ხაზინადარის მიმართ

141**

Прошу господина казначея Государственной канцелярии приказать кому следует доставить мне на дом все денежные выдачи, следуемые мне как члену Государственного Совета по выборам,— в том порядке и тем способом, какие указаны в уведомлении Казначейской части Государственной Канцелярии от 15 го сего мая.

Член Государственного Совета
князь Чавчавадзе.
19 мая, 1906 г.

სახელმწიფო კანცელარიისადმი

142***

В ГОСУДАРСТВЕННУЮ КАНЦЕЛЯРИЮ

На отношение господина Государственного Секретаря от 24-го сего Мая за № 2097, честь имею сообщить, что я родился в 1838 г. 27 Октября и был студентом 4-го курса С. Петербургского Университета.

Член Государственного Совета
Князь Илья Григорьевич Чавчавадзе

26 мая
1906 г.

---

* ქართული ტექსტი იხ. გვ. 166.

** ქართული ტექსტი იხ. გვ. 168.

*** ქართული ტექსტი იხ. გვ. 393.

ᲓᲔᲓᲜᲔᲑᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘᲡᲐ:
2, 9, 12, 13, 22, 118.

2 *

ჩემო გვრიტო ოლიკოჯან! Три письма я от тебя получил, с третьим — и запонки. Хотел бы тебе сказать: благодарю, но это слово от частого и не всегда уместного употребления так опошлилось, так выдохлось, что в нем осталось одно название без предмета, одна форма без содержания. Я этому слову и не хочу доверить того, что я чувствовал к тебе при получении твоих писем и твоего подарка.

Я замечаю, что тебе без меня скучно, — это очень и очень нехорошо, потому что слишком неприятно. Зачем скучать? Правда мы друг к другу очень привыкли, но, когда разлучиться необходимость требует, надо стать выше привычки, надо ее себе подчинить и отнюдь не делаться ее рабом. Если ты любишь своего Илико, не станешь пренебрегать его советом и послушаешься их, вовсе не обижаясь.

Итак, не скучай, я прошу тебя. Скоро приеду за тобой.

Мирского до сих пор нет; его с нетерпением жду, потому что мой приезд к тебе от него зависит. Между тем я стараюсь приготовить тебе квартиру, мой друг, но к сожалению, не отыщешь ее теперь. По случаю приезда великой княгини и выборов, которые еще не начались, такое большое стечение князей и дворян, что и угла нет, где бы их битком навалено не было.

Как только вся эта суматоха кончится, все в Кутаисе придет в свой обычный порядок, тогда советуют сыскать квартиру себе. Тогда и дешевле, говорят, можно найти и лучше. Пока живу у Гогоберидзе.

---

* ქართული ტექსტი იხ. გვ. 240 — 242.

Вчера я делал визиты. Виделся с женой Левана Гуриели. Она очень рада, что ты сюда приедешь. Познакомился и с имеретинками. Ты себе представить не можешь, что за народ они. Сколько жеманства, кокетства и сентиментальности! Я едва сдерживал смех, говоря с ними и слушая их. С какою-то нежностью закатываются у них глаза, скорчивается смазливая рожица, под видом какой-то смешной сентиментально-глупой улыбки, а потом раскрывается ротик и из него вылетают слова вроде того, что «сердце мое пронзенное насквозь жалом печали, висит на гвозде душеспасительного терпения» и т. д.

Я тебе прошедшею почтою написал письмо на имя Кати. Вероятно ты получила уже.

Передай мой поклон Кате, поцелуй Сеню, Нину, Тамару и Лизу, поклонись всем от меня.

Твой И л и к о

25 мая 1864 года. Кут[аиси]

P. S. Узнай, что сделал Чикваидзе с описью? К Вам едит С у л л ь е с новым и великолепным составом.....

---

9 *

ილიას დეპეშა მეუღლესთან. [გუდაუთიდან]–დუშეთში.
სექტემბერი 1865 წ.

Душет. О л ь г е Ч а в ч а в а д з е.

Будь здорова, не скучай. Что знаешь про Лизу, пиши. Через неделю, кажется, приеду. Я здоров.

---

12 **

[1865—1868 წ.]

ჩემო ოლიკო! Я в горах, и представь себе, здесь такие холода, что ужас, — это бы еще ничего, но то гадко, что сижу в крестьянской хате и плачу не по тебе, а потому что дым проедает глаза.

---

* ქართული ტექსტი იხ. გვ. 247.

** ქართული ტექსტი იხ. გვ. 248 — 249.

Дела очень хорошо идут. В день до сотни описываю. Надеюсь этот участок в 8 или 10 дней кончить совсем.

Пришли теплое пальто, чай, свечи, чернила, теплые длинные подштанники, чайник медный и синюю фуфайку.

Целую тысячу раз

Твой Илико

---

13 *

[1865—1868 წ.]

Оликоджан! Я завтра рано уезжаю в Тифлис, потому что 13 числа пойдут от нас представления и, как тебе известно, мне необходимо там быть, чтобы об своем представлении похлопотать как следует.

Я к сроку не окончил своих грамот, еще осталось 26, но что делать? Мне еще надобно быть в Тифлисе, чтобы похлопотать об нашем доме.

Присылаю тебе последние шесть руб[лей]. Будь здорова и не скучай. Пришли Чокаевскую бумагу, мое платье новое, рубашки и новые сапоги обе пары. Пришли 30 листов бумаги.

Обнимаю тебя. Твой навсегда

Илико

---

22 **

[1868—1872 წ.]

ოლიკოჯან! Удобство настоящей моей постели заставляет меня забыть прошедшие неприятности. Ты огорчена моим письмом; прости, я был болен, когда писал, и сердит. Теперь я совсем здоров, немного слаб. К сожалению, я не могу взять тебя из Тифлиса: квартиры для меня положительно нигде нет. Мебель наша поставлена в подвал, где и предана гниению. Спасибо Нико за все, что по его насто-

---

* ქართული ტექსტი იხ. გვ. 249.

** ქართული ტექსტი იხ. გვ. 254.

янию мне предстоит в будущем, не говоря уже о настоящем. Он даже не удостоил нас ответом на наши телеграммы, так что приходится с этого времени сноситься со Старицким помимо его. Просто не знаю, что делать? Если с таким удобством придется еще несколько жить, так я решился отвесить поклон заботливому начальству Великого Судебного ведомства и уехать подальше от них. Бог с ними. Лучше жить куском одного черствого хлеба, чем иметь средства, но не иметь возможности достать себе хлеб. Полторацкому пожми от меня дружески руку и поблагодари за лошадь. Сообщи мне по телеграфу, когда обещанную лошадь приведут. Я с нетерпением ее ожидаю. Мне ее так хвалили.

Расцелуй за меня детей.

Целую тебя

твой навсегда

И л и к о

---

118 *

დეპეშა ილიასი მოსკოვიდან

Из Москвы

Благополучно приехали Москву. Будь здорова.

И л ь я.

1/V-1906

---

* ქართული ტექსტი იხ. გვ. 388.

კონსპექტი სიტყვისა

სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ

ილია ჭავჭავაძის სიტყვა

წარმოთქმული სახელმწიფო საბჭოში სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ 1907 წელს *

1907 წლის თებერვალში ილია რუსეთს გაემგზავრა სახელმწიფო საბჭოს მეორე სესიაზე, რომელიც გაიხსნა 20 თებერთვალს და გასტანა 5 ივნისამდე.

სახელმწიფო საბჭოს ამ მეორე სესიაზე ილია გამოვიდა სიტყვით სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ.

ილია ამ გამოსვლისათვის დიდხანს ემზადებოდა. ჩვენამდე შენახულა ამ სიტყვის შავი, კონსპექტური ჩანაწერები, საიდანაც ჩანს, რომ ილიას ეს სიტყვა ვრცელი მოხსენების სახით მოუხაზავს.

სამწუხაროდ სიტყვის სრული დედანი დღემდე აღმოჩენილი არაა. ირკვევა ამასთან, რომ ამ სიტყვის დაბეჭდვა, მისი წარმოთქმის შემდეგ, მთავრობას აუკრძალავს.

ილიას სიტყვის შესახებ წყაროებში შემდეგი ცნობებია შენახული.

ინიციატორი სახელმწიფო საბჭოში საკითხის დასმისა სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ — ილია ყოფილა. ეს კითხვა წინასწარ გარჩეულა სახელმწიფო საბჭოს მემარცხენეთა ჯგუფში (რომლის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი და წევრი იყო ილია) და ილიას თავის თავზე აუღია მოხსენების დამზადება ამ საგანზე. ჟურნალისტი მ. ბოლქვაძე, რომელიც, მოწმე იყო ილიას მოღვაწეობისა სახელმწიფო საბჭოში 1906—1907 წლებში, გადმოგვცემს:

„...სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ ვრცელი მოხსენების შედგენა ილიამ იკისრა“.

მოხსენების დამთავრების შესახებ იგივე მ. ბოლქვაძე გადმოგვცემს ილიას ნათქვამს:

„გუშინ საღამოს დავასრულე ჩემი მოხსენება სიკვდილით დასჯის შესახებ. ამ დღეებში წავუკითხავ ჩვენ წრეს (სახელმწიფო საბჭოს მემარცხენეთა ჯგუფს), მერმე, კი სახელმწიფო საბჭოს“ [1].

სახელმწიფო საბჭოს წევრი ცნობილი რუსი მეცნიერი მაქსიმე მაქსიმეს-ძე კოვალევსკი აღნიშნავს ამასთან, რომ სახელმწიფო საბჭოში სიკვ-

---

* იხ. პ. ინგოროყვა, ილია ჭავჭავაძე, 1857 წ., გვ. 178—180.

[1] იხ. ჟურნალი „განათლება“, 1908., № 3—4, გვ. 110—111.

დილით დასჯის წინააღმდეგ ილიასთან ერთად გამოსულა პროგრესული მოღვაწე პროფ. ტაგანცევი. მ. მ. კოვალევსკი გადმოგვცემს: „...князь И. Чавчавадзе высказался за отмену смертной казни ...заодно с проф. Таганцевым".

ილიას სიტყვა სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ, როგორც ირკვევა, წარმოუთქვამს სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე 1907 წლის 17 აპრილს ან 2 მაისს. სახელმწიფო საბჭოს ამ სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები დაიბეჭდა ხარვეზებით, რადგან ამ სხდომებზე წარმოთქმული ზოგიერთი სიტყვის დაბეჭდვა მთავრობას აუკრძალავს. ამ აკრძალულ სიტყვათა შორის ყოფილა, როგორც ირგკვევა, ილიას სიტყვაც.

ის გარემოება, რომ მთავრობას აუკრძალავს ილიას სიტყვის გამოქვეყნება, მოულოდნელს არას შეიცავს. ეს არის ის ხანა, 1907 წელი, როდესაც რევოლუციის დამარცხების შემდეგ, რეაქციის თარეშის დროს, რუსეთის იმპერიაში და კერძოდ საქართველოში სახრჩობელები იყო აღმართული ხალხის საუკეთესო წარმომადგენელთა დასასჯელად.

ილიას სიტყვა პირდაპირ იყო მიმართული მთავრობის რეპრესიების წინააღმდეგ. (სიტყვის მოკლე კონსპექტში ილიას ჩანიშნული აქვს გასაშლელად შემდეგი დებულება: „Убийство, смертная казнь стали таким обычным явлением... Подобныя события, как обычныя явления, перестали быть новостью...")

ილიას, რასაკვირველია კარგად ესმოდა, რომ მისი სიტყვა სახელმწიფო საბჭოში დარჩებოდა „ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა" (სიტყვის იმავე კონსპექტში ილიას ჩანიშნული აქვს წარმოსათქმელად: „..... группа, ставящая для себя этот вопрос, слишком малочисленна, чтобы произвести какое-либо впечатление, какое-либо замешательство среди огромного большинства остальных...". აღსანიშნავია, რომ ილიას მემარცხენეთა ჯგუფში აღუძრავს საკითხი, რომ როდესაც კენჭის ყრის დროს წინადადება სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ არ გავიდოდა, ჯგუფს, პროტესტის ნიშნად, დაეტოვებინა სხდომა).

ილიამ სახელმწიფო საბჭოს ტრიბუნა გამოიყენა იმისათვის, რათა გაბედულად დაეგმო ცარისტული თვითმპყრობელობის სისხლიანი გზა და მხარში ამოსდგომოდა ნათელი მომავლისათვის მებრძოლთა რიგებს.

დასასრულ დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ პრობლემა, რომელსაც ილია შეეხო ამ სიტყვაში, არ წამოჭრილა ილიას წინაშე პირველად, ილიამ ამავე დიდ პრობლემას უძღვნა თავისი შესანიშნავი მოთხრობა „სარჩობელაზედ" (1879 წ.)

გოგლე კონსპექტი ილია ჭავჭავაძის სიტყვისა სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ [1]

ტექსტი დაწერილია ილიას ხელით (ფანქრითა და მელნით, ერთ ფურცელ ქაღალდზე) ქართულ-რუსულად. წარმოადგენს არა გაშლილს კონსპექტს ილიას სიტყვისას, არამედ ზოგიერთი აზრების ჩანაწერს, როდესაც ილია სიტყვაზე ჰფიქრობდა.

სიკვდილისათვის

[1] გრძნობაც ერთი დარგია ცნობადობისა, და საჭიროა — როცა ჭკუა მოკლებულია შეძლებას გაიგოს რამე. შექსპირმა გრძნობით სასწაულები მოახდინა ცნობისა და ცოდნისათვის. გრძნობა სულიერი მარტო ადამიანის ნიჭია.

2. ჰო და არა, რაც კი თქმულა სიკვდილის თაობაზე, რომ სასწორზე დაიდვას, არა მგონია ისე თვალსაჩინოდ გადიხაროს ან ჰოსა და ან არასკენ, რომ ამ გადახრამ დაარწმუნოს ვინმე და სხ. სხ.

3. ხოლო სამი რამ საბუთია წინააღმდეგ სიკვდილით დასჯისა:

ა) აჩლუნგებს გრძნობას ბუნებურს, რომელსაც სისხლი ეზიზ[ღ]ება და ხშირის ნახვით-კი ყურიც ეჩვევა და გრძნობაც.* მაგ. ახლა სიკვდილი ისეთი ჩვეული რამ ამბავია, არავის-ღა უმღვრევს გულს და ყურადღებასაც არ იქცევს; ბ) არყევს ზნეობას, რადგანაც ა რ თ მ ე ვ ს ი მ ა ს, რ ი ს მ ი ც ე მ ა ც ა რ შ ე უ ძ ლ ი ა ნ; გ) შეცდომა დასჯისა აღარ სწორდება და უდანაშაულოს ჰკლავს.

---

[1] დედანი დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (L-1713).

*) ილია, აზრის ჩაწერის დროს, ფიქრში გართული, ვერ ამჩნევს უბრალო სიტყვიერ ლაფსუსებს (ამ ფრაზაში, ნაცვლად სიტყვისა „ყურიც“, უნდა იყოს „თვალიც“).

4. ეწინააღმდეგება ქრისტიანობას, რომელიც დაფუძნებულია სიყვარულზე *).

5. მთელი ქვეყანა თხოულობს [სიკვდილით დასჯის მისჯას] და თუ ბანის ძიცემაში შევცდით . **) ნუგეში იმაშია, რომ ავყევით ხძას ღვთისას, რადგან ხძა ერთია არის ჩვენ ღვთისა.

6. საბუთად მოყვანა იმისი, რომ სიკვდილით დასჯა ამრავლებს თუ აკლებს დანაშაულობას, — არასფერს არ მოასწავებს, რადგანაც დანაშაულობის სიმრავლე სხვა ათასნაირ მიზეზებზეა დამოკიდებული.

6. ***) ჰო და არას საბუთებს შორის ერთი რამ არის ზოგადი: ერთიცა და მეორეც ხელშესახებ საფუძველზე არ არის დამყარებული და წარმოადგენენ მარტო მ[რ]წამს[ს] როგორც ერთისას, ისეც მეორისას****). აქ მარტო დიალექტური ღონისძიებაა ერთმანეთის დასაჯერად მიმართული.

7. (*****) Убийство, смертная казнь, стала таким обычным явлением, события этого рода до того приучили нас относиться к ним равнодушно, что притупилось чувство для возмущения и ощущения всей жестокости этих явлений, а это открывает путь к огрублению в стране народного чувства.

Подобныя события, как обычныя явления, перестали быть новостью.

Не заговаривает уже чувство возмущения...******)

---

*) ილიას იქვე ჩაწერილი აქვს (ცხადია არა სიტყვაში წარმოსათქმელად, არამედ თავისთვის):

„ჰეინე[ს] სიტყვა: მე მტერი მიყვარს მხოლოდ მაშინ, როცა ვხედავ სახრჩობელაზე ჩამოკიდებულს“.

**) აზრი დასრულებული არაა.

***) რიცხვი 6 მეორეჯერ არის განმეორებული.

****) დასაწყისიდან ვიდრე აქამდე ნაწერია ფანქრით; მერმე ნაწერია ხელნიო.

*****) რუსულად ნაწერი ეს მუხლი იმეორებს ქართული ტექსტი №-3 მუხლის ზოგიერთ დებულებას.

******) პირველი ნაწილი ტექსტისა ამაზე წყდება.

ფურცლის გადაკეცილ ნახევარზე, 1 და 2 მუხლების პირდაპირ, მიწერილია: *)

ა.

„Когда умирает Бог в душе противника смертной казни"

(ეს ტექსტი, ციტატის მსგავსად, ჩასმულია წინწკლებში„ („—"). თავში უხის რიცხვი 1).

ბ.

Вопрос, как нам быть, если проект об отмене смертной казни, несмотря на все старания, не пройдет, не может быть разрешен доводами арифметического порядка, т. е. тем, что группа, ставящая для себя этот вопрос, слишком малочисленна, чтоб произвести какое либо впечатление, какое либо замешательство среди огромного большинства остальных. Я не так прост, чтобы полагать, что уход наш [из заседания Государственного Совета...]

(აზრი დასრულებული არაა. ეს ნაკვეთი, ჩანს, ნავარაუდევი იყო წარმოსათქმელად, როდესაც წინადადება სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ არ გავიდოდა და მემარცხენეთა ჯგუფი, პროტესტის ნიშნად, დასტოვებდა დარბაზს).

*) ორივე ტექსტი (ა და ბ) ჩაწერილია მელნით.

სარედაქციო შენიშვნები

ილია ჭავჭავაძის მიწერ-წერა

განყოფილება პირველი

ილიას წერილები სხვადასხვა პირებისადმი

1857 — 1907

I

წერილები ნინო ჭავჭავაძე — აფხაზისადმი

წერილების ადრესატი არის ილიას უფროსი და ნ ი ნ ო, მეუღლე ნიკოლოზ აფხაზისა.

წერილები (სამი წერილი) დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (1 — L-17614; 2 — L-17522; 3 — L-17521). სამივე წერილი ავტოგრაფებია.

წერილი 1 (გვ. 7).

მოღწეულა ნაწყვეტი წერილისა, წერილის შავი.

წერილი, როგორც ჩანს შინაარსიდან, მიწერილი ყოფილა ყვარლიდან. ვინაიდან წერილს აკლია თავი და ბოლო, ადრესატის ვინაობა მოხსენებული არ არის, მაგრამ შინაარსიდან ირკვევა, რომ იგი ილიას ოჯახის წევრია. უფრო ნიშანდობლივი განხილვა წერილისა ცხადჰყოფს, რომ ადრესატი არის ილიას უფროსი და ნ ი ნ ო, რომელიც იქვე კახეთში, კარდანახში ცხოვრობდა.

ნინო ახლო მეგობრობით იყო დაკავშირებული თავის უმცროს ძმასთან. ნინო დიდის ყურადღებით ეპყრობოდა ილიას სალიტერატურო მოღვაწეობის დასაწყისს, ილიამ ნინოს თხოვნით დაიწყო ლექსების ბეჭდვა „ცისკარში“ („აი გინდოდა ჩემი ლექსები გენახა „ცისკარში“, — წერს ილია ნინოს მეორე წერილში, — და აგისრულე, თორემ შენ რომ არ გსურებოდა,

არც მაგას დავაბეჭდვინებდი, იმიტომ რომ ჩვენი ცისკარი ჯოჯოხეთის კარია და არა ცისა").

ილიას ეს პირველი წერილი დისადმი განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს იმ მხრივ, რომ იგი გადმოგვცემს ილიას სულიერ განწყობილებას, როდესაც ილია პირველად ტოვებდა სამშობლოს და რუსეთში ეპირებოდა გამგზავრებას სწავლის მისაღებად.

ილიას ეს განწყობილება გადმოცემულია აგრეთვე ილიას შესანიშნავ ლექსში „ყ ვ ა რ ლ ი ს მ თ ე ბ ს".

წერილი, როგორც ირკვევა, დაწერილია ოდნავ ადრე, ვიდრე დაიწერებოდა ლექსი „ყვარლის მთებს".

ილიას ეს წერილი, როგორც მოვიხსენეთ, მიწერილია თავის დასთან ყვარლიდან; ამის შემდეგ ილია, რუსეთში გამგზავრების წინა ხანებში, სწვევია თავის დას კარდანახში და ლექსი „ყვარლის მთებს" კარდანახშია დაწერილი. ლექსს, ილიას ავტოგრაფულ ხელნაწერში, აქვს შემდეგი წარწერა: „1 5 ა პ რ ი ლ ი, 1 8 5 7 წ., კ ა რ დ ა ნ ა ხ ი" (იხ. ტ. I, გვ. 278).

წერილი 2 (გვ. 8 — 10).

1 (გვ. 8). კ ო ხ ტ ა — კოხტა აფხაზი, ილიას მეგობარი, რომელიც ილიასთან ერთად სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში და რომელსაც ეკუთვნის მოგონებანი ილიას შესახებ (იხ. ჩვენი ნარკვევი „ილია ჭავჭავაძე", ტ. I, გვ. LVII და სხვ.)

2 (გვ. 8). ნ ი კ ო ლ ო ზ — ნიკოლოზ აფხაზი, მეუღლე ნინოსი.

3 (გვ. 9). ი ლ ი კ ო ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი ს მ ე უ ღ ლ ე — ელენე. ივანე ანდრონიკაშვილის ასული. ისინი ამ დროს პეტერბურგში ცხოვრობდნენ (ილია ზაალის ძე ჩოლოყაშვილი მსახურობდა რუსეთის იმპერატორის ამალაში).

4 (გვ. 9). ე რ თ ი ქ ა ლ ი — იგულისხმება ს ო ფ ი ო ჩ ა ი კ ო ვ ს კ ი ს ა (დაი სახელგანთქმული რუსი კომპოზიტორისა), რომლითაც გატაცებული იყო ილია სტუდენტობის წლებში. იმავე ხანებში, რა დროსაც ეკუთვნის ილიას ეს წერილი, ილიამ უძღვნა სოფიო ჩაიკოვსკისას ლექსები: „ს[ოფიო] ჩ[აიკოვსკისას]" (იხ. ტ. I, გვ. 59), „ჩ[აიკოვსკისას]" (ტ. I, გვ. 60), „ჩემო მკვლელო" (ტ. I, გვ. 65). წერილი ეკუთვნის 1859 წელს (18 მარტს); ლექსები დაწერილია 1860 წელს (ივლის-აგვისტო, პავლოვსკი).

5 (გვ. 9.) ჟურნალ „ც ი ს კ ა რ შ ი", იანვრის ნომერში, დაიბეჭდა ილიას ლექსი „ჩ ი ტ ი" (იხ. ტ. I, გვ. 11).

6 (გვ. 8 და 10). პ ა ტ ა რ ა გ ი გ ლ ო — ნინოს ვაჟი გიგო (გიგლო) აფხაზი. ილიამ უძღვნა თავის დისწულს გიგო აფხაზს, მისი ყრმობის ჟამს, ლექსი („გ. ა ბ ხ." ტ. I, გვ. 76).

7 (გვ. 10). მ ა ი კ ო — ნინოს ქალი.

წერილი 3 (გვ. 10 — 11).

1 (გვ. 10). ნ ი კ ო ლ ო ზ ი — ნინოს მეუღლე.

II

წერილი ნენე დიმიტრის ასულ ანდრონიკაშვილისადმი

4 (გვ. 12 — 15).

წერილის ადრესატია ნ ე ნ ე, დიმიტრი ჭავჭავაძის ასული, მეუღლე დიმიტრი ანდრონიკაშვილისა, ილიას ნათესავი.

წერილი დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (L-17519). ავტოგრაფი.

1 (გვ. 13). ე ლ ე ნ ე და მისი მეუღლე ი ლ ი კ ო — იხ. წერილი 2, შენიშვნა მე-3.

2 (გვ. 14). ბ ა ტ ო ნ ი ს რ ძ ა ლ ი — არა ჩანს ვის შესახებ არის საუბარი.

3 (გვ. 14). ნ ი კ ო — ჩანს იგულისხმება ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძე, „დიდ ნიკო"-დ წოდებული, გენერალი.

4 (გვ. 14). ს ი ძ ე და ძ ი ა დ ი მ ი ტ რ ი: — დიმიტრი ანდრონიკაშვილი — მეუღლე ნენესი; დიმიტრი ჭავჭავაძე — მამა ნენესი.

III

წერილი ანიკო ვაჩნაძისადმი

5 (გვ. 16 — 17).

წერილის ადრესატი ა ნ ი კ ო ვ ა ჩ ნ ა ძ ე — ილიას ნათესავი (მამიდაშვილი).

წერილი დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (L-17520). ავტოგრაფი.

1 (გვ. 15). ლ ი ზ ა — ილიას უმცროსი დაი ელისაბედი.

2 (გვ. 15). ს ო ს ი კ ო — სოსიკო ვაჩნაძე. შემდეგ სოსიკოს შეუსრულებია თავისი განზრახვა და გამგზავრებულა რუსეთში სასწავლებლად. 1860 წელს ილიამ უძღვნა სოსიკო ვაჩნაძეს—„ქ ა რ თ ვ ე ლ ს ტ უ დ ე ნ ტ ე ბ ი ს ს ი მ ღ ე რ ა" (ილიას ავტოგრაფში, ლექსის მეორე ვარიანტში, ჩაწერილია მიძღვნა: „ჩემს კარგ სოსიკო ვაჩნაძეს". იხ. ტომი I, გვ. 399—400).

IV

წერილი გაგრიელ სულხანიშვილისადმი

6 (გვ. 18).

წერილის ადრესატია გაგრიელ იასეს ძე სულხანიშვილი (1835—1879). განათლება მიიღო მოსკოვის უნივერსიტეტში.

დედანი წერილისა არ შენახულა.

აქ დაბეჭდილი ნაწყვეტი ილიას წერილისა გამოქვეყნებულია ჟურნალ „ცისკარში“ 1861 წელს, № 7.

წერილის ამ ნაწყვეტს, დაბეჭდილს „ცისკარში“ პირველად მიაქცია ყურადღება განსვენებულმა მკვლევარმა სიმონ ხუნდაძემ, რომელმაც მას ვრცელი კომენტარი უძღვნა. მოგვყავს აქ ს. ხუნდაძის შენიშვნები ამ ნაწყვეტის გამო:

„ეს წერილი (ნაწყვეტი წერილისა) შემდეგ პირობებში გამოაქვეყნა „ცისკრის“ რედაქციამ. როგორც ცნობილია, 1861 წელს ცხარე კამათი გაჩაღდა ძველ თაობასა და ახალ თაობას შორის. პირველ წლებში (1861—1862) კამათი თვით „ცისკრის“ ფურცლებზე წარმოებდა. შემდეგში, როდესაც 1863 წელს ილია ჭავჭავაძის ჯგუფმა თავისი საკუთარი ორგანო დააარსა („საქართველოს მოამბე“), ხოლო „ცისკრის“ უახლოესი თანამშრომლობა იკისრა ანტონ ფურცელაძემ, კამათმა უფრო მწვავე და მკაცრი ხასიათი მიიღო. ანტონ ფურცელაძემ სხვადასხვა ფსევდონიმით (ქერელი ბექა და სხვ.) მთელი რიგი წერილისა მოათავსა „საქ. მოამბის“ ჯგუფის წინააღმდეგ. ერთ წერილში იგი წერდა:

> „ვსთქვათ მოლაყბე შესცდა... მაგრამ „მოამბე“ ვეღარ არის წყალობის თვალით მოლაყბეზედა, რადგანაც თანამშრომელია ცისკრისა, რომელსაც სდევნის ყოვლის მეცადინეობით. ერთ დროს თითონ ილია ჭავჭავაძე სხვაფრივ გაიძახოდა ამ ლიტერატორზე...“ (იხ. ქერელი ბექა: „ქართული ლიტერატურა“ „ცისკარი“ № 7, გვ. 370—371, 1863 წ.)

ამ ადგილს „ცისკრის“ რედაქცია შემდეგ შენიშვნას უკეთებს:

> „ცისკრის რედაქცია საჭიროთ რაცხს დაიბეჭდოს ამ სხოლიოში თ. ილია ჭავჭავაძისაგან მოწერილი წიგნი მოლაყბის შესახებ, დასამტკიცებლად იმისა, — რომ უფ. მოამბის რედაქტორი [ილია ჭავჭავაძე] არა სდგას არასოდეს ერთ აზრზედ. — აი რასა სწერს...“ (იქვე, გვ. 370).

ამის შემდეგ მოყვანილია ნაწყვეტი ილ. ჭავჭავაძის წერილიდან.

„საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი პასუხიდან გამოირკვა შემდეგი: 1) აღნიშნული წერილი მიწერილი ყოფილა გ. სულხანიშვილისადმი; 2) იგი გამოგზავნილი ყოფილა პეტერბურგიდან 1858 წელსდა 3) შეეხებოდა

მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილს. მოგვყავს გ. სულხანიშვილის საპასუხო შენიშვნა ამ წერილის გამო:

„უფ. ცისკრის რედაქტორო! ეგ წიგნი ჩემთან იყო მოწერილი და თქვენ რა უფლება გაქვთ, რომ სხვისგან და სხვასთან მიწერილს წიგნსა დაუკითხავათა ბეჭდავთ?... მაგ წიგნით უნდა გეჩვენებინათ, რომ ჭავჭავაძე ერთ აზრზედ არა დგასო, რადგანაც მაშინ მოლაყბეს აქებდაო და ეხლა კი აძაგებსო; მაგ წიგნის თარიღი რომ გამოგეცხადებინათ, მაშინ თქვენი ცილისწუმება თავისთავად დაირღვეოდა, ამას მიმხვდარხართ, რომ თარიღი წიგნთან არ დაგიბეჭდიათ. თქვენ ძალიან კარგათ იცით, რომ მ ო ლ ა ყ ბ ი ს სახელითა ბევრი სხვა დასხვა კაცი ჰსწერდა თქვენს ცისკარში. ისიც კარგად იცით, რომ პირველი ორი სტატია [უნდა იყოს სამი]. ერთი მგონია 1857 დეკემბრის და მეორე 1858 იანვრის ცისკარში მოლაყბის სახელით რომ დაიბეჭდა. ასეთი კარგნი იყვნენ, რომ მრავალნი მიმბაძავი გაიჩინეს და იმ მიმბაძავებმა მოლაყბის სახელით დაიწყეს წერა. იმაში მგონია თითონ თქვენც (ე. ი. ივანე კერესელიძე) ერიენით. მაგრამ ეს მიბაძვანი იმ პირველ მოლაყბესთან გროშად არ ღირდნენ, რომელმაც იმ ორ სტატიის შემდეგ ერთი სტრიქონიც არ აღირსა თქვენს ცისკარსა. უფ. ჭავჭავაძე იმ პირველს, იმ ორ სტატიის დამწერს აქებს მაგ წიგნით, რომელსაც თქვენ და თქვენი რაზმი ისე უხეიროდ ჰბაძავდა და ვერ მიჰბაძა კი. ამას თითონ წიგნის თარიღი დაგიმტკიცებთ. ეგ წიგნი პეტერბურგიდან მგონი თებერთვალში. თუ მარტში არის მოწერილი 1858 წელსა! მაგ დრომდისინ ამ ორი სტატიის დამწერის გარდა სხვა არავინ იყო მოლაყბე“ (გაბრიელ სულხანიშვილი, „შენიშვნა“, — საქართველოს მოამბე, № 7. გვ. 105—106, 1863 წ.)

სულხანიშვილის ცნობა იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ გვაწვდის ცნობებს „ცისკრის“ მწერლებისა და ფსევდონიმების შესახებ“.

„მ ო ლ ა ყ ბ ე“ ფსევდონიმი იყო არა გაბრიელ სულხანიშვილისა, როგორც ეს ჰგონებია რუსეთში მყოფს ილიას 1857 წელს, არამედ მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილისა (1818—1875)[1].

V

წერილები მაკრინა ჭავჭავაძე — ერისთავისადმი

წერილების ადრესატი არის ილიას აღმზრდელი მამიდა მ ა კ რ ი ნ ა, პაატა ჭავჭავაძის ასული, მეუღლე ივანე არაგვის ერისთავისა.

[1] იხ. ს. ხუნდაძის პუბლიკაცია წერილისა გ. სულხანიშვილისადმი, „მნათობი“, 1933 წ., № 8—9, გვ. 267—268.

წერილები ილიასი მამიდასადმი (ორი წერილი, 7 და 8) დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (1 — L-17541, 8 — L-17542). ავტოგრაფებია.

წერილი 7 (გვ. 19 — 20).

1 (18—19 გვ.). თ ე მ უ რ — ილიას უმცროსი ძმა, სწავლობდა პეტერბურგში. გარდაიცვალა, ჯერ კიდევ ჭაბუკი, 1860 წელს. ილიამ ძმის ხსოვნას მიუძღვნა ლექსი „ძმის სიკვდილზედ“ (იხ. ტ. I, გვ. 71).

წერილი 8 (გვ. 20 — 22).

1. (გვ. 20). ლიზა — ილიას დაი ელისაბედ.

VI

წერილი ილია წინამძღვრიშვილისადმი
9 (გვ. 23 — 24).

ი ლ ი ა წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი (1834—1920) ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი, პედაგოგი. დამაარსებელი სოფელ წინამძღვრიანთ-კარში სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლისა.

წერილი დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (L-17543). წარმოადგენს ავტოგრაფს.

წერილს თარიღი მიწერილი არა აქვს. როგორც ირკვევა წერილის შინაარსიდან (სხვა თარიღებთან შეფარდებიდან) წერილი გამოგზავნილია პეტერბურგიდან 1861 წელს, თებერთვალ-მარტში.

1 (გვ. 22). „ა მ ს ტ ა ტ ი ა ს გ ი გ ზ ა ვ ნ ი...“ — იგულისხმება ილიას პირველი კრიტიკული სტატია: „ორიოდე სიტყვა რევაზ ერისთავის მიერ კაზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა. (იხ. ტ. III, გვ. 7—27).

2 (გვ. 22). კ ე რ ე ს ე ლ ი ძ ე ი ვ ა ნ ე (1829—1893), ლიტერატორი, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორ-გამომცემელი 1857 წლიდან — 1875 წლამდე.

3 (გვ. 22). ზ უ მ ბ ე რ ი ძ ე — ილია ჭავჭავაძის ფსევდონიმი.

4 (გვ. 22). ჩ ი ქ ვ ა ი ძ ე მ ი ს ა კ ო (მიხეილ ფილიპეს-ძე) — პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი, ილიას სტუდენტობის დროინდელი ამხანაგი, „საქართველოს მოამბის“ თანამშრომელი.

5 (გვ. 23). „ა ჩ რ დ ი ლ ი“ და „ჰ ა ჯ ი-ა ბ რ ე კ ი“. — 1860 წელს ილიას განუზრახავს ცალკე წიგნად გამოშვება „აჩრდილისა“ და „ჰაჯი-აბრეკისა“. ორივე ნაწარმოები თბილისში უნდა გამოსულიყო და გამოცემისათვის ზრუნვა მინდობილი ჰქონდა ილია წინამძღვრიშვილს (თვით ილია

ამ დროს, ჯერ კიდევ სტუდენტი, რუსეთში იმყოფებოდა). ეს გამოცემა არ განხორციელდა, ცენზურას არ მიუცია ნება „აჩრდილის“ დაბეჭდვისა. (იხ. ტ. I, გვ. 368—369).

6 (გვ. 24). ვ ა ნ ო (ი ვ ა ნ ე) პ ო ლ ტ ა რ ა ც კ ი (1836—1892), საქართველოში დაბადებული და აღზრდილი, —ილიას მეგობარი გიმნაზიის კლასებიდან. ილიას პოემა „აჩრდილი“ მიძღვნილია ივანე პოლტარაცკისა და ილია წინამძღვრიშვილისადმი (ტ. I, გვ. 131).

VII

წერილები კირილე ლორთქიფანიძისადმი

კ ი რ ი ლ ე ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე (1939—1918) — ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი.

სულ მოღწეულა 12 წერილი ილიასი კირილე ლორთქიფანიძისადმი. ამათგან 7 წერილი დაცულია ქუთაისის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში, კირილე ლორთქიფანიძის არქივში (სახელდობრ წერილები: 11—K-1039; 13—K-1939; 14—K-1950; 15—K-1044; 17—K-1038; 19—K-420; 19-ა — K-665). ყველა წერილები ავტოგრაფებია.

სად არის ამჟამად დაცული დედნები დანარჩენი ხუთი წერილისა (სახელდობრ წერილებისა №№ 10, 12, 16, 18, 20)—გამოურკვეველია. ისინი გამოქვეყნებული ჰქონდა ს. ხუნდაძეს. ამ უკანასკნელ ხუთ წერილს ვებეჭდავთ ს. ხუნდაძის პუბლიკაციის მიხედვით[1].

წერილი 10 (გვ. 25 — 26).

1864 წელს კირილე ლორთქიფანიძემ განიზრახა გამოცემა ქართული პოეზიის კრებულისა და წერილით სთხოვა ილიას გაეგზავნა კრებულში მოსათავსებლად თავისი ლექსები. ილიამ მოიწონა კრებულის გამოცემის აზრი. კრებული გამოვიდა პეტერბურგში 1864 წელს, სახელწოდებით „ჩ ო ნ გ უ რ ი“. კრებულში შევიდა ილიას ლექსები: „გუთნის დედა“ (ტ. I, გვ. 14), „ქართვლის დედა“ (—ტ. I, გვ. 30), „ნანა“ (—ტ. I, გვ. 43), „ელეგია“ (—I ტ., გვ. 47), „მუშა“ (—I ტ. გვ. 54), „პოეტი“ (—I ტ. გვ. 61), „იანიჩარი“ (—I ტ. გვ. 66), „გაზაფხული“ (—I ტ. გვ. 73), „მას აქეთ რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“ (—I ტ., გვ. 74), „ჩემო კალამო“ (—ტ. I, გვ. 75), „ხმა სამარიდამ“ (—I ტ. გვ. 6); პოემიდან „აჩრდილი“ თავი V; „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ (პირველი ნაწილი).

[1] იხ. ს. ხუნდაძე, ჟურნ. „მნათობი“, 1933 წ., № 8—9, გვ. 272—277.

წერილი 11 (გვ. 26 — 27).

წერილს წინ უსწრებს ილიას ლექსი „ქართველ სტუდენტების სიმღერა“ (სრული ტექსტი, ილიას ავტოგრაფი) წერილი მიწერილია ლექსის ტექსტის ბოლოში.

1 (გვ. 26). „ქართვლის დედა“ — ილიას დრამატიული პოემა (ტ. I. გვ. 150—157, ვარიანტები გვ. 324—330; შენიშვნა ტექსტის გამო გვ. 361—364).

წერილი 12 (გვ. 27).

1 (გვ. 27). პეტერბურგის სტუდენტების ჯგუფმა, კირილე ლორთქიფანიძის მეთაურობით, განიზრახა 1868 წელს შესდგომოდა ქართველი მწერლების ნაწერების გამოცემას ცალკე წიგნებად. სერია უნდა გახსნილიყო ილიას „კაცია-ადამიანით“. კ. ლორთქიფანიძეს, ჯგუფის სახელით, წერილით მოუმართავს ილიასათვის ამ საგანზე და უთხოვია ნებართვა „კაცია-ადამიანის“ დაბეჭდვისა, რაზედაც ილიამ თანხმობით უპასუხა. „კაცია-ადამიანი“ პეტერბურგის ჯგუფმა გამოსცა ცალკე წიგნად 1869 წელს.

2 (გვ. 27). „კაცია-ადამიანი“ ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ 1863 წელს დაიბეჭდა მ. ჯიმშერიძის ფსევდონიმით (იხ. ტ. I. გვ. 420). კ. ლორთქიფანიძეს უთხოვია ილიასათვის გამოექვეყნებია „კაცია-ადამიანი“ არა ფსევდონიმით, არამედ ილიას სახელით, რაზედაც ილია თანხმობას უცხადებს.

3 (გვ. 27). „კაცია-ადამიანის“ წინასიტყვაობის ვარიანტები (რომელიც ილიას 1863 წელს დაუწერია) იხ. ტ. II. გვ. 563—574.

წერილი 13 (გვ. 27 — 28).

1 (გვ. 27—28). საუბარია ნიკოლოზ ბარათაშვილის ოთხ წერილზე მიკო ორბელიანისადმი, რომელიც ილიას უნახავს თავისი დის ელისაბედისა და სიძის ალექსანდრე საგინაშვილის ოჯახში (ალექსანდრე საგინაშვილი ახლო ნათესავი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილისა, იგი იყო მელიტონ ბარათაშვილის დისწული). ნიკოლოზ ბარათაშვილის დასახელებული წერილები დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“ 1873 წ. № 1, გვ. 99—113. წერილების ნაბეჭდ ტექსტს წინასიტყვის სახით დართული აქვს უცვლელად ილიასეული ის შენიშვნა, რომელიც ამ წერილშია მოყვანილი.

2 (გვ. 28). „გლახის ნაამბობის“ ტექსტის ისტორიის შესახებ იხ. დაწვრილებით ჩვენს კომენტარებში (ტ. II. გვ. 592—596).

ილიას წერილს ბოლოში მიწერილი აქვს: „ნამდვილშიაც წერტილებია“. ეს ფრაზა ეკუთვნის არა ილიას ამ წერილს, არამედ წარმოადგენს შენიშვნას

ნ. ბარათაშვილის წერილებისას, რომელთა პირები. გადაწერილი ილიას ხელით, დართული ჰქონდა ამ წერილს.

წერილი 14 (გვ. 28).

ილიას ეს ბარათი, როგორც ირკვევა, გაუგზავნია კირილე ლორთქიფანიძისათვის 1873 წელს იანვარში, „გლახის ნამშობის“ კორექტურასთან ერთად (წერილს მოწერილი აქვს მიღების თარიღი: „[23 იანვ. 1873 წ.]“). შეად. ილიას წერილი ნ. ნიკოლაძისადმი (32-ე) 1873 წ. 18 იანვრისა. „გლახის ნამშობის“ ბეჭდვა ჟურნალ „კრებულში“ დაიწყო 1873 წლის პირველი ნომრიდან.

წერილი 16 (გვ. 29).

1 (გვ. 29). გ ლ ე ხ უ რ ი ს ი მ ღ ე რ ე ბ ი — ხალხური ლექსები შეგროვილი ილიას მიერ; იბეჭდებოდა ჟურნალ „კრებულში“ და შემდეგ ცალკე წიგნად გამოვიდა 1873 წელს რაფიელ ერისთავის ფოლკლორულ მასალებთან ერთად („გლეხური სიმღერები, ლექსები და ანდაზები, შეკრებილი რაფ. ერისთავისა და ილ. ჭავჭავაძისაგან“).

2 (გვ. 29). ილია 1872—3 წ. ახალთაობამ წამოაყენა განზრახული ქართული ბანკის ხელმძღვანელად. რის გამო ილიას ბევრი მტრები გაუჩნდა რეაქციულ წრეებში. მათ შორის იყო ნიკო დიმიტრის-ძე ჭავჭავაძე.

3 (გვ. 29). ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ნიკო ნიკოლაძე, რომელსაც ამ დროს პროცესი ჰქონდა სასამართლოში ტყიბულის საქმის გამო. პროცესი, როგორც ჩანს ილიას მილოცვიდან, ნიკოლაძეს მოუგია.

წერილი 17 (გვ. 29 — 30).

1. წერილში ჩაწერილია (ე. ს.-ის წინ) სამი ლექსი ილიასი და ერთი ლექსი ნ. ბარათაშვილისა; ილიას ლექსები:

I „ვიხილე სატრფო: იგი ცრემლს ღვრიდა...“ (ტ. 1, გვ. 26);

II „ჩემო მკვლელო! ვიცი, ვიცი...“ (ტ. 1, გვ. 65);

III „ს. ს.—მაშინ დავსტკბები სრულის სამოთხით..“ (ტ. I, გვ. 32).

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი: „დამჭროლა ქარმან სასტიკმან, თან წარმიტანა ყვავილი“ (იხ. ნ. ბარათაშვილი, 1945 წ., გვ. 39).

ნ. ბარათაშვილის ლექსი (ილიას გადმონაწერის მიხედვით) პირველად დაიბეჭდა „კრებულში“ (1873 წელს № 2, გვ. 57).

2 (გვ. 30). მ ე ს ხ ი — სერგეი მესხი (იხ. შენიშვნა 31-ე წერილთან).

3 (გვ. 30). იგულისხმება პ ე ტ რ ე უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი.

4 (გვ. 30). დაბეჭდვა ილიას შესანიშნავი წერილისა „ზ ო გ ი ე რ თ ი რ ა მ“ დაბრკოლდა საცენზურო პირობების გამო (იხ. ამ საგანზე დაწვრილებით ჩვენ კომენტარებში, ტ. III, გვ. 483—485).

წერილი 18 (გვ. 30).

წერილში საუბარია „გლახის ნაამბობის“ კორექტურაზე.

წერილი 19 (გვ. 31).

წერილი არის პასუხი კირილე ლორთქიფანიძის წერილისა (მიწერილია კირილეს წერილის მეორე ფურცელზე). კ. ლორთქიფანიძე წერდა ილიას, რომ საღამო, რომელშიაც მონაწილეობა ილიას უნდა მიეღო, ზოგიერთ გარემოებათა გამო შაბათისათვის უნდა გადაიდოსო. ილია ეთანხმება კირილეს აზრს საღამოს გადადების შესახებ და ასახელებს ლექსებს, რომელსაც საღამოზე წაიკითხავს.[1]

წერილი 19-ა (გვ. 393).

ტექსტი ილიას ამ მოკლე ბარათისა (რომელიც მიწერილია დამატებად იონა მეუნარგიას წერილზე კირილე ლორთქიფანიძისადმი) — გადმოგვცა ა. გაჩეჩილაძემ.

VIII

ბარათი ლევან ჯანდიერისადმი

21 (გვ. 32).

ბარათი დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ილიას ფონდი, № 106). ავტოგრაფი.

ბარათი უთარიღოა. ეკუთვნის 1865—1868 წლებს, როდესაც ილია მოგზაურობდა შუამავლად იყო დუშეთის და თბილისის მაზრებში. ამ დროს ილიას

[1] ვინაიდან წიგნის ბეჭდვის დროს კირილე ლორთქიფანიძის წერილების დედნები (11—20) ჩვენთვის ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა, ტექსტი დავბეჭდეთ ს. ხუნდაძისა პუბლიკაციის მიხედვით. შემდეგ, დაცულ დედნებთან შედარებამ გამოარკვია, რომ ს. ხუნდაძის პუბლიკაციაში დაშვებული ყოფილა ზოგიერთი წვრილმანი შეცდომები, რომლებიც გადმოვიდა ჩვენს გამოცემაშიაც. ვასწორებთ ამ შეცდომებს:

გვ.	სტრიქონი ზემოდან:	დაბეჭდილია:	უნდა გასწორდეს:
26	24	გამოგზანა	გამოგზავნაც
26	30	თუნდ	თუნდ რომ
26	31	წიგნს	წიგნებს
27	21	კარგად	კარგად და
28	24	შესრულებულია	შესრულდა

აქ არ აღგვინიშნავს ნაკლებ მნიშვნელოვანი ორთოგრაფიული შეცდომები-

თან ერთად მუშაობდა ლ ე ვ ა ნ ჯ ა ნ დ ი ე რ ი (1848—1921), „საქართველოს მოამბის“ ყოფილი თანამშრომელი.

ილიას ამავე ბარათზე მოწერილია პასუხი ლევან ჯანდიერისა, სადაც ატყობინებს ილიას, რომ „დიღმელები სრულიად დავამშვიდეთ და მოვარიგეთ“-ო.

IX

წერილი პეტრე ნაკაშიძისადმი

22 (გვ. 32).

პ ე ტ რ ე ნ ა კ ა შ ი ძ ე (1838—1895) — საზოგადო მოღვაწე, ილიას მეგობარი. ილიამ პეტრე ნაკაშიძეს უძღვნა დრამატული პოემა „ქართველის დედა“.

წერილი პეტრე ნაკაშიძისადმი მიწერილია ილიას მიერ „ქართველის დედის“ ავტოგრაფულ ხელნაწერზე, რომელიც ილიას გამოუგზავნია პეტრესათვის დუშეთიდან თბილისში და რომელიც დათარიღებულია 1871 წლის 17 მარტით (ხელნაწერი საქართველოს სალიტერატურო მუზეუმისა L-17504).

„შენთან მოწერილი ძღვნობის ლექსი“, მოხსენებული წერილში, არის ლექსი, რომლითაც იხსნება დრამატული პოემა „**ქართვლის დედა** (ს ც ე ნ ა მ ო მ ა ვ ა ლ ც ხ ო ვ რ ე ბ ი დ ა ნ)“, და რომელიც შთაგონებულია საქართველოს მომავალი თავისუფლების იმედით:

აჰა, იმ დროთგან ერთი სახე ამოღებული,
რომელნიც ერთად გვინატრია უცხოეთში ჩვენ,
რომელთ იმედი, ღვთიურ სხივით გაბრწყინებული.
დღესაც გულში გავქვს მტკიცე რჯულად, ძმაო, მე და შენ.

მყობადს ავხადე ერთი კუთხე დიდის ფარდისა
და ეს ვიხილე, — მომიტევე მე სითამამე...
ეს არს ნაყოფი აწმყოსაგან შობილ დარდისა, —
ამით მამართლე, მიიღე და ნუ გამკიცხავ მე.

X

წერილები დავით ერისთავისადმი

დ ა ვ ი თ ე რ ი ს თ ა ვ ი (1847—1890) — ცნობილი ქართველი ლიტერატორი, ავტორი დრამისა „ს ა მ შ ო ბ ლ ო“.

წერილები (სამი წერილი, 23—25) დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (13 — L-17550, 24 — L-17551; 25 — L-17549). ავტოგრაფებია.

31. ილია ჭავჭავაძე, ტომი X.

წერილი 23 (გვ. 33 — 34).

1. ილიას „გამოცანების“ ლიტერატურული ისტორიის გამო იხ. ტ. I, გვ. 387—390.

2. ვახტანგ თულაშვილი (1834—1910) — მესამოციანელი (ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ თანამშრომელი).

წერილი 24 (გვ. 34 — 35).

ილიას დავით ერისთავისაგან მიუღია „გამოცანების“ თარგმანები რუსულად („შენი წიგნი თარგმანითურთ მივიღე“-ო, წერს ილია).

ილიას წერილი უთარიღოა, მაგრამ შინაარსიდან ირკვევა, რომ იგი დაწერილია 1872 წელს, ივლისს. (წერილში მოხსენებული ილიას ლექსი „პასუხის პასუხი“ დაწერილია 1872 წელს 28 იანვარს, მაშასადამე წერილი ამის შემდეგ არის დაწერილი; ხოლო ივლისი მოხსენებულია თვით წერილის ტექსტში).

წერილი 25 (გვ. 35).

წერილი უთარიღოა. შესაძლოა იგი 1880 წელს, ან მის ახლო ხანებს, ეკუთვნოდეს. (ამ დროს ილიას ახლო ურთიერთობა ჰქონდა კოტე ყიფიანთან თეატრალური საქმეების გამო. იხ. წერილი ილიასი კოტე ყიფიანისადმი 1880 წლის 27 ივლისის თარიღით, გვ. 88).

XI

წერილები პეტრე უმიკაშვილისადმი

პეტრე უმიკაშვილი (1838—1904) — ლიტერატორი, საზოგადო მოღვაწე. ხალხური სიყვიერების შემკრებელი, გამომცემელი ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა.

წერილები (ხუთი წერილი, 26—30), დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (26 — L-17544; 27 — L-17545; 28 — L-17546; 29 — L-17547; 30 — L-17548). ავტოგრაფებია.

წერილი 26 (გვ. 36 — 37).

წერილს თარიღი არა აქვს. თარიღი ირკვევა პეტრე უმიკაშვილის მიწაწერიდან:

„მივიღე 21 თიბათვეს 1872 წ. დუშეთიდამ“.

წერილი 27 (გვ. 37 — 38).

წერილს პეტრე უმიკაშვილის ხელით მიწერილი აქვს:

„მივიღე დუშეთიდამ 1872 წ. ენკენისთვის 1-სა პ. უმიკაშვილმა ეს წერილი და სახე ილიასი“.

1 (გვ. 38). გიორგი მუხრან-ბატონის ბროშურა „О существе национальной индивидуальной индивидуальности и об образовательном значении крупных единиц“ გამოვიდა 1872 წელს. ავტორი აქ ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის დამცველად გამოდიოდა, რამაც გამოიწვია ილიას ლექსი-პამფლეტი „რ ჩ ე ვ ა“ (იხ. ტექსტი ლექსისა ტ. I, გვ. 100, ჩვენი შენიშვნა გვ. 390).

2 (გვ. 38). „ქართული წიგნი..., ქართველ ქალებს რომ უთარგმნიათ“ — იგულისხმება კრებული „თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულებათა, გამოცემული ქართველი ქალებისაგან“, რომელიც გამოვიდა 1872 წელს. კრებულში შესულია თარგმანები: ეკატერინე გაბაშვილისა, ეკატერინე მელიქიშვილისა (შემდეგ სერგეი მესხის მეუღლე) და ელენე ყიფიანისა.

წერილი 28 (გვ. 38 — 39).

წერილს თარიღი არა აქვს, მაგრამ როგორც ირკვევა სხვა წერილებთან შეფარდებიდან, იგი მოწერილია პეტერბურგიდან 1873 წელს.

ლიტერატურული ისტორია „მეფე ლირის“ თარგმანისა ქართულ ენაზე ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის მიერ იხ. I ტომის კომენტარებში (გვ. 395—397).

წერილი 29 (გვ. 39).

წერილს პეტრე უმიკაშვილის ხელით მიწერილი აქვს მიღების თარიღი: „14 ენკენისთვეს, 1885 წ.“

წერილი 30 (გვ. 40).

წერილს პეტრე უმიკაშვილის ხელით მიწერილი აქვს მიღების თარიღი: „31 მარტი, 1890 წ., ტფილისს, დიდ შაბათს“.

XII

წერილი სერგეი მესხისადმი

31 (გვ. 41).

სერგეი მესხი (1844—1883) — გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. 1869 წლიდან — 1883 წლამდე რედაქტორობდა და ხელძღვანელობდა გაზეთ „დროებას“.

წერილი დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (სერგეი მესხის ფონდი № 54). ავტოგრაფი.

წერილს თარიღი მოწერილი არა აქვს, მაგრამ წერილის შინაარსიდან და სხვა წერილებთან შედარებიდან ირკვევა, რომ იგი დაწერილია 1873 წელს, თებერვალში (შეად. წერილი მე-17, კირილე ლორთქიფანიძისადმი მიმართული, გვ. 30).

XIII

წერილები ნიკო ნიკოლაძისადმი

32 — 35 (გვ. 34 — 38).

ნიკო ნიკოლაძე (1843—1928) — გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

სულ მოღწეულა 4 წერილი—ილიასი ნიკო ნიკოლაძისადმი.

ჩვენ აქ ჯერ შევჩერდებით ილიას წერილზე 1873 წლის 6 დეკემბრისა, რომელსაც განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს.

*

წერილი ნიკო ნიკოლაძისადმი 1873 წლის 6 დეკემბრისა

1860-იანი წლების ბოლოს და 1870-ანი წლების დასაწყისში ქართულ პუბლიცისტიკაში გაიელვა ნიკო ნიკოლაძის ბრწყინვალე ტალანტმა.

მაგრამ ნიკო ნიკოლაძეს, რომელსაც ილია ჭავჭავაძემ სამართლიანად უწოდა „მდუღარე ადამიანი“, ჰქონდა თავის რთულ სალიტერატურო გზაზე რამდენიმე ტეხილი.

1873 წელს, ნიკო ნიკოლაძემ, ევროპაში გამგზავრების წინ, გაზეთ „დროებაში“ გამოაქვეყნა წერილი „მშვიდობით, მშვიდობით“. რომ მკითხველმა გაითვალისწინოს ამ წერილის შინაარსი, მწერლის სულისკვეთება, მოვყავს მისი დასაწყისი:

„მ შ-ვ ი დ ო ბ ი თ , მ შ ვ ი დ ო ბ ი თ!

„ხვალ-ზეგ მე ხელახლავ ვტოვებ „დროების“ ნიადაგი თანამშრომლობის უმადურ და მომბეზრებელ ღვაწლს. მკითხველს თავს როდიღა მოაწყენს ჩემი ნაწერის კითხვა, და მსმენელს — ჩემ პიროვნებაზე, ნაწერზე და ხასიათზე სჯის მოსმენა. სხვა, უფრო ახალგაზრდა და გულღმობიერი მწერლები ახალ საგნებზე და მოვლენებზე წერა-ბეჭდვას და ბაასს გამართვენ, და ყველაფერს, რაც კი აღაშფოთა ან შეარყია ჩემმა ნაწერმა, მიყრუების და დავიწყების მალამო წაეცხება...

„როგორც მკვდრისათვის, ჩემთვისაც დადგება ჯერ მოსვენებული და პირუთვნელი სჯის, და შემდეგ, მალე, ძლიერ მალე, სრული მივიწყების დრო. დაღალული, დაქანცული, ილაჯ-გაწყვეტილი ვტოვებ მე ჩვენი მწერლობის ასპარეზს და ჩვენი სამშობლოს ჰაერს. სრული ბედნიერებით ვეთხოვები ყველას, ვისაც ვძულვარ ან უყვარვარ, ვესალმები ყველას, ვინც მებრალება ან მიყვარს, და მტერ-მეგობარს ნეტარებით ვეუბნები — მშვიდობით, მშვიდობით.

„შავი ზღვის ზამთრის ქარიშხალი, ევროპის აღელვებული ცხოვრება, ახალი წრე, ძველი მეგობრები, მეც მალე დამავიწყებენ აქაური უთავბოლო ბრძოლის დაღალულობას....“

ასეთი ხასიათისაა ნიკო ნიკოლაძის ეს წერილი (სრული ტექსტი წერილისა იხ. გაზეთი „დროება“, 1873 წ., 16 ნოემბერი; ნიკო ნიკოლაძის რჩეული ნაწერების კრებული, 1932 წ., ტ. II, გვ. 107—110).

წერილი ხელმოწერილი იყო ნ. ნიკოლაძის საყოველთაოდ ცნობილი ლიტერატურული ფსევდონიმით: ნ. ს კ ა ნ დ ე ლ ი“.

ნიკო ნიკოლაძის ეს წერილი „მშვიდობით, მშვიდობით“ არ იყო წუთიერი აფეთქება. ნიკო ნიკოლაძე ამის შემდეგ ორი წლის მანძილზე მართლაც ჩამოშორდა ქართულ პრესას.

როდესაც გაზეთ „დროებაში“ 1873 წლის 16 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა ნიკო ნიკოლაძის წერილი, ილია ჭავჭავაძე არ იყო საქართველოში, იგი ამ დროს რუსეთში იმყოფებოდა, პეტერბურგს.

როგორც კი ილია ჭავჭავაძე გაეცნო „დროებაში“ დაბეჭდილს ნიკო ნიკოლაძის წერილს, ილიამ პეტერბურგიდან მაშინვე სასწრაფოდ მოსწერა წერილი ნიკო ნიკოლაძეს (6 დეკემბერს).

ეს წერილი ილიასი არის წერილი ერის ნამდვილი ბელადისა (გვ. 44—46)[1].

*

აქ საჭიროა შევჩერდეთ აგრეთვე ერთ წერილზე, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „დროებაში“ ამავე ხანებში, ოდნავ გვიან, 1873 წელს 28 დეკემბერს, ხელმოწერით „ჩ ვ ე ნ ი უ ჩ ი ნ ო ნ ი“.

ისიც აგრეთვე ეხება ნიკო ნიკოლაძის წერილს „მშვიდობით, მშვიდობით“.

ქართულ ლიტერატურაში, ნ. ნიკოლაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამომცემელის ს. ხუნდაძის შემდეგ, განმტკიცებულია შეხედულება, რომ ამ წერილის ავტორია ილია ჭავჭავაძე[2]. მაგრამ ეს შეცდომაა.

---

[1] ილიას წერილი (ავტოგრაფი) დაცულია საქართველოს რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში, ნიკო ნიკოლაძის არქივში. ვბეჭდავთ ილიას წერილის ფოტოს (იხ. გვ. 574—576).

[2] ს. ხუნდაძე, მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, გვ. 48—49.

აღსანიშნავია, რომ თვით ნიკო ნიკოლაძეც ამავე აზრისა ყოფილა, ვითომც ავტორი ამ წერილისა ილია იყო.

ნიკო ნიკოლაძის არქივში დაცულია შავი ამ წერილისა, რომელიც გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა ხელმოწერით „ჩვენ უჩინონი“. კონვერტზე, რომელშიაც ინახება ეს შავი, წარწერილია ნიკო ნიკოლაძის ხელით:

„ადრესი, რომელიც 1873 წლის ბოლოს გამომიგზავნეს პეტერბურგის სტუდენტებმა (შავი, ილიას ხელით ნაწერი). გადმომცა 1887-ში ილიკო ბახტაძემ“.

საკმარისია გადავიკითხოთ ეს წერილი (ხელმოწერილი „ჩვენ უჩინონი“) და დაკვირვებულის თვალით შევადაროთ იგი ილიას წერილს, რათა სრულიად უეჭველი გახდეს, რომ ეს წერილი არ არის ილიას დაწერილი.

თუ რა გზით წარმოიშვა შემცდარი შეხედულება, ვითომც ავტორი ამ წერილისა ილია იყვეს, ვის მიერ, როდის და რა ვითარებაში დაიწერა ეს წერილი, და რაში მდგომარეობდა აქ ილიას მონაწილეობა (ილიასთვის მხოლოდ გაუცვნიათ წერილი, ილიას აქ ზოგი რამ არ მოსწონებია და შესწორება ურჩევია).— ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ჯერ კი გავეცნოთ თვით ტექსტს ამ წერილისას, რომელიც ხელმოწერილია „ჩვენ უჩინონი“. მოგვყავს იგი სრულად, იმ სახით, როგორადაც გამოქვეყნდა გაზეთ „დროებაში“ 1873 წლის 28 დეკემბრის ნომერში.

„წ ი გ ნ ი რ ე დ ა ქ ტ ო რ თ ა ნ

„დროების“ 45 №-ში ჩვენ წავიკითხეთ ფელტონი უფ. სკანდ ე ლ ი ს ა.* რომლითაც ის სამუდამოდ თუ არა, გვარიანი ვადით მაინც ეთხოვება ჩვენს სამშობლოს და ჩვენს ლიტერატურას. ის თავს ანებებს თავის ნამცეცა მტრებს, თავის პაწაწინა წინააღმდეგებს და მიეშურება იქით, სადაც შეეძლება ხელახლავ თავის ძველ ამხანაგებში გაბმა. სადაც სულს მოიბრუნებს ახალს უფრო რივიანს და უფრო განათლებულს საზოგადოებაში და სადაც გულიდან გადაიყრის ჩვენს ქვეყანაზედ ზრუნვასა და ფიქრს.

ყოველი პირი, ვისაც ჩვენი ახლანდელი ლიტერატურისათვის თვალ-ყური უდევნებია და ვისაც უფ. სკანდელის სტატიები უკითხავს, ის შეამცნევდა, რომ სკანდელმა დიდი ღვაწლი და შრომა დასდვა ჩვენს ლიტერატურას და სცდილობდა გაღვიძებინა ჩვენი მიძინებული საზოგადოება. სცდილობდა მიექცია მისი ყურადღება საზოგადო საქმეებზედ. ყოველი ამგვარი პირი ამ ფელტონის წაკითხვის შემდეგ კითხულობს: რა არის მიზეზი, რომ უფ. სკანდელი ასე უცბად თავს ანებებს თავის ამდენს სასარგებლო შრომას. როგორც ამ ფელტონიდან სჩანს, აი ეს მიზეზი. უფ. სკანდელს სწყენია, რომ

* „სკანდელი“, როგორც მოვიხსენეთ, საყოველთაოდ ცნობილი ლიტერატურული ფსევდონიმი იყო ნიკო ნიკოლაძისა.

ზოგიერთნი იმისი ნაცარქექია მოპირდაპირენი აშკარა და პირდაპირი ბრძოლის მაგიერ მოჰყოლიან ცილის-წამებას, საზოგადოებაში ყაყანს, რომ უფ. სკანდელი და მისი თანამოაზრენი გაიძვერანი, მცარცველნი და თავის სარგებლობის მეძიებელნი არიანო.

მართლა რომ გასაშტერებელია. ნუთუ როცა უფ. სკანდელი ლიტერატურის ასპარეზზედ გამოდიოდა, ნუთუ როცა ის საზოგადო საქმეს ხელსა ჰკიდებდა, — ამისთანა წინააღმდეგობას არ მოელოდა? როდის, ან რომელ ქვეყანაში მომხდარა, რომ საზოგადო საქმეში გართულს კაცს, საზოგადოების რიგიანს გზაზედ დაყენების მოცადინეს მრავალი სულმდაბალი მტერი არ გამოსჩენოდეს? ვისაც პატიოსანი საქმის სამსახური ძვალრბილში გასჯდომია, ის, უეჭველია, ამგვარ პირთ ცილისწამებას ყურსაც არ ათხოვებს და თავის საკეთილო აზრს უფრო მტკიცედ დაადგება. საზოგადოების მომეტებული ნაწილი სწორედ რომ ამ უსინდისო გვამთაგან იყოს შემდგარი, რომელთაც უფ. სკანდელი იხსენებს, მაინც იმავე საზოგადოებაში ისეთნი პირნიც მოიპოვებიან, რომელთაც შეეძლებათ თანაუგრძნონ ხეირიანს და საზოგადოებისათვის სასარგებლოს განზრახვასა. უფ. სკანდელი უარს ვერ იტყვის, რომ ჩვენში ამგვარნი პატიოსანნი პირნი არიან.

მაშ რა გვეთქმის ამისთანა კაცზედ, რომელიც ჯერ კარგ აზრებს ავრცელებდა ხალხში და მერე კი უცებ ჰკრა ფეხი და თავი მიანება ყოველისფერს, რისთვისაც უწინ შრომობდა? ცხადია, რომ ეს ადამიანი ან სულმოკლე უნდა იყოს, ან უწინდელი იმისი შრომა მხოლოდ თავის გამოსაჩენი ბაქი-ბუქობა ყოფილა.

უფ. სკანდელი ამბობს, რომ ჩემს სამშობლოს თავს ვანებებო და მივდივარ იქ, სადაც ჩემს უწინდელს მეგობრებს შევეყრები, ახალ წრეში გავებმები და ზნეობით და ჭკუით გავითარებულს საზოგადოებაში ფეხს ჩავდგამო. იქ ჩვენებურს იქ მყოფს ახალგაზრდობას დავუხატავო, რა რიგად სამზღვარ-გარეთელი საზოგადოება საქართველოს საზოგადოებაზედ მაღლა სდგასო. ოსტატი მაშინ არის საჭირო, როცა სწავლა გვჭირია რისამე. მაშ რა საჭიროა უფ. სკანდელის ქადაგება ჩვენი და საზღვარგარეთელ საზოგადოებების შუა განსხვავებაზედ? დარწმუნებული უნდა იყვეს უფ. სკანდელი, რომ ყოველმა მოსწავლე ახალგაზრდამ კარგად იცის ისა, რისაც სწავლებას ის უპირობს, მაგრამ ისიც ყველამ კარგად იცის, რომ პატიოსანი აზრის და მიმართულების პირნი ჩვენში უფრო საჭირონი არიან, ვიდრე საზღვარგარეთ.

თუ ეს უგვარო საქციელი და ასე წინდაუხედავად საქმისთვის თავის დანებება უფ. სკანდელს გულდაჯერებით განუზრახავს და წუთის გულის აფეთქება არ არის, მაშინ ჩვენდა სამწუხაროდ პირდა-

პირ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ თავიდანვე იგი სულით და გულით არ ჩასჭიდებია იმ საქმეს, რომლისთვისაც ის ისე გაცხარებული იბრძოდა და რიგიანადაც იბრძოდა.

თუ ხსენებული ფელტონი დამჯდარის გონებით მოსაზრულია, მაშინ ჩვენც გულუმტკივნელად გამოვეთხოვებით უფ. სკანდელს და ვეტყვით: „მაშ თუ ეგრეა, მშვიდობით და მშვიდობით!"

ჩვენ უჩინონი.
პეტერბურღი, 8 დეკემბ. 1873 წ.

*

სტილი იმ წერილისა არ არის ილიას სტილი. ფრაზის წყობა, თვით ლექსიკონიც კი, არაა ილიასეული.

ხოლო თავისი შინაარსით, საერთო ხასიათით, ეს წერილი (ხელმოწერილი „ჩვენ უჩინონი") არსებითად დაშორებულია ილიას წერილს.

პათოსი ილიას წერილისა სულ სხვაა, ილიას წერილი, როგორც ვთქვით, ეს არის ნამდვილი წერილი ერის ბელადისა, აღბეჭდილი მაღალი, უკომპრომისო პრინციპიალობით, მაგრამ ამავე დროს იგი გამსჭვალულია უდიდესი პატივისცემით ნიკო ნიკოლაძისადმი, აქ არის სრული და ღირსეული დაფასება ნიკო ნიკოლაძის წარსული ღვაწლისა. აქ ყოველ სტრიქონში ისმის მღელვარება და გულისტკივილი ერის მეთაურისა იმის გამო, რომ ერის მებრძოლ მოწინავე რაზმს არ გამოაკლდეს ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წევრი.

წერილი, ხელმოწერილი „ჩვენ უჩინონი" სულ სხვაა. ჯერ ერთი, არსებითად განსხვავდება საერთო ტონი. ამას გარდა ამ წერილს საფუძვლად უდევს ნიკო ნიკოლაძის თვით წარსული მოღვაწეობის ნეგატივური შეფასება. „ჩვენ უჩინონი" ეჭვს გამოსთქვამენ იმის შესახებაც კი, იყო თუ არა გულწრფელი ნიკო ნიკოლაძე თავისი წარსული მოღვაწეობის დროს, ხომ არ იყო ნიკო ნიკოლაძის მთელი წარსული საქმიანობა უბრალო თავის გამოსაჩენი ხმაური. „ჩვენ უჩინონი" წერენ:

> „მაშ რა გვეთქმის იმისთანა კაცზედ [ე. ი. ნიკო ნიკოლაძეზედ], რომელიც ჯერ კარგ აზრებს ავრცელებდა ხალხში და მერე კი უცებ ჰკრა ფეხი და თავი მიანება ყოველისფერს, რისთვისაც უწინ შრომობდა? ცხადია, რომ ეს ადამიანი ან სულმოკლე უნდა იყოს, ან უწინდელი იმისი შრომა მხოლოდ თავისი გამოსაჩენი ბაჭი-ბუჭობა ყოფილა".

ილიას წერილი პირდაპირია, ამასთან სასტიკი, და თუ გნებავთ შეუბრალებელიც კი, მაგრამ ილია დიდად აფასებდა ნიკო ნიკოლაძის წარსულ ღვაწლს, ილია მღელვარებით მოუწოდებდა თავის თანამებრძოლს განეგრძო

„ავისი სახელოვანი ბრძოლა, და ილიას ცხადია არ შეეძლო ნ. ნიკოლაძის წარსული შრომა, მით უმეტეს ამ დროს, მოეწათლა ამ სიტყვებით — „თავის გამოსაჩენი ბაქი-ბუქობა“.

ვინ არიან ეს „ჩვენ უჩინონი“, რომლებიც ბევრად უფრო შეურიგებელნი არიან ნიკო ნიკოლაძის შიმართ, ვიდრე ილია ჭავჭავაძე; როდის, რა ვითარებაში, რა წერილში არის დაწერილი ეს წერილი?

ნიკო ნიკოლაძის წერილმა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო (და როგორც ეს ჩანს „დროების“ სარედაქციო განცხადებიდან, იხ. „დროება“, 1873 № 400) — დიდი გამოხმაურება გამოიწვია საზოგადოებაში. მას საზოგადოების სხვადასხვა წრეები სხვადასხვა რიგად შეხვდნენ.

ამ წერილს დიდი გამოხმაურება უნდა ჰქონოდა და ჰქონია კიდეც ქართველ სტუდენტობაში.

როგორც მოხსენებული გვქონდა, როდესაც გამოქვეყნდა ნიკო ნიკოლაძის წერილი (გაზეთ „დროების“ 1873 წლის ნოემბრის ნომერში) ილია რუსეთში იმყოფებოდა.

ილიას, რომელიც 1873 წელს საზოგადო საქმეების გამო იყო წასული რუსეთში, ხანგრძლივად მოუხდა იქ დარჩენა (1873 წლის ზაფხულიდან 1874 წლის გაზაფხულამდე). ამ დროს ილია დაუმეგობრდა რუსეთში მყოფს ვანო მაჩაბელს და მათ ერთად თარგმნეს შექსპირის „მეფე ლირი“. თარგმანზე ილია და ივანე მაჩაბელი მუშაობდნენ 1873 წლის ნოემბერსა და დეკემბერში და დაასრულეს 1874 წლის 1 იანვარს.

სწორედ ამ დროს, 1873 წლის დეკემბრის დასაწყისში, მიღებულ იქმნა პეტერბურგში გაზეთი „დროება“ ნიკო ნიკოლაძის წერილით. ილიამ სასწრაფოდ დაწერა წერილი ნ. ნიკოლაძისადმი 6 დეკემბერს და გამოგზავნა თბილისში პეტრე უმიკაშვილთან; ილია წერდა პეტრე უმიკაშვილს:

„პეტრე, ეს წერილი ნიკოლაძეს გადაეცი მიღების უმალ“.

ილიამ თავისი წერილი ცხადია გააცნო თავის მეგობარს ვანო მაჩაბელს, რომელთანაც ერთად იგი თარგმნიდა „მეფე ლირს“ და რომელსაც იგი ყოველდღე ხვდებოდა.

ვანო მაჩაბელი ამ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა, მასთან დაკავშირებული იყო პეტერბურგის ქართველი სტუდენტობა, და ილიას მიერ წერილის გაგზავნა ნიკო ნიკოლაძესთან ცხადია გაიგო ქართველი სტუდენტობის ფართო წრემ.

ქართველი სტუდენტობა, რომელიც ასე გულმხურვალედ ეკიდებოდა ქართულ საზოგადო საქმეებს, ბუნებრივია უნდა გამოხმაურებოდა ნიკო ნიკოლაძის წერილს და გამოხმაურებია კიდეც.

ქართველ სტუდენტობას შეუდგენია კოლექტიური წერილი „დროების“ რედაქციისადმი ნიკო ნიკოლაძის წერილის გამო, ხელმოწერით „ჩ ვ ე ნ უ ჩ ი ნ ო ნ ი“. წერილი დაწერილია 8 დეკემბერს (თარიღი აღნიშნულია წერილის მინაწერში), ე. ი. ორი დღის შემდეგ, რაც ილიამ დაწერა და გამოგზავნა თბილისში თავისი წერილი ნიკო ნიკოლაძისადმი.

ვინაიდან ილია ამ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა, სტუდენტობა ცხადია ამ წერილს გააცნობდა ილიას, და გაუცვნიათ კიდეც.

ჩვენ დრომდე მოღწეულა თვით ის დედანი წერილისა, რომელიც ქართველ სტუდენტებს გაუცვნიათ ილიასათვის. ეს დედანი წერილისა შემდეგ ხელთა ჰქონია ილია ბახტაძეს და, როგორც მოვიხსენეთ, 1887 წელს ილია ბახტაძეს იგი გადაუცია ნიკო ნიკოლაძისათვის; ეს დედანი ამჟამად დაცულია ნიკო ნიკოლაძის არქივში.

რომ ეს დედანი არის სწორად ის ხელნაწერი, რომელიც ქართველ სტუდენტებს გაუცვნიათ ილიასათვის, მტკიცდება იმის მიხედვით, რომ ამ დედანზე არის მინაწერები ფანქრით ილია ჭავჭავაძის ხელით.

თვით ტექსტი წერილისა დაწერილია მელნით, უცნობი ხელით. წერილში რამდენიმე სიტყვა შესწორებულია და ჩამატებული მელნითვე, იმავე უცნობის ხელით.

ამავე დროს, როგორც აღვნიშნეთ, წერილში არის რამდენიმე შესწორება და დამატება, ჩაწერილი ფანქრით, ილია ჭავჭავაძის ხელით.

აშკარაა სტუდენტებს მიუტანიათ და წაუკითხავთ ილიასათვის უკვე დამზადებული, მელნით გადაწერილი ტექსტი. ხოლო შესწორებანი, რომელიც ილიას მიერ ფანქრით არის მიწერილი წერილის მელნით გადაწერილ ტექსტში, ცხადია ჩანიშნულია ილიას მიერ სტუდენტებთან შეხვედრისას და აზრთა გაზიარების დროს.

შედარება მელნით გადაწერილი ძველი ტექსტისა და ილიას მიერ ფანქრით შეტანილი შესწორებებისა გვიჩვენებს, რომ ილია არ ეთანხმებოდა სტუდენტობას ზოგ რამეში; სტუდენტობა ნიკო ნიკოლაძის მიმართ უფრო შეურიგებლად ყოფილა განწყობილი. ეს ჩანს შემდეგიდან. ერთი ადგილი წერილისა თავდაპირველ დედანში (მელნით გადაწერილ ტექსტში) ასე იკითხებოდა:

„თუ ეს... საქმისათვის თავის დანებება უფ. სკანდელს გულდაჯერებით განუზრახავს და წუთის გულის აფეთქება არ არის, მაშინ, ჩვენდა სამწუხაროდ, პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავიდანვე იგი სულით და გულით არ ჩასჩიდებია იმ საქმეს, რომლისთვისაც ის ისე გაცხარებული სჯიდა და ბაასობდა“.

ილიას წაუშლია სიტყვები „სჯიდა და ბაასობდა“ და მის მაგიერ ჩაუწერია: „იბრძოდა და რიგიანადაც იბრძოდა“.

ეს, რასაკვირველია, სულ სხვაა. თუ სტუდენტობა ეჭვს გამოსთქვამდა, რომ ნ. ნიკოლაძის საქმიანობა სინამდვილეში შესაძლოა იყოო „თავის გამოსაჩენი ბაქი-ბუქობა“, რომ ნიკოლაძე მხოლოდ „გაცხარებული სჯიდა და ბაასობდა“-ო, ილია ჭავჭავაძე არწმუნებს სტუდენტობას, რომ ნიკო ნიკოლაძე „იბრძოდა და რიგიანადაც იბრძოდა“.

სტუდენტობა დასთანხმებია ილიას ამ შესწორებას, და იმ უცნობ პირს, რომლის ხელითაც გადაწერილია წერილი, ილიას ფანქრით ჩანიშნული ტექსტი მელნით გადაუწერია (იქვე გაირჩევა ილიას ხელით ფანქრით ნაწერი ტექსტი).

წერილის ამავე ნაკვეთის დასაწყისი უცნობი გადამწერელის მიერ თავდაპირველად ასე ყოფილა დაწერილი: „თუ ეს უგვარო საქციელი და ასე უცბად თავის დანებება უფ. სკანდელს გულდაჯერებით განუზრახავს...“ შემდეგ წერილის იმავე უცნობ გადამწერს სიტყვა „უცბად“ გადაუსწორებია „ურცხვად“ („ასე ურცხვად საქმისათვის თავის დანებება“). ცხადია ილიას არ მოეწონებოდა ასეთი უხეში და უმართებულო გამოთქმა. „დროებაში“ დაბეჭდილ ტექსტში სიტყვა „ურცხვად“ შეცვლილია და მის მაგიერ იკითხვის: „წინდაუხედავად“ (—„ასე წინდაუხედავად საქმისათვისა თავის დანებება“). ეს შესწორებაც, ცხადია, ილიას სიტყვიერი რჩევის შედეგია.

ილიასვე ეკუთვნის წერილის ბოლო წინადადება. წერილი პირველ ვარიანტში (სტუდენტების ტექსტში) ასე თავდებოდა:

„თუ ეს... წუთის გულის აფეთქება არ არის, მაშინ, ჩვენდა სამწუხაროდ, პირდაპირ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ თავიდანვე იგი სულით და გულით არ ჩასჯიდებია იმ საქმეს, რომლისთვისაც ის ისე გაცხარებული სჯიდა და ბაასობდა, მაშინ ჩვენ გულდაჯერებით გვეთქმის: მშვიდობით, მშვიდობით!“

ილიამ, ჯერ ერთი, როგორც მოვიხსენეთ, გამოთქმა „სჯიდა და ბაასობდა შესცვალა შემდეგნაირად: „იბრძოდა და რიგიანადაც იბრძოდა“; ხოლო ამის მომდევნო ბოლო ფრაზა (დაწყებული სიტყვიდან „მაშინ“ ვიდრე სიტყვამდე „მშვიდობით“) ილიას გადაუხაზავს, ჩაუწერია იქვე ფანქრით მისი შემცვლელი ტექსტის რამდენიმე ვარიანტი და საბოლოოდ წერილს დაბოლოებისათვის შემდეგი სახე მიუცია:

„თუ უფ. სკანდელის ფელეტონი დამჯდარის გონებით მოსაზრულია, მაშინ ჩვენც გულუმტკივნეულად სამუდამოდ გამოვესალმებით უფ. სკანდელს და ვეტყვით, — მაშ თუ ეგრეა, მშვიდობით დ მშვიდობით!“.

ამგვარი დაბოლოება წერილისა გაუზიარებია სტუდენტობას და ასეთი დაბოლოებით დაიბეჭდა წერილი გაზეთ „დროებაში“.

ასეთია ისტორია ამ წერილისა, რომელიც ხელმოწერილია „ჩ ვ ე ნ უ ჩ ი ნ ო ნ ი“.

ეს წერილი, ამრიგად, ეკუთვნის არა ილიას, როგორც დღემდე ფიქრობდნენ, არამედ პეტერბურგის ქართველ სტუდენტობას. ილიასთვის მხოლოდ გაუცვნიათ ეს წერილი; ილიას აქ ზოგი რამ არ მოსწონებია (არ მოსწონებია ტონი, არ მოსწონებია ნიკო ნიკოლაძის წარსული მოღვაწეობის ნეგატივური შეფასება) და შესწორება ურჩევია.

*

დასასრულ დაგვრჩენია შემდეგი აღვნიშნოთ.

ილიას 1873 წლის 6 დეკემბრის წერილმა უეჭველია გავლენა იქონია ნიკოლაძეზე. ნიკო ნიკოლაძე ყოველთვის სთვლიდა ილიას ერის ბელადად.

ორი წლის შემდეგ, როდესაც ნიკო ნიკოლაძე ისევ დაუბრუნდა ქართულ პრესას, მან ქართველ მკითხველს მიმართა წერილით „სალამი“. აქ იგრძნობა დიდი გულისტკივილი იმის გამო, რომ მას მოუხდა ერთხანად

დაშორებოდა თავის თანამებრძოლთ... („რა დაუსრულებელ საუკუნედ მიმაჩნდა მე თითოეული დღე ამ ორი წლისა", — ამბობს იგი ამ წერილში).

ნიკო ნიკოლაძისათვის ჩვეულის ბრწყინვალებით არის დაწერილი ეს წერილი. მოგვყავს. ამ წერილის დასაწყისი:

„ჩემო მკითხველო, ჩემო ძველო და ძვირფასო მეგობარო, ძლივს არ მელირსა შენთან ხელახლავ შეყრა, შენთან საუბრის გამართვა და მუსაიფი! ერთი დრო იყო, რომ ჩვენ ერთმანეთს ვსცნობდით, როცა ერთმანეთი გვიყვარდა, როცა ჩვენ ხშირად, თითქმის შეუწყვეტლად ვმუსაიფობდით. ის დრო გაჰქრა დიდი ხანია. ორ წელიწადზე მეტია აგერ, რაც ჩვენ ერთმანეთისათვის ხმა არ გაგვიცია. რომ იცოდე, რა დაუბოლოვებელ საუკუნედ მიმიმაჩნდა მე თითოეული დღე ამ ორის წლისა! ეხლა, როცა ჩვენი უმძრახობა თავდება, როცა ჩვენ საუბარს ვმართავთ, ისევ უწინდლურად ვიცნობთ ერთმანეთს, თუ არა, ისევ გვიყვარს ერთი მეორე, თუ ჩვენს შორის ის ძაფები დაწყდნენ, რომლებიც ჩვენ გულებს აერთებდნენ?...

... მას აქეთ, რაც მე ჩემ თავს ვიცნობ, მე ერთი წადილის მეტი არა მჭონია, ერთი ღმერთის გარდა სხვისთვის თაყვანი არ მიცია... მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი ავად თუ კარგად, როგორც შემეძლო, როგორც ჭკუა მიჭრიდა... მე დამივლია მთელი ევროპა და ბევრ განათლებულ ქვეყნებში ვყოფილვარ, ბევრ აღმტაც საზოგადოებაში გამიტარებია თვეები, მაგრამ ყოველგან და ყოველთვის, სადაც კი ვყოფილვარ, ერთი საგანი მჭონია: შენთვის დამზადება, შენთვის სამსახური, შენი სარგებლობა... იმის მაგიერ რომ იქაურს ცხოვრებას მივებირე და სხვასავით დამევიწყა ჩვენი — ქვეყანა, ჩვენი — ხალხი, მე ნიადაგ შენზე ვფიქრობდი, რომ სადმე, როგორმე, სადაც კი ყოფილიყო, შენთვის ცოტაოდენი სარგებლობა მაინც მომეტანა... („დროება", 1873 წ., № 26).

წერილი 32 (გვ. 43 — 44)

წერილი გამოცემულია ილიას ავტოგრაფიული დედნის მიხედვით ს. ხუნდაძის მიერ. თუ სად არის ამჟამად დაცული წერილის დედანი, ჩვენთვის უცნობია. ტექსტს ვბეჭდავთ ს. ხუნდაძის პუბლიკაციის მიხედვით (იხ. ჟურნ. „მნათობი", 1939 წ., № 8—9, გვ. 282—283).

წერილს დაწერის წელი მოწერილი არა აქვს. აღნიშნულია მხოლოდ თვე და რიცხვი (18 იანვარი). შინაარსიდან ცხადია, რომ იგი 1873 წელს არის დაწერილი, როდესაც კრებულში „იბეჭდებოდა „გლახის ნაამბობი".

1. კ ი რ ი ლ ე — იგულისხმება კირილე ლორთქიფანიძე.

2. „ე რ თ ი ჩ ვ ე ნ ი პ ო ე ტ ი" — ალექსანდრე ჭავჭავაძე.

3. იგულისხმება „აჩრდილის" XVI სტროფის შემდეგი ადგილი, უკანასკნელი 4 სტრიქონი:

გრძნობას ოქროსა ფასად ჰყიდიან,
[მთავრის ღიმილზედ პატიოსნებას,
და დაჟანგებულ ბორკილზე სცვლიან
თავის მამულის თავისუფლებას.]

სიტყვები, რომლებიც ჩასმულია რკალებში [ ], „კრებულში“ დაბეჭდილი ტექსტიდან ცენზურამ ამოშალა (იხ. „კრებული“, 1873 წ., № 2, გვ. 210).

„მ თ ა ვ ა რ ი“, რომლის ღიმილზედაც პატიოსნებას ჰყიდიან, იგულისხმება რუსეთის იმპერატორის სატრაპი, მეფის-ნაცვალი კავკასიაში.

წერილი 34 (გვ. 47)

წერილის დედანი (ავტოგრაფი ილიასი) ჩვენ გადმოგვცა ნიკო ნიკოლაძემ 1925 წელს, როდესაც შევუდექით ილიას შესწავლას. მას შემდეგ ეს წერილი გადავეცით გამოსაქვეყნებლად ნიკო ნიკოლაძის მემკვიდრეობის ცნობილ მკვლევარს ვლ. ზამბახიძეს, რომელმაც დაბეჭდა წერილის ტექსტი (ჟურნ. „დროშა“ 1857 წ., № 8). დედანი წერილისა ამჟამად დაცულია ვლ. ზამბახიძესთან.

1. ილიას „გლეხთა განთავისუფლების სცენები“ თარგმნა რუსულად თვით ნ. ნიკოლაძემ და დაბეჭდა პეტერბურგის ჟურნალში „Изящная Литература“ 1883 წელს (ივნისის ნომერში).

2. ი ლ ი ა ბ ა ხ ტ ა ძ ე, ხ ო ნ ე ლ ი (1859—1900) — ლიტერატორი.

3. ი ვ ა ნ ე ფ ე ლ ი ქ ს ი ს-ძ ე თ ხ ო რ ჟ ე ვ ს კ ი (1848—1910) — პოეტი. თარგმნიდა ქართველი პოეტების ლექსებს რუსულად თავისი მეუღლის მარიამის თანამშრომლობით (საერთო ფსევდონიმით.: „Иван да Марья“). ივ. თხორჟევსკი 1881—2 წლებში თბილისში სცემდა ყოველკვირეულ ჟურნალს „Гусли“.

წერილი 35 (გვ. 48)

ილიას წერილი ნიკო ნიკოლაძისადმი გაგზავნილია დავით გურამიშვილის წერილთან ერთად, რომელიც აგრეთვე ნ. ნიკოლაძისადმი არის მიმართული. დ. გურამიშვილი შემდეგსა წერს ნ. ნიკოლაძეს:

1 Сентября 99 г. Тифлис.

Сегодня приезжает в Тифлис группа французов—журналистов, 100 с лишним. Останутся они здесь дня 3. Дабы не повторилась история с мистификацией Кутули*, Илья решил завести с ними теперь же сношения и пригласить их к себе в Сагурамо.

* კ უ ტ უ ლ ი ს მისტიფიკაციის შესახებ — იხ. „ქვათა ღაღადი“.

... Он считает безусловно необходимым твое присутствие, а потому убедительно просит тебя немедленно приехать в Тифлис.

... И так, ждем твою телеграмму о немедленном выезде сюда.

Твой Д. Гу[рамишвили]

წერილი (ილიას ავტოგრაფი)—დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (L-17613).

XIV

წერილები ვასილ მაჩაბლისადმი

წერილების ადრესატი ვ ა ს ი ლ მ ა ჩ ა ბ ე ლ ი — იურისტი, საზოგადო მოღვაწე (ივანე მაჩაბლის ძმა).

წერილები (რვა წერილი, 36—43) დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (36 — L-17552; 37 — L-17556; 38 — L-17553; 39 — L-17554; 40 — L-17555; 41 — L-17557; 42 — L-17559; 43 — L-17558). ავტოგრაფებია.

წერილი 36 (გვ. 49 — 50)

1 (გვ. 49). მ დ ი ვ ა ნ ი ასლან გიორგის-ძე. სამხედრო პირი.

2 (გვ. 49). ბ ა რ ი ა ტ ი ნ ს კ ი ალექსანდრე ივანეს ძე, უოფილი მეფის-ნაცვალი კავკასიაში 1856—1862 წლებში.

3 (გვ. 50). ჩ ე მ ი ს ი მ ა მ რ ი — ოლღას მამა თადეოზ გურამიშვილი.

4 (გვ. 50). ბ ა რ ბ ა რ ე ი ლ ი ა ს ა ს უ ლ ი (ვარვარა ილინიშნა) ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, — ბაგრატიონის ქალი, ილია ბატონიშვილის ასული, ქვრივი ილია ორბელიანისა (ნიკოლოზ ბარათაშვილის მეგობრისა).

5 (გვ. 50). გ ი ო რ გ ი ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ილია ორბელიანის შვილი.

წერილი 37 (გვ. 51).

დ ი მ ი ტ რ ი უ ა ზ ბ ე გ ი (გარდაიცვალა 1880 წელს) ავტორი მოთხრობისა „მავნე სულები“.

„შ ე ნ ი ძ მ ა“ — იგულისხმება ივანე მაჩაბელი.

წერილი 38 (გვ. 32).

ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე ნ ი კ ო ლ ო ზ (1838—1911) პუბლიცისტი, მესამოციანელი, თანამშრომელი ილიას „საქართველოს მოამბისა"; მონაწილეობა მიიღო გაზეთ „დროების" დაარსებაში. 80-იანი წლებიდან შავი ქვის მრეწველი; ქველმოქმედი.

წერილი 39 (გვ. 52 — 53).

1. (გვ. 52). ს ა ნ დ რ ო — იგულისხმება ალექსანდრე (სანდრო) ერისთავი.

2 (გვ. 53). ს ტ ა რ ო ს ე ლ ს კ ი დიმიტრი სიმონის ძე—იხ. გვ. 498—499.

წერილი 41 (გვ. 54 — 56)

ვ ა ნ ო — ივანე მაჩაბელი.

ყ ა ზ ბ ე გ ი — იგულისხმება დიმიტრი ყაზბეგი (იხ. ზევით, გვ. 494).

წერილი 42 (გვ. 56 — 59).

კორდელიის როლის შემსრულებელი — ე ფ რ ო (ეფროსინე) ქ ა ი ხ ო ს რ ო ს ა ს უ ლ ი ყ ი ფ ი ა ნ ი-კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი ს ა (დიმიტრი ყიფიანის ძმისწული), მსახიობი.

დ ა ვ ი თ ყ ი ფ ი ა ნ ი (1836—1892)—„საქართველოს მოამბის" ყოფილი თანამშრომელი.

წერილი 43 (გვ. 59 — 60).

ვ ა ნ ო — ივანე მაჩაბელი.

ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ნ ი კ ო — (1844—1929)—ჟურნალისტი (რედაქტორი ჟურნალ „მნათობისა" 1869—1872 წლებში), მთარგმნელი.

ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი დ ა ვ ი თ (1814—1891)—ცნობილი ლექსიკოგრაფი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი.

ც ა გ ა რ ე ლ ი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე (1844—1920)—ცნობილი ქართველი მეცნიერი, პროფესორი პეტერბურგის და თბილისის უნივერსიტეტებისა.

XV

წერილები ელისაბედ ჭავჭავაძისადმი

წერილების ადრესატია ილიას უმცროსი დაი ელ ი ს ა ბ ე დ ი.

სულ მოღწეულია 18 წერილი

ამათგან 16 წერილი დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (44—L-17533; 45—L-17524; 46—L-17525; 47—L-17535; 48—L-17523; 49—L-17527; 50—L-17526; 51—L-17534; 52—L-17528; 54—L-17537; 55—L-17529; 56—L-17538; 58—L-17532; 59—L-17530; 60—L-17536; 61—L-17531).

თუ სად არის დაცული დედანი წერილებისა 53 და 57 ჩვენთვის უცნობია. ვაქვეყნებთ ყვარლის ილიასეულ მუზეუმში დაცული პირების მიხედვით, რომლებიც მოგვაწოდა პატივცემულმა პლ. კეშელავამ.

წერილი 46 (გვ. 62).

კ ა ტ ო — ოლღას (ილიას მეუღლის) დაი ე კ ა ტ ე რ ი ნ ე, მეუღლე დიმიტრი სტაროსელსკისა.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ ი — მეუღლე ელისაბედისა.

ი ა ს ე — იგულისხმება იასე ჭავჭავაძე.

წერილი 47 (გვ. 62 — 63).

გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — დიდი ქართველი პოეტი,

ლ ე ვ ა ნ ი ვ ა ნ ე ს ძ ე მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი (1817—1892) — კავკასიის მთავარმართებლის მოადგილე (ნიკოლოზ ბარათაშვილის ყრმობის დროინდელი მეგობარი).

გ ი ო რ გ ი რ ო მ ა ნ ო ზ ი ს ძ ე ე რ ი ს თ ა ვ ი — „ატამანი“; 1858—1861 წ. წ. იყო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორიდ, ხოლო მანამდე იყო ატამანი ჩრდ. კავკასიის ყაზახთა ჯარისა, რის გამო მას შერჩა შერქმეული სახელად „ატამანი“.

ი ვ ა ნ ე კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ს ძ ე მ უ ხ რ ა ნ-ბ ა ტ ო ნ ი (1812—1895). გენერალი.

წერილი 48 (გვ. 63).

ზ უ ბ ა ლ ა ა ნ ი — ივანე იაგორის ძე ზუბალაშვილის ოჯახი. (ი. ზუბალაშვილი დუშეთის მაზრის უფროსად იყო და დუშეთში ცხოვრობდა ოჯახით).

წერილი 49 (გვ. 64).

ნიკო — იგულისხმება ნიკო დიმიტრის ძე ჭავჭავაძე (იხ. ზევით, გვ. 29, 64, 254, 261. 262, 265, 477).

წერილი 50 (გვ. 64 — 65).

მანსვეტაშვილი — იგულისხმება ნიკო მანსვეტაშვილი (ლიტერატორის იაკობ მანსვეტაშვილის ძმა). შეად. წერილი 45.
იასე ჭავჭავაძე (შეად. წერილი 46).

წერილი 51 (გვ. 51 — 52).

რევაზ — იგულისხმება რევაზ ანდრონიკაშვილი, (იხ. გვ. 550.

წერილი 53 (გვ. 68).

ნიკო ზურაბიჩი — ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძე, ცნობილი სახელწოდებით „დიდი ნიკო“, გენერალი.
იასე — იგულისხმება იასე ჭავჭავაძე (იხ. წერილები 46, 50).
დათიკო — დავით ერისთავი, ლიტერატორი. (იხ. გვ. 33—35, 481—482).

წერილი 54 (გვ. 687 — 69).

ჩიკვაიძე — იგულისხმება მიხეილ ჩიკვაიძე (იხ. გვ. 476).

წერილი 57 (გვ. 70).

დომინიკა — დომინიკა ერისთავი-მდივნისა (1865—1929), პოეტის ქალი განდეგილი.

წერილი 58 (გვ. 70 — 71).

კატო — ოლღას და ეკატერინე.
ზალიკო — ზაალ თადეოზის ძე გურამიშვილი, ოლღას ძმა.

წერილი 60 — 61 (გვ. 73 — 74).

შ ი ხ ა ჩ ი კ ვ ა ი ძ ე — იხ. გვ. 476, 497.

XVI

წერილი იოსებ ორბელიანისადმი

62 (გვ. 75 — 77).

წერილის ადრესატია ი ო ს ე ბ კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ს ძ ე ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, გენერალი.

წერილი დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (L-17618). ავტოგრაფი.

1 (გვ. 75). ს ა ნ დ რ ო — ალექსანდრე ორბელიანი, ილიას დის ელისაბედის მაზლი (პირველი ქმრის ძმა).

2 (გვ. 75). ლ ი ზ ო — ილია ჭავჭავაძის დაი ელისაბედი.

XVII

ბარათი ალექსანდრე საგინაშვილისადმი

63 (გვ. 76).

წერილის ადრესატია—ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ილიას სიძე, ილიას დის ელისაბედის მეუღლე, გენერალ-ლეიტენანტი.

წერილი დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (L-17620). ავტოგრაფი.

XVIII

წერილი ეკატერინე გურამიშვილ — სტაროსელსკისადმი

64 (გვ. 79 — 80).

წერილის ადრესატი ე კ ა ტ ე რ ი ნ ე არის უფროსი დაი ილიას მეუღლის ოლღასი. ეკატერინე იყო მეუღლე დ ი მ ი ტ რ ი ს ი მ ო ნ ი ს ძ ე ს ტ ა რ ო ს ე ლ ს კ ი ს ა (1832—1884), რომელიც ამ წერილის დაწერის დროს, 1872—1876 წლებში, ბაქოს გუბერნატორი იყო (შემდეგ, 1877—1884 წ.წ., დ. სტაროსელსკი კავკასიის მეფისნაცვალის მოადგილის თანამდებობას ასრულებდა, იყო მეფისნაცვალის მთავარი სამმართველოს უფროსი; სენატორი. დ. სტაროსელსკი დაახლოვებული იყო ქართველ მოღვა-

წეებთან. მან ერთგვარი დახმარება გაუწია ქართველ მოღვაწეებს, როდესაც წყდებოდა საკითხი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების „წესდების დამტკიცებისა).

წერილი (შავი წერილისა) დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ილიას ფონდი № 107). წერილი უთარიღოა; სხვა წერილებთან შეფარდებიდან ირკვევა, რომ წერილი ეკუთვნის 1875 წელს, როდესაც ილიას მეუღლე ოლღა სტუმრად იყო თავის დასთან ეკატერინესთან ბაქოში.

XIX

წერილები გიგო აფხაძისადმი

65 — 67 (გვ. 81 — 84).

წერილების ადრესატი — გ ი გ ო ა ფ ხ ა ზ ი არის ილიას დისწული (შვილი ილიას უფროსი დის ნინოსი, რომელიც გათხოვილი იყო ნიკოლოზ აფხაზზე. — იხ. წერილები ნინოსადმი, გვ. 7—11). წერილების მიწერის დროს გიგო აფხაზი იყო ილიას სახლ-კარის მეთვალყურედ ყვარელში.

წერილები დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (65— L-17560; 66 — L-17562; 67 — L-17561).

პირველი წერილი თარიღიანია (19. XII. 1875). დანარჩენ ორ წერილს თარიღები მოწერილი არა აქვს, მაგრამ შინაარსისა და სხვა წერილებთან შეფარდებიდან ირკვევა, რომ ისინი ეკუთვნიან 1876 წელს.

წერილი 66 (გვ. 82 — 83)

გ ო გ ი ა ღ ო ნ ი ა შ ვ ი ლ ი — ყვარლელი მკვიდრი, მამა ლ ა ზ ა რ ე ს ი, ილიას თანაშეზრდილი ლალასი (იხ. ქვემოთ, გვ. 552).

გ ი ო რ გ ი — იგულისხმება გიორგი ჭავჭავაძე, ყვარლელი მემამულე ილიას ნათესავი.

XX

ა

დიმიტრი ყიფიანისა და ილია ჭავჭავაძის მიმართვა რაფიელ ერისთავისადმი

68 (გვ. 85).

რ ა ფ ი ე ლ ე რ ი ს თ ა ვ ი (1824—1901) გამოჩენილი ქართველი პოეტი.

ტექსტი მიმართვისა — სტამბაში ნაბეჭდია. ხელმოწერა დიმიტრი ყიფიანისა და ილია ჭავჭავაძისა — ავტოგრაფებია.

დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (რაფიელ ერისთავის ფონდი № 266)[1].

ბ

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგის ილია ჭავჭავაძის გარათი რაფიელ ერისთავისადმი

69 (გვ. 86).

დაცულია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში (ფონდი 481, საქმე 32, ფურც. 2). ავტოგრაფი.

გ

ილია ჭავჭავაძის გარათები რაფიელ ერისთავისადმი

გარათები (ხუთი გარათი, 70—74) დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (რაფიელ ერისთავის ფონდი № 227). ავტოგრაფები.

70 (გვ. 86).

დაწერილია სადარბაზო გარათზე. თარიღი მოწერილი არა აქვს; შინაარსიდან ირკვევა, რომ წერილი დაწერილია 1885 წლის 20 დეკემბერს (გაზეთ „ივერიის“ პირველი ნომრის გამოსვლის წინა დღით).

71 (გვ. 86).

დაწერილია სადარბაზო გარათზე. უთარიღო. წერილში მოხსენებული გერმანელი მწერალი ა რ ტ უ რ ლ ე ი ს ტ ი საქართველოში პირველად ჩამოვიდა 1884 წელს.

72 (გვ. 87).

დაწერილია სადარბაზო გარათზე. უთარიღოა.

---

[1] იგივე ნაბეჭდი ტექსტი მიმართვისა, დიმიტრი ყიფიანისა და ილია ჭავჭავაძის ხელმოწერით, დაეგზავნა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სხვა დამფუძნებელ (დამწესებელ) წევრებს.

73 (გვ. 87).

წერილი ეხება გაზეთ „ივერიაში“ დასაბეჭდ ერთ მასალას, მ. ნასიძის სატირულ ლექსს „ახალი იავნანა“. ბოლო ტაეპი ამ ლექსისა იკითხვოდა ამრიგად:

„სამშობლო და დედა-ენა
რად გინდა ნეტაო,
გამოთვერ და შემოსძახე
მნოღოე ლეტაო“.

საცენზურო კომიტეტში ამოუშლიათ უკანასკნელი სიტყვები ლექსისა „მ ნ ო ღ ო ე ლ ე ტ ა ო“. ილია სთხოვს რაფიელ ერისთავს დაეხმაროს — აღადგინონ ეს ამოღებული სიტყვები. რაფიელს ილიას თხოვნა დაუკმაყოფილებია და ამოღებული სიტყვები აღუდგენიათ. გაზეთ „ივერიაში“, 1890 წლის 24 ოქტომბრის ნომერში (№ 225), ლექსი დაიბეჭდა მთლიანად, ცენზურის კუპიურის გარეშე.

ილიას წერილთან დაცულია სტამბური ანაბეჭდი მ. ნასიძის ლექსისა, ვიზირებული ცენზურის მიერ.

ილიას წერილში მოხსენებული ლ უ კ ა ს ტ ე ფ ა ნ ე ს-ძ ე არის ცენზორი ლუკა ისარლიშვილი, საცენზურო კომიტეტის მდივანი 1881 წლიდან — 1888 წლამდე (იხ. შენიშვნა 106-ე წერილისა, გვ. 511).

74 (გვ. 81).

წერილს მოწერილი აქვს მხოლოდ თვე და რიცხვი, წელი აღნიშნული არაა.

შინაარსის მიხედვით წერილი თარიღდება 1896 წლით. „იგავ-არაკნი“, მოხსენებული წერილში, გამოიცა 1896 წელს („იგავ-არაკნი, რაფიელ ერისთავის მიერ. თბილისი. ქართველთა ამხანაგობის გამოცემა № 35. 1896 წ.“).

ჰ ი ჰ ი ნ ა ძ ე — ზაქარია ჰიჰინაძე (1853—1931), ცნობილი გამომცემელი. (რაფიელ ერისთავის იგავ-არაკთა გამოცემა ქართველთა გამომცემლობის ამხანაგობის მიერ თუ ვერ მოხერხდებოდა, ილიას განზრახული ჰქონია ხელი შეეწყო ზაქარია ჰიჰინაძისათვის, რომ მას გამოეცა იგავ-არაკები.

XXI

წერილი კოტე ყიფიანისადმი

75 (გვ. 88).

კ ო ტ ე ყ ი ფ ი ა ნ ი (1849—1921), დიმიტრი ყიფიანის შვილი, გამოჩენილი ქართველი მსახიობი.

წერილი დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (L-17563). ავტოგრაფი.

ილიას წერილს თარიღი (წელი) მოწერილი არა აქვს (აღნიშნულია მხოლოდ თვე და რიცხვი). თარიღი ირკვევა კოტე ყიფიანის მინაწერიდან: «Получил 2-го Августа, 1880 г.»

XXII

წერილები ალექსანდრე ნანეიშვილისადმი

ალექსანდრე ნანეიშვილი (1857—1904) ხალხოსანი, ჟურნალისტი (წერდა უმთავრესად „ა. ნა—ლი"-ს ხელმოწერით). 1883—1887 წლებში, როგორც ხალხოსნური მოძრაობის მონაწილე, გადასახლებული იყო შუა აზიაში (სემიპალატინსკში). გადასახლებამდე, 1881—1883 წლებში, თანამშრომლობდა ჟურნალ „იმედში". გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ თანამშრომლობს „ივერიაში".

მოღწეულა ილიას სამი წერილი ალექსანდრე ნანეიშვილისადმი (71—79) და ერთი დეპეშა (76).

დეპეშა დაცულია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში (ფონდი 481, საქმე 26, გვ. 11).

წერილები 77 და 78 დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (L-17598, L-17599); წერილი 79 — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ილიას ფონდი № 109). სამივე წერილი ავტოგრაფებია.

დეპეშა 76 (გვ. 89).

1881 წლის გასულს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დააარსა ბათუმში ქართული სკოლა (უპირატესად ქართველი მუსულმანებისათვის), რომლის გახსნასაც დაესწრო ილია. დეპეშა ალექსანდრე ნანეიშვილისადმი ამ სკოლის გახსნასთან არის დაკავშირებული.

წერილები 77 და 78 (გვ. 89 — 90).

ილიას წერილები — ქუთაისის ბანკის საქმე — რომელიც ეხება დასავლეთ საქართველოს ქართულ ბანკს, დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში" 1890 წელს (№№ 167, 168, 170, 171, 173, თხზულებათა კრებულის VII ტომი, გვ. 439—478). ალ. ნანეიშვილსა და ქუთათელ მოღვაწეებს საჭიროდ დაუნახავთ ამ წერილების ცალკე ბროშურად გამოქვეყნება (ბროშურა გამოვიდა ქუთაისში 1890 წელსვე).

წერილი 79 (გვ. 90 — 92).

გ ი ო რ გ ი ლ ა ს ხ ი შ ვ ი ლ ი (1866—1931) ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე.

წერილთან დაკავშირებულ საკითხთა გამო იხ. აგრეთვე გ. ლასხიშვილის „მემუარები“ (1934 წლის გამოცემა, გვ. 105—106).

XXIII

წერილები ილია ოქრომჭედლიშვილისადმი

ი ლ ი ა ო ტ რ ო მ ჭ ე დ ლ ი შ ვ ი ლ ი (1838—1898). — მოსკოვის ლაზარაანთ ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის პროფესორი, ქველმოქმედი, მეცენატი.

მოღწეულა ოთხი წერილი ილიასი ილია ოქრომჭედლიშვილისადმი (80—83).

წერილი 80 (გვ. 93 — 96).

ტექსტი წერილისა დაიბეჭდა გაზეთ „თემში“ 1915 წელს № 127 (თვით ხელნაწერი დედანი წერილისა არ მოღწეულა, ყოველ შემთხვევაში მუზეუმებში დღემდე არ შემოსულა).

წერილს მოწერილი აქვს თვე და რიცხვი (20 ოქტომბერი), ხოლო წელი აღნიშნული არაა. შეფარდება ამ პირველი წერილისა მეორე წერილთან, რომელიც 1881 წლის 7 ნოემბრით თარიღდება, გვაძლევს საფუძველს პირველი წერილი დავათარიღოთ 1881 წლის 20 ოქტომბრით. (მეორე წერილი ქრონოლოგიურად უშუალოდ მოსდევს პირველ წერილს. პირველ წერილში — 20 ოქტომბერს — ილია აცნობებს ი. ოქრომჭედლიშვილს წერა-კითხვის საზოგადოების თხოვნას, — შეძლებს თუ არა ი. ოქრომჭედლიშვილი ნივთიერი დახმარება გაუწიოს საზოგადოებას ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა გამოცემის საქმეში; ი. ოქრომჭედლიშვილი დიდის ენთუზიაზმით შეგებებია საზოგადოების ამ წინადადებას და მაშინვე გაუცია პასუხი. ილია მეორე წერილში, 7 ნოემბერს, სწერს ი. ოქრომჭედლიშვილს — „ჩვენმა გამგეობამ დიდი მადლობით მიიღო შენი უხვი წინადადება“-ო. გამგეობას პირველ რიგში გამოსაცემად დაუნიშნავს „ვისრამიანი“; „დანარჩენი ძველი წიგნების სიას, შეადგენენ თუ არა, დაუყონებლივ მოგართმევ“-ო, სწერს ამ მეორე წერილში ილია ჭავჭავაძე).

წერილი 81 (გვ. 96 — 98).

წერილი დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (L-17570).

წერილს მოწერილი აქვს მხოლოდ თვე და რიცხვი (7 ნოემბერი), წელი აღნიშნული არაა. წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ წერილი 1881 წელს არის დაწერილი (ილიას ამ წერილში მოხსენებული აქვს, რომ ამ „მოკლე ხანში“ ქართულ სცენას შეეძინაო შესანიშნავი მსახიობი ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი; „პირველ დებიუტშივე ყველა აღტაცებაში მოიყვანაო“-ო სწერს ილია; ხოლო ვ. მესხიშვილი სცენაზე პირველად გამოვიდა 1881 წელს).

წერილი 82 (გვ. 98 — 100).

წერილი დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (L-17569).

წერილს მიწერილი აქვს თვე და რიცხვი (5 იანვარი), წელი აღნიშნული არაა. წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ იგი 1884 წელს არის დაწერილი. წერილში ილია სწერს:

„ვისრამიანს სამი კაცი ვასწორებთ... და ამ ორ კვირაზედ დაბეჭდვასაც შევუდგებით. “

„ვისრამიანი“ გამოვიდა 1884 წელს ილია ჭავჭავაძის, პეტრე უმიკაშვილის და ალექსანდრე სარაჯიშვილის რედაქტორობით.

წერილი 83 (გვ. 100 — 102).

გაზეთმა „თემმა“ 1915 წელს 217 და 218 ნომრებში გამოაქვეყნა ილია ჭავჭავაძის წერილები ილია ოქრომჭედლიშვილისადმი; აქედან ერთი წერილი დაბეჭდა სრულად (ეს არის ჩვენი გამოცემის წერილი 80-ე); რაც შეეხება მეორე და მესამე წერილებს, მეორე წერილის შესახებ გაზეთს მოკლე ცნობა მოჰყავს, ხოლო მესამე წერილიდან გაზეთმა დაბეჭდა ნაწილი.

აი რასა წერს ამ მეორე და მესამე წერილების შესახებ გაზეთი „თემი“:

„მეორე წერილი ილიასი, პროფესორ ოქრომჭედლიშვილთან მიწერილი, დაწერილია 9 სექტემბერს, ჩვენის აზრით, 1888 წელს, რადგანაც შინაარსით უახლოვდება მესამე წერილს, რომელზედაც დასმულია თარიღი 18 ნოემბერი 1888 წ.“ მეორე წერილი არ მოგვყავს აქ, რადგანაც კერძო ხასიათისაა. შეეხება თავ. ზაქ. ჭავჭავაძის „კასპის“ მამულს, რომელიც ძალიან აინტერესებდა ჩვენს მეცნიერს.

„მესამე წერილი შესდგება ფოსტის ქაღალდის ფურცლიდან. პირველი ფურცელი კერძო ხასიათისაა: უმეტესი წილი შეეხება ისევ „კასპის“ მა-

მულს, ფურცლის ბოლოში მხოლოდ ილია ჭავჭავაძე რჩევას აძლევს ერთი ქართველი ყმაწვილკაცის შესახებ, თუ როგორ სჯობია გაუწიოს პროფესორმა ნივთიერი დახმარება; მაგრამ ეს ნაწილიც კერძო ხასიათისაა და შეეხება ცოცხალ პირს, ამიტომ არ ვაქვეყნებთ. ვბეჭდავთ ამ მესამე წერილის მეორე ფურცლიდან მხოლოდ იმ ნაწილს, რომელსაც საზოგადო მნიშვნელობა აქვს".

ჩვენ აქ ვბეჭდავთ მესამე წერილის ნაწილს, რომელიც გაზეთ „თემმა" გამოაქვეყნა.

თვით ხელნაწერი დედნები გაზეთ „თემში" მოხსენებული წერილებისა არ მოღწეულა (ყოველ შემთხვევაში მუზეუმებში დღემდე არ შემოსულა).

XXIV

სამძიმრის დეპეშა ნესტორ მესხისადმი სერგეი მესხის გარდაცვალების გამო

84 (გვ. 103).

ნ ე ს ტ ო რ მ ე ს ხ ი, ძმა სერგეი მესხისა. სახალხო მასწავლებელი.

დეპეშა გაგზავნილია 26 ივნისს 1883 წლისა; დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (სერგეი მესხის ფონდი № 28).

XXV

ბარათი დიმიტრი ბაქრაძისადმი

85 (გვ. 103).

დ ი მ ი ტ რ ი ბ ა ქ რ ა ძ ე (1827—1890) — გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი.

ბარათი დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ილიას ფონდი, № 105). ავტოგრაფი.

XXVI

ბარათი ჭ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავის გამგისადმი

86 (გვ. 104).

ბარათი დაცულია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში (ფონდი 481, საქმე 526, ფ. 12). ავტოგრაფი.

XXVII

ბარათი გიორგი თუმანიშვილისადმი

87 (გვ. 104).

გ ი ო რ გ ი თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი (1854—1920)—ჟურნალისტი, ქართული თეატრის მოღვაწე.

წერილი ილიასი გიორგი თუმანიშვილისადმი დაწერილია სადარბაზო ბარათზე. დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (გ. თუმანიშვილის ფონდი, № 363). ავტოგრაფი.

ბარათი უთარიღოა; ეკუთვნის დროს არა უადრეს 1884 წლისა (შდრ. ბარათი რაფიელ ერისთავისადმი, გვ. 86, 500).

XXVIII

წერილი დიმიტრი ყიფიანისადმი

88 (გვ. 105 — 106).

წერილი ილიასი დიდი ქარველი მოღვაწის დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი ს ა დ მ ი დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემის ხელნაწერთა ინსტიტუტში (დ. ყიფიანის ფონდი, № 188). ავტოგრაფი.

დიმიტრი ყიფიანმა ილიას უპასუხა შემდეგი წერილით:

„უძვირფასესო თავადო ილია გრიგოლის ძევ!

ჩვენი საზოგადოების ყოველი წევრისათვის სასიქადულოა წიგნის მიღება თქვენებრი წევრისაგან, და რაც თქვენგან მე გუშინ წიგნი მივიღე, ამისთანა წერილისათვის მადლობა ხომ სწორედ გულის სიღრმიდგან არის ამოსაღები და შემოსაწირავი.

გამამხნევა, გამაცოცხლა ამ წერილმა და გულდამშვიდებული მოველი ხეობიდამ გამოხმაურებას.

მაშინ იმისი იმედიც მექნება, რომ საზოგადოებას საწუხრად მაინც არ დაურჩეს ჩემი წინ წამოყენება და არც თქვენ დაგანანებინოთ აგრეთი მხურვალე მოლოცვა“.

მოღწეულა დიმიტრი ყიფიანის ამ საპასუხო წერილის შავი. იგი მიწერილია დიმიტრი ყიფიანის ხელით ილიას წერილის თავისუფალ ადგილას. თავში მოწერილი აქვს (დიმიტრი ყიფიანის ხელიდვე): „პასუხი 1 სეკტ. 1885.“

XXIX

წერილი დავით მესხისადმი

89 (გვ. 107 — 108).

დ ა ვ ი თ მ ე ს ხ ი (1860—1942) — ჟურნალისტი. ძმა სერგეი მესხისა.

წერილი გამოაქვეყნა ვალერიან გუნიამ ჟურნალ „ნიშადურში“ 1908 წელს (№ 59). თვით დედანი წერილისა არ მოღწეულა, ყოველ შემთხვევაში მუზეუმებში არ შემოსულა.

წერილის ტექსტს, დაბეჭდილს „ნიშადურში“, წინ უძღვის რედაქციის წინასიტყვა:

„დროების დაკეტვის შემდეგ დავით მესხს დაავალეს, რომ ქუთაისში ინტელიგენციას მოლაპარაკებოდა, რათა ცოტათი მაინც მიშველებოდნენ ივ. მაჩაბელს, რომელსაც „დროების“ დაკეტვამ მთავარმართებლის დონდუკოვ-კორსაკოვის მიერ (1885 წ. 5 სექტემბერს) დიდძალი ვალი დაადვა; მაგრამ ქუთაისში უარი თქვეს მიშველებაზე, რაიც დ. მესხმა ილიას აუწყა. ამის გამო ილია სწერს ამ გულისწყრომის წერილს“.

XXX

წერილები იონა მეუნარგიასადმი

ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა (1850—1919) — ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

წერილები დაცულია ზუგდიდის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში.

წერილი 90 (გვ. 109—110).

1. „ა ხ ა ლ ი გ ა ზ ე თ ი“ — იგულისხმება გაზეთი „ივერია“.
2. ს ე რ ე ბ რ ი ა კ ო ვ ი — ილია ოქრომჭედლიშვილი.
3. მ უ ხ რ ან-ბ ა ტ ო ნ ი—ივანე კონსტანტინეს ძე (იხ. ზემოთ გვ. 47, 496).

წერილი 91 (გვ. 110—111).

პ რ ი ნ ც ე ს ა — სალომე მიურატი (1848—1913), მეუღლე აშილ მიურატისა; სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის ასული.

XXXI

წერილი გაზეთ „ივერიის“ მომავალ თანამშრომელთადმი

92 (გვ. 112 — 113).

წერილი (სტამბაში დაბეჭდილი ტექსტი) — ილია ჭავჭავაძის ხელმოწერით დაეგზავნა ქართველ ლიტერატორებსა და საზოგადო მოღვაწეებს, რომელთა თანამშრომლობა ილიას საჭიროდ დაუნახავს.

მოღწეულა ამ წერილის ტექსტი, ილიას ხელმოწერილი, გაგზავნილი ალექსანდრე ყაზბეგისათვის[1], ნიკო ლომოურისათვის[2], სოფრომ მგალობლიშვილისათვის[3], დავით კარიჭაშვილისათვის[4], მიხეილ მაჩაბლისათვის[5], ეგნატე იოსელიანისათვის[6].

XXXII

წერილები აკაკი წერეთლისადმი

წერილი 93 (გვ. 114 — 115).

ილიას წერილი აკაკისადმი, ილიას ავტოგრაფის მიხედვით, პირველად გამოაქვეყნა ტრიფონ ჯაფარიძემ გაზეთში „სიტყვა და საქმე“, 1934 წ. №9 (იქვე დართული ფოტო ავტოგრაფისა).

თუ სად არის ამჟამად დედანი წერილისა გამოურკვეველი რჩება.

ვბეჭდავთ წერილის ფოტოს, რომელიც აღმოჩნდა ქუთაისში (იხ. გვ.577—569).

წერილი 93-ა (გვ. 389).

წერილი უთარიღოა. დაწერილია სადარბაზო ბარათზე. წარმოადგენს ავტოგრაფს.

დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (აკაკის ფონდი № 453).

---

[1] დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ალ. ყაზბეგის ფონდი №. 183).

[2] დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (L-19735).

[3] დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (L-15746).

[4] დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (L-17622).

[5] დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (მიხ. მაჩაბლის ფონდი № 94).

[6] დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (L-3023).

XXXIII

წერილები გრიგოლ ყიფშიძისადმი

გ რ ი გ ო ლ ყ ი ფ შ ი ძ ე (1858—1921) — ჟურნალისტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე, გაზეთ „ივერიის“ ერთ-ერთი მთავარი თანამშრომელი.

ილიას ბარათები (11 ბარათი) დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (L-17572—17582).

ბარათი 94 (გვ. 116).

უთარიღოა. შინაარსის მიხედვით ეკუთვნის 1886 წელს ან 1887 წლის დასაწყისს (როდესაც ილია მუშაობდა ვრცელ გამოკვლევაზე — „ღვინის ქართულად დაყენება“; დაიბეჭდა „ივერიაში“ 1887 წელს, №№ 37—73).

ბარათი 95 (გვ. 116 — 117).

უთარიღოა. ბარათს გ. ყიფშიძის ხელით მიწერილი აქვს: „დაწერილი უნდა იყვეს 1889 ან 1890 წლის ზაფხულში. გ. ყ(იფშიძე)“.

ილია სერებრიაკოვი — ი. ოქრომჭედლიშვილი.

ბარათი 96 (გვ. 117).

ბარათი უთარიღოა.

ბარათი მიწერილი აქვს მეორე გვერდზე გ რ ი გ ო ლ გ ვ ე ლ ე ს ი ა ნ ი ს შემდეგი შინაარსის წერილს:

„ბ. რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ წერილს თქვენს გაზეთში.

გ რ ი გ ო ლ გ ვ ე ლ ე ს ი ა ნ ი

ქ. მოსკოვი. 1890 წ. 31 იანვარი“.

ილიას გრიგოლ გველესიანის გამოგზავნილი მასალა არ მოსწონებია, მაგრამ საბოლოო დასკვნისათვის გაუგზავნია გრიგოლ ყიფშიძისათვის ამ წერილთან ერთად.

ამის მიხედვით ირკვევა, რომ ილიას ეს ბარათი დაწერილია 1890 წლის 31 იანვრის შემდეგ, თებერვალში.

ბარათი 97 (გვ. 117).

ბარათი უთარიღოა.

ბარათის მეორე გვერდზე ლურჯი ფანქრით მიწერილია:

„88 [წელს] ალუდა, მონადირე; 89 კოპალა, გიგლია; 90 ეთერი; 92 ბახტრიონი. საღამოჟამი იყო, ესე 9 საათი, კოლა ერისთავთან იყო. 11 მარტი 1892 წ.“

ეს მინაწერი ცხადია ეკუთვნის რედაქციის უცნობს თანამშრომელს, რომლისთვისაც გრიგოლ ყიფშიძეს დაუვალებია ამორჩევა „ივერიის“ ნომრებისა, სადაც დაბეჭდილი იყო ვაჟა-ფშაველას პოემები, და მათი მიტანა ილიასთან. თანამშრომელი ამ მინაწერით ატყობინებს გრ. ყიფშიძეს, თუ რა პოემები ვაჟა ფშაველასი შეკრიბა მან (გარდა ილიას მიერ დასახელებული გოგოთურ-აფშინასი), სად ნახა ილია ჭავჭავაძე და გადასცა მას ვაჟას პოემები.

ამის მიხედვით ირკვევა ილიას ბარათის თარიღიც.

ბარათი 100 (გვ. 118).

მ ა ჩ ხ ა ნ ე ლ ი — დიმიტრი ნადირაძე (1861—1903), ლიტერატორი, საზოგადო მოღვაწე.

XXXIII-ა

დეპეშები ილია ჭავჭავაძისა

(წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობისა და გაზეთ „ივერიის“ რედაქციის სახელით)

მ. ემინისადმი

104-ა, 104-ბ (გვ. 390).

ე მ ი ნ ი მ ი კ ი რ ტ ი ჩ (ნიკიტა) ო ს ე უ ს ძ ე (1315—1890)—მეცნიერი-არმენოლოგი, სომეხთა საზოგადო მოღვაწე, პროფესორი მოსკოვის ლაზარანთ ინსტიტუტისა.

ორმოცდაათწლოვანი იუბილე ნ. ემინისა გადახდილ იქმნა მოსკოვში 1886 წელს, 17 აპრილს.

დეპეშები ილია ჭავჭავაძისა გამოქვეყნებულია წიგნში: „Празднование пятидесятилетнего юбилея учено-педагогической деятельности Н. О. Эмина, М., 1887.

XXXIII-ბ

მილოცვის წერილი ვასო აბაშიძისადმი

104-გ (გვ. 391).

ვ ა ს ო ა ბ ა შ ი ძ ე (1854—1926) — გამოჩენილი ქართველი მსახიობი.

მილოცვის წერილი მოყვანილია გაზეთ „ივერიაში“ (1887 წ. № 83) საღამოს ანგარიშში.

XXXIV

წერილი სოფრომ მგალობლიშვილისადმი

105 (გვ. 121 — 124).

სოფრომ მგალობლიშვილი (1851—1925) — ცნობილი მწერალი, ხალხოსანი.

წერილი ილიასი სოფრომ მგალობლიშვილისადმი დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ილიას ფონდი, № 110). ავტოგრაფი.

ილია ჭავჭავაძის წერილი წარმოადგენს პასუხს სოფრომ მგალობლიშვილის წერილზე 1887 წლის 4 ივლისის თარიღით (დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში, Q—104[1].

სოფრომ მგალობლიშვილი თავის მოგონებებში დაწვრილებით მოგვითხრობს ამ ამბებზე, რომელთაც ეხება ილიას წერილი (იხ. მოგონებანი, 1938 წლის გამოცემა, გვ 133—145).

XXXV

წერილი ლუკა ისარლიშვილისადმი

106 (გვ. 125).

ლუკა ისარლიშვილი (1814—1893) — ლიტერატორი; ცენზორი, საცენზურო კომიტეტის მდივანი 1881 წლიდან — 1888 წლამდე. (იხ. ზემოთ, გვ. 501).

ილიას ბარათი ეხება „ივერიის“ რომელიღაც სტატიას („საგრამატიკო საგნების პროგრამის გამო“), რომლის ბეჭდვა ლუკა ისარლიშვილს ჩანს შეუფერხებია.

ბარათი დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში. (ილიას ფონდი, № 113). ავტოგრაფი.

XXXVI

წერილი ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძისადმი

107 (გვ. 126).

ალექსანდრე ეპისკოპოსი ოქროპირიძე (1822—1907) მონაწილეობას იღებდა ქართულ საზოგადო საქმეებში. მისი საფასით გამოიცა ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, საისტორიო საბუთები.

---

[1] აქვეა დაცული ილიას წერილთან დაკავშირებული სხვა წერილები:

1. სოფრომ მგალობლიშვილის წერილი რედაქციის მიმართ (1887 წ. 4. VII).
2. სოფრომ მგალობლიშვილის წერილი გრიგოლ ყიფშიძისადმი (1887 4. VII).
4. ანტონ ფურცელაძის წერილი სოფრომ მგალობლიშვილისადმი.
5. მარიამ კერესელიძის წერილი.

წერილი დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ალექსანდრე ოჭიაურის ფონდი, უნომრო). ავტოგრაფი.

XXXVII

წერილი არტემ ფირალოვისადმი

108 (გვ. 127).

წერილის ადრესატია ა რ ტ ე მ ფ ი რ ა ლ ო ვ ი (1861—1926), ჟურნალისტი; თანამშრომლობდა გაზეთ „ივერიაში“ (ნიკ. კავკასიძის ფსევდონიმით) და ჟურნალ „მეურნე“-ში.

წერილი (შავი წერილისა) დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ილიას ფონდი № 119). ავტოგრაფი.

ილიას წერილი არის პასუხი არტემ ფირალოვის შემდეგ წერილზე (1888 წლის 27 თებერვლის თარიღით):

Глубокоуважаемый И л ь я Г р и г о р ь е в и ч! Небезызвестен, конечно, Вам престарелый русский писатель Н. В. Ш е л г у н о в, подвергающийся сильным притеснениям за свои убеждения 60-ых годов. Ему теперь под 70 лет, и все же он не имеет права проживать в Москве; только по временам на 1—2 дня приезжает сюда по своим делам с редакцией «Русской мысли». Его несчастье в настоящее время усугубляется несчастьем его сына Николая, разжалованного в солдаты на 6 лет по повелению императора за составление литературного кружка из офицеров. Вот уже три месяца молодой Шелгунов находится в Александрополе в качестве солдата 6 кавказского кадрового батальона, командиром которого состоит полковник Уланович. На днях профессор Иванюков прочитал мне письмо Николая Шелгунова, в котором последний жалуется на тяжелое свое положение: держат его хуже арестанта, не выпускают из казармы, заставляют спать и... (გაურკვეველია) с солдатами и т. д. Все это страшно трогает и расстраивает старика отца. Друзья Н. В., московские литераторы, сильно тронутые его положением, решили обратиться через проф. Гамбарова к Хатисову. Но это не помогло. Я предложил обратиться к Вам и вот передаю Вам просьбу старика отца принять участие в судьбе его сына, облегчить его участь, пользуясь связями с военным миром.

Безпредельная Ваша доброта и отзывчивость на все прекрасное сильно обнадеживает его, что Ваше заступничество принесет сыну его большую пользу. В ожидании ответа

Искренне уважающий Вас

А р. П и р а л о в

წერილი დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ილიას ფონდი № 186).*

შ ე ლ გ უ ნ ო ვ ი ნიკოლოზ ვასილის ძე (1824—1891) — რუსი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, სამოციანელი.

XXXVIII

წერილი ნინო ანდრონიკაშვილ — ჯორჯაძისადმი

109 (გვ. 129—134).

წერილი დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (L-17619). ავტოგრაფი.

1. ი ლ ი კ ო — ილია ჯორჯაძე, მეუღლე ადრესატისა.
2. ო ლ ი კ ო — ილიას მეუღლე ოლღა.

XXXIX

წერილი იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელ ქიქოძისადმი

110 (გვ. 132).

გ ა ბ რ ი ე ლ ქ ი ქ ო ძ ე, ი მ ე რ ე თ ი ს ე პ ი ს კ ო პ ო ს ი (1825—1896) — გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე.

ილიას წერილი გაბრიელ ეპისკოპოსისადმი (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით) დაცულია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში (ფონდი 481, საქმე 317, ფ. 1). იგი ილიასეული ავტოგრაფია, წერილის შავი (შავს მიწერილი აქვს წერილის გაგზავნის თარიღი და ნომერი: № 20, 8. II. 1891 წ.)

გაბრიელ ეპისკოპოსმა ილიას უპასუხა შემდეგი წერილით:

„15 თებერვალი 1891 წ.
ქ. ქუთაისი.

თქვენო ბრწყინვალებავ, მოწყალეო ხელმწიფევ
თ. ილია გრიგოლის ძევ!

უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ ჩემგნით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კრებას, რომ დიდ

* არტ. ფირალოვის წერილი ილიასადმი (ქართული თარგმანი) და ილიას პასუხი დაბეჭდილი აქვს შ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ს წერილში „ილია ჭავჭავაძე და რუსი პუბლიცისტი ნ. ვ. შელგუნოვი“ (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1957 წ., № 114).

პატივად და ჯილდოდ ვრაცხ ჩემს მათგან საპატიო წევრად აღრჩევასა; ამისთვის მზადა ვარ მივიღო ჯეროვანი მონაწილეობა მაგა საზოგადოებაში, რომელსაც ამისთანა მოწოდებისათვის შევწირავ უგულითადეს მადლობას. ხოლო თქვენს ბრწყინვალებას ვთხოვ მიიღოთ ჩემგან უღრმესი და უწრფელესი მადლობა თქვენ წერილში გამოთქმული პატივისცემისათვის. მე არ ვრაცხ ჩემ თავს ღირსად იმ ქებათა, რომელიც ამოვიკითხე თქვენს წერილში და ვგრნებ, რომ მხოლოდ თქვენმა მეგობრულმა ჩემდამი განწყობილებამ შეგაგონათ თქვენ ამოდენი ჩემი ქება.

თქვენი ერთგული და გულწრფელი პატივსმცემელი
მდაბალი გ ა ბ რ ი ე ლ, ეპისკოპოსი იმერეთისა".

ხელმოწერა („მდაბალი გაბრიელ, ეპისკოპოსი იმერეთისა") ავტოგრაფია (თვით წერილი გადაწერილია გადამწერელის მიერ).

გაბრიელ ეპისკოპოსის წერილი დაცულია ილიას წერილთან ერთად საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში (ფონდი 481, საქმე 317, ფ. 5).

XL

წერილი გიორგი თარხნიშვილისადმი

111 (გვ. 133—134).

წერილი დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (L-17564).

წერილს მიწერილი აქვს მხოლოდ თვე და რიცხვი. დაწერის წელი (1891) ირკვევა სხვა წერილებთან შეფარდებიდან.

XLI

ა

სამძიმრის დეპეშა დავით ჩუბინაშვილის გარდაცვალების გამო

112 (გვ. 135).

სამძიმრის დეპეშა დავით ჩუბინაშვილის გარდაცვალების გამო გაგზავნილია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით; ხელს აწერს თავმჯდომარე საზოგადოებისა ილია ჭავჭავაძე.

წერილის ადრესატია დავით ჩუბინაშვილის მეუღლე ე კ ა ტ ე რ ი ნ ე პ ე ტ რ ე ს ა ს უ ლ ი ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს ა.

დეპეშის ტექსტი დაცულია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში (ფონდი 481, საქმეში 317, ფ. 30; შავი, გადაწერილი წ-კ. საზოგადოების მდივნის დ. კარიჭაშვილის ხელით).

ბ

დეპეშა „ივერიის“ რედაქციისადმი დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის გამო

113 (გვ. 136).

დაცულია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში (ფონდი 481, № საქმე 302, ფურც. 16).

ალ. ცაგარელს, რომელსაც ილიამ 1891 წლის თებერვალში დაავალა დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის (წიგნებისა და ხელნაწერების) კატალოგების შედგენის საქმე, როგორც ირკვევა ვერ შეუსრულებია დავალება დათქმულ ვადებში და ილიას 1891 წლის ოქტომბერში ეს საქმე დაუვალებია ალ. ხახანაშვილისათვის. 1891 წლის 31 ოქტომბრის წერილში ალ. ხახანაშვილი თანხმობას უცხადებს ილიას ამ საქმის გამო (იხ. წერილი ალ. ხახანაშვილისა საქ. ცენტრ. საისტ. არქივში, იგივე ფონდი და საქმე, ფურც. 19). 1891 წლის ნოემბერში წერა-კითხვის საზოგადოებას, წერილთან ერთად, გაუგზავნია ალ. ხახანაშვილისათვის რწმუნების ქაღალდი დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის მისაღებად, ინსტრუქცია ბიბლიოთეკის კატალოგის შესადგენად და საჭირო თანხა ხარჯებისათვის. ამასთან ერთად გაუგზავნიათ დეპეშაც შემდეგი შინაარსისა, რომელსაც ხელს აწერს ილია, როგორც თავმჯდომარე წ.-კ. საზოგადოებისა:

„Деньги и инструкция высланы сегодня“

(იხ. საქ. ცენტრ. საისტ. არქ., იგივე ფონდი და საქმე, ფურც. 23 და 24).

ალ. ხახანაშვილმა შეასრულა დავალება და დ. ჩუბინაშვილის მდიდარი ბიბლიოთეკა (წიგნები და ხელნაწერები) მიღებულ იქმნა თბილისში 1892 წელს.

XLII

დეპეშა თ — დ ერისთავისადმი

114 (გვ. 137).

დეპეშა კავკავის ქართული სკოლის კურთხევის გამო დაცულია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში (ფონდი 481, საქმე 384, ფურც. 5). ილიას ავტოგრაფი.

დეპეშის ადრესატია ეროთეოზ გიორგის-ძე სიდამონ-ერისთავი, თერგის ოლქის სამოჯნო ნაწილის უფროსი.

XLIII

წერილი მარჯორი უორდროპისადმი

115 (გვ. 138—139).

მ ა რ ჯ ო რ ი უ ო რ დ რ ო პ ი (1869—1909) — ინგლისელი მწერალი ქალი, მთარგმნელი ინგლისურად შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსნისა", ილიას „განდეგილისა" და სხვ. ქართველი ხალხის დიდი მეგობარი.

ილიას წერილი მარჯორი უორდროპისადმი (წერილის შავი) დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (L-17583). ავტოგრაფი.

XLIV

წერილი გაგალე ნაკაშიძისადმი

116 (გვ. 140).

გ ა გ ა ლ ე ნ ა კ ა შ ი ძ ე — სოლომონ ონიკაშვილის ასული, მეუღლე ილიას მეგობრის პეტრე ნაკაშიძისა (იხ. ზემოთ გვ. 481), პედაგოგი.

წერილი დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (L-17615). ავტოგრაფი.

XLV

წერილი პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისადმი

117 (გვ. 141 — 144).

1897 წელს გაზეთი „ი ვ ე რ ი ა", ორგანო ილია ჭავჭავაძისა, ფართოდ გამოეხმაურა ბერძნების აჯანყებას კუნძულ კრიტოსზე ოსმალეთის მფლობელობის წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავდა საბერძნეთის ძველი განუყოფელი ნაწილის კუნძულ კრიტოსის დედა-საბერძნეთთან შეერთებას. ილიამ 1897 წლის დასაწყისში ბერძნების ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას უძღვნა ორი წერილი, რომლებიც დაიბეჭდა „ივერიაში": პირველი წერილი დაიბეჭდა 10 თებერვალს 1897 წლისა (№ 22), მეორე წერილი — 14 მარტს (№ 48)[1].

[1] იხ. ტ. IX გვ. 146—150.

ბერძნების აჯანყებას კუნძულ კრიტოსზე დიდი გამომახილი ჰქონდა ქართველ სტუდენტობაში.

1897 წლის 27 მარტს პეტერბურგის ქართველმა სტუდენტობამ გამოუგზავნა ილია ჭავჭავაძეს წერილი, რომლითაც ატყობინებდნენ ილიას, თუ რა სახით აპირებს პეტერბურგის ქართველი სტუდენტობა გამოეხმაუროს ბერძნების ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას, და სთხოვდნენ ამის გამო რჩევას.

პეტერბურგის ქართველ სტუდენტების ამ წერილს თავში, მისამართის სახით, აწერია ზოგადად — „ივერიის რედაქციას“, თუმცა წერილი პირადად ილია ჭავჭავაძესთან იყო გამოგზავნილი. წერილის ტექსტშიაც ილია სახელდებით არსად არ არის მოხსენებული, ცხადია იმის გამო, რათა ილიას მონაწილეობა ზედმეტად და ნიშანდობლივად ხაზგასმული არ ყოფილიყო. (თვით წერილიც, საფიქრებელია, არ იყო ფოსტით გამოგზავნილი, არამედ ჩამოტანილი საგანგებოდ ჩამოსული პირის მიერ)[1]. რომ წერილი პირადად ილიასთან იყო გამოგზავნილი, ეს ირკვევა ილიას საპასუხო წერილიდან.

მოგვყავს აქ სრული ტექსტი ქართველი სტუდენტების ამ წერილისა[2]:

*

22 მარტი 1897 წ.
პეტერბურღი.

„ივერიის“ რედაქციას.

„კრიტოსი და საბერძნეთი!“ გაისმის ერთგან, — „კრიტოსი“ და ოსმალეთიო!“—გაისმის სხვაგან და ბოლო დროს მთლად დედამიწის ზურგი, განათლებულ ევროპიდამ მოკიდებული, მხოლოდ იმის გონებაშია, თუ ერთის მხრით შევიწროვებულ, მაგრამ სულით ძლიერთა კრიტოსელთა, მასთან ბერძენთა, და მეორის მხრივ თავხედ და შეუგნებელ ოსმალთა საქმე რით დაბოლოვდება. კრიტოსელნი და ბერძენნი — ეს განუყრელნი ძმანი, რომელთაც ესდენ დიდი ძალა შესწევთ, რასაკვირველია სულიერი და არა სხვა (თორემ ევროპის ძლიერ სახელმწიფოთა ჯარებს რა გაუმაგრდებოდა?), საგმირო მოედანზედ გამოსულან, ევროპის წინაშე ეროვნული თავისუფლების დროშა აუმართნიათ და საყოველთაოდ აღიარებენ: „ერის თავისუფლებას პატივი ეცით“-ო! ამათ თანაუგრძნობს ევროპის საზოგადო აზრი,

---

1 პეტერბურგის სტუდენტობას, როგორც ირკვევა წერილიდან, ამავე საკითხის გამო კავშირი გაუბამს აგრეთვე რუსეთის სხვა ქალაქების სტუდენტებთან.

2 წერილი დაცულია ილიასადმი მიმართული წერილების კოლექციაში, რომელიც ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ილიას ფონდი, № 225).

ძმურად ხელს უწვდის და გამარჯვებას უნატრის; ამხნევებს და აათკეცებს გმირთა სიყვარულს თავისუფლების მიმართ, რომლის პატივიც შეუგნებელმა და ბარბაროსმა ოსმალომ ჯერ არ იცის. მაგრამ საზოგადოების აზრს პოლიტიკის ბორკილი ადევს და ხელ-ფეხი შეკრული აქვს. უკეთეს მდგომარეობაში არც ევროპის სახელმწიფოთა მმართველნი არიან, გარდა ერთისა!... და ვგონებთ სწორედ ის ერთია მხოლოდ მიზეზი, რომ დღეს დიდი სახელმწიფონი სასაცილო თვალხუჭიანობას თამაშობენ. იმავე დროს-კი საზოგადოების აზრი, სინიდისი და სამართლიანობა მოსვენებას არ აძლევენ! ერთი სიტყვით, დღეს მთელი ევროპის თანაგრძნობა მიმართულია საბერძნეთისაკენ, რომელიც ეროვნულს პრინციპს, შევიწროებულ ერთა თავისუფლებას, საქვეყნოდ აღიარებს და მაგალითს გვიჩვენებს, თუ თავგანწირვა და სიკვდილი როგორ უნდა ამ საქვეყნო მადლის სადიდებლად.

დიდს სახელმწიფოებს, რომელთაც ერთის დამთქნარებით შეუძლიათ საბერძნეთის მიწასთან გასწორება, ამ საზარელს ვეშაპთ ბრძოლის საქმეებში, არ უშინდებიან ბერძნები და წარბ-შეუხრელად იმეორებენ: „ერი ერს ან არა და სიკვდილი“-ო! შემკრთალნი მთავრობანი ამ სამართლიანის მცნების წინაშე მორცხვენით ღუნავენ თავს და ჯერჯერობით მხოლოდ უაზროდ აფათურებენ ხელებს; კრთიან, მაგრამ სულ სხვა მიზეზით... აზრი საზოგადოებისა უკვე ცნობილია და ამ აზრს უერთდება ყველა, ვის ყურამდის კი კრიტოსის შვილების ამბავს მოუხწევნია. ამ დიდებულს ხმას ერთა თავისუფლებისას ბანს აძლევენ ყველა ისინი, ვინც კრიტოსელთაებრ სხვის უღლისა ქვეშ ქედს იხრიან. მაგრამ მოვა დრო და ევროპა სულ სხვა სამართლის გზას დაადგება და აღიარებს ერთა თავისუფლებას.

ამის [გამო] პეტერბურგის ქართველმა სტუდენტებმა გარდავწყვიტეთ: გაუგზავნოთ ბერძნებს (ათინელს სტუდენტობას) თანაგრძნობის წერილი ან დეპეშა და ამით ნათელ ვჰყოთ, რომ ჩვენთვისაც ისე ძვირფასია თავისუფლება, როგორც კრიტოსელებისათვის. მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გაგვიგზავნია, რადგან გვსურდა დაგკითხებოდით, თუ თქვენ რა აზრის ბრძანებით ამ საგნის შესახებ, და მეორეც უკეთესი იქნებოდა მთლად ყველა ქართველი სტუდენტებისაგან გაგზავნილიყო ასეთი თანაგრძნობის წერილი. ჩვენ სტუდენტებისაგან პასუხს მალე შევიტყობთ; გთხოვთ თქვენც ნუ დაგვიგვიანებთ პასუხს. ამასთანავე გვაცნობეთ, რა მოსაზრებით იხელმძღვანელებთ საგნის გადაწყვეტის დროს. ეს ჩვენთვის აუცილებელი საჭიროა.

ამასთან გიგზავნით პირს იმ წერილისას თუ დეპეშისას, რომელიც განზრახულია გაიგზავნოს.

თქვენი ღრმად პატივისმცემელი პ[ეტერბურ]გის ქართველი სტუდენტობა.

პასუხი ამ ადრესით: СПБ, Екатерингофский пер. 15, кв. 6. ვიქტორ კანდელაკს.“

სამწუხაროდ ჩვენ დრომდე არ მოღწეულა პირი თვით იმ წერილისა, რომელიც განზრახული იყო გაეგზავნათ ათინელი სტუდენტობისათვის.

*

ზემოთ მოყვანილი წერილი ილია ჭავჭავაძისადმი, და ათინელ სტუდენტთათვის გასაგზავნი წერილის ტექსტი, მიღებული ყოფილა პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს სხომაზე.

1897 წელს პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს თავმჯდომარე იყო სამსონ ფირცხალავა, შემდეგ ცნობილი პუბლიცისტი (წერდა ფსევდონიმით „ს ი ტ ყ ვ ა“). გამგეობის მდივანი იყო ალექსანდრე კალანდაძე (წერილს ბოლოს ამ უკანასკნელის მისამართი არის ნაჩვენები პასუხისათვის).

ს. ფირცხალავას არქივში მოიპოვება ჩანაწერი განსვენებული მწერლისა ზემოთ-მოყვანილი წერილის გამო:

„ეს წერილი ჩემი დაწერილია და ჩემის ინიციატივით გაიგზავნა. მე მაშინ ჩვენი სათვისტომოს გამგეობის თავმჯდომარე ვიყავი. ს. ფირ[ცხალავა]“.

(ს. ფირცხალავს იმავე ჩანაწერში აღნიშნულია, რომ „კალანდაძე გამგეობის მდივანი იყო“).

იძკვევა ამასთან, რომ ქართველ სტუდენტობას ზემოთმოყვანილი წერილი გამოუგზავნია როგორც ილია ჭავჭავაძისათვის, ისე მეორე ქართული პოლიტიკური ორგანოს „კვალის“ ხელმძღვანელის გიორგი წერეთლისათვის.

პეტერბურგის ქართველი სტუდენტობის ამ წერილზე პასუხი გაუცია თ როგორც ილია ჭავჭავაძეს, ისე გიორგი წერეთელსაც.

ს. ფირცხალავას არქივში მოიპოვება შემდეგი ჩანაწერი ილია ჭავჭავაძის და გიორგი წერეთლის საპასუხო წერილების გამო:

„ეს წერილი [პასუხი ილია ჭავჭავაძისა] და გ. წერეთლის პასუხიც მე მქონდა და მერე წ-კ. საზოგადოებას გადავეცი.— ილია რომ გარდაიცვალა, მის ქაღალდებში აღმოჩნდა წერილის შავი. ს. ფ[ირცხალავა]“.

ს. ფირცხალავა თავის მოგონებებში, რომელიც მწერალს თავის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაუწერია (მოგონებების ხელნაწერი ტექსტი დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში L—10735), გადმოგვცემს უფრო დაწვრილებითს ცნობებს ამ ამბების გამო. ს. ფირცხალავა მოგონებებში წერს:

„1897 წელს საბერძნეთის და ოსმალეთის ომი ატყდა, რამაც ჩვენში ერთნაირი იმედები გამოიწვია — საერთაშორისო გართულების, რუსეთის ომში ჩარევის, მისი პოლიტიკური წყობილების დანგრევის, ცვლილებების.

გავაკეთეთ საბერძნეთის დროშა, მოვიწვიეთ სათვისტომოს კრება (მე გამგეობის თავმჯდომარე ვიყავი მაშინ) თანაგრძნობის გამოსაცხადებლად საბერძნეთისათვის. მივედით დელეგაცია საბერძნეთის ელჩთან, — იმან გვირჩია, თანაგრძნობის დეპეშას თქვენ თვითონ ნუ გაგზავნით, ეს სახიფათოა თქვენთვის, მე გადავცემ პირადად ჩემს მთავრობას თქვენს თანაგრძნობასო. ამ ჩვენი განზრახვის გამო წერილებით შეეკითხეთ ი. ჭავჭავაძეს („ივერია“) და გ. წერეთელს (წერილი ჩემი დაწერილი იყო). პუსუხი მივიღეთ. გ. წერეთელი მოკლედ გვწერდა: თქვენი — ახალგაზრდების — გული მუდამ იქ უნდა იყოს, სადაც ბრძოლაა თავისუფლებისათვისო. ილიამ კი ვრცელი ბარათი გამოგვიგზავნა: გვიწონებდა განზრახვას, მაგრამ გვაფრთხილებდა, ჭართველებს საკუთარი საქმე გვაქვს, ამისთვის უნდა შევინახოთ თავი, მოვემზადოთო. ეს წერილები მე წ. კ. საზოგადოებას გადავეცი, როცა მის მდივნად ვიყავი. ი. ჭავჭავაძე რომ გარდაიცვალა და მე წ. კ. საზოგადოების გამგეობის დავალებით ჩავიბარე მისი თბილისის ბინის ნივთები, აღმოჩნდა შავი ილიას გამოგზავნილი წერილისა. შავი და თეთრიც ახლა საქართველოს მუზეუმში უნდა ინახებოდეს“.

ამრიგად წერილის ის დედანი, რომელიც ილიას ქართველი სტუდენტებისათვის გაუგზავნია, და აგრეთვე გიორგი წერეთლის წერილის დედანი, სამსონ ფირცხალავს გადაუცია წერა-კითხვის საზოგადოებისათვის.

წერა-კითხვის საზოგადოების ხელნაწერთა კოლექციაში (რომელიც ამჟამად დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში) არ მოიპოვება ილიას წერილის ის დედანი, რომელიც გაეგზავნა პეტერბურგის ქართველ სტუდენტობას (შენახულა მხოლოდ შავი წერილისა, რომელიც აღმოჩნდა ილიას ხელნაწერებში); ამ კოლექციაში არ მოიპოვება აგრეთვე არც გიორგი წერეთლის წერილის დედანი.

რა ბედი ეწია მათ?

ილიას ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ ვალერიან გუნია თავის ჟურნალ „ნიშადურ“-ში, როგორც ცნობილია, აქვეყნებდა მასალებს ილია ჭავჭავაძის შესახებ და კერძოდ ილიას წერილებსაც. წერა-კითხვის საზოგადოებიდან ვალერიან გუნიასათვის გადაუციათ გამოსაქვეყნებლად ილიას წერილი ქართველი სტუდენტებისადმი, როგორც ჩანს თვით დედანი ამ წერილისა (და მასთან ერთად ჩანს გადაუციათ აგრეთვე გიორგი წერეთლის წერილიც). ვალერიან გუნიამ ილიას წერილი დაბეჭდა თავის ჟურნალში 1908 წელს № 59 (გიორგი წერეთლის ტექსტი ვალერიან გუნიას არ გამოუქვეყნებია).

ამის შემდეგ ხელნაწერი დედანი ილიას წერილისა (და აგრეთვე, როგორც ჩანს, გიორგი წერეთლის წერილის დედანიც) რედაქციაში დარჩა.

შემდეგი ბედი ილიას წერილის ხელნაწერ დედნისა უცნობია.

რაც შეეხება გიორგი წერეთლის ხელნაწერ დედანს, იგი შემდეგ მოხვედრილა ქუთაისში და დაცულია ქუთაისის საისტორიო არქივში.

საჭიროდ ვთვლით მოვიყვანოთ აქ ტექსტი გიორგი წერეთლის წერილისა, რომელიც მეტად საყურადღებო დოკუმენტს წარმოადგენს[1]:

•

წერილი გიორგი წერეთლისა პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისადმი

1897 წ. 3 აპრილს, ტფილისი.
პეტერბურგში მცხოვრებ ქართველ სტუდენტებს.

ძვირფასო მეგობარნო!

ჩემი სრული თანაგრძნობა მიჰყვება თქვენ კეთილშობილურ თანაგრძნობას გმირი ხალხისადმი.

ვაი საქართველოს დამცირებას და დამდაბლებას, რომ ამ დროში მას არ შეუძლია უფრო ნამდვილი საქმით მიეშველოს დაჩაგრულ ხალხს, გაგზავნოს საბერძნეთს თავისუფალი რაზმი ქართველთა მებრძოლთა. თქვენი თანაგრძნობის წერილი ჩინებულია და დიაღაც უნდა გაგზავნოთ. მხოლოთ ვშიშობ, ვაი თუ ამ ჰაბუკურმა აღტაცებამ თქვენ უფრო დიდი ვნება შეგამთხვიოსთ, ვიდრე ის სარგებლობა, რაც ასეთ თანაგრძნობას შეუძლია მოუტანოს ჩვენს და საბერძნეთის საქმეს ერთად. მაგრამ დადგება ისეთი წამი ერთა ცხოვრებაში, რომ კეთილშობილური გული ზარბაზნის ყუმბარასაც წინ უნდა დაუდგეს. ჩემის აზრით, რაც წაშლილია ჩემს მიერ თქვენ წერილში, ის უნდა ამოიშალოს, რომ მეტი სიფიცხე არ მოგადგესთ, რადგან მთავრობა თავის საკუთარ შეურაცხყოფად მიიღებს იმ ადგილს თქვენი წერილისას, საცა ევროპის სახელმწიფოების ანგარებაა გაკიცხული. რაკი ასეთი თანაგრძნობის წერილის მიწერა გაგიზრახავთ, ბარემც ყველა ქართველი სტუდენტების თანაგრძნობით რომ იქმნეს, ისა სჯობია.

გულით მსურს ეს თქვენი აღტაცებული გრძნობა თავისუფლებისადმი სიკვდილამდე შეგრჩენოდეთ სამშობლოს საკეთილდღეოდ და მტლად დადებოდეთ მომავალში თქვენ გაჭირვებულ ქვეყანას.

თქვენი მოიმედე გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ ი.

---

[1] გიორგი წერეთლის წერილის ტექსტი, ქუთაისის არქივში დაცული დედნის მიხედვით, პირველად გამოაქვეყნა კ. მეძველიამ 1934 წელს გაზეთში „სიტყვა და საქმე“ (№ 6).

•

დავუბრუნდეთ ამის შემდეგ ილიას წერილს.

ამრიგად ჩვენ დრომდე მოღწეულა ილიას წერილი ორი ვარიანტით:

1) წერილის შავი, რომელიც ს. ფირცხალავამ იპოვა ილიას ხელნაწერებში (ამჟამად დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში, L-17571);

2) წერილის საბოლოო ტექსტი, რომელიც გაეგზავნა პეტერბურგის ქართველ სტუდენტობას და რომელიც სრულად არის დაბეჭდილი ვალერიან გუნიას ჟურნალში (1908 წ. № 59).

წერილის ეს ორი ვარიანტი, — პირველი შავი წერილისა და წერილის საბოლოო ტექსტი, განსხვავდება ერთმანეთისაგან. ილიას წერილზე ბევრი უფიქრია და გადაწერის დროს წერილის ტექსტი გადაუმუშავებია და შეუვსია. წერილის საბოლოო ტექსტში ილიას ჩაუწერია შემდეგი ანდერძი ქართველი სტუდენტებისადმი:

„გ ი ყ ვ ა რ დ ე თ თ ქ ვ ე ნ ი ქ ვ ე ყ ა ნ ა დ ა ა მ ს ი ყ ვ ა რ უ ლ ს ა ნ ა ც ვ ა ლ ე თ ყ ო ვ ე ლ ი ს ფ ე რ ი!“

•

ილიას წერილების წინამდებარე გამოცემაში ჩვენ დავბეჭდეთ ეს წერილი მისი საბოლოო ვარიანტის თანახმად, რა სახითაც იგი გაეგზავნა ქართველ სტუდენტებს.

რადგან ეს წერილი დიდად მნიშვნელოვანი დოკუმენტია, საჭიროდ ვთვლით მოვიყვანოთ აქ აგრეთვე ფოტო ილიას წერილის პირველი შავისა, რომელიც აღმოჩნდა ილიას ხელნაწერებში (იხ. გვ. 522—526)

•

დასასრულ დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ პეტერბურგის ქართველ სტუდენტობას გაუზიარებია ილიას რჩევა.

არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ საბერძნეთის მხარეზე მებრძოლთა შორის ქართველი მოხალისენიც ყოფილან. გაზეთ „ივერიაში“, 1897 წლის 30 ივნისის ნომერში (№121), დასახელებულია ორი ქართველი მოხალისე, რომელთა სახელი მოხვედრილა ევროპულ პრესაში. გაზეთ „ივერიის“ დასახელებულ ნომერში ვკითხულობთ:

„გაზეთების სიტყვით, საბერძნეთში თავისუფალ მეომართა შორის 2 ქართველიც ყოფილა: ე. შევარ[დ]ნაძე და ციკლიძე“.

აქ მოხსენებულია, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ ის პირნი, რომელთა სახელები მოხვედრილა ევროპულ პრესაში.

ვინ იყვნენ ეს კეთილშობილი ახალგაზრდები, ერთა თავისუფლებისათვის მებრძოლნი, ე. შევარდნაძე და ციკლიძე, ამის შესახებ ცნობები ვერ მოვიძიეთ.

წერილი პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისადმი

(შავი)

ძმანო და დები ჩემნო! ამ ორ დღეში ორჯერ მომივიდა თქვენგან წერილი: ერთი ნოემბრის 15-ისა და მეორე 17-ისა. ორივეში ერთნაირად ბრალს მდებთ, რომ ცოტა ვწერ და ნაკლებ ვიზრუნებ თქვენზე. ეს ბრალდება ისეთი მძიმეა, რომ ამ ორ დღეში ორჯერ ვიმეორებ ჩემს მართლებას. ამ ბრალდებამ ძალიან გამაოცა, ვინაიდან ვფიქრობდი, რომ ამ ბრალდებას ვერ მომიტანდით, რადგან ვერ ნახავდით ჩემში ისეთ ნიშნებს, რომლებიც ამ ბრალდებას გაამართლებდნენ. ამიტომ ვფიქრობდი, რომ ეს ბრალდება ან ტყუილი იყო, ან ვინმეს ცილისწამება. ამ მიზეზით ვერ მოვისვენებდი, სანამ ამ ბრალდების ნამდვილ მიზეზს არ გამოვიძიებდი. ამ ბრალდების მიზეზი ის აღმოჩნდა, რომ ჩემი ბარათები, რომლებიც თქვენ მოგწერეთ, ან ვერ მიგიღიათ, ან ვერ წაგიკითხავთ. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს ბრალდება ჩემზე ტყუილად არ მოგიტანიათ. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს ბრალდება ჩემზე ტყუილად არ მოგიტანიათ. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს ბრალდება ჩემზე ტყუილად არ მოგიტანიათ.

(გვერდი 3)

XLVI

წერილები დავით კარიჭაშვილისადმი

118 — 119 (გვ. 145 — 146).

დ ა ვ ი თ კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი (1862—1927) — ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე. იმ პერიოდში, როდესაც ილია ჭავჭავაძე იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარედ, დავით კარიჭაშვილი საზოგადოების მდივანი იყო (1892—1899 წლებში).

წერილები დაცულია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში 118—ფონდი 481, საქმე 655, ფ. 1; 119—ფონდი 481, საქმე 671, ფ. 150—152). ავტოგრაფები.

წერილი 118 (გვ. 145).

დაწერილია სადარბაზო ბარათზე.

ამავე სადარბაზო ბარათზე დაკრულია დ. კარიჭაშვილის ხელით დაწერილი პასუხი ნოე ჟორდანიასადმი (შავი), რომლის ტექსტი შემდეგია:

„№ 61, 1 მარტს 1898 წ.

მოწყალეო ხელმწიფევე ბატონო ნოე! თქვენის თხოვნისა გამო პროტოკოლების გასინჯვის შესახებ, გამგეობამ თავის სხდომაზე 17 ამ თვისას დაადგინა: მიენდოს ბ-ნს მდივანს წააკითხოს ბ-ნს ჟორდანიას ის პროტოკოლები გამგეობის მოქმედებისა, რომლის წაკითხვას დაინახავს იგი საჭიროდ.

მდივანი დ. კარიჭაშვილი“.

XLVII

წერილი ექვთიმე თაყაიშვილისადმი

120 (გვ. 147).

ექვთიმე თაყაიშვილი (1863—1953) — ცნობილი ქართველი მეცნიერი. ისტორიკოსი.

წერილი დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ე. თაყაიშვილის ფონდი № 2114).

ილია ამ პერიოდში აგროვებდა მასალებს ცნობილი ისტორიულ-პუბლიცისტური შრომისათვის „ქ ვ ა თ ა ღ ა ღ ა დ ი“.

XLVIII

წერილი ლუარსაბ ბოცვაძისადმი

121 (გვ. 148).

ლ უ ა რ ს ა ბ ბ ო ც ვ ა ძ ე (1867—1919) — პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. რედაქტორი სამეცნიერო, პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალისა „განათლება“.

წერილი უთარიღოა. ილიას წერილში მოხსენებული სტატია ლუარსაბ ბოცვაძისა (რეცენზია საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილზე“, პირველი სტატია) დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1898 წელს (№ 54). ამის მიხედვით ირკვევა ილიას წერილის თარიღი.

წერილი დაცულია ლუარსაბ ბოცვაძის ოჯახში.

XLIX

წერილი ანთიმოზ ჯუღელისადმი

122 (გვ. 149).

1899 წელს ილიამ მიიღო წერილი ქალაქ სოხუმის ქართველი მოღვაწის ა ნ თ ი მ ო ზ ჯ უ ღ ე ლ ი ს ა (1846—1925),* რომელშიაც, სოხუმის ქართველობის სახელით, სთხოვდა ილიას რჩევას სოხუმის ქალაქის თავის ანამდებობაზე შესაფერისი კანდიდატის შერჩევისათვის.

მოგვყავს ანთიმოზ ჯუღელის ეს წერილი: (დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ილიას ფონდი № 228):

„1899 წ. აპრილის 22 დღეს.

თქვენო ბრწყინვალებავ,

დიდად პატივცემულო, ბატონო ილია გრიგოლის ძევ!

ქრისტე აღსდგა! გისურვებ მრავალ ბრწყინვალე ქრისტეს აღდგომას დასწრებოდეთ... ამასთანავე ბოდიშს ვიხდი, რომ უამისოდაც მრავალ საქმით დატვირთულ კაცს, როგორც თქვენ ბრძანდებით, ამ წერილით მოგმართეთ და გეხვეწებით ქვემორე აღნიშნულ საკითხის პასუხს.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, თუ რა ცუდ პირობებშია ჩაყენებული ქ. სოხუმი და აქ მცხოვრები ქართველნი. დღეს ღმერთმა

* იგი პედაგოგი იყო; მონაწილეობას ღებულობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

ინება და როგორც იყო თვით-მმართველობის შემოღების ღირსი გავხდით. ხმოსნებათ უმეტეობა ჩვენები არიან, მაგრამ ესენი რის მაქნისი იქნებიან, თუ ქალაქის თავი ჩვენებური რიგიანი კაცი არ იქნა. ამის გულისათვის ჩვენ გვსურს თავად გვყავდეს კარგი, როგორც ჭკუა-გონებით, ისე მოქმედებით, მხნე და გამოცდილი კაცი. ამას აქ ბევრი საქმეც ექნება. ბევრის თათბირის შემდეგ ჩვენ, აქაური ქართველობა, შევჩერდით ალექსანდრე სარაჯიშვილზე, რომელიც ამჟამად განჯის საგუბერნიო სამმართველოში მსახურობს და გადავწყვიტეთ დაგეკითხოთ თქვენც ამ კაცის შესახებ, რამდენად სასარგებლო იქნება იგი ჩვენთვის აქ. უკეთუ მიიღებთ შრომას ჩვენ საპასუხოდ, იმ შემთხვევაში გთხოვთ ბარათი ჩემს სახელზე გამოგზავნოთ სოხუმში. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ამ ჩვენს თხოვნას უყურადღებოდ არ დააგდებთ და რაც შეიძლება დაჩქარებით გვაცნობებთ ყველაფერს, რადგანაც თავის სარჩევლად ძლიერ ცოტა ხანიღა დაგვრჩა. ამ მცირე ბარათში მეტისმეტად ძნელია სოხუმის აწმყო და მომავალი დაგისურათოთ. ამიტომ ამ ბარათს ამით ვასრულებ და იმედოვნილიც ვარ გულახდით გვირჩევ ჩვენი თხოვნის შესახებ.

მარად თქვენი პატივისმცემელი და თქვენი დღეგრძელობის მასასოებელი

ანთიმოზ ივანეს-ძე ჯუღელი".

წერილში მოხსენებული ალექსანდრე სარაჯიშვილი (1851—1914) — არის ილიას ეპოქის საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი, რუსთველოლოგი, რედაქტორი გაზეთ „ივერიისა" 1902 წლის აპრილიდან (ილიას შემდეგ). წერილი ილიასი დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (L-i7616).

L

წერილი ალექსი გულისაშვილისადმი

123 (გვ. 150).

დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ილიას ფონდი № 108). ავტოგრაფი.

LI

წერილი გრიგოლ საყვარელიძისადმი

124 (გვ. 151).

სად არის ამჟამად დაცული წერილის დედანი — გამოურკვეველია (ვხელმძღვანელობ ი. ბოცვაძის პუბლიკაციის მიხედვით, ილია ჭავჭავაძე, წერილები, 1949, გვ. 95).

LII

წერილი საგურამოს მოურავ სანდროსადმი

125 — 126 (გვ. 152 — 153).

წერილები დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (L-17612, L-17613).

LIII

წერილები ნიკო ცხვედაძისადმი

ნიკო ცხვედაძე (1845—1911) — ცნობილი საზოგადო მოღვაწე, სახალხო განათლების მუშაკი, პედაგოგი.

წერილები დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (L-17584, L-17585, L-17586). ავტოგრაფები.

წერილი 127 (გვ. 154—155).

1. დავით სარაჯიშვილი (1846—1911)—ცნობილი მრეწველი; ქველმოქმედი. ახლო მონაწილეობას იღებდა საზოგადო საქმეებში.

2. ეკატერინე ფორაქიშვილი-სარაჯიშვილისა, დავითის მეუღლე.

3. ლევან ჯანდიერი იხ. ზევით, გვ. 480—1.

4. იაკობი — იგულისხმება იაკობ გოგებაშვილი, დიდი ქართველი პედაგოგი.

5. არტურ ლეისტი (1852—1927) გერმანელი მწერალი, რომელიც ამ დროს (1900 წელს) საქართველოში იმყოფებოდა.

6. ტიტე ქიქოძე, ილიას მკურნალი ექიმი თბილისში.

LIV

სამძიმრის დეპეშა რაფიელ ერისთავის გარდაცვალების გამო

130 (გვ. 159).

სამძიმრის დეპეშა რაფიელ ერისთავის გარდაცვალების გამო გაგზავნილია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით; ხელს აწერს თავმჯდომარე საზოგადოებისა ილია ჭავჭავაძე.

დეპეშა დაწერილია, ილიას მიერ (ტექსტი დეპეშისა, ავტოგრაფი ილიასი, დაცულია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში, ფონდი 481, საქმე 799, ფ. 17).

დეპეშის ადრესატი ვასილ კახიძე — რაფიელ ერისთავის სიძე (რაფიელის ასულის ანასტასიას მეუღლე).

LIV

დეპეშები რაფიელ ერისთავის ოჯახისადმი

130-ა, 130-ბ (გვ. 391)

ილია პირველი დეპეშით ატყობინებდა რაფიელ ერისთავის ოჯახს, თავისა და წერა-კითხვის საზოგადოების სახელით, რომ სასურველი არისო რაფიელ ერისთავის დაკრძალვა თბილისში.

ამაზე ილიამ 1901 წლის 22 თებერვალს მიიღო რაფიელ ერისთავის ოჯახიდან ორი დეპეშა (ხელმოწერილი რაფიელ ერისთავის სიძის ვასილ კახიძის მიერ):

პირველი დეპეშა

Тифлис. Илье Чавчавадзе.
Из Телава. 22 февраля 1901 г.

Точно выраженное желание покойного Рафаиля быть похороненным в Кистаури, семья и родные решили исполнить. Похороны назначены 25 февраля.

Кахидзе.

ამას მოჰყვა იმავე დღეს მეორე დეპეშა:

Тифлис. Редакция „Иверия“, Ильс Чавчавадзе.

Из Телава. 22 февраля 1901 г.

Если Ваше Общество найдет возможным нарушить желание покойного. то семья и родные, уступая и настоянию и местного общества, соглашаются хоронить Рафаиля в Тифлисе.

Кахидзе.

რაკი რაფიელის ანდერძი ყოფილა, რომ იგი დაესაფლავებიათ სამშობლო სოფელ ქისტაურში, ილიას აღარ უნებებია პოეტის ნების დარღვევა. ილიას მეორე დენეშა პასუხია კახიძის ზემოთმოყვანილ ორ დეპეშაზე.

ფოტო-პირები ილიას და ვ. კახიძის დეპეშებისა დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (L-24819). დედნები დაცული უნდა იყვეს საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში, მაგრამ მათი ნომრები უცნობია. ტექსტები გამოვაქვეყნეთ ფოტო-პირების მიხედვით.

LV

დეპეშა გიორგი ორბელიანისადმი

131 (გვ. 160).

დეპეშა დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ილიას ფონდი № 111).

LVI

წერილი ვლადიმერ მიქელაძისადმი

132 (გვ. 161).

წერილის ადრესატი ვ ლ ა დ ი მ ე რ მ ი ქ ე ლ ა ძ ე (1856—1926) —თანამშრომელი გაზეთ „ივერიისა“.

წერილი ილიასი გამოქვეყნებულია ადრესატის მიერ ჟურნალ „ნიშადურში“ 1908 წ., № 59 (იხ. წერილი: „მუდამ მომზადებული ილია“.) თვით ხელნაწერი დედანი წერილისა არ შენახულა (ყოველ შემთხვევაში მუზეუმებში არ შემოსულა).

LVII

წერილები მოსე მემარნიშვილისადმი

133 — 137 (გვ. 162 — 164).

წერილები დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (L-17592, L-17596, L-17594, L-17593, L-17595).

LVII-ა

წერილი წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობისადმი ვაჟა-ფშაველას მიერ შესრულებული შილერის „ორლეანელი ქალწულის“ თარგმანის გამო

წერილი, ავტოგრაფი ილიასი, დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმე). ფოტო ავტოგრაფისა გამოქვეყნებულია ზ. კიკნაძის მიერ ჟურნალში „საბჭოთა ხელოვნება“, 1960 წ. № 9, გვ. 38).

LVIII

წერილი და დეპეშა გიორგი ქურულისადმი

138 — 139 (გვ. 165 — 166).

წერილი (138) დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ილიას ფონდი № 112). ავტოგრაფი.

დეპეშა (139) დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (L-3660).

დეპეშა 139 (გვ. 166).

გ რ ი გ ო ლ ვ ო ლ ს კ ი (1860-1909), პოეტი (წერდა „უმწიფარიძის“ ფსევდონიმით), ჟურნალისტი.

მოღვაწეობდა ბათომში. 1907 წელს 1 აგვისტოს იგი მძიმედ დაჭრეს „ოხრანკის“ აგენტებმა. ილიას დეპეშა ამ ამბავს ეხება.

ილიას ეს დეპეშა გაუგზავნია 12 აგვისტოს. 30 აგვისტოს მოჰკლეს თვით ილია.

როდესაც თბილისში 30 აგვისტოს პირველად მოვიდა ცნობა ილიას მკვლელობის შესახებ, შეშფოთებული ხალხი არ ჰკარგავდა იმედს ილიას სიცოცხლეზე, იქნებ ილია დაჭრილი იყვეს და არა მკვდარიო; იგონებდნენ გრიგოლ ვოლსკის ამბავს, რომლის შესახებ იმავე აგვისტოში გავრცელდა ხმა — მოჰკლესო და მძიმედ დაჭრილი აღმოჩნდა.

გაზეთი „ისარი“ წერდა 1907 წლის 1 სექტემბრის ნომერში:

„ილია ჭავჭავაძე მოჰკლესო... არავის სჯეროდა, ვერავის ვერ წარმოედგინა, რომ მხცოვან მოღვაწეს, ქართველი ერის სასიქადულო შვილს საქართველოს ნიადაგზე ვინმე ხელს შეახებდა! იმედი გვქონდა, რომ ტყუილია ხმა, იმედს კიდევ ვოლსკის დაჭრის ამბავი გვიორკეცებდა. მაგრამ საშინელ სინამდვილეს ვინ გაქცევია, რომ ჩვენ მოგვეშორებინა თავიდან. საზარელი მკვლელობა ნამდვილად მოხდა...“

LIX

წერილი ალექსანდრე ყიფშიძისადმი

140 (გვ. 167).

ალექსანდრე ყიფშიძე (1861—1916), წერდა ალექსანდრე ფრონელის ფსევდონიმით. ისტორიკოსი, ლიტერატორი.

წერილი დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (L—790)

LX

ბარათი სახელმწიფო კანცელარიის ხაზინადარის მიმართ

141 (გვ. 168).

დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ილიას ფონდი, №.112). ავტოგრაფი.

LXI

ბარათი სახელმწიფო კანცელარიისადმი

142 (გვ. 399)

დაცულია ლენინგრადის სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივში (ფონდი 1162, აღწ. ნ., 1906, საქმე 836, ფ. 1. — სახელმწიფო საბჭოს საქმეები). ავტოგრაფი ილიასი.

ეს მეტად საყურადღებო დოკუმენტი ილიას დაბადების თარიღის შესახებ აღმოაჩინა ლენინგრადის საისტორიო არქივში მუშაობის დროს მკვლევარმა შალვა გოზალიშვილმა (იხ. მისი წერილი გაზეთ „კომუნისტში“, 1958 წ. 7. IX).

ვბეჭდავთ ბარაოის ფოტოს, რომელიც შალვა გოზალიშვილმა გადმოგვცა (იხ. გვ. 580).

ᲘᲚᲘᲐᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ
ᲝᲚᲦᲐ ᲗᲐᲓᲔᲝᲖᲘᲡ ᲐᲡᲣᲚ ᲒᲣᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ

1863 ᲬᲚᲘᲡᲐ

(ილიას და ოლღას ჭორწინებამდე)

* * *

თბილისის უნივერსიტეტის შენობაში ოციან წლებში მოთავსებული იყო უძველესი ქართული კულტურული დაწესებულების — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების — ბიბლიოთეკა-მუზეუმი, ძველ-ქართული ხელნაწერების უმდიდრესი კოლექციით.

ბიბლიოთეკა-მუზეუმთან მოწყობილი იყო „ილია ჭავჭავაძის ოთახი", სადაც დაცული იყო ილიას პირადი ნივთები, ილიას ბიბლიოთეკა, ილიას კაბინეტის მოწყობილობა.

ილიას ეს ოთახი არ იყო გახსნილი მნახველთათვის.

ოციანი წლების დასაწყისში, როდესაც ვმუშაობდი ვეფხის-ტყაოსნის ხელნაწერების ტექსტების შესწავლაზე, ბიბლიოთეკა-მუზეუმის ადმინისტრაციამ ნება დამრთო მომეწყო სამუშაო კუთხე ილიას ოთახში, სადაც ბიბლიოთეკა-მუზეუმიდან გადმოტანილ იქმნა მუშაობისათვის საჭირო ძველ-ქართული ხელნაწერები.

ეს მუშაობა ვეფხის-ტყაოსნის ხელნაწერებზე თვეები გაგრძელდა.

ილიას ოთახში მუშაობის დროს ერთხელ ჩემი ყურადღება უნებლიეთ მიიპყრო ხის ყუთმა, რომელიც ილიასეულ წიგნებთან ერთად იდო საწიგნე თაროზე.

ეს ხის ყუთი დახურული იყო, მაგრამ გასაღებით არ იყო დაკეტილი. როდესაც ჩავიხედე ამ ხის ყუთში, შიგნით აღმოჩნდა მეორე ყუთი, მუყაოსი, შეკრული ზონარით.

გავხსენით მუყაოს ყუთი, — იგი სავსე აღმოჩნდა წერილებით.

ეს იყო წერილები ილია ჭავჭავაძისა, მიმართული ილიას ცხოვრების ერთგული თანამგზავრის ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილ-ჭავჭავაძისადმი.

მღელვარებით ვკითხულობდით ამ წერილებს. წერილების კითხვის

დროს ილიასეულ ოთახში თითქოს გაცოცხლდნენ ილიას და ოლღას აჩრდილები.

ილიას ერთგულ მეგობარს ოლღას სიყვარულით შემოუნახავს ყველა წერილი, რომლებიც კი მას მიუღია ილიასაგან მთელი ცხოვრების მანძილზე. სულ აქ აღმოჩნდა 240-მდე წერილი ილიასი ოლღასადმი. პირველი წერილი ეკუთვნის 1863 წლის იანვარს, როდესაც ილია და ოლღა პირველად გაეცნენ ერთმანეთს; უკანასკნელი წერილი ეკუთვნის 1906 წელს (ერთი წლით ადრე წიწამურის ტრაგედიისა).

ილიას წერილებთან ერთად ყუთში დაცული იყო გამხმარი ველის ყვავილი, ვინ იცის როდის მოწყვეტილი ილიას ხელით, და სასოებით შენახული მისი მეგობრის მიერ წერილებთან ერთად.

•

ვიდრე შევეხებოდეთ ილიას ამ წერილებს, რამდენიმე სიტყვა წერილების ადრესატის ოლღა გურამიშვილ-ჭავჭავაძის შესახებ.

ოლღა, მეუღლე ილიასი, როგორც გადმოგვცემენ ყველა თანამედროვენი, და როგორც ამის შესახებ წერს ილიას პირველი ბიოგრაფი გრიგოლ ყიფშიძე, — „იყო ყოვლად კეთილი, სათნო ხასიათის ადამიანი, ქველისმოქმედი, ყოვლის კეთილის თანამგრძნობი, დიდად მოსიყვარულე თავის სახელოვანი ქმარისა და მაღმერთებელი მისი ნიჭისა“.

ოლღა, მას შემდეგ რაც იგი ილიას მეუღლე გახდა 1863 წელს, დიდ მუშაობას ეწეოდა იმ დროს არსებულ ქართულ კულტურულ დაწესებულებებში, — კერძოდ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.

ილია დიდად აფასებდა თავის ცხოვრების თანამგზავრს, სიყვარულითა და პატივისცემით ეკიდებოდა მას.

ილიამ უძღვნა ოლღას პოემა „გ ა ნ დ ე გ ი ლ ი“ (1883 წ.)

ოლღამ გაიზიარა ილიას ტრაგიკული ხვედრი. ილიას მოკვლის დროს ოლღა მძიმედ დასჭრეს. ამის შემდეგ ოლღამ თუმცა წლები იცხოვრა, მაგრამ იგი ამ ქვეყანას უკვე აღარ ეკუთვნოდა[1].

•

ილიას ზემოხსენებული წერილებიდან ცალკე ჯგუფს წარმოადგენს ციკლი:

წერილები ილიასი ოლღასადმი

1863 წლისა

(ილიასა და ოლღას ქორწინებამდე).

ეს ციკლი წერილებისა (60 წერილის მოცულობით) ეკუთვნის ილიას ახალგაზრდობის ხანას, 1863 წლის დასაწყისს (იანვარი-აპრილი), როდესაც

[1] იხ. პ. ინგოროყვა, ილია ჭავჭავაძე, 1957 წ., გვ. 103—104.

ილია, ამ დროს უკვე ბელადი ახალი თაობისა, „საქართველოს მოამბის“ გამოცემას შეუდგა.

წერილების ეს ციკლი წარმოადგენს პოემას.

როდესაც ვკითხულობთ ამ წერილებს, ჩვენ გვხიბლავს მშვენიერება სულისა, რომლითაც განათებულია ეს წერილები.

რა სიდიადით არის აღბეჭდილი, მაგალითად, ისეთი წერილები, როგორც 26-ე და 27-ე...

•

ილიას ამ წერილების გამოსაცემად დამზადების დროს ჩვენს წინაშე იდგა უაღრესად რთული საკითხი: როგორია ქრონოლოგიური თანამიმდევრობა ამ წერილებისა, როგორ უნდა დალაგდეს ეს წერილები?

საქმე ის არის, რომ ამ წერილებს თარიღი არა აქვს მოწერილი; ყველა წერილი უთარიღოა, არაა აღნიშნული არც რიცხვი, არც დღე. მხოლოდ ერთ წერილს აწერია: „კვირა“. ერთს კიდევ: „ღამის სამი საათი“.

ამასთან ეს წერილები არაა ჩვეულებრივი ხასიათისა; აქ სულის აღსარებაა უპირატესად. აქ ცოტაა ისეთი დეტალები, რომელთაც შესაძლოა დავეყრდნოთ თარიღების დასადგენად.

ხოლო თუ ჩვენ ვერ შევძლებდით ამ წერილების თანამიმდევრობის აღდგენას (ხოლო ამ წერილების რიცხვი, როგორც მოვიხსენეთ, 60-მდე აღწევს), მაშინ მთელი ციკლი დაჰკარგავდა შინაგან მთლიანობას. ეს წერილები მიემსგავსებოდა უწესრიგოდ დაყრილს ძვირფას თვლებს, და არა ძაფზე აცმულ თვალმარგალიტს, ძვირფასი ფარღულის სახით.

საბედნიეროდ, წერილების დაკვირვებული შესწავლის შედეგად შესაძლო გახდა წერილების თანამიმდევრობის აღდგენა; და არა თუ თანამიმდევრობის აღდგენა, არამედ აგრეთვე დადგენა ყველა წერილის თარიღის.

•

თავდაპირველად საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ილიას წერილების ეს ციკლი, როგორც ცხადი ხდება პირველი განხილვიდან, ეკუთვნის, როგორც მოხსენებული გვქონდა, 1863 წლის დასაწყისს, იანვრიდან-აპრილამდე. ილიამ და ოლღამ ჯვარი დაიწერეს 21 აპრილს 1863 წლისა. წერილებში რამდენჯერმე მოიხსნება „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომრის ბეჭდვის მიმდინარეობა და შემდეგ გამოსვლა ჟურნალისა, რასაც ადგილი ჰქონდა 1863 წლის პირველ თვეებში.

პირველი საკითხი, რომელიც ჩვენს წინაშე აღიძრა წერილების ქრონოლოგიაზე მუშაობის დროს — იყო კითხვა: საიდან იწყება მიმოწერა, წერილების ამ ციკლში, რომლებია პირველი წერილები.

ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ რამდენიმე წერილში ილია თ ქ ვ ე ნ ო ბ ი თ მიმართავს ოლღას, იმ დროს როდესაც დანარჩენ წერილში ილია შ ე ნ ო ბ ი თ მიმართავს მას.

სახელდობრ სამ წერილში ილია მიმართავს ოლღას თ ქ ვ ე ნ ო ბ ი თ; ხოლო მეოთხე წერილს იწყებს თ ქ ვ ე ნ ო ბ ი თ და შემდეგ გადადის შ ე ნ ო ბ ი თ მიმართვაზე.

ამ მეოთხე წერილში ილია, სხვათა შორის, შემდეგს წერს ოლღას:

„... იცოდეთ, მომავალში სიყვარულისა და ერთგულების მეტს ვერაფერს შემოგთავაზებთ. მართალია, ადამიანები ამ ორი რამითაც არიან ბედნიერნი, მეცა მჯერა, რომ შესაძლებელია ასეთი ბედნიერება, მაგრამ, მითხარით, თქვენ თუ, გჯერათ ასევე? აი საკითხი, რომელიც მოსვენებას არ მაძლევს. იცით თუ არა ყველაფერი ჩემი მდგომარეობის შესახებ? იცით თუ არა ჩემი აწმყო? ხოლო, რაც შეეხება მომავალს, იმაზე არც ღირს ლაპარაკი, რაც უფრო შორს ვიხედები, მით უფრო ცოტას ვხედავ სანუგეშოს. მართალია, მე ჩემი თავი სიღარიბისა და შრომისათვის გამიდვია; მართალია არც ერთისა და არც მეორისა არ მეშინია, მაგრამ არც თქვენ გეშინიათ მისი? თუ არ გეშინიათ, მე თქვენი ვარ, ე. ი. — შ ე ნ ი ვარ“.

ამის შემდეგ ილია წერილის მეორე ნახევარში გადადის შ ე ნ ო ბ ი თ მიმართვაზე. ეს შ ე ნ ო ბ ი თ მიმართვა დაცულია ყველა დანარჩენ 56 წერილში.

აშკარაა, ამრიგად, რომ ეს ოთხი წერილი პირველი წერილებია. შინაარსიდან ცხადია აგრეთვე ამ ოთხი წერილის თანრიგი.

*

ერთ წერილში (რომელმაც წერილების თანრიგის დადგენის შემდეგ მე-20 ადგილი დაიჭირა), წერილის დასასრულს ილია შემდეგს წერს ოლღას:

„... არ დამცინო, რომ შენს ძველ წერილს მოვხიე ქაღალდი და იმაზედ გწერ. რაც ქაღალდი იყო, სულ შენ გამოგიგზავნე და ვეღარ მომაგონდა, რომ მეყიდვინებინა. ეხლა კი ორი საათია ღამისა, სად ვიშოვიდი?

„... ჟურნალს ხვალ საღამოზედ გამოგიგზავნი“.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ამ მე-20 წერილის ცისფერმა ქაღალდმა.

ჩვენ მაშინვე მოგვაგონდა, რომ ეს არის სწორედ ის ცისფერი ქაღალდი, რომელზედაც გადაწერილია ილიას ლექსების ავტოგრაფული ხელნაწერი S — 4993 (ეს ხელნაწერი ჩვენი შესწავლის საგანი იყო, როდესაც ვსცემდით ილიას ლექსების კრებულს)[1].

1. იხ. ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1951 წ., გვ. 408—410.

ილიას ეს ავტოგრაფული ხელნაწერი გადაწერილია რუსეთში 1859—1861 წლებში; ილიას იგი აუკინძვინებია და ყდაში ჩაუსვამს. იგივე ქაღალდი, რომელზედაც გადაწერილია ლექსების ეს კრებული, ილიას თან ჩამოჰყოლია რუსეთიდან საქართველოში და ილია ამ ცისფერ ქაღალდზე წერდა წერილებს ოლღას. ნაწილი ამავე ქაღალდისა ილიას გადაუცია აგრეთვე ოლღასათვის, რომ მასაც წერილები ამ ქაღალდზე ეწერა.

ცხრამეტი წერილი ილიას ამ ქაღალდზე დაუწერია და ამით ამოწურულა ამ ქაღალდის მარაგი. ხოლო მე-20 წერილი ილიას დაუწერია ოლღას გამოგზავნილი წერილის თავისუფლად დარჩენილ ფურცელზე, რადგან ღამის ორ საათზე სხვა ქაღალდი აღარ აღმოაჩნდა.

ამრიგად ამ ცისფერ ქაღალდზე დაწერილია ილიას 20 წერილი (მათ შორის პირველი ოთხი წერილიც, რომელზედაც ზევით გვქონდა საუბარი). ხოლო დანარჩენი 40 წერილი სხვადასხვა ქაღალდზეა დაწერილი (პეტერბურგიდან ჩამოტანილი ცისფერი საგანგებო ქაღალდის მსგავსი ჩანს თბილისში არ იშოვებოდა).

ირკვევა მაშასადამე, რომ ეს 20 წერილი, გადაწერილი ცისფერ ქაღალზე, უფრო ადრინდელია, ვიდრე 40 წერილი, გადაწერილი სხვადასხვა ქაღალდებზე.

ირკვევა ამასთან ისიც, რომ პირველი ოცი წერილი დაწერილია 1863 წლის იანვარში და თებერვლის პირველ ორ ათეულში, ვინაიდან „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომერი თებერვლის მეორე ათეულში გამოსულა, ხოლო — მე-20 წერილში ილია, როგორც აღვნიშნეთ, წერს ოლღას ახლად გამოსული ჟურნალის შესახებ: „ჟურნალს ხვალ გამოგიგზავნი“-ო.

*

ამის შემდეგ დასაზუსტებელი დარჩა ამ ოცი წერილის ბანრიგი და თარიღები.

თარიღების საკითხის გარკვევაში ჩვენ გვშველის ოთხი წერილი, რომლებმაც წერილების თანრიგის დადგენის შემდეგ დაიჭირეს მე-11, მე-12 მე-13 და მე-14 ადგილი.

ამ ოთხ წერილში მოხსენებულია მასკარადი.

მე-11 წერილის დასასრულს ილია ეკითხება ოლღას: „შაბათს იქნები მასკარადზე?“

მე-12 წერილში ილია შემდეგს უპასუხებს ოლღას შეკითხვაზე:

„მასკარადში მასკით იქნები თუ არაო. შენგან არ მიკვირს, რომ მაგასა მკითხამ! მე რათა ხანია ავიხსენი მასკა და შენ დაგენახვე ისე, როგორცა ვარ; ახლა მასკის დახურვის დრო აღარ არის. მე თუ წავალ, ამაღამ თერთმეტ საათზედ მოვიცლი, მაშინ წავალ“.

ილია წასულა მასკარადზე; მომდევნო მე-13 წერილში ილიას აწერილი აქვს მასკარადის ეპიზოდები.

მასკარადები, როგორც ცნობილია, იმართებოდა ეგრეთწოდებულ „ყველიერში“. ილია მასკარადზე ყოფილა შ ა ბ ა თ ს. ხოლო 1863 წელს „ყველიერის“ შაბათი უწევდა 9 თებერვალს.

მაშასადამე ილია ყოფილა მასკარადზე 9 თებერვალს 1863 წლისა და მე-12 წერილი ამ დღეს არის დაწერილი.

მე-13 წერილი დაწერილია მასკარადის დამთავრების მეორე დღეს (მასკარადი დამთავრდა 10-ს, დილით) ე. ი. 11 თებერთვალს.

მე-14 წერილი უშუალოდ მოსდევს მე-13 წერილს (აქ ილია ატყობინებს ოლღას ერთი მასკის ვინაობას); წერილი დაწერილია ღამე 11—12 თებერვალს (წერილის თავში მოწერილი აქვს: „ღამის სამი საათი“).

•

ზემოთ-დასახელებული მე-12 წერილი, რომელიც 9 თებერვლით თარიღდება, ჩვენ გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ აგრეთვე, თუ როდის დამთავრდა ბეჭდვა ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომრისა.

ამ მე-12 წერილში, ილია წერს:

„იქნებ ჩემი ჟურნალი ხვალ დაიბადოს, ტკივილები აეშალნენ მშობიარესა და იმედია რომ 12 საათამდინ ქვეყანასა ნახავს ჩვენი „საქართველოს მოამბე“. აბა კრიტიკებს მაშინ უყურე! მაგრამ ნუ გეშინიან: ჩვენთან იქნება მარად წმინდა ჭეშმარიტება“.

იმავე წერილის პოსტ-სკრიპტუმში ილია წერს:

„ეს ეს არის მომივიდა ამბავი, რომ მშობიარე ჩვენი სწორედ სამშაბათს დაწვება „საქართველოს მოამბის“ საშობავად“.

რაკი 9 თებერვალს იყო შაბათი, მომდევნო სამშაბათი უწევს 12 თებერვალს. ამ დღეს ყოფილა ნავარაუდევი „საქარვთელოს მოამბის“ ბეჭდვის დასრულება.

*

ჟურნალის ბეჭდვის მიმდინარეობის შესახებ, გარდა მე-12 წერილისა, საუბარია აგრეთვე წერილებში, რომელთაც თანრიგის დადგენის შემდეგ დაიჭირეს მე-6, მე-8, მე-9 და 20 ადგილები.

მე-6 წერილის მიხედვით ჟურნალის ყველა მასალები ჯერ კიდევ არ ყოფილა გადაცემული სტამბაში; ილია ამ წერილში წერს ოლღას:

„გუშინ თეატრში სიტყვა მივეცი ცენზორს, სამ საათზე მოვალ მეთქი. უნდა მივიდე ერთ მნიშვნელოვან საქმეზე, რომელიც ჟურნალს ეხება. იგი

არაფრით არ თანხმდება გაუშვას ერთი წერილი, მიუხედავად იმისა, რომ მთელი კვირაა ამაზე ვეჩიჩინები, ჟურნალი კი ამის გამო მიჩერდება“.

მე-8 წერილში ილია წერს:

„გუშინ დილის ცხრიდან — საღამოს ექვსამდე სტამბაში ვიყავ... ჟურნალი ამ დღეებში გამოვა...“

მე-9 წერილშიაც იგივეა განმეორებული, რომ მას „მალე ეყოლება ვაჟიშვილი, რომელსაც სახელად წინასწარ „საქართველოს მოამბე“ დავარქვი-ო“.

ხოლო მე-12 წერილის ცნობით, როგორც მოხსენებული გვქონდა, ჟურნალის ბეჭდვა უნდა დამთავრებულიყო 10 თებერვლისათვის და გადადებულა 12 თებერვლისათვის.

მე-20 წერილის წერის დროს კი ჟურნალი უკვე აკინძულია და გასავრცელებლად მზადდება. ილია წერს ოლღას: „ჟურნალს ხვალ გამომგიგზავნი“-ო.

•

ჩვენ დაგვრჩენია შევაჯამოთ.

ილიას წერილების პირველი ჯგუფიდან. ე. ი. პირველი ოცი წერილიდან, წარმოდგენილი განხილვის შედეგად დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს თანრიგი შემდეგი წერილებისა:

1. 2. 3. 4. || 6. || 8. 9. || 11. 12. 13. 14. || 20.

დარჩა გამოსარკვევი თანრიგი დანარჩენი შვიდი წერილისა ამ პირველი ოცეულის ჯგუფიდან.

თუ ჩვენ გულდასმით გადავიკითხავთ ამ დარჩენილ შვიდ წერილს, ცხადი გახდება, რომ ისინი შინაარსის მიხედვით დაკავშირებული არიან უკვე განხილულ წერილებთან და ბუნებრივად იჭერენ ადგილს საერთო თანრიგში: სახელდობრ მე-5 წერილი, შინაარსით უკავშირდება მე-6 წერილს; მე-7 წერილი ბუნებრივად იჭერს ადგილს მე-6 და მე-8 წერილებს შორის; ასევე მე-10 და 15—19.

ამრიგად თანრიგი წერილების ამ პირველი ოცეულისა არ იწვევს ეჭვს.

•

გადავიდეთ ამის შემდეგ წერილების ამ პირველი ოცეულის თარიღებზე. ამ ოცი წერილიდან ჩვენ უკვე დადგენილი გვქონდა თარიღი სამი წერილისა, 12-ისა, 13-ისა, და 14-ისა: სახელდობრ მე-12 წერილი, როგორც აღვნიშნეთ, დაწერილია 9 თებერვალს; მე-13 წერილი — 11 თებერვალს, მე-14 წერილი — 12 თებერვალს.

ამ სამ წერილის თარიღებზე დაყრდნობით ჩვენ დაგვრჩენია გავითვალოთ

რიცხვები მე-12 წერილიდან (რომელიც 9 თებერვლით თარიღდება) უკანა მიმართულებით ვიდრე პირველ წერილამდე; ასევე გავითვალოთ რიცხვები მე-14 წერილიდან (რომელიც 12 თებერვლით თარიღდება) წინა მიმართულებით ვიდრე მე-20 წერილამდე.

ამასთან ერთად საჭიროა მხედველობაში მივიღოთ ყველა დეტალები, რომლებიც წარმოდგენილია წერილებში და გავითვალისწინოთ, თუ რა დროის მანძილი იყო ერთი წერილიდან მეორე წერილამდე, სახელდობრ:

1. როგორის თანრიგით და დროის რა მონაკვეთზე ენაცვლებოდა ილიას წერილი და ოლღას პასუხი;[1]

2. რა დღეებში მომხდარა ილიას და ოლღას შეხვედრა, რა რიცხვებშიაც წერილებს არ სწერდნენ ერთმანეთს;

3. თარიღების დაზუსტებას აადვილებს აგრეთვე, როდესაც წერილებში მოხსენებულია და მინიშნებული კვირის დღეები; ეს იძლევა საშუალებას შევამოწმოთ, თუ რა რიცხვი უწევდა ამ დღეებს.

ყველა ამ გარემოებათა გათვალისწინება ჩვენ გვაძლევს საშუალებას აღვადგინოთ ილიას წერილების ქრონოლოგია.

ირკვევა, რომ ილიას პირველი ოცი წერილი დაწერილია იანვარ-თებერვალში, 16 იანვრიდან — 18 თებერვლამდე.

მოგვყავს აქ ილიას ამ პირველი ოცი წერილის ქრონოლოგიური ნუსხა (ქრონიკით 16 იანვრიდან — 18 თებერვლამდე).

ილიას წერილების პირველი ჯგუფის ქრონოლოგია

(ქრონიკა 16 იანვრიდან — 18 თებერვლამდე)

16 იანვარი. — ილიას პირველი წერილი.
17 იანვარი. — ოლღას წერილი.
18 იანვარი. — ილიას მე-2 წერილი.
19 იანვარი, შაბათი. —ოლღას წერილი.
ილიას მე-3 წერილი.
[20 იანვარი, კვირა, — ტაძარში შეხვედრა].

---

[1] თუმცა ოლღას წერილები, გარდა 12 ბარათისა, არ შენახულა, მაგრამ ილიას წერილების ტექსტი ყოველთვის იძლევა საშუალებას გავითვალისწინოთ დროის მანძილი, რომლითაც დაცილებული იყო ილიას წერილები ოლღას წერილებიდან. როცა ოლღა აგვიანებს წერილს და გადააცილებს დათქმულ ვადებს, ილია ყოველთვის აღნიშნავს ამას საპასუხო წერილში.

(ოლღას წერილებიდან შენახულა შემდეგი 12 ბარათი, რომლებიც მოწერილია პასუხის სახით ილიას შემდეგ წერილებზე: 1, 2, 9, 14, 17, 21, 31, 40, 41, 46, 49, 56).

[21 იანვარი, ორშაბათი. — შეხვედრა და საუბარი ილიასი და ოლღასი][1].
25 იანვარი (პარასკევი). — ოლღას წერილი.
26 იანვარი. — ილიას მე-4 წერილი.
[27 იანვარი. — შეხვედრა ილიასი და ოლღასი][2].
28 იანვარი. — ოლღას წერილი.
ილიას მე-5 წერილი.
29 იანვარი. — ოლღას წერილი.
ილიას მე-6 წერილი.
(შეხვედრა ილიასი ცენზორთან, რომელიც არ თანხმდება გაუშვას ჟურნალში ერთი სტატია).
30 იანვარი. — ოლღას წერილი.
ილიას მე-7 წერილი.
1 თებერვალი, (პარასკევი). — ოლღას წერილი.
(ილია დილის 9 საათიდან — საღამოს 6 საათამდე სტამბაშია, მუშაობს ჟურნალზე).
2 თებერვალი. — ილიას მე-8 წერილი.
ოლღას წერილი.
3 თებერვალი, კვირა. — ილიას მე-9 წერილი.
ოლღას წერილი.
[4 თებერვალი. — შეხვედრა][3].
5 თებერვალი. — ოლღას წერილი.
6 თებერვალი (ღამის სამი საათი). — ილიას მე-10 წერილი.
6 თებერვალი. — ოლღას წერილი.
7 თებერვალი. — ილიას მე-11 წერილი.
8 თებერვალი. — ოლღას წერილი.
9 თებერვალი, შაბათი. — ილიას მე-12 წერილი. (ჟურნალის ბეჭდვა უნდა დამთავრებულიყო 10 თებერვლისათვის, მაგრამ გადაიდო სამშაბათამდე, 12 თებერვლისათვის).
[10 თებერვალი. — ოლღას წერილი არ მოუწერია][4].
11 თებერვალი. — ილიას მე-13 წერილი.
ოლღას წერილი.
12 თებერვალი (ღამის სამი საათი). — ილიას მე-14 წერილი.
12 თებერვალი. — ოლღას წერილი.
ილიას მე-15 წერილი.

---

[1] იხ. ილიას მე-4 წერილი.
[2] იხ. ილიას მე-5 წერილი.
[3] იხ. ილიას მე-10 წერილი.
[4] იხ. ილიას მე-13 წერილი.

13 თებერვალი. — ოლღას წერილი.
ილიას მე-16 წერილი.
ილიას მე-17 წერილი.
ოლღას წერილი.
[14 თებერვალი. — ილიას წერილი; არ მოღწეულა].
15 თებერვალი. — ილიას მე-18 წერილი.
16 თებერვალი. — ოლღას წერილი.
ილიას მე-19 წერილი.
17 თებერვალი. — ოლღას წერილი.
18 თებერვალი (ღამის ორი საათი). — ილიას მე-20 წერილი. (ილია წერს ოლღას, რომ ახლად გამოსულ ჟურნალს ხვალ საღამოსათვის გაუგზავნის).

*

გადავიდეთ ამის შემდეგ ილიას წერილების მეორე ჯგუფზე, 21-ე წერილიდან 60-მდე.

ორი წერილიდან (რომლებმაც, თანრიგის გარკვევის შემდეგ, დაიჭირეს 54-ე და 55-ე ადგილი) ჩვენ ვგებულობთ, რომ ილია ავად იყო, მაგრამ ცოტა მოჯობინებულა და უნდა შეხვდეს ოლღას ს ა ე კ ლ ე ს ი ო ც ე რ ე მ ო ნ ი ა ლ ზ ე. 54-ე წერილში ილია წერს ოლღას:

„ჩემო ანგელოზო, მგონი ცოტათი მოვჯობინდი. ექიმს ველოდები, ვნახოთ რას მეტყვის. ალბად ნახევარი საათით ადგომის ნებას მომცემს. მე იმდენად საეკლესიო ცერემონიის ნახვა არ მინდა, რამდენადაც ჩემ მშვენიერ ანგელოზს ოდნავ მოვკრა თვალი".

მეორე წერილში (55-ეში), რომელიც იმავე დღეს არის დაწერილი, ილია წერს ოლღას:

„ჩემო მეგობარო! ახლა ჩემთან ექიმი იყო, ხვალ გარეთ გამოსვლის ნება მომცა, თუკი კარგი დარი იქნება...

„ხვალ შენ სანახავად გამოვალ..."

რა ს ა ე კ ლ ე ს ი ო ც ე რ ე მ ო ნ ი ა ზ ე უნდა შეხვედროდა ილია ოლღას?

უნდა ვიცოდეთ, რომ წერილების მთელი ეს ციკლი 21-დან მოკიდებული ვიდრე 54-ე და 55-დე ეკუთვნის ეგრეთწოდებულ „დიდი მარხვის" პერიოდს, აქედან უკანასკნელი წერილები უწევს, „დიდი მარხვის" უკანასკნელ კვირას (წინა სააღდგომო კვირეულს).

ს ა ე კ ლ ე ს ი ო ც ე რ ე მ ო ნ ი ა, რომელზედაც ილია უნდა შეხვედროდა ოლღას, — ეს არის ცერემონია ქრისტეს სხეულის გამოსვენებისა ეკლესიაში ეგრეთწოდებულ „წითელ პარასკევს" (ქრისტეს ჯვარცმის დღეს), რაც დიდი ზეიმით სრულდებოდა.

1863 წელს „წითელი პარასკევი“ უწევდა 29 მარტს. მაშასადამე ზემოთმოყვანილი წერილები 54-ე და 55-ე, რომლებიც დაწერილია საეკლესიო ცერემონიის ერთი დღით ადრე (ილია უნდა შეხვედროდა ოლღას საეკლესიო ცერემონიაზე — მეორე დღეს), — ზუსტად თარიღდება 28 მარტით.

•

54-ე და 55-ე წერილების თარიღის დადგენას გარკვეულობა შეაქვს წერილების ამ მეორე ციკლის ქრონოლოგიის საკითხში.

როგორც აღნიშნული გვქონდა, წერილების პირველი ციკლის უკანასკნელი წერილი, მე-20, დაწერილია 17/18 თებერვალს. ირკვევა ამრიგად, რომ წერილები 21-დან ვიდრე 54-ე და 55-მდე დაწერილია 18 თებერვლიდან მოკიდებული ვიდრე 28 მარტამდე (ჩათვლით). რაც შეეხება უკანასკნელ ხუთ წერილს (56—60), ისინი დაწერილია აღდგომის მომდევნო დღეებში (1863 წელს აღდგომა მოდიოდა 31 მარტს).

წერილების ამ მეორე ციკლის თანმიმდევრობის აღდგენა ამ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში შესაძლო ხდება წერილების შინაარსის პრეციზული ანალიზის საფუძველზე, იმ ბუნებრივი კავშირის მიხედვით, რომელიც აერთებს წერილების ცალკეულ ჯგუფებს (ასე, წერილები 21-დან 33-მდე წარმოადგენს ცალკეულ ჯგუფს, ასევე 34 და 35, 36 და 37 და ა. შ.).

ამ წინასწარ განმარტებათა შემდეგ მოგვყავს ქრონოლოგიური ნუსხა ილიას წერილების მეორე ჯგუფისა, 21-დან 60-მდე; ეს ქრონოლოგიური ნუსხა ემყარება წერილების ყველა დეტალების გათვალისწინებას, დამუშავებულია იმავე წესით, როგორც ქრონოლოგიური ნუსხა პირველი ჯგუფისა.

*

ილიას წერილების მეორე ჯგუფის ქრონოლოგია

(ქრონიკა 18 თებერვლიდან — 6 აპრილამდე).

18 თებერვალი. — ოლღას წერილი.

(ილია უგზავნის ოლღას ახლად გამოსულ ჟურნალს. — კვირას, 24 თებერვალს, დანიშნულია ელენე ჩოლოყაშვილის სახლში ლიტერატურული საღამო ილიას მონაწილეობით).

19 თებერვალი. — ოლღას წერილი.

ილიას 22-ე წერილი.

20 თებერვალი. — ოლღას წერილი.

ილიას 23-ე წერილი.

[21—22 თებერვალი. — ოლღას წერილები არ მოუწერია][1].
23 თებერვალი. — ილიას 24-ე წერილი.
24 თებერვალი. — ოლღას წერილი.
ილიას 25-ე წერილი.
25 თებერვალი. — [ილიას წერილი არ მოღწეულა].
6 თებერვალი. — ოლღას წერილი.
ილიას 26-ე წერილი.
27 თებერვალი. — ოლღას წერილი.
28 თებერვალი (დილის 5 საათი) — ილიას 27-ე წერილი.
28 თებერვალი. — ოლღას წერილი.
1 მარტი. — ილიას 23-ე წერილი.
2 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 29-ე წერილი.
ოლღას წერილი.
3 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 30-ე წერილი.
ოლღას წერილი.
4 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 31-ე წერილი.
ოლღას წერილი.
5 მარტი. — ოლღას წერილი.
[ოლღას საღამოს წერილი არ მოუწერია][2].
ილიას 32-ე წერილი.
6 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 33-ე წერილი.
7 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 34-ე წერილი.
8 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 35-ე წერილი.
ოლღას წერილი.
9 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 36-ე წერილი.
(ოლღამ ინახულა ავადმყოფი ილია).
10 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 37-ე წერილი.
11 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 38-ე წერილი.

[1] იხ. ილიას 24-ე წერილი.
[2] იხ. ილიას 32-ე წერილი.

12 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 39-ე წერილი.
13 მარტი. — ოლღას წერილი.
14 მარტი. — ილიას მე-40 წერილი.
ოლღას წერილი.
ილიას 41-ე წერილი.
ოლღას წერილი.
ილიას 42-ე წერილი.
15 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 43-ე წერილი.
16 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 44-ე წერილი.
17 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 45-ე წერილი.
18 მარტი. — ილიას 46-ე წერილი.
ოლღას წერილი.
19 მარტი. — ილიას 47-ე წერილი.
20 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 48-ე წერილი.
21 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 49-ე წერილი.
22 მარტი. — ოლღას წერილი.
ოლღას მეორე წერილი (საღამოს).
ილიას 50-ე წერილი.
23 მარტი. — ოლღას წერილი.
24 მარტი. — ილიას 51-ე წერილი.
25 მარტი. — ოლღას წერილი.
26 მარტი. — ილიას 52-ე წერილი.
27 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 53-ე წერილი.
28 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 54-ე წერილი.
ილიას 55-ე წერილი.
[29 მარტი. — შეხვედრა საეკლესიო ცერემონიაზე].
[31 მარტი. — აღდგომა].
1 აპრილი. — ოლღას წერილი.
2 აპრილი. — ილიას 56-ე წერილი.
3 აპრილი. — ოლღას წერილი.
ილიას 57-ე წერილი.
4 აპრილი. — ოლღას წერილი.
ილიას 58-ე წერილი.

5 აპრილი. — ოლღას წერილი.
ილიას 59-ე წერილი.
6 აპრილი. — ოლღას წერილი.
ილიას მე-60 წერილი.

*

ჩვენ ამით ვამთავრებთ საუბარს წერილების თანრიგისა და ქრონოლ
გიის შესახებ.

წერილებში მოხსენებულ პირთა ვინაობის შესახებ იხ. გვ. 171—1

წერილების ტექსტის შესახებ იხ. დამატებით გვ. 397—8.

დედნები ილიას წერილებისა ოლღასადმი, რომლებიც შევიდა ამ გ
ყოფილებაში (60 წერილი 1863 წლისა) დაცულია საქართველოს მეცნ
რებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ილიას ფონდი, №№ 10
104).

ᲘᲚᲘᲐᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ
ᲝᲚᲚᲐ ᲒᲣᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚ — ᲒᲐᲕᲒᲐᲕᲐᲫᲘᲡᲐᲓᲛᲘ

1864—1907

მეორე ჯგუფი ილიას წერილებისა ოლღასადმი მოიცავს ქრონოლოგიურ ჯაჭვს 1864 წლიდან 1907 წლამდე.

წერილების დიდ უმრავლესობას დაწერის წელი მოწერილი არა აქვს (იმ შემთხვევაში, როდესაც წერილს უზის თარიღი, ჩვეულებრივ აღნიშნულია მხოლოდ თვე და რიცხვი, წელი აღნიშნული არაა).

შეფარდება წერილებისა ერთმანეთთან, შეფარდება მათი ილიას ბიოგრაფიის ფაქტებთან, გათვალისწინება წერილებში მოხსენებულ მოვლენათა და პირთა, გვაძლევს საშუალებას აღვადგინოთ მათი თანრიგი და ქრონოლოგია, წერილების გარდა მცირე ნაწილისა.

სახელდობრ წერილების ეს ციკლი ქრონოლოგიურად ასე ჯგუფდება:

წერილები 1—7 ეკუთვნის 1864 წელს.
„ 8—9 — 1865 წელს.
„ 10—16 — 1865—1868 წ.წ.
„ 17—25 — 1865—1872 წ. წ.
წერილი 26 — 1871 წ.
„ 27 — 1872 —3 წ.
წერილები 28—42 — 1873 წ. იანვარი — მაისი.
„ 43—73 — 1873 წ. ივლისი — 1874 წ. მარტი (წერილები რუსეთიდან ,მოსკოვიდან და პეტერბურგიდან).
„ 74—77 — 1874 სექტემბერი-ოქტომბერი (თბილისიდან).
წერილი 78 — 1874 ნოემბერი (მოსკოვიდან).
წერილები 79—84 — 1875 წ.
„ 85—88 — 1875—1883 წ. წ.
„ 89—90 — 1881 წ.
„ 91—96 — 1884 წ. (რუსეთიდან).

წერილი 97 —1887 წ.
„ 98 —1895 წ.
„ 99 —1897 წ.

წერილები 100—117 — უთარიღონი.

წერილი 118 — 1906 წ.

დედნები ილიას წერილებისა, რომლებიც შევიდა ამ მესამე განყოფილებაში, დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ილიას ფონდი, №№ 102—104).

* * *

წერილებში მოხსენებულნი პირნი

აგრანოვიჩი (ოგრანოვიჩი) ივანე ალექსანდრეს ძე — სამხედრო პირი (კომისარი რუსეთ-სპარსეთის საზღვარის ბაზზე). — წერილები: 46, 47, 48, 50, 53.

ანდრონიკაშვილი იასე ადამის ძე — სასამართლო უწყების მოხელე. — წერილები 81, 82. — მის შესახებ იხ. აგრეთვე გვ. 172.

ანდრონიკაშვილი ზაქარია იასეს ძე — სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურობის მარშალი 1860-იან წლებში. — წერილი 41.

ანდრონიკაშვილი რევაზ — აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობის მარშალი. — წერილები: 32, 44, 47, 48, 49, 52, 63. — რევაზ ანდრონიკაშვილი ილიას გამოყვანილი ჰყავს თავის ცნობილ პამფლეტში—„გამოცანები“ (იხ. ტ. I, გვ. 85, და ჩვენი კომენტარები, გვ. 387—389).

ბაგრატიონი (გრუზინსკი) ირაკლი ალექსანდრეს ძე—ერეკლე მეფის შვილისშვილი (1827—1882). — წერილი 36.

ბარბარე ილიას ასული (ვარვარა ილინიშნა) ორბელიანი — ბაგრატიონის ქალი, ილია ბატონიშვილის ასული, ქვრივი ილია ორბელიანისა. — წერილები: 50, 51, 58. — იხ. აგრეთვე გვ. 171, 51, 54.

გიგო ნიკოლოზის ძე აფხაზი — ილიას დისწული (ნინოს ვაჟი). — წერილები: 4, 58, 61, 77. — იხ. აგრეთვე გვ. 81—84.

გივი — ეკატერინე და დიმიტრი სტაროსელსკების ვაჟი. — წერილები: 28, 29, 38, 40, 47.

გიორგი — ჭავჭავაძე გიორგი — ყვარლელი მემამულე, ილიას ნათესავი. — წერილები: 58, 61, 77, 78, 84, 91, 92. — იხ. აგრეთვე გვ. 83.

გლუხარიჩი — იხ. ერისთავი დავით.

გურამიშვილი ვახტანგ გურამის ძე — 1864 წელს ქუთაისის გუბერნიის სამმართველოს მრჩეველი. — წერილი 6.

გურიელი ლევან დავითის ძე — 1864 წელს ითვლებოდა მოხელედ კავკასიის არმიის მთავარ შტაბში. — წერილები 2, 7.

დიმიტრი = სტაროსელსკი დიმიტრი სიჩონის ძე (1832—1884), მეუღლე ოლღას უფროსი დის ეკატერინესი. — წერილები: 1, 4, 5, 6, 10, 11, 15, 16, 19, 23, 27, 28, 29, 30, 32, 33, 34, 35, 36, 38, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 48, 49, 51, 52, 54, 55, 57, 59, 79, 80, 85, 87, 88, 91. — მის შესახებ იხ. გვ. 498—499.

ეკატერინე (კატო) გურამიშვილი — სტაროსელსკისა — უფროსი და ილიას მეუღლის ოლღასი. — წერილები: 1, 2, 3. 5, 6, 10, 15, 16, 19, 20, 23, 25, 26, 27, 28, 29, 30, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 48, 49, 51, 52, 54, 55, 79, 80, 85. 86, 87, 91, 102. — იხ. აგრეთვე გვ. 79—80. 498—499.

ელისაბედი (ლიზო, ლიზა) ჭავჭავაძე-საგინაშვილისა—ილიას უმცროსი და. —წერილები: 1, 4, 6, 9, 10, 15. 17, 24, 38, 39, 40. 46. 52, 53, 54, 56, 57, 63. 66, 67, 74, 76, 77, 86, 91, 92, 93, 104, 108, 114, 115, 116, 117. — იხ. აგრეთვე გვ. 61—74.

ერისთავი ალექსანდრე (სანდრო) შანშეს ძე — გორის მაზრის თავადაზნაურობის მარშალი. — წერილები 56, 57, 58.

ერისთავი დავით (გლუხარიჩი, დათიკო გლუხარიჩი) (1847—1890). — წერილები 33, 38. — იხ. აგრეთვე გვ. 33—35, 481—482.

ერისთავი ნიკოლოზ (კოლა) რევაზის ძე — შვილი ნიკოლოზ ბარათაშვილის დის ეკატერინესი, ილიას მეგობარი. — წერილები: 33, 93, 112.

ვეზირიშვილი დიმიტრი. — წერილი 6. — იხ. აგრეთვე გვ. 62.

„ველიკი კნიაზი" — მიხეილ ნიკოლოზის ძე, კავკასიის მეფისნაცვალი 1862—1881 წლებში. — წერილები: 1, 4. 66, 91, 101, 102.

ზალიკო (ზაალ) თადეოზის ძე გურამიშვილი — ილიას მეუღლის ოლღას ძმა. — წერილი 74.

ზაქარია „ატამანის შვილი" — ერისთავი (ძე გიორგი რომანოზის ძე ერისთავისა, „ატამანისა" იხ. გვ. 62, 496). — წერილი 38.

ზუბალაანი — ივანე იაგორის ძე ზუბალაშვილის ოჯახი (ი. ზუბალაშვილი დუშეთის მაზრის უფროსად იყო და დუშეთში ცხოვრობდა ოჯახით).—წერილები: 35, 38, 39, 41, 42.—იხ. აგრეთვე გვ. 63.

თამრო — ეკატერინე და დიმიტრი სტაროსელსკების ქალი. — წერილები: 1, 2, 28, 29.

თულაშვილი ივანე გაბრიელის ძე — 1873 წელს თელავის მაზრის მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწე. — წერილი 30.

კარპეკა (კარპენკა) მიხეილ ნიკოლოზის ძე — სასამართლო პალატის პროკურორის ამხანაგი, რომელიც სარევიზიოდ ჩასულა დუშეთში და გაჩერებულა ილიასთან, როდესაც ილია „გლახის ნაამბობზე" მუშაობდა („კარპენკას მოსვლა ვერაფრად მოუხდება ჩემს „გლახის ნაამბობსა", წერდა ილია ხუმრობით თავის მეუღლეს) — წერილები 28, 29.

კატკოვის შვილი — ცნობილი ოქტიაბრისტების რუსი მწერლის მიხ. კატკოვის შვილი. — წერილი 48.

კოლა — ეკატერინე და დიმიტრი სტაროსელსკების ვაჟი. — წერილები: 28, 29, 38. 40.

ლაზარე ღონიაშვილი —ილიას ბავშვობის დროინდელი ლალა, ილიასთან ერთად აღზრდილი*). — წერილები 6, 86.

„ლაზარეს მამა“ — გოგია ღონიაშვილი. იხ. წერილი 6; აგრეთვე გვ. 82, 552.

ლიზო — ეკატერინე და დიმიტრი სტაროსელსკების ქალი. — წერილები: 1, 2, 28, 29.

ლორის-მელიქოვი მიხეილ ტარიელის ძე (1825—1888); 1880—1881 წლებში რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი („ხავერდოვანი დიქტატორი“). ილიას იგი გამოყვანილი ჰყავს თავის პამფლეტში „კიდევ გაჰოცანები“ (იხ. ტ. I, გვ. 89, კომენტარი გვ. 390). — წერილები 38, 91.

მაკო (მაიკო) აფხაზი — ილიას დისწული. ილიას უფროს დის ნინოს ქალი. — წერილები: 92, 93, 104. — იხ. აგრეთვე გვ. 10.

მამიდა — ილიას აღმზრდელი მამიდა მ ა კ რ ი ნ ა, პაატა ჭავჭავაძის ასული, მეუღლე ივანე არაგვის ერისთავისა. — წერილები: 4, 27, 37, 49. იხ. აგრეთვე გვ. 19—22.

მანსვეტაშვილი ნიკო. — წერილები: 31, 38, 53, 56, 59. — მის შესახებ იხ. აგრეთვე გვ. 61, 65, 497.

მარიამ დიასამიძე — გურამიშვილისა — ილიას მეუღლის ოღღას დედინაცვალი (ილია მას დაცინვით ეძახის „მარია დიასამიძოვნა“).—წერილი 7.

მაჩაბელი ვასილი (ვასო) — იურისტი, საზოგადო მოღვაწე (ვანო მაჩაბლის ძმა). — წერილები: 91, 92, 95, 116. — იხ. აგრეთვე გვ. 49—60.

მდივანი ასლან გიორგის ძე — სამხედრო პირი. — წერილი 45. — იხ. აგრეთვე გვ. 49, 51, 54.

მელიქიშვილი სტეფანე — ცნობილი მესტამბე და გამომცემელი, ძმა პროფ. პეტრე მელიქიშვილისა (თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორისა) და ეკატერინე მესხისა (სერგეი მესხის მეუღლისა). — წერილი 33.

მირსკი=დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკი. — 1863 — 1868 წლებში ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი. — წერილები: 1, 2, 3, 4, 91.

მუხრან-ბატონი გიორგი კონსტანტინეს ძე. — წერილი 33. — იხ. აგრეთვე გვ. 172.

მუხრან-ბატონი ირაკლი კონსტანტინეს ძე. — წერილები 51, 40. — ის. აგრეთვე გვ. 172.

მუხრან-ბატონი ლიზა (ელისაბედი) — („დიდი კნეინა ლიზა“), ილიას მეუღლის ოღღას ნათესავი. — წერილები: 19, 20, 32, 34, 35, 38. — იხ. აგრეთვე გვ. 171.

---

*) იგი მოიხსენება ილიას და ოღღას მიმოწერაში 1863 წლისა.

ნიკო=ჭავჭავაძე ნიკო დიმიტრის ძე. — წერილები: 22, 29, 30, 32. იხ. მის შესახებ აგრეთვე გვ. 29, 64, 477.

ნიკოლოზ სიმონის ძე (ნიკოლაი სომონიჩი) აბაშიძე — 1864 წელს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის მმართველი. — წერილები 6, 7.

ნიკოლოზი — ნიკოლოზ აფხაზი, ილიას სიძე (მეუღლე ილიას უფროსი დის ნინოსი). — წერილები 49, 55, 59, 60, 62, 64. 66, 67, 70, 71, 73, 78. — იხ. აგრეთვე გვ. 8, 10.

ნიკოლაძე — იგულისხმება ნიკო ნიკოლაძე. — წერილი 33.

ნინო (ნინუცა) ჭავჭავაძე — აფხაზისა — ილიას უფროსი და ნინო, მეუღლე ნიკოლოზ აფხაზისა.—წერილები 4, 16, 49, 51, 52, 53, 54, 56, 57-59, 60, 62, 64, 65, 67, 69, 70, 71, 73, 77, 78, 84, 92. — იხ. აგრეთვე გვ. 7—11, 471—472.

ნინო — ეკატერინე და დიმიტრი სტაროსელსკების ქალი. — წერილები: 1, 2, 28, 29.

პლატონ ეგნატეს ძე (პლატონი იგნატიჩი) = **პლატონ ეგნატეს ძე იოსელიანი** (1809—1875). — ცნობილი ისტორიკოსი. — წერილი 24

პოლტარაცკი ივანე (1836—1892). — წერილები 5, 8, 20, 21, 22, 32, 34, 37. — მის შესახებ იხ. 24, 475.

რუსია — ეკატერინე და დიმიტრი სტაროსელსკების ქალი წერილები: 28, 29.

საგინაშვილი ალექსანდრე — ილიას სიძე, ილიას უმცროსი დის ელისაბედის მეუღლე. — წერილები: 27, 39, 40. 49, 54, 55, 67, 77 . , 92, 93, 94, 108, 119. — იხ. აგრეთვე გვ. 78, 498.

სავანელი ალექსანდრე ივანეს ძე — დუშეთის მომრიგებელი მოსამართლე (1873 წლიდან), ლიტერატორი, „ცისკრის“ თანამშრომელი. — წერილები 39, 40, 42.

სენო — ეკატერინე და დიმიტრი სტაროსელსკების ქალი. — წერილები: 1, 2, 3, 10, 28, 29, 33, 38, 40, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 54, 55, 57, 58. 61, 70, 91, 94.

სენო — ილიას ძმისწული (ილიას უფროსი ძმის კონსტანტინეს ვაჟი). — წერილები: 46, 47, 48, 70, 101, 117.

სენო — ილიას დისწული. — წერილები 41, 105.

სერებრიაკოვი — ილია ოქრომჭედლიშვილი (1838—1898) — წერილი 93. — იხ. აგრეთვე გვ. 93—102, 503—505.

სტარიცკი ევგენი პავლეს ძე. — წერილები: 6, 8, 19, 22, 25. მის შესახებ იხ. აგრეთვე გვ. 172.

ტომანოვი დიმიტრი გიორგის ძე—დუშეთ-თიანეთის დაწყებითი სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწე — წერილი 35.

ქანანოვი ნიკოლოზ — ჟურნალისტი, წერდა დავითაშვილის ფსევდონიმით — წერილი 84.

ღოღობერიძე ნიკოლოზ—წერილები: 2, 5, 6. მის შესახებ იხ. გვ. 32, 495.

უაზბეგი დიმიტრი. — წერილები: 6, 10, 29, 32, 34, 37, 42, 54. — მის შესახებ იხ. 494, 51, 56.

შალიკაშვილი იოსებ ივანეს ძე (შალიკოვი, სოსიკო) — კახელი მემამულე. დიმიტრი და ეკატირინე სტაროსელსკების ოჯახის მეგობარი, შემდეგ მათი სიძე (მეუღლე ნინო დიმიტრის ასულისა). — წერილები: 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 36, 38, 42, 49, 52, 93.

შარვაშიძე გიორგი (1846—1918) — აფხაზეთის მთავრის მიხეილის ძე, პოეტი, დრამატურგი, საზოგადო მოღვაწე. — წერილები: 50, 51, 63, 89. (იხ. მის შესახებ ს. ჯანაშიას მონოგრაფია „გიორგი შარვაშიძე").

გიორგი შარვაშიძის მეუღლე — ელენე (ელო) ერასტის ასული. — წერილი 51.

გიორგი შარვაშიძის და — ბაბალე (ბაბო). — წერილი 51.

შარვაშიძე გიორგი დიმიტრის ძე (ნათესავი გიორგი მიხეილის ძისა, მთავრის შვილისა). 1889 წლიდან თბილისის გუბერნატორი. — წერილები: 31, 32, 94.

ჩიკვაიძე მიხეილ ფილიპეს ძე. — წერილები 1, 12, 15. — მის შესახებ იხ. გვ. 24, 69, 79, 474.

ჩუბინაშვილი დავით (1814—1892). — წერილები 50, 89, 90. — მის შესახებ. იხ. 135—136, 59, 495.

ცაგარელი ალექსანდრე (1844—1929). — წერილი 89. — მის შესახებ იხ. გვ. 59, 495.

* * *

შენიშვნა ილიას დანარჩენი წერილების შესახებ

წინამდებარე გამოცემაში შევიდა ილია ჭავჭავაძის 328 წერილი.

რამდენადაც წინამდებარე გამოცემა არის ილიას თხზულებათა კრებული და არა უბრალო საარქივო გამოცემა, ჩვენ არ დავინახეთ საჭიროდ შეგვეტანა აქ წერილები და ბარათები საოჯახო-სამეურნეო ხასიათისა და სხვა უმნიშვნელო წერილები, რომლებიც არ წარმოადგენენ საზოგადოებრივ ინტერესს და არც რაიმეს იძლევიან ილიას ბიოგრაფიისათვის.

მაინც საჭიროდ ვთვლით მოვიყვანოთ ნუსხა ამ წერილებისა, რომლებიც არ შევიდნენ წინამდებარე გამოცემაში და აღვნიშნოთ, თუ სად არიან ისინი დაცულნი.

ამ წერილების რიცხვი 97-მდე აღწევს. ზოგი, მათგანი გამოცემულიცაა.

*

ნუსხა წერილებისა, რომლებიც არ შევიდნენ წინამდებარე გამოცემაში

1. სამეურნეო-საოჯახო ხასიათის სხვადასხვა წერილები ო ლ ღ ა გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ-ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ა დ მ ი. სულ 65 წერილი.

დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ილიას ფონდი, №№ 102, 103, 104).

2 — 10. **სამეურნეო-საოჯახო ხასიათის წერილები სხვადასხვა პირებისადმი**

2. მ ი ხ ე ი ლ ჩ ი ქ ვ ა ი ძ ი ს ა დ მ ი. 1 წერილი.

დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში (L—17617)*.

---

* გამოცემულია ი. ბოცვაძის მიერ (ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, წერილები 1949, გვ. 103—104).

3. ილია წინამძღვრიშვილისადმი. 1 წერილი.
დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (ილიას ფონდი, № 115).

4. ეკატერინე გურამიშვილ—სტაროსელსკისადმი. 1 წერილი.
დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (ილიას ფონდი, № 102)*.

5. ელისაბედ ჭავჭავაძე—საგინაშვილისადმი. 2 წერილი.
დაცულია სალიტერატურო მუზეუმში (L—17539, L—17540).

6. გიორგი თარხნიშვილისადმი. 4 წერილი.
დაცულია სალიტერატურო მუზეუმში (L—17565, L—17565, L—17567. L—17568).

7. ნოშრევან ჯაფარიძისადმი. 6 წერილი.
მათ შორის ხუთი წერილი დაცულია სალიტერატურო მუზეუმში (L—17587, L—17582, L—17589, L—17590, L—17592); ერთი წერილი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (ილიას ფონდი, № 116)**.

8. მოურავ სანდროსადმი. 2 წერილი.
დაცულია სალიტერატურო მუზეუმში (L—1760, L—1761)***.

9. მოურავ მერაბისადმი. 1 წერილი.
დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (ილიას ფონდი № 114).

10. ბარათი მოურავისადმი.
დაცულია სალიტერატურო მუზეუმში (L—17621).

11 — 15. სხვადასხვა წერილები

11. კოლა ერისთავისადმი. 6 წერილი.
დაცულია სალიტერატურო მუზეუმში (L—17600, L—17601, L—17602, L—17603, L—17604, L—17605)****.

12. ნიკო ხიზანშვილისადმი. 4 წერილი.
დაცულია სალიტერატურო მუზეუმში (L—1706, L—17607, L—17608, L—17609)*****.

---

* გამოცემულია მის მიერვე, გვ. 118—123.
** პირველი ხუთი წერილი გამოცემულია მის მიერვე, გვ. 129—133.
*** გამოცემულია მის მიერვე, 127—128.
**** გამოცემულია მის მიერვე, გვ. 92—93.
***** გამოცემულია მის მიერვე, გვ. 93—94.

13. გ ი ვ ი ვ ა ხ ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი (დეპეშა).
დაცულია სალიტერატურო მუზეუმში (L—1228).

14. ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ო ქ რ ო პ ი რ ი ძ ე ეპისკოპოსისადმი. 1 წერილი დაცულია ხელთნაწერთა ინსტიტუტში (ალექსადრე ოქროპირიძის ფონდი; უნომრო).

*

15. წინამდებარე გამოცემაში არ შეგვიტანია აგრეთვე წერილი ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორ ა რ ქ ი მ ა ნ დ რ ი ტ ს ე რ ა ფ ი მ ი ს ა დ მ ი.
დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (ილიას ფონდი №№ 120, 118, 119). გამოცემულია შალვა გოზალიშვილის მიერ (ჟურნ. „მნათობი, 1957 წ., № 9).

• • •

ილიას მიმოწერა უცხოელ მოღვაწეებთან:

მარჯორი უორდროპთან, პროფ. ჰუგო შუხარდტთან, პროფ. ვ. მორფილთან, ე. კაზალეტთან.

ილიას მიმოწერა ჰქონდა უცხოელ მოღვაწეებთან: მარჯორი უორდროპთან, გრაცის უნივერსიტეტის პროფესორ ჰუგო შუხარდტთან, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორ ვ. მორფილთან, ინგლის-რუსეთის სალიტერატურო საზოგადოების პრეზიდენტ ე. კაზალეტთან.

ილიას არქივში შენახულია მათი წერილები ილიასადმი.

თვით ილიას წერილები ამ პირთა მიმართ საძიებელია საზღვარგარეთ, დასახელებულ პირთა არქივებში[1].

უცხოელ კორესპონდენტთა წერილებიდან ილიასადმი მოგვყავს აქ მოკლე ბარათი ჰუგო შუხარდტისა ქართულ ენაზე. გამოჩენილ ავსტრიელ მეცნიერს ჰუგო შუხარდტს შესწავლილი ჰქონდა ქართული ენა.

სულ ჩვენამდე მოღწეულა ოთხი წერილი ჰ. შუხარდტისა ილიასადმი, რომლებიც ეკუთვნიან 1895 და 1896 წლებს (დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ილიას ფონდი № 220). ამათგან სამი წერილი ფრანგულად არის ნაწერი, ერთი ქართულად. ფრანგულ წერილებში მოხსენებულ ქართულ თხზულებათა სახელწოდებანი ჰ. შუხარდტს ქართულადა აქვს მოყვანილი. ამას გარდა, პირველ ფრანგულ წერილში, რომელიც მოწერილია გრაციდან 1895 წ. 11 ივნისს, წერილის ბოლოს, ჰ. შუხარდტი ქართულად სწერს ილიას: „ეხლა დავიწყებ კითხვასა თქვენის წერილისა „ვლადიკავკასიდამ ტფილისამდე“, მაგრამ ძალიან ძნელია ჩემთვის“. ნაწარმოები რომელსაც ასახელებს ჰ. შუხარდტი, ეს არის ილიას „მ გ ზ ა ვ რ ი ს წ ე რ ი ლ ე ბ ი“, რომლის მეორე ნაწილში ჩვენ გვაქვს მოხევის საუბარი მთის კილოზე, რაც ჰ. შუხარდტისათვის საძნელო აღმოჩენილა.

ჰ. შუხარდტს თუმცა მეცნიერულად შესწავლილი ჰქონდა ქართული ენა, მაგრამ ამ დროს იგი იმდენად არ იყო დაუფლებული სალაპარაკო ქართულს, რომ შესძლებოდა თავისუფლად ვრცელი წერილის მოწერა.

მაინც გამოჩენილ ავსტრიელ მეცნიერს თავისი განსაკუთრებული პატივისცემა ილიასადმი იმით გამოუხატავს, რომ ერთ-ერთი ბარათი, პასუხი ილიას წერილზე, მას ქართულად მოუწერია. მოგვყავს იგი:

---

[1] ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ერთი წერილი ილიასი მარჯორი უორდროპისადმი, რომლის შავი აღმოჩნდა ილიას ჩაღალდებში (იხ. გვ. 138—139).

•

ბარათი ჰუგო შუხარდტისა
ილია ჭავჭავაძისადმი

8 დეკემბრისთვეს 1895
ქ. გრაცი

მოწყალეო ხელმწიფევ!

გუშინ მივიღე თქვენი წერილი და დღეს დაბარებული წიგნები. დიდად გმადლობთ ამისათვის.

დავშთები მარად-ყამ თქვენი პატივისმცემელი
Hugo Schuchardt



P. S.

წინამდებარე გამოცემის ტექსტი დასაბეჭდად იყო ხელმოწერილი დ. წიგნის ბეჭდვა უკვე სრულდებოდა, როდესაც ქუთაისში (სადაც ჩვენ ჩასული ვიყავით ადგილობრივ სიძველეთ-საცავებში დაცული სალიტერატურო-საისტორიო მასალების შესასწავლად) მოპოვებულ იქმნა ახალი მასალები, რაც ავსებს ზემოთ-დაბეჭდილს სარედაქციო შენიშვნებში წარმოდგენილ ცნობებს.

ამათგან ერთი მასალა ეხება წერილს, ხელმოწერილს „ჩ ვ ე ნ უ ჩ ი ნ ო ნ ი“, რომელსაც აკავშირებდნენ ილიას ცნობილ წერილთან ნიკო ნიკოლაძისადმი 1873 წლის 7 დეკემბრის თარიღით;

მეორე ეხება ილიას წერილს პეტერბურგის ქართველი სტუდენტებისადმი 1897 წლისა.

* * *

წერილი ხელმოწერილი „ჩვენ უჩინონი“.

სარედაქციო შენიშვნებში (იხ. ზემოთ, გვ. 485—491)) ჩვენ გამოთქმული გვქონდა მოსაზრება, რომ წერილი, ხელმოწერით „ჩ ვ ე ნ უ ჩ ი ნ ო ნ ი“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ 1873 წელს (28 დეკემბერს) და რომელსაც ილია ჭავჭავაძეს მიაწერდნენ, არ ეკუთვნის ილია ჭავჭავაძეს, არამედ წარმოადგენს კოლექტიურ წერილს პეტერბურგის ქართველი სტუდენტებისა.

ამჟამად აღმოჩნდა დოკუმენტი, რომელმაც ეს მოსაზრება დაადასტურა.

როგორც ცნობილია, თვითმპყრობელობის დროს არსებობდა წესი, რომ როდესაც ცენზურა მოითხოვდა რედაქციისაგან ცნობას, თუ ვინ არიან ფსევდონიმის ქვეშ ამოფარებული მწერლები, რედაქცია ვალდებული იყო ეცნობებია მათი ვინაობა, წინააღმდეგ შემთხვევაში წერილის დაბეჭდვის ნებას არ მისცემდნენ (ხოლო ყალბი ცნობის მიწოდების შემთხვევაში ორგანოს აკრძალავდნენ). ამიტომაც ავტორები, რომლებიც ფსევდონიმის ქვეშ წერდენ, აცნობებდნენ ხოლმე რედაქციას თავის ვინაობას.

როდესაც ავტორებს სტატიისას, რომელიც ხელმოწერილია „ჩვენ უჩი-

ნონი“ გამოუგზავნიათ პეტერბურგიდან „დროების“ რედაქციაში ეს სტატია, თან გამოუყოლებიათ წერილიც, სადაც გახსნილი იყო მათი ფსევდონიმი „ჩ ვ ე ნ უ ჩ ი ნ ო ნ ი“. ეს წერილი დღემდე გადარჩენილა; იგი ჩვენ ვიპოვეთ კირილე ლორთქიფანიძის არქივში, რომელიც დაცულია ქუთაისის სამხრეთმცოდნეო მუზეუმში (К—1051). კირილე ლორთქიფანიძე 1873 წლის ბოლოს გაზეთ „ დროების“ რედაქტორის მოვალეობას ასრულებდა და ეს წერილი მას შემოუნახავს თავის ქაღალდებში.

აი რა სწერია ამ წერილში, რომელიც თან ხლებია სტატიას ხელმოწერით „ჩ ვ ე ნ უ ჩ ი ნ ო ნ ი“; მოგვყავს მისი ტექსტი სრულად:

*

„რედაქციასა ვთხოვთ ეს შენიშვნა[1] შეუცვლელად დაბეჭდოს. თუ საჭიროა შეტყობა, ვინ არიან ეს „უჩინონი“, ჩვენ ჩვენს თავს ჩამოვთვლით:

ე. იოსელიანი,
ლ. ჩერქეზი(შვილი),
ნ. ხუდადოვი,
კ. ნაცვლი(შვილი),
გ. ზდანოვიჩი,
რ. ფავლენიშვილი,
ვ. ვართანოვი,
ის. ქიქოძე,
იოს. ქიქოძე,
ი. კოპაძე,
მ. ყიფიანი,
ქ. ფურცელაძე,
დ. ფურცელაძე,
დ. ნაზარი(შვილი),
ს. კანდელაკი,
ა. გამყრელიძე,
ი. წეროძე,
ა. მირზაშვილი და
ი. მაჩაბელი.

თუ ცენზორი ამ სტატიის ავტორს მოიკითხავს, რომელიც გსურდეთ ამ ჩამოთვლილებში ის წარუდგინეთ“.

*

ამრიგად დასტურდება, რომ სტატია კოლექტიურია. სტატიის ავტორები არიან პეტერბურგელი სტუდენტები.

ხოლო დიდად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ავტორები შეადგენენ ერთს გარკვეულ ჯგუფს სტუდენტებისას, — ისინი არიან რევოლუციონერი სტუდენტობა, ხალხოსნები. თითქმის ყველა მათგანი პროფესიონალი რევოლუციონერები იყვნენ.

გასაგებია ამის შემდეგ შეურიგებლობის ის სული, რომლითაც აღბეჭდილია მათი წერილი.

უაღრესად საყურადღებოა ამასთან ის გარემოება, რომ ამ რევოლუციონურ სტუდენტობას საჭიროდ დაუნახავს თავისი სტატია გაეცნოთ და შეეთანხმებინათ ილია ჭავჭავაძისათვის. ცხადია ისინი ილია ჭავჭავაძეს ახალი თაობის წინამძღოლად სთვლიდნენ.

---

[1] ე. ი. სტატია, ხელმოწერით „ჩ ვ ე ნ უ ჩ ი ნ ო ნ ი“.

რომ რევოლუციონური სტუდენტობა ილია ჭავჭავაძეს ახალი თაობის ბელადად აღიარებდა, დასტურდება ჯერ თუნდაც იმის მიხედვითაც, რომ მათ თავისი ფსევდონიმი აუღიათ ილიას ლექსიდან (სახელწოდება „ჩ ვ ე ნ უ ჩ ი ნ ო ნ ი“ აღებულია ილიას ცნობილი ლექსიდან „პასუხის პასუხი“, რომელიც ახალი თაობის პასუხს წარმოადგენდა ძველი თაობის მიმართ).

გავეცნოთ ამის შემდეგ, ვინ არიან ეს „უჩინონი“.

ეს „უჩინონი“ არც ისე უჩინონი არიან. ისინი არიან დიდად საჩინო წევრები ქართული ხალხოსნური მოძრაობისა.

ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ე გ ნ ა ტ ე (1846—1926), რომელიც პირველად არის მოხსენებული სიაში, იყო ქართველი ხალხოსნების ბელადი 70-იან წლებში. ხალხოსანი მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი აღნიშნავს, რომ ეგნატე იოსელიანი იყოო „ჩვენი მიმართულების ლიდერი, გზის და მიმართულებების მაჩვენებელი“[1].

მეორე ხალხოსანი — შიო დავითაშვილი გადმოგვცემს, რომ ეგნატე იოსელიანს ქართველი ხალხოსნები „რევოლუციის პატრიარქს“ უწოდებდნენ[2].

1873 წელს ეგნატე იოსელიანი იყო პეტერბურგის სამოწათმოქმედო ინსტიტუტის ბოლო კურსის სტუდენტი; იგი იყო მეთაური პეტერბურგის ქართველ ხალხოსანთა ჯგუფისა. შემდეგ, 1875 წელს, იგი კავშირშია მოსკოვში მყოფ გიორგი ზდანოვიჩთან, რომელიც ამ დროს ხელმძღვანელობს „სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციურ ორგანიზაციას“. 1876 წელს ეგნატე იოსელიანი ჩამოვიდა საქართველოში და სათავეში ჩაუდგა ქართულ ხალხოსნურ მოძრაობას. 1876 წლის 8 ოქტომბერს იგი დაპატიმრებულ იქმნა. გაასამართლეს 1878 წელს და გადაასახლეს ჯერ აღმოსავლეთ ციმბირში, შემდეგ ურალში. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ მეორედ გადაასახლეს 1883 წელს სემიპალატინსკის ოლქში. საქართველოში დაბრუნდა 1885 წელს.

გ ი ო რ გ ი ზ დ ა ნ ო ვ ი ჩ ი — მ ა ი ა შ ვ ი ლ ი (1855 — 1917) — გამოჩენილი ქართველი რევოლუციონერი 70-იანი წლებისა. ხალხოსანი. 1873 წელს იგი იყო პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის სტუდენტი. 1874 წელს იგი გადადის მოსკოვში და აარსებს, სხვა რევოლუციონერებთან ერთად, „სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციურ ორგანიზაციას“, რომელშიაც ქართველებს წამყვანი როლი ეკუთვნოდა. 1875 წ. გიორგი ზდანოვიჩი ხდება ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

გიორგი ზდანოვიჩი დააპატიმრა მთავრობამ 1875 წელს 19 სექტემბერს. 1877 წელს იგი გაასამართლეს „ორმოცდაათთა“ ცნობილ პროცესზე, რო-

[1] იხ. ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1932 წ., გვ. 73.

[2] იხ. შიო დავითაშვილი, ხალხოსნური მოძრაობა საქართველში, 1933 წ., გვ. 53.

მელზედაც გიორგი ზდანოვიჩმა ბრწყინვალე რევოლუციური სიტყვა წარმოსთქვა. სასამართლომ მას კატორღა მიუსაჯა. 1877—1883 წლებში გ. ზდანოვიჩი კატორღაშია, ციმბირში; შემდეგი წლები იგი გადასახლებაშია, ციმბირშივე. საქართველოში დაბრუნდა 1889 წელს. მას შემდეგ იგი საქართველოში ეწევა პუბლიცისტურ მოღვაწეობას (მაიაშვილის ფსევდონიმით)

აღსანიშნავია, რომ გიორგი ზდანოვიჩმა, როდესაც იგი ჯერ კიდევ კატორღაში იმყოფებოდა, გამოუგზავნა ილია ჭავჭავაძეს 1882 წელს თავისი ცნობილი წერილი, სათაურით „წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ“, რომელიც მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისა და რომელიც ილიამ დაბეჭდა „ივერიაში“ (1882 წ. №№ 7—8 და 9).

ანთიმოზ გამყრელიძე (1854—1894) — აგრეთვე გამოჩენილი რევოლუციონერი 1870-იანი წლებისა. ხალხოსანი. 1873 წელს იყო სტუდენტი პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიისა. 1874 წელს გადმოდის მოსკოვში და მუშაობს „სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციურ ორგანიზაციაში“, რომლის ხელმძღვანელიც 1875 წლიდან გიორგი ზდანოვიჩი-მაიაშვილი იყო. დააპატიმრეს 1875 წელს. გაასამართლეს 1877 წელს „ორმოცდაათთა“ ცნობილ პროცესზე და მიუსაჯეს კატორღა. 1877 წლიდან —1889 წლამდე იგი ციმბირშია. 1889 წელს დაბრუნდა საქართველოში, მაგრამ მეორედ დააპატიმრეს და ისევ ციმბირში გადაასახლეს. 1894 წელს დაავადმყოფებული ჩამობრუნდა საქართველოში და ჩამოსვლის დღეებშივე გარდაიცვალა[1].

მიხეილ (მიშო) ქაიხოსროს ძე ყიფიანი (1849—1917). ქართული ხალხოსნური მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი. (სოფრომ მგალობლიშვილის სიტყვით, ეგნატე იოსელიანის გვერდით, „მეორე ლიდერი ხალხოსნური მოძრაობისა ჩვენში იყო მიხეილ (მიშო) ყიფიანი“)[2]. 1873 წელს იგი იყო პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტი, წევრი ქართველ ხალხოსანთა პეტერბურგის ჯგუფისა. 1875 წელს ჩამოდის საქართველოში, გადადის სამუშაოდ ქუთაისში, და ისიდორე ქიქოძესთან ერთად აარსებს აქ ხალხოსნურ-რევოლუციონერ ორგანიზაციას. 1876 წლის ოქტომბერში იგი დააპატიმრეს და გადაასახლეს

[1] ანთიმოზ გამყრელიძის ოჯახში დაცულია გადმოცემა: როდესაც ციმბირიდან დაბრუნებული ავადმყოფი ა. გამყრელიძე, ქუთაისზე გამოვლით, ნათესავთა თანხლებით, მოდიოდა თავის სოფელში რაჭაში, ნაქერალის ქედზე ასულს გადმოუხედავს თავის სოფლისაკენ — სიტყვებით: „ძლივს არ მეღირსა სამშობლოში დაბრუნება“-ო, და იქვე ნაქერალის ქედზე გარდაცვლილა (გადმოგვცა თამარ მაჭავარიანმა და ა. გამყრელიძის დისწულმა ვასილ ჯაფარიძემ, რომელიც ამჟამად ცოცხალია, ღრმად მოხუცებული).

[2] სოფრომ მგალობლიშვილი, მოგონებანი, გვ. 75, 73.

ციმბირში (ჯერ დასავლეთ ციმბირში, შემდეგ გადაიყვანეს ურალზე, ორენბურგში). 1880 წელს დაბრუნდა საქართველოში. 1883 წელს ხელახლა დაპატიმრეს და გადაასახლეს (ხალხოსნებთან სტეფანე ჭრელაშვილთან და ალექსანდრე ნანეიშვილთან ერთად) ჯერ დასავლეთ ციმბირში, ხოლო შემდეგ გადაიყვანეს ყაზახეთში (სემიპალატინსკის ოლქში). საქართველოში ჩამობრუნდა 1887 წელს[1].

ი ს ი დ ო რ ე ქ ი ქ ო ძ ე—1873 წელს პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის სტუდენტი. ხალხოსანი. 1876 წელს ჩამოდის საქართველოში და მიხეილ ყიფიანთან ერთად არის ხელმძღვანელი ქართველ ხალხოსანთა ჭუთაისის რევოლუციური ორგანიზაციისა. 1876 წლის ოქტომბერში, როდესაც დააპატიმრეს მიხეილ ყიფიანი, მთავრობის აგენტებმა ვერ შესძლეს ისიდორე ქიქოძის შეპყრობა, მან მოახერხა საზღვარ-გარეთ გაქცევა. მას შემდეგ არა ერთგზის დაბრუნებულა საქართველოში არალეგალურად.

ი ო ს ე ბ ქ ი ქ ო ძ ე (1846—1922) — 1873 წელს პეტერბურგის სატყეო ინსტიტუტის სტუდენტი. 70-იან წლებში წევრი პეტერბურგის ქართველ ხალხოსანთა ჯგუფისა.

რ ო მ ა ნ ფ ა ვ ლ ე ნ ი შ ვ ი ლ ი (1854—1877)—1873 წელს პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის სტუდენტი. ხალხოსანი. 1876 წელს გამორიცხეს აკადემიიდან სტუდენტთა გამოსვლებში მონაწილეობის გამო და გამოასახლეს პეტერბურგიდან. საქართველოში ჩამოსვლისას, იმავე 1876 წლის ოქტომბერში, იგი დააპატიმრეს როგორც წევრი ქართველ ხალხოსანთა ორგანიზაციისა. მოკვდა განმარტოებულ პატიმრობაში მყოფი, დაჭლექებული, 1877 წელს.

ლ ე ვ ა ნ ჩ ე რ ქ ე ზ ი შ ვ ი ლ ი — 1874 წელს სტუდენტი პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტისა. ხალხოსანი. საქართველოში ჩამობრუნების შემდეგ დაპატიმრებულ იქმნა 1876 წელს როგორც წევრი ქართველ ხალხოსანთა ორგანიზაციისა. განმარტოებულ პატიმრობაში ჰყავდათ ექვს თვე ნახევარი. შემდეგი მისი ბედი უცნობია.

---

[1] გადასახლებაში მიხეილ ყიფიანს ახლდა მისი მეგობარი, შესანიშნავი ქართველი ქალი ე ლ ი ს ა ბ ე დ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ა ს უ ლ ი შ ა რ ვ ა შ ი ძ ე (ძმისწული აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილისა). რომელმაც გადასახლებაში მიმავალ მიხეილ ყიფიანზე ჯვარი დაიწერა ჭუთაისის ციხეში 1883 წელს, თან გაჰყვა სემიპალატინსკის ოლქში, ხოლო ვეღარ აიტანა გადასახლება და 1887 წელს გარდაიცვალა ჭლექით სემიპალატინსკის ოლქის ქალაქ უსტ-კამენოგორსკში.

ი ს ი დ ო რ ე წ ე რ ო ძ ე — 1873 წელს ახალ დამთავრებული ჰქონდა კიევის საველერინარო ინსტიტუტი, მსახურობდა პეტერბურგის მაზრაში; იყო წევრი ქართველ ხალხოსანთა პეტერბურგის ჯგუფისა. 1877—1878 წლებში იგი საქართველოში იმყოფება. შემდეგ ისევ ბრუნდება რუსეთში სამედიცინო სწავლის გასაგრძელებლად. რუსეთში ყოფნის დროს მას მოელოდა დაპატიმრება, როგორც ხალხოსნური ორგანიზაციის წევრს, მაგრამ მოასწრო დამალვა და საზღვარგარეთ წასვლა. გარდაიცვალა ემიგრაციაში, პარიზში, 1885 წელს.

კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ნ ა ც ვ ლ ი შ ვ ი ლ ი — 1873 წელს პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტია. ამ დროიდანვე ებმება ხალხოსნურ მოძრაობაში. 1876 წლის ოქტომბერში, როდესაც გაცემულ იქმნა ქართველ ხალხოსანთა რევოლუციური ორგანიზაცია, კ. ნაცვლიშვილი სამართალში იყო მიცემული როგორც ხალხოსნური ორგანიზაციის წევრი.

ქ ა ი ხ ო ს რ ო ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე—1873 წელს პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის სტუდენტი იყო (დაამთავრა 1874 წელს). ცნობილი ხალხოსანი.

დ ა ვ ი თ ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე (ძმა ქაიხოსრო ფურცელაძისა) — ხალხოსანი. 1873 წელს პეტერბურგშია. 1876 წლის ოქტომბერში, როდესაც გაცემულ იქმნა ქართველ ხალხოსანთა რევოლუციური ორგანიზაცია, დავით ფურცელაძე დააპატიმრეს და განმარტოებულ პატიმრობაში ჰყავდათ წელიწად-ნახევარი. გაასამართლეს 1878 წელს. პატიმრობიდან გაანთავისუფლეს 1879 წელს, რის შემდეგ პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

ნ ი კ ო ხ უ დ ა დ ო ვ ი (1850—1907). გორელი ქართველი. 1873 წელს სტუდენტი პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიისა. 70-იან წლებში ახლო მონაწილეობას იღებდა ხალხოსნურ მოძრაობაში.

დ ი მ ი ტ რ ი ნ ა ზ ა რ ი შ ვ ი ლ ი (1854—1927) — 1873 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი. ხალხოსანი. შემდეგ სცემდა ხალხოსნური მიმართულების გაზეთს „შრომა“, რომელიც გამოდიოდა ქუთაისში 1881—1883 წ. წ.

ვინ იყვნენ სიაში მოხსენებულნი დანარჩენნი „უჩინონი“ — ი. კოპაძე, ვ. ვართანოვი და ა. მირზაშვილი — ცნობები არ მოგვეპოვება. ყველა

ისინი, საფიქრებელია, ხალხოსნები იყვნენ. კერძოდ მირზაშვილის შესახებ დაცულია ცნობა, რომ იგი 1873—4 წლებში პეტერბურგში ცხოვრობდა, ეკუთვნოდა გიორგი ზდანოვიჩის ჯგუფს და რომ მირზაშვილი „вследствие политической неблагонадежности был подчинен надзору полиции“[1].

*

აღსანიშნავია, რომ ივანე მაჩაბელი სტუდენტობის დროს, 1873 წელს ხალხოსანთა წრესთან ყოფილა დაკავშირებული.

ეს ცხრამეტი „უ ჩ ი ნ ო ნ ი“, როგორც ირკვევა, შეადგენდა ერთს მჭიდროდ დაკავშირებულ ჯგუფს, ერთ ორგანიზაციას. წერილში შემთხვევით არ არის აღნიშნული, რომ — „თუ ცენზორი ამ სტატიის ავტორს მიაკითხავს, რომელიც გსურდეთ ამ ჩამოთვლილებში ის წარუდგგინეთ“-ო.

წერილი, როგორც გამოირკვა, კოლექტიურია. საფიქრებელია, რომ მთავარი ამ ცხრამეტ თანასწორ „უ ჩ ი ნ ო თ ა“ შორის იყო ეგნატე იოსელიანი, რომელიც პირველად არის დასახელებული სიაში და რომელსაც ხალხოსნები „რევოლუციის პატრიარქს“ უწოდებდნენ. წერილის შედგენაში ახლო მონაწილეობა მიუღია ივანე მაჩაბელს. როგორც ხელის შედარებიდან გამოირკვა, ის დედანი წერილისა, რომელიც დაცულია ნიკო ნიკოლაძის არქივში, ივანე მაჩაბელის ხელით არის გადაწერილი. ივანე მაჩაბლის ხელითვეა ნაწერი წერილი, სადაც ჩამოთვლილია 19 „უჩინონი“.

ასეთია ისტორია ამ წერილისა, რომელიც ხელმოწერილია „ჩვენ უჩინონი“.

ახლად დადგენილი ფაქტები ამრიგად ახალ ფურცელს გადაგვიშლის სამოცდაათიანი წლების ქართული საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიიდან.

ქართველი რევოლიუციონური ახალგაზრდობა, ქართველი ხალხოსნები, ამ დროს ჯერ კიდევ „უ ჩ ი ნ ო ნ ი“, რომლებიც ახლად გამოდიოდნენ სამოღვაწეოდ საზოგადოებრივ ასპარეზზე, ახალი თაობის წინამძღოლად ილიას სთვლიდნენ და თავის ბელადად აღიარებდნენ.

* * *

ილიას წერილი ქართველ სტუდენტებისადმი 1897 წლისა

ამ წერილის ისტორია ჩვენ დაწვრილებით განხილული გვქონდა ზემოთ (გვ. 516—522).

---

[1] იხ. Деятели революционного движения в России, био-библиографический словарь, М. 1929—1932, т. II, семидесятые годы, вып. 3, გვ. 931.

როგორც აღვნიშნეთ, წერილის ხელნაწერი დედანი, რომელიც ამ საუკუნის დასაწყისში ს. ფირცხალავას გადაუცია წ. კ. საზოგადოებისათვის, შემდეგ მოხვედრილა ჟურნალ „ნიშადურის“ რედაქციაში, აქედან დაუბეჭდია წერილის ტექსტი ვალერიან გუნიას 1908 წელს, ხოლო შემდგომი ბედი ხელნაწერი დედნისა უცნობი იყო.

ვინაიდან ხელნაწერი დედანი დაკარგულად იყო მისაჩნევი, ჩვენს გამოცემაში წერილის ტექსტი გადმოვბეჭდეთ ვალერიან გუნიას პირველნაბეჭდიდან (წერილის პირველი შავის ტექსტის გათვალისწინებით). იხ. გვ. 141—144.

ამჟამად ქუთაისში აღმოჩნდა ხელნაწერი დედანი წერილისა, საიდანაც დაბეჭდა წერილის ტექსტი ვალერიან გუნიამ 1908 წელს, და რომლის კვალი 1908 წლის შემდეგ აღარა სჩანდა. ეს ხელნაწერი დედანი შეუძენია კერძო პირისაგან 1934 წელს პროფ. კ. მეძველიას, რომელმაც, გაიგო რა, რომ ვაქვეყნებთ ილიას წერილების სრულს კრებულს, გადმოგვცა იგი, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

(წერილი ამჟამად დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ილიას ფონდი № 499).

შედარება ხელნაწერ დედნისა ვალერიან გუნიას მიერ დაბეჭდილ ტექსტთან გვიჩვენებს, რომ ვ. გუნიას პუბლიკაციაში არის ზოგიერთი დეფექტი. ასე, მაგალითად, ვ. გუნიას ნაბეჭდ ტექსტში წერილის თარიღი ნაჩვენები არაა. გამოირკვა, რომ წერილს მოწერილი ჰქონია თარიღი: „5 აპრილი 1897 წ. ტფილისი“, რაც გამომცემელს ჩანს უმნიშვნელოდ მიუჩნევია და არ დაუნახავს საჭიროდ მისი დაბეჭდვა[1]. ამას გარდა არის ზოგიერთი სხვა ტექსტუალური განსხვავება ნაბეჭდი ტექსტისა ხელნაწერ დედანთან შედარებით, ზოგი სიტყვა არაა სწორად ამოკითხული, ზოგი სიტყვები გამორჩენილია და სხვ.

ვინაიდან ეს წერილი დიდად მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს, ვბეჭდავთ წერილის ტექსტს იმ სახით, როგორადაც იგი წარმოდგენილია ხელნაწერ დედანში.

* * *

წერილი პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისადმი

5 აპრილი, 1897 წ.

ტფილისი.

მოწყალეო ბატონებო, მე დიდ პატივად მიმაჩნია, რომ თქვენ ინებეთ და ჩემი სარჩიელი მოითხოვეთ. გთხოვთ მიიღოთ ჩემგან უუგულითადესი

[1] რაკი ნაბეჭდ ტექსტში თარიღი აღნიშნული არ იყო, ჩვენს გამოცემაში მითითებული გვქონდა სავარაუდებელი თარიღი, რკალებში ჩასმით [1897 წ., აპრილი], რაც საკმაო სიზუსტით დაემთხვა ხელნაწერში წარმოდგენილ თარიღს (1897 წ., 5 აპრილი).

მადლობა ამნაირ, ჩემ მიერ არა დამსახურებულ პატივის-ცემისათვის. ხოლო ეს-კი უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენმა წერილმა ორ ცეცხლ შუა დამაყენა. ერთის მხრით ყოვლად პატიოსანი გულთა-ძვრა თქვენი დამიდგა თვალწინ, გულთა-ძვრა საქვეყნო, გულთა-ძვრა ბრწყინვალე და დიდებული, რომლის ღაღადის წინაშე აღტაცებით და სასოებით მუხლი უნდა მოიდრიკოს ყოველმა რიგიანმა კაცმა. მე მივხვდი და ვიწამე, რომ ამ კეთილშობილებით აღსავსემ გულთა-ძვრამ აღმოგიშობათ სურვილი ქება-დიდებით და ლოცვა-კურთხევით მიჰმართოთ ჩაგრულთა, რომელთაც თავი გამოიდეს ხსნისათვის. ძნელია პატიოსანი კაცი გაუმაგრდეს ამ მშვენიერს და ყოვლად თავმოსაწონებელს გულთა-ძვრას და განსამხნევებელად, თუ ხელი არა, გული მაინც მიაწოდოს შორიდამ დიდებულ საქმისათვის თავგამოდებულთა, რომელთაც ხელის ღონე არ შესწევს ძლიერებას გულისას. კაცთა საუბედუროდ, დღევანდელი დღე მუშტისაა, ძალა ჰხნავს აღმართსა. მით უფრო საქებსადიდებელია უღონო ჩაგრულთა მოქმედება. მე არ ვეჭვობ, რომ დრო მოვა და თავისუფლება და სამართალი, რომლის სახელით დღეს ბერძენი გამოდის, დაემჯობინება მთელ სპა-ლაშკარსა და წინაშე მათთა ხმას გაიკმენდს თოფი და ზარბაზანი. აქ არის ყოვლად-მხსნელი ღონე და სასოება ადამიანისა და ამის მაგალითს დღეს თვალწინ გვიყენებს ერთი მუჭა ერი საბერძნეთისა. შეიძლება-ღა ამაზე უდიდესი მაგალითი! არ მიკვირს, რომ ამის მნახველს ქართველის სტუდენტობას გული ანთებია თანაგრძნობით, კვნესით შეჰნატრის ბერძენს და ლოცვა-კურთხევას უთვლის. ძნელია კაცმა ამ მხურვალე და ბრწყინვალე გრძნობას ადამიანისას, ასეთის პატიოსან გულთა-ძვრისაგან მოვლინებულს, ცივი ანგარიში დაუყენოს წინ.

მაგრამ, რაკი პატივი დამდევით და ჩემი აზრი მოითხოვეთ, არ შემიძლიან ამ ცივს ანგარიშს არ მივცე თავი და ჩემი გულთ-ნადები არ მოგახსენოთ გულახდილად. ჩვენი მშობელი ქვეყანა ყველა სხვა ქვეყანაზე ჩვენთვის უფრო საფიქრებელი და საზრუნველია. აქ არავისის ძრახვას და საყვედურს არ ვერიდები. ჩემი მწამსი ეს არის. ადამიანი ასეა გაჩენილი: თავისიანს უფრო ჰრჩეობს, ვიდრე სხვას. თქვენ ჩემზედ უკეთ მოგეხსენებათ, — რა ხართ თქვენ, უმაღლესის სწავლისათვის გადახვეწილნი ქართველნი, ჩვენის ავ-ბედიანის ქვეყნისათვის. მთელი სასოება ჩვენის ქვეყნისა თქვენზეა დამყარებული. ჩვენი ხვალე, ჩვენი მერმისი თქვენა ხართ. თქვენ რომ თქვენი პირდაპირი საქმე არ შეგასრულებინონ და ამის გამო შესაფერის სწავლა-ცოდნით და განათლებით არ მოუხვიდეთ თქვენს ქვეყანას, — ვისისა-ღა იმედზე დარჩეს? აშკარაა, იგი რაც თქვენს პატიოსანს გულს მოუწადინებია, არ მოეწონება ვ ი ს ა ც ჯ ე რ ა რ ს და ვაი თუ გეზიანოთ რამე. თქვენი ზიანი, თქვენი შეფერხება, ჩვენის ქვეყნის ზიანი და შეფერხებაა. გარდა ამისა, დღეს გაფიცხებული დავიდარაბა აგვიჩნდა — და ამ დროს რომ მიზეზი რამ მივცეთ, მთავრობა ჩვენზე ავის თვალით მოახედონ, ჩვენი საქმე დიდ ხიფათში ჩაგვივარდება, თუ მთლად არ დაგვეღუპება. თქვენ მიერ განზრახული თუ ასრულდა, საიდუმლოდ არ

დარჩება. დიდი შიშია, რომ ჩვენმა მტრებმა ჩვენდა თავში საცემლად არ გამოიყენონ, აი სად და სით უფრინავთ ქართველებს გონებაო. განსაცდელი და საფრთხე დიდია. განა საფიქრებელი არ არის, რომ თქვენი ბედი და, მაშასადამე, ბედი თქვენის ქვეყნისა, ამ საფრთხესა და განსაცდელში არ ჩავარდეს! ბერძნებს თქვენი თანაგრძნობა, რა თქმა უნდა, იამებათ, მაგრამ ბევრს არას არგებს. მაგ თანაგრძნობას ხელში დასაჭერი და გამოსაყენებელი სიკეთე არა მოსდევს რა, გარდა გულთა-ძვრის და გულთა-თქმის გარედ გამოფენისა და, მაშასადამე, საკუთარის თავის კმაყოფისა.

კიდევ მოგახსენებთ, მე მესმის მთელი პატიოსნება და კეთილშობილება თქვენ მიერ მოწადინებულისა. არც თავის დღეში ეჭვი არა მქონია, რომ ჩვენს ყმაწვილკაცობას გული არ ერჩოდეს, არ ეძროდეს ყოველ პატიოსნურ საქმისათვის. მაგრამ რა ვქნათ? ბედმა იმისთანა დღეში ჩაგვაგდო, რომ ჩვენის სიკეთისაგან სხვისთვის ვერ გაეწირავთ ვერარას, ყოველივე ჩვენი კეთილი ჩვენს ქვეყანას უნდა მოვახმაროთ და ამისათვის ყველა სხვა წყურვილი უნდა მოვიკლათ. ნუ მიწყენთ, რომ მოგახსენოთ ჩემით კი არა, ჩემისა და თქვენის ქვეყნის სახელითა: სასწავლებლად წასულხართ, ისწავლეთ, ცოდნა შეიძინეთ, ჯერ ხანად ნურც აქედ გადიხევთ, ნურც იქით, მარტო სწავლა-ცოდნას შეალიეთ თქვენი დღენი და თქვენი სურვილნი და ამ ორის უუძლიერესის ფარ-ხმალით მოდით და ეპატრონეთ თქვენდა მოსავს ქვეყანასა, რომელსაც ჯერ სხვა სავედრებელი თქვენს წინაშე არა აქვს-რა და რომელიც ამ გზით მოელის თქვენგან ხსნასა და ბედნიერებასა. ქვეყანა იმითი კი არ არის უბედური, რომ ღარიბია, არამედ იმითი, რომ მცოდნე, გონება-გახსნილი, გულ-განათლებული კაცები არა ჰყავს. აი თქვენი თავი რად გვიღირს ასე ბევრად, და სიძუნწეში ნურავინ ჩამოგვართმევს, რომ სხვისთვის არც ერთის თქვენგანის თმის ბეწვსაც ვერ ვიმეტებთ. თქვენ თქვენის ქვეყნისათვის ხართ საჭირონი. იქნება დამძრახოთ და მაინც კი ვიტყვი, რომ იქ, საცა ერთი მხრით სამშობლოა და მეორე მხრით სხვა, სხვას მარტო ნამეტანობისაგან უნდა მიეცეს. ნამეტანობამდე, ჩვენდა საუბედუროდ, ჯერ შორსა ვართ, და რაც ჩვენი საკმარიც არ არის, ჩვენთვისვეა საჭირო და მარტო ჩვენს სამშობლოს უნდა გამოვუზოგოთ და შევწიროთ. აქ დიდად მოსარიდებელია მცირეოდენი განსაცდელიც კი, რომელიც თქვენს სწავლა-ცოდნის წყურვილს წყაროს დაუშრობს. თუ აქ ჩემი წინასწარ-ხედვა განსაცდელისა ცდომაა, ისევ სჯობია კაცი განსაცდელის ხედვაში შესცდეს, ოლონდ მოერიდოს-კი, იმიტომ რომ თვალწინ მიდგა ჩვენი საწყალი ქვეყანა, უკაცურობით ღონემიხდილი და ჯანმიღებული. უთქვენობა რომ ძვირად არ უჯდებოდეს ჩვენს ქვეყანას, არ ამოგიფრთხობდით გულიდამ მაგ პატიოსანს გულთა-თქმას. შიში განსაცდელისა აქ საბუთიანია და სამართლიანი. გიყვარდეთ თქვენი ქვეყანა და ამ სიყვარულს ანაცვალეთ ყოველისფერი. „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“. ეს არის ჩემი რჩევა, რჩევა თქვენის ქვეყნის შვილისა.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

წერილი პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისადმი

(ბოლო რედაქცია)

ნ. ავქსენტი ჯაფარიძე
ქ. ტფილისი.

ძვირფასო ბატონო, ნ. ავქსენტი! ჩვენ, ქართველ სტუდენტებმა პეტერბურგში, ვიცით, რომ თქვენ ხართ ერთ-ერთი ის ქართველი, რომელიც ყველაზე მეტად ზრუნავს ჩვენი ეროვნული ცხოვრების აღორძინებაზე. ჩვენ

ნაწილი ნაწილის ნაწილი

ნაწილი ნაწილის ნაწილი ნაწილის ნაწილი. ნაწილი ნაწილი ნაწილი, ნაწილი ნაწილი ნაწილი

ჩამოვიდა ბიბლიოთეკის ეზოში. ეზოში ორი ადამიანი იდგა. ერთი ქალი იყო, მეორე კაცი. ქალი ახალგაზრდა იყო, ოცდაათ წლამდე ასაკის. ის ტელეფონზე ლაპარაკობდა. კაცი ხანში შესული იყო, სამოცდაათ წლის ან მეტის. ის ქალს უსმენდა და თავს აქნევდა. ქალი ბოლოს გათიშა ტელეფონი და კაცს მიუბრუნდა. კაცი ჩუმად ელოდა, სანამ ქალი ლაპარაკს დაიწყებდა. ქალი ამბობდა, რომ ბიბლიოთეკა ძალიან ძველია და მისი შენობა ავარიულ მდგომარეობაშია. კაცი თავს აქნევდა და ეთანხმებოდა. ქალი ამბობდა, რომ ბიბლიოთეკა ახალ შენობაში უნდა გადავიდეს. კაცი ისევ თავს აქნევდა და ეთანხმებოდა. ქალი ამბობდა, რომ ახალი შენობა ქალაქის ცენტრში უნდა აშენდეს. კაცი ისევ თავს აქნევდა და ეთანხმებოდა. ქალი ამბობდა, რომ ახალი შენობა ორ წელიწადში უნდა აშენდეს. კაცი ისევ თავს აქნევდა და ეთანხმებოდა. ქალი ამბობდა, რომ ახალი შენობა ორ წელიწადში აშენდება, თუ ფული დროულად გამოიყოფა. კაცი ისევ თავს აქნევდა და ეთანხმებოდა. ქალი ამბობდა, რომ ფული ორ წელიწადში გამოიყოფა, თუ ბიბლიოთეკა ახალ შენობაში გადავა. კაცი ისევ თავს აქნევდა და ეთანხმებოდა. ქალი ამბობდა, რომ ბიბლიოთეკა ახალ შენობაში გადავა, თუ ძველი შენობა დაინგრევა. კაცი ისევ თავს აქნევდა და ეთანხმებოდა. ქალი ამბობდა, რომ ძველი შენობა დაინგრევა, თუ ახალი შენობა აშენდება. კაცი ისევ თავს აქნევდა და ეთანხმებოდა. ქალი ამბობდა, რომ ახალი შენობა აშენდება, თუ ფული გამოიყოფა. კაცი ისევ თავს აქნევდა და ეთანხმებოდა. ქალი ამბობდა, რომ ფული

ქალაქის ცენტრში, ავენიუ ფრანკლინზე, ორსართულიანი ქვის სახლის ფასადზე ბრინჯაოს ფირფიტა ეკიდა. ფირფიტაზე ამოტვიფრული იყო: „ამ სახლში 1776 წლის 4 ივლისს ხელი მოეწერა ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციას.“ ფირფიტის ქვემოთ ეწერა: „ამერიკის ისტორიული საზოგადოება“. ეს ფირფიტა ოთხმოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ადგილზე ეკიდა და ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ნიშნად ითვლებოდა. ტურისტული გზამკვლევები მას ასახელებდნენ, ადგილობრივი მოსწავლეები კი ექსკურსიებზე მიჰყავდათ. ფირფიტა ნამდვილად ეკიდა იქ, სადაც ეწერა.

1976 წლის 12 მარტს ეს ფირფიტა ადგილზე აღარ იყო. ის ქალაქის ისტორიული საზოგადოების ახალ შენობაში, ქალაქიდან ათი კილომეტრის დაშორებით, ერთ-ერთ დერეფანში ეკიდა. ახალ ადგილზე ის ბევრად ნაკლებ ადამიანს ხედავდა. ფირფიტის ადგილზე ფასადზე ღია ფერის ქვის მართკუთხა ნაკვეთი დარჩა, რომელიც ირგვლივ ნაცრისფერ ქვებზე ოდნავ ნათელი იყო. ეს ნაკვეთი ზუსტად ფირფიტის ზომისა და ფორმის იყო.

ფირფიტის გადატანა ქალაქის საბჭოს 1975 წლის ნოემბერში მიღებული გადაწყვეტილებით მოხდა. გადაწყვეტილების ტექსტში ნათქვამი იყო, რომ ფირფიტა „ისტორიული ნიშნის სტატუსის მქონე ობიექტის ადგილზე დაცვის ნაკლებად შესაფერისი პირობების გამო“ უნდა გადატანილიყო. ეს ფორმულირება ქალაქის საბჭოს ყველა სხდომის ოქმში ერთნაირად იყო ჩაწერილი. ოქმებში არ ეწერა, რომელი პირობები იყო ნაკლებად შესაფერისი, ვინ ან რა ემუქრებოდა ფირფიტას და რატომ ვერ მოეწყო დაცვა ადგილზე.

ქალაქის საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა, ჯონ ალ. ბრენერმა, 1976 წლის 20 მარტს ადგილობრივ გაზეთ „ვესტ ჰილ ტაიმსში“ გამოაქვეყნებინა წერილი, რომელშიც ეკითხებოდა, ვინ მიიღო გადაწყვეტილება ფირფიტის გადატანის შესახებ და რატომ არ ჩატარდა ამ საკითხზე საჯარო განხილვა. ბრენერის წერილზე საბჭოს თავმჯდომარემ, მარგარეტ ლ. სტოუნმა, პასუხი არ გასცა. ბრენერის წერილი გაზეთის რედაქტორის მიერ ორჯერ იქნა გადაწერილი, სანამ ბეჭდვისთვის მზად იქნებოდა.

(გაგრძელება 4)

ჭოლო! არ გწყრები ნიკო-ს ამ ხუმრობის გამო. ძმაო ნიკო! წერილიდან შენი ლამაზი ხელი, – წერილივით, შეყრილი წყალ-ბოლო ხაზებიანად ისე მიყვარს. ბევრ თვე მოგწერ შენ ლექსებზე, რაც ახლა შენგან მივიღე? ბევრ თვე თვითონ შეუფიქრებლად ხელში ჩამიგდია ეგ ნიჭიერი ნაწერი? ეს იმიტომ, რომ ჩემი ნაწერები ჯერ ისევ ისეთია, როგორც ბავშვობაში ვწერდი. ისევ ისეთი ბავშვური, ისევ ისეთი ნაკლოვანი. ამიტომ ვერ ვიქნები ნიკო-ს ლექსების ნამდვილი მკითხველი. ეს იმიტომ, რომ ნიკო-ს ლექსებში ჩემი ნაწერების ნაკლოვანებანი ვერ ვიპოვე.

მეგრელებმა ეს იაფად დაუჯდათ. ფეხით არ გაიარეს? ძალიან ჩქარობდნენ, ჩანს, ფეხით მძიმედ სა ჩანდნენ ფეხ ცისფერ ზედ ოთხ ცხენიანი ეკიპაჟით? ან თუ ისეთი, ისტორიული ღირსების ადამიანები იყვნენ, რომ ფეხით ვერ გაიარეს ის მანძილი, რომელიც ბედნიერებამდე აშორებდა? ეს ბევრი ეკითხება ისტორიკოსს. ჩვენ ამაზე ვერაფერს ვიტყვით. ჩვენ ვიცით მხოლოდ ის, რომ ისინი ეკიპაჟით მოვიდნენ. ეკიპაჟი კი ეკიპაჟია. ის ფეხით ვერ გაიარებ. ეკიპაჟი ეკიპაჟია და ფეხი ფეხია. ეკიპაჟი ეკიპაჟია, ფეხი ფეხია, ფეხი ეკიპაჟისთვის ის ლანდია, რომელიც ეკიპაჟის ბორბლებს ეკვრის

ასეა „მეწერალი ძალი“

ც ლასტოჩკინი

ი. ჯანდიერისკი.

Из Карабахской канцел. Дела №18, Лист. №7.

(ველური 3)

ქ. იალტა
1886 წ.

ძვირფასო ბატონო აკაკი! ჩემს ერთ მეგობარს ერთი ძალიან საინტერესო ნაბეჭდი ნაწარმოები, რაზედაც ავტორის ხელი არ არის, მოუტანია. ეს ნაწარმოები ჩვენ ერთად წავიკითხეთ. ამიტომ, ვფიქრობ, ჩემი ვალია ეს ნაწარმოები თქვენ გამოგიგზავნოთ. ეს ნაწარმოები ეკუთვნის ერთ ახალგაზრდა ქალბატონს, რომელიც ამ ზაფხულს ჩემთან ერთად ცხოვრობდა. ეს ქალბატონი ჩემთან ერთად ბევრს მოგზაურობდა და ბევრ ადგილს ეწვია. ამიტომ ეს ნაწარმოები ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავს. ეს ნაწარმოები ჩემი აზრით ძალიან ნიჭიერად არის დაწერილი. ავტორს ნამდვილად აქვს ლიტერატურული ნიჭი. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს ნაწარმოები ძალიან საინტერესო იქნება „ივერიის“ მკითხველისთვის. ავტორს ამ ნაწარმოებში ბევრი ისეთი რამ აქვს ნათქვამი, რაც ჩვენ ყველას ძალიან კარგად ვიცით, მაგრამ ამ ნაწარმოებში ეს ყველაფერი ისეა ნათქვამი, რომ ეს ნაწარმოები ძალიან საინტერესოდ იკითხება. ავტორს ნამდვილად აქვს ლიტერატურული ნიჭი. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს ნაწარმოები ძალიან საინტერესო იქნება „ივერიის“ მკითხველისთვის. ავტორს ამ ნაწარმოებში ბევრი ისეთი რამ აქვს ნათქვამი, რაც ჩვენ ყველას ძალიან კარგად ვიცით, მაგრამ ამ ნაწარმოებში ეს ყველაფერი ისეა ნათქვამი, რომ ეს ნაწარმოები ძალიან საინტერესოდ იკითხება.

(გვერდი 1)

ზანი ყუანაკი „ილია“ დაბეჭდილა, შემდეგ ამ ტიპის ჟურნალ-გაზეთები ხშირად გამოდიოდა, ძირითადად ლიტერატურული ნაწილით, მაგრამ ზოგჯერ ისინი ფართო პოლიტიკურ საკითხებსაც ეხებოდნენ. ასეთი ჟურნალების ერთ-ერთი ნიმუში ჩვენ ქვემოთ მოგვეცემა. ეს ჟურნალი ეკუთვნის ალ. ყაზბეგს, რომელიც ამ დროს ცხოვრობდა ქ. ბორჯომში. ჟურნალის ერთი ნომერი ჩვენ ხელთ გვაქვს. ის ლითოგრაფიული წესით ყოფილა დაბეჭდილი. ამ ნომრის ბოლოს ავტორი ასე მიმართავს მკითხველს: „ვინ ამ ჟურნალის მეგობრად ინებებს, ის ნუ დაიზარებს, ნუ დაგვიწერს, ნუ დაგვიბეჭდავს, ნუ დაგვიხატავს, ნუ დაგვიგალობებს, ნუ დაგვიმღერებს, ნუ დაგვიკრავს, ნუ დაგვიცეკვებს, ნუ დაგვიქანდაკებს, ნუ დაგვიფიქრებს, ნუ დაგვიწერებს, ნუ დაგვიბეჭდებს, ნუ დაგვიხატებ

ქალაქ ჯავახეთის ოქრო, რომ ჩვენი, ამ ადგილ-
ნების. ასევე შეიძლება ლაპარაკი ძარცვაზე ძვე-
ლად ცნობილ ქალაქ ხოთის მიმართაც, რომელიც
ქალაქ ტრაპეზუნტის ჩრდილო-დასავლეთით 21 წყა-
როთი იყო დაშორებული. ეს ქალაქი.

ჩვენი ვალდებულება მოსპობის
ნაწილია

(გვერდი 3)

ბარათი სახელმწიფო კანცელარიისადმი

Госуд. Канц. № 1604

26 МАЯ 1906

Отд. ..... №

В Государственную
Канцелярию

На отношение Государственного Секретаря от 24-го сего мая за № 2097 имею честь сообщить, что я родился 1838 г. 27-го Октября и был студентом 4-го курса С.-Петербургского Университета.

Член Государственного Совета Князь Илья Григорьевич Гавгавадзе

26 Мая
1906 г.

ილიას შემოქმედების მაჯიანე*

I

პოეზია. მხატვრული პროზა

1856 წ.

1. ჩიტი (— „ყოვლთ უწინარეს“. ლექსი). — ტ. I, გვ. 227. (340 — 341 ვარიანტი).
— 1856 წ., 17 ნოემბერი, თბილისი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1857 წ. № 1.

1857 წ.

2. ყვარლის მთებს (ლექსი). — I ტ., გვ. 3 — 4. (გვ. 277—278 ვარიანტი).
— 1857 წ., 15 აპრილი, კარდანახი.
— პირველად დაიბეჭდა ილიას თხზულებათა კრებულში, I, 1892 წ.

■

3. ბედა მჭადაგებელი (ლექსი, გეტედან). — I ტ., გვ. 228 — 230.
—1857 წ., 23 აგვისტო, პეტერბურგი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1859 წ. № 1.

■

4. სანთელი (ლექსი). — I ტ., გვ. 5.
— 1857 წ., 16 დეკემბერი, პეტერბურგი.
— პირველად დაიბეჭდა ილიას თხზულებათა კრებულში I ტ, 1892 წ.

*

5. დიამბეგობა (დაუმთავრებელი მოთხრობა). — II ტ., გვ. 409—431.
— 1857 წ.

---

* მატიანეში ყოველი ნაწარმოების შესახებ აღნიშნულია: პირველად — დაწერის თარიღი; მეორედ — როდის და სად დაიბეჭდა პირველად ავტორის სიცოცხლეში.

*

6. ხმა სამარიდამ (ლექსი). — I ტ., გვ. 6 — 8.
— 1857 წ., 27 დეკემბერი, პეტერბურგი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „საქართველოს მოამბე", 1863 წ. № 11.

*

7. ცხოვრების გამონაცადი და გამონაფიქრი (დაუმთავრებელი მოთხრობა, ნაწყვეტი). — II ტ., 432 — 436.
— 1857—1858 წ. წ.

1858 წ.

8. „რა ტკბილ არს" (ლექსი, ვალტერ-სკოტიდან). I ტ., გვ. 231.
— 1859 წ., 9 თებერვალი, პეტერბურგი.
— პირველად დაიბეჭდა ილიას თხზულებათა კრებულში, I, 1892 წ.

*

9. „ცრემლთა შინა ნუგეში" (ლექსი, შილერიდან). — I ტ., გვ. 232—233.
— 1858 წ., 13 თებერვალი, პეტერბურგი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში" 1859 წ. № 2.

*

10. სტიროდეთ (ლექსი, ბაირონიდან). — I ტ., გვ. 234.
— 1858 წ., 23 თებერვალი, პეტერბურგი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში" 1859 წ. № 9.

*

11. გაზაფხული (— „ვიშ გაზაფხული". ლექსი). — I ტ., გვ. 9—10.
— 1858 წ., 7 მარტი, პეტერბურგი.
— პირველად დაიბეჭდა ილიას თხზულებათა კრებულში, I. 1892 წ.

*

12. ჩიტი (— „ვგალობ და ვგალობ". ლექსი). — I ტ., გვ. 11—13.
— 1858 წ., 7 მარტი, პეტერბურგი.
— პირველად დაიბეჭდა ილიას თხზულებათა კრებულში, I, 1892 წ.

*

13. გუთნის-დედა (ლექსი). — I ტ., გვ. 14 (გვ. 279 ვარიანტი).
— 1858 წ., 4 ივნისი, პეტერბურგი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „საქართველოს მოამბე" 1863 წ. № 6.

*

14. სიმღერა (ლექსი). — I ტ., გვ. 16.
— 1858 წ., 4 ივნისი, პეტერბურგი.
— პირველად დაიბეჭდა ილიას თხზულებათა კრებულში, I, 1892 წ.

*

15. მეც შავ თვალებს (ლექსი). — I ტ., გვ. 17.
— 1858 წ., 20 ივნისი, ტიარლევო.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1859 წ. № 3.

*

16. გიყვარდეს (ლექსი). — I ტ., გვ. 18.
— 1858 წ., 23 ივნისი, ტიარლევო.
— პირველად დაიბეჭდა ილიას თხზულებათა კრებულში, I, 1892 წ.

*

17. ჭეშმარიტება (ლექსი, პუშკინიდან) — I ტ., გვ. 235.
— 1858 წ, 27 ივნისი, ტიარლევო.
— პირველად დაიბეჭდა ილიას თხზულებათა კრებულში, I, 1892 წ.

*

18. ანგელოზი (ლექსი პუშკინიდან). — I ტ., გვ. 236.
— 1858 წ., 27 ივნისი, ტიარლევო.
— ილიას სიცოცხლეში არ დაბეჭდილა.

*

19. სიზმარი „ტიალ სივრცეში“. (ლექსი). — I ტ., გვ. 19—20.
— 1858 წ., 15 ივლისი, ტიარლევო.
— პირველად დაიბეჭდა ილიას თხზულებათა კრებულში, I, 1892 წ.

*

20. ლოცვა (— „მამაო ჩვენო“. ლექსი). — I ტ., გვ. 21.
— 1858 წ., 17 ივლისი, ტიარლევო.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „საქართველოს მოამბე“ 1863 წ. № 6.

*

21. უცხოეთში (ლექსი). — I ტ., გვ. 21.
— 1858 წ., 23 ივლისი, ტიარლევო.
— პირველად დაიბეჭდა ილიას თხზულებათა კრებულში, I, 1892 წ.

•

22. წინასწარმეტყველი (ლექსი, პუშკინიდან). — I ტ., გვ. 237 — 238.
— 1858 წ., 23 ივლისი, ტიარლევო.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1861 წ. № 1.

•

23. ლოთის რჩევა (ლექსი). — I ტ., გვ. 23.
— 1858 წ., 1 აგვისტო, ტიარლევო.
— ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა.

•

24. როდემდის (ლექსი). — I ტ., გვ. 24.
— 1858 წ., 1 აგვისტო, ტიარლევო.
— პირველად დაიბეჭდა ილიას თხზულებათა კრებულში, I, 1892 წ.

•

25. ლოცვა (—„ოდეს დემონი“. ლექსი). — I ტ., გვ. 25.
— 1858 წ. 28 აგვისტო, ტიარლევო.
— ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა.

•

26. „ვიხილე სატრფო“ (ლექსი). — I ტ., გვ. 26.
— 1858 წ., 26 ოქტომბერი, პეტერბურგი.
— პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1877 წ. № 17.

•

27. „ერთხელ სჯდა ჩემთან“ (ლექსი). — I ტ., გვ. 27.
— 1858 წ., 26 ოქტომბერი, პეტერბურგი.
— პირველად დაიბეჭდა ილიას თხზულებათა კრებულში, I, 1892 წ.

•

28. „მარტო მივცურავ ცხოვრების ზღვაში“ (ლექსი). — I ტ., გვ. 28.
— 1858 წ., 5 ნოემბერი, პეტერბურგი.
— ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა.

•

29. „დაე თუნდ მოვკვდე“ (ლექსი). — I ტ., გვ. 29.
— 1858 წ., 19 ნოემბერი, პეტერბურგი.
— ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა.

*

80. ქართვლის დედას (ლექსი). — I ტ., გვ. 30—31.
— 1858 წ., 15 დეკემბერი, პეტერბურგი.
— პირველად დაიბეჭდა კრებულში „ჩონგური“, 1864 წ.

*

81. „მაშინ დავსტკბები“ (-„ს.ს“ ლექსი). I ტ., გვ. 32. (გვ. 280 ვარიანტი).
— 1858 წ., 15 დეკემბერი, პეტერბურგი.
— პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1878 წ. № 26.

*

82. „როცა შევყურებ“ (ლექსი, ჰეინედან). — I ტ., გვ. 239.
— 1858 წ., 22 დეკემბერი, პეტერბურგი.
— პირველად დაიბეჭდა ილიას თხზულებათა კრებულში, I, 1892 წ.

*

83. „ლოყით მომეპყარ“ (ლექსი, ჰეინედან). — I ტ., გვ. 240.
— 1858 წ., დეკემბერი, პეტერბურგი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“ 1871 წ. № 3.

*

84. „ბევრი ვიტანჯე“ (ლექსი). — I ტ., გვ. 33.
— 1858 წ., 26 დეკემბერი, პეტერბურგი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“ 1871 წ. № 4.

*

85. რისთვის მიყვარხარ (ლექსი). I ტ., გვ. 34.
— 1858 წ., 31 დეკემბერი, პეტერბურგი.
— ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა.

*

86. „მითხარით, რისთვის“ (ლექსი) — I ტ., გვ. 35.
— 1858 წ., პეტერბურგი.
— ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა.

*

87. ჩემი თარიარალი (ლექსი). I ტ., გვ. 36—38.
— 1858 წ., პეტერბურგი.
— ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა.

*

38-ა. შეერთებული რედაქცია — „კაცია ადამიანისა“, „გლახის ნაამბობი-სა“ და „კაკო ყაჩაღისა“:
პირველი ტექსტი **„კოლა“**. — II ტ., გვ. 489 — 507.
— 1858 წ.

*

38-ბ. შეერთებული რედაქცია — „კაცია-ადამიანისა“, „გლახის ნაამბობი-სა“ და „კაკო ყაჩაღისა“:
მეორე ტექსტი: **„კაკო“**. — II ტ., გვ. 508 — 562.
— 1858—1859 წ წ.

*

39. პირვანდელი ესკიზები **„კაკო“** (ლექსად). — I ტ., გვ. 331 — 332.
— 1858 — 1859 წ., resp. 1859 წ.

1859 წ.

40. ხმა გულისა (ლექსი). — I ტ., გვ. 39.
— 1859 წ., 11 იანვარი, პეტერბურგი.
— ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა.

*

41. „ჩრდილნი მაღალ მთებისა“ (ლექსი, რიუკერტიდან). — I ტ., გვ 242.
— 1859 წ., 18 იანვარი, პეტერბურგი.
— პირველად დაიბეჭდა ილიას თხზულებათა კრებულში, I, 1892 წ.

*

42. „გავსწორდეთ ბედო“ (ლექსი). — I ტ., გვ. 40.
— 1859 წ., 19 იანვარი, პეტერბურგი.
— პირველად დაიბეჭდა ილიას თხზულებათა კრებულში, I, 1892 წ.

*

43. „მეცა მჭონია კარგი მამული“ (ლექსი, მიბაძვა ჰეინესი).—I ტ., გვ. 241.
— 1859 წ., 19 იანვარი, პეტერბურგი.
— პირველად დაიბეჭდა ილიას თხზულებათა კრებულში, I, 1892 წ.

*

44. „ვაი, მას — ვისაც ვაძლევდი მსხვერპლად“ (-„ერთხელ მეც ძმანო“ ლექსი). — I ტ., გვ. 41 (გვ. 281 ვარიანტი).
— 1859 წ. 19 თებერვალი, პეტერბურგი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1860 წ. № 9.

*

45. სიხარული (ლექსი). — I ტ., გვ. 244.
— 1859 წ., 7 მარტი, პეტერბურგი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „საქართველოს მოამბე“ 1863 წ. № 9.

*

46. ჰაჯი-აბრეკი (პოემა, ლერმონტოვიდან), — I ტ., გვ. 245 — 269.
— 1859 წ., 16 მარტი, პეტერბურგი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1860 წ. № 11.

*

47. მწირი (პოემა, ლერმონტოვიდან. ნაწყვეტი.) I ტ., გვ. 262 — 267.
— [1859 წ.]
— ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა.

*

48. ციურნი ხმები (ლექსი). — I ტ., გვ. 42.
— 1859 წ., 27 მარტი, პეტერბურგი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „საქართველოს მოამბე“ 1863 წ. № 3.

*

49. ნანა (ლექსი). — I ტ. გვ. 43 — 46. (გვ. 282—286 ვარიანტები).
— 6—13 აპრილი, პეტერბურგი.
— პირველად დაიბეჭდა კრებულში „ჩონგური“, 1864 წ.

*

50. ელეგია (ლექსი). — I ტ., გვ. 47.
— 1859 წ., ივნისი, პეტერბურგი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1859 წ. № 11.

*

51. „კართა თანა“ (ლექსი, რიუკერტიდან). — ტ. I, გვ. 243.
— 1859 წ., 26 ივლისი, თბილისი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1859 წ., № 11.

*

52. მტკვრის პირას (ლექსი). — I ტ., გვ. 48.
— 1859 წ., 3 ოქტომბერი, თბილისი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „საქართველოს მოამბე“ 1863 წ. № 9.

*

53. ალაზანს (ლექსი). — I ტ., გვ. 51.
— 1859 წ.
— პირველად დაიბეჭდა ილიას თხზულებათა კრებულში, I, 1892 წ.

*

54. „ოჰ, სად არიან, სიჭაბუკევ, სიტკბონი შენნი“ (ლექსი). —I ტ., გვ. 49.
— 1859 წ., 30 ნოემბერი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“ 1871 წ. № 2.

*

55. დაკარგული ედემი (ლექსი). — I ტ., გვ. 50.
— 1859 წ., 26 დეკემბერი.
— ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა.

1859 — 1863 წწ.

56-ა. კაცია-ადამიანი?! (მოთხრობა). პირვანდელი ვარიანტი.
— 1859 წ.

*

56-ბ. იგივე. ბოლო რედაქცია. — II ტ., გვ. 124 — 223 (გვ. 563 — 574 წინასიტყვის ვარიანტები).
— 1863 წ.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „საქართველოს მოამბე“ 1863 წ. №№ 4, 5, 6.

1859 — 1873 წწ.

57-ა გლახის ნაამბობი (მოთხრობა). პირვანდელი ვარიანტი.
— 1859 წ.

*

57-ბ. იგივე. ბოლო რედაქცია, I — VI თავები, II ტ.; გვ. 31 — 77.
— 1863 წ.

*

57-გ. იგივე. ბოლო რედაქცია. VII—XII თავები. — II ტ., გვ. 77—123.
— 1872 წ. დეკემბერი — 1873 წ. იანვარი, დუშეთი.
— მოთხრობა პირველად დაიბეჭდა:
ა) ჟურნალში „საქართველოს მოამბე“, 1863 წ. № 1 (I — VI თავები).
ბ) ჟურნალში „კრებული“ 1871 წ. №№ 1, 2, 3 (სრულად, I—XII თავები).

1859 წ. — 1872 წ.

58-ა. აჩრდილი (პოემა). პირველი ვარიანტი. — I ტ., გვ. 302—323.
— 1859 წ., 26 იანვარი, [პეტერბურგი].

*

58-ბ. იგივე. ბოლო რედაქცია. — I ტ., გვ. 131 — 149.
— 1872 წ., დუშეთი.
პოემის ცალკეული ნაწილები დაიბეჭდა:
ჟურნალში „ცისკარი“, 1859 წ. № 10;
ჟურნალში „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., №№ 7, 8;
კრებულში „ჩონგური“, 1864 წ.;
ჟურნალში „კრებული“, 1872 წ. № № 8 — 9, 10 — 12, 1873 წ. № 1, 2, 5, 6.
დაიბეჭდა მთლიანად:
ჟურნალში „ივერია“ 1881 წ., № 2, 3;
ილიას თხზულებათა კრებულში, I, 1892 წ.

1860 წ.

59. ძმის სიკვდილზედ (ლექსი). I ტ., გვ. 71.
— 1860 წ., მაისი.
— ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა.

1860 წ.

60. მძინარე ქალი (ლექსი). — I ტ., გვ. 52.
— 1860 წ., 19 ივნისი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „საქართველოს მოამბე“ 1863 წ. № 4.

*

61. მწუხარება (ლექსი). — I ტ. გვ. 53. (გვ. 287 — ვარიანტი)
— 1860 წ., 11 ივლისი, პავლოვსკი.

*

62. მუშა (ლექსი). — I ტ., გვ. 54 — 58. (გვ. 288 — 289 — ვარიანტი).
— 1860 წ., 12 ივლისი, პავლოვსკი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „საქართველოს მოამბე“ 1863 წ., № 1.

*

63. ალექსანდრე ჭავჭავაძე (ლექსი).—I ტ., გვ. 57. (გვ. 290—ვარიანტი).
— 1860 წ., 16 ივლისი, პავლოვსკი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1861 წ. № 4.

*

64-ა. ნიკოლოზ ბარათაშვილზედ (ლექსი. I). — I ტ., გვ. 291.
— 1860 წ., 19 ივლისი, პავლოვსკი.
— ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა.

*

64-ბ. ნიკოლოზ ბარათაშვილზედ (ლექსი. II). — I ტ., გვ. 58.
— 1860 წ. აგვისტო, პავლოვსკი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „საქართველოს მოამბე“ 1863 წ., № 6.

*

65. ს . . . ჩ . . . სას (ლექსი) — I ტ. გვ. 59.
— 1860 წ., 21 ივლისი, პავლოვსკი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“ 1871 წ. № 1.

*

66. ჩ. . . სას (ლექსი). — I ტ., გვ. 60.
— 1860 წ., 22 ივლისი, პავლოვსკი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“ 1871 წ. № 2.

*

67. პოეტი (ლექსი). — I ტ., გვ. 61.
— 1860 წ., 23 ივლისი, პავლოვსკი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „საქართველოს მოამბე“ 1863 წ. № 4.

*

68. „მესმის, მესმის სანატრელი“ (ლექსი). — I ტ., გვ. 62.
— 1860 წ., 29 ივლისი, პავლოვსკი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“ 1871 წ. № 1.

*

69. სიზმარი (ლექსი, ლერმონტოვიდან). — I ტ., გვ. 268.
— 1860 წ., 4 აგვისტო, პავლოვსკი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „საქართველოს მოამბე“ 1863 წ. № 4.

*

70. **წინასწარმეტყველი** (ლექსი, ლერმონტოვიდან). — I ტ., გვ. 269 — 270.
— 1860 წ., 4 აგვისტო, პავლოვსკი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1861 წ. № 1.

*

71. **ციცაბი კლდე** (ლექსი, ლერმონტოვიდან). — I ტ., გვ. 271.
—1860 წ., 4 აგვისტო, პავლოვსკი.
— ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა.

*

72. **ქართველ სტუდენტების სიმღერა** (ლექსი) — I ტ., გვ. 63—64. 292 — 295 — ვარიანტები).
— 1860 წ., 18 აგვისტო, პავლოვსკი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“. 1870 წ. № 2.

*

73. **„ჩემო მკვლელო“** (ლექსი). — I ტ., გვ. 65.
— 1860 წ., აგვისტო, პავლოვსკი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“ 1871 წ. № 2.

*

74. **მეფანტურე** (ლექსები I, II. პირვანდელი ესკიზები პოემისა „დიმიტრი თავდადებული“). — I ტ., გვ. 333, 334 — 335.
I: 1860 წ., II: 1860 წ., 12 სექტემბერი, პავლოვსკი.

*

75. **იანიჩარი** (ლექსი). — I ტ., გვ. 66.
— 1860 წ., 5 ნოემბერი, პეტერბურგი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „საქართველოს მოამბე“, 1863 წ. № 3.

*

76. **„გახსოვს, ტურფავ“** (ლექსი). — I ტ., გვ. 67.
— 1860 წ., 5 ნოემბერი, პეტერბურგი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1861 წ. № 4.

*

77. **რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან** (პოემა). — I ტ., გვ. 158 — 177.
— 1860 წ., 11 დეკემბერი, პეტერბურგი.

— პოემის ნაწილები დაიბეჭდა:
ჟურნალში „საქართველოს მოამბე“, 1863, № 10.
კრებულში „ჩონგური“, 1864 წ.
დაიბეჭდა მთლიანად:
ჟურნალში „ივერია“ 1879 წ. №5.

*

78. „დაბნელდა სული“ (ლექსი). — I ტ., გვ. 68.
— 1860 წ., 25 დეკემბერი, პეტერბურგი.
— პირველად დაიბეჭდა ილიას თხზულებათა კრებულში, I, 1892 წ.

*

79. „უსულდგმულო ცხოვრება“ (ლექსი). — I ტ., გვ. 69.
— 1860 წ. პეტერბურგი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „საქართველოს მოამბე“ 1863 წ. № 3.

*

80. „როცა წუხილი“ (— „ჩემო სიმღერავ“. ლექსი). — I ტ., გვ. 70. (გვ. 296 — ვარიანტი).
— 1860 წ.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1861 წ. № 1.

*

81. დემონი (სტროფი ლერმონტოვის პოემიდან). — I ტ., გვ. 356.
— 1860 წ.

*

82. კაენი (ნაწყვეტი ბაირონიდან). — I ტ., გვ. 356.
— 1860.

*

83. მანფრედი. — (ნაწყვეტი ბაირონიდან), — I ტ., გვ. 255.

*

84. ირაკლი (ნაწყვეტი დრამატიული პოემიდან). — I ტ., გვ. 347—352.
— 1860 წ.

*

85 — 86. ფრაგმენტები ლექსებისა. — I ტ., გვ. 353.
— 1860 წ.

*

87. ღამე (ფრაგმენტი ლექსისა). — Iტ., გვ. 72.
— [1857—1861 წ.]

1860—1871 წ. წ.

88-ა. ქართვლის დედა (დრამატიული პოემა). პირველი ვარიანტი. — I ტ., გვ. 324 — 329.
— 1860 წ., 14 ივლისი, პავლოვსკი.

*

88-ბ. იგივე. მეორე ვარიანტი. — I ტ., გვ. 329 — 330.
— 1871 წ., 17 მარტი, დუშეთი.

*

88-გ. იგივე. ბოლო რედაქცია. — I ტ., გვ. 150 — 157.
— 1871 წ., 18 მარტი, დუშეთი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“ 1871 წ. №3.

1861 წ.

89. გაზაფხული (— „ტყემ მოისხა ფოთოლი“. ლექსი). — I ტ., გვ. 73. (გვ. 297 — ვარიანტი).
— 1861 წ., 28 იანვარი, პეტერბურგი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1861 წ. №4.

*

90. „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“ (ლექსი). — I ტ., გვ. 74.
— 1861 წ., 6 აგვისტო, ყვარელი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „საქართველოს მოამბე“ 1863 წ., №2.

*

91. „ჩემო კალამო“ (ლექსი). — I ტ., გვ. 75. (გვ. 278 — ვარიანტი)
— 1861 წ., ოქტომბერი, ყვარელი.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „საქართველოს მოამბე“ 1863 წ. №1.

*

92. „ზღვათა მფლობელის“ (ლექსი, შენიედან). — I ტ., გვ. 272.
— 1861 წ.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „საქართველოს მოამბე“ 1863 წ. №9.

1861—1863 წ. წ.

93. ესკიზები მოთხრობისა 60-იანი წლების ქართველი ინტელიგენციის ცხოვრებიდან:
ა. უ ღ ე ლ ტ ე ხ ი ლ ი (II ტ., გვ. 437 — 446).

ბ. კატო (II ტ., გვ. 447—453).
გ. რამდენიმე ხანა მოთხრობისა „მარგალიტი ლეჭსში“ (II ტ., გვ. 454 — 455).
დ. მოთხრობა — ეპიგრაფით: „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“ (II ტ., გვ. 456 — 465).
ე. გუბე (II ტ. გვ. 466—468).

1861—1871 წ. წ.

94-ა. მგზავრის წერილები (მოთხრობა). პირვანდელი ვარიანტი.
— 1861 წ.

*

94-ბ. იგივე. ბოლო რედაქცია.
— 1871 წ.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“ 1871 წ., №№ 2, 5.

1862 წ.

[გლახის ნაამბობი (მოთხრობა). ბოლო რედაქცია I — VI თავები. იხ. 57-ბ].

1863 წ.

95. გ. აბხ. (ლექსი). — I ტ., გვ. 76.
— 1863 წ.
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „საქართველოს მოამბე“, 1863 წ. № 7.

*

[„კაცია-ადამიანი?!“ (მოთხრობა). ბოლო რედაქცია. იხ. 56-ბ].

1865 წ.

96. გლეხთა განთავისუფლების პირველი დროების სცენები. — II ტ., გვ. 329—354.
— 1865 წ.
— პირველად დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ 1867 წ. №33.

1871 წ.

97. 23 მაისი, 1871 წ. (კომუნის დაცემის დღე). ლექსი (I ტ., გვ. 77).
— 1871 წ., 29 მაისი, [დუშეთი].
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“ 1873 წ. №5—6.

*

98. რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით (ლექსი). — I ტ., გვ. 78—82.
— 1871 წ., 24 აგვისტო, დუშეთი.

*

99. ბედნიერი ერი (ლექსი). — I ტ., გვ. 83—84.
— 1871 წ., 29 აგვისტო, [დუშეთი].

*

100. გამოცანები (ლექსი). — I ტ., გვ. 85 — 88.
— 1871 წ., 7 დეკემბერი, [დუშეთი].
— ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა (ხელნაწერად ვრცელდებოდა).

*

101. კიდევ გამოცანები (ლექსი). — I ტ., გვ. 89—93.
— 1871 წ. 7 დეკემბერი, [დუშეთი].
— ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა (ხელნაწერად ვრცელდებოდა).

*

[**ქართვლის დედა** (დრამატიული პოემა). მეორე ვარიანტი და ბოლო რედაქცია. იხ. 88-ბ და 88-გ].

*

[**მგზავრის წერილები** (მოთხრობა). ბოლო რედაქცია. იხ. 94-ბ].

1872 წ.

102. პასუხის პასუხი (ლექსი). — I ტ., გვ. 94—99.
— 1872 წ., 28 იანვარი, [დუშეთი].
— ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა (ხელნაწერად ვრცელდებოდა).

*

103. ირლანდიისადმი (ლექსი, ტომას მურიდან). — I ტ., გვ. 273.
— 1872, 5 თებერვალი, [დუშეთი].
— პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“ 1872 წ. №7.

*

104. რჩევა (ლექსი). — I ტ., გვ. 100.
— 1872 წ., 29 აგვისტო, [დუშეთი].
— პირველად დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ 1872 წ. №35.

*

